

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. კაკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

იოსებ ფლავიოსი

**ეოთხრობანი
იუდაებრივისა კუელსიტყუაობისანი**

I

ქართული თარგმანის ტექსტი გამოზატყმად
მოამზადა, გამოკვლევა დაურთო
ნ ი ნ ლ მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ შ ა



„მეცნიერება“

ნაშრომში იბეჭდება I ს-ის ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის თხზულების, „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტუაობისანის“ ძველი ქართული თარგმანი. XII ს-ში საქართველოში შეიმჩნევა დიდი დაინტერესება ანტიკურობით. ისტორიულ ნაშრომთა შორის, რომლებიც ქართულად ითარგმნა, ფლავიოსის თხზულება ერთ-ერთი პირველთაგანია.

ეს ძეგლი წარმოადგენს XII ს-ის ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის საინტერესო ნიმუშს. იგი მნიშვნელოვანი წყაროა იმ ეპოქის ქართული ენისა და ქართული სოციალური ტერმინოლოგიის შესასწავლად.

წინამდებარე ნაკვეთი შეიცავს გამოკვლევასა და თხზულების პირველი 7 წიგნის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს. ტექსტის დანარჩენი ნაწილისა და სამეცნიერო აპარატის გამოქვეყნება ივარაუდება გამოცემის II ნაკვეთში.

რედაქტორი პროფ. მ. შ ა ნ ი ძ ე

რეცენზენტები: ფილ. მეცნ. დოქტორი ე. გა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი
ფილ. მეცნ. დოქტორი გ. ნ ი ნ უ ა

რედაქტორისაბან

XII საუკუნეში საქართველოში შეინიშნება განსაკუთრებული დაინტერესება ანტიკურობით. ამიტომ იყო, რომ სწორედ ამ პერიოდში ითარგმნა ბერძნულიდან I ს-ის ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის თხზულება „მოთხრობანი იუდაებრივისა ძველსიტყუაობისანი“.

ძეგლის ისტორიული მნიშვნელობა მაღალია. ის წარმოადგენს საყურადღებო წყაროს არა მარტო უძველესი აღმოსავლეთის, არამედ აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხების ისტორიის შესასწავლადაც: იოსებ ფლავიოსი თავის ნაშრომში ეყრდნობა ძველ ისტორიკოსთა თხზულებებს, უხვად იმოწმებს მათ ნაშრომებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში დაკარგულია და, ამდენად, მისი თხზულება ამ ნაშრომების ნაწილობრივად მაინც აღდგენის ერთადერთი საშუალებაა. გარდა ამისა, ფლავიოსის თხზულება შეიცავს ცნობებს საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ.

თხზულება დღეს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამ თარგმანთა დიდი ნაწილი XIX—XX საუკუნეებში არის შესრულებული. ქართველებს გაგვაჩნია ძველი და უნიკალური თარგმანი ამ ძეგლისა, მოღწეული XIII ს-ის ხელნაწერის მეშვეობით. იგი დღემდე არ ყოფილა გამოცემული, თუმცა წარმოადგენს ძველი ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძეგლს. თარგმანი ძვირფას მასალას შეიცავს ძველი ქართული ენის, მისი ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის შესასწავლად, აგრეთვე იმ სკოლის მთარგმნელობითი პრინციპებისა და პრაქტიკის გასაცნობად, რომელსაც ის მიეკუთვნება.

გამოსაცემად მომზადებული ტექსტი ემყარება XIII ს-ის ხელნაწერს, A 675-ს. გამოცემაში გათვალისწინებულია სხვა (XVI—XIX სს-ების) ნუსხათა ჩვენებებიც. წინამდებარე ნაკვეთი შეიცავს გამოკვლევასა და თხზულების პირველი შვიდი წიგნის კრიტიკულად დადგენილ ტექსტს.

ტექსტის დანარჩენი ნაწილისა და სამეცნიერო აპარატის (საკუთარ და ეთნიკურ სახელთა კომენტარებელი საძიებლისა და ლექსიკონის) გამოქვეყნება ივარაუდება გამოცემის II ნაკვეთში.

გამოკვლევა მოიცავს თარგმანის ტექსტოლოგიურ და ენობრივ ანალიზს. მასში დასმულია აგრეთვე სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი: ახლებურად არის წარმოდგენილი მსჯელობა მთარგმნელის ვინაობის შესახებ, შესწავლილია თარგმანის თავდაპირველი შედგენილობა და სხვა. ამ ტექსტის გამოქვეყნება საშუალებას მოგვცემს გავეცნოთ ძველი ქართული თარგმნითი ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლს, რომელიც დღემდე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმეორეჯერ იყო.

I. ზოგადი ცნობები იოსებ ფლავიოსისა და მისი თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ შესახებ

1. იოსებ ფლავიოსი და მისი ნაშრომები

იოსებები, ძე მატტაფიასი, ძველი ებრაელი ისტორიკოსი, დაიბადა ჩ. წ.-ის 37 წელს იერუსალიმში, გარდაიცვალა დაახლოებით 95 წელს რომში. იგი სასულიერო წრიდან იყო გამოსული, ემხრობოდა ფარისეველთა რელიგიურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას. იუდეველთა ომის დაწყების შემდეგ (66—73 წწ.) ფლავიოსი დაინიშნა გალილეაში მხედართმთავრად. 67 წელს მან უღალატა ებრაელებს, გადავიდა რომელთა მხარეზე და, ფლავიოსების დინასტიის მმართველების გულის მოგების მიზნით, მიიღო ზედწოდება — ფლავიოსი. რომში ჩასვლის შემდეგ იოსები გახდა მისი მოქალაქე და დაინიშნა ფლავიოსების ისტორიოგრაფად.

ოსებ ფლავიოსმა დატოვა შემდეგი ნაშრომები:

- ა) „იუდეველთა ომი“ — დაიწერა ჩ. წ.-ის 75—79 წწ.-ში. არსებობს ცნობა, რომ თავიდან ეს თხზულება არამეულ ენაზე შეიქმნა, შემდეგ ითარგმნა ბერძნულად. გადმოცემულია ამბები ჩ. წ.-მდე 167 წ.-დან ჩ. წ.-ის 73 წ.-მდე.
- ბ) „იუდეველთა სიძველენი“ ანუ „მოთხრობანი იუდაებრივისა ძველსიტყუაობისანი“ — გადმოცემულია ამბები სამყაროს შექმნიდან იუდეველთა ომის დაწყებამდე.
- გ) „ავტობიოგრაფია“ — ამ თხზულებაში იოსებ ფლავიოსი ცდილობს დაიკვას თავი იმ ბრალდებებისაგან, რომელთაც მას უყენებდა ებრაელი ხალხი.
- დ) „აპიონის წინააღმდეგ“ — აქ მოცემულია იოსებ ფლავიოსის პოლემიკა I ს-ის ეგვიპტელ მწერალთან — აპიონთან. ფლავიოსი იცავს ებრაელ ხალხს და მათ რელიგიას ცილისმწამებლური თავდასხმებისაგან.

2. „იუდეველთა სიძველეთა“ ბერძნული ლექსი შესახებ

„იუდეველთა სიძველენი“ იწერებოდა იმპერატორ დომიციანის დესპოტური მმართველობის პირობებში, დომიციანისა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ყოველგვარი ლიტერატურული თუ ისტორიული ნაშრომებისადმი. იწერებოდა იგი 18 წლის მანძილზე და დასრულდა ჩ. წ.-ის 93—94 წწ.-ში. ამ თარიღის შესახებ ცნობას გვაწვდის თვით იოსები თავისი თხზულების ბოლო პარაგრაფში, სადაც წერს, რომ ნაშრომი დასრულდა დომიციანის მმართველობის მე-13, ხოლო მისი ცხოვრების 56-ე წელს.

* ეს თხზულება, რომლის ტექსტი გამოცემულია წინამდებარე წიგნში, ხელნაწერებში და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყოველთვის ერთგვარად დასათურებული არ არის. სიმარტივისათვის ვხმარობთ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოყენებულ სახელწოდებას — „იუდეველთა სიძველენი“.

„იუდეველთა სიძველენი“, ისევე როგორც „იეტობიოგრაფია“ და „აპო-
ნის წინააღმდეგ“, მიძღვნილია ვინმე ეპაფროდიტესადმი, რომელმაც იოსებს
მფარველობა გაუწია მაშინ, როდესაც მას აღარ ჰყავდა უწინდელი „პატრო-
ნები“ — ვესპასიანე და ტიტე. მეცნიერთა ერთი ჯგუფი, მათ შორის ნიზეც,
იოსების პატრონს აიგივებს ნერონის მდივანთან, რომელიც მან გაათავისუფ-
ლა მონობისაგან, მაგრამ ქრონოლოგიურად უფრო გამართლებული ჩანს მეო-
რე მოსაზრება, გამოთქმული იოსებ ფლავიოსის თხზულებათა სრული კრებუ-
ლის გამომცემლის, თეკერეის მიერ. მისი აზრით, იოსების მფარველია მარკუს
მეტიუს ეპაფროდიტე, დიდად განსწავლული ადამიანი, რომელმაც განათლება
მიიღო ალექსანდრიაში, სადაც დააარსა 30 000 წიგნისაგან შემდგარი ბიბლიო-
თეკა¹.

გარდა ბერძნული ბიბლიისა, რომელსაც იოსები ასახელებს თავისი ნა-
შრომის ძირითად წყაროდ, თეკრეი ვარაუდობს, რომ თხზულებაზე მუშაო-
ბისას იოსებისათვის მოდელი იყო დიონისე პალიკარნასელის „რომაელთა სიძ-
ველენი“, დაწერილი ჩ. წ.-მდე 7 წელს. დიონისე პალიკარნასელი, იოსების
მსგავსად, აღმოსავლეთიდან რომში იყო გადახვეწილი. „რომაელთა სიძველე-
ნი“ მან დაწერა ბერძნულ ენაზე 20 წიგნად. ერთი საუკუნის შემდეგ იოსები
ბერძნულ ენაზე ქმნის ნაშრომს, რომელსაც ეწოდა „იუდეველთა სიძველენი“
და რომელიც აგრეთვე 20 წიგნს მოიცავს. როგორც ჩანს, იოსების თხზულება
ჩაფიქრებულია როგორც დუბლიკატი პირველი ნაშრომისა. თუ „იუდეველთა
ომში“ იოსები რჩევას იძლეოდა დამორჩილებოდნენ დამპყრობლებს, „იუდე-
ველთა სიძველეთა“ ავტორი ცდილობს გვიჩვენოს, რომ მის ერს გააჩნია გა-
ცილებითი ძველი ტრადიციების მქონე ისტორია, ვიდრე რომაელებს; თუ დიო-
ნისე თავისი ნაშრომის დიდი ნაწილი დაუთმო რომაელების ისტორიის ად-
რეულ, მითიურ პერიოდს, იოსებმა, ებრაულ ბიბლიაზე დაყრდნობით, თავისი
ერას ისტორია დაიწყო ქვეყნიერების შექმნიდან².

პირველი ათი წიგნის მანძილზე იოსები დამოკიდებულია ბიბლიაზე და
მის ტრადიციულ ინტერპრეტაციაზე. დადგენილია, რომ რვა წიგნის მანძილზე
იგი ეყრდნობა სემიტურ წყაროს (ებრაულს ან არამეულს). ბიბლიური ტექს-
ტების თარგმანი, როგორც ჩანს, თვით იოსებს ეკუთვნის. გვიანდელი ისტო-
რიული წიგნებისადმი მისი დამოკიდებულება იცკლება: დაწყებული I. მეფე-
თა წიგნით და დასრულებული I. მაკაბელთათი, ფლავიოსი ძირითადად ბერძ-
ნულ ბიბლიას იყენებს, ხოლო სემიტური ტექსტი დამხმარე წყაროს მნიშვნე-
ლობას იძენს.

მიუხედავად ფლავიოსის მტკიცებისა, რომ მას არაფერი დაუმატებია ბიბ-
ლიაში გადმოცემული ფაქტებისათვის, ირკვევა, რომ ისტორიკოსმა გააერ-
თიანა დიდძალი მასალა ბიბლიის ირგვლივ: ეს არის ძირითადად ტრადიციული
ცოდნა და ცნობები. იქ, სადაც ეს ცნობები ერთმანეთს არ უკერს მხარს, ფლავი-
ოსისა, როგორც წესი, ემხრობა ფარისეველთა ინტერპრეტაციას.

ბიბლიის გარდა იოსები ხშირად მიმართავს სხვადასხვა ისტორიკოსთა
ციტირებას და იშველიებს მათ ავტორიტეტს. მაგრამ ეს ფაქტი, რომ ამგვარი
ჩამოთვლა საკმაოდ ხშირად მთავრდება ნიკოლოზ დამასკელის სახელით, ბა-
ღებს მკვლევართა ეჭვს, რომ იოსები ამ ისტორიულ წყაროებს იცნობს ნიკო-

¹ Josephus, with an English translation by H. St. J. Thackeray, M. A. Ralph Marcus, Ph.D., Lois Feldman. In nine volumes. Jewish Antiquities IV—IX, London, MCMLXI—MCMLXVI. Introduction, ტ. IV, გვ. X—XI.

² Josephus, დასახ. ნაშრ., გვ. IX.

ლოზის „უნივერსალური ისტორიის“ მეშვეობით, რომელიც მოგვიანებით გამოიყენებოდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული წყარო.

თეკერი, იველეს რა „იუდეველთა სიძველეთა“ სტილს, აკეთებს დასკვნას, რომ იოსებს ორმა ბერძენმა ასისტენტმა გაუწვია დახმარება: XV—XVI წიგნები ძირითადად შედგენილი ჩანს მეტად ნიჭიერი, კულტურული და განვითარებული მწერლის მიერ, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჯერ კიდევ „იუდეველთა ომის“ შექმნაში და რომელსაც, როგორც ჩანს, მეტად უყვარდა ბერძენი პოეტები, განსაკუთრებით კი — სოფოკლე. რაც შეეხება XVII—XIX წიგნებს, მათზე უმუშავეია ბერძენი ისტორიკოსის, ტაცილიდის მიერ დაქრავებული სლავ იმიტატორს. ამ წიგნებს ატყვია კვალი მისთვის დამახასიათებელი მანერისმისა.

ამ ხუთი წიგნის მანძილზე (XV—XIX) ორმა ზემოდასახელებულმა ასისტენტმა თავის თავზე ააღო ძირითადი სამუშაო. მათი გავლენა შეინიშნება პირველ თოთხმეტ წიგნშიც, ე. ი. არც ამ მონაკვეთში უმუშავეია ფლავიოსს დამოუკიდებლად. ძირითადი დახმარება მას, როგორც ჩანს, სწორედ პირველმა, პოეზიის მოყვარულმა ასისტენტმა გაუწვია. რაც შეეხება თვით იოსების მიერ შესრულებულ ნაწილს, აქ აშკარად იგრძნობა იოსების შრობიერადი, არამეული ენის გავლენა³.

იოსების თხზულებები ობიექტურობით არ გამოირჩევა. ავტორის მიერ მოწოდებული ყოველი ცნობა სასურველია შემოწმდეს სხვა წყაროების მიხედვით. სწორედ ამ ტენდენციურობამ განაპირობა მათი ლიტერატურული ბედი. რომელმა მკითხველმა სულ მალე აიყარა გული იოსების თხზულებებზე, რადგან დროთა განმავლობაში მათში დასმულმა პრობლემებმა დაკარგა თავისი სიმწვავე და აქტუალობა, რაც შეეხება ებრაელ მკითხველს, იგი იოსებს უყურებდა როგორც მოღალატეს და ყოველთვის არიდებდა თავს მის ნაშრომებს. ის, რომ იოსების სახელი დღესდღეობით საბოლოოდ დაკარგული არ არის, ქრისტიანული ლიტერატურის დამსახურებაა: დაწყებული II საუკუნიდან, ქრისტიანი მწერლები პოპულარიზაციას უწევენ იოსების თხზულებებს, რადგან იგი იყო უშუალო მემკვიდრე და მონაწილე ქრისტიანობის ჩასახვის-დროინდელი მოვლენებისა. „მისი ნაწარმოებების მეშვეობით ცდილობენ ისინი ქრისტიანობის არსის კეშმარტების დასაბუთებას და ამის გამო ახდენენ ამ თხზულებათა ურცხვ ფალსიფიკირებას, ამდიდრებენ რა მათ სხვადასხვა სახის ინტერპოლაციებითა და ჩანართებით“⁴.

³ თეკერიც ამ აზრს არ იზიარებს თ. ყახხიშვილი: „... რაც შეეხება მის ებრაელობას, იგი ტომით არის ებრაელი, აღზრდით, განათლებით, მოწოდებით — ტიპური რომაელი მოღვაწეა, რომელმაც ბერძნული ისევე იცის, როგორც თავისი დედაენა. რა ვიცი, როგორი სტილით იქნებოდა ნაწერი იოსების ნაშრომები ებრაულად, ან არამეულად, მათ რომ ჩვენამდე მოედწიათ. განა ყველა უნაკლო წერს თავის საკუთარ ენაზე? (ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, ძველი ბერძნულიდან თარგმნი, გამოკლევია და საძიებლად დაურთო თინათის ყახხიშვილმა, თბ., 1983, გვ. 30—31).

⁴ Н. А. Мещерский. История иудейской войны Иосифа Флавия в древнерусском переводе, М.—Л., 1958, с. 44. ბეკლევები ინტერპოლაციაზე საუბრისას ძირითადად გულისხმობენ იესო ქრისტეს და იონან ნათლისმცემლის ხსენებას (XVIII, 3, 3; 5, 2, XIX, 9, 1). ძველი ქართული თარგმანი არ მოიცავს უკანასკნელ ხუთ წიგნს (XVI—XX), ამიტომ ამ საკითხს ჩვენ გამოკლევებში არ ვებხებით. ამ ბოლო დროს გამოთქვა აზრი, რომ ინტერპოლაციის საკითხის ასე ხელაღებით გადაწყვეტა არ შეიძლება და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაუთხებელი ამ მიმართულებით.

იოსებ ფლავიოსის თხზულებებს, და მათ შორის „იუდეველთა სიძველეთა“, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც ერთ-ერთ ძირითად წყაროს იმ ისტორიული მოვლენების შესწავლისათვის, რომელთა შესახებ ძველი ებრაელი ისტორიკოსები ჩ. წ.-მდე III ს-ში წყვეტენ ცნობების მოწოდებას.

3. იოსებ ფლავიოსი ახალ კართულ საისტორიო მხარეობაში

იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ ენაზე თარგმნა XI—XII საუკუნეებში შემთხვევითი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდში საქართველოში მეტად განვითარდა საისტორიო მწერლობა, რომელსაც შეთვისებული ჰქონდა ელინური კულტურის მემკვიდრეობაც, რადგან ეროვნული ისტორიის განვითარება უთუოდ ნიშნავდა ინტერესის გაღვივებას მსოფლიო ისტორიის მიმართ. მაგრამ გარდა იმ დიდი ინტერესისა ანტიკურობისადმი, რომელიც შეინიშნება ამ დროის საქართველოში, იოსების თხზულების თარგმნას სხვა, უფრო კონკრეტული მიზეზიც უნდა ჰქონოდა: იოსებს აქვს ცნობები საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ.

იოსებ ფლავიოსის თხზულებები, როგორც ჩანს, სანდო წყარო იყო XII ს-ის და გვიანდელი ქართველი ისტორიკოსებისათვის. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსა და ჟამთააღმწერელს დაცული აქვთ რამდენიმე ადგილი „იუდეველთა ომიდან“ და „იუდეველთა სიძველენი“-დან. „იუდეველთა ომი“ ქართულ ენაზე არ ყოფილა თარგმნილი, ასე რომ ისტორიკოსები მას ან ღედანში ეცნობოდნენ, ან ბიზანტიურ ქრონოგრაფიაში არსებული მასალით სარგებლობდნენ.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მოაქვს ადგილი „იუდეველთა ომიდან“, წერს, რომ იოსებოს ებრაელმა „ვესპასიანე ტიტოჲს-მიერნა მეტომეთა თუსთა-ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა“⁵. ამ ადგილის შოტანა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს დასჭირდა იმის სათქმელად, რომ ყველა ცნობილი პირის ღვაწლს ისტორიკოსები მეტად აზვიადებენ. მართალია, ისტორიკოსს უნდა შეეძლოს წერა „ქელოვნებითა რიტორობისათა“, მაგრამ მას საკმაო მასალაც უნდა ჰქონდეს ხელთ. ამგვარი მასალის ნაკლებობას ის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, არ განიცდის.

ჟამთააღმწერელი ორჯერ ახსენებს იოსებს, პარალელს ავლებს მის მიერ გადმოცემულ ამბებთან და ამით ცდილობს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს თავის თხრობას. ერთგან საუბარია იმაზე, რომ ტიტესა და ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის განადგურებისასაც კი არ მომხდარა იმდენი უბედურება, რამდენიც მოხდა ჯალალედინის მიერ თბილისის აოხრებისას⁶. ამ შემთხვევაში ისტორიკოსი „იუდეველთა ომს“ ემყარება. მეორე ადგილას კი ჟამთააღმწერელს მოაქვს ადგილი „იუდეველთა სიძველენიდან“ (წ. 7, თ. 9) და რესუდანის მიერ თავისი ძის გამეფების სურვილს ადარებს აბესალომის დავითისაგან განდგომას⁷.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 342.

⁶ იქვე, გვ. 176—177.

⁷ ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 204—205. (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსთან და ჟამთააღმწერელთან დაცული ყველა ზემოთ დასახელებულ ადგილ აღნუსხული აქვს ივ. ჯავახიშვილს, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 215—216; 249; 257. მათზე დაწერილებით მსჯელობს თ. ყუბხიშვილიც, ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, გვ. 40—59).

თ. ყაუხჩიშვილი თავის ნაშრომში დაწვრილებით მსჯელობს იმ ცნობების შესახებ, რომელიც აქვს იოსებ ფლავიოსს საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებზე⁸. ჩვენ აქ მოკლედ შევხებით ყველაზე არსებითს.

იოსები საუბრობს შავ ზღვაზე: „ხოლო ამისთვის სიტყუაჲ არს ვეშაპისა მიერ შთანთქუმაჲ სამთა ღღეთა და ესოდენტავე ღამეთა და ეექსინოას პონტოსადმი განდუღებაჲ ცოცხლისაჲ...“ (წ. 9, თ. 10,2). *Εὐξείνου πόντον*, 9²¹³. არის კიდევ მეორე ადგილი (წ. 9, თ. 1,4), სადაც მთარგმნელმა „ზღვა“ გადმოიღო „შავი ზღვის“ ნაცვლად (იოსების გამომცემლებსა და მთარგმნელებს აქ „შავი ზღვა“ ესმით, რადგან იქვე თრაკიაზეა საუბარი).

„იუდეველთა სიძველენი“—ში არის ორი ადგილი, სადაც ბერძნულ „იბერთა“ ქვეშ ქართველები იგულისხმება:

1. „ხოლო აწღა, გამოდებულ იქნა რაჲ პტოლემაიდაჲ, ეუწყა ტიღრანისს, ვითარმედ ლუკელისოს, მდევნელი მითრიდატისი, მას ვიდრემე ვერ მიემთხუა, ქართველთა მიმართ ლტოლვილსა. ხოლო სომხითისა განმფხურელი, აოკრებს. ტიღრანისს, და ამათი მცნობელი, წარვიდა სახიდ თესად“ (წ. 13, თ. 16,4).

«*Ις τὸς Ἰβήρας* 13¹²¹».

2. „დაამკედრებს უკუე თოვილოსცა თოვილთასა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან, ხოლო მესქინნი, მესხოჲს მიერ აღშენებულნი, აწ კაპადუკად იწოდებიან“... (წ. 1, თ. 6,1) მკვლევართა ბევრი განსხვავებული აზრი არსებობს იმის შესახებ, რამდენად შეიძლება თობელისა და იბერების დაჯავშირება, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ის, რომ იოსები აქ სწორედ იბერებზე საუბრობს, იცის მათი არსებობა და წინაპრის დაჭებნას ცდილობს მათთვის. რაც შეეხება „მესქინებს“, აქ, ალბათ, იგულისხმებიან არა საქართველოს სამხრეთში მოსახლე მესხები, არამედ მცირეაზიელი მესხები. ამ ადგილზე მსჯელობს თეიმურაზ ბატონიშვილიც თავის ისტორიაში, ივერიელთა თემის შთამომავლობათა უწყებათა თავში⁹.

ამგვარად, იოსებ ფლავიოსს და მისი თხზულებები საკმაო და დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდნენ XII ს-ის საქართველოში და, ამდენად, ერთ-ერთი მათგანის ქართულ ენაზე თარგმნა სრულიად კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

⁸ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 59—70.

⁹ მაგალითები თარგმანიდან მოგვეყვას A 675-ის მიხედვით, ბერძნულიდან კი — თეაკრისი, მარკუსის და ფელდმანის ზემოთ დასახელებული გამოცემის მიხედვით.

¹⁰ ისტორია დაწვებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა. ქმნილი საქართველოს მეთაქამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან, ს.-პეტრბურგი, 1848, გვ. 9—10.

II. „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანის ტექსტოლოგიური ანალიზი

1. არსებული ნუსხები

იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულმა-თარგმანმა ჩვენამდე ოთხი სრული ნუსხისა: (A 675, ქუთ. 10, S 315/321. S 372/375) და ხუთი მეტ-ნაკლები სისრულის ფრაგმენტის (Q 1096, S 4015, S 5365, ქუთ. 384, Q 183) სახით მოაღწია¹.

ა) A 675

თარგმანის უძველესი ქართული ნუსხა თარიღდება XIII ს-ით. იგი შე-დის ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციაში 675 ნომრით და აღწე-რილი აქვს თ. ჟორდანისა².

დღესდღეობით A 675 მოიცავს 300 ფურცელს. ფურცლის ზომა არის 36×24. ზოგ გვერდზე არის 33 სტრიქონი, ზოგზე — 38. დასაწყისი რამდე-ნიმე გვერდი A 675-ს აკლია, კერძოდ, I წიგნის შესავლის პირველი ორი ქვე-დანაყოფი. ხელნაწერს დართული აქვს შემდეგი ანდერძი:

„ქრისტე ღმერთო, დიდება ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოველთასა. უზარ-მაზარი წიგნი ესე ძლივ და ქირში შევასწორეთ გადაწერილზე და სრულყა-ვით 1840-ს, თებერვარის 22-ს ზუგდიდს. ამინ და კირიელისონ. ღმერთმან შეუწდოს ჩემ თანაშრომს, ივა-ბერს ხოშტაროვს ყოველნი ცოდვანი მისნი, ნეფსითნი და უნებლიეთნი და ძვირისთქმითნი და აწ ყოველნი თანამდები“ (300v).

ალბათ, ამ მინაწერზე დაყრდნობით წერდა თ. ჟორდანია, რომ ხელნაწე-რი განახლებული აქნა დედოფალ ელენე (დადიანის?) ბრძანებით... A 675 ხელნაწერში არსებულ მინაწერებში ჩვენ არსად არ შეგვხვდებოდა ელენე და-დიანის ხსენება, რაც შეეხება სამეგრელოს მთავარს, დავით დადიანს, რომ-ლის ხელთაა არის ეს ანდერძი ნაწერი, მას, როგორც ჩანს, აქტიური მონა-წილეობა მიუღია XIX ს-ში იოსებ ფლავიოსის ამ თხზულების გადმოქართუ-ლებასა და გავრცელებაში. დავით დადიანი ჩანს ინიციატორი 1834 და 1840 წლებში თხზულების უკვე თარგმნილი 15 წიგნის გადმოწერა-შესწორებისა და ძვ. ქართულ თარგმანში არსებული უკანასკნელი ხუთი წიგნის ლათინუ-რიდან შესრულებული რუსული თარგმანიდან გადმოქართულებისა³.

¹ ამ ნუსხათა დაწერილებით აღწერილობას ჩვენ აქ არ წარმოვადგენთ. შეეხებოთ მხო-ლოდ მნიშვნელოვან მომენტებს ან იმას, რაზეც მათ აღწერილობებში არ არის გააზივილებუ-ლი ყურადღება.

² Описание Рукописей Тифлисского Церковного Музея Картлинно-Кახетинского Духовенства, составленное Ф. Д. Жордания. Книга II. № 9. Тифлис, 1902. № 675.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 287.

ზემოთ მოტანილ ანდერძში დავით დადიანი „გადაწერილზე შესწორებაში და სრულყოფაში“, როგორც ჩანს, გულისხმობს A 675-ის უკანასკნელ ხუთ ფურცელს (295r—300v), რომლებიც ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული ხელით, მელნითა და ორთოგრაფიით არის ნაწერი. ძირითადი ტექსტი წყდება მე-15 წიგნის მე-7 თავის მე-4 პარაგრაფის ბოლოს. განსხვავებული ხელით გაკეთებულია დამატება მე-15 წიგნის მე-11 თავის მე-3 პარაგრაფის შუამდე⁴. ამავე ხელით არის აღდგენილი რამდენიმე ნაკლები სტრიქონი 38r-სა და 38v-ს ბოლოს. ეს „გადაწერილზე შემსწორებელი და სრულყოფელი“ უნდა იყოს ვინმე გიორგი, როგორც აღნიშნავს თ. ჟორდანი და რასაც ადასტურებს 300v-ზე არსებული მინაწერიც, გაკეთებული იმავე ხელით, რომლითაც არის ნაწერი 295—300 ფურცლები: „ქრისტე ღმერთო და წმიდაო იოსიპო, უბოძე სწავლა კეთილი მონასა შენსა გიორგის, ამენ და კირიელისონ“. შესაძლებელია, ეს არის დავით დადიანის კაბინეტის პირადი მდივანი, ნადიკვანარი გიორგი ცხვიტარია⁵. ივა-ბერი კი, რომელიც ანდერძში ნახსენებია როგორც თანამშრომნი (ალბათ დ. დადიანისა, რადგან ანდერძი ამ უკანასკნელის ხელით არის ნაწერი), იყო დავით დადიანის ქართული კანცელარიის მდივანი⁶.

მინაწერებიდან, რომლებიც გაკეთებულია A 675-ზე, გამოიკვეთება კიდევ ორი პიროვნება, რომელთაც გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ამ ხელნაწერის მიმართ. ესენი არიან ქართლის მთავარეპისკოპოსი იოანე და ვინმე იესე მწერალი.

მინაწერები, გაკეთებული იოანეს ხელით, ნუსხურით, შეიძლება XVII—XVIII ს-ით დათარიღდეს:

1. „აქა ()სის* მკეთებელისგან წამკლარი იყო ოთხი-ხუთი ფურცელი, ზოგი ქვემოთ მიეკერა და ზოგი ზემოთ. და მე, ქართლისა მთავარეპისკოპოზმან იოანე (იწე), ვპოე, რომე უკმარ იყო და ახლად გავაკეთე. და ვინცა მიემთხვევით, არღა საგინონია“ (120r).

2. „აქაცა აშლილი იყო და გავაკეთეთ ღმრთითა“ (151r).

3. „აქაცა შეეშალა დიდად და ჩუენვე გავაკეთეთ ღმრთითა. ამა-ესერა წინაშე თულათა თქუნთა არს“ (156r).

4. „მ ჩემდა, რამეთუ ესრეთ მრავალსა ადგილსა განერყვნა წიგნი ესე იოსიპოსა უგუნურებით რეცა, ვითარცა მცოდნესა; მკახშაესა წიგნისა ამისა-სა. და მე, ქართლისა მთავარეპისკოპოზმან იოანე სადაცა ვპოე, ახლად გავაკეთე, ვითარცა შეგუანდა“ (178r).

როგორც ჩანს, იოანეს ხელახლა აუკინძავს A 675.

XVII ს-დან ცნობილია ქართლის მთავარეპისკოპოსი იოანე ავალიშვილი: „1630 წელს ქართლის მთავარეპისკოპოსია იოანე ავალიშვილი. იგი მოხსენიებულია თეიმურაზ მეფის მიერ არსენ ავალიშვილისათვის მიცემული წინამძღვრობისა და მამულის წყალობის წიგნში. იგი ყოფილა ბიძა არსენ ავალიშვილისა და, ამდენად, მისი თანამედროვე“⁷.

შესაძლებელია, სწორედ ამ იოანეს მიუძღვის წვლილი A 675-ის ხელახალ აკინძვაში.

⁴ მე-15 წიგნი ბერძნულ დედანში მთავრდება მე-11 თავის მე-7 პარაგრაფით.

⁵ ამ პიროვნების შესახებ ცნობას გვაწვდის იონა მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 32.

⁶ იქვე, გვ. 32.

* სიტყვა ხელნაწერში არ იკითხება სრულად.

⁷ გ. ჯანდიერი, XVII ს-ის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), მრავალთავი, I, 1971, გვ. 333.

რაც შეეხება იესე მწერალს, მის მიერ გაკეთებული მინაწერი გვხვდება ორჯერ: ერთხელ — ნუსხურით, მეორედ — მხედრულით (დაახლოებით XVIII—XIX ს-ეებში უნდა იყოს ორივე შესრულებული. ესენია:

1. „ქრისტე, შეიწყალე იესე მწერალი და დედა-მამათა მისთა შეუნდოს ღმერთმან. ვინცა შენდობაა ბრძანოთ, შეუნდოს ღმერთმან. ქრისტე, შეიწყალე მახარებელი“ (121r).

2. „ღმერთო და წმიდაო იოსიპოსო, შეიწყალე იესე მწერალი“ (219r).

გამოიყოფა მინაწერთა კიდევ ერთი, საკმაოდ დიდი ჯგუფი. ისანი შესრულებულია იმავე ხელითა და მელნით, რომლითაც ნაწერია ძირითადი ტექსტი, ე. ი. XIII ს-ეს მიეკუთვნება. ეს მინაწერები განმარტავენ ტექსტის ამა თუ იმ ადგილს, ან სიტყვას. უთითებენ, არის თუ არა შესატყვისი მონაკვეთი ბიბლიაში და თუ არის, რომელ წიგნს მიეკუთვნება იგი და რამდენად სწორად არის გაგებული ბიბლიური ტექსტი⁸.

არის ორი მინაწერი, შესრულებული XVI—XVII ს-ეების ნუსხურით, ერთმანეთისაგან განსხვავებული ხელით: „ქრისტე, შეიწყალე დავით“ (122v) და „ღმერთო, შეიწყალე სული ბერისა ზაქარიაისი“ (196v).

XVIII—XIX საუკუნეების მხედრულით შესრულებულია რამდენიმე მინაწერი: 1. „ერთ ფურცელს იქით არის, ამის უსწავლელო შემკრველო“ (3v).

2. „აქა ორი ფურცელი და ნახევარი ახალ წიგნში არ დაუწერია. ღმერთო, მიაგე წყეულთა“ (3v).

3. „უნდა დავიწყოთ“ (151v). სამივე ეს მინაწერი ერთი ხელითაა შესრულებული.

4. „1838 წელს, იანვრის 18-ს, ბიძია გრიგოლმა შეშქამა ხუთი ძირი ჯანჯაფლის მურაბა და იმ ღამეს ველარ დაიძინა განხურეებისა ძლით. იყო მაშინ ვიდრემე პასაკა წელსა ერგასისა“ (40v). ხელი დავით დადიანისა და ლპარაკია მის ბიძაზე, გრიგოლ წერეთელზე. რომ დ. დადიანს ნამდვილად ყოლია ბიძა გრიგოლ წერეთელი, ეს ირკვევა S 315-ზე არსებული მინაწერებიდან: „მარტირია ბიძია გრიგოლმა [წერეთელმა] დატოვა...“ „დავით დადიანს აქუს ბიძის მისის, გრიგოლ წერეთლის წიგნები...“ (S 315, 1v).

5. „შემიწყალე მე, უფალო, უღირსი მონა შენი, შეეწეო ფრიად ცოდვილსა სულსა ჩემსა, სახელით დარეჯანს. ნუ წარსწყემდ უღოთა თანა სულსა ჩემსა. მტერსა ბოროტსა, ეშმაკსა, უძღურსა და მზაკუარსა თანა ნუ წარსწყემდ“ (296v).

6. ეს წიგნი არს ორას და სამოცდათექუსმეტი ფურცელი. 276. თუ როდის დაწერილა. არ ჩანს“ (299v). ეს მინაწერიც დ. დადიანის ხელით არის გაკეთებული.

იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანი გამოსაცემად მოვამზადეთ A 675-ის მიხედვით, რადგან იგი უძველესია ყველა არსებულ ნუსხათა შორის. თარგმანი ხელნაწერში დასათაურებულია ხან როგორც „მოთხრობანი იუდაებრივისა დასაბამსიტყუაობისანი“, ხან „სიტყუდასაბამობისანი“, „სიტყუათმთავრობისანი“ და „ძუელსიტყუაობისანი“. ქართული ტექსტი წიგნებად დაყოფილია თვით ხელნაწერში, თავებად და პარაგრაფებად დაყავით ჩვენ თეკერის, მარკუსისა და ფელდმანის ზემოთ მითითებული ბერძნული გამოცემის მიხედვით.

⁸ ეს მინაწერები თავ-თავის ადგილას ერთის ტექსტს.

ამ ნომრით ინახება ქუთაისის ხელნაწერთა კოლექციაში ფლავიოსის „იუდეველთა სიძველეთა“ XVI ს-ის ქართული ნუსხა. ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობაში იგი წარმოდგენილია სახელწოდებით „წიგნი ჰუროისაჲ“⁹.

ხელნაწერს წინ უძღვის ამ ნუსხის დამკვეთის, აფხაზეთის კათალიკოს ეფთვიმეს შესხმა:

„ეჲა დიდებჲა ღმერთსა, მადლი ღმერთსა, კურთხეულ არს ღმერთი მამა, ძე და წმიდაჲ სული!“

იწყებანი სახელითა ღმრთისაჲთა და წადილ-ნებაჲ ბრძანებითაჲ დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხისაჲ, კათალიკოზისა პატრონის ეფთვიმესითა, განძი, თული, ბრწყინვალებაჲ, შუწნიერებაჲ საყდრისა, მსმენელთათჳს დიდად მარგი, სიქადული და მეცნიერებაჲ მოწესეთა და აღამოსითგან დედაჲ ყოვლისაჲ წიგნისა. წმიდაჲ წიგნი ესე, სახელით იოსიპოჲსი.

შენ, საშინელოჲ და ცათა მობაძაროჲ ბიჳენტისა ღმრთისმშობელო! აცოცხლე, ამზერძელე და შემწე, მცველ, მფარველ და მეოხ ექმენ და სუფევაჲ მოუკლებელ ყავენ ორთავე შინა ცხორებათა და მუნ დაამკვდრენ წიაღთა შინა აბრაამის და იაკობისა თანა, ამენ და კირიელეისონ.

რამეთუ ჳეშმარტიად ივიროვდა საღმრთოთა წერილთაჲ წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატროსანთა საყდართა კახეთით, ქართლით, იმერით, ოდიშით და გურიით და დასდებდა დიდროანსა და პატროსანსა ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩუენ გვზოდებდა მათსა ალაღსა, მათისა კონდაკითა ნაშობებსა საქონელსა, მრავალსა და აურაცხელსა, და არა დასცნებოდა საღმრთოჲსა სურვილისაგან და ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ-ოთხისა, სამსამისა და ორ-ორისა მწერლითა გუაწერინებდა და გუაშრომებდა დიდისა პატრიოთა და წყალობითა და პატივისაფარველითა.

მრავალმცა არიან წელნი ცხორებისა მისისანი და საუკუნოამცა არს კურთხევაჲ და სუფევაჲ მათი, ამენ და კირიელეისონ, ამენ. და მამაჲ მშობელთა მათთა შეუნდოს ღმერთმან, ამენ“ (ქუთ. 10, გვ. 1r).

ამ ხელნაწერს დართული აქვს ანდერძი: „დიდებჲა ღმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისაჲსა. ქრისტე, მფლობელო ორთავე სუფევათაო, აღიდენ სულითა და ქორცითა შენ მიერ ღირსქმნილი და ღირსად პატივეცემული დიდისა აფხაზეთისაჲ კათალიკოზი, ეფთვიმი, რომლისა ბრძანებითა დაიწერა წმიდაჲ. ესე წიგნი სახელით იოსიპოჲსი და სული მათი წიაღთა შინა აბრაამ, ისაჲ და იაკობისთაჲ დაამკვდრენ სიმრავლესა შინა ჟამთასა. ამენ და დედა-მამათა მისთაჲ შეუნდეს ღმერთმან. ვინცა შენდობით მოიკისენოთ, ღმერთმან თქუენცა მოგიკისენს. ამენ და კირიელეისონ“ (420v).

ხელნაწერს 1v-ზე გაკეთებული აქვს თავად გრიგოლ წერეთლის მინაწერი, რომელშიც იგი თხზულების მთარგმნელად ასახელებს იოანე პეტრიწს. სავარაუდოა, რომ ეს გრიგოლ წერეთელი არის ბიძა დავით დადიანისა და, ამდენად, მინაწერი XVIII ს-ზე ადრე ვერ გაკეთდებოდა:

„პეტრიწისა გვარი წერილისა განმაკერებს,
ენაშუობისა მისისა სიბარჯულ განმაცვიფრებს,
მსურს მისი იგი ლექსთ-მკობილება,

⁹ ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, თბ., 1953, გვ. 63—64.

აღნაქესთა მისთა მახარებს შუენიერ-წყობილმა
ის აქ შესაბამ არს

თ'ი გრიგოლ წერეთელი.

ეს სიტყვები ეკუთვნის ანტონ კათალიკოსს და მოთავსებული არის 1770 წლის მხითარ სევასტიელის „რიტორიკის“ ქართულ რედაქციაში, რომელიც ანტონმა თარგმნა სომხურიდან.

ქუთაის. 10-ში, ისევე როგორც A 675-ში, წარმოდგენილია თხზულების 15 წიგნის თარგმანი. ტექსტი ძირითადად სრულია. იშვიათად არის ჩავარდნები და გამოტოვებულია მეტ-ნაკლებად მოზრდილი მონაკვეთები.

გ) XIX საუკუნის ნუსხები

XIX ს-ის ექვსი ნუსხა არსებობს. ესენია: S 315/321; S 372/375; S 4015; S 5365; Q 1096 და ქუთაისი 384. ამ ნუსხათაგან ყველაზე ადრეულია S 315/321, ყველა დანარჩენი — მისგან მომდინარე. სწორედ ამიტომ პირველ რიგში S 315/321-ს შევვებთ.

S 315/321¹⁰

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, XIII და XVI საუკუნეთა ნუსხებში არის იოსებ ფლავიოსის თხზულების მხოლოდ პირველი თხუთმეტი წიგნის თარგმანი. თხზულების პირველი სრული თარგმანი, 20 წიგნის მოცულობით, S 315/321-ში არის წარმოდგენილი. ქართულ ენაზე არარსებული უკანასკნელი ხუთი წიგნი თარგმნა დავით დადიანის კარის მღვდელმა, დავით ინანიშვილმა. აი, რას წერს ამის შესახებ კ. კეკელიძე: „ეს ინანიშვილი არის დავით დადიანის კარის მღვდელი, რომელსაც 1835—6 წელს უთარგმნია ხორნაბუჯს (S 320, 321) რუსულიდან დანარჩენი ხუთი წიგნი (16—20) იოსებ ფლავიოსისა. მისი რუსული დედანი გადმოღებული ყოფილა ლათინურიდან კარის მღვდლის მიხეილ სამოილოვის მიერ და წარმოადგენდა მეოთხე გამოცემას, რომელიც გამოსულა პეტერბურგს სამეცნიერო აკადემიაში 1818 წ. პირველი 15 წიგნი ფლავიოსისა პეტრიწის მიერ თარგმნილი, იმავე ლათინურიდან მომდინარე რუსული ტექსტის მიხედვით შეუსწორებია დავით ინანიშვილს (S 315—319) და გადაუწერია 1840 წელს აბელ ბაშბეუქოვს (S 372—374). ეს შესწორებული ტექსტი ალაგ-ალაგ შეუსწორებია დავით დადიანს¹¹.

S 315/321-ის დაწერილებით აღწერილობას აქ არ წარმოვადგენთ, ვიტყვით მხოლოდ ერთს: შესხმა აფხაზეთის კათალიკოს ეფთვიმესი, რომელიც წინ უძღვის XVI ს-ის ნუსხას, ქუთაის 10-ს, წარმოდგენილია S 315-შიც და, ამდენად, XIX ს-ის ყველა სხვა ნუსხაშიც, გარდა S 4015-ისა.

S 372/375¹²

ეს არის XIX ს-ის მეორე სრული ნუსხა, რომელშიც წარმოდგენილია თხზულების თარგმანის ოცივე წიგნი. ხელნაწერს დართული აქვს ანდერძი:

¹⁰ იხ. ქართულ ხელნაწ. აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. I, თბ., 1959, გვ. 376—381.

¹¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 287, სქოლიო № 2.

¹² იხ. ქართულ ხელნაწ. აღწერილობა, S კოლექცია, ტ. I, გვ. 430—433.

„დიდება ღმერთსა, სრულყოფელსა ყოველთასა. აღიწერა წიგნი ესე იოსიპ-პოას სამენგერლოას მემკვდრის დავით დადიანისაგან აბელ ბაშბუქოვის მიერ და დადებულ იქმნა წიგნთსაცავსა შინა მისს უგანათლებულესობისსა 1840 წელსა“ (S 372, 210r).

S 372/375-ს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა: „წინაბჭე, იოსიპოს, ფლავიოს, საჩინო აღმწერელი იუდაებრივთა ძუჭლ-სიტყუაობათა, ცოცხლებდა პირველსა ვიდრემე ასწლებასა შემდგომად ქრისტეს მაცხოვრის გარდამოსულისა, დასაბამსა ვიდრემე უქანასკნელისა იუდეანთა რომანთა თანა ბრძოლათა სრულქმნილთა...“ (S 372, 2r—3r).

ამ წინასიტყვაობაში ლაპარაკია იოსებ ფლავიოსის პიროვნებაზე, იმაზე, რომ იგი ცხოვრობდა ქრისტეს დაბადების პირველ საუკუნეში და იუდეველების რომაელებთან ბრძოლაში საბოლოოდ დამარცხების შემდეგ ვესპასიანეს ტყვეობაში იმყოფებოდა. მას დაუფასეს მისი მწიგნობრობა და განათლებულობა და მისცეს საშუალება დაეწერა რიგი ნაშრომებისა. ესენია: იუდეველთა ისტორია, იუდეველთა ბრძოლა, აპიონის წინააღმდეგ, ფილონის წინააღმდეგ და სხვ. ძველი მამები — ირინეოსი, იუსტინე, ტერტულიანი, კლემენტი, ევდემი, ბასილი დიდი, გრიგოლ ნაზიანზელი, ამბროსი და მრავალი სხვა აფასებენ და ქებით მოახსენებენ იოსიპოსს.

წინასიტყვაობაში ისიც არის აღნიშნული, რომ იოსებ ფლავიოსი თვით საუბრობს ქრისტეს შესახებ, როგორც მისი თანამედროვე და, ამრიგად, ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახარების ჰეშმარიტების რწმუნების საქმეში.

ჩამოთვლილია ის პრობლემები, რომელთაც შეეხო იოსები თხზულებაში „იუდეველთა სიძველენი“ და მაღალი შეფასება ეძლევა მის მიერ ჩატარებულ სამუშაოს, თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ ბევრგან იოსები არაობიექტურია და აყალბებს ამბებს ფარისეველთა მოძღვრებაზე დაყრდნობით.

წინასიტყვაობის ბოლოს კი დავითის ხელით მიწერილია: „წინასიტყვაობა ესე ვთარგმნე და განვკაზმე მე, დავით“.

ეს წინასიტყვაობა თარგმნილია ლათინურიდან მომდინარე რუსულ თარგმანზე დართული წინასიტყვაობიდან¹³, რომელიც, როგორც ჩანს, დავით ინანიშვილს არ უთარგმნია თავის დროზე. იგი თარგმნა დავით დადიანმა და მაშინ, როდესაც ასწორებდა S 315/321-ს, დაურთო ბოლოში.

S 4015¹⁴

ეს ნუსხა, განსხვავებით XIX ს-ის სხვა ნუსხათაგან, რომელთა დასათუ-რებაა „იუდაებრივისა სიტყუა დასაბამობისა“, გვთავაზობს ოდნავ შეცვლილ სახელწოდებას: „იუდაებრივისა სიტყუა ძველობისა“. შეიცავს იგი თხზულების თარგმანის 6 წიგნს (სულ 109 ფურცელია), ნუმერაცია წიგნებისა არეუ-ლია: გვ. 139-ზე წერია წიგნი მეორე მეხუთის ნაცვლად; გვ. 171-ზე — წიგნი მესამე მეექვსის ნაცვლად, თუმცა იქვეა აღნიშნული: ესენი არიან მეექვსესა წიგნსა შინა. წ. 5 თ. 9,1-ის (გვ. 168) ორიოდე წინადადების შემდეგ თხრობა რომელიღაც სხვა ადგილზე გადადის და რამდენიმე სტრიქონის შემდეგ წყდ-

¹³ Иосифа Флавия Древности Иудейския, с Латинского на Российский языкъ пре-ложенныя придворнымъ священникомъ Михаиломъ Самуиловымъ. Часть первая, Санкт-петербургъ, 1818 г. с. 2—5.

¹⁴ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. V, თბ., 1967, გვ. 306.

ბა. გრძელდება თხრობა წ. 5 თ. 10,1-დან (ე. ი. ხელნაწერს აკლია IX, 1—2—3—4). გვ. 168-ზე წერია: „თავი ია“ ნაცულად თავი ი-სი. გვ. 206-ზე წ. 6-ში მე-13 თავის შემდეგ (იგ) შეცდომით წერია „იე“, უნდა იყოს „იდ“. ისე გამოდის, თითქოს მე-6 წიგნი მოიცავს 15 თავს ნაცულად 14-ისა.

ამ ხელნაწერს, განსხვავებით XIX ს-ის სხვა ნუსხათაგან, არა აქვს წამდგარებული აფხაზეთის კათალიკოსის, ექვთიმეს, შესხმა, სამაგიეროდ, აქვს ის წინასიტყვაობა, რომელიც არის S 372-ში და S 315-ის ბოლოს.

S 5365¹⁵

ეს არის 95 ფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც შეიცავს თხზულების თარგმანის მხოლოდ პირველ და მეორე წიგნებს, ამასთან, მეორე წიგნი ნაკლულია, ნაცულად 16 თავისა მასში 15 თავია.

ტექსტს წინ უძღვის აფხაზეთის კათალიკოსის შესხმა. ბოლოს აქვს ასეთი მინაწერი: „ლექსი ესე გადავწერე მე, აზნაურმა კულა სვიმონის ძე გუდაბრელიძემ 1894 წელსა, მარტის 18 დღესა. „დიდებულო ხელმწიფეო, მაღალო და ლომო ქველო, გვარ-ტომობით დავითიან-სოლომონის სიბრძნის მცველო, გულქველო და პილატონო, ჯომარდო და ბეჰ-მკერდ-მრტელო, და ქვრივისა და ობლებისა მოწყალების გამზრდელო“ (3რ).

Q 1096¹⁶

ეს ნუსხა მოიცავს თხზულების თარგმანის 12 წიგნს. ფურცლის ზომა არის 34,5×20,5.

ხელნაწერს წამდგარებული აქვს მისი გადაწერის თარიღი: ჩემდ წელსა, მაისის იე-სა. ე. ი. 1844 წლის 15 მაისი. „ვიწყე გარდმოწერად ქალაქსა შინა ქუთაისისა, მისის მაღალ ყოვლად უსამღღელოესობის ქუთათელ მიტროპოლიტის და კავალაროსნის დავითისათვის. მზეგარძელმცა არის იგი უკუნისამდე. ამინ და კირიელეისონ“.

Q 1096-ს წინ უძღვის შესხმა აფხაზეთის კათალიკოს ექვთიმესი, მე-12 წიგნის შემდეგ ხელნაწერს აქვს დართული კადევე ხუთი ფურცელი, იმავე ხელით ნაწერი, რომლითაც ნაწერია ძირითადი ტექსტი. დართული ტექსტი არ წარმოადგენს იოსების თხზულების რომელიმე ნაწილს: ეს არის შეგონების მაგვარი იმის შესახებ, რომ ადამიანი არ უნდა დაეჩაგვრიხოს უბედურებას.

ფურცლები არ არის დანომრილი. შიგადაშიგ არის ნუმერაცია, მაგრამ შემდეგ იგი წყდება და თავიდან იწყება.

ქუთაისი 384

იოსიპოს ფლავიოსის წიგნი [XIX]

157 ფ., 33×20,5. ქალაღი; მუყაოს ყდა; ნუსხური [XIX]. ნაკლული. ნაწილობრივ დაზიანებული; შემოსულია ა. ბაქრაძისაგან. იოსიპოს ფლავიოსის იუდაებრივისა სიტყუადსაბამობისა, წიგნი პირველი — „წინათ სწყვი ყოვლისათვის მოქმედებულისა. მნებებელთა აღწერად მოთხრობისათა არა

15 იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია ტ. VII, თბ., 1973, გვ. 253—254.
16 ხელნაწერი არ არის ილწერალო.

ერთსა არცა მასვე ვხედავ ქმნილსა მიზეზსა მოსწრაფებისასა, არამედ მრავალთა და მრავლად ურთიერთარს განყოფილთა, რამეთუ ვიეთნიმე მაჩვენებელნი სიძნელისა სიტყვათასა და მისგან მომნადირებელნი დიდებისა ამის კერძოსა ზედა სწავლულულებისასა მიმართეს“ (2r—156v).

წყდება: „ხოლო ვითარ მიიწინეს მთასა ზედა, ავარიდ წოდებულსა, რამეთუ მაღალ არს და პირისპირ იერიხუნტოს მდებარე...“

შენიშვნა: ყოველ წიგნს წინ უძღვის საძიებელი: 1r-v; 28v; 48v—49r; 105v—106r; 134r; 157r-v¹⁷.

ეს ფრაგმენტი ზემოთ მოტანილი დასასრულის მიხედვით წყდება მე-4 წიგნის 8,48-ზე.

Q 183¹⁸

ეს არის ერთფურცლიანი ფრაგმენტი, რომელიც დათარიღებულია XIII—XIV საუკუნეებით. ამ ფურცელზე მოთავსებულია თხზულების მე-14 წიგნის მე-16 თავის მე-3—4-ე პარაგრაფების თარგმანი. მონაკვეთი სიტყვა-სიტყვით მისდევს A 675-ის ტექსტს. ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობდა A 675-ის თითქმის თანადროული და მისგან მომდინარე ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

2. ნუსხების ურთიერთმიჯნობა

თხზულების უძველესი ქართული თარგმანი მოთავსებულია XIII ს-ის ხელნაწერ A 675-ში. როგორც ჩანს, კ. კეკელიძე დაწვრილებით არ გასცნობია ამ ხელნაწერს, რადგან იგი წერდა: „ყველა არსებული ნუსხა პეტრიწის თარგმანისა მომდინარეობს აფხაზეთის კათალიკოსის ექვთიმე საყვარელიძის ნუსხიდან, რომლის შესავალში ვითხულობთ: „იწყებიან სახელითა ღმრთისა მათა და წაღინება-ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველომსა პატრიარხისა კათალიკოზისა პატრონისა ეფთჳმისითა“¹⁹.

ექვთიმე საყვარელიძის ნუსხის ქვეშ კ. კეკელიძე გულისხმობს XVI ს-ის ხელნაწერ ქუთ. 10-ს, რომელსაც წინ უძღვის შესხმა აფხაზეთის კათალიკოს ეფთჳმესი, როგორც ამ ნუსხის დამკვეთისა²⁰.

ქუთ. 10-ში მოთავსებული ტექსტი მომდინარეობს X III ს-ის ნუსხის, A 675-ის, ტექსტიდან. ერთადერთი, რაც განასხვავებს ქუთ. 10-ის ტექსტს A 675-ის ტექსტისაგან, არის მ-ს ზედმეტი ხმარება სიტყვის როგორც შუაში, ასევე ბოლოში. ეს მოუღენა არ იყო უცხო XVI ს-ში, როდესაც აინერციითა იხმარებოდა და მისი თავდაპირველი ფუნქცია ნელ-ნელა დაფიქსირებას ეძლეოდა, მაგ.: შუწნიერება მსა, ყრმაჲკი, რაჲოდენნი...²¹

იმდენად დიდია X VI ს-ის ხელნაწერში არსებული ტექსტის დამოკიდებულება X III ს-ის ტექსტზე, რომ იგი იმეორებს ამ უკანასკნელში არსებულ ყველა სახის შეცდომას. მაგალითებზე აქ არ შეეჩერდებით, ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ საკითხზე: A 675 ხელნაწერში მოთავსებული ტექსტის ბოლო ათი გვერდი (295r — 300v) გვიანდელი დამატებაა.

¹⁷ ყველა ეს ცნობა ამოღებულია ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობიდან, II, გვ. 85.

¹⁸ იხ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. I, თბ., 1957, გვ. 202.

¹⁹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 286—287.

²⁰ ექვთიმე I საყვარელიძე კათალიკოსობდა 1525—1550 წწ.-ში (Ad—2218).

დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე აღადგინეს ზემოთ ხსენებულმა პირებმა²¹ A 675-ის ნაკლული ბოლო ათი გვერდი. ბუნებრივ იქნებოდა, რომ ნაკლული ტექსტი ალედგინათ ყველაზე ადრეული ქართული ნუსხის, ქუთ. 10-ის მიხედვით. შედარებამ ამ ვარაუდის სისწორე დაამტკიცა: ვაიკვა, რომ ქუთ. 10-ის ტექსტი მთავრდება ზუსტად იქ, სადაც A 675-ში: წ. 15 თ. 11, 3-ზე. ყველა ის შეცდომა თუ ფონეტიკური ცვლილება, რომელიც დამკვეთულია XVI ს-ის თარგმანში ამ ათი გვერდის მანძილზე, მეორდება A 675-ში. მაგ.: უშუშუერისა; მისისა მისისა; უფროსლა (თ. 7, 5); ჩუჭუელი; რაფოლენნი (თ. 7, 6). კლეოპატრათს (თ. 7, 9). ნაზრახებდეს (უ. ი. აზრახებდეს); მიეთხრა რაფ მეფე (უ. ი. მეფესა) (თ. 7, 10). „დიდთა საძლეველთა ასწრაფებდა“ თ. 8, 1-ში ორჯერაა გამეორებული. „ვიდა“ „ხედვიდას“ ნაცულად (თ. 10, 3) და ა. შ.

A 675-ში არის ქუთ 10-ისაგან განსხვავებული შეცდომებიც. ისინი A 675-ის ამ უკანასკნელი 10 გვერდის გადამწერის მიერ დამკვეთული შეცდომა თუ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებაა. მაგ., თმატაცა (უ. ი. თმათაცა თ. 7, 5), „ალექსანდრე“ ალექსანდრას ნაცულად (თ. 7, 8); იქნულლობდეს (თ. 7, 10) და ა. შ. გადამწერი ძალიან ხშირად ხმარობს ზედმეტ ა-ს სიტყვის თავში და არამაგებს ხმოვან სიტყვის შუაში. მაგ.: აესრეთ, აესოლენ, აწებად (თ. 7, 7); მომრგულობანი, მხოლოოდ (თ. 8, 1). გარდა ამისა, A—675-ის ამ ბოლო 10 გვერდის გადამწერი რამდენიმე დიალექტურ ფორმასაც გვთავაზობს: იქ სადაც ქუთ. 10-ში არის „ამისთვს“, „შეაცთუნა“, ეს უკანასკნელი წერს: „მისთვს“, „შეაცთინა“.

როგორც ჩანს, მაშინ, როდესაც XVI ს-ის ნუსხა გადაიწერა XIII ს-ის ნუსხიდან, ეს უკანასკნელი სრული იყო. XIX ს-ში კი, როდესაც აღმოჩნდა, რომ A 675-ს ბოლო დაზიანებული აქვს, მისი შეკვება სწორედ XVI ს-ის ტექსტის მეშვეობით მოხდა.

XIX ს-ის ნუსხების, S 315—321-ისა და S 372-375-ის შესახებ კ. კეკელიძე წერს: „პირველი 15 წიგნი ფლაბიოსისა, პეტრიწის მიერ თარგმნილი, იმავე ლათინურიდან მომდინარე რუსული ტექსტის მიხედვით შეუსწორებია დავით ინანიშვილს (S 315—319) და გადაუწერია 1840 წელს აბელ ბაშბეულქოქს (S 372—374). ეს შესწორებული ტექსტი ალაგ-ალაგ შეუსწორებია დავით დიანს“²².

ჩვენ ერთმანეთს შევედარეთ A 675-ში და S 315—319-ში მოთავსებული ტექსტები. S 315—319-ის ტექსტი ზედმიწევნით არის დამოკიდებული A 675-ში მოთავსებულ ტექსტზე და, ექვს გარეშეა, რომ იქიდან არის გადაწერილი. საინტერესო სურათს გვთავაზობს S 315—319 იქ, სადაც A 675-ის ტექსტი განსხვავდება თავის ბერძნული დედნისაგან მთარგმნელისა და გადამწერის მიერ დაშვებული შეცდომების თუ მათ მიერ ტექსტის შეგნებული შემოკლებისა თუ გაჭრის (რაც საკმაოდ იშვიათია) გამო. ასეთ შემთხვევებში S 315-319 ძირითადად მხარს უჭერს A 675-ს, მაგრამ არცთუ იშვიათად S 315—319 გვთავაზობს სწორ წაკითხვას, მიყვება რა ბერძნულ დედანს²³ განსხვავებით A 675-ისაგან. მაგრამ ყველა ამგვარ შემთხვევაში, როგორც წესი, თავდაპირველი ჩვენება S 315—319-ის ტექსტისა გადამოწმებულია და გასწორებულია A 675-

²¹ იხ. გამოკლევა გვ. 10.

²² კ. კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 287, სქოლიო.

²³ ლათინურიდან შესრულებული რუსული თარგმანი, რომელიც ბელთ ქონდა დავით ინანიშვილს, არ იძლევა ბერძნული ტექსტისაგან რედაქციულ სხვაობას.

ის მიხედვით. მაგ., შესაძენდა ცოლსა, მეტყუელი, ვითარმედ გინებულ-იქმნა მის მიერ, რამეთუ მრავალგზის წოდებული მის მიერ მოსუმურობად მისთვის (წ. 2 თ. 6, 1 A 675 და ქუთ. 10). ეს ადგილი ბერძნულ დედანში, ლათინურიდან მომდინარე რუსულ თარგმანში და S 318-ში სრულად არის წარმოდგენილი: მისთვის „არა მივიდა მის თანა და ესრეთ ჰკითხვიდა მათ, რაჲსა ბრძანებენ ჰსჯულნი ქმნად უჰსა მას“. S 318-ის ეს წაკითხვა გადაშლილია დ. დადიანის მიერ, ე. ი. ტექსტი ამ ადგილას S 318-ში ამჟამად ნაკლებია ისევე, როგორც A 675-სა და ქუთ. 10-ში. ასევე: ა თ ნ ი უ უკუ საბანელი (A 675, ქუთ 10. წ. 8 თ. 3, 6) S 317-ში იყო „ხუთნი“ (ასევე A, 8_გ-სა და ლათინურში, ტ. 2, გვ. 17). ამჟამად გადაშლილია და არის ისევე, როგორც A 675-ში.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: დავით ინანიშვილს, დავით დადიანის კარის მღვდელს, უკვე ნათარგმნი 15 წიგნის გადმოწერისას A 675-იდან თუ მისგან მომდინარე რომელიმე სხვა, ჩვენამდე მოუღწეველი ხელნაწერიდან, გვერდით ედო ლათინურიდან თარგმნილი ის რუსული ტექსტი, საიდანაც მან თარგმნა უკანასკნელი ხუთი წიგნი. გადმოწერის პროცესში იგი A 675-ის ტექსტს უდარებდა რუსულ თარგმანს რა თუ რაიმე განსხვავებას დაინახავდა, ასწორებდა ტექსტს მის მიხედვით. ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ ტექსტი მთლიანად გაასწორა დავით დადიანმა. მისთვის A 675-ში მოთავსებული თარგმანი გაცილებით სანდო და ავტორიტეტული იყო (იგი დარწმუნებული იყო, რომ მთარგმნელი არის იოანე პეტრიწი), ვიდრე ლათინურიდან მომდინარე რუსული თარგმანი. ამიტომ ყველა განსხვავება, რომელიც შეინიშნა A 675-სა და S 315—319-ს შორის, მან, თავის მხრივ, კვლავ A 675-ის მიხედვით გაასწორა. აი, რას წერს დ. დადიანი მის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ: „არა უშრომელად მომიპოვეს წიგნი ესე: პირველად დედნისა მოძიებით, მეორედ გარდაწერითა, მესამედ—დედანზედ შესწორებით, მეოთხედ-რუსულზედ გასწორებით“²⁴. რუსულისამებრ თავიანდ გაწკარვე და დედანში მწერალთაგან გარყვნილი გავშართე. რაოდენ ძალმაქუნდა, ძუძუს ნათარგმანეჲს მივაჩემე, ბერძულის მკოდნეთ გამოკითხვით ესცან, რომ მათ ენაზე ძალიან ახლოას ჩუწნური, ხოლო რუსული ფრიად განსხუავება ხშირის ნაცუალსახელისა და კულაგ-მოღებთისა უძალითადმღებარის ლექსების მიერ. იქმნების ვინმე ახალი მეცნიერთაგანი დაიწუნოს ეს ენაძისებრისა მიერ აღნაქუსი, უხშირესად-რე ძალითად მღებარენი ლექსნი, მაგრამ ეს არა ენის უფიცობისა ძლით, დანაკუშებულსა უცხადეს უქმნია სოფლისათჳს სიალრე (!) ქართულთა ენათა, რომელ უმერყეოდ და შეურეგველად საბუნებოსა ენასა ზედა გარდამოუთარგმნესს ელინებრი დათხზუება და სიტყვითი-სიტყუად ატრიკოს ამას შეუწყვიეს ელინურით ქართულებრ“. დ. დადიანი²⁵.

აქ ერთსავე დავამატებთ: S 315-319-ის ტექსტი დ. დადიანის და, ალბათ, არა მარტო მის მიერ, არამედ იმ პირის მიერაც, ვინც პირველი 15 წიგნი გადმოიწერა A 675-დან²⁶, დიდი გულმოდგინებით არის შედარებული ზემოთდასახელებულ წყაროებთან და გადამწერის თითქმის ყველა შეცდომა, დაშვებული A 675-ში, S 315—319-ში შემჩნეული და გასწორებულია, თუმცა, თავის მხრივ, არც S 315—319 არის დაზღვეული ახალი შეცდომებისაგან.

²⁴ S 315—319-ის შედარებისას A 675-თან ირკვევა, რომ S 315—319 გადაწერის პროცესშივე ვერ „რუსულზედ არის შესწორებული“ და შემდეგ „დედაზედ გასწორებული“.

²⁵ S 315, გვ. IV.

²⁶ დ. დადიანი ზემოთ მოტანილი ადგილის მიხედვით თავის თავზე იღებს მთელ ჩატარებულ სამუშაოს, მაგრამ, მოსალოდნელაა, იგი გულისხმობს, რომ თვითონ ხელმძღვანელობდა ყოველივე ამას და არა იმას, რომ იყო უშუალო შემსრულებელი.

რაც შეეხება XIX ს-ის სხვა ნუსხებს: S 372—374, Q 1096 (მოიცავს 12 წიგნს), S 4015 (მოიცავს 6 წიგნს) და S 5365 (მოიცავს 2 წიგნს), ისინი მომდინარეობენ S 315—319-ის ნასწორები ვარიანტიდან: თუ S 315—319-ში ჩანს თავდაპირველი ტექსტი, რომელიც ხშირად მისდევს ბერძნულ დედანს იქ, სადაც A 675 განსხვავდება მისგან, ზემოთ ჩამოთვლილ ნუსხებში უკვე A 675-ის მიხედვით ნასწორები ტექსტი არის წარმოდგენილი.

3 თხზულების კანონური თარგმანის ბერძნული წყარო

იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანის²⁷ შედარებისას ბერძნულ დედანთან ვსარგებლობდით ამ თხზულების ერთ-ერთი უკანასკნელი და ყველაზე სრული გამოცემით, რომელიც დაიწყო თეკერეიმ, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ გააგრძელეს და დაასრულეს მარკუსმა და ფელდმანმა²⁸.

ბერძნული ტექსტი თავისი დიდი მოცულობის გამო თავდაპირველად ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი და სხვადასხვა კოდექსში დაცული²⁹.

I—X წიგნების სხვადასხვა კოდექსში დაცული ბერძნული ტექსტი ერთმანეთისაგან უმნიშვნელოდ განსხვავდება. მართალია, იქმნება კოდექსების გარკვეული დაჯგუფებები, მაგრამ ისინი არამყარია და ხშირად იწლება: სხვადასხვა ჯგუფის კოდექსთა ჩვენებები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს. ამ პირობებში გარკვევა იმისა, თუ რომელ მათგანს უფრო მეტად უპერს მხარს ქართული თარგმანი, არ ხერხდება. ერთი, რაც შეინიშნება პირველი ათი წიგნის მანძილზე, არის ის, რომ ფლავიოსი, რომელმაც ამ ნაწილში ბიბლიური ტექსტები თვითონ თარგმნა სემიტური ბიბლიიდან³⁰, საკუთარ-სახელებს ხშირად სემიტური ფორმით წარმოადგენს, თხზულების ქართველი მთარგმნელი კი ხმარობს მისთვის ტრადიციით ცნობილ ბერძნული გზით შემოსულ ფორმას. მაგ.:

ელამოს...ელამელნი (წ. I თ. 6,4) 'Ἐλαμοῦ...ἐλαμαίους (A, 1₁₄₃); Ἀλάμ (LXX)³¹.

რელმოს...რელმელნი (წ. I თ. 6,2) 'Ράμος...Ῥαμαίους (A, 1₁₃₅); Ῥεϋμά (LXX).

თორღამოს...თორღამელნი (წ. I თ. 6,1) Ῥυράμη...Ῥυραμαίους (A, 1₁₂₈) Ῥοργαμα (LXX).

რალავოს (წ. I თ. 6,5) Ῥεῖνός (A, 1₁₄₈); Ῥαϋός (LXX).

ზარასოს (წ. 2 თ. 7,4) Ἐλεσός (A, 2₁₇₈); Ζάρα (LXX).

გირსომოს (წ. 2 თ. 7,4) Γοργόμης (A, 2₁₇₈); Γηρσών (LXX).

იოახაზოს (წ. 9 თ. 8,1) Ἰωαζών (A, 9₁₈₀); Ἰωαχάς (LXX).

²⁷ ბერძნულ დედანს შეუდარეთ A 675-ის, როგორც უძველესი და ძირითადი ხელნაწერი, ტექსტი.

²⁸ Josephus, with an English translation by H. St. J. Thackeray, M. A., Ralph Marcus, PH.D., Lols Feldman. In nine volumes. Jewish Antiquities, IV—IX. London, MCMLX—MCMLXVI.

²⁹ Josephus, vol. IV, გვ. XVII.

³⁰ Josephus, vol. IV, გვ. XIII

³¹ LXX-ის ჩვენებები აძლავდება: Concordance to the Septuagint, ტ. 2, Supplement, Graz — Austria, 1954.

შავავის მაგალითები კიდევ ბევრი დაიძებნება ამ ათი წიგნის მანძილზე.

რაც შეეხება თხზულების ბერძნული ტექსტის მეორე ნახევარს (ჩვენ მხოლოდ XI—XV წიგნებს, შევხებით, რადგან ადრეულ ქართულ ნუსხებში უკანასკნელი ხუთი წიგნი—XVI—XX არ არის წარმოდგენილი), აქ თითქოს უფრო გარკვეული სურათია: როგორც გამოცემული რაღაც მარკუსის აღნიშნავს, XI—XX წიგნების მანძილზე იქმნება ასეთი დაჯგუფება: PFV და AMW. რაც შეეხება L წყაროს, იგი ხან პირველ ჯგუფს მიუღებდა, ხან მეორეს. სწორედ ამ L კოდექსში (=Codex Leidensis F 13, XI ან XII საუკ. შეიცავს ორიღვევლთა სიძველეთა XI—XV წიგნებს)²² შემავალი ბერძნული ტექსტი ჩანს დედანი ქართული თარგმანის XI—XV წიგნებისა.

იქ, სადაც ქართული თარგმანის ბერძნული დედნის ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული წაკითხვები მისდევს L კოდექსში მოთავსებულ ტექსტს თუ ამ კოდექსიდან მომდინარე სხვა რომელიღაცა ხელნაწერს, L-ს მხარეში უღგანან სხვადასხვა კოდექსები: XI წიგნში AW, PFAV, XII წიგნში —FV, XIII წიგნში—FVPW'AME, XIV-ში—F, A, EW, XV-ში—F, AME ე. ი. მუდმივო წიგრი ყველა ამ ჯგუფისა არის L და ამის გამო ევარაუდობთ, რომ ამოსავალი ქართული თარგმანისათვის სწორედ L კოდექსში შემავალი თუ მისგან მომდინარე ტექსტი უნდა ყოფილიყო. სხვა წყაროებთან შედარებით უფრო ხშირად L-ს მხარეში უღგას A (Codex bibl. Ambrosiana F 128, XI ს. იგი შეიცავს თხზულების XI—XX წიგნებს).

მოვიტანთ ზემოთქმულის დასასაბუთებელ მაგალითებს.

XI წიგნი:

„და მაჩუენებელმან ერისა ეპისტოლეთამან, მისცნა სალეოსს“ (წ. 11 თ. 5,7) „ერისა“ იკითხება L-შიც: τῶν λαῶν (A, VI, გვ. 394); ძირითად ტექსტში კი ამ ადგილას არის τῶν Θείων (A, 11₁₈₈) (=ლმრთისა).

„იუტეს... შეკრენი ას და ათორმეტნი“ (წ. 11 თ. 3, 10), ასევე ასთორმეტნი არის LA-ში: δεκαῖς (A, VI, გვ. 346). ძირითად ტექსტში კი არის 110: δὲ ἑκατὸν ἑξάς (A 11₇₀).

„აღღებების მათდა კუალად...“ (წ. 11 თ. 1,3); ძირითად ტექსტში „კუალად“-ის ადგილას არის „ქალაქი“: πόλις (A, 11₉), ხოლო LAW-ში კი ისევე, როგორც თარგმანში: πόλιν (A, VI, გვ. 318).

წ. 11 თ. 1,3-ში თარგმანში, ისევე როგორც PFLAV-ში, გამოტოვებულია ძირითადი ტექსტის: εἰς τῆς Ἰβῆαν ἀπελθούσιν πατριῶν (A, 11₁₂)=საკუთარი საშობლოს დატოვება.

წ. 11 თ. 3,5-ში თარგმანისა არის: „აღვირჩეთ და მოვითმენთ“ ისევე, როგორც LA-ში: ἀφίστημι καὶ ἀπερισημι (A, VI, გვ. 338). დედნის ძირითად ტექსტში კი არის მხოლოდ „მოვითმენთ“: ἀπερισημι (A, 11₅₂) და სხვ. მრ.

XII წიგნი:

„რისხვად აღძრა მეფე პტოლემეოს შემოქმედლი, რომელი იყო მამამ მართლის მოყუარისა“ (წ. 12 თ. 4, 1).

ასევე PLAW-ში: τὸν Ἐβεργέτην δὲ τῶν πατέρων (A, VII, გვ. 82). ძირითად ტექსტში კი თხრობა წყდება Πτολεμαῖον-ზე (A, 12₁₈₈). (შემოქმედი... მართლისმოყუარისა“ აკლია).

„აჭრისონ ბუნ“ (A, 12₁₈₈) = ველური ვირი. ქართულ თარგმანსა (წ. 12

²² Josephus, Ἦ. VI, გვ. VII.

თ. 3,4) და FLV-ში (A, VII, გვ. 74) ეს ადგილი წარმოდგენილია „ვირის“ გარე-
შე, მხოლოდ „ველურით“.

მ ა ა ფ ი ქალაქის სახელწოდება (წ. 12 თ. 8,3) ძირითად ტექსტში იკით-
ხება როგორც *Μελλή* (A, 12₃₄₀), FLV-ში კი: *Μερόφην* (A, VII, გვ. 176).

„მიმყვანებელი... მკედართა ა თ ა ს თ ა მ“ (წ. 12 თ. 4,5), ძირითად
ტექსტში არის ორი ათასი: *δισχιλίους* (A, 12₃₈₀); FLV-ში კი-ათასი: *χιλίους*
(A, VII, გვ. 94).

XIII წ ი გ ნ ი:

„კედასა ქ ა ლ ა ქ ა დ“ (წ. 13 თ. 5,6) ძირითად ტექსტში „ქალაქად“ არ
არის: *Κέθασαν* (A, 13₃₄), PFLV-ში კი არის: *εις Κέθασαν πολιν* (A, VII,
გვ. 300).

„ხოლო ბონებით კეთილად მყოფი და მართალი და უ ც ხ ო თ ა ს ა რა
გულისმთქუმელი (წ. 13 თ. 4,7). LAMWE Lat.-ში არის ასევე: *ἀλλοτρῶν* (A,
VII, გვ. 280). ძირითად ტექსტში კი ამ ადგილას არის—დიდების, ბრწყინვლე-
ბის—*τῶν λαμπρῶν* (A, 13₁₁₄).

„ლ ა ლ ი ო ნ ე ლ თ ა დედოფლისა“ (წ. 13 თ. 13, 4). ძირითად ტექსტ-
ში იკითხება: *Σαμῦθων βασιλισσῆ* (A, 13₃₇₁) (არაბული ტომია); *Γαλιθῶν LW*,
Γαλιθῶν AME (A, VII, გვ. 410).

უბრძანა ... ალექსანდროს ... ლტოლვა, უ კ უ ე თ უ ძ ლ ე ვ ა ა ო ქ-
მ ნ ე ს (წ. 13 თ. 13, 1). ასევე არის LAMWE-სა და Lat.-ში: *εἰς τὴν φυγὴν ῥέυσαι*
(A, VII, გვ. 400). ძირითად ტექსტში კი ამის ნაცვლად არის „უბრძანა ლტოლ-
ვა ფინიკიად:“ *εις Φοινίκην* (A, 13₃₅₀).

XIV წ ი გ ნ ი:

„ბტოლემოს, ძ ე მ ი ს ი, დ ა თ ო ლ ო მ ე ო ს ს ო ე მ ო ა ს ი“ (წ.
14 თ. 8, 1). ძირითად ტექსტში ამ ადგილას იკითხება: *Πτολεμαῖος ὁ Σοῦμῶς*
(A, 14₁₂₉); FL-ში კი ისევეა, როგორც ქართულ თარგმანში: *ὁ σὺνδ ἄντῆν καὶ*
Θολομαῖος ὁ Σοῦμῶς (A, VII, გვ. 516).

„ქ ე ფ ა ლ ლ ო ო ნ, ძმა ანტიპატროსი (წ. 14 თ. 2,3). *καὶ Φαλλῖων*
(A, 14₃₃). *Κεφαλλῶν LA*, *Κεφαλλῶν A'WE* (A, VII, გვ. 464).

ვ ა რ ვ ა თ ა (წ. 14 თ. 1,4) *Ἄρξινθξ* (A, 14₁₉) *Βαρξινθξ L* (A, VII,
გვ. 458).

მე-14 წიგნის სარჩევის 31-ე, 32-ე, 35-ე, 37-ე პუნქტები საკმაოდ დიდ გან-
სხვავებას გვიჩვენებენ ბერძნული დედნის ძირითადი ტექსტის სარჩევისაგან და
სიტყვა-სიტყვით მისდევენ პირველ ორ შემთხვევაში FL-ს, ხოლო დანარჩენ
ორში — L-ს (A, VII, გვ. 726, გვ. 728, გვ. 730).

XV წ ი გ ნ ი:

მე-15 წიგნის ბერძნული დედნის ძირითადი ტექსტის სარჩევში არ არის
თარგმანის სარჩევის მე-4 — 5 — 11 — 14 — 15 — 18 — 19-ე პუნქტები. ყველა ეს
პუნქტი წარმოდგენილია L-ის სარჩევში (A, VIII, გვ. 540—542—544).

ქართული თარგმანისა და FL-ის სარჩევის მე-12 პუნქტი (A, VIII, გვ. 542)
ბერძნული ძირითადი ტექსტის სარჩევში სამი პუნქტის სახით არის წარმოდ-
გენილი.

თარგმანისა და L-ის სარჩევთა მე-7 პუნქტა ერთმანეთს მისდევს და ძალიან
განსხვავდება ბერძნული ძირითადი ტექსტის სარჩევის შესატყვისი პუნქტისა-
გან (A, VIII, გვ. 540).

„პაპპი“ (წ. 15 თ. 7,4) ძირითად ტექსტში წარმოდგენილია განსხვავებუ-
ლად: *τε πατέρα* (A, 15₂₂₂), LE-ში კი ასევე: *πάππον* (A, VIII, გვ. 106).

...კაპიდოოსს მიუწერეს (წ. 15 თ. 6.7) Κνήρα; Δίμιας (A, 15₁₉₅). 'Καπίσιος LAME (A, VIII, გვ. 92).

კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება XI—XV წიგნებიდან, რომლებიც გაამაგრებენ ჩვენს მოსაზრებას, მაგრამ, ვფიქრობთ, მოტანილიც საკმარისია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, L კოდექსში შედის „იუდეველთა სიძველეთა“ მხოლოდ XI—XV წიგნები. ეს გარემოება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა. საქმე იმაშია, რომ უძველესი ქართული ნუსხები — A 675 და ქუთ. 10 შეიცავენ თხზულების მხოლოდ 15 წიგნს. აქამდე გაურკვეველი იყო ბოლო ხუთი წიგნის საკითხი: არ ყოფილა ისინი ქართულ ენაზე თარგმნილი თუ ხელნაწერის დაზიანების გამო დაიკარგა. ამჟამად, ვფიქრობთ, ნათელი მოეფინა ამ გაურკვეველ სფეროს: თუ წყარო თარგმანის XI—XV წიგნებისა არის L კოდექსში შემაჯავლი ტექსტი, რომელიც მხოლოდ XI—XV წიგნებს მოიცავს, სავარაუდოა, რომ დანარჩენი XVI—XX წიგნები ქართულ ენაზე არც ყოფილა თარგმნილი.

III. თარგმანის ენის საკითხები¹

ორთობრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი²

ა-ს ხმარება

იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ უძველეს ქართულ ნუსხაში, A 675-ში ა, როგორც წესი, იხმარება იქ, სადაც იგი საჭიროა ძველი ქართული ენის ნორმებით. მოვიყვანთ მაგალითებს, სადაც ა იხმარება ამ ნორმათა დარღვევით:

1. ა-ის ნაცვლად ი

„უმარცვლო ი-ს ძველ ქართულში თავისი ნიშანი ჰქონდა, რომელიც მოდიოდა დიფთონგის მეორე ნაწილად, მარცვლის ბოლოს“³. ა-ს სრულ ხმოვნად ქცევა დამავალ დიფთონგთა მოშლის ერთ-ერთი გზაა:

„ხოლო დაჲ არსინო... მოაკუდინა“ (წ. 15, თ. 4,1). „რომელნი აწდა გამოსრულ იყვნეს მასადაით“ (წ. 14, თ. 15,4). „... მომკუთეული გარემოსისა ნიეთისა...“ (წ. 14, თ. 15,4).

2. აა გრაფემათა ჯგუფი ა ხმოვანს გამოხატავს

ამგვარ შემთხვევებში ა ზედმეტად იხმარება იმის გამო, რომ ცოცხალ მეტყველებაში მისი შემცველი დამავალი დიფთონგები მოშლილია, გრაფიკაში კი ა გრაფემა დარჩენილია. ამიტომ ბევრი ვადაშწერი ისეთ დამავალ დიფთონგში ხმარობს ა-ს, რომელშიც იგი თავის დროზე არც ყოფილა⁴. „ეფუცა...ჰ არცა სხვსა მიმართ ვანდებად მისნობაჲსა მისისა“ (წ. 6, თ. 14,2); „... იძულე-ბაჲსა სულთ-ითქუმიდა“ (წ. 6, თ. 14,2). „ალაშენნა... ლაზაჲრაჲ“ (წ. 8, თ. 6,1).

V—C პოზიციაში (აძღლა) ა სპორადულად გამოვლინდება და ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მონაცემთა მიხედვით ეს გარემოცვა ა-სათვის დამახასიათებლად ვერ მიიჩნევა⁵. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში რამდენჯერმე გვხვდება ა ამგვარ პოზიციაში: „ამათ თქუმაღ ფ-

¹ ენობრივი მოვლენები განხილულია იმ თანმიმდევრობით, რომლითაც ისინი ჩვენი ყურადღების არეში მოხვდნენ თარგმანთან დაკავშირებული ამა თუ იმ საკითხის კვლევისას. სქოლიოს ნუმერაციას ყოველ მათგანთან ვიწყებთ თავიდან.

² ვითვალისწინებთ A 675-ის ჩვენებებს. XVI ს-ის ნუსხა ქუთ. 10 A 675-ისაგან განსხვავდება მხოლოდ ა-ს ზედმეტი ხმარებით სიტყვის შუაში და ბოლოში. XIX ს-ის ნუსხათა ორთოგრაფიულ-ფონეტიკური შესწავლა კი ჩვენი ინტერესის სფეროში არ არის.

³ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 20.

⁴ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975, გვ. 39.

⁵ ზ. სარჯველაძე, დასაბ. ნაშრ., გვ. 36.

ცით აძლებდა წინაწარმეტყველს ილის“ (წ. 5, თ. 10,4). „... აძულა...“ (წ. 10, სძიებ. № 7).

3. მ-ს ხ მ ა რ ე ბ ა

XIII ს-ის ნუსხის, A 675-ის პირველ ნახეარში (წ. 1, თ. 1,1-დან—წ. 6, თ. 6,12-ის ჩათვლით, ხელნაწერში 1—398 გვერდები) უმ გრაფემათა კომპლექსი სისტემატურად იხმარება უ-ს ნაცვლად. ე. ი. მ-ს აქვს ე-ს ფუნქცია. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ტექსტის ეს ორი ნაწილი სხვადასხვა გადამწერის ხელიდან არის გამოსული, რადგან ენობრივი ნიშნებით ეს ორი ნაწილი სხვადასხვა მთარგმნელს არ შეიძლება მივაკუთვნოთ⁶. ერთადერთი მაგალითი დასტურდება იმისა, რომ უმ კომპლექსში მ-ს აქვს ე-ს გაგება: ქუშთთაა (წ. 6, თ. 6,1). ეგვევ სიტყვა სხვაგან (წ. 8, თ. 12,1) ასე არის დაწერილი: „ქუშთითა: ე. ი. ი-ს ჩამმატებლისათვის ს ნიშნავდა ე-ს.

მ გრაფემის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი თვლის, რომ ძველ ქართულში მ გრაფემა ეა დიფთონგის გარდა ე და ი ბგერებსაც აღნიშნავდა⁷. კიდევ სხვა ბევრი ვარაუდი არსებობს. ზ. სარჯველაძის აზრით, მ-ს თავდაპირველი ფუნქცია იყო ეა დიფთონგის გამოხატვა და იქ, სადაც მას სხვა ფუნქცია ეკისრება, ხდება უბრალოდ მ-ს თავდაპირველი დანიშნულების მივიწყება, რაც X ს-დან სისტემატურად აისახა ძეგლებში⁸.

4. ჯ-ს ხ მ ა რ ე ბ ა

თარგმანში ჯ ძირითადად თავისი დანიშნულებით იხმარება, გადმოსცემს უი ჯგუფს. მაგრამ არის გადახვევებიც ამ წესიდან. ყველაზე ხშირად ამგვარი გადახვევები მოდის იმ შემთხვევებზე, როდესაც:

1. ჯ გამოხატავს უ-ს (უმარცვლოს, ან მარცვლოვანს): მოკვდეს (წ. 1, თ. 9,1); მოკვდა (წ. 1, თ. 6,5); მოაკვინოს (წ. 1, თ. 8,1); საკუთრისა (წ. 1, თ. 7,1); შენიერებისა (წ. 1, თ. 11,3); ითქემის (წ. 1, თ. 12,1); წინადაცქმთასა (წ. 1, თ. 12,2).

ზოგჯერ ხდება საპირისპიროც: უ ტვირთულობს ჯ-ს ფუნქციას და გადმოგვცემს ვი ჯგუფს. გვერდი-გვერდ იხმარება პარალელური ფორმები: მკვლრი||მკულრი (წ. 4, თ. 5,3).

2) ჯ ბერძნული ყ-ს შესატყვისია: მოჟსი, სამჟლოს... ამგვარ შემთხვევებზე ჩვენ დაწვრილებით ვმსჯელობთ საკუთარ სახელებთან დაკავშირებით.

3) ჯ ო-ს ნაცვლად იხმარება: იეროსულუმა (წ. 14, სძიებ. № 1), ჯ-ს ო-ს ფუნქციით ხმარება ძეგლისათვის დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება, რადგან ეს სიტყვა ძირითადად „იეროსოლუმა“ ფორმით დასტურდება.

ფ ო ნ ე ტ ი კ უ რ ი პ რ ო ც ე ს ე ბ ი

A 675-ში არსებულ ტექსტში მეტათეზისი არ არის გავრცელებული მოვლენა. არის ძირითადად მარტივი მეტათეზისის შემთხვევები: „ბოროტად მწოდებული მისი ქრმისა მიძართ“ წ. 15, თ. 7,5. „ესენი... აღქურვილნი და მშუღლთა შთამომეიდებელნი...“ (წ. 8, თ. 7,5).

⁶ ტექსტის ეს ორი ნაწილი კიდევ ერთი ორთოგრაფიული ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან: პირველ ნაწილში იწერება ვავკლონი, მეორეში — ეავკლონი.

⁷ თ. ყ ა უ ხ ი ი შ ე ი ლ ი, მასალები მ-ს ისტორიისათვის, თბ., 1944, ხელნაწ. გვ. 417, 420.

⁸ ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29—35.

⁹ ფონეტიკური პროცესები საკუთარ სახელებში განხილული გვაქვს საკუთარი სახელებისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში.

ბ გ ე რ ა თ ა კ ა რ გ ვ ა

ბგერათა კარგვის ძირითადი შემთხვევები თანხმონებზე მოდის. რ: წარსულმან ნავითა... (წ. 9, თ. 14,2). მსგავს კომპლექსებში რ-ს დაკარგვა აიხსნება იმით, რომ მას აქ არავითარი დისტინქტური ღირებულება არ გააჩნია¹⁰.

ღ: „განფენილ არს სრულიად ვიდრე ფერქთამდე და კოქთადმდე (წ. 3, თ. 7,2).

როგორც ვხედავთ, ერთ წინადადებაში ორ მსგავს პოზიციაში დონი ერთგან დაკარგულია, მეორეგან — შენარჩუნებული. ვით. ბრ-ის დონი ამ პერიოდის ცოცხალ მეტყველებაში უკვე თითქმის აღარ იხმარებოდა და წერილობით ძეგლებში ხან აისახებოდა, ხან — არა.

ვ: „გონებასა შინა მქონებელნი დაქვაებად მოქსის...“ (წ. 3, თ. 14,3). ამ შემთხვევაში ვ, ალბათ, დისიმილაციით არის დაკარგული (წინა ვინის გავლენით).

ლ: ელტ>ეტ. თარგმანში ხშირია ლ-ს დაკარგვა ლტოლვა ძირში, თუმცა სრული ძირიც არანაკლები სიხშირით იხმარება: ლტოვად წ. 2თ.16,1; ლტოვასა წ. 8, თ. 1,5; ლტოვისასა წ. 1, თ. 15,4.

ბ გ ე რ ა თ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა

მ. მანის განვითარება ბაგისმიერი თანხმონების წინ ჩვეულებრივი მოკლენაა¹¹: დამბრმალ იქმნა სახედველითა“ (წ. 12, თ. 2,14); „ლომზნი, წარსრულნი შინაგან, უბრძანებდენ სოფელსა“ (წ. 9, თ. 11,3); (შდრ.: ლომთაჲ წ. 9, თ. 11,3).

ხშირია A 675-ში მანის განვითარება სიტყვის თავში და შემდეგ მისი გადასვლა ნაწარმოებ ფორმებში. ზ. სარჯველაძის აზრით, ეს „იქნებ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ თანხმოვანთა წინა პოზიციაში მ ანლაუტში დისტინქტურ ფუნქციას მოკლებულია“¹².

ხელნაწერში დადასტურებულ მაგალითებში მანი სიტყვის თავში განვითარებულია ზოგჯერ ბაგისმიერი ბგერების წინ, ზოგჯერ კი გვექმნება შთაბეჭდილება, რომ ეს არის მოქმედებითი გვარის მიმღეობის მ მაწარმოებელი, რომელაც შენარჩუნებულია ისეთ ფორმაში, სადაც მას ფუნქცია არა აქვს. მაგ.: მმოთმენად (წ. 3, თ. 7,5); მმქედრობთა (წ. 3, თ. 11,4); უმბრძოლოთ (წ. 4, თ. 8,41); უმბრძოლოდ-ყოფასა (წ. 5, თ. 2,5); მპატივეცემული (წ. 3, თ. 1,7); მენებული (წ. 10, თ. 7,3); მენებულნი (წ. 14, თ. 15,3); გულისკმას-მყოფად (წ. 3, თ. 2,3); წინააღმდგომასა (წ. 12, თ. 10,3); წინააღმდგომილი (წ. 13, თ. 11,1); (უკანასკნელ სამ მაგალითში მ, შესაძლებელია, ასიმილაციით არის გაჩენილი). ცხობრებაჲ უმშოებოჲ (წ. 14, თ. 1,1).

ნ. ნ ხშირად ასიმილაციით ვითარდება: ალექსანდრე (წ. 11, სპიებ. № 8); უმრავლენსნი (წ. 1, თ. 21,1).

რ. -ქშ ძირში რ-ს განვითარებით ხდება „აქცესიური კომპლექსის სუბე-რაცია“¹³, „სამშენველთა დაქრშულობასა“ (წ. 2, თ. 14,5).

რაც შეეხება „გორნიერქმნილობასა“ (წ. 2, თ. 14,4) ფორმას, აქ რ მეორე რ-ს მექანიკური გავლენით უნდა იყოს გაჩენილი.

10 ჯ. ფოგტი, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1961, გვ. 34—36.

11 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 104.

12 იქვე, გვ. 104.

13 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

ვ. ძალიან ხშირია ზედმეტი ვინი „ლტოლვა“ ფორმაში: სალტოლველად (წ. 2, თ. 16,2); მივლტოლვილი, განველტვო (წ. 14, თ. 15,13). განვლტოლვილი იყო (წ. 1, თ. 19,9). ეს კონტამინირებული ფორმაა: ვლტოლა (ამოსავალი) + ლტოლვა (მეტათეზისიანი) > ვლტოლვა.

ასიმილაციით ჩანს ვინი განვითარებული „საკმილებვრე“ (წ. 4, თ. 3,4) ფორმაში.

კონტამინირებული ფორმა იყუენეს: იყუენეს + იყენეს > იყუენეს: იყუენეს (წ. 7, თ. 14,2). „ღემენტიოს, სიტყუალოფნიერად მყოფმან“ (წ. 13, თ. 12,3).

სიტუვატყარმოება

იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანის დამოკიდებულება ბერძნულ დედანზე განსაკუთრებით ვლინდება ბერძნული რთული სიტყვების გადმოღებისას.

ჩვენ შევეცადეთ მიმოგვეხილა თარგმანში წარმოდგენილი წარმოქმნილი სახელები და გვეჩვენებინა, თუ რა საშუალებებს მიმართავს მთარგმნელი სიტყვათწარმოებისას.

1. კომპოზიციის. სპეციალურ ლიტერატურაში ძველ ქართულ ენაში არსებულ კომპოზიტებს ორ დიდ ჯგუფად ყოფენ: 1. კომპოზიტები, რომელთა ორივე წევრი სახელით არის გამოხატული და 2. კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ზმნაა. გარდა ამ ორი ჯგუფისა დ. მელიქიშვილი გამოყოფს კომპოზიტთა მესამე ჯგუფს — „უფორმო სიტყვებიან კომპოზიტებს“: „კომპოზიტების ერთ მეტად დამახასიათებელ ტიპს და საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს ძველ ქართულში ქმნიან ზმნისართების, წინდებულებისა და ნაწილაკების მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტები (ფართო გაგებით)“¹.

1. სახელიანი კომპოზიტები. ამ ჯგუფში შედიან ბერძნული რთული სიტყვების ორივე შემადგენელი ნაწილის ცალ-ცალკე თარგმნით მიღებული კომპოზიტები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი აუცილებლად სახელია, ხოლო მეორე — მეტყველების რომელიმე სხვა ნაწილი. ამავე ჯგუფში განვიხილავთ იმ კომპოზიტებსაც, რომელთა მეორე შემადგენელ ნაწილი აბსტრაქტული სახელებია (-ება, -ობა სუფიქსებითა და სი— პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები). რაც შეეხება კომპოზიტებს, რომელთა მეორე ნაწილი მიმღებებია (სასუბიექტო ან საობიექტო), მათ ჩვენ შევვებებით ქვემოთ, მიმღებობათა განხილვისას.

ა) კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი აბსტრაქტული სახელია. ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან -ობა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელები, მრავლად დასტურდება -ება სუფიქსიანი წარმოებაც. ხოლო სი— პრეფიქს-სუფიქსით სულ რამდენიმე სახელია ნაწარმოები:

კეთილბედნიერობა² (წ. 2, თ. 6,1; 8,2) || კეთილბედნიერება (წ. 2, თ. 7,1), ჯ ესბამონია (A, 2₉₄, 2₁₉₈, 2₁₉₈)³. კეთილგონებაობა (წ. 1, თ. 18,2; 19,9), ესონია (A, 1₂₅₉, 1₃₁₄); კეთილშეილიერობა (წ. 1 თ. 19,7), ჯ ეს-τεხლ (A, 1₃₀₅);

¹ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბილისი, 1975, გვ. 140.

² ყველა ქართული მაგალითი და მათი ბერძნული შესატყვისი კონტექსტის გარეშე მოგვყავს ფუძის სახით ან სახელობითი ბრუნვის ფორმით.

³ ბერძნული მაგალითები დამოწმებული გვაქვს შემდეგი გამოცემის მიხედვით: Joseph-

კეთილდონიერობა (წ. 3, თ. 1,4), ἡ εὐ-πορία (A, 3₁₈); კეთილსიკუდილობა (წ. 6 თ. 1,1), ἡ εὐφρανέας (A, 6₃); კეთილსასობა⁴ (წ. 8, თ. 11,2), ἡ εὐ-ελεος (A, 8₂₇₈); კეთილმოწყობა (წ. 2, თ. 6,9; 7,3), ἡ εὐ-μενής (A, 2₁₈₁), ἡ εὐνοια (A, 2₁₇₃) და სხვ. მრ.

როგორც ვხედავთ, ყველა შესატყვისი ბერძნული ფორმის პირველი ნაწილი არის εὐ-, რაც ნიშნავს „კარგს, კეთილს“. უხვად არის ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა პირველი ნაწილი არის „მრავალი“ და რომელთა შესატყვისი ბერძნული რთული სიტყვის შემადგენლობაში შედის πῶς: მრავალსახეობა (წ. 8, თ. 6,5), ἡ πῶς-τέχνη; მრავალველობა (წ. 1, თ. 10,1; წ. 2, თ. 15,3), ἡ πῶς-χειρία (A, 1₁₇₈, 2₂₂₄); მრავალჭობა (წ. 1, თ. 4,3), ἡ πῶς-φοσῖα (A, 1₁₁₇) და ა. შ.

„ერთს“ რთულ სიტყვებში ბერძნულში შეესატყვისება სუფიქსი ერთელობა (წ. 12, თ. 2,4), ἡ σὺμφωνία (A, 12₃₉); ნიშნავს: „თანმიმდევრობას, სიმწყობარეს“. ერთეობა (წ. 1, თ. 1,4; 9,3), ἡ ἑμ-φωσῖα (A, 1₄₁₁, 1₁₁₈) = ერთ ენაზე ლაპარაკი; სხუენაობა (წ. 1, თ. 5,1), ἡ ἀλλογλωσσία (A, 1₁₂₀); სხუეჭობა (წ. 1, თ. 4,3), ἡ ἀλλοφωσῖα (A, 1₁₁₈). ორივეს აქვს „სხუდასხუა ენაზე ლაპარაკის“ მნიშვნელობა. ნაცვალმბროლობა (წ. 3 თ. 14,4), ἡ σὺμ-πρὸς-μῦθος (A, 3₂₀₈) = დახმარების აღმოჩენა; ღირსმბროლობა (წ. 3, სარჩევი № 9), ἡ δέξι-μαχος (A, IV, გვ. 646) = წინააღდეგობის გაწევა; რჩეულთმპყრობელობა (წ. 6, თ. 3,3) || რჩეულთგანგებულება (წ. 4, თ. 8,17), ἡ ἀριστο-κρῆσις (A, 6₃₈, 4₂₂) = საუკეთესოთა ძალაუფლება; ეტლითმპყრობელობა (წ. 6, თ. 3,5), ἡ ἀρματηγῆσις (A, 6₄₀).

ასეთივე კალკირებული კომპოზიტებია: სჯულკეთილობა, მკნეკეთილობა, ყრამკეთილობა, ძნელბელობა, დასაბამსიტყუაობა, პაჩეუეულება და სხვა მრავალი.

სი— პრეფიქს-სუფიქსის მეშვეობით სულ ორიოდ აბსტრაქტული სახელი არის ნაწარმოები: გულსიქველუ (წ. 12, თ. 9,4), ἡ εὐ-χῆρσις (A, 12₃₇₃) = სიმაბაცე; კეთილსიმშველ (წ. 2, თ. 6,9), ἡ εὐ-φωσῖσιν (A, 2₁₆₆) = კეთილგანწყობა.

ბ) ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი + ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი: მღვდელქადაგი (წ. 12, თ. 2,12), ἡ ἱερό-κλήσις (A, 12₉₇) = მაცნე მღვდელი; მღვდელმონა (წ. 11 თ. 5,1), ἡ ἱερό-მოსῖσις (A, 11₁₂₈) = ტაძრის საკუთრებაში მყოფი მონა; ადგილსამთავრო (წ. 8, თ. 11,3), ἡ τοπαρχία (A, 8₂₈₄); წესმთავარი (წ. 7, თ. 14,8), ἡ τῆξι-αρχი (A, 7₃₈₈); წიგნისამცველი (წ. 12, თ. 2,1) ἡ βιβλιο-φύλαქ (A, 12₁₃); გულსისიტყუა (წ. 2, თ. 3,4), ἡ λῶσι-σῖσις = განსჯის უნარი; მხარულმთავარი (წ. 2, თ. 4,1), ἡ ἀρχი-μάχῖσις (A, IV, გვ. 185); ქვლოვანმთავარი (წ. 3, თ. 6,1), ἡ ἀρχი-τέκτων (A, 3₁₀₄) = მშენებელთა უფროსი.

როგორც დავინახეთ, კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი — არსებითი სახელი-წარმოდგენილია ფუძის სახით ან დგას ნათ. ბრ.-ში. ყველა მოყვანილი მაგალითი შესაბამისი ბერძნული ფორმის კალკია.

გ) ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი + ხ ე დ ს ა რ თ ა ე ი ს ა ხ ე ლ ი: სულკეთილი (წ. 2, თ. 2,1), ἡ εὐ-ψυხი (A, 2₇); სიტყუალირსი (წ. 4, თ. 3,2), ἡ δῖσι-λογῖστας (A, 4₄₀) = ერთგული, პატივსაცემი; კირმკნე (წ. 5, თ. 1,29), ἡ εὐ-ψυხი (A, 5₁₁₈);

⁴ *h. u. s. Jewish Antiquities, with an English translation by H. St. J. Thackeray, M. A. and Ralph Marcus. P. D. London, MCMLXI—MCMLXIII, volumes IV—V—VI—VII—VIII.*

⁴ აბსტრაქტულ სახელებთან ერთად განვიხილეთ ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა მეორე ნაწილი არის ება-ზე დასრულებული მასაღარა.

მღვლელები (წ. 11, თ. 8,5) [ερο-περηγς (A, 11₃₂₈) = სამღვლელო მიზნებისათვის შესაფერისი.

ღ) ზედსართავი სახელი + არსებითი სახელი: სუეტნი მარტოქევანი აღმართა... (წ. 13, თ. 6,6)... σύλου; μονοι; μους (A, 13₂₁₁) = ერთი ქვისგან გამოთლილი; სწორმოქალაქე (წ. 12, თ. 1,1), ἰσοπολιτης (A, 12₉) = თანაბარი მოქალაქობის უფლებების მქონე; სწორწყობილი (წ. 8, თ. 5,2), ἰσο-μετρια (A, 8₁₃₃); ძვირისაქვე (წ. 8, თ. 11,2) ἡ ἡσο-χέρεια (A, 8₂₇₈); კეთილსენი (წ. 6, თ. 14,4), εὐψυχος (A 6₃₄₇); კეთილსახე (წ. 7, თ. 14,3), εὐεῖδης (A, 7₃₄₃); ჰევანზრახვა (წ. 6, თ. 3,5), ἡ καχοβουλια (A, 6₆₂); ცრუწინაწარმეტყველი (წ. 8, თ. 9,1), ὁ ψευδοπροφήτης (A, 8₂₄₂).

ე) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი: ...წელთა კეთილმღვინი... (წ. 2, თ. 5,6) ...εὐδαιμονήσαντα (A, 2₉₅); ძნელსათო (წ. 3, თ. 1,5), ὁσο-ἰρεστος (A, 3₂₃) = უმყოფილო; დიდკადნიერი (წ. 6, თ. 14,4), ὁ μεγαλόστομος (A, 6₃₄₇) = უსაზღვროდ მამაცი; დიდგონიერი (წ. 2, თ. 6,8), μεγαλόφρων (A, 2₁₄₁).

ვ) რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი: ...მამაკენო ერთკრებანო... (წ. 14, თ. 9,4), ἄδρες σύνεθροι (A, 14₁₇) = თათბირის, კრების მონაწილე; ერთმონათესვე (წ. 8, თ. 7,5), ὁ ἄμ-νομος (A, 8₁₉₁) = ერთი სჯულის წარმომადგენლები; პირველშობილი (წ. 2, თ. 8,1), ὁ πρῶτος (A, 2₁₉₈) = წინპარი; ნახევარეიერი (წ. 12, თ. 3,4), ἡ ἡμί-στος (A, 12₁₄₈) = ჭორი; ოთხკედელი (წ. 1, თ. 3,2) τετρα-στυχος (A, 1₇₇) = ოთხსართულიანი; ორწილი (წ. 2, თ. 6,5), διπλο-σῆμα (A, 2₁₁₈) = გაორმაგებული; სამგზა (წ. 6, თ. 1,2), ἡ τρι-σθια (A, 6₁₁), სამი გზის გასაყარი; მრავალუასი (წ. 8, თ. 6,5), πολυ-ελης (A, 8₁₈₇), მრავალმონე (წ. 10, თ. 8,3), ἡ ποικιλια (A, 10₁₄₂) = მრავალფეროვანი. მრავალსახეობის, მრავალსახე, მრავალფერი, ერთგანზრახვა, ერთტრაპეზი ...წუთერთი (წ. 2, თ. 4,4), περισσάριον (A, 2₅₁) = ხანმოკლე (ამ მაგალითში რიცხვითი სახელი მეორე ადგილზე და კომპოზიტის შინაარსის გადმოცემული კალკირების ნაცვლად).

ზ) სახელი + მასდარი: ძნელსაგონებელ-ყოფა (წ. 1, თ. 19,9), ἡ ὁσο-ελε-სῆμα (A, 13₂₁) = უიმედობა; დამაგებელ-ყოფა (წ. 1, თ. 2,1) = შერიგება; სმენილ-ქნა (წ. 6, თ. 4,3), ἀκούω (A, 6₉); კეთილ-თნევა (წ. 13, თ. 13,4), εὐ-δοκίμημα (A, 13₃₈) = კარგ ადამიანად მიჩნევა; „გონიერებისათვის ჯელ-ყოფათა“ მსა განკარგებული (წ. 2, თ. 10,2)... τῶν ἐγγε-ρησῶν (A, 2₂₅₂) = საქმე, ნამოქმედარი; ანუ-ყოფა (წ. 4, თ. 8,16) = ხენა; უჩინო-ქნა (წ. 2, თ. 3,4), ἀφανη-γεγονέναι (A, 2₉₈) = მოსობა; ჯურთით-ცემა (წ. 14, თ. 10,6), πυσμῆ (A, 14₂₁₀) = მუშტებით ბრძოლა.

ამ სახის კომპოზიტებში კალკირებას ნაკლებად აქვს ადგილი. ხშირად შესატყვის ბერძნულ ფორმაში „ქმნა“ და „ყოფა“ არ ფიგურირებს.

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, კალკირების გზით მიღებული კომპოზიტების დიდი ნაწილი არ არის დამკვიდრებული ქართულ ენაში. ეს იმის გამო მოხდა, რომ ქართულ ლექსიკაში არის მათი შემცველი ენისათვის ორგანული სიტყვები. ამ კალკირებული ფორმების ხმარება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს ძალიან ხშირად ბერძნული დედნის გარეშე ინელად გასაგებებს ხდის.

2. კ ო მ პ ო ზ ი ტ ი + მ ნ ე ბ ი. ასეთი სახის კომპოზიტები გავრცელებულია ძველ ქართულში. არც ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანისათვის არიან ისინი უცხონი. ამგვარი კომპოზიტის პირველი წევრი არის სახელი (არ-

სებით, ზედსართავი, რიცხვითი), ხოლო მეორე — ზმნის პირიანი ფორმა: სიტყვა-უკვებდეს (წ. 2, თ. 6,3), *ἀπελοιοῦντο* (A, 2₁₀₀); დადებულ-იქმნეს (წ. 2, თ. 2,4), *ὄναεθεαυ* (A, 2₁₇); ქელთ-უღდა (წ. 2, თ. 4,1), *ἐγγυειρῖζει* (A, 2₃₉); ერთგანზრახვა-ვიყენეთ (წ. 3, თ. 14,1); წინააღმდეგობ-ხართ (წ. 2, თ. 6,4); „ხოლო იგინი ...ერის-შეტუელებდეს“ (წ. 13, თ. 16.1) *...ἐμμηγυήρουσ* (A, 13₄₀₈) = სახალხოდ გამოდიოდნენ. ძვრ-ვხილულობთ (წ. 2, თ. 6,3), *καχοπαθῖσμεν* (A, 2₁₀₂); ნათშემაყენებელ-იქმნა (წ. 8, თ. 6,4) *...Ἐναυπηγῆσατο* (A, 8₁₈₂).

3. უფორმო სიტყვიანი კომპოზიტები. როგორც ზემოთ აღენიშნეთ, „უფორმო სიტყვიანი კომპოზიტები“ არის კომპოზიტები ფართო გაგებით. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში გვხვდება კომპოზიტები, რომელთა პირველ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ზმნისართი ან წინდებული, ხოლო მეორე ნაწილი არის სახელი, ზმნისართი, მიმღეობა, მასდარი, ზმნის პირიანი ფორმა. მთარგმნელი არც ამგვარი კომპოზიტების წარმოებისას ლაღატობს თავის პრინციპს ბერძნული რთული სიტყვების კალკირებისა. ამიტომ სრულიად ნათლად გამოიკვეთება, თუ გარკვეულ ბერძნულ ზმნისართსა და წინდებულს რომელი ქართული ზმნისართი და წინდებული შეესატყვისება. ჩვენც ამ პრინციპით წარმოვადგენთ მასალას:

ა) წინა||წინ. ამ ზმნისართს ბერძნულ დედანში, როგორც წესი, შეესატყვისება *ἀντι-*, *ἀντ-* და *πρὸ-* წინდებულები. პირველ მათგანს აქვს „წინააღმდეგობის“ გაგება, მეორეს — „წინმდებარეობის, ნაადრევობის“ მნიშვნელობა: წინააღმდეგა (წ. 2, თ. 4,4), *ἀντέταξε* (A, 2₅₀); წინაგანწყობი (წ. 1, თ. 20,2), *δ ἀντι-τάτεις* (A, 1₁₃₀) = მოწინააღმდეგე; წინმდგომი (წ. 5, თ. 1,1); *προεστειάδας* (A, 5₂) = მეთაური; წინა-იპყრობდეს (წ. 2, თ. 11,2), *προκατελάμψανον* (A, 2₅₈) = ადრე ჩაივდეს ხელში; წინაგანკება (წ. 1, თ. 22,1), *ἡ πρῶτοια* (A, 1₃₄) = ზრუნვა; წინსიტყუაობა (წ. 6, თ. 12,5), *ἀντι-λέγω* (A, 6₃₅₂) = ურჩობა და ა. შ.

ძალიან იშვიათად გვხვდება წინა-ს შემცველი კომპოზიტი თარგმანში, რომელიც არ წარმოადგენს ბერძნული შესატყვისის წინდებულის კალკს: „...ევედრებოდა ...მაკედონელთა სიყუარულსა წინასჯად“ (წ. 11, თ. 8,3) *...τῆς Μακεδόνων φιλῖαν ἐλομένους* (A, 11₃₁₇). ამ შემთხვევაში წინასჯა „არჩევის, უპირატესობის მინიჭების“ მნიშვნელობით წარმოადგენს ბერძნული *ἀρξά-* (*ἔλαμυ αογ. ορτ. ἀρξά-* სთვის) თარგმანს.

ბ) გარეშე||გარეშე||გარ. ამ ზმნისართს ბერძნულ დედანში შეესატყვისება სამი წინდებული: ა) *περῖ* (= გარშემო, მახლობლად), ბ) *ἀπὸ* (= უარყოფა), გ) *ἐκ* (ხმოვნების წინ *ἐξ*) (= გამოყოფა, რაიმესაგან განთავისუფლება).

„ირწყევების მტილი ესე ერთისა მდინარისა მიერ, გარეშომდინარისა ყოველსა ქუეყანასა მომრგულებით“ (წ. 1, თ. 1,3), *περιρρέοντος* (A, 1₃₈). „ხოლო არს შესამოსელი ესე პოლირი მოსახმელი, გარეშემოწერილი სხეულსა“ (წ. 3, თ. 7,2) *...περιγεγραμμένος* (A, 3₁₈₂). გარეცატი (წ. 6, თ. 13,6), *δ ἀπενθρῶπος* (A, 6₂₀₈) = არაღამიანი; გარეშეკევა (წ. 2, თ. 4,3), *ἀποστρέφω* (A, 2₄₈) = უარის თქმა; გარეშე-ქმნა (წ. 3, თ. 11,6), *ἐξ-αργέω* (A, 3₂₇₁) = შწყობრიდან გამოსვლა, გაუქმება; „მონათათეს განრისხებულმან, რამეთუ გარგონებასა კაცისა მყენებელ არიან მის შორის, უბრძანა დავითსი... განდევნა“ (წ. 6, თ. 12,2). *ἔαφρονα* (A, 6₂₄₈) = გიჟი, ჰუცუნად გადასული; „გვრეთვე და მამისა ქორწინებულსა თანყოფა და მანონებელთა და დათა და შვილთა ცოლებისა, ვითარ გარენათეს ვად ქონებული უსაზართლოებაჲ, მოიძულა“ (წ. 3, თ. 12,1) *...ἐαφύσιν* (A, 3₂₇₄) = არაბუნებრივი, მათი სჯულისათვის მიუღებელი.

გ) უკუნ. ამ ზმნისართს რთულ სიტყვებში ბერძნულ დედანში შეესატყვისება შემდეგი წინდებულები: ა) *ἀντι-, ἀντι-* (=საწინააღმდეგო); ბ) *ἀντι-* (უკან დაბრუნების მნიშვნელობით), გ) *ἀπο-* (დაბრუნების და უარყოფის მნიშვნელობით). „*καυωος, არცა უკუნსიტყუად შემძლებელი ღირსებისათჳს მკვლარებელისა*“ ... (წ. 1, თ. 21,1) ... *ἀντιλέγειν* (A, 1338) = უარის თქმა; „*იწყობის არებისა მისისა უკუნსიტყუად*“ (წ. 8, თ. 9,1) ... *ἀναλέγειν* (A, 824a) = უკან დახვევა; უკუნ-აქცინა (წ. 2, თ. 4,3) *ἀντιχρυσουσε* (A, 247) = უარყო; უკუნ-ლტოლვა (წ. 3, თ. 1,4). *ἀναφυσει* (A, 316) = უკან დაბრუნება; უკუნ-ეცინ (წ. 4, თ. 8,27), *ἀποτινέτω* (A, 427) = გადაუხადე, დაუბრუნე. „შეკრებთან თანად უკუნ-მქცეველი ადგილისად და მომსყიდელი“ (წ. 3, თ. 12,3). *ἀπαθόμενος* (A, 3288) = გააყოღველი; უკუნ-თქნა (წ. 6, თ. 7,4), *ἀπειπειν* (A, 644) = უარი თქვა; უკუნ-ბრჭობა (წ. 2, თ. 6,8), *ἀπεψήφισμαι* (A, 2157).

დ) ქუეშე||ქუეშ. ამ ზმნისართის შესატყვისი ბერძნულ დედანში არის ა) *ἀπο-* (ქვეშ მყოფის მნიშვნელობით. მასში შედის „*დაპირიქილებულობის*“ ნიუანსი) და ბ) *κατα-* (მოძრაობა ქვედა მიმართულებით): „*ქუეშეშობარკენი*“ (წ. 4, თ. 5,3), *ἀποτελειε* (A, 489); „*ქუეშედაპირიქილებულნი*“ (წ. 8, თ. 8,2), *τῶν ἀπὸ κἀθῶν* (A, 821); „...*ქუეშეშედაღმდებელმან* მისმან... თან-დაიწუთა თავი თჳსი“ (წ. 8, თ. 12,4), *ἀποπρήσας* (A, 831) = ცეცხლის წამკიდებელმან; „*ქუეშე-მდებარეობა*“ (წ. 4, თ. 8,33), *κατακλίσσας* (A, 427) = წოლა.

ე) ნაცვალ. *ἀντι-, ἀντι-* წინდებულნი „*საწინააღმდეგოსა და საპირისპიროსა*“ მნიშვნელობით შეესატყვისება ბერძნულ დედანში ნაცვალ ზმნისართს: „*პირველსა უკუე მოსლვასა არა მომთმენელნი ნაცვალად-დაღვომად და შეწყნარებად ევრაელთა, უკუნ-იქცევიან*“ (წ. 4, თ. 5,2), *ἀντιστροφαι* (A, 489) = წინააღმდეგობის გაწევა; „*ეღუეზაროს ნანდულ ნაცვალმცა-თქუა, უკუეთუ არა მამულებრივი იყო ჩუენდა არას კეთილთაგანისა ქონებაა*“ (წ. 1, შეს. № 3), *ἀντιπαῖον* (A, 111) = საწინააღმდეგოს თქმა; „...*მკედრობანი* .. ნაცვალ-განეწყობვობის“ (წ. 8, თ. 11,2), *ἀντιπαρετάσασθε* (A, 825) = ერთმანეთის საპირისპიროდ განლაგება.

ვ) ზეშთ||ზეთ ზედ||ზედ||ზე. ამ ზმნისართთა შესატყვისად ბერძნულ დედანში დასტურდება წინდებულები: *ἀπέρ* (=ძალიან, ზემოდან), *ἐπί* (ხზოვნების წინ *ἐπι*), *κατά, περι-* (=ზე, ზემოდან): „*სიღობელნი, სიმდიდრითა და სიმრავლითა საქმართათა ზეშთმბრძნობანი, თანად და კაცთა იყინეს მაგინებელ*“ (წ. 1, თ. 11,1), *ἀπερφοισυτες* (A, 1144) = ქედმაღლანი; *ზეშთაღწევანულ* (წ. 3, თ. 6,4), *ἀπερψαν* (A, 3132) = ზემოდან დადებული, *ზესთ-განკვარდებოდა* (წ. 8, თ. 6,5), *ἀπερψάμαχε* (A, 8178) = უარესად გაუკვირდებოდა; „*სამღლლოთა შინა და ზესთსახელთა დღეთა მსხუერპლთა შემწირველნი ღმრთისანი... ვევერებით მას*“ (წ. 13, თ. 5,8), *καὶ ἐποινμοῖς ἡμέραις* (A, 1318) = მოსახსენებელი სახელი, ზედწოდება; „*ღრუბელი აუწყებდა... ზედგამოჩინებასა ღმრთისასა*“ (წ. 3, თ. 14,4), *τῶν ἐπιφανέων* (A, 3310) = გამოჩენა; „*მისმაგესებით თქუას ვინმე გამოჭრილი ზედაღვომილთა მქონებელი ნაკუთთაა*“ (წ. 3, თ. 7,6) ... *ἀπερψασσας* (A, 3178) = ამაღლებული; „*შთამოვიღოდა წყალი ვიდრემე ზედ აღსლვადმდე ქუეყანისა წყართასა ათხუთმეტსა*“ (წ. 1, თ. 3,5) ... *κατεφέρετο* (A, 189) = ამაღლებამდე; *ზესთქონებულება* (წ. 4, თ. 4,7), *περιχοιτος* (A, 484) = ამაღლება.

ზ) თანა||თან. წინდებულთაგან მხოლოდ „თან“ გვხვდება უფორმოსიტყვიანი კომპოზიტების პირველ შემადგენელ ნაწილად. მისი ბერძნული შესატყვისი რთულ სიტყვებში არის წინდებულები: 1. *συν-* (ყ, ჯ, ჯ და ჯ-ს წინ

სუ-; β, μ, π, ϑ და ψ-ს წინ სუμ- და ζ-ს წინ სუ-). ამ წინდებულებს ბერძნულში აქვთ მნიშვნელობა ერთობლივი მოქმედებისა, კრებითობისა, ერთდროულობისა და მოქმედების დასრულებულობისა. 2. πᾶρα (= გვერდით მყოფობა), 3. ἔμμε (ბმ-, ბმო-) (= ერთი და იგივე, ერთნაირი, საერთო).

სუ-: თანაგან იხარწებოდეს (წ. 4, თ. 6,9), συνημφερίσθη (A, 4140); თან-დაედვა (წ. 6, თ. 6.2), συνημιεται (A, 6107) = შეუთანხმდა; თანაიუსამართლოების (წ. 2, თ. 3,1), συσδιαιεται (A, 222); თანმემკვდრე (წ. 1. თ. 19,9), συσσοῦντας (A, 1318) = ქმარი; თანშესჯილი (წ. 5, თ. 1,21), συχαρινόμενα (A, 577) = შედარებულნი.

παρά (= გვერდით მყოფობა): ...თანა-წარვკვქდე (წ. 8, თ. 2,5) ...παρ-
 λείσομαι (A, 233) = გვერდი ავუარო; თანამდგომელი (წ. 2, თ. 7,3) ბ
 πα-
 ρα-σάτης (A, 2172) = დამბარე; თანამდებარე (წ. 2, თ. 3,2), παρ-αίμαι
 (A, 231) = იქვე მყოფი.

ἔμμε (ბმ-, ბმო-) (= ერთი და იგივე, ერთნაირი, საერთო). „საჯა სიმრავ-
 ლეზნ თანმემკვდრედ მათდა ყოფა დმრთისა...“ (წ. 3, თ. 8,10) ...ბმ-
 σαχσον (A, 3218) = მათთან ერთად მცხოვრები; „მიიღოს საღმე ძუძუა თანმონა-
 თესვისა“ (წ. 2, თ. 9,5) ბმოფსუს (A, 2228) = ნათესავი, ერთი და იმავე ტო-
 მის წარმომადგენელი; თანტელოვანი (წ. 8, თ. 13,4) ბმ-τεχνος (A, 2334) =
 კოლეგა; თანმოყუასი (წ. 2, თ. 6,4) ბ მ-ηρος (A, 2110) = მძევალი.

როდესაც დ. მელიქიშვილი განიხილავს რთულ სახელებს იოანე პეტრიწ-
 თან, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი არის წინდებული „თანა“, იგი
 წერს: „ამგვარი კომპოზიტი ზოგჯერ ბერძნული სუ- წინდებულისანი სიტ-
 ყების კალკია“⁵.

რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, როგორც ზე-
 მთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ქართულ თანა||თან წინდებულს ბერძ-
 ნულ ლედანში არა ზოგჯერ, არამედ როგორც წესი შეესაბამება სუ-, პარა-
 და ბმბ წინდებულები.

ცხრილის სახით ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში უფორმო-
 სიტყვიან კომპოზიტებში ნახმარი ზმნისართები და წინდებული და მათი შესა-
 ტყვისი ბერძნული წინდებულები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

წინა წინ	გარეშე გარე გარ	დაუნ	ქვეშე ქვეშ	ნაცალ	ზეშთ ზესთ ზედა ზედა ზე	თან თან
ἀντι-ἀντι- πρό-	περί ἀπο- ἐκ-	ἀντι-ἀντι ἀντι- ἀπο-	ἵπο κατα	ἀντι- ἀντι-	ἐπὶ ἐπί κατα παρι	συ- συ- συ- πᾶρα ἔμμε (ბმ-ბმო-)

ნ ა ს ა ხ ე ლ ა რ ი ზ მ ნ ე ბ ი. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგ-
 მანში საკმაოდ ხშირია არაზმნური ძირებისაგან ზმნების წარმოება. ეს მოკლე-
 ნა ძველ ქართულში ფეხმოკიდებულ ნეოლოგიზმად არის მიჩნეული⁶.

⁵ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 147.

⁶ ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბი-
 ლისი, 1954, გვ. 109.

დ. მელოქიშვილს იოანე პეტრიწის როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური თხზულებიდან მოჰყავს მაგალითები, როდესაც ნასახელარი ზმნის ფუძედ გამოყენებულია არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, მიმღობები, ზმნიზედები, შორისდებულები, კავშირები და თხზული სახელებიც კი

ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ნასახელარი ზმნების წარმოებას ასეთი ფართო ასპარეზი არა აქვს. ფუძედ ამგვარ ზმნებში გამოყენებულია არსებითი და ზედსართავი სახელები, მიმღობები, აგრეთვე კომპოზიტები, რომელთა მეორე ნაწილი არის მიმღობა (ზოგჯერ უარყოფითი).

1. ნასახელარი ზმნის ფუძე არსებითი სახელი: შემდინარეობდეს... (წ. 2, თ. 6,1), *συνέργουν* (A, 2₉₃). *συμ-έρω*=ერთად ჩამდინარეობა; მოიქცეოვნა (წ. 1, თ. 15,1), *μυχανάται* (A, 1₂₃₆)=ჩაიღინა; იმოქალაქნა (წ. 4, თ. 2,1), *ἐπαλ:εσασατο* (A, 4₁₅)=იღუწა; მოქალაქობდეს (წ. 12, თ. 3,3), *πολι:τεσθεσασαν* (A, 12₁₄₂)=საკუთარ სახელმწიფოში იცხოვრეთ. „...წერილა შევარიცხუე“ (წ. 1, შეს.), *την γραφην συμεμέρην*. (A, 1₇)=გავაწონასწორე; „ესე შესამოსელი ვიდრეე არა საღამო იუბეების“ (წ. 3, თ. 7,2), *κλιπσεται* (A, 3₁₆₆), *κλιπασ*=ნაკეცი, უბე; დაასაქუმიონეს (წ. 12, თ. 6,2)=დაწვეს; „ხოლო მოჰსი, და რამეთუ მრავალთაგან შეკრებაჲ ესმოდა შფოთისაჲ, შემინებულმან, ნუსხაჲ კუალად განიკაბუჲ კონ რაჲე და იქმნეს დიდი რაჲე და ბორტი...“ (წ. 4, თ. 4,2) *...νεστερισασαι* (A, 4₆₃), *νεστέριζα*=სიახლეების შემოტანა, 2. სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა; აღიჭვავოვოდეს (წ. 12, თ. 5,4); ნისლოვნობდა (წ. 3, თ. 8,5); „ხოლო გელღოს მენიშეობდა, მეტყუელი, ვითარმედ არა კაცთაგან საგონებელ მიხნან, არამედ ღმრთისა რომლისაჲ მიერ ქმულნი,“ (წ. 15, თ. 2,6) *...ἐσπερτεσθετο* (A, 5₂) *τερπτεσθαι*=სასწაულების მოყოლა.

2. ნასახელარი ზმნის ფუძე არის ზედსართავი სახელი: „...ენი რაჲამს თმათა თსთა განუსაკუთრებდენ...“ (წ. 4, თ. 4,4), *...ἀπειρῶσιν* (A, 4₂) (=შესწირავენდენ, სხვის საკუთრებად გადააქცევენდენ), *ἀπ-ίέρωσιν*, *εω* *ή=მიძღენა; ἀπ-ίω*=წინდ. დამორების მნიშვნელობით. „...საკავროს... არისტოველოსს შეესაკუთრა...“ (წ. 14, სარჩ. № 5), *περσῆσθετο* (A, V11, გვ. 718) (=შეუერთდა, მიემხრო), *περσ-ίωμαι*=შეერთება, ვინმეს მხარეზე გადასვლა. „...ელვარეობდეს თანი მათნი ბრწყინვალეებისაგან ოქროსა...“ (წ. 8, თ. 7,3).

3. ნასახელარი ზმნის ფუძე არის მკმლეობა: მიმოქადულობდა (წ. 1, თ. 4,2); მყოფობდა (წ. 5, თ. 1,28); მიმსროლობდეს (წ. 3, თ. 14, 3); დადგრობილობდეს (წ. 13, თ. 1,5); ემთნაცვლა (წ. 8, თ. 2,6; წ. 3, თ. 13,1); მომთხრობლობს (წ. 12, თ. 3,3); მელონეობენ (წ. 7, თ. 1,5); მფრინველეობდა (წ. 3, თ. 1,5); მოთმინეობდეს (წ. 2, თ. 6,8); მემწყეებსეობს (წ. 1, თ. 19,3); ასაწყალობელეს (წ. 5, თ. 2,12); შეუკდემელობდენ (წ. 4, თ. 8,26); უდარესობდა (წ. 3, თ. 11,4); უცალობს (წ. 13, თ. 5,2); იუსჩულობს (წ. 7, თ. 8,1); იკათმოსუჲრა (წ. 13, თ. 2,3); ძღუნისმრთუმელობდეს (წ. 3, თ. 6,1) ისიბრძინისმოყუჲრა (წ. 8, თ. 2,5) ხაცვალმელონეობდეს (წ. 12, თ. 9,5).

დ. მელოქიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133—139. ჩვენ არ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ აზრს, რომ იოსებ ფლავიოსის განსახილველი თხზულების მთარგმნელი არის იოანე პეტრიწი. ამზე ქვემოთ ვცალად გვიქნება საუბარი. გზადაგზა ვახდენთ პეტრიწის ენის შედარებას თარგმანის ენასთან.

უქონლობის სახელთა წარმოება. იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანის ავტორი უქონლობის სახელებს ძირითადად უ-ო პრეფიქს-სუფიქსის მეშვეობით აწარმოებს, თუმცა გვხვდება ოდენ უ- პრეფიქსიანი წარმოებაც და წარმოება არა ნაწილაკის მეშვეობითაც: „უმაღლოდ წყოფმან... განიზრახა გინებაჲ ქორწილისაცა შენისაჲ“ (წ. 2, თ. 4,5) ...ἀχάριστος (A, 2₉₆)=უმადურად. „ვაკილი, ... აღმკვლრებული იუდეულა ზედა, უსაქმოდ უქუნ-იქა მეფისა მიმართ“ (წ. 12. სარჩ. №17), ἀπαταις (A, V11, გვ. 708)=უმდეგოდ. „ქალაქიცა უმკვდრო იქმნენ...“ (წ. 8, თ. 12,2) ἀνάστασι (A, 8₂₉₇). „ქეთაბდენიერსა სრულ-ჰყოფდეთ ცხორებასა..., ქუეყანასა მიმღებელნი ნაყოფიერსა და ზღუასა უზამთროსა“ (წ. 3, თ. 5,3), ἀχειμάστου (A, 3₈₈); უსიტყო (წ. 2, თ. 6,5; წ. 5, თ. 8,3; წ. 8, თ. 1,4), ἔλιος (A, 2₁₁₇ 5₂₈₀ 8₁₃)=უაზრო, საფუძველსმოკლებული.

ეს სიტყვა სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება ქართულ თარგმანში: „ხოლო არა ესრეთ შბრძნობნი და მრწმუნებელნი უსიტყუად განსაჯნა“ (წ. 1, შეს. 4), ἀπαραιτήτως (A, 1₂₃)=დაუნდობლად, უყოყმანოდ. „...უნუგეშინისცემოსა განსაცდელსა შთავარდა“ (წ. 7, თ. 6,1). ἀπαρηγορήτως (A, 7₁₁₆)=გამო-უსწორებელი. უქამადი (წ. 5, თ. 6,4), ἀφραση (A, 5₂₁₅)=შეუქმელი; უცნაურყოფადი (წ. 1, თ. 18,5); უსაქმოობა (წ. 4, თ. 5,2), ἡ ἀπαιξία (A, 4₈₇)=უმოქმედობა; უმკვდრობა (წ. 14, თ. 10, 12), ἀταραξία (A, 14₂₂₇)=სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლება. უსართულო (წ. 1, თ. 19,1)=უსახურავო. უსამართლოებულის (წ. 2, თ. 11,2); განუწიადებელი (წ. 3, თ. 6,6); უკდემელი (წ. 13, თ. 11,3).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, უქონლობის პრეფიქს უს ბერძნულ დედანში ყოველთვის უარყოფის ნაწილაკი ა შეესატყვისება. ამ სახელთა დიდი ნაწილი დღეს არ იხმარება იმ მნიშვნელობით, რომელიც მათში ჩადებულა ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში.

ხარისხის ფორმების წარმოება. უფროობითი ხარისხის საწარმოებლად თხზულების ქართულ თარგმანში იხმარება უ—ეს პრეფიქს-სუფიქსი, რომელიც დაერთვის არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების ფუძეებს, მიმღობას, ზმნიზებას, კომპოზიტებს: უბრძოლესნი (წ. 3, თ. 2,1); უსიტყუერესი (წ. 2, თ. 5,4); უუგბილესი (წ. 13, თ. 14,2); უუქანაასკენლესი (წ. 3, თ. 1,1); უმკვმუნეარესი (წ. 2, თ. 2,4); უგანთესებულესი (წ. 4, თ. 2,4); უსაპიროესი (წ. 7, თ. 6,1); უსაკუთრესი (წ. 10, თ. 4,2); უდასარწმუნებელესი (წ. 12, თ. 9,1); უშინაგანესი (წ. 8, თ. 7,2); უქუენესი (წ. 8, თ. 6,1), სიტყუა-ულირესი (წ. 3, თ. 2,3; წ. 4, თ. 3,1); უკეთილყამიერესი (წ. 3, თ. 8,9); უღირს-სიტყუესი (წ. 2, თ. 13,1).

—რე ნაწილაკი უფროობითი ხარისხის ფორმებთან, რომელსაც იოანე პეტროწი საკმაოდ ხშირად ხმარობ⁸, ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში თითო-ორორაჯერ დასტურდება: „ამის ჩუენებისა მინდობილი უგულს-მოდ გინესად რე ეგვებედ ძეთა თანა და ყოველთა მისთა გარდაცვალებოდა“ (წ. 2, თ. 7,4), περιμυστερουν (A, 2₁₇₆).

ამასთან, როგორც იოანე პეტრიწთან⁹, ასევე ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც დასტურდება რამდენიმე მაგალითი, რომლებშიც უფროობითი ხარისხის ფორმები მხოლოდ —რე ნაწილაკით იწარმოება: „ამათ

⁸ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

⁹ იქვე, გვ. 99.

ძლითი ვიდრევე უკვე სიტყუაჲ გამოწულილვითრე კულად მოვას-
წათჲ (წ. 3, თ. 10,7), ἀκριβέστερον (A, 3257) = უფრო დაწერილებით. გა-
მოწულილვითრე (წ. 3, თ. 9,3). „და მიმყენებელმან ქოფარულსარე
კერძოსა ბჳისასა... სცა ქუეშე გუერღსა“ (წ. 7, თ. 1,5), εἰς τὸ βήρυμότερον τῆς
πάλης (A, 733) = უფრო დაშორებული.

-რე ნაწილაკის ხმარებას უფროობითი ხარისხის ფორმათა საწარმოებლად
გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება შთარგმნელის ვინაობის მიხსლოებით მაინც
დადგენის საქმეში: „თუმცა თავდაპირველად უფროობითი ხარისხის ფორმებ-
ზე დაბრუნდეთ -რე ნაწილაკს „ოღნავ, მცირედ“ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა,
მაგრამ დროთა განმავლობაში ... მოხდა მისი მნიშვნელობის გადაწევა „კიდევ“
მნიშვნელობისაკენ. დაბოლოს, -რე ნაწილაკმა დამოუკიდებლადაც შესძლო ხა-
რისხის ფორმების წარმოება. მაგრამ ეს მოვლენა მაინც კერძობითის ფარგ-
ლებში უნდა განიხილებოდეს და არა ნოვადობის, რადგანაც მას გავრცელება
არ ჰქონია. როგორც ჩანს, იგი გარკვეული ლიტერატურული სკოლების დამა-
ხასიათებელ მანერას წარმოადგენდა“¹⁰. (ერთ-ერთი ამ სკოლათაგანი უპიკველად
„პეტრიწონელი“ უნდა ყოფილიყო).

ს ა ხ ე ლ თ ა წ ა რ მ ო ქ მ ნ ა ბ რ უ ნ ე ი ს ნ ი შ ა ნ თ ა მ ე შ ე ე ო ბ ი თ .

1. მოქმ. ბრ-ის -ით ფორმანტი: „მიაწვინა მკვეალი მისი და იქმ-
ნა ზელფაჲსგანცა ძე ლადას, ბედებრიობითად ვინმე უწოდოს მას“
(წ. 1, თ. 19,7), τυχαιον (A, 1306) = ბელი. „ხოლო იუდა, მამისა მარწმუნებელმან
წარვლინებდად ყრმასა და სხუათაცა შინა მოქმედებითად მყოფმან მამა-
კაცმან...“ (წ. 2, თ. 6,8), ἐραστῆρις (A, 2139) = ენერგიული, ვაჟკაცური.
„მქონებელმან კბოსა ერთსა ჩუეულეებითსა, და სახლსა შინა ზედმოურ-
ნეობისა და ზრდისა ღირსქმნილსა მის მიერ...“ (წ. 6, თ. 14,3), συνηθῆ (A,
რ339) = მოჩვეული, მოშინაურებული. „და, მიხსლებულნი მათნი სიტყუად, ევედ-
რებოდეს არა შუარკვებად მთელა მიღებასა შეენიერებისა მათისასა, არცა
ჩუეულეებითისა მიხსლებისასა“ (წ. 4, თ. 6,7)... πλῆσθησαν συνηθειαις
(A, 4131). ἢ συνηθειαις = ახლო ურთიერთობაში ყოფნა, ფიზიკური კავშირის
დამყარება. „მნებაეს შენი, არა შეძრწუნებულისაჲ შიშისაგან, თნებად ჩემდა
მომართე ყუეილითსა სიტყუასა“ (წ. 2, თ. 5,5); „სასჯელისაგან უკვე
მკლველობითისა ზედაჲს განუტევა იგი“ (წ. 1, თ. 2,1), τῶν φθόνων (A,
133). „ხოლო მარცხენითისა, და შეემთხუეოდა ყოფაჲ დიმიტროსს, იძ-
ლია“ (წ. 13, თ. 2,4) = მარცხენა მხარე.

2. ვითარებითი ბრუნვის -ად ფორმანტი: ვით. ბრ-ის -ად
ნიშანი თარგმანში საკმაოდ ხშირად დაერთვის მასდარის ფუძეს. ამ გზით მი-
ღებულ ფორმას დ. მელიქიშვილი განიხილავს როგორც „შესაძლებლობის მიმ-
ღებობას“¹¹. ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევს ამ მოვლენას ნ. ნათაძე¹²

იოანე პეტრიწი ხშირად მიმართავს ამგვარ წარმოებას¹³ მოვიყვანო მსგავს
მაგალითებს განსახილველი თარგმანისაგან: გულსავებადი (წ. 2, თ. 2,4); კელთ-
დასხმადი (წ. 5, თ. 7,2) = არჩეული; კელითპყრობადნი (წ. 2, თ. 10,2) = აღ-
ვილად მოსათენიერებელნი; წინამძღუარმყოფადი (წ. 2, თ. 7,3) = ის, ვინც

¹⁰ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

¹¹ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

¹² ნ. ნათაძე, შესაძლებლობის მიღებობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულ-
ში, იკვ, XIII, 1962.

¹³ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

წინამძღვარი უნდა გახდეს. მარჯუეუფადი (წ. 3, თ. 7,5) = მოსახერხებელი; მღვდელქმნადი (წ. 4, თ. 2,3); კელყოფადი (წ. 2, თ. 12,4); უცნაურყოფადი (წ. 1, თ. 18,5); დაკვადი (წ. 2, თ. 6,8) = ის, ვინც იცეკვა. ქმნადი (წ. 11, თ. 6,10); მიმართებლანი (წ. 3, თ. 2,3) = მიმართულხი; მიმცემლანი (წ. 12, თ. 7,3); წარწყმედადი (წ. 11, თ. 6,8) = ის, ვისაც დაღუპვა ელის. შემთხვევადი (წ. 11, თ. 6,10), მოსვლადი (წ. 3, თ. 13,4); მბრძოლადნი (წ. 8, თ. 11,2), მიმღებლადნი (წ. 8, თ. 11,2); მსმენადი (წ. 8, თ. 8,2); უცხოებადი (წ. 8, თ. 9,1).

ს ი ტ ყ ე ა თ ა წ ა რ მ ო ქ მ ნ ა თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ე შ ე ვ ე ბ ი თ

- ე ბ რ || - ე ბ რ ი ვ : „რაოდენნი და ამის წინაწარმეტყუელისათჳს ვპოვენ ევრატელებრთა წიგნთა შინა აღწერილნიც (წ. 9, თ. 10,2); „სიზრავლესა მკედრებრივისა... შეპკრება“ (წ. 11, თ. 8,3); „მუშაკებრივად მყოფი ფრიად მოურნე იყო“ (წ. 9, 10,3); „უმეტეს მთავრებრივი ცხოვნება სასჯელისაჲ“ (წ. 2, თ. 6,8); „წურთილებითა თავისუფლებრივი თა წურთილა“ (წ. 2, თ. 4,1).

- თ ა ნ ა : „რამეთუ არა შეერთებოდეს ხანანელთა ისაკოასთანანი“ (წ. 1, თ. 18,8) *οὐ παρέχον ἰσακὸν* (A, 1277) = ისაკის მახლობლები. „ამასთანა მხილველნი მტერთა დასჯილთანი“ (წ. 2, თ. 16,4), *παροῦν* (A, 2346) = ამასთან ერთად.

- ქ უ ე შ ე : „ღმერთსა... მრავალნი ნათესავნი მიეცნეს მათდა კელის-ქუეშედ“ (წ. 8, თ. 6,3), *παροῦν* (A, 8161) = ქვეშევრდომად; კელისქუეშე (წ. 2, სარჩ. № 3) (წ. 8, თ. 6,3).

ზ ე დ ა : „შეკრულ არს ესე პეტეფრის მიერ, მზარაულთზედა დასა“ (წ. 2, თ. 5,4)... *ἐπὶ τῶν μαθητῶν* (A, 278) = მზარეულების უფროსი. „მისცეს მომრგულბული ყელისზედაჲ ოქროსაჲ“ (წ. 10, თ. 11,2), *περιεσχύνω* (A, 10225) = ის, რაც ყელზეა შემოხვეული, აქ: ჭაჭვი. „მბრძანებელმან წიგნთა მიცემად წესისზედათათჳს, მაშინლა მამაკაცთა ამბორს-უყო“ (წ. 12, თ. 2,11), *ἐπὶ τῆς τῆξυας* (A, 1292) = ის, ვისაც ეხება შესაბამისი საქმე.

ყველა მოყვანილი მაგალითი ბერძნული ფორმების კალკია: ცალკეა თარგმნილი ბერძნული წინდებული და სახელადი ნაწილი.

ხ ე ლ ო ბ ი ს . ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა . დღეს მე—ე პრეფიქს-სუფიქსი ხელობის სახელებს აწარმოებს. ამავე ფუნქციით გვხვდება ის ფლავიონის თხზულების ქართულ თარგმანში, როდესაც დაერთვის არსებით და ზედსართავ სახელებს, აგრეთვე ზმნიზედას და აწარმოებს მათგან სახელს, რომელსაც აქვს რაიმე საქციელის ჩამდენის მნიშვნელობა: მედღესასწაულე (წ. 3, თ. 5,1) (წ. 12, თ. 4,7); მეცხედრე (წ. 8, თ. 9,1) = ლოგინად ჩავარდნილი; მეტურათე (წ. 8, თ. 7,3); მეკმე (წ. 11, თ. 3,9); მეუნებლე (წ. 11, თ. 6,12) = დამნაშავე. ნაცვალმეკვლოვე (წ. 1, თ. 19,7); მღვდელმეწიგნე (წ. 2, თ. 9,2; 10,2); მუცლითმეზღაპრე (წ. 6, თ. 14,2); კეთილმემღვდელე (წ. 8, თ. 4,2).

ოიანე პეტრიწთან მე—ე პრეფიქს-სუფიქსი დაერთვის ზმნის სუფთა ფუძეს და აწარმოებს მათგან გასუბსტანტივებულ მიმღობას¹⁴ დ. მელიქიშვილი ეარაუდობს, რომ ეს მე—ე პრეფიქს-სუფიქსის უძველესი ფუნქცია უნდა ყოფილიყო.

მიმღეობათა წარმოება. აქ განვიხილავთ როგორც მარტივი სახით არსებულ მიმღეობებს, ასევე იმათაც, რომლებიც კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილებია. ცალ-ცალკე გამოყოფთ სასუბიექტო და საობიექტო

¹⁴ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

მიმღებების წარმოებას და შევეცდებით იმის ჩვენებას, თუ რამდენად მის-
ღევს ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანი ამ მხრივ ძველი ქართული
ენის დაღვნილ ნორმებს.

1. სასუბიექტო მიმღებების წარმოება.

ა) მ- პრეფიქსი სასუბიექტო მიმღებების წარმოებისას დაერთვის
თემისნიშნით გავრცობილ ფუძეს, პირიანი ზმნის სუფთა ფუძესა და მასდარის
სუფიქსიან ფუძეს: მპყუარობი (წ. 7, თ. 8, 2); დიდმბრძნობი (წ. 5, თ. 6,4);
თანშემწყობი (წ. 1, თ. 8,2); ზეშთმბრძნობი (წ. 1, თ. 11,1); წინაგანწყობი
(წ. 1, თ. 20, 2); თანამღები (წ. 2, თ. 6,8); თანამქცევი (წ. 2, თ. 5,1); ნაეის-
მმართნი (წ. 8, თ. 6,4); თანგანმზრახი (წ. 2, თ. 6,8); ზრახვათმბრძნობი (წ. 13,
თ. 5,5); ნაცვალმჭდომნი (წ. 13, თ. 14,2); წინმდგომი (წ. 5, თ. 1,1); წარმ-
სრბოლი (წ. 2, თ. 2,3); თანამყოფი (წ. 2, თ. 3,1; 9,5; წ. 3, თ. 3,1).

ბ) მ—არ: მღღელმწიგნობარი (წ. 2, თ. 9,2); წარმდინარი (წ. 3, თ. 7,2);
წინამგებვარნი (წ. 6, თ. 10,1); გარემომდინარი (წ. 1, თ. 1,3); თუთომკედლარი
(წ. 3, თ. 11,2).

გ) მ—არე: თანამღებარე (წ. 2, თ. 3,2); თანამსხდრენი (წ. 12, თ. 4,9).

დ) მ—ე. თხზულების ქართულ თარგმანში სასუბიექტო მიმღებების ამგვარ
წარმოების სულ რამდენიმე მაგალითს ვხვდებით: მიმლოდე (წ. 3, თ. 1,7);
თანაშემწე (წ. 4, თ. 6,5); განმგონე (წ. 2, თ. 6,8).

ე) მ—ელ. მ—ელ პრეფიქს-სუფიქსიანი წარმოება ძველ ქართულში ძა-
ლიან იყო გავრცელებული. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც
მიმღებობათა წარმოების ყველაზე მეტი მაგალითი სწორედ ამ სახის წარმოე-
ბაზე მოდის. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. შემწევენი (წ. 2, თ.
16,4) (ძეგლში დასტურდება პარალელური ფორმა: თან შემწე. წ. 4, თ. 6,5);
განმპოობელი (წ. 8, თ. 7,7); მიმსყიდელი (წ. 3, თ. 12,3); მომყუარძნველი (წ. 4,
თ. 8,21); სიტყუაყოფელი (წ. 11, თ. 7, 1); შემნდობელმქმნელი (წ. 2, თ. 6,8);
მღღელმგალობელი (წ. 11, თ. 5,1); ყრმისმყვანებელი (წ. 9, თ. 6,5); შემსაკუთ-
რებელი (წ. 14, თ. 1,3); წინაგანმცემელი (წ. 2, თ. 7,5) = მოლაღატე...

ვ) მა—ელ. საკმაოდ ნაყოფიერი მაწარმოებელია სასუბიექტო მიმღებობი-
სა როგორც ძველ ქართულში, ასევე ჩვენს ძეგლშიც: მარწმუნებელი (წ. 4,
თ. 8,38); ფნკითმაცენებელი (წ. 3, თ. 1,3); თანშემაწყობელი (წ. 2, თ. 9,6);
თანახლობელი (წ. 6, თ. 3,6) = მეზობელი; წარმავლენელი (წ. 12, თ. 8,5); წი-
ნამომასწავებელი (წ. 2, თ. 7,3); წინამაუწყებელი (წ. 2, თ. 2,2); გარემიმაქცე-
ველი (წ. 2, თ. 4,3).

ზ) მე—ელ. პრეფიქს-სუფიქსი მე—ელ იოანე პეტრიწთან დასტურდება მიმ-
ღებობის მხოლოდ ორ ფორმაში: „მეტყუელი“ და „მეძიებელი“¹⁵.

ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში მე—ელ პრეფიქს-სუფიქსით
ნაწარმოებია მიმღებობის ერთი ფორმა: „მეტყუელი“: ნაცვალმეტყუელი (წ. 4,
თ. 8,26) = უარისმთქმელი; ცრუმსმეტყუელნი (წ. 11, თ. 4,4); ზედმეტყუელი
(წ. 6, თ. 13,9).

თ) მო—. ოდენ მო— პრეფიქსით ნაწარმოებია ორიოდ სასუბიექტო მიმ-
ღებობა: „თუთ რჩეულქმნილმან მობაძაეად მისდა მისგან შობილნი დაუ-
ტყენა“ (წ. 1, თ. 2,3) = მიმბაძეულად. „ფნკინი... ძნელმოზარდნი იყენეს“
(წ. 3, თ. 1,3).

თ) მო—არ. მიმღებობის მო—არ პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ძველ
ქართულში სულ რამდენიმე ძირში ვხვდება (მოცინარ, მოძღუარ, მოკიცხარ,

¹⁵ იქვე, გვ. 119.

მომზიარალ). ეგვე ფორმები დასტურდება იოანე პეტრიწთანაჲ¹⁶. ჩვენს ძეგლ-ში ძალიან ხშირია „მოძლუარ“ ფორმა როგორც თავისთავად, ასევე კომპოზიციის შემადგენელ ნაწილად: „მღღელმოძლუარ“.

ი) მო—ე. საკმაოდ გავრცელებული წარმოებაა თხზულების ქართულ თარგმანში: მონატრე (წ. 1, თ. 19,7) = ბედნიერი (ის, ვისაც შენატრიან); მონავე (წ. 9, თ. 10,2) = მეზღვაური; მოვიწყენი (წ. 2, თ. 15,4); კეთილმოცალე (წ. 8, თ. 2,6); პატივმოყუარე (წ. 8, თ. 6,5); ნაწლევთმოყუარე (წ. 7, თ. 10,5) = თავისიანების მოყვარული; მიხუზთმოყუარე (წ. 3, თ. 1,5) = გაიციხვის მოყვარული; ძერმოქსენე (წ. 2, თ. 8,1); კეთილმოწლე (წ. 1, თ. 13, 2) = კეთილგანწყობილი; თანმოაასაკე (წ. 2, თ. 11,1)...

ია) მო—ელ. კეთილმოქმედი (წ. 2, თ. 8,1; თ. 6,8) = კეთილი საქმის ჩამდენი; პურისმოქმედი (წ. 2, თ. 5,3); ბოროტისმოქმედი (წ. 2, თ. 6,6; 6,7); თანამოქმედი (წ. 1, თ. 18,5) = შემწე; თანამოქმედნი (წ. 4, თ. 8,21) = ერთად მომუშავენი.

არის ერთი საინტერესო ფორმა, რომელიც ნაწარმოებია როგორც სასუბიექტო, მაგრამ აქვს გავება საობიექტო მიმღეობისა: „ოსიპოს, რაქილას შვილმოქმედი, იაკოვოს... უმეტეს უყუარდა“ (წ. 2, თ. 2,1) = რაქილას შვილი, ნაშობი.

იბ) მო—ურ (მო—ულ). ეს მაწარმოებელი ძველ ქართულში ჩამდენსამე ფორმაშია მხოლოდ შენარჩუნებული ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში დასტურდება ამგვარი წარმოების ორი მაგალითი: ნაკვალ მოსაქული (წ. 8, თ. 2,2) = მოწინააღმდეგე მხარე სასამართლო პროცესის დროს. პირველმოწევნი (წ. 2, თ. 14,4) = აღრე მომხდარი.

იგ) იელ (<—იერ). „ღმერთმან წინაგანგებაჲ აღუთქუა და მინიჭებამ მიზნესა, რომელსამე სურვიელ არიან“ (წ. 1, თ. 3,5) = მსურველ.

ამგვარად, ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში სასუბიექტო მიმღეობები შემდეგი აფიქსებით იწარმოება: მ-, მ—არ, მ—არე, მ—ე, მ—ელ, მ—ელ, მე—ელ, მო-, მო—არ, მო—ე, მო—ედ, მო—ურ (მო—ულ), -იელ,

2. საობიექტო მიმღეობების წარმოება.

წარსული დროის საობიექტო მიმღეობა ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში იწარმოება -ილ, -ულ სუფიქსებითა და ნა-პრეფიქსით. ამგვარივე წარმოება წარსული დროის საობიექტო მიმღეობებისა დასტურდება იოანე პეტრიწთანაჲ¹⁷. რაც შეეხება ძველ ქართულს, იქ წარსული დროის საობიექტო მიმღეობის მაწარმოებელი აფიქსები უფრო მრავალფეროვანია (ნა-პრეფიქსი გვხვდება -ილ, -ულ, -ურ, -არ სუფიქსებთან კომბინაციაში; გვხვდება ნე- სუფიქსიც გაქვევებულ ფორმებში)¹⁸.

-ილ: აღდნობილი (წ. 8, თ. 11, 1); ერთსიტყუაქმნილი (წ. 4, თ. 7,3); კეთილქმნილი (წ. 2, თ. 9,3); ბოროტქმნილი (წ. 2, თ. 6,8); შვილქმნილი (წ. 2, თ. 12,1); მდამალქმნილი (წ. 1, თ. 10,4); პირველშობილი (წ. 1, თ. 4,2); მწუერვალდაქრილი (წ. 5, თ. 2,21) = ხელ-ფეხ მოქრილი; ძლევამემოსილი (წ. 6, თ. 10,1); განყოფილი (წ. 1, შეს. № 1); თანმორჩილი (წ. 5, თ. 1,21)... კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია.

¹⁶ იქვე, გვ. 120.

¹⁷ დ. შელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

¹⁸ ე. ოსიძე, მიმღეობის წარმოება ქართულში, თბილისი, 1957.

-ულ: შეზღუდვები (წ. 10, თ. 2,1); მოქმედებული (წ. 1, შესავ. № 2); მიმძლავრებული (წ. 12, თ. 2,3); დაკარგებული (წ. 9, თ. 3,1); გარდასახებული (წ. 8, თ. 11,1) (ამ მაგალითში ფუძისეული ე შენარჩუნებულია თემისნიშნისეული ე-ს გვერდით), აღმოსულებული (წ. 8, თ. 11,1); ცრუებული (წ. 8, თ. 9,1); ჩინებული (წ. 8, თ. 4,6); მეფობული (წ. 6, თ. 3,4) და სხვა მრავალი.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, -ულ სუფიქსით იწარმოება მიმღეობები -ებ, -ავ და -ევ თემისნიშნისანი ზმნებიდან, აგრეთვე ნასახელარი -ევ თემისნიშნისანი ზმნებისაგან (ვერმიმთხუეული).

მა- ამგვარი წარმოება საობიექტო მიმღეობისა ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არ არის პროდუქტიული. სულ რამდენიმე მაგალითს ვხვდებით: „...სრულიად დაჰქვა ტაძარი და განწესებულთა მსხუერპლთა შეწირვად დააყენა და განძარცუა იგი აღნადებთა“ (წ. 9, თ. 12,3) = შეწირული $\epsilon\alpha\upsilon \alpha\upsilon\alpha\mu\eta\mu\alpha\tau\alpha\upsilon$ A, 9257); „რომელი შობს ესევეითართა ცვალებათა და სხეულთაცა და ქუეყანისა და ნერგთა და ყოველთა მის მიერ შენადგამთა გარემოქცევასა შინა წელთა“ (წ. 6, თ. 1,2) = ყველაფრის ერთიანობა, ყველაფერი დანარჩენი: $\sigma\upsilon\upsilon\sigma\tau\alpha\tau\alpha$ (A, 6).

3. მომავალი დროის მიმღეობათა წარმოება. მომავალი დროის საობიექტო მიმღეობების მაწარმოებელთაგან ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს გამოყენებული აქვს ხა-პრეფიქსი და ხა—ელ და ხა—ო პრეფიქს-სუფიქსები.

ხა-: „ხოლო პომპიოს შინაგან დაიბანაჲ ვორიოთ კერძო სამღდელომსა, რომლით საბრძოლცა იყო“ (წ. 14, თ. 4,2) = ადვილად დასამორჩილებული ($\epsilon\pi\iota\mu\alpha\chi\omicron\nu$ A, 1461); „ხოლო იყო ფრიად ძნელსაბრძოლ ადგილი“... (წ. 2, თ. 10,2) = ძნელად ასალები, $\delta\upsilon\sigma\pi\omicron\lambda\iota\sigma\theta\alpha\upsilon\tau\omicron\upsilon$ (A, 2249). „ამისა შემდგომად სამსკულთა მიერ და შესაკრშაეთა შეაკრნეს იგინი...“ (წ. 12, თ. 2,9) ... $\pi\epsilon\rho\beta\alpha\iota\varsigma$ (A, 1270) = დასამაგრებელი (ჰანჭიკი). შესამსგავსი (წ. 3, თ. 15,3) = მსგავსი; შორისასროლი (წ. 4, თ. 5,2); ზედალსავალი (წ. 3, თ. 7,7), $\xi\pi\iota\beta\alpha\tau\alpha$ (A, 3181) = მისაწვდომი.

ხა—ელ: „იონათის... აუწყნა მას კეთილნი და საცხოვრებელნი მამისაგან“ (წ. 6, თ. 11,2) ... $\sigma\omega\tau\eta\rho\iota\alpha$ (A, 6212) = გადასარჩენი: „და ნაცვალნაწერიცა ბრძანებისაჲ, საუწყებელად გონიერებასა მეფისასა, დამარხვად აგრძნეს“ (წ. 12, თ. 2,3) = დამამტკიცებელად; კმასაყოფელნი (წ. 1, თ. 15, 1); მრავალწარსაგებელი (წ. 8, თ. 9,1) = ძვირად ღირებული: ღირსსარწმუნებელი (წ. 5, თ. 1,27); ძნელსაკურნებელი (წ. 2, თ. 5, 6); თანამისაკუმელი (წ. 4, თ. 7,3) = თან წასალები.

ხა—ო.

ა) საჭირო (წ. 2, თ. 6,8) = ის, რაც სჭირდება აღამიანს; ბ) საჭირო (წ. 7, თ. 14,10) = ძნელი; ადვილსარიცხო (წ. 2, თ. 15,1); ძნელსამთავრო (წ. 4, თ. 2,1); ძნელსარწმუნო (წ. 4, თ. 2,1); საუმჯობესო (წ. 8, თ. 2, 1); სამეცნიერო (წ. 11, თ. 6,12) = ცნობილი.

საკუთარი სახელები

თხზულების ქართულ თარგმანში წარმოდგენილია 1910 პირის, გეოგრაფიული, ეთნიკური სახელი და მათი 600 ვარიანტული ფორმა.

თხზულებაზე მუშაობისას ფლავიოსისათვის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ბერძნული ბიბლია. ამიტომ ძირითადი რაოდენობა ტექსტში წარმოადგენილი საკუთარი სახელებისა ბიბლიურია. მაგრამ რაკი იოსები ეყრდნობოდა თავისი დროისა და აღნიშნულ ისტორიკოსთა ნაწერებსაც, ამიტომ გარკვეული ნაწილი ამ სახელებისა არაბიბლიური წარმოშობისაა. ბიბლიურ სახელებს ქართველები ძველთაგანვე იცნობდნენ და მათი ერთი ნაწილი ტრადიციით დაკანონებული სახით იხმარებოდა წერილობით თუ ზეპირ წყაროებში. იოსების თხზულების ქართული თარგმანი მეტად საინტერესო სურათს გვთავაზობს: მთარგმნელი უმრავლეს შემთხვევაში არ უწევს ანგარიშს ამ ფაქტს და საკუთარი სახელები გადმოაქვს თარგმანის შესრულების პერიოდში (XI—XII სს.) მოქმედი ფონეტიკური შესატყვისობების გათვალისწინებით.

Y ბგერისა და იე დიფთონგის გადმოცემა. XI—XII სს-ებში ხ გრაფემის ქართული შესატყვისი ძირითადად იყო ვ.

იოსების თხზულების ქართულ თარგმანში 2500 სახელიდან მხოლოდ 9 სახელში დასტურდება ა—უ შესატყვისობა. რაც შეეხება იე—უ შესატყვისობას, არც ერთი მაგალითი არ გვხვდება. ზემოთ აღნიშნული ცხრა სახელადან ექვსი ერთი, „სურ“ ძირისაა, იხმარება თითოჯერ და თითქმის ყველას მოეპოვება ვ ბგერიანი პარალელური და ძირითადი (მრავალჯერ ნახმარი) ფორმა:

სურნი (წ. 8, თ. 14, 4) || სურნი¹ Σური; ასურნი (წ. 5, თ. 3, 2) || ასურნი Ἀσური; || ასურელნი (წ. 5, თ. 3, 3) || ასურელნი Ἀσυροι; ასურეთის ლელე (წ. 1, თ. 6, 4) αἰλη Συρι; უროს (წ. 7, თ. 6, 2) Συροι; იასურის (წ. 4, თ. 7, 1) Ἰασυροι; ვაველონი (წ. 1, თ. 7, 2) || ბაბკლონი Βαβυλων; ტულის (წ. 14, თ. 4, 3) Τυλι; ლუკულოს (წ. 14, თ. 7, 2) Λευκωλι.²

როგორც მოსალოდნელი იყო, იოსების თხზულების ქართულ თარგმანში ა-ისა და იე დიფთონგის შესატყვისად საკუთარ სახელებში ყველაზე ხშირად კ დასტურდება. ა-ვ შესატყვისობის 83 შემთხვევაა, იე-ვ შესატყვისობის—9 (აქედან 8 ერთი, „ფნიკი“ ძირია):

ფრკვია (წ. 12, თ. 3, 4) Φρυγία; ტკრო (წ. 12, თ. 4, 11) Τυρος; სკმეონ (წ. 1, თ. 19, 8...) Σκυμων³; იეროსოლკმა⁴ (წ. 9, თ. 1, 4; წ. 11 თ. 3, 10...) Ἱεροσόλυμα და სხვ. მრ.; ფნიკი (წ. 1, თ. 3, 6...) ფნიკეთი (წ. 11, თ. 4, 4—6), ფნიკია (წ. 1, თ. 6, 2...) Φοινικη; ვკოტო (წ. 14, თ. 10, 14) Βοιωτις. ვერკა (წ. 12, თ. 9, 7...) Βερεια.

რაც შეეხება ა-ი და იე-ი შესატყვისობებს, რომლებიც შედარებით მოგვიანებით იკიდებს ფეხს ბერძნულიდან შესრულებულ ქართულ თარგმანებში, სულ 6 შემთხვევა დასტურდება, აქედან ხუთ სახელს მოეპოვება პარალელური და ძირითადი, კ ბგერიანი ფორმა:

იერუსალიმი (წ. 5, თ. 1, 16) || იეროსოლკმა Ἱεροσόλυμα⁵; ვავილონი (წ. 11, თ. 3, 9—10...) Βαβυλων; ბაბილონელნი (წ. 10, თ. 2, 2) || ბაბკლონელნი Βαβυλωνιοι; ზავილონიტელნი (წ. 5, თ. 1, 22) Ζαβυλωνιται; ფნიკი (წ. 7, თ. 4, 1) || ფნიკი. Φοινικη; ფნიკიელნი (წ. 8, თ. 5, 3) || ფნიკელნი Φοινικαι.

¹ პარალელურ ფორმათა ადგილებს არ ვუთითებთ. ისინი ძალიან ბევრჯერ დასტურდება.

² მაღანიტელთა მეფე, რომელიც ცნობილი იყო აგრეთვე ურის ሰრჳჳ (წ. 4, თ. 7, 1) სახელწოდებით. შესაძლებელია, „იასურის“ ფორმა გაკეთებული იყოს „ურის“ ფორმის ანალოგიით.

³ ამ სახელის ქართულ ფორმას დაკარგული აქვს ე.

⁴ მრავალწერტლის ესაშთ იქ, სადაც კლდე ბევრი მსგავსი მაგალითი არსებობს.

⁵ იხმარება რამდენიმე ათუჯერ.

⁶ შესატყვისი ბერძნული ფორმები მოგვცაქვს: Namenwörterbuch zu Flavius Josephus von Abraham Schalit, Leiden. E. J. Brill, 1968.

H-ს შესატყვისები. იოსების თხზულების ქართულ თარგმანში, როგორც მოსალოდნელი იყო, უ-ს შესატყვისად ძირითადად ი იხმარება. „ქართულში იტაციზმი ვაცილებით ფართოდაა დადასტურებული, ვიდრე ეტაციზმი. ეს არის შედეგი უმთავრესად ათონელთა მემკვიდრეობისა და პეტრიწის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეობისა“⁷.

თარგმანში არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც უ-ს შესატყვისად ე დასტურდება. ამთგან 8 სახელს მოეპოვება პარალელური და ძირითადი უ-ი შესატყვისიანი ფორმა, 9 სახელს კი ასეთი პარალელი არ ეძებნება. მოსალოდნელია, რომ უ-ე შესატყვისობისას საქმე გვექონდეს ტრადიციით დამკვიდრებულ ფორმასთან, თუმცა რაც შემთხვევაში არც ფონეტიკური კანონების, ანალოგიისა და გრაფიკული აღრევის დაშვება ჩანს შეუძლებელი.

იმის გამო, რომ უ-ე შესატყვისობის სულ 17 მაგალითი დასტურდება თარგმანში, მოვიყვანთ ყველა მათგანს:

ბეთლემი (წ. 5, თ. 9,2) || ვითლიემი Βηθλεεμ; ვეთსანი (წ. 12, თ. 8,5) || ვითისანი, ვითსა. ვითსონ Βηθλεεμ; ვერსოვა (წ. 6, თ. 3,2) ვერსო Βηρσους; მოსე (წ. 1, თ. 1,1; 3,6...) მოსე (წ. 2 სარჩევი) || მოსი, მოსი Μωσης; იორდანე (წ. 4, თ. 5,2; 8,1...) || იორდანი 'Ιορδανης; რომე (წ. 14, თ. 14, 2) || რომი Ρωμη; ვერსავე (წ. 7, თ. 7,1—2-4) || ვირსავი Βερσων; პეტეფრე (წ. 2, თ. 4,3; 6,1) || პეტეფრი Πετρωφης; ვეთილა (წ. 1, თ. 19,2...) Βεθλα; ვეთსურა (წ. 12, თ. 7,7...) Βεθσαιρ. ვეთსურელნი (წ. 12, თ. 9,4—5) Βηθσαιραιοι; იეზერელა (წ. 9, თ. 6,2—4) 'Ιεζερη; დიოკლეს (წ. 10, თ. 11,1) Διοκλητ; ეპიკრატე (წ. 13, თ. 10,2—3) 'Επικρατης; ეპიფანე (წ. 10, თ. 11, 7...) 'Επιφανης; ვეროპე (წ. 1, თ. 6,1...) Ερσων; ლაოდეე (წ. 13, თ. 13, 4) Λαοδειη.

I კანკელობის α impurum-იანი სამი სახელი, რომელაც მხ. რიცხვის ყველა ბრუნვაში ა-ს უ-ზე ცვლის, თარგმანში ა დაბოლოებით დასტურდება. მაშასადამე, ქართულ თარგმანში ის-ნი შემოვიდნენ არა რომელიღაცა ბრუნვის ფორმით, არამედ ფუძის სახით: სპარტა (წ. 13, თ. 5,8) Σπαρτη; პალესტინა (წ. 1, თ. 6, 2—4...) Παλαιστίνη; კრიტა (წ. 13, თ. 4, 3—9) Κριτη.

B-ს გადმოცემა. B-ს ქართულ შესატყვისს საკუთარ სახელებში, როგორც მოსალოდნელი იყო XI—XII სს-ებში ნათარგმნ ძეგლში, ძირითადად წარმოადგენს ვინი. სულ შვიდ საკუთარ სახელში თითო-ორორჯერ β-ს შესატყვისად გვევლინება ბანი, ამასთან, მათ ყოველთვის მოეპოვებათ პარალელური და ძირითადი, ვინიანი ფორმები. ეს ის სახელებია, რომლებიც ძველადვე ჰქონდათ ქართველებს ხმარებაში და ბანი, ალბათ, ტრადიციის წყალობით შემორჩა თარგმანში აქა-იქ, თუმცა მთარგმნელი დიდად არ უწყევს ანგარიშს ამ ფაქტორს და თითქმის უგამონაკლისოდ ასახავს მისი დროის ვითარებას. მოვიყვანთ თარგმანში დადასტურებულ β-ბ შესატყვისობის ყველა მაგალითს:

არაბნი (წ. 1, სარჩ. თ. 12, 4; წ. 2 თ. 9,3) || არაენი 'Αραβες; აბრამოს (წ. 1 სარჩ.), აერამოს, აერაამოს 'Αβραμοι; ბეთლემი (წ. 5, თ. 9,2) || ვითლე-იმი, ვითლემო, ვითლეემო, ვითლეემი, ვითლემო, Βηθλεεμ; ბაბკლონი (წ. 1, თ. 4,3) || ვეკლონი Βαβυλωνια; ბაბკლონელნი (წ. 1, თ. 6,2) ბაბილოვ-ნელნი (წ. 10, თ. 2,2) || ვეკლონელნი Βαβυλωνιοι; ებრაელნი (წ. 1, თ. 1,2...) [11 ჭერ | | ევრაელნი 'Εβραιοι; ლიბანი (წ. 1, თ. 6, 2) || ლიენო Λιβανος.

⁷ ნ. შახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, თბილისი, 1965, გვ. 29.

⁸ „-ი ბოლოკიდრით არის გადმოცემული ქართულში... ის ბერძნული სახელები, რომელთაც ნომინატეში ჰქონდათ -ης“ (ს. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული მშაყაცთა სახელებს გადმოცემისათვის ქართულში, „არლი“, თბილისი, 1925. გვ. 102).

რაც შეეხება β-ე შესატყვისობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმანში უმეტესად სწორედ იგი გვხვდება. იგი მრავლად დასტურდება ისეთ სახელებში, რომლებიც ძველთაგანვე ცნობილი იყვნენ ქართველთათვის და, ამდენად, მოსალოდნელი იყო, რომ მათში ბანი ყოფილიყო ნახმარი. მაგრამ ვინაინი ფორმა არის მათთვის ერთადერთი და ძირითადი:

ვენიაშენ (წ. 1, თ. 21, 3; წ. 2, თ. 6, 2...) Βενιαμίν; ვალამოს (წ. 4, თ. 6, 3—6—13) Βελαμωσ; ავესალომოს (წ. 7, თ. 1, 4; 3, 3...) Ἀβεσαλωμοσ და სხვა მრავალი.

Δ-ს შესატყვისობანი. „ქართული წყაროები ვერ ასახავს მ-ს ბიზანტიური წარმოთქმის თავისებურებას და გადმოსცემს მას ტრადიციულად, დ-თი“⁹.

იოსების თხზულების ქართულ თარგმანში β-დ შესატყვისობა უგამონაკლისოდ არის გატარებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ შემთხვევას, როდესაც მ-ს შესატყვისად გვევლინება ლ და მ: დალანის (წ. 1, თ. 15) Δαδάνη; ელმოლამოს (წ. 1, თ. 6, 4) Ἐλμολαμωσ.

რაც შეეხება ზ-დ შესატყვისობას, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება: დოიკოს (წ. 6, თ. 12, 1—4—6—8) Δάκωσ; დრუსო (წ. 15, თ. 9, 6) Δρουστωს და სხვ. მრ.

Γ-ს შესატყვისობანი. იოსების თხზულების ქართული თარგმანი არ აკეთებს გამონაკლისს იმ წესიდან, რომ „როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალურ ქართულ თხზულებათა ხელნაწერები არა მხოლოდ X, არამედ XI—XII საუკუნისა ცი ერთხმად იცავს γ-ს გადმოცემის პრინციპს [e] [i] ხმოვნების წინ ველარულ ხშულ გ-თი, ხოლო [a] [o] [u]-სა და თანხმოვნების წინ ველარულ სპირანტ დ-თი“¹⁰.

γ-გ: გილვეუ (წ. 6, თ. 14, 2) Γελβουε; გიონ (წ. 1, თ. 1, 3) Γων: სერგია (წ. 14, თ. 10, 10) Σεργία და სხვ. მრ.

γ-ლ.

ა) γა—ლა: ლალადინი (წ. 5, თ. 7, 8) Γαλαδην; ლავათა (წ. 5, თ. 1, 29) Γαβαθα და სხვ. მრ.

ბ) γი γა—ლო: ანტილონოს (წ. 13, თ. 10, 2...) Ἀντιωνωσ; ვალოს (წ. 11, თ. 7, 1) Βαλωσ და სხვ.

გ) γა—ლუ: რალუილოს (წ. 2, თ. 1, 2...) Ῥαλωιλωσ (ერთი შემთხვევა).

დ) თანხმოვნების წინ: აღრიპა (წ. 12, თ. 3, 2...) Ἀγριππασ; ელონი (წ. 5, თ. 4, 1—2—3) Ἐγλων; ტილისი (წ. 1, თ. 1, 3) Τιλιωს და სხვ. მრ.

ნ. მახარაძე γ—ი მეტად იშვიათი შესატყვისობის ორ მაგალითს ასახელებს იოსების თხზულების ქართული თარგმანიდან: იეთრონად Γεθρααμη (ფლავ. 114v), ივილოს Γιβλω (ფლ. 74v)¹¹.

„იეთრონ“-ის შესატყვისად თხზულების ბერძნულ ტექსტში ძირითად ფორმად დასტურდება Ἰεθრაω¹². ასევე, საკუთარ სახელთა საძიებელშიც ძირითადი ფორმა ამ სახელისათვის არის Ἰεθრაω¹³. სხვადასხვა ხელნაწერში დასტურდება განის შემცველი ფორმებიც: Γεθρααω ROM; Γεθρααμη ex. cod. vat. Hudson¹⁴.

ასევე, მეორე მაგალითშიც: ივილოს Γιβλω (ფლ. 74v)—ბერძნულ ტექსტში „ივილოს“ ძირითადი შესატყვისი არის Ἰβηλω¹⁵, საკუთარ სახელთა საძი-

⁹ ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 40.

¹⁰ ნ. მახარაძე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 48.

¹¹ იქვე, გვ. 50—52 (ნ. მახარაძესთან ადგილიმითითებულა A 675 ხელნაწერის მიხედვით).

¹² J o s e p h u s, J e w i s h Antiquities, London, MCMLXVI, V, გვ. 368.

¹³ Namenwörterbuch., გვ. 58.

¹⁴ J o s e p h u s, J e w i s h Antiquities, V, გვ. 370 (სქოლო).

¹⁵ იქვე, გვ. 32.

ებელშიც ძირითადი ფორმაა Ἡβηλις¹⁶, თუმცა ორ სხვა ხელნაწერში დასტურდება განიანი ფორმა: Γηβήλα ML (A. V, 321).

ასე რომ, მოსალოდნელია, ამ სახელთა ქართული ინიანი ფორმები მომდინარეობენ ბერძნული i და η-იანი და არა γ-იანი ფორმებიდან. ამიტომ, γ-ი შესატყვისობის ილუსტრაციისათვის იოსების თხზულების ქართული თარგმანის ნაკლებად გამოდგება.

X-ს შესატყვისობანი. „X-ს ქართულ შესატყვისთა არაერთგვაროვანება ნათელს ხდის, რომ X—XII საუკუნეთა ბიზანტიურ ბერძნულ წარმოთქმაში იგი არსებითად შეცვლილი ფონემაა.

X უკვე სპირანტია და საკმაოდ შესამჩნევ სხვაობას იძლევა პოზიციათა მიხედვით. სურათი ასეთია: [i] და [e] ხმოვნების წინ X-ს შესატყვისება „ქ“, ხოლო [a] [o] [u] ხმოვნებისა და თანხმოვნების წინ — „ხ“. ეს პრინციპი ძალიან მტკიცედ არის გატარებული და, გარდა ტრადიციით დამკვიდრებული უძველესი ნასესხობებისა, იშვიათად ირღევეს XII—XIII საუკუნეების ხელნაწერებშიც კი¹⁷.

იოსების თხზულების ქართული თარგმანის საკუთარი სახელები მხარს უჭერენ ამ სურათს:

X—ქ [i] ხმოვნის წინ: ასოქი Ἄσχαξ (წ. 13, თ. 12,4); რაქილა (წ. 1 თ. 19,7—8—9—11... Παχῖλα და ა. შ.

X—ქ [e] ხმოვნის წინ: ქეტტელი (წ. 7, თ. 12,2). χεταίος; მიქეა (წ. 8, თ. 14,5) Μιχαίος და ა. შ.

X—ხ [a] [o] [u] ხმოვნების წინ: ახავოს (წ. 8, თ. 12,5...) Ἄχαιος; ანობოს (წ. 1, თ. 2,2...) Ἄσχαξ; ხუსის (წ. 7, თ. 9,2—6) Χουσίος და ა. შ.

X—ხ თანხმოვნების წინ: მახმა (წ. 6, თ. 6,1—2; წ. 13, თ. 1,6) Μαχμά; ახრაათოს (წ. 11, თ. 6,7) Ἄχραθίος (სულ ორი შემთხვევაა X-ს ხმაერებისა თანხმოვნების წინ).

დასტურდება ორი სახელი; რომლებშიც [i] ხმოვნის წინ X გადმოდის არა ქ-თი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ხანით. მაგრამ ორსავე შემთხვევაში ქართულ ფორმაში ხანის შემდეგ დგას არა [i], როგორც ეს იყო ბერძნულ ფორმაში, არამედ ო და ა ხმოვნები, რომელთა წინაც სწორედ ხანია მოსალოდნელი და არა ქ: მესხო (წ. 1 თ. 6,1) Μέσχη; ახამანოს (წ. 7, თ. 11,4). ἌΧίμανος.

სახელები, რომელთა ნომინატივს ქართულ თარგმანში ბერძნული სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა წარმოადგენს. „იუდეველთა სიძველათა“ ქართულ თარგმანში არცთუ იშვიათია საკუთარ სახელთა პარალელური ფორმების ხმაერება. ეს ფაქტი იმით არის გამოწვეული, რომ, მართალია, უმრავლეს შემთხვევაში ქართულ თარგმანში ფუძის სახით აღებულია ბერძნული სახელის ნომინატივის ფორმა, მაგრამ დასტურდება მავალითები, როდესაც ბერძნული სახელის გენეტივის ან აკუსატივის ფორმა არის მიჩნეული თარგმანში შესატყვისი სახელის ფუძედ. ხშირ შემთხვევაში გენეტივის ან აკუსატივის ფორმით ნახმარ საკუთარ სახელს არ ეძებნება ნომინატივის ფორმიანი პარალელი.

1. გენეტივის ფორმიანი სახელები: დანიტიდოს (წ. 7, თ. 2,2) ἢ დანის Δανίς; ἡδ Δανίτιδας A, 7₈₈¹⁸; ტანიდიოს (წ. 1, თ. 8,3) Τάνις; Τάνιδος A, 1₁₇₀; ლატიდოს (წ. 5, თ. 1,1) ἢ ლატი Γαδίς; Γάνზიς A, 5₃;

„თარგმანის დროს ისე ძლიერია დედნის გავლენა, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე სახელი ან სიტყვა სხვადასხვა ძირეული ბოლოკიდურით მოგ-

¹⁶ Namenwörterbuch... გვ. 58.

¹⁷ ნ. შ ა ხ ა რ ა ძ ე, ბიზანტიური ბერძნულის წარმოთქმის საკითხები, გვ. 59.

¹⁸ ბერძნულ ფორმებს ემორწმუნებ: J o s e p h u s, Jewish Antiquities., ტ. IV—IX, London, MCMLXVI.

ვევლინოს იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმა წარმოადგენდა მთარგმნელისათვის გამოსავალ წერტილს¹⁸.

სწორედ იმიტომ, რომ -ოც და -იჲ ბოლოკიდურიან სახელებში მთარგმნელისათვის რიგ შემთხვევაში ამოსავალს წარმოადგენს ნომინატივის ფორმა, რიგ შემთხვევაში -ოს დაბოლოების მქონე გენეტივი, ეს სახელები პარალელური ფორმით არიან წარმოდგენილნი: ხან -ოს და -ის დაბოლოებით, ხანაც -ო ბოლოკიდურით:

ავრამოს (წ. 1, თ. 7, 2...) || ავრამო (წ. 1, თ. 8, 2...) 'Αβραμᾶς; აქიტოფელოს (წ. 7, თ. 9, 5—6—8) || აქიტოფელო (წ. 7, თ. 9, 2—5—6—7) 'Αχιτοφελος.

ხშირად -ოს ბოლოკიდურიანი სახელები მხოლოდ -ო დაბოლოებით არიან წარმოდგენილნი და -ოს ბოლოკიდურიანი პარალელური ფორმა არ მოეპოვებათ:

ამორეო (წ. 1, თ. 6, 2) 'Αμορραῖος; ედომო (წ. 2, თ. 1, 1) 'Εδωμοῦ და ა. შ.

ასევე, -იჲ ბოლოკიდურიანი სახელები ზოგჯერ -ო დაბოლოებით არიან წარმოდგენილნი, არის რა მათთვის ამოსავალი მხ. რ.-ის გენეტივის ფორმა: ეფრემო (წ. 2, თ. 6, 1; 7, 4) || ეფრემი 'Εφραῖμης; იეთრანო (წ. 7, თ. 15, 1) 'Ιεθραῖνος; იოადო (წ. 7, თ. 5, 4) 'Ιωαδῶν და ა. შ. (სულ 17 სახელია).

2. აკუზატივის ფორმიანი სახელები: ამათუნტა (წ. 13, თ. 13, 3) 'Αμαθουντᾶ—აკ. ბრ.: 'Αμαθουντα A, 13₃₆; ალარინ (წ. 1, თ. 10, 4) || ალარი 'Αλαρη—აკ. ბრ.: 'Αγαρη A, 1₁₈₇; ელლადა (წ. 12, თ. 10, 6...) 'Ελλᾶδᾶ—აკ. ბრ.: 'Ελλᾶδα A, 12₄₁₄; მოაეტიდანი (წ. 13, თ. 15, 4) || მოაეტი Mωαβιτις—აკ. ბრ.: Mωαβιτιδης A, 13₃₈₇; პტოლემიდა (წ. 13, თ. 2, 1) Πτολεμαῖδᾶ—აკ. ბრ. Πτολεμαῖδα, A, 13₃₆.

სულ 41 მაგალითია, როდესაც ბერძნული სახელის აკუზატივის ბრუნვის ფორმა მიჩნეულია ქართული სახელისათვის ფუძედ.

ენაში მიმდინარე ამა თუ იმ ფონეტიკური პროცესის ანალოგიური ცვლილებები თარგმანში წარმოდგენილ საკუთარ სახელებში:

1. ასიმილაციური ცვლილებები: ნომმა (წ. 6, თ. 12, 6) Νομβᾶ; რუვიმიტიელნი (წ. 9, თ. 8, 1) 'Ρωβιμιτῆται; რუვიმოს (წ. 1, თ. 18, 8) || რუვილოს 'Ρωβιλλος; სუმანეოს (წ. 10, თ. 1, 2) Σουμαναῖος; ელიდას (წ. 1, თ. 15, 1) 'Εβιδᾶς; ასტკახოს (წ. 10, თ. 11, 4) 'Αστωκῶν.

2. ორმაგი თანხმოვნების გადმოტანა: ფრანდა (წ. 1, თ. 18, 2) Φάραγγα; ელნადი (წ. 9, თ. 1, 2) 'Εγγαδῆ; ლანგისი (წ. 1, თ. 1, 3) Γάγγης; ტონგისო (წ. 14, თ. 10, 13—19) Τόνγισος; ანგეა (წ. 11, თ. 4, 7) || ანგია (წ. 11, თ. 4, 5) 'Αγγαῖος; ანგითი (წ. 7, თ. 1, 4) 'Αγγιθῆ; ვოკქიას (წ. 8, თ. 1, 3) Βοκκῖας; ვრატოს (წ. 14, თ. 10, 13—19) Βρατῶς; საქქია (წ. 10, თ. 7, 1—2—3—4...) Σακκῖας; სალდუმოს (წ. 10, თ. 8, 6) Σαλδουμος; ქეტტეო (წ. 1 თ. 6, 2) Χετταῖος; ასპიოს მინას (წ. 14, თ. 10, 19) 'Ασπιος Μηνᾶς.

3. დისიმილაციური დაკარგვის მსგავსი ცვლილებები: ახანის (წ. 10, თ. 10, 2) 'Ασχανῆ; ესტაბოს (წ. 11, თ. 3, 1) 'Εσταβος; პასინოას ხარაი (წ. 1, თ. 6, 4) Πασινου Χαραῖ; გითა (წ. 14, თ. 15, 10) Γιθθα; ვიზითო (წ. 12, თ. 10, 2) Βηζιθῶν; თალაფალასაროს (წ. 9, თ. 12, 3) Θαλαφλασαρῶς; ლიკა (წ. 1, თ. 6, 2) Λικῆ; კარპუნიოს (წ. 14, თ. 10, 10) Καρπουνιος.

4. მეტათეზისი. ფლავიოსის ქართულ თარგმანში საკუთარ სახელებში დასტურდება როგორც კონტაქტური, ასევე დისტანციური მეტათეზისის ჩამდგნიმ შემთხვევა.

¹⁸ ს. ყ ა უ ხ ი მ ვ ი ლ ი, ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, გვ. 90.

ა) კონტაქტური: სომეოს Σείαιος (წ. 15, თ. 7,4) (¶ სომეოს): იუდიოს Ἰουδαίος (წ. 10, თ. 8,6); იაკობოს Ἀϊχάμας (წ. 10, თ. 9,1); ელენოს Ἐδναίος (წ. 8, თ. 15,2): კორკელოს მთა τῶν Κορβήλων (წ. 1, თ. 3,6); თორღამოს Ἐσυχράμης (წ. 1, თ. 6,1): თორღამელნი Ἐσυχράμῆται (წ. 1, თ. 6,1); ევთინია Βιθυσία (წ. 14, სარჩ. № 32): ნირგელასაროს Νιργελάσαρος (წ. 10, თ. 8,2).

ბ) დისტანციური: ისახამოს Ἰσαμαχίος (წ. 3, თ. 6,1); ვათელ Βαλέθ (წ. 8, თ. 6,1): ამათალოს Ἀμαθῆσις (წ. 11, თ. 6,5—12).

5) ხმოვანთა რედუქცია. „ხმოვანთრედუქცია ხდება მეტწილად ბგერათ-კომპლექსში „თანხმ. + ხმოვ. (ა, ე ან ო) + სონორული თანხმოვანი“, რომელშიც ხმოვნის რედუქცია დაკავშირებულია არა სიტყვათმხვილის გავლენას, არამედ კომპლექსის მომდევნო ხმოვანს. საყურადღებოა, რომ ხსენებულ ბგერათკომ-პლექსში სონორულის ნაცვლად შეიძლება იყოს ე: ალბათ იმიტომ, რომ იგი ძლიერ უაბლოვდება აკუსტიკურად სონორულს“²⁰.

მოვიყვანთ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ზემოთ აღნიშნულ პოზიციებში დადასტურებულ ხმოვანთა რედუქციის შემთხვევებს: ფლაის (წ. 4, თ. 2,2) Φλαῖσος; ხასლევი (წ. 12, თ. 5,4-7-6) Χασιλέφ; სერვეოს (წ. 11, თ. 3,10) Σερβείος; თესვონი (წ. 8, თ. 13,2) Θεσβώνη.

თარგმანში ზშირია ხმოვნის დაკარგვა. შესაძლებელია, ეს ხდება ხმოვანთა თავმოყრის თავიდან აცილების მიზნით:

ა) იკარგება η პოზიციებში ხმოვ. + η + სონორი: ზოდმილოს (წ. 11, თ. 4,2) Ζοδμίηλος; ლალინელნი (წ. 13, თ. 13,4) Γαλλήνοι; მარულოს (წ. 1, თ. 3,2) Μαρονήος; ინაზილოს (წ. 9, თ. 1,2) Ἰναζήλος; იეზევილოს (წ. 10, თ. 5,1; 6,3; 7,2; 8,2) Ἰεζεβήλος.

ბ) სხვა პოზიციებში: ზავადა (წ. 9, თ. 1,1) Ζαβαδίας; ზევედოს (წ. 5, თ. 1,10) Ζεβείδιος; სავეოს (წ. 15, თ. 3,2) Σαββίνας; ესტეოს (წ. 1, თ. 3,9; 4,3) Ἐστει-αῖος; იოზა (წ. 10, სარჩ.): Ἰωαζός; ლუკულლოს (წ. 14, თ. 7,2) Λεούκιος; იო-ზანია (წ. 10, თ. 9,2) Ἰωαζανίας.

ყველა ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, მთარგმნელის ან გადამწერის უბრალო შეცდომასთან გვექონდეს საქმე, რადგან ამ მოვლენას სისტემატური ხასიათი არა აქვს: მსგავს პოზიციებში ხმოვანი შეიძლება შენარჩუნებული იყოს.

6. თანხმოვანთა სუბსტიტუცია.

ა) სონორების ურთიერთმონაცვლეობა:

v/მ—ელიკამ (წ. 9, თ. 12,1) Ἐλικάμ.

β/მ—არამათა (წ. 10, თ. 8,2) Ἀραβθῆ; აქაიმას (წ. 10, თ. 3,1) Ἀχιμῆ; ამე-ლოქია (წ. 7, თ. 11,4) Ἀβελახῆ; ამასა (წ. 9, თ. 6,1) Ἀβασῆ; ამინდამოს (წ. 6, თ. 1,4) Ἀμινθῆσις.

λ/ნ—ნემონია (წ. 14, თ. 10,1) Νεμωνία.

μ/ნ—ეტსან Ἀτζამ (წ. 5, თ. 8,8).

μ/ვ—ავიტელი (წ. 10, თ. 5,2) Ἀμιτάλη; ახავონ (წ. 8, თ. 15,4) Ἀχάμας; ვასიამოს (წ. 9, თ. 12,1) Ἀβασίας; ტოვანი (წ. 10, თ. 5,2) Ταμῆνη; ზარვენს (წ. 5, თ. 6,5) Ζαρμῆνη.

ბ) მონაცვლეობა წარმოების რავგარობის მიხედვით:

მ—ღ: ლოლიადოს (წ. 6, თ. 9,5) Γολιάθας (¶ ლოლიათოს).

Δ—თ: არითეოზ (წ. 5, თ. 1,23) Ἀριθεῖται.

Θ—ტ: ვეტილი (წ. 8, თ. 8,9) Βήθηλα (¶ ვეთილა).

კ—ქ: ქეფირიტნი (წ. 5, თ. 1,16) Κεφηριταῖ; ვოსქეთი (წ. 10, თ. 4,1) Βοσ-
ჯემ...

²⁰ გ. ა. ხ. ვ. ლ. ი. ა. ნ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლად, თბილისი, 1942, გვ. 215.

χ→კ: მისაკი (წ. 10, თ. 10, 1) Μισάχγ.

7. თანხმობანთა რედუქცია. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში საკუთარ სახელებში დადასტურებულია რამდენიმე შემთხვევა β-ს დაკარგვის ხმოვანთა ვარემოცვაში: აქინადაის (წ. 8, თ. 2, 3) 'Αχινάαβας; ახაის (წ. 7, თ. 5, 2) 'Αχαβας (≠ ახავოს); ათანდილო (წ. 10, თ. 11, 2) Ναβιζήηλης; ისტოს (წ. 7, თ. 6, 1) 'Ιτασθίς; აქიაოს (წ. 15, თ. 7, 8) 'Αχιζήσθις; ელიასოს (წ. 11, თ. 5, 4) 'Ελιζάβθις; მირეონ (წ. 6, თ. 6, 6) Μειρεθιον.

ტექსტის არასწორი წაკითხვის გამო დამახინჯებული საკუთარი სახელები:

1. სახელისმდებელნი სამთავ: აფერან, სურინ, იაფრან (წ. 1, თ. 15, 1). ... 'Αφεραν, Σούριον, 'Ιαφραν A, 1241.

აქვე, წ. 1, თ. 15, 1-ში, ოდნავ ქვემოთ, ეგვევ საკუთარი სახელები სხვა ფორმით არიან წარმოდგენილი: „ხოლო ორთავან, ფრათი და იაფეროანსგან— ქალაქ აფრა და სოფელი აფრისკი... ἀπὸ δὲ τῶν δῶο 'Ιαφρα τε καὶ 'Αφερα...

... A, 1241. „'Ιαφρα“ საკუთარ სახელს მთარგმნელმა ჩამოაცილა პირველი ორი ასო—Ια და მიუერთა მას მისი მომდევნო τε ნაწილაკი, რის შედეგადაც მიიღო საკუთარი სახელი „ფრათი“. რაც შეეხება მეორე სახელს, „იაფერო“-ს, შეიძლება გვევარაუდო, რომ ეს ვარიანტული ფორმა „აფერან“ სახელისა, რადგან ბერძნულში ძირითად ფორმას, „'Αφερα“, აქვს ვარიანტული ფორმაც, „'Ιαφερα“, მაგრამ რაკი ორი წინადადებით ზემოთ ნახმარია „აფერან“, ალბათ აქაც „აფერან“ იქნებოდა, καὶ კავშირის ἔκδοχή რომ არ მიეერთებინა მთარგმნელს „აფერან“ საკუთარი სახელისათვის.

2. „რომელსა ეწოდების მენილატ“ (წ. 8, თ. 7, 3) μὲν 'Ητιν A, 8186. მთარგმნელს ნაწილაკი μὲν მიუერთებია გეოგრაფიული სახელისათვის და გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად მიუღია „მენილატ“ ფორმა.

3. თხზულების ქართულ თარგმანში დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საკუთარ სახელს, ბერძნულისაგან განსხვავებით, თავში სანი აქვს დამატებული. ყველა ამ შემთხვევაში ბერძნულ ტექსტში ამ სახელს წინ უძღვის s-ზე დაბოლოებული სიტყვა. როგორც ჩანს, სწორედ ეს s ჩვენს თავს მომდევნო საკუთარ სახელში ზედმეტი სანის სახით. სოფირას (წ. 1, თ. 6, 4) Σαφας 'Οφειρη A, 1447; სავაროს (წ. 2, თ. 7, 4) Βάρης 'Αβάρος A, 2183; სავდა (წ. 8, თ. 12, 6) Σαυαδός 'Αβιδός A, 8315.

4. ურილად სახელდებულს... (წ. 1, თ. 6, 5) Οὐρη λεγομένη... A, 1331. როგორც ჩანს, მთარგმნელმა მომდევნო სიტყვის λ მიაკუთვნა Οὐρη საკუთარ სახელს და მიიღო არასწორი ქართული ფორმა: „ურილ“, ნაცვლად „ური“-სა.

5. იოსითევის (წ. 2, თ. 7, 4) 'Ιωσθαίος 'Ηϊούτης A, 2183. როგორც ჩანს, მთარგმნელმა 'Ιωσθαίος სახელის ბოლო ნაწილი -იოს მიუერთა მომდევნო სახელს 'Ηϊούτης-ს და მიიღო დამახინჯებული ქართული ფორმა: „იოსითევის“.

6. პრეტანიდოს (წ. 1, თ. 8, 3) πρὸς Τάνιδος A, 1370. მთარგმნელმა πρὸς წინდებულნი შეუერთა Τάνις საკუთარი სახელის აკ.-ის ბრუნვას და მიიღო დამახინჯებული ქართული ფორმა.

7. ტეტროლოდტიდ მიიწინეს... (წ. 1, თ. 15, 1) τε Τραχολοδεν... A, 1239. მთარგმნელმა τε ნაწილაკი მიუერთა ბერძნულ საკუთარ სახელს და მიიღო დამახინჯებული ქართული ფორმა.

8. დაადგრა საჯან ქალაქსა შინა (წ. 10 თ. 9, 1) καὶ 'Ιερεμίας μὲν κατέμεινεν ἔς; 'Αδναν (L-V)²¹ A, 10158. εἰς წინდებულის ἔς შეერთებულია 'Αδναν სახე-

²¹ L=Codex Laurentianus plut. (9. ccd. 20. cent. XIV. v=Codex Vaticanus gr. nr. 147. cent. XIV.

ლისათვის და მიღებულია „სადანა“ ფორმა.

9. ტიტანაჲ პაკარონისაჲ (წ. 5, თ. 1, 22). Γίταν δὲ Ἀχαΐων A, 5₉₇. როგორც ჩანს, მთარგმნელმა δὲ წინდებულის პირველი ასო α მიუერთა Γίταν გეოგრაფიულ სახელს, თანაც თავში გ-ს ნაცვლად დაწერა ტ, ხოლო მეორე ასო—π მიუერთა გეოგრაფიულ სახელს Ἀχαΐων-ს. შეიძლება ხელნაწერში გადაბმულად ეწერა ეს ორი სახელი და იმიტომ იქნა მთარგმნელის მიერ ეს შეცდომა დაშვებული.

10. რომელსა უამს ანტონიოს კესარიის მიერ კატაკტიონს იძლია (წ. 15, სარჩ. № 8) ἐν τῇ κατ' Ἀκτιον νικᾶται μάχῃ A, 8₅₄₀. თანდებული κατ' მიერთებულია გეოგრაფიული სახელისათვის.

11. ხოლო მიუყვანა უწინარესკაც ცოლი, სახელით დიმონტინ, დორის ნათესავისაგან (წ. 14, თ. 12, 1). ...γυῖατα δὴμῶν Δῶριν θύοια A, 14₃₀₀. „δὴμῶν“ ნიშნავს „იმავე ტომის ქალს“. მთარგმნელს იგი საკუთარ სახელად გაუგია, ხოლო ცოლის სახელი—Δῶριν ტომის სახელად. უნდა ყოფილიყო: ცოლად მოიყვანა მისივე ტომის ქალი, სახელად დორის.

ნათარგმნი საკუთარი სახელგებო. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არცთუ იშვიათია საკუთარი სახელები (პირთა და გეოგრაფიული), რომლებიც თარგმნილი არიან. ეს ხდება მაშინ, როდესაც ამ საკუთარ სახელს ბერძნულში საფუძვლად დაედო გარკვეული მნიშვნელობის საზოგადო სახელი, ე. ი. მაშინ, როდესაც ესა თუ ის პირის სახელი თუ გეოგრაფიული პუნქტი მიიჩნეის საზოგადო სახელად მისი გარკვეული მონაცემების გამო.

1. მიმყვანებლად მათმან მოკსი ჭევად წოდებულისადმი (წ. 3, თ. 14, 1) Ἀναγῆτων... εἰς τῆν καλοῦμένην Φάραγγα A, 3₃₀₀.

2. მისრულმან ადგილს, ... პირველად ვიდრემე არკიდ სახელდებულსა, ხოლო აწ კლდედ წოდებულსა (წ. 4, თ. 4, 7). ... Πῆτραν δὲ σὺν ὀνομαζομένην A, 4₈₃.

3. მიიწინეს ადგილსა რომელსამე, დაწუ ეწოდების აწ (წ. 5, თ. 8, 8). καὶ γενομένη κατὰ τὴν χερσὶν, δὲ Σιαγῶν καλεῖται A, 5₃₀₀.

4. ხოლო სამეფოა იქმნა მისდა მსოფლიოასა ვიდრემე ენისაებრ მანალი, ხოლო ელლინთა ენასაებრ ბანაკად სახელდებული (წ. 7, თ. 1, 3). ...Παραμυθίας λεγομένην A, 7₁₀.

5. ავიდოდა რაჲ იგი მთისა შორის ზეთისხილთაჲსა (წ. 7, თ. 9, 2). ...ταῦ Ἐλαίνωνι δρυῶν A, 7₂₀₂.

6. უბრძანა... არა ქონებაჲ გელმწიფობისაჲ განსლვად ნარლუევსა ნამოვანთასა (წ. 8, თ. 1, 5). ...τὸν χειρᾶρρον Κεδρῶνα A, 8₁₇.

7. პოენეს ივანი საშუვალ იეროსლკმათა და ელნადისა აღსავალისა, წოდებულა მწუერვალად (წ. 9, თ. 1, 2). ... Ἰερωμένη δ' Ἐδοχῆς A, 9₁₁.

8. კრკანოს... გარე-მოადგა... პტოლემოსს სამცველოსა შინა, წოდებულსა შემაწუდველი (წ. 13, სარჩ. № 15). Ἰρκανὸς... ἐπιτοῖρρησε τὸν Πτολεμαῖον εἰς τὴν φαρσίον ἐχλείνας Δαγῶν καλοῦμένου A, VII, 712.

9. ჯერ-იყო ჩემდა მოკემაჲ დამკვდრებულთაგან იუდეასა შინა და ადგილი სამთავროთაგან იუდიასა მახლობელთა, სამარაჲსა და ლალილეასა და წილ მყოფისაგან (წ. 13, თ. 2, 3). ...Συμαρείας καὶ Γαλιλαίας καὶ Περσείας... A, 13₃₀ პერსა = 1) ქვეყანა, რომელიც მდებარეობს საპირისპირო მხარეს. 2. Περσία—ადგილი პალესტინაში. ეს საკუთარი სახელი ქართულ ტექსტში ხან თარგმნილია, ხან არა.

10. დედოფალმან მოთვარემან, კლეოპატრად სახელდებულმან... (წ. 13, თ. 16, 4). ...βασιλεῖσα τῆν Σελήνην καὶ Κλεοπάτρα καλοῦμένη A, 13₄₃₀. აქ იგუ-

ლისხმება პტოლემოს ფეისკონის ქალიშვილი და მეუღლე პტოლემოს ლათურისა—Κλειοπίτρα Σελήνη.

11. **მორქინალო** იყო ძლიერთაა (წ. 13, თ. 16,5). ...ἐνθα Παλαιστῆς ἦν τῶν θύνατων A, 13₄₂₄.

12. მიწინეს რაა ლელეს, გმირთად წოდებულსა... (წ. 7, თ. 4,1). ...τῆς ποιλᾶα τῶν Γυζάνων A, 7₁₁.

13. ...სერტუანთა შინა, წოდებულთა გოდებისად... (წ. 7, თ. 4,1). ...αἰς καλομέσους Κλασθμῶσ:... A, 7₂₈.

14. სიმონ იყო იეროსოლკმელი, ძე ალექსანდრიელისა ვისმე, შემწიხა (წ. 15, თ. 9,3). ... Ἱεροσολμῆτς υἱὸς Βοηθῆα A, 15₃₂₀.

15. წარვიდა, მის თანა მიმყევანებელი მსახურისა მისისაა მცველხხაა (წ. 5, თ. 6,4). πεισθεῖς δὲ ἦε Φρουρῶν τὸν ἔαυτὸν ἄραπῶντα παραχρῆσῶν A, 5₂₁₈.

ბევრი ეს სახელი ჩვენთვის სწორედ ნათარგმნი სახით არის ცნობილი, რადგან ბიბლიაში ისინი ასე არიან წარმოდგენილნი. მაგრამ იოსების თხზულების მთარგმნელი იძლევა ისეთი სახელების თარგმანსაც, რომლებიც მანამდე ქართველი მკითხველისათვის უცნობი იყო.

ინფინიტივი, მასდარი და მიმდომბა

1. ინფინიტივი. ვითარებით ბრუნვაში მდგომი მასდარი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი მოვლენაა და ხშირად გამხდარა მსჯელობის საგანი. იმის გამო, რომ „ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ზმნისებურ კონსტრუქციებს ქმნის, რომლებიც წინადადებაში ინფინიტივისათვის დამახასიათებელ ფუნქციებს ასრულებენ“¹, იგი ქართულ ენაში ინფინიტივად არის მიჩნეული. რაც შეეხება ამ „ზმნისებურ კონსტრუქციებს“, რომლებშიც ვლინდება ინფინიტივის დამოკიდებულება პირდაპირ და ირიბ ობიექტთან, ისინი ინფინიტივი კონსტრუქციებად იწოდებიან².

მკვლევრები უკანასკნელ დრომდე წინადადებაში ინფინიტივის გამოყენების სამგვარ შემთხვევაზე მიუთითებდნენ. ესაა— დამატების, მიზნის გარემოების და შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით გამოყენება ვითარებით ბრუნვაში მდგომი მასდარისა³. „ბოლო ხანებში რამდენადმე დაზუსტდა ეს საკითხი და ზოგადად დამატების ფუნქციის ნაცვლად პირდაპირი და უბრალო დამატების ფუნქციები გამოიყო. ინფინიტივისათვის დამახასიათებელი ქვემდებარის ფუნქცია კი დღემდის შეუმჩნეველი რჩებოდა“⁴

ბერძნულ ენაზე დაწერილი თხზულების „ოუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში ინფინიტივი დასტურდება პირდაპირი და უბრალო დამატების, აგრეთვე მიზნის გარემოების ფუნქციით. გარდა ამისა, თარგმანში შეინიშნება ერთი საყურადღებო მოვლენა: ინფინიტივს ზოგ შემთხვევაში წინადადებაში ზმნის ვაგება აქვს.

¹ დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში. თბ., 1972, გვ. 4.

² იქვე, გვ. 43.

³ ა. შარტირიძე, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში, ივე VII, თბ., 1955, გვ. 49, 56; თ. შარტირიძე, მოქმ. და ეთ. ბრუნვის წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956, გვ. 426; 428. შ. ძიძიგური, წინადადების მასდარული კონსტრუქცია, პუშკინის სახ. თბ. სახ. უელ. ინსტ.-ის შრომები, ტ. 19, თბ., 1966, გვ. 91.

⁴ დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

1. ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით. ჩხუბიანიშვილი აკონკრეტებს იმ ზმნების სეგნტიკას, რომლებთანაც ინფინიტივი პირდაპირი დამატების როლში გვევლინება: „...ისინი არ გამოჩატავენ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას და, ამდენად, გულისხმობენ ობიექტად არა კონკრეტულ საგანს. არამედ ზმნას ან ნაზმნარ სახელს“³.

განსახლეულ თარგმანში ინფინიტივი პირდაპირი დამატების ფუნქციით იხმარება „ალირიჩედა“ „ეტყოდა“ და „კონენბდა“ ზმნებთან: „და ვენებათ უსამართლოსა და მოთმენად რასმე მძვნარეთაგანსა ალირიჩედა“ (წ. 2, თ. 4, 4) ... παθεῖν... συμπίνεῖν (A, 2₉₀). „ხოლო იგი მიწოდებულად ეტყოდა და მოლოდენად სამთა დღეთა შინა განსნასა საკრეულთაგან“ (წ. 2, თ. 5, 2). ... θαρρῆν... ἀπιστήθεσθα: (A, 2₈₈). „რამეთუ ჰკონენბდაცა მას გონიერებით უზემთაეს ქონებად“ (წ. 2, თ. 5, 1). ... πρῶτον (A, 2₈₆).

აქ გვინდა ცალკე შევჩერდეთ „ვედრება“ ზმნასთან ნახმარ ინფინიტივზე. წარმოშობით ეს ზმნა ორპირიანია: „ვედ ფუძისაგან ნაწარმოებია სტატიკური ზმნა მვედრის (იგი მე)... ჩაბარებული მაქვს, მყავს... ამ ფუძისაგან არის ნაწარმოები ვედრი („ჩანაბარები“) და ამისგან — ვედრება“⁴. ამეამად ამ ზმნაში თითქოს სამი პირის გავება არის მოცემული (ვედრასის მას მას), მაგრამ ორივე დამატება მასთან ბრუნვეუცვლელია, დგას მიც. ბრუნვაში: „ვედრა იოსიპოსს თხრობად“ (წ. 2, თ. 4, 3)... φράσαι (A, 2₇₀). „აწ უკუე მიმთხუელთა წიგნთასა ვევედრები გონებასა ღმრთისადმი ქონებად და გამოცდად სჯულისმდებელსა ჩუენსა“ (წ. 1, შეს. № 3). ... προσεγγῆτεν και θοισμαῖς (A, 1₁₃). „ვევედრებოდა ღმერთსა არა განმწარებად მისთვის“ (წ. 1, თ. 1, 4). ... μη χαλεπαῖσθαι (A, 1₄₈).

2. ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით. უბრალო დამატების ფუნქციით ინფინიტივის ხმარებას ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ერთი თავისებურება ახლავს, რომელიც, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს ამ თარგმანის სპეციფიკიდან: იმის გამო, რომ თარგმანში ბერძნული დედნის გავლენით დიდი რაოდენობით დასტურდება ზმნური მნიშვნელობების მიმღეობები, ინფინიტივი უბრალო დამატების როლში გვევლინება არა ზმნასთან, არამედ მიმღეობასთან: „ხოლო მომავალსა დღესა, კუალად მსმენელმან განვლად ეთერსა ქუეშე, რამეთუ ესრეთ ცნას, რაჲ ჯერ-არს ყოფად“ (წ. 8, თ. 13, 7)... ἀκούσας... προελθῆν (A, 8₅₁). „არა ჯერ-არს ჩუენ შეცთუნებულთა. ო მეფე, უმეცრებაჲ, არამედ ჰუმბარიტისა მხილებაჲ, რამეთუ იუდეულთა სჯულსა არა გარდაწერად მხოლოდ, არამედ დაგარდათარგმნადაცა მნებებელთა, მონებასა, ვითარ სათნო-არს შენთვის, რომლისა სიტყვსა მტუმვეელთა ვიმოქმედოთ ესე, მრავალთა იუდეულთა სამეფოსა შესა შინა“ (წ. 12, თ. 2, 2)... οὐ μετῴψαται... μεθῄρησται... διεγνώσκει... (A, 12₂₀). „ხოლო ყოველივე. უფროჲსა ამისგან ვინმე ისწავოს მოთხრობისა, მნებებელმან წიადს ღვად ამას, ვითარმედ ღმრთისა ვიდრემე ნებასა შედგომილთა და არა მკადრეთა სჯულდებულთასა გარდას ღვად, ყოველივე წარემართების“ (წ. 1, შეს. № 3). ... ἐπιλεῖσας τὸν... διελεῖν... παραβῆσθαι (A, 1₄₄).

კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია თარგმანისაგან. ინფინიტივის ხმარება უბრალო დამატების ფუნქციით მიმღეობასთან, როგორც ჩანს, არ არის გავრცელებული ნათარგმნ ძეგლებშიც კი, რადგან მთარგმნელები, როგორც წესი, ითვალისწინებენ ქართული ენის ბუნებას და ზმნური მნიშვნელობის ბერძნული მიმღეობები ძირითადად ზმნის პირიანი ფორმებით ვადმოაქვთ ასე იქცევა, მაგალითად, იოანე პეტრიწი, როდესაც თარგმნის პროკლე დიადო-

³ დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

⁴ ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 122.

ხოსის თხზულებას „კავშირნი“⁷. დ. ჩხუბიანიშვილი, ანალიზებს რა დიდძალ მასალას (როგორც ორიგინალურ, ასევე ნათარგმნ ძეგლებს), ასკენის, რომ ინფინიტივი უბრალო დამატების ფუნქციით ძირითადად გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება⁸.

3. ინფინიტივი მიზნის გარემოების ფუნქციით. ამ შემთხვევაშიც თითქოს გარკვეული კანონზომიერება შეინიშნება: ინფინიტივი მიზნის გარემოების ფუნქციით იხმარება ზმნის აღწერით ფორმასთან ან მიმღებობასთან. ბერძნული ღედნის შესატყვისი ადგილას ზოგჯერ ქართული აღწერითი წარმოების ნაცვლად დასტურდება მიმღებობა: „უძლურ-იქმნებოდა გარდაცვალებად კაცსა“ (წ. 15, თ. 7,2). *ἀσθενέσθε·επειθ εἰς τὸ μεταστροφήσθαι τῆς ἀνθρώπων* (A, 15₂₁). „აღძვრასა ღედაკაცისასა პყრობად მოსწრაფე იყო და ვნებასა მისსა გონებადმი მიქცევად“ (წ. 2, თ. 4,5)... *ἐπέχρην ἐπειράτο καὶ ἐπατρέφει·...* (A, 2₆) „ფარაოთის, მეფე ეგვიპტელთაჲ, არა კმაყოფილი მის ძლით თქუშულთა ზედა, არამედ და ხოლვადცა, მზა იყო შეხებად“ (წ. 1, თ. 8,1) ... *σπαιδάζει ὄντα τῶν ἀψαύσθαι·...* (A, 1₈₈). „დაწყებასა თანა ღდისასა, შესრულნი თაყუშნისცემად ღმრთისა მათისა, ჰპოებენ მას ამას მოქმედსა“ (წ. 6, თ. 1,1) ... *εἰσίδυτες ... παροχυσῆσαι·...* (A, 6₂).

4. ინფინიტივი ზმნის მნიშვნელობით. ინფინიტივი, რომელსაც ზმნის გაგება აქვს და, ამდენად, წინადადებაში შემასმენლის ფუნქცია ეკისრება, სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის არსად არ არის აღნიშნული. მთარგმნელები, ისეთებიც კი, რომლებიც ღედანს ძალიან ზუსტად შისდევენ, ზმნური მნიშვნელობის მქონე ბერძნულ ინფინიტივსა და მიმღებობას ძირითადად ზმნის პირიანი ფორმით თარგმნიან. რაც შეეხება იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ ენაზე მთარგმნელს, მას ბერძნული ღედნის პირიანი ზმნის გაგების მქონე ინფინიტივი თუ მიმღებობა თარგმანში ძირითადად ისევე ინფინიტივითა და მიმღებობით გადმოაქვს, გეთავაზობს რა უზმნო წინადადებებს და აზრს საკმაოდ ბუნდოვანს ხდის. ეს ფაქტი ჩვენ კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ამ ძეგლის თარგმანი არაქართულ გარემოში სრულდებოდა.

როგორც ცნობილია, ბერძნულ ენაში არსებობს ისეთი კონსტრუქციები, სადაც ინფინიტივს აკისრია შემასმენლის ფუნქცია. ასეთია *Accusativus cum infinitivo* (მას გავრცობილი პირდაპირი დამატების გაგება აქვს. ქვემდებარე ავტობიტივია, ინფინიტივი კი შემასმენლის ფუნქციას ასრულებს) და *Nominativus cum infinitivo* (ესაა დამატებით დამოკიდებული წინადადება, რომლის ქვემდებარე სახ. ბრში დგას, შემასმენელი კი ინფინიტივია)⁹. ასეთი კონსტრუქციების თარგმნისას ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით ინფინიტივი წესით პირიანი ზმნით უნდა გადმოვიდეს. ჩვენი ძეგლის მთარგმნელს კი ზმნური მნიშვნელობით ნახშირი ინფინიტივი ძალიან ხშირად ისევე ინფინიტივით გადმოაქვს: „ესეოდენი საღმე წინაგანგებამ მის აქუნდა ღმერთსა და კეთილბედნიერობისა ზედმოურნეობამ, ვიდრე და საგონებელთაჲ მისდა საწუნელთაგან გარდამატებულებასა კეთილთასა მიწებად და ქმნად მიზეზსა მშობელთა ჩუენთა ეგვიპტით გამოსლვისასა მისსა და მისგან ქმნილობასა ესევითარითა მიზეზითა“ (წ. 2, თ. 2,1) ... *τὸ θεῖον ... ἄν ... ἀπαρσχεῖν καὶ ποιῆσαι ...* (A, 2₆).

⁷ ნ. კეკელიძე, პროკლე ღაღაბოსის „კავშირნი“. ძველი ქართული თარგმანი, ფილოლოგიური ნარკვევი, საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1948. გვ. 309.

⁸ დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

⁹ ა. ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969, გვ. 309—310.

აზრი წინადადებისა ასეთაა: ღმერთი იმდენად ზრუნავდა მასზე და მის კეთილ-დღეობაზე, რომ ის, რაც მას საწუბელად მიაჩნდა, საკეთის სახით მიანიჭა და იგი და მისი შთამომავლები ვახდა მიზეზად ჩვენი წინაპრების ეგვიპტიდან გამოსვლისა, შე-სატყვისა ბერძნული წინადადების ქვემდებარე დგას აკუზატივში (τὸ Θεῖον), გარ-და ამისა, ბერძნულ დედანში არის ოცნაწილაკი, რომელთანაც, როგორც ჩანს, ინ-ფინიტევი სწორედ ზმნის მნიშვნელობით იხმარება¹⁰. ოცნაწილაკიანი ინფინიტე-ვის შემცველი წინადადება, რომელიც მთარგმნელმა უხმნოა, ინფინიტევის მემ-ვეობით გადმოიღო, კიდევ გვაქვს თარგმანში: „ვიდრეულა შესმენათა ვიდრემე და ზრახვათა არა რ წ მ უ ნ ე ბ ა დ ამიერითგან, არცა რომელთა სხუანი რწმუნებულ ხელაყოფენ, არამედ ს ქ ა დ, რაოდენნი უწყუნის მოქმედებულად მათ მიერ და ტ ა ნ ქ ვ ა დ, უუეთელ ესეეთიარნი იყვნენ, სოლო გ ა ნ მ ა რ თ ლ ე ბ ა დ, უუეთ-თუ სხუებრ მქონებელ-იყვნენ საქმეთა მათთა და არა მეტყუელთა რწმუნებითა“ (წ. 11, თ. 6, 12)... ἡπίων ... ὁ ... πρὸς ἐχθ... πειθεῖν... ἀρξίνειν... ἀλλά... ἡχρηθεῖται (A. 11^{πβ}). ე. ი. „ამიერიდან ჩვენ არ ვირწმუნებთ დასმენებასა და ცილისწამე-ბებს, რაშიც სხვები ეცდებიან ჩვენს დაჭერებას, არამედ განვსჯით მათ ჩადენილის მიხედვით და დაესჯით, თუ დამნაშავენი იქნებიან და გავამართლებთ, თუ ღირსნი იქ-ნებიან“.

როდესაც სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება ინფინიტეური კონს-ტრუქცია, როგორც წესი, წარმოდგენილია პირიანი ზმნა და ინფინიტევიც, რო-მელიც ფორმის თვალსაზრისით შეესაბამება გარდამავალ თუ გარდაუვალ ზმნას და ამიტომ აქვს უნარი შეიწყოს ქვემდებარე თუ ობიექტი და შექმნას ინფინი-ტური კონსტრუქცია¹¹. ამგვარი ინფინიტეური კონსტრუქციები იქმნება ჩვენს ბეგლში მასშინაც. როდესაც ინფინიტევი წინადადებაში თვითონ ასრულებს ზმნის როლს და, ნით უმეტეს, შეიწყობს ქვემდებარესა თუ ობიექტებს. ზემოთ მოყ-ვანილ მაგალითებში ინფინიტევი წარმოდგენილია ძირითადად პირდაპირი დანატებები ან პირდაპირი დამატება არ არის წარმოდგენილი და იგულისხმება (ასეთი ვითარებაა მეორე წინადადებაში: „სჯად... ტანჯვად... განმართლებად“ ინფინიტევიებთან იგულისხმება პირად. დამატება: მათ).

დავკმაყოფილებით მოყვანილი მაგალითებით და ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბერძნული დედნის პირიანი ზმნის შესატყვისად ქარ-თულ თარგმანში ინფინიტევი იხმარება. მთარგმნელი, როგორც ჩანს, ისე გაუშინა-ურდა ინფინიტევის ხმარებას ზმნური მნიშვნელობით, რომ ამას უკვე ქართული ენი-სათვის ბუნებრივად მიიჩნევს: „ნუცა აქა ჰყოფობ, ნუცა სახედველად ჩემდა შემე-მთხუევი, არამედ მამულად შენდა წარსრული აგარაკთა შინა ც ხ ო რ ე ბ ა დ“ (წ. 8, თ. 1, 3)... ἀλλ' εἰς τῆν πατριῶν πορευσθεῖς ἐν τοῖς ἀγροῖς ἕψθ' (A, 8¹⁰). ე. ი. „გაეშურე შენს მამულში და იცხოვრე შენს სოფელში“. „არა ჩემისა მადლისა მიერ მ ი ლ ე ბ ა დ და ღმრთისა არა მსჯავრისაგან. დასდებს მას სამუველ განსარჩევე-ლად მნებებელთა“ (წ. 4, თ. 2, 4) ὁ μῆς ἐξ ἔμψης χάρτιος λαβῶν ἀλλὰ μὴ κατὰ ἀρισ-θῆεν (A, 4²⁹). აქ საუბარია იმაზე, რომ „მიუხედავად იმისა, რომ აარონმა ეს თა-ნამდებობა მიიღო არა ჩემი მეშვეობით, არამედ ღმრთის შემწევობით, იგი უარს იტყვის მასზე და დაუთმობს ისტორველებს“. „ამათთჳს თითოეული ამათი, ვითარ საგონებელ არს მათდა გ ა მ ო ო ო ე ბ ა დ (წ. 3 თ. 11, 4) ἀλλὰ περὶ μὲν τοῦ τρω-ἔατος ὁ ἀντὶ δόξαι σχοπεῖται (A, 3²⁸⁸) ე. ი. „თვითთველმა, როგორც საკიროლ

¹⁰ ა. უ რ უ შ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 308.

¹¹ დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 73 — 99.

მიჩნის, ისე გამოიძიოს“. ამ შემთხვევაში ინფინიტივთან დაკავშირებულია სახ. ბრ-ში მდგომი ქვემდებარე.

II. მას და რ. ვარდა იმ არსებითი განსხვავებისა, რომელიც არსებობს ვითარებით ბრუნვაში მდგომ მასდარსა (ინფინიტივის) და ჩვეულებრივ მასდარს შორის (კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ინფინიტივის მიერ ზმნური კონსტრუქციის შექმნის უნარი), მათ შორის ბევრი საერთოცაა: ბერძნული დენის ინფინიტივი მთარგმნელს გადმოაქვს ხან ინფინიტივით, ხან კი—მასდარით და მათი ფუნქციები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, რადგან მასდარიც წინა-დებდაში გვხვდება ქვემდებარის, პირდაპირი და უბრალო დამატების ფუნქციით: „ეგვიბტელთა... შეემთხვა ევრაელთა მიმართ ბორთად და დ ე ბ უ ლ ე ბ ა ე“ (წ. 2, თ. 9,1)... *εγωβηθησαν* (A, 2₀₁) (ქვემდებარის ფუნქციით). „...სხუათა... ნერგათგან უბრძანა გემება, ხოლო ნერგისაგან გონიერებისა — შ ო რ ს ქ ო ნ ე ბ ა ე“ (წ. 1, თ. 1,4) (პირდ. დამატების ფუნქციით). „...რომლისა გამო ჭეროვნად ვჰგანე მღვდელთმთავრისა უკუე მ ი მ ს გ ა - ე ს ე ბ ა ე დიდსულობისა, ხოლო მეფისა მრავალთა მსგავსად შ ე რ ა ც ე გ ე ა და აწცა ყ ო ფ ა ე სწავლისმოყუარეთა, რამეთუ არცა იგი ესწრა ყოველსავე ძიებდნენ წერილსა“ (წ. 1, შეს. № 3) ... *μυθησθησαν: ... επιλαβειν ... ελπειν ... λαβειν* (A, 1₁₂). ამ შემთხვევაშიც მასდარები პირდაპირი დამატების ფუნქციის მატარებელი არიან. აზრი წინადადებისა ასეთია: რის გამოც შესაძლებლად ჩავთვალო მიბაძვა მღვდელთმთავრის დიდსულოვნებისათვის და ფიქრი, რომ დღესაც არსებობენ იმ მეფის მსგავსი სწავლისმოყვარენი, რადგან ვერც იგი ვერ მოესწრო საღმრთო წერილის თარგმნას. „და ესე იყო მიზეზი ა რ ა ც ხ ო ვ ნ ე ბ ა ე მრავალთა, მიზეზსა განუტოლოვისასა არა მქონებულთა“ (წ. 1, თ. 3,5) ... *μυθησθησαν* (A, 1₁₂) (უბრალო დამატების ფუნქციითა).

III. მიმღეობა მიმღებური კონსტრუქცია არ არის უცხო და იშვიათი რამ ძველი ქართული სათავის. როგორც წესი, იგი ცვლის განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას განკერძოებული განსაზღვრებით¹². არის მეორე ტიპიც მიმღებური კონსტრუქციისა: შედგენილი შემსამენლის სახელად ნაწილად გამოყენებულია მიმღეობა.

იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში უხვად გვხვდება მიმღებური კონსტრუქციები ორივე ზემოდსახელებული ფუნქციით. გარდა ამისა, მიმღეობა იხმარება იქაც, სადაც ქართული ენისათვის გაცილებით ორგანული და გასაგები იქნებოდა პირიანი ზმნის ხმარება. განვიხილოთ სამივე ეს შემთხვევა ცალ-ცალკე.

1. მიმღებური კონსტრუქცია განკერძოებული განსაზღვრებების რაოდენობის რაოდენობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმღებური კონსტრუქცია შეიძლება შეენაცვლოს რთულ წინადადებაში დამოკიდებულ წინადადებას (ძირითადად განსაზღვრებითს) და განკერძოებული განსაზღვრების რაოდენობაში აღმოჩნდეს: „უბრძანა ყრმათა, მ ე ყ უ ს ე უ ლ ა დ და მ ფ ე ნ ე ლ თ ა კ არ ა უ ლ ი ს ა თ ა, მზად შემზადება მისი და წარსლებისა მიმართ“ (წ. 8, თ. 9,1)... *ετοιμασθησαν: (A, 8₂₇)*. „იგი ვიდრემე უკუე, ა დ ს რ უ ლ ი ს ი მ ა დ ლ ე ს ა ზ ე და ქ ა ლ ა ქ ი ნ ა ს ა, აღმოუწოდდა ძესა, მ წ ყ ლ ვ ე ლ ი მ კ ე რ დ ი ს ა ე, დამფხუ-

¹² კ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განეთარების ისტორიიდან ძველ ქართულში, თსუ შრომები, XXXVII, 1949; დ. ჩხუბიანიშვილი, ზოგადი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცემებისათვის ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961; დ. მელიქიშვილი, დასახ ნაშრ., გვ. 191—194.

რელი თავისა და ყოვლითურთ თავსა თვისსა მტანჯველი“ (წ. 7 თ. 10,5)... ἀναβὰς ... τυπτόμενος ... σπαρττόμενος ... ἀξιζόμενος (A, 7₂₅₂). „ხოლო დაწყნარდა რაჲ შფოთი, რახანი, შთამომყეანებელმან მამაკაცთამან და ტანჯვასა, რომელი ცხოვრებისა მათისათს მოითმინოს, მეტყუელმან, რამეთუ, პყრობილი და მფარველი მათი, არა განველტოს მეფისა მიერსა რისხვასა, ...მვედრებელმან ქსენებასა ქონებად, რაჲმს დადგენ მპყრობელად ხანანელთა ქუეყანისა, ოდეს შემძლებელ-იყუნნ, ნაცვალ-აგონ მას აწისა ცხოვრებისათს“ (წ. 5, თ. 1, 2) ... καταγυῖσθα ἀποστῆσαι ἀποστῆσαι παρακαλῆσασα καταστάντες (A, 5₁₁).

ყველა ზემოთ მოყვანილ მაგალითში და იმ მაგალითებშიც, რომლებიც კიდევ უხვად შეგვიძლია მოვიყვანოთ, თარგმანში წარმოდგენილ მიმღეობებს ბერძნულ დედანშიც მიმღეობები შეესატყვისება.

აი, რას წერს ლ. მილიქიშვილი ამგვარი შემთხვევების შესახებ: „რთული წინადადების შეცვლა მიმღეობური კონსტრუქციით ერთ-ერთი საშუალებაა რთული კონსტრუქციებისაგან ენის განტვირთვისა. სამაგიეროდ, ასეთი მიმღეობური კონსტრუქციები, ჩვეულებრივ, განკერძოებული განსაზღვრებებით ტვირთავს ენას. ასეთ შემთხვევაში შემასმენლის როლს მიმღეობა ასრულებს და, ამგვარად, ზმნა კიდევ ერთხელ უკუგდებულობა წინადადებიდან“¹².

2. მიმღეობა შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია ყველგან, სადაც თარგმანში დადასტურებულია მიმღეობური კონსტრუქცია განკერძოებული განსაზღვრების როლში, ბერძნულ დედანშიც შესატყვისადგილას მიმღეობასთან გვქონდა საქმე. რამდენადმე სხვა ვითარებაა, როდესაც თარგმანში მიმღეობა შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ბერძნული დედნის შესატყვისადგილას დასტურდება: ა) პირიანი მარტივი ზმნა, ბ) ინფინიტივი, გ) აღწერიითი წარმოება (მიმღ. + მეშე. ზმნა). მოვიყვანთ თითოეული ამ შემთხვევისათვის რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითს:

ა) „ხოლო ყრმაჲ, ქსენებისა მიერ ვითარსა ყურელ არს შემთხვევად ყრმათა... შეიტკობს იაკოვოს“ (წ. 1, თ. 19, 4... φιλῆι (A, 1₂₉₁). „... დამორუნჯელ არიან...“ (წ. 4, თ. 3,2 ... πατισει (A, 4₄₈). „მქონებელ არიან...“ (წ. 1, თ. 19,8) ... ἔχουσιν (A, 1₃₁₀).

ბ) „უკუეუთუ მეორესა ვედრებასა მიელოდი, ესე ქმნილ არსცა, ჴმეტისა თანა მოსწრაფებისა, რამეთუ სნეულებაჲ მიზეზებულ არს“ (წ. 2, თ. 4,3). ... προφασίαι (A, 2₄₇). „... სარგებელ ექმნეს...“ (წ. I შეს. 126 4) ... ἀπαρτήσθαι (A, 1₂₀).

გ) სულ რამდენიმე შემთხვევა დასტურდება, როდესაც თარგმანის აღწერიით წარმოებას დედანშიც აღწერიითი წარმოება შეესატყვისება: „მოძულე იყენეს იულაჲს თესლისა“ (წ. 11, თ. 4,3). ἔτρχαγον ἀπεχθανόμενοι (A, 11₈₄). „ვკითხო მანლობელადსა ნათესავსა ჩემდა მყოფსა, უკუეთუ იყოს მისდა სამარქორწინებად შედგომად შენი“ (წ. 5, თ. 9,3) ... γένοι τυχθένοντα (A, 5₂₉₁).

ამგვარად, იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში შედგენილ შემასმენელთა სიუხვეს მხოლოდ ბერძნული დედნის გავლენას ვერ დავაბრალებთ.

¹² ლ. მილიქიშვილი. ოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 192.

ვ. მიმღეობას აქვს ზმნის გაგება.

ა) იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში დასტურდება ისეთი შემთხვევები, როდესაც იხმარება მიმღეობა იქ, სადაც გაცილებით გასაგები და ქართული ენისათვის ორგანული იქნებოდა ზმნის პირიანი ფორმის ხმარება. ზოგჯერ მიზეზი ბერძნული დედანია, სადაც შესატყვის ადგილას მიმღეობაა, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დედანში პირიანი ზმნაა, თარგმანში კი—მიმღეობა: „ხოლო შემდგომად აღსრულებისა მისისა პალესტინელთა იპყრნეს ისრაილთა და ხარკთა მიიხუმიდეს მათგან წელთა ორმოცთა, ხოლო ამის ქირისა განმათავისუფლებულნი იქნენ ამგვარად“ ... τὰς τῆς δ' ἑξήσφιερσινται (A, 5273). „და ღამე ყოველი მივიდეს ვითსად და მისრულნი ზღუდეთა თანამბრძოლთასა და შთამომღებელნი სხეულსა საულოასასა და ყრმათა მისთასა, მიმღებელნი იავისად (წ. 6, თ. 14, 8), ე. ი. „ჩამოიღეს ... მიიტანეს ...“ χαμῖδσιν ... αομῖδσιν ... (A, 6278). „და ვინაჲთგან ესეითარი დასასრული იქმნა და ამისა ც ბრძოლისაჲ სათნო-უჩნდა, და განმზრახველსა მოხუცებულთა თანა ... მოწოდებაჲ თანმონათესევეთაჲ... და წარსულთაჲ კართათიარმად აღმოყვანებაჲ კილობანსა ღმრთისასა მისგან“ (წ. 7, თ. 4, 2) ე. ი. განიზრახა ... συμβουῖσασαμένφ (A, 728).

ბ) არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბერძნული დედნის ვნებითი გვარის მომავალი დროის მიმღეობა ქართულ თარგმანში გადმოსულია ვითარებით ბრუნვაში მდგომი საწყისის ან მიმღეობის მეშვეობით, რომელთაც აქვთ მომავალი დროის ზმნის გაგება: „ყოველთა კაცთა ერთგზობასა გოდოლი ალაშენეს ვიეთმე მალალი, ვითარ ცად მიმართ აღმავალადთა მის მიერ“ (წ. 1, თ. 4, 3) ... ἀναβῆσθμενοι (A, 1118) = „რათა ცაში ასულიყვნენ მისი მეშვეობით“ . „და ილის ყრმანი ერთსა შინა დღესა მოკუდინებადნი და მღღელობაჲ გარდაცვალებადნი ელეაზაროჲს სახლად, რამეთუ ილის ჩემისა განსუენებისა უმეტეს ძენი და გარეშე უმჭობებისა მათისა შეიყუარნა (წ. 5, თ. 10, 4) = „მოკვდებიან და მღღელობა გადაევა“ ... μετελευσόμενοι (A, 5350). „მის თანა მყოფ ხართ აწ, მბრძოლადნი ღმრთისა მიერ გამორჩეულთანი მეფობად და ქუეყანასა მიმღებელადნი ჩემდა მყოფსა, რამეთუ ესე ვიდრე აქამომდე იეროვოამოს უსამართლოებით აქუს (წ. 8 თ. 11, 2) = „რათა შეებრძოლოთ ... რათა ჩამომართვით...“ πειλεμήσονται ... ἀφαιρησόμενοι (A, 8277).

ასეთი შემთხვევები (განსრულებადთაჲ... შობადთაჲ... ვნებადთაჲ) ნ. კეპალმაძის დადასტურებული აქვს იოანე პეტრიწის თარგმანშიც და თვლის, რომ მათ აწმყო დროის ვნ. გვ-ის მიმღეობის ფუნქცია აკისრიათ¹⁴. რაც შეეხება დ. მელიქიშვილს, რომელმაც ამგვარ ფორმებს „შესაძლებლობის მიმღეობა“ უწოდა, მას მიაჩნია, რომ ისინი დღესაც ხშირად გამოიყენებიან სწორედ ვნებითი გვარის მყოფადის მიმღეობის შინაარსის გადმოსაცემად¹⁵.

გ) იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არის შემთხვევები, როდესაც მიმღეობისაგან ნაწარმოებ აბსტრაქტულ სახელს, დასმულს მიც. ბრ.—ში, აქვს ზმნის გაგება. ამ შემთხვევაში ბერძნულ დედანში მას მიმღეობა შეესატყვისება ხოლმე: „ხოლო ამისა სახედველად არა მოსრულობასა, არამედ

¹⁴ ნ. კეპალმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 299.

¹⁵ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

ღრმასა შინა ბნელსა და ფარულობასა, ხოლო ზედა კერძო მისსა სულისა მსრბოლოობასა, ნათლის ქმნაჲ ბრძანა ღმერთმან“ (წ. 1 თ. 1,1)...*ἐρχομένης ... κρητισμένης ... ἐπιμύθησας* (A, 1₂₇). ეს ადგილი ბიბლიის ქართულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი: „ხოლო ქუეყანაჲ იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი ზედა უფსკრულთა. და სული ღმრთისაჲ იქცეოდა ზედა წყალთა. და თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი“¹⁶. „დაიწუნეს ცეცხლისა მათ ზედა მიმართებოსა მყოფელობასა და მუცლისა და წინა კერძოჲსა მათისა წუჟვად და მწყებელობასა და დაშრეტად არავის მიერ შეძლებასა და იგინი ვიღრემე ესრეთ მოკუდეს“ (წ. 3, თ. 3,7). ... *τῆν ἄρμην βλασόντας ... φλέγειν ἄνθρωπον ἀρτῆμας αἰὶν ὀφείσται μνησθῆναι ὁμοιωμάτων ..* (A, 3₂₀₉₋₂₁₀). ე. ი. „ცეცხლი მოედო მათ... დაიწყო მათი დაწვა... არავის შეეძლო ცეცხლის ჩაქრობა“. „ხოლო მათსა ამათ შინა მყოფელობასა... და ურთიერთარს მიზეზთა, რომელთათვის დაისაქნეს. მკითხველობასა“ (წ. 2, თ. 5,1)... *ὅθεν ... ἀναπυρσθαιόμενα* (A, 2₂₇). „ესევეთარსა აღტანასა ჩუენებისა მისდა იოსიპოსა მოქმედებასა კეთილსაობით მყოფი“ (წ. 2, თ. 5, 3) ... *τοιούτων πικρῶμάτων τὸν ἰσθητῆρα κερὶ τῆς θύρας. ἐκείνῃ τῆν ἀπόφασιν* (A, 2₇₀)-„აუხსნარა“.

მიწელობათაგან აბსტრაქტული სახელების წარმოება სათანადო სუფიქსების მეშვეობით არ არის უცხო ძველი ქართული თარგმანებისათვის¹⁷, მაგრამ მიღებული განყენებული სახელების ზმნური მნიშვნელობით ხმარება ჩვენი თარგმანის სპეციფიკას უნდა წარმოადგენდეს.

დამატების ბრუნვები ინფინიტივთან და სახელზმნასთან.

ძველ ქართულში ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდართან და მიწეობის ფორმებთან ყოფილი პირმიმართი დამატების მიერ თავისი ბრუნვების — მიცემითისა და სახელობითის შენარჩუნება კ. კეკელიძეს პეტრიწონული სკოლის წარმომადგენელთა ერთ-ერთ დამახასიათებელ ენობრივ თავისებურებად მიაჩნდა¹⁸. შემდგომმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ეს არ იყო მხოლოდ პეტრიწონული სკოლის წარმომადგენელთა თავისებურება, რომ „ამ მოვლენის ახსნა ძველი ქართული ენის ბუნებაში უნდა მოვნახოთ... დამატების მიცემითი და სახელობითი ბრუნვის ფორმით არსებობა სახელზმნასთან მიგვიითხებს იმაზე, რომ ეს უქანასკნელი ჯერ კიდევ მჭიდროდაა დაკავშირებული ზმნასთან და ზმნურ ძალას, ფუნქციას ინარჩუნებს. იგი, მართალია, ბრუნებად ფორმალაჲ ქცეული, მაგრამ დროის გაგებას ინახავს და რომელი დროის ზმნადაც ითვლება, იმ დროის დამატებას მოითხოვს“¹⁹.

იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში ვით. ბრ-ში დასმულ მასდართან დამატება დგას ძირითადად მიცემით ბრუნვაში. ეს ხდება, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ, როგორც ნ. კეკელიძე აღნიშნავს მის მიერ გამოცემული ძველის შესახებ, ჩვენს თარგმანშიც „მიმღებები და მასდარები უმეტესად აწყო დროში იგულისხმება“²⁰. ზემოთ, ინფინი-

¹⁶ მცხეთური ხელნაწერი, დაბ. 1,2—3, ტექსტი გამოსკვამად მოაზნადა, გამოკვლევა და საძიებელი ლაურო ე. დოჩანაშვილიშა, თბ., 1981.

¹⁷ ნ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

¹⁸ ე. კეკელიძე, ქართული თარგმანი გორგი ამარტოელის ხრონოგრაფისა, ეტრუდები, I, თბ., 1956, გვ. 252—253.

¹⁹ ნ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 309.

²⁰ იქვე, ეპ. 311.

ტივზე მსჯელობისას მოყვანილ მაგალითებში, მრავლად იყო წარმოდგენილი დამატება მიც. ბრ-ში, ამიტომ აქ საილუსტრაციო მასალას შეზღუდული რაოდენობით წარმოვადგენთ: „...მძლეველი მათი... და დამმორჩილებელი, ვიდრე და ძალსა ცა მათსა ყოვლითურთ და მ და ბ ლ ე ბ ა დ და ბ რ ძ ა ნ ე ბ ა დ ხ ა რ კ ს ა მ ი ვ დ ლ მ ა თ ი ვ ა ნ “ (წ. 5, თ. 4,1). „ვითარ არა ირწუნებდა ამისსა ქმნასა, განმაზრახებელისაგან ჰყრობად თავსა თესსა და არა დევნად, ...მოაკუდინა“ (წ. 7, თ. 1, 3).

„წარვიდეს უკუე, მიცემად სიმტკიცესა მამცნებელისასა“ (წ. 2, თ. 6,8). „თანმისრულმან ვეერსავის თანა, ცოლსა. უძლებქმნა იგი“ (წ. 7, თ. 7,4). „ბჭესა განმლებელნი მეყუსეულად სიმაღლისა თანა და სრბისა მრავლისა, მტერთა ზედა გამოვიდეს“ (წ. 7, თ. 7,1). „იჩემა სნეულებაჲ ქმრისა მიმართ, მომნადირებელმან განმმართებასა და მოცალეობასა იოსიპოს ვედრებისა მიმართ“ (წ. 2, თ. 4,3).

შედარებით იშვიათია მიცემით ბრუნვაში მდგომი დამატება საწყისთან. ამ ფაქტს ი. იმნაიშვილი იმით ხსნის, რომ საწყისმა უფრო ადრე გაწყვიტა კავშირი ზმნის პირიან ფორმებთან, ვიდრე მიმღეობამ²¹. მოვიყვანთ საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს: „გარეშე ისაკოას ნებისა უბრძანა მას, თიკანთა დამოკლევსა, სერსა შემზადებაჲ“ (წ. 1, თ. 18,6). „აღუთქუა მთავრობასა მით უაღეაჲ“ (წ. 5, თ. 7,2). „ხოლო ისაკოას, ორთქოც წლის ქმნილისაჲ. მამასა ავრამოსს ცოლსა მოყვანებაჲ ეგულებოდა მისა“ (წ. 1, თ. 16, 1).

თარგმანში იშვიათია ნათესაობით ბრუნვაში მდგომი დამატების ხბარება ვით. ბრ-ში მდგომ მასდართან. როგორც ჩანს, ამ ძეგლის თარგმნის პერიოდში ინფინიტიური კონსტრუქცია ჭერ კიდევ მტკიცედ ფეხმოკიდებულ მოკლენას წარმოადგენდა, რადგან „ნათესაობითისა და ნანათესაობითარი ვითარებითის ხმარება ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდართან ინფინიტიური კონსტრუქციის რღვევის, თანდათანობითი გადაშენების ნიშანია“²². მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს განსახილველი თარგმანიდან: „აღძრეასა დედაკაცისასა ჰყრობად მოსწრაფე იყო“ (წ. 2, თ. 4,5) „შესრულნი თაყუანისცემად მართისა“ (წ. 6, თ. 1, 1). „არა ჩემისა მადლისა მიერ მოლებად“ (წ. 4, თ. 2,4). „მოსწრაფე იყო რწმუნებადი იოსიპოასა“ (წ. 2, თ. 6,4).

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ მოყვანილ ყველა მაგალითში, სადაც ინფინიტივთან დაკავშირებული სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას, ინფინიტივი ასრულებს ან უბრალო დამატების, ან მიზნის გარემოების ფუნქციას. როდესაც „ინფინიტივი წინადადების მეორეხარისხოვან წევრს ენაცვლება, ზმნის გავლენა მასზე არ ვრცელდება“²³, ე. ი. ინფინიტივი უფრო თავისუფალია და ზმნა არ კარნახობს მას დამატების ბრუნვას.

იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მიმღეობასთან (ერთ შემთხვევაში საწყისთან) ყოფილი პირიმიმართ დამატება სახ. ბრ-ში დასტურდება. ასეთი რამ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული არ არის. ჩვენი აზრით, თარგმანში ამ შემთხვევაში ადგილი აქვს არა სახელ-ზმნის მიერ შენარჩუნებულ უნარს ზმნის მართვისა, არამედ ბერძნული დედნის გავ-

²¹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 693.

²² დ. ჩხუბიანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 80.

²³ იქვე, გვ. 81.

ლენას, სადაც ეს სახელები აგრეთვე სახელობითი ბრუნვის ფორმით არიან წარმოდგენილი: „და ფიცნი რაჲ უკუე სრულ-იქმნენ, აღმკოცელი სახელი ტყავისაგან, ფილსა შინა დასწორავს“ (წ. 3, თ. 11,6) ... *ἀπαλειψας τὸν σωμα ἐξ ψιδίου χαλκῆς* (A, 372). „უკუნ-ვიდა სიმრავლე ისრაილიტთაჲ, ... მთხრებლთა და ქუბათა შინა განმყოფელი ყოველი, რომელი განველტო მბრძოლთა“ (წ. 5, თ. 5,1). *ἀπαθῆσας τὸ καὶ σπῆλαια ποιησάμενοι πᾶν ἔτι τοῦς πλεμῆσους ἐμψυγῆς* (A, 521). „და თანად წარაველნდეს სოფლითი-სოფლად მაუწყებელთა რქითა ცხოვართაჲთა, რამეთუ ამათ მიერ იყო მამული სიმრავლე წოდებისაჲ“ (წ. 5, თ. 4, 3) ... *τῶν τοῖς γὰρ συγκαλεῖν, τὸ πλῆθος πάτριον* (A, 519).

ამგვარად, ოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში წარმოდგენილი ინფინიტივისა და მიმღობის ფორმების განხილვის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: გარდა იმისა, რაც ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში და რაც ჩვეულებრივია ძველი ქართული ენის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლებისათვის, ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანი გარკვეულ თავისებურებას ავლენს ამ სფეროში: ინფინიტივი და მიმღობა ხშირად ზმნის მნიშვნელობის მატარებელი არიან, რაც, ჩვენი აზრით, მიუთითებს იმაზე, რომ მთარგმნელისათვის ბერძნული კონსტრუქციებით აზროვნება ორგანული და ბუნებრივი იყო და რომ თარგმანი არაქართულ გარემოში სრულდებოდა.

ძალკები

საბერძნეთში არსებულ ქართულ სამწერლობო კერებში მოღვაწე ქართველი მთარგმნელები ბერძნული ენის დიდ გავლენას განიცდიდნენ

მაღალი პროფესიული დონისა და განათლების მქონე მთარგმნელებმა თარგმნის ძირითად პრინციპად, მართლაც, დედანთან უაღრესი სიახლოვე მიიჩნიეს, მაგრამ ეს პრინციპი მათ მეცნიერულ დონემდე აიყვანეს. ამის შესანიშნავი მაგალითია XI საუკუნის უდიდესი მოღვაწის, დიდი ერუდციის მქონე მთარგმნელის, ეფრემ მცირის მოღვაწეობა. „ეფრემის თარგმანი „მასვე პირსა იტყოდა“, რაც დედანში იყო მოცემული — არც ორიგინალის აზრი იცვლებოდა, არც მისი ლიტერატურული ღირსებანი იჩრდილებოდა და არც ქართული ენის კანონები ირღვეოდა“¹.

ეფრემის საქმის გამგრძელებელმა, იოანე პეტრიწმა, რამდენადმე კორექტივი შეიტანა ეფრემის მიერ შემუშავებულ მთარგმნელობით მეთოდში: იოანე პეტრიწისთვისაც, ისევე როგორც მისი დიდი წინამორბედისათვის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედანთან სიახლოვეს, მაგრამ იგი ამას ეფრემისაგან რამდენადმე განსხვავებულად აღწევს — ქართული ენის კანონების ფარგლებში ქმნის ახალ, მანამდე უცნობ ენობრივ ფორმებს². ამიტომ მკვლევართა ერთი ნაწილი პეტრიწის ენას ხელოვნურად მიიჩნევს³.

¹ პეტრე იბერელი, შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დუროსი საშინ ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 0147.

² დ. შელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1961, გვ. 6; ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ენა, იოანე პეტრიწის წყაროები, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, თბ., 1940, გვ. 211.

³ М а р р Н. Я., Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века (ЗВО, т. XIX). СПб., 1909, с. 34; კ. კეკელიძე, ქართული თარგმანი გიორგი ეპარტიელის ხრონოგრაფისა, ვტულები, 1, 1956, გვ. 252; კ. კეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიისიტოსა მატრიოდანე ზეკრანელ მტრობოლორისაჲ, ტფ., 1920, გვ. 12; კ. კეკელიძე, ქართული ლტ.-ის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 292.

ეგრემ მცირე და იოანე პეტრიწი ძველი ქართული მწერლობის უდიდესი ფიგურები არიან. ბუნებრივია, ყველა მთარგმნელი ვერ იქნებოდა მათ დონეზე. ეს უკანასკნელნი, ცდილობდნენ რა დაეცვათ ამ დიდი ავტორიტეტების პრინციპი დედანთან სიახლოვისა, უკიდურესობაში ცვიოდნენ და თავიანთ თარგმანებს ბერძნული ფორმების კალკეით ავსებდნენ. ამ მხრივ, ვფიქრობთ, სანტერესო უნდა იყოს იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანი, რომლის მთარგმნელს თარგმნის ძირითად მეთოდად კალკირება გაუხდია. თარგმანის ენის შესწავლა ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ აძნელებს ტექსტის გაგებას დედანთან უკიდურესი სიახლოვის მიღწევის ცუდად ხორცშესხმული ცდა.

1. მორფოლოგიური კალკები

1. ნაცვალსახელს გვიხრება ქცევის კატეგორიის გამოხატვა

ბერძნულ ზმნაში ქცევის კატეგორია არ გამოიყოფა და კუთვნილებით დამოკიდებულებას ხშირად ნაცვალსახელი გამოხატავს⁴. ის, რაც ბუნებრივია ბერძნული ენისათვის, არაბუნებრივია ქართული თარგმანისათვის, რადგან ქართულ ზმნას გააჩნია ქცევის კატეგორია და სრულიად ზედმეტია ამ ფუნქციით ნაცვალსახელის ხმარება. მაგ.: „იიუს... მოყუარეთა თანა განუსსეებდა თავსა თვსსა მოგზაურობისაგან“ (წ. 9 თ. 6,4) *Ἰησοῦς ...σὺς τοῖς φίλοις ἐξήστῃν ἐκ τῆς βίβης ἀναχθεῖσθαι* (A, 9123). უ. ი.: განისუენებდა. „და წამალი შთადევა ენასა მისსა ქუეშე“ (წ. 1 თ. 1,4) *...ὁὕτως ἐπέφυγε ὑπὸ τῆς ψάττασ ἀντὶ* (A, 150). უ. ი.: შთაიღვა.

მსგავს შემთხვევებზე, კერძოდ, ბერძნული დედნის გაცვლით „თავი“ პირის ნაცვალსახელის ზედმეტ ხმარებაზე მსჯელობს ზ. სარჯველაძე და სთანადო მაგალითები მოჰყავს ნათარგმნი ტექსტებიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში „თავი თვის“ იხმარება ზმნასთან, რომელშიც გამოხატულია ქცევის კატეგორია, ე. ი. „თავი თვის“ აქ კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვის დამხმარე და არა ძირითადი საშუალებაა.

ბერძნულ ენაში ზმნაში კუთვნილების გამოხატვა ზოგჯერ არც ნაცვალსახელის მეშვეობით ხდება. ამგვარ შემთხვევაში ხშირად ქცევა თარგმანში წარმოდგენილ ზმნაშიც არ აისახება: „რამეთუ ესე... განადგა მაკედონთა“ (წ. 13, თ. 10,1) *...ταῦ Μακεδόνων ἀπέχετο* (A, 13273). უ. ი.: განუღვა. „ათორმეტთა უკუე წელთა მმონებელნი...; მეათსამეტესა განადგეს“ (წ. 1, თ. 9,1) *...ἀπέσπουσ* (A, 1173). უ. ი.: განუღგეს.

2. ზმნაში ობიექტური პირი არ აისახება

„ქართული ზმნის ფორმაში, თუკი ზმნა საზოგადოდ დამატებას მოითხოვს, აუცილებლად გამოხატული უნდა იყოს ქვემდებარის გარდა დამა-

4 ა. შანიძე თვლის, რომ ქცევის კატეგორიის გვარიდან გამოთიშვა იმიტომ ვერ ხერხდება, რომ ბერძნულში ეს კატეგორია მკაფიოდ გამოხატული არ არის, ბევრგან წაშლილია განსხვავება სათავისო ქცევის ფორმასა და ენებითი გვარის ფორმას შორის (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 353).

5 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ურთიერთობა უცხო ენებთან (ხელნაწერი), გვ. 30—31.

ტების პირი (შინაგანი დამატება). ამიტომ ქართული ზმნის ფორმა ზოგჯერ მთელს ვრცელ წინადადებას შეიცავს ხოლმე: ქვემდებართა, შემასმენლითა და დამატებითურთ⁶.

ბერძნული ენა ერთ-ერთი იმ ენათაგანია, სადაც ზმნას აქვს აბსოლუტური (სუბიექტური) აგებულება. კ. დანელიამ დაწვრილებით შეისწავლა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვლინდა უცხოენოვანი წყაროების გავლენა ამ სფეროში ქართულ ზმნაზე და დაასკვნა, რომ: „ქართული რელიგოზიური (სუბიექტურ-ობიექტური) აგებულების ზმნასთან უცხო ენათა აბსოლუტური (სუბიექტური) აგებულების ზმნის კონსტრუქციის შეწყობის შედეგად მიღებულია ნარევი, კონტამინაციური სინტაქსური კონსტრუქცია“⁷. ე. ი. მოხდა შერწყმა ბუნებრივი ქართული კონსტრუქციისა (ზმნაში ჩანს ობიექტის ნიშანი) და იმ ენის კონსტრუქციისა, საიდანაც ხდებოდა თარგმნა (თანდებულებიანი კონსტრუქცია). მაგ.: განმეშორენით ჩემგან (განმეშორენით მე + განეშორენით ჩემგან)⁸.

რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, ბერძნული ენის გავლენა ამ სფეროშიც უკიდურესობამდე არის მიყვანილი: ადგილი აქვს არა უბრალო გავლენას უცხოენოვანი კონსტრუქციისა და გამოსავლის სახით ენისათვის ასე თუ ისე მისაღები ფორმის გამომუშავებას, არამედ წმინდა სახის კალკს: იმის გამო, რომ ბერძნულ ზმნაში ობიექტური პირი არ აღსახება. ქართული ზმნის რამდენიმე ნათარგმნ ფორმაშიც მთარგმნელმა არ წარმოადგინა და ამით ზმნას დაუკარგა I ობიექტური პირი. შეუცვალა მას შინაარსი: იქნება შთაბეჭდილება, რომ საუბარია არა I, არამედ III პირზე: „არამედ რომლისა დიდისა ბოროტისა მოქმედელ წარწყმედელ და საჯერს მოყუარეთა შვნთა, ეტყოდა... (წ. 10, თ. 7,6). „...ἀλλὰ τὸ δὴ μέγα κακὸν εἰργασμένον ἀποστήσασθαι δεικνύσασθαι ὅτι οὐ φιλοῖ, φησί... (A, 10₁₂₄). აქ იერემია წინასწარმეტყველებს, რომ არაფრის ჩამდენი სასიკვდილოდ გამწირესო.

„არა ამას მხოლოდ ეუსამართლოა ჩემსა შენდა მიმართ, მეუფეო, პატივმოყუარებასა, არამედ და შეასმინაცა და იტრუმეტყუელა ბოროტისმოქმედმან“ (წ. 7, თ. 11,3). ὅτι τοῦτο δὲ μόνον ἔδειχθη μοι τῆς ἑσθῆς: ὅτι ἐπίστα, εὐσέβειαν, ἀλλὰ καὶ προσεβίβαιε καὶ κατεψέυσσαστο κακοῦργον (A, 7₂₈₈). უ. ი.: „შემსმინაცა“.

3. ნაცვალსახელთა კალკირება

ბერძნულ ენაში ხშირად ხდება ზმნიზედა, რომელიც ნიშნავს „პირადად თავისთვის“, იხმარება პირის ნაცვალსახელთან ერთად და იძლევა კუთვნილებითი ნაცვალსახელის გაგებას. იოსებ ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს შეეძლო ამგვარ შემთხვევაში ეხმარა მარტივად კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, მისი, მათი. მაგრამ მან სხვა გზა აირჩია: აზრის უფრო ზუსტად გადმოცემის მიზნით მთარგმნელმა ორი ნაგენეტივარი კუთვნილებითი ნაცვალსახელის შეერთებით მიიღო ახალი სიტყვა, ისევე და ისევე კუთვნილების გამოსახატავად: მისი + თვისი = მისთვის; ჩემი + თვისი = ჩემთვის; მათი + თვისი = მათთვის და ეს მიღებული ერთეულები ბრუნებულ სიტყვებზედა აქცია. მაგ.: „მრავალთა ნიჭთა მიმცემელმან ჩემ თსთაგან, ორთავე სარ-

⁶ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზ., I, თბ., 1957, გვ. 117.

⁷ კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, მაცნე, 1975, № 4, გვ. 79.

⁸ იქვე, გვ. 81.

გებელ ვიზრუნვე“ (წ. 15, თ. 5,3)... *ὁ δὲ το μὲν* (A, 15₁₃₂) = ჩემი საკუთრებიდან, ჩემთაგან. „ხოლო ექორწინა ცოლსა, ...სახელით იეზაველას, რომლისაგან მისთვისთა ღმერთთა თაყუანისცემა ისწავა“ (წ. 8, თ. 13,1) ...*ταὺς ἰδὺς ἀπ᾽ ἧ;* (A, 8₃₁₇) = მისთა, მისი მშობლიური. „...ხოლო ძლევასა არა უმცირეს მათთვისად იტყოდა, ვიდრე აღმკვდრებულთად“ (წ. 5, თ. 6.6) ...*ἀπ᾽ αὐτῶν...* *ὁ δὲ αὐτῶν* (A, 5₂₃₀) = მათთვის.

თარგმანში „მისთვისთა“, „მისთვისნი“-ს ხმარების ისეთი შეშფოთებებიც დასტურდება, როდესაც ბერძნული ღედნის შესატყვის ადგილას ფიგურირებს მხოლოდ ნაცვალსახელი ან ზმნიზედა *ἰακύνθη* და არა ჩანს „*ἰδὲ*“ ზმნიზედა. ე. ი. მთარგმნელმა, გააკეთა რა ერთხელ ბერძნულის კალკი და ორი ნაცვალსახელის შეერთებით მიიღო ახალი ფორმა, დანერგა მისი ხმარება: „...ყოველთა შემკზადებდა თანადადგრომად იევოსთოესა და დადგრომილ იყენეს კმასაყოფელსა ეამსა მისთვისთა მნებებელნი“ (წ. 7, თ. 1,9) ...*τὰ ἔκλειστος* (A, 7₂₃) = მისებურად, მისდაგვარად. „და მიუტევა მას ლაინიოს ესენი, რომელთათვის ევედრებოდა და განაგნა მისთვისნი ყოველნი“ (წ. 14, თ. 5,4) ...*καὶ δὲ ἰακύνθησιν τὰ πρὸς ἀπ᾽ ἧ* (A, 14₉₀).

საინტერესოა „ვითარ“ ზმნიზედისა და „თუს“ თანდებულის შეერთების მეშვეობით წარმოქმნილი ახალი ერთეული: „ვითართუს“, რომელსაც აქვს მნიშვნელობა „სათანადო, სწორედ ის, რაც საჭიროა“: „არამედ განზრახვათა მათთა, ღმრთისმბრძოლთა, რომელნი შეიწყნარნა მაკედონიამან, ვითართუს მათდა არს აერი უსახურთა ნაკადრებთათუს“ (წ. 14, თ. 12,3) ...*καθάρσει* (A 14₃₁₀) = ზუსტად ისე.

ახალი სიტყვების წარმოება არ არის უცხო იოანე პეტრიწისთვისაც, ოღონდ პეტრიწთან რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა: ის არაბრუნებულ სიტყვებს აბრუნებს, შლის საზღვრებს მეტყველების ნაწილებს შორის და ყოველ სიტყვას ყოველგვარ ცვლილებას უქვემდებარებს. მაგ.: გაჰონი, ისეობს, გჰიუნწორისა. ხოლო მაშინ, როდესაც მას საქმე აქვს *ἔαυτὸ* ნაცვალსახელთან, აიგივებს მას *ἰδὺς* = თუება, გათუებულთან და ქართულ „თუს“ ნაცვალსახელს უმატებს სხვა სიტყვებს, თელის რა, რომ იგი ვერ ამოწურავს *ἔαυτὸ*-სის მნიშვნელობას*. ჩვენი მთარგმნელი ახდენს არა გაიგივებას ნაცვალსახელისა *ἰδὺς* სიტყვასთან, არამედ თარგმნის რეალურად, ტექსტში არსებულ *ἰδὺς* სიტყვას ასევე ტექსტში არსებულ ნაცვალსახელთან ერთად, ე. ი. ახდენს კალკირებას.

4. კალკირებული რიცხვითი სახელები

რიცხვითი სახელების გადმოღებისას მთარგმნელი ძალიან ხშირად მიმართავს თავის ნაცად მეთოდს — კალკირებას. ზოგიერთი რიცხვითი სახელი თარგმანში ორი ფორმით იხმარება: კალკირებული და ბუნებრივი ქართულით, ზოგი მხოლოდ კალკირებულით, ზოგიც — მხოლოდ ქართულისათვის ორგანული ფორმით. კალკირება ვრცელდება როგორც რაოდენობით, ისე რიგობით რიცხვით სახელებზე, როგორც შედარებით მარტივ (100-ის ფარგლებში), ასევე რთულ სახელებზე. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: „ორ და ათთაჲ“ (წ. 10 თ. 4,1) *δυσάριθμα* (A, 10₅₀)=12. „რვა და ათთა“ (წ. 5 თ. 41) *ὄκτα-*

* ნ. კეკელიძე, პროკლე დიადოხოსის „კაჰირნი“, ძვ. ქართ. თარგმანი (ფილოლოგ. ნარკვევი), საკანდ. დისერტაცია, თბ., 1948, ხელნაწერი, გვ. 245, 279—280.

καί δεκα (A, 5₁₈₇)=18. „ოთხნი და ათნი“ (წ. 2 თ. 7,4) τέσσαρες και δέκα (A 2₁₈₀)=14. შუდა და მეთესა (წ. 2. თ. 8,1) δεκακαίδεκατον (A, 2₁₉₄)=მე-17. „მეხუთესა და მეთესა“ (წ. 2 თ. 15,2) πεντεκαίδεκάτη (A, 2₃₁₈) = მე-15. „ცხრა და სამოც და ცხრაასთამან“ (წ.1 თ. 3,4) εννέα και εξήκοντα και ενακοσίοις (A, 1₈₄)=969. „ხუთთა და ოთხმეოცდაათთა და რვაასთა თანა“ (წ. 1 თ. 3,4) είντε και ενεήκοντα και δεκαχόσια (A, 1₈₄)=895.

5. სახელობ მრავლობითი რიცხვის ფორმით წარმოდგენა მხოლოდითი რიცხვის ნაცვლად

თარგმანში არის შემთხვევები სახელის მრავლობით რიცხვში ხმარებისა მაშინ, როდესაც ამ სახელს ან საერთოდ არ გააჩნია ქართულ ენაში მრ. რ.-ის ფორმა (მაგ.: ძილი), ან კონკრეტულ კონტექსტში მოსალოდნელი იყო მისი დაყენება მხ. რ.-ში. ყველა ამგვარ შემთხვევაში თარგმანში დაშვებული ამ შეცდომის წყარო აღმოჩნდა ბერძნული დედანი, სადაც შესატყვისი სიტყვა ან ფიგურალურ გამოთქმაშია და ამიტომ დგას მრ. რ.-ში, ან, შესაძლებელია, ბერძნულ დედანში უბრალოდ შეცდომა იქნა დაშვებული და ეს შეცდომა კალკირებულია თარგმანში. მოვიტანთ ყველა დადასტურებულ მაგალითს: „... ნუ იხილოს მზემან ქმნილად, რაჲთა მე ზურგნი ჩემნი ვაჩუენნე მბრძოლთა“ (წ. 12, თ. 11,1). ...τα υδα μου διεξω τοις πολεμίοις (A, 12₄₂₄). τα υδα εντρέπειν არის ფიგურალური გამოთქმა, ნიშნავს „დამარცხებას“ და τα υδα არის სიტყვა „ზურგის“ მრ. რ.-ის ფორმა.

„... აღესრულებოდეს რაჲ ქორწილნი“ (წ. 13, თ. 4,2) ...των δε γάμων (A, 13₈₈). „გამოჩინებულმან მისდა ძილთა შინა მის ღამისათა, უბრძანა“... (წ. 8, თ. 2,1) ...ταύς εν ους (A, 8₂₂). „... დღესასწაულსა აღესრულებთ რვათა დღეთა შინა, უფოვოროთად სახელდებულსა“ (წ. 2, თ. 15,1). των ძούμων (A, 2₃₁₇).

ბერძნულში არის ორი გეოგრაფიული სახელი, რომელთაც მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა მოეპოვებათ. ესენია — αι Ἄσφυαι და αι Θήβαι¹⁸. ერთ-ერთი ამათგანი, თებე, ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც არის წარმოდგენილი მრ. რ.-ის ფორმით: „... და წარვიდა თივათა ზედა“ (წ. 5, თ. 7,5) ...και Θήβαι (A, 5₂₅₁). შესაძლებელია, სწორედ ამ სახელისა და იმ ფაქტის გავლენით, რომ ბერძნულში ზოგი გეოგრაფიული სახელი დასტურდება მრ. რ.-ის ფორმითაც, იოსებ ფლავიოსმა, წარმოშობით არაბერძენმა, რამდენიმე გეოგრაფიული სახელი თხზულებაში შეცდომით მრ. რ.-ის ფორმით წარმოადგინა. ეს სახელები თარგმანშიც მრ. რ.-ის ფორმით არიან გადმოსულნი: „... ხოლო ითქუმის ნავისათჳს სომხეთს შინა, მახლობელად მთასა კოვდეოთასა“ (წ. 1, თ. 3,5) ...των Κορνηθίων (A, 1₃₃). „განეშორა ... არა შორს გერარონთაგან“ (წ. 1, თ. 18,2) ...ες μακρὸν Γερραων (A, 1₂₆₀). „... დაიპყრა ამან იეროსოლჳმანი“ (წ. 12, თ. 1,1). τα Ἱεροσόλυμα (A, 12₄).

აი, როგორ იქცევა მსგავს შემთხვევებში ეფრემ მცირე: ეფრემ მცირის ასეთივე სტილისტიკური თავისუფლების შედეგია ისიც, რომ ორიგინალის მრავლობით რიცხვში მოცემული სიტყვა თარგმანში ზოგჯერ მხოლოდითი რიცხვით არის გადმოცემული და, პირიქით, დედნის მხოლოდითის ნაცვლად თარგმანში გვაქვს მრავლობითი... ბერძნული ტექსტის მრავლობითის გადმო-

¹⁸ ა. ურუშიძე, ძველი ბერძნული ენა, თბ., 1969, გვ. 33:

ტანა მხოლოდითში მომეტებულად განპირობებულია ისევ ქართული ენის ბუნებით¹¹.

6. პასიური კონსტრუქცია

თარგმანში მრავლად მოიპოვება ისეთი შემთხვევები, როდესაც ბერძნული დედნის პასიური ფორმების კალკირების შედეგად ნახმარია აგრეთვე პასიური ფორმები იქ, სადაც ქართული ენისათვის გაცილებით ბუნებრივი და ორგანული იქნებოდა ზმნის აქტიური ფორმების ხმარება, რადგან, როგორც ა. შანიძე მიუთითებს, „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა, პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს“¹² მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს თარგმანიდან: „... ი მ ე ფ ე ბ ო დ ე ს საულოასით“ = საული მეფობდა მათზე (წ. 11, თ. 4,8). *ἐβασίλευσεν* (A, 11₁₁₂). „... და ი ც ვ ე ბ ო ლ ა დასჯისა მიმართ“ (წ. 10, თ. 7,3) = იცავდნენ, რათა დაესაჯათ. *... ἐφυλάττετο* (A, 10₁₁₅). „... მ ი ი ყ ვ ა ნ ე ბ ი ა ნ იოსიპოს მიმართ“ (წ. 2, თ. 6,6) *πατήσονται* (A, 2₁₂₀). „ვი ი ძ უ ლ ე მითხოვბად“ (წ. 1, შეს. № 1) *... ἐβίβασθη ἐκ αὐτοῦ* (A, 1₁) და სხვ. მრ.

ისევ და ისევ ბერძნული დედნის გავლენით თარგმანში საპირისპირო მოვლენაც დასტურდება: ნახმარია მოქმედებითი გვარის ფორმები იქ, სადაც ქართული ენისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა ვნ. ან საშ. გვარის ფორმების ხმარება. მთარგმნელი, ახდენს რა ბერძნული ფრაზების ზუსტ კალკირებას, თარგმნის „აბრძ“ განსაზღვრებით ნაცვალსახელს, რაც ნიშნავს „თვით, თვითონ“ და უხდება ამ ნაცვალსახელთან კონტექსტში მოქმედებითი გვარის ზმნის გამოყენება: „ხოლო ამას ეამსა შინა მსმენელმან დავიდის პალესტინელთა მოწვევასა კელანონთა სოფლად და ამას მიტაცებად, მისცა თავი თვისი მხედრობად მათ ზედა“ (წ. 6, თ. 13,1) *... ἐβασίλευσεν ἑαυτὸν στρατεύειν* (A, 6₂₇₁) = გაილაშქრა. „არამედ და თავიცა თვისი განაპარა სახედველსა, მმეფობადთასა“ (წ. 6, თ. 4,5) *... τῆς βασιλείας αὐτοῦ τῆς τῆς βασιλευσθησομένης ἐξέλεψεν* (A, 6₆₃) = გაეპარა. ბერძნულ დედანში „თავი თვისი“ ნაცვალსახელი იხმარება ისევ და ისევ კუთვნილებითი დამოკიდებულების აღსანიშნავად, რადგან ზმნა მოკლებულია უნარს ამ კატეგორიის (ქცვის) გამოხატვისა.

11. სინტაქსური კანონები

1. უშემასმენლო წინადადება

ა) მეშველი ზმნა არ არის წარმოდგენილი

ბერძნული ენისათვის რიგ შემთხვევაში ბუნებრივია შედგენილი უშემასმენლის მხოლოდ სახელადი ნაწილის ხმარება მეშველი ზმნის გარეშე. მაგ.: *καὶ κινῶν ἑμὲν αἶμα* (A, 2₁₀₂). ასევეა ქართულ თარგმანშიც: „რამეთუ ვართ ძმანი და ზიარ ჩუენდა სისხლი“ (წ. 2, თ. 6,3) *ἵνα μὲντοι μέγαν τὸν Θεόν* (A, 14₁₇₉) „უწყოდეთ უკუე, დიდი ღმერთი, ვითარმედ ამან... გტანჯნეს თქუენ...“ (წ. 14, თ. 9,4).

¹¹ ს. ენუქაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 0155.

¹² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 283.

მსგავსი მაგალითები ბევრია ჩვენს თარგმანშიც და, საზოგადოდ, ბერძნულიდან მომდინარე ძველ ქართულ თარგმანებშიც. ჩვენ ამეაშად ისინი ნაკლებად გვიანტერესებს, რადგან ამ შემთხვევაში, მეშველი ზმნის ჩაჯარდნის მიუხედავად, აზრი მაინც ვასაგებია. უფრო საინტერესოა სხვა რიგის მოკლე-ნა: ბერძნულში მიმღეობას რიგ შემთხვევებში აქვს ზმნური ძალა. თარგმანში კვლავ კალკია გაკეთებული: მიმღეობა გადმოღებულია მიმღეობით, ხოლო მეშველი ზმნა, რომელიც ქართული თარგმანისათვის სასურველია. აზრის გასაგებად, არ არის წარმოდგენილი ისევე, როგორც ბერძნულ დედანში, სადაც არც არის მისი საჭიროება. ე. ი. ამ შემთხვევაში საუბარია არა მეშველი ზმნის კარგვაზე, არამედ ბერძნული კონსტრუქციის კალკირებაზე: „ოჲ ყრმაო! ბევრთა ლოცვათა მიერ მთხოველ შენი ქმნად ჩემდა ღმრთისა მიერ.“ (წ. 1, თ. 13,3) ὁ πατρ, μαρτυρα εσχαται α?εησδμσσδς οε γενεαθαι μοι παρδ τεν Θεον (A, 122).

„არამედ მე უმჯობეს, ვიდრეღა ბოროტისმოქმედებამ, ხოლო ღმერთმან არამცა უგულუბელს-ყოს თავი თჳსი შეურაცხყოფილი, არცა თქუენ უმეცარნი, ვითარ რომლისა მოქმედნი მიმნიჭებელ იყვენთ მისდა (წ. 4, თ. 2,4). ძღღ' მჭუნ თε xpeictay η ακουργειν, δ τε Θεδς σνχ δν περιεθεν εαυτον ακαταφοισμειον ὀδ' ἔμαζ δγυοσιντας (A, 42).

„ხოლო მან, „არამედ უმცირეს, თქუა, მე შეუფეო, ესევეითარისა სასოებისა და ნათესავისა უმციარისაგან, რაოდენ შეფესა ქმნად და მამულისა უმდაბლესისაგან სსუათა მამულთაჲსა (წ. 6, თ. 4,1). „ძღღ' ჳεττττ“, εἰπεν, „მჭუნ, ἔσθωτα, ταντῆ; τῆς ἑπιθδς και φυλῆς μαρτοτέρα; ῆ βεσιλέα; ποιεῖν κα! πατριμα; τακισοτέρα; τδν δδλων πατριδν (A, 56).

2. შეთანხმების დარღვევა წინადადების წევრთა შორის

ა.) შეთანხმება დარღვეულია ბრუნვაში

მთარგმნელი ძალიან ხშირად იწარჩუნებს ბერძნული წინადადებას წევრთა რიგს და სიტყვებიც იმავე ბრუნვის ფორმით გადმოაქვს, რომლითაც ისინი დედანში დასტურდება. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უგულუბელყოფილია ქართული ენის კანონები. მაგ.: „და იგი ვიდრემე კეთილსასოებაჲა წარვიდა ქორწილისათჳს“ (წ. 8, თ. 1,2). και δ μεν εὔελπις δπαλλαττεται παρ τεν γδμου (A, 86) (ე. ი. კეთილსასოებით). „და ელისეოს უკუე მომავალსა დღესა აღუთქუმიდა... ქმნაჲ მრავალსა იეფობასა საზრდელი-სასა და განსყიდაჲ... სიკლოდ ერთად ორთა სატათა ქრთილისათა, ხოლო მოსყიდაჲ სემინდალსა სატასა ერთსა სიკლოდ“ (წ. 9, თ. 4,4). ...εσθωθαι ...παρθῆσθαι; ...δνῆσθαι (A, 97). ... არამედ წარმავლენელმან ტარიგი გლახაკისაჲ მისტაცა (წ. 7, თ. 7,3) უნდა ყოფილიყო ან: ტარიგი გლახაკის მისტაცა ან ტარიგი გლახაკისაჲ მიიტაცა. ამ შემთხვევაშიც მოხდა ბერძნული დედნის შესატყვისი ადგილის ზუსტი კალკირება: τεν παρητα; დგას ნათ. ბრ.-ში (=გლახაკისაჲ), δπῆσθαιε კი არის მოქმედებითი გვარის ზმნა, აორისტის მე-3 პ., მხ. რ.

ჩვენ ადრე შევცხებთ სახელებს, რომელთა ნომინატივის ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ბერძნული სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმა

წარმოადგენს . მაგალითებს აქ აღარ მოვიტანთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მსგავს შემთხვევებშიც ამავე მოვლენას აქვს ადგილი: ხდება ბერძნული დედნის საკუთარი სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმის კალკირება.

ბ) შეთანხმება დარღვეულია რიცხვში

ძველ ქართულ ენაში სინტაქსურ ნორმად არის მიჩნეული ნარ-თანთან მრავლობით რიცხვში მდგომი სახელის მიერ ზმნის შეთანხმება მრ. რ.-ში¹² ამასთან ეს წესი საკმაოდ ხშირად ირღვევა¹³ ასეთი დარღვევა განსახილველ თარგმანში ძირითადად ისევე ბერძნული დედნის გავლენით ხდება. „პირველად კაცნი საწყაულთა და საწონთა მოგონებით გარდაცვალა“ (წ. 1, თ. 2,2). ...*οἱ δὲ μαθηταί: ...μαθεσθήσασθε* (A, 1₆₁). „...ხოლო კაბუენი ყოველნი, რომელთა სათნოებისა ქონებულ-იყო და კეთილ მოუყარებისა... მოსრვიდეს, მიმღებელნი მიზეზსა ზამერიაას მსგავსთასა“ (წ. 4, თ. 6,12); *οἱ δὲ οὐκ ἔμενον, ὅτι ἀποθήσει ἡ βασιλεία τοῦ οὐρανοῦ καὶ τῆς γῆς* (A, 4₁₅₄). ამ მაგალითში ორმაგი დარღვევა ხდება და ორივე ამ დარღვევის წყარო ბერძნული დედანია, სადაც *οἱ δὲ* ღვას ნათ. ბრ.-ში და *ἡ* მხოლოდით რიცხვში. „აღწერილ არს უკუე წელიწადნი სამღელეთა წიგნთა შინა“ (წ. 1, თ. 3,3). *ἀναγγέλλεται δὲ ἡ ἔσχατος* (A, 1₆₂).

განსახილველი თარგმანის მიხედვით მსჯელობა ზემოთ აღნიშნული სინტაქსური მოვლენის რღვევაზე ძნელია, რადგან თარგმანის ენა ბერძნული დედნის სინტაქსის გავლენის ქვეშ არის მოქცეული.

8. მისამართი სიტყვის პლენონხტური გავრცობა

„როდესაც მისამართი სიტყვა შორს აღმოჩნდება შემასმენლისაგან, ეს უკანასკნელი ცდილობს ახლოს იქონიოს სასაზღვრო სიტყვა ნაცვალსახელის სახით“¹⁴.

ეს მოვლენა არ არის უცხო იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანისთვისაც. მაგრამ ასეთივე გავრცობა ხდება ბერძნული დედნის შესატყვის ადგილასაც. ე. ი. ეს მოვლენაც ბერძნულის კალკს წარმოადგენს. „ხოლო ღმერთმან, თანად ძვრხილულთა შემწყნარებელმან და დანიილოსს, სიბრძნისათჳს შემწყნარებელმან, საცნაურ-უყო მას ჩუენებაჲ“ (წ. 10,

10,3) *δὲ δὲ θεὸς ἀπα τοῖς το αὐθυσῆσους εἰρήσας καὶ τὸν Δανῆηλον τῆς σιφῆας ἀπασῆσους τὸ τὸ ἄναρ ἄντῆρ ὑψῆσους ἐπιήσας καὶ τῆν χρισῆν* A, 10₂₀₀).

¹² არნ. ჩიქობავა, რომ არის წარმოდგენილი მრ.-ის სახელობითი დასმულ მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში: ტფ. უნ. მოამბე: IX, 1928, გვ. 107—119; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 186—187; ა. ომნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნეთა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 270; ანტ. კიზიჩიკი, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1953, თბ., გვ. 147.

¹³ ზ. სარაქველაძე, ქართული სელიტერატურა ენის საკითხები, თბ., 1975, გვ. 223—229.

¹⁴ კ. დანელია, ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები, თბ., სახ. ლნივ. ძვ. ქ. ენის კათედრის შრომები, 20, თბ., 1977, გვ. 86.

„და ვანოს ვიდრემე, ბრძანებულთა მოქმედი, იგი განიხილა მკედართ-
მეცანებელად ყოვლისა ძალისა“ (წ. 8, თ. 1,4). και Βαναίς μὲν τὰ κε-
λασθόντα ποιήσας ἀπὸ τὸς ἀποδεικνύται σφραγῆς πάσης τῆς δυνάμεως
(A, 8_{1a}).

4. მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა

მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა არ არის უჩვეულო ძველი ქართული-
სათვის, თუმცა არც მინცადადამინც გავრცელებულ მოვლენას არ წარმოად-
გენს¹⁶. იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში მსაზღვრელ-სა-
ზღვრულის გათიშვა ძირითადად ხდება ბერძნული დედნის გავლენით, სადაც
წინადადების წევრთა ამგვარი წყობა არ არის უჩვეულო. მოვიტანთ რამდე-
ნიმე მაგალითს თხზულების ქართული თარგმანიდან:

„... მ რ ო კ ე ა ლ ი ს ა, შესრულსა სამოსუმუროდ, შუენიერისა
ტრფიალებულმან, ძმასა მიუმცნო ესე...“ (წ. 12, თ. 4,6). δρχηστροδὸς
εἰσελθόνσης εἰς τὸ σωματόσιον εἰπρεποῖς ἐρασθίς... (A, 12₁₈₇).

„ხოლო რომელსა უამსა იწყო შენებად ტაძარმან, წელიწადი ტუროსს ში-
ნა მეფობისაა მეათერთმეტე წარმოდგომილ იყო ირომოასა“ (წ. 8, თ.
3,1). ...κατ' ἐκεῖνον ἔτος ἦδη τῆς ἐν Τύρῳ βασιλείας ἔνδειατον ἐναίστηξει
Ἐῖρᾶμψ A, 8₂₂). „ხოლო კეთილსა მქონებელი და საკუთარსა ივასა სათ-
ნობისასა მამასა და დიდებასა ზისსა...“ (წ. 8 თ. 7,5) καὶ λίστον δ' ἔχων και
ὀκείον παρδύοιμα τῆς ἀρετῆς τὸν πατέρα και τὴν ἐκείνου δόξαν... (A, 8₁₈₈).

„ეზეკია მეფემან, ესრეთ საკრველად კსნილმან შიშთაგან, სამაღლ-
ბელნი ყოვლისა ერისა თანა მსხუერპლნი შეწირნა ღმრთისა“ (წ.
10, თ. 2,1). „Ἐξαιτίας δ' ἰβασίλης παραδόντας ἀπαλλαγείς τῶν φθῶν χᾶρι-
στηρίοις σὺν ἀπαντὶ τῷ λαῷ Θυσίαις ἐπετέλειε τῷ Θεῷ (A, 10₂₄).

„ხოლო აღექსანდროას თავსა, არავთა მძლავრმან, მომკუთელ-
მან, ზავილოს, წარუვლინა პტოლემოსს“ (წ. 13, თ. 4,8). τὸν δὲ Ἄλεξ-
άνδρου τὴν κεφαλὴν ὁ τῶν Ἀράβων δυνάστης ἀποτεμὼν Ζάβειλὸς
ἀπέστειλε Πτολεμαῖον (A, 13₁₁₈).

ბერძნული დედნის გავლენით ამ წინადადებაში ორი წყვილი არის ერთ-
მანეთისაგან გათიშული ა) არავთა მძლავრმან ზავილოს და ბ) თავსა მომკუთ-
ელმან.

მსგავსი მაგალითი კიდევ ბევრი შეგვიძლია მოვიტანოთ. ამასთან, დაახ-
ლოებით თანაბრად არის შემთხვევები იმისა, რომ ატრიბუტული მსაზღვრე-
ლი წინ უსწრებს ან მოსდევს საზღვრულს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკუთრივ ქართული ენისათვის არ არის
უცხო მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა. ეს ამაღლებულ ტონსა და საზეიმო
ელფერს მატებს თხრობას. თხზულების ქართულ თარგმანში სულ თითზე ჩა-
მოსათვლელია შემთხვევები, როდესაც ბერძნულში მსაზღვრელ-საზღვრული
ერთადაა, თარგმანში კი — გათიშული. მოვიტანთ ერთ ამგვარ მაგალითს:
„მერმეცა უმეტეს სავედრებელნი პირველთასა სიტყუანი მო-

¹⁶ ც. კოლაძე, განსაზღვრება ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხე-
ბი, III, 1961, გვ. 116; ანტ. კიზიარია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართულში,
თბ., 1963, გვ. 250, 277.

ართუნა მას“ (წ. 2, თ. 4,3) ...*λιπαροστέριους εἶναι τῶν πρώτων ἀντὶ πρῶτης-
γυατο λήγους* (A, 245).

რაც შეეხება რთული სიტყვების კალკირებასა და ზმნური მნიშვნელობის მქონე ინფინიტივისა და მიმღობის იმავე სახით ვადმოღებას ქართულ თარგმანში, რა სახითაც არიან ისინი წარმოდგენილი ბერძნულ დედანში და ამით ტექსტის გაგების გაძნელებას, ამის შესახებ ჩვენ აღრე დაწვრილებით ვიძსჯე-
ლეთ .

III. ფრაზიოლოგიური კალკიბი

როგორც ზემოთ დავინახეთ, იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველ-
თა სიძველეთა“ მთარგმნელი იმდენად ზუსტად მისდევს ბერძნულ დედანს,
რომ კალკირებული ფორმები, მცდარი ქართული სამწერლობო ნორმების
თვალსაზრისით, არის როგორც მორფოლოგიის, ასევე სინტაქსის სფეროში.
მითუმეტეს, არ არის გასაკვირი, რომ თარგმანის ლექსიკა და ფრაზიოლოგია,
აგრეთვე, ძალიან არის დამოკიდებული ბერძნულ დედანზე. გვინდა გამოვეყოთ
რამდენიმე სახის კალკი ამ სფეროში:

1) კალკირებული ფრაზების ერთი ჯგუფი აზრობრივად გასაგებია და, ამ-
დენად, თარგმანში მკვეთრად არ გამოცალკევდება, თვალში საცემი არ არის.
მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს და დავკმაყოფილებით მხოლოდ კალკირე-
ბული ფრაზით ვრცელი კონტექსტის გარეშე:

„რაოდენთა წელთა ცხორებული მყოფობს“ (წ. 2, თ. 7,6) = რამდენი
წლის არის. ...*πίσσης ἤδη βεβαιῶναι εἶη χροῖον* (A, 2188). „ღირსების ზედა-
თაჲ“ (წ. 5, თ. 1,28) = ყველაზე ღირსეულნი ...*δέξιματις μάλιτα* (A, 5115).
„განიბნინეს სხუჲა სხუადმი“ (წ. 10, თ. 8,2) = გაიფანტნენ სხუდასხვა მხა-
რეს ...*ἄλλοις ἄλλωθεν* (A, 10138) „ძალითა მოუთმენელნი“ (წ. 9, თ. 10,3) =
= დაუმარცხებელნი ...*τῆν ἀναπείσταιναι* (A, 9220).

2) ბუნებრივი იქნება, თუ მეორე ჯგუფში გავაერთიანებთ ისეთ კალკი-
რებულ ფრაზებს, რომლებიც ქართველი მკითხველისათვის უფრო ძნელად
გასაგებია, ვიდრე I ჯგუფში წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ფრაზების კალ-
კირება სრულიად გაუმართლებელია და მხოლოდ აბუნდოვანებს აზრს:

„ხოლო ეამისა წარსრულობასა, რომელი უცუარს დიდთა შე-
ხებად მგონებელთა, მკონარებაჲ და მომღოვრებაჲ იქმნა ჩემდა, ესე-
ვითარსა მიზეზსა გარდაღებად სხუსა მიმართ ჩუენგან და უცხოოსა ენისა ჩუეუ-
ლებისა“ (წ. 1, შეს. № 2) ...*ἄρα φιλῆσαι τοῖς μεγίστοις ἀπειθήται διαπομπῆσις*
(A, 17).

კალკირებული ფრაზის აზრი არის: როგორც ემართებათ იმათ, ვინც
ხელს მოკიდებს რაიმე დიდ საქმეს.

„ხოლო სახილველ არიან და ჯერეთ აწცა ძუალნი ამათნი, არა მსგავს-
ნი მოსრულთანნი სარწმუნოებისა ქუეშე“ (წ. 5, თ. 2,3)
... *μηδὲν τοῖς ἵπθ πύσται ἔρχομένοις εἰσῆτα* (A, 5128) = რომლებიც არ
ამელავნებენ არავითარ მსგავსებას იმასთან, რაც აღამიანის ცოდნის ფარგ-
ლებშია (ე. ი. ის, რაც აღამიანმა შეიძლება ირწმუნოს, დაიჯეროს).

3) ბერძნული ღედნის ფიგურალური გამოთქმების საკმაოდ დიდი ჯგუფი თარგმანში კალკირებულია და ამ უკანასკნელშიც ფიგურალურ გამოთქმას წარმოადგენს. ასე მაგალითად, „ქელი“ სიტყვის შემცველი ხუთი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე გამოთქმა დასტურდება:

ა) „ქ ე ლ ა დ მ ი ს ვ ლ ა“ = შებრძოლება

„და შემდგომად ვითარმედ უჯეროთა ქმნად კელ-ჰყოფენ მბრძოლთა, ქ ე ლ ა დ მ ი ს ლ ვ ი ს ა არა მკადრენი“... (წ. 5, თ. 7,11) ...*ὁσ τολμήσαντες εἰς χεῖρας ἐλθῆιν* (A, 526).

„ქ ე ლ თ ა თქუენთა მომართ მო ე ი დ ე ნ“ (წ. 4, თ. 6,4) *τὰς ἑμετέρας χεῖρας ἐλθῆιν* (A, 4117). „გულისმსიტყუელი... არა პირველად ხანანელთა ქ ე ლ ს ა მ ი ს ლ ე ი ს ა ე“ (წ. 4, თ. 1,3) *εἰς χεῖρας ῥῆειν* (A, 410).

ბ) ქ ე ლ ი ს ქ უ ე შ ე მ ყ ო ფ ი = დამორჩილებული

„მბრძოლთაცა კელისქუეშე ქმნილნი განგათავისუფლნა“ (წ. 6, თ. 5,6) *ἀποχεῖρῶς* (A, 690). „არამცა ქ ე ლ ი ს ქ უ ე შ ე ქ მ ნ ი ლ ი ყ ო ს, უკუეთუმცა ღმერთი მოურნე იყო მისა“ (წ. 6, თ. 1,2) ...*ἀποχεῖρῶν* (A, 69). როგორც ჩანს, დღევანდელი „ხელქვეითი“ ბერძნული ფორმის კალკია.

გ) ს ა ქ მ ე ნ ი ქ ე ლ თ ა ნ ი (მამაცური საქმეები; ფიზიკური შრომა) „ხოლო ბრძოლამ რამ იქმნა, ს ა ქ მ ე ნ ი ქ ე ლ თ ა ნ ი თანად და შეკადრებისანი მრჩობლთაგანვე დიდნი იხილვებოდეს“ (წ. 7, თ. 10,2) ...*ἐργαμειχᾶς χεῖρων* (A, 7236) = მამაცური საქმეები.

„ს ა ქ მ ე თ ა მ ი მ ა რ თ ქ ე ლ თ ა მ ს ა და მოთმინებისა შრომათაჲსა იყენეს სულკეთილ“ (წ. 2, თ. 1,2) ...*πρὸς ἔργα χεῖρων* (A, 217 = ფიზიკური შრომა).

დ) ქ ე ლ თ ა მ ი ე რ მ ქ ნ ე = მამაცი

„ხოლო იყო ქ ე ლ თ ა მ ი ე რ მ ქ ნ ე მ ა მ ა კ ა ც ი“ (წ. 4, თ. 5,3) ...*κατὰ χεῖρα γενναῖος ἀνὴρ* (A, 488).

ე) ქ ე ლ თ ა შ ი ნ ა = ის, რაც ხელთ აქვს, თავისთვის უნდა, მისია

„ხოლო ამათი მიმთხუეული ეძიებდა და საქურველსაცა რასავე ქ ე ლ თ ა შ ი ნ ა“ (წ. 6, თ. 12,1) ...*τι μετὰ χεῖρας βίωθαι* (A, 624). „მრავალნი ქ ე ლ ი ს ა შ ი ნ ა დ მეფისა და კლეოპატრასა ძღუენნი წარავლინნა“ (წ. 12, თ. 4,5) ...*πρὸς χεῖρας* (A, 12185) = თავისგან, თავისი სახელით. „ხოლო იგი... უდიდესთაცა ამათა აღუთქუმიდა შემდგომად ქ ე ლ თ შ ი ნ ა მ ს ა ბ რ ძ ო ლ ი ს ა, რამეთუ აწ ამისგან უცალოობს“ (წ. 13, თ. 5,2) ...*ἐν χερσὶ πόνεμασ* (A, 13134) = ბრძოლა, რომელშიც იგი ჩაბმულია.

ასევე, ფიგურალური გამოთქმა არის ბერძნულ ენაში „*ἐν ποσὶν*“ და

ნიშნავს „ამჟამინდელს, ახლანდელს“¹⁷. *πισιν* სიტყვა დამოუკიდებლად წარმოადგენს *πισς*, *πισς* (= ფეხი) სიტყვის დატივს. მთარგმნელმა გააკეთა არა ფიგურალური, არამედ სიტყვა-სიტყვითი თარგმანი და „ფერკთწინა“ და „ფერკთა შინა“ გამოთქმას დააკისრა „ამჟამინდელის“ მნიშვნელობა: „უკუეთუ არა მათდა მიმართ მოქმედებდენ ფერკთწინა მსა ძკრისათუს (წ. 3, თ. 1,4) ...*τὰ ἐν πισι κακὰ* (A, 215).

... „დაკრებდალ მისსა მიიმართეს, ვითარ მიზეზსა ფერკთწინა მსა განსაცდელისასა“ (წ. 3, თ. 1,3) ...*τῆς ἐν πισι σφαιροῦ* (A, 312).

„მოკლვად აწვე... ფერკთა შინასა ეამსა მიიმართეს“ (წ. 2, თ. 3,1) ...*τὸν ἐν πισιν ὑπερβαλίσθη* (A, 220).

უთუოდ ფიგურალური გამოთქმა ბერძნულში, როდესაც ავტორი ორი საგნის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის აღსანიშნავად მათ განსხვავებულ სქესის წარმომადგენლების ურთიერთობას აღარებს. ეს ფიგურალური გამოთქმა კალკირების გზით ასევე ფიგურალურად არის გადმოსული თარგმანში: „ხოლო ათორმეტნი სხუანი მოსადებელნი, ... შესაყოფელად დედალთა და მამალთა შეერთებულ იყვნეს, ვიდრედა ერთ საგონებელ იყენეს“ (წ. 3, თ. 6,4) ...*Θηλείας τε καὶ ἀρρενος συνελκαστο* (A, 3130) (ეს გამოთქმა დასტურდება ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც). „ხოლო უკუანაჲთ კერძოსა ზღუდესა ერთი მოზღუდვილ იყო, ყოველთად მიმწვენელი სუეტთა, რომლისა შევიდოდეს გუერდნი და დასასრულნი ზროთანი თითოეულისა ზღუდისაგან, უფრომსთაგან დაპყრობაჲ შეემთხუეოდა მათ კილოთა შინა, ვითარ დედალისა მამლისა თანამოსლესა“ (წ. 3, თ. 6,3) ...*τῆς Θήλει τῶν ἀρρενος συνελθόντος* (A, 3121).

იატაკად დამხოზა = განადგურება, გაკამტვრება

თარგმანის ეს ფიგურალური გამოთქმაც სათავეს ბერძნულ ლექსში პოულობს, სადაც საუბარია ქალაქის მთლიან, საფუძველიან დანგრევაზე (*τὸ ἔδαφος* = ფსკერი, საფუძველი, ნიადაგი, იატაკი): „აღმომთხრელი იატაკად ქალაქისაჲ“ (წ. 5, თ. 7,4) *καὶ κατὰσκάφας εἰς ἔδαφος τῆς πύλης* (A, 5248). „ქალაქი იატაკად დაეცეს“ (წ. 10, თ. 7,6); „იატაკად დაამკუა ქალაქი“ (წ. 5, თ. 5,4) „ნუცალა იატაკსა... უტევებენ“ (წ. 4, თ. 8,45).

როგორც დავინახეთ, მოხმობილი ფიგურალური გამოთქმები რამდენიმეჯერ მეორდება თარგმანში. ამიტომ განვიხილეთ ისინი ასე დაწვრილებით. დანარჩენი ფიგურალური გამოთქმების მხოლოდ ჩამოთვლით დავკმაყოფილებით, რადგან ისინი თარგმანში თითო-თითოჯერ დასტურდება (არ მოგვაქვს არც მათი ბერძნული შესატყვისები, რომელთა ზუსტ თარგმანსაც წარმოადგენენ ისინი):

„დედაკაცი, შეგინებული ბუნებითაგან“ (წ. 3, თ. 12,1) = წესის მქონე ქალი.

„მთავრობისა მიერ სნეულებდეს“ (წ. 5, თ. 4,1) = მთავრობა მოიკოვლებდა.

¹⁷ Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., 1958, с. 530.

„პასაკის უძლურება“ (წ. 2, თ. 3,1)=ახალგაზრდა ასაკი.

„განკაბუნეს ეგვიპტესა ზელა“ (წ. 2, თ. 11,1)=შეცვალეს ეგვიპტეში მმართველობა.

„მალღად მომავალი“ (წ. 1, თ. 3,7)=წინაპარი.

„მკუდარი... უნაწილოა ქუეყანისა“ (წ. 4, თ. 8,24)=დაუმარხავი მიცვალებული.

„სულისა მათსა დადღელებასა“ (წ. 4, თ. 8,40)=გალაჩრება.

4) თარგმანში არის დედნიდან კალკირებული ფრაზების ერთი რიგი, რომლებიც იმდენად დამკვიდრდნენ ქართულ ენაში, რომ ზშირად ორგანულ, ქართულ გამოთქმებადაც კი არიან მიჩნეულნი. მაგ.:

„და მიახლებულნი მათნი სიტყუაღ, ევედრებოდეს არა შურეებად მათდა მიღებასა შეუნიერებისა მათისასა“ (წ. 4, თ. 6,7 ...και παραχρησασθαι εις λθγαισ ανταξ (A, 419)).

„შიში შევიდა იულისსა“ (წ. 5, თ. 4,2) ...και δεξ εισηει τον 'Ιουδην (A, 519). „და მმთავრობმან წელთა ორმოცთა, დააქცია ცხორება“ (წ. 5, თ. 3,3) ...καταστρεφει τον βιον (A, 5184). „და ავიასთეს ვიდრემე, როვოა მოაქს სოლომონოა სისა, ესრეთ მიმღებელ ვართ“ (წ. 8, თ. 11,4) ...περι 'Αβιαν τον 'Ροβθιμου τον Σολομωνος (A, 8287) და ა. შ.

ზემოთ მოტანილი კალკირებული ფრაზები ბუნებრივი ქართული ენით შემდეგნაირად შეიძლება იქნეს გადმოცემული: 1) მისული მათდა: 2) იულდა შეშინდა: 3) აღესრულა: 4) ავიასთეს. როვოამის ძის და სოლომონის შვილი-შვილისა.

5) გვინდა შევჩერდეთ თარგმანის ისეთ ფიგურალურ გამოთქმებზე, რომლებიც რამდენადმე თვით მთარგმნელს შეიძლება მიეწეროს და მის მხატვრულ გემოვნებაზე უნდა მეტყველებდეს. ზოგიერთ შემთხვევაში მთარგმნელს ჰქონდა არჩევანის შესაძლებლობა: ბერძნული დედნის გამოთქმა გადმოელო პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით. იგი ირჩევს ამ უკანასკნელ გზას და იძლევა ფიგურალურ გამოთქმას: „... ჩერაარს... სიბერისა მიმართ პოხილისა და კეთილბედნიერისა მიწევნად მთავრობასა“ (წ. 8, თ. 1,1). შესატყვისი ბერძნული სიტყვა λυααρθუ ნიშნავს როგორც ა) მსუქანს, მდიდარს, ასევე ბ) უზრუნველყოფილს, წყნარს. ე. ი. მთარგმნელს შეეძლო ამ აზრის მარტივად გადმოღება „უზრუნველყოფილი სიბერის“ სახით, მაგრამ მან ფიგურალური გამოთქმა აირჩია.

ასევე: „და სიბერე უდაბნოსა შინა გულეებადი ცხორებად და სიკუდილად ჩუენ წარწყმედილთათეს შეიკდიმე“... (წ. 2, თ. 6,8) ...και γρηας ες ερημια βλαστημωσθ (A, 219). ე. ი. მთარგმნელს შეეძლო ეთქვა „სიბერე მარტობაში“, მაგრამ აქაც მან ფიგურალური გამოთქმა აირჩია.

დანარჩენი გამოთქმები კიდევ უფრო მთარგმნელისეული ჩანს, რადგან ისინი ბერძნული ფრაზის კალკირებით არ არის მიღებული. ჩამოვთვლით მათ ბერძნული კონტექსტის მოტანის გარეშე:

„სიკუდილად ჰგონებდა დაძინებასა ვენიამენისსაცა“ (წ. 2, თ. 6,5).

„უქმ-ქმნეს დედაკაცი“ (წ. 4, თ. 8,33)=მუცელი მოუშალეს.

„მდინარე... ალა შეუღლილ იყო“ (წ. 5, თ. 1,3)=მდინარეს ხილი არა ჰქონდა.

„თმასა ღრმასა და უგულეებელსქმნილსა მქონებელი“ (წ. 7, თ. 11,3)=დაუვარცხნელი.

„თმათა თესთა განუსაყუთრებდნენ“ (წ. 4, თ. 4,4) = მსხვერპლად შესწირავდნენ.

„კინლა და მოაკლდებოდა“ (წ. 2, თ. 7,5) = კინალამ მოკვდა.

ეფიქრობთ, მოტანილი მასალა საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ როგორ თარგმანთან გვაქვს საქმე იოსებ ფლავიოსის თხზულების „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული ტექსტის სახით.

IV. მთარგმნელის ვინაობისათვის

(ენობრივ მონაცემებსა და თარგმანის სპეციფიკაზე დაყრდნობით)

დღესდღეობით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლება, რომ ჩ. წ.-ის I ს-ის ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიოსის თხზულების — „იუდეველთა სიძველეთა“ პირველი თხუთმეტი წიგნის ქართულ ენაზე მთარგმნელი არის XI—XII საუკუნეთა გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი იოანე პეტრიწი.

იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბის“ გამომცემელი ივ. ლოლაშვილი თავს უყრის XVIII ს-ის ტრადიციულ ცნობებს პეტრიწის შესახებ¹. ირკვევა, რომ იმ მოღვაწეთაგან, რომელნიც დაინტერესებულან ამ უკანასკნელის ბიოგრაფიით და შეუდგენიათ მეტ-ნაკლებად სრული ნუსხა მისი შრომებისა, მხოლოდ დავით რეპტორი ასახელებს პეტრიწს, ისიც სათუოდ, „იუდეველთა სიძველეთა“ მთარგმნელად: „ვიეთნიმე იტყვიან წიგნსაცა იოსიპოსისასა ამის იოანესგან ნათარგმნსა ელინურიდამ“². ამ ცნობის თითქმის თანადროულია „იუდეველთა სიძველეთა“ ქართული თარგმანის შემცველ XVI ს-ის ხელნაწერ ქუთაის 10-ზე დავით დადიანის ბიძის, თავად გრიგოლ წერეთლის ხელით შესრულებული მინაწერი³.

ანტონი ალტაეხას გამოხატავს პეტრიწისეული სტილისა და ენის გამო და აქვს სურვილი მიბადოს მას. როგორც ჩანს, გრ. წერეთელი იზიარებდა ანტონის აზრს პეტრიწის ენის შესახებ. ამ მინაწერის გაკეთება მის მიერ ხელნაწერის აშიაზე სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ გრ. წერეთელი ძეგლის მთარგმნელად პეტრიწს მიიჩნევდა. სიტყვებით „ის აქ შესაბამ არს“ იგი, შესაძლებელია, იმას გულისხმობს, რომ ქუთაის 10-ში არსებული ძეგლის თარგმანიც ისეთივე კვალიფიციური მთარგმნელის მიერ არის შესრულებული, როგორც იყო პეტრიწი. მაგრამ შემდეგი დროის მოღვაწეთათვის პეტრიწის ბუნება ამ ხელნაწერში, როგორც ჩანს, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იოსებ ფლავიოსის თხზულების — „იუდეველთა სიძველეთა“ — ქართული თარგმანი ამ უკანასკნელისათვის მიეწერათ: პეტრიწისეულად მიიჩნევეს ამ თარგმანს დ. დადიანის კარის მღვდელი, თხზულების უკანასკნელი სთუი წიგნის მთარგმნელი — დ. ინანიშვილი⁴. მოსალოდნელია, რომ ამავე ცნობაზე

¹ იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დიურთა ვ. ლოლაშვილმა, თბ., 1968, გვ. 11—21.

² ვ. ბერიძე, დავით რეპტორი — ლექსიფორაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი, თსუ შრ., I, თბ., 1936, გვ. 324—325.

³ ამ მინაწერზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი XVI ს-ის ნუსხა, ქუთ. 10-თან დაკავშირებით.

⁴ ეს თარგმანი დაკუთვნილია ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდში 320—321 და 374—375-ე ნომრებით.

დაყრდნობით წერდა კ. კეკელიძე, რომ მთარგმნელი „მოთხრობათა იუდაებრივისა დასაბამისიტყუაობისაჲს“ არის იოანე პეტრიწი⁵. ამავე აზრისაა თეიმურაზ ბატონიშვილიც⁶.

ჩვენ შევეცადეთ შევეგმოწმებინა ამ აზრის საფუძვლიანობა ძველი ქართული თარგმანის ენობრივ ანალიზსა და თარგმნის სპეციფიკაზე დაყრდნობით. შესაღარებელ მასალად ავიღეთ ის თხზულებები, რომლებიც ნამდვილად იოანე პეტრიწის ხელიდან არის გამოსული და რომელთა ენაც მკვლევართა მიერ საკმარისად არის შესწავლილი. ესენია ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისას“ და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითა“ თარგმანები და ამ უკანასკნელის ვრცელი განმარტება.

I. სასუბიექტო მიმღეობათა წარმოება. იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში სასუბიექტო მიმღეობები შემდეგი აფიქსებით იწარმოება: მ-, მ-არ, მ-არე, მ-ე, მ-ელ, მ-ელ, მე-ელ, მო-, მო-არ, მო-ე, მო-ელ, მო-ურ (მო-ულ), -იელ (დიდ-მ-ბრძობი, მღღელ-მწიგნობ-არ-ი, თანამ-ღებ-არე, მი-მ-ლოდ-ე, შე-მ-წივენ-ელ-ი, მარწმუნებ-ელ-ი, ნაცვალ-მე-ტყუ-ელ-ი, მო-ნატრ-ე, მღღელ-მოძლუ-არ-ი, კეთილ-მო-ქმ-ელ-ი, ნაცვალ-მო-საჭ-ულ-ი, სურვ-იელ-ი).

სასუბიექტო მიმღეობის ყველა ამ სახის წარმოება ჩვეულებრივია ძველი ქართულისათვის. რაც შეეხება ისეთ წარმოებებს სასუბიექტო მიმღეობებისა, რომლებიც დასტურდება იოანე პეტრიწთან და რომლებიც რამდენადმე განასხვავებენ პეტრიწის ენას ძველი ქართული ენისაგან⁷, ისინი თარგმანში არ არის. ესენია წარმოება -ო სუფიქსით (სხვადასხვა პრეფიქსთან კომბინაციაში), მა-ე პრეფიქს-სუფიქსით (ძველი ქართულის „მაცხონე“-ს პეტრიწი უმატებს „მაუწყე“ ფორმას), მე- პრეფიქსით, რომელიც უძველესი ვითარების ამსახველად არის მიჩნეული⁸ და რომელსაც არცთუ იშვიათად მიმართავს პეტრიწი. რაც შეეხება მე-ე პრეფიქს-სუფიქსს, იგი ღღეს ხელობის სახელებს აწარმოებს მხოლოდ და თხზულების ქართულ თარგმანშიც სწორედ ამ დანიშნულებით გამოიყენება (მუცლით-მე-ზღაპრ-ე, ნაცვალ-მე-კელოვნ-ე, მღღელ-მე-წიგნ-ე...⁹). იოანე პეტრიწი კი ამ პრეფიქს-სუფიქსს ურთავს ზმნის სუფთა ფუძეს და მისი მეშვეობით აწარმოებს სასუბიექტო მიმღეობებს (მე-ცნ-ე, მე-უწყ-ე, მე-ტრფ-ე...¹⁰). იოანე პეტრიწი სასუბიექტო მიმღეობების წარმოებისას იყენებს მი- პრეფიქსსა და მი-ე პრეფიქს-სუფიქსებს (მი-ყუარი, მი-თაყვან-ე), რომლებშიც მას მი- გაგებული აქვს მო- პრეფიქსის შემცველად¹⁰. ფლავიოსის თხზულების ქართველი მთარგმნელი სასუბიექტო მიმღეობათა წარმოებისას ამგვარ ხერხს არ მიმართავს.

ამგვარად, თხზულების მთარგმნელი სასუბიექტო მიმღეობების წარმოებისას ძველ ქართულ ენაში არსებულ მაწარმოებლებს არ ხმარობს იმისათვის, რომ ახალი, ენისათვის მანამდე უცნობი ფორმები შექმნას. ამგვარი შემთხვევები კი იოანე პეტრიწთან საკმაოდ ხშირია.

⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 286-287.

⁶ თეიმურაზ ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

⁷ დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 113-122.

⁸ არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 126.

⁹ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

¹⁰ იქვე, გვ. 121.

II. საკუთარ სახელთა გადმოცემა. შედარებამ გვიჩვენა, რომ საერთო ხმარების საკუთარი სახელები ძირითადად სხვადასხვა ფორმით არის ნახმარი „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ თარგმანში და იოანე პეტრიწის მიერ თარგმნილ ზემოთ დასახელებულ ორ ძეგლში. „იუდეველთა სიძველეთა“ მთარგმნელი ბერძნული ორიგინალის დიდ გავლენას განიცდის. იგი ნაკლებად უწყევს ანგარიშს ტრადიციით დამკვიდრებულ ფორმებს და საკუთარი სახელები ბერძნულიდან ქართულად გადმოაქვს ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი დროის ფონეტიკური ნორმები. რაც შეეხება იოანე პეტრიწის მიერ შესრულებულ თარგმანს „ბუნებისათვის კაცისა“¹¹ და მის ორიგინალურ თხზულებას — „განმარტებამ პროკლესთვის დიადოხოსისა და პლატონურის ფილოსოფიისათვის“¹², აქ საკუთარი სახელები ძირითადად იხმარება ქართულ წერილობით ძეგლებსა და ზეპირმეტყველებაში დამკვიდრებული ტრადიციული ფორმით. მოვიტანთ საერთო ხმარების ყველა საკუთარ სახელს ამ სამი ძეგლის მიხედვით¹³.

„იუდეველთა სიძველეთა“	„ბუნებისათვის კაცისა“	„განმარტებამ...“
1. აერამოს აერამო (ძირითადი) თითო-ორიჯერ: აბრამოს, აერამოს, აერამპო	—	აბრამპო
2. ადამოს	—	ადამი
3. ალექსანდროს (ძირითადი) იშვიათად: ალექსანდრე	—	ალექსანდრე
4. ამოლონოს	ამოლონ	ამოლონ ამოლოლ
5. ვაეკლონი (ძირითადი) იშვიათად: ბაბკლონი, ვაეკლონი, ვაეკლონი, ვაეკლონი	ბაბკლონი	—
6. დავილი (ძირითადი) ერთხელ: დავითი	დავითი	დავითი
7. დანილოს	დანიელ	—
8. დიო	დია	დიოა
9. ებრაელი (ძირითადი) იშვიათად: ებრაელი	ებრაელი	—
10. ენოხოს	ენოქი	—
11. თეოდოროს	თეოდორე	—
12. იოანნი	იოვანე	იოანე
13. იოსიპოს	იოსეფ	—
14. ლაკედემონელნი	ლაკედემონელნი	—
15. მაკაევოს	მაკაბელნი	—
16. მოსე მოსეს (ძირითადი) იშვიათად: მოსე (7-ჯერ) (მოსე, მოსე)	მოსე	მოსე
17. სოლომონ (ძირითადი) სოლომონ (7-ჯერ)	სოლომონ	სოლომონ
18. ფინიკი, ფინიკელი (ძირითადი) ძალიან იშვიათად: ფინიკი, ფინიკელი	—	ფინიკა, ფინიკელი

¹¹ ნუმესიოს ე შე ს ე ლ ი, ბუნებისათვის კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის შიგ., გვ. 20 ს. გ. რ. გ. ძეგ., თბ., 1914, საკუთარ სახელთა საძიებელი, გვ. 222—228.

¹² იოანე პეტრიწის შიგ., გვ. 20 ს. გ. რ. გ. ძეგ., თბ., 1940, საკუთარ სახელთა საძიებელი, შედგენილი ს. ყაუხჩიშვილის შიგ., გვ. 233—234.

¹³ არის რამდენიმე დამოხვევა ამ სამ თხზულებაში საერთო ხმარების საკუთარ სახელთა ფორმებში. ესენია: ათინა, ელინი, ისათა, ხალდეელი, ალექსანდრია, დიონუსიოსი, ეგპტე, იამელხოსი, ილაა, ლაოდიკია, მენანდროსი, რომი.

III. ნეოლოგიზმები. ა) -ოდ სავრცობიანი ზმნების I კავშირებითი. „იოანე პეტრიწი I კავშირებითის III პირის მრ. რიცხვისათვის არც ერთ შემთხვევაში არ ხმარობს ძველ, -იან სუფიქსიან ფორმას. -ოდინ დაბოლოება მისთვის ერთადერთია (რამდენიმე ახალი -ოდინ დაბოლოებიანი ფორმის გამოკლებით)“¹⁴.

იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში -ოდ სავრცობიანი ზმნების I კავშირებითში III პ-ის მრ. რ-ში ყველაზე ხშირად სწორედ ძველი, -იან სუფიქსიანი ფორმა გამოიყენება, რომელსაც ასე გაურბის იოანე პეტრიწი (სულ 42-ჯერ). გარდაამავალი, -ოდინ დაბოლოება 9-ჯერ გვხვდება, ხოლო ახალი, -ოდინ ფორმა კი — 6-ჯერ:

-ოდ იან: „ღმერთმან უბრძანა მათ, რაიდა უკუეთუ განმრავლდენ, გარდა ისახლებოდინ, რაიდა არა მბრძოლ იყენენ ურთიერთას“ (წ. 1, თ. 4,1). „... რაიდა განწესებულთა სჯულთაებრ შეკრებოდინ და მოქალაქობდენ“ (წ. 14, თ. 10,24). „... რაიდა არცა დამაშურალნი გაეყენებოდინ კლვასა მბრძოლთასა“ (წ. 5, თ. 1,5). „... რაიდა აღენრულებოდინ“... (წ. 14, თ. 10,23) და ა. შ.

-ოდ ინ: „ხოლო დამიარხვოდინ და მბრძოლნიცა“ (წ. 4, თ. 8,24). „... ხოლო ექორწინებოდინ... ქალწულთა თავისუფალთა“ (წ. 4, თ. 8,23). „... გულეებადთათს ევედრებოდინ“ (წ. 4, თ. 8,7) და ა. შ.

-ოდ ენ: „... შემოკრებოდენ ქალაქსა... სამგზის წელიწადსა შინა“ (წ. 4, თ. 8,7). „ყრმანი... სათნოებისა მათისათს წყალობისა უფროასლაღის იქმნებოდენ“ (წ. 4, თ. 8,39). „ხოლო არა ჰბრძოდენ მათ, არამედ ... ხედვიდენ, ვითარ ჰბრძოდის მათ ღმერთი“ (წ. 9, თ. 1,2) და ა. შ.

ბ) გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა I თურმეთობითი და სტატიკური ზმნების აწმყო. ძველ ქართულ ენაში გარდამავალ ზმნებს I თურმეთობისა და სტატიკურ ზმნებს აწმყოში ჰქონდათ -იეს დაბოლოება. უკვე ძველსავე ქართულში ამ მწკრივებში ჩნდება ახალი, -ია დაბოლოებიანი ფორმები¹⁵. IX—XIII საუკუნეთა ძეგლებში ზოგან -ია დაბოლოებიანი ფორმის თითო-ოროლა ნიმუში დასტურდება, ზოგან კი ისინი რაოდენობრივად ძველ, -იეს დაბოლოებიან ფორმებსაც კი უტოლდებიან. აი, რას წერს იოანე პეტრიწის ენაში ამ მოვლენის შესახებ დ. მელიქიშვილი: „გარდამავალ ზმნების I რეზულტატივში¹⁶ იოანე პეტრიწთან საკმაოდ ბევრი მაგალითი გვხვდება -ია დაბოლოებით (მიუხედავად იმისა, რომ შეფარდებით -იეს დაბოლოების ხმარებასთან -ია უფრო მცირეა)“¹⁷. „თავის თანამედროვე მწერლებთან შედარებით იოანე პეტრიწი ძალიან ხშირად ხმარობს -ია დაბოლოებიან ფორმებს“¹⁸. რაც შეეხება სტატიკურ ზმნებს, იოანე პეტრიწი, ჩვეულებრივ, ძველ, -იეს დაბოლოებას ხმარობს, თუმცა მისთვის არც

¹⁴ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

¹⁵ ა. შანიძე, გორგი შაჟღლის ენა თიანესა და ეფთემეს ცხოვრების მიხედვით, ცხოვრება იოანეს და ეფთემეს, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946, გვ. 78. სინური პრავალთაი 864 წლისა, აკ. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ. 1959, გვ. 318. ლ. ბარამიძე, ზოგერთი ტიპის მემკვლევნიან ფორმათა ჩასხვა და განვითარება ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964, გვ. 109. ხ. სარაჯელიძე, ქართულ სალიტერატურო ენის საკითხები, თბ., 1957, გვ. 168—175.

¹⁶ ამ ტერმინს ხმარობს მკვლევარი I თურმეთობის აღსანიშნავად.

¹⁷ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

¹⁸ იქვე, გვ. 23.

ახალი, -ია დაბოლოებიანი ფორმა არის უცხო, რადგან თვით ზმნას „ჰეის“, რომელიც ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად იხმარება და რომელიც მხოლოდ თითქოს ამ ფორმით გვხვდება საშუალ ქართულშიც¹⁹, იოანე პეტრიწი ახალი, „ჰგია“ ფორმით ხმარობს²⁰.

ცნობილია, რომ ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერიის ორგანული (-იეს, -ია) ფორმები ძველი ქართული ენის ადრინდელ ძეგლებში თითქმის არ დასტურდება და ამიტომ ამ ფორმებს შედარებით გვიან წარმოშობილად მიიჩნევენ²¹. ამ მხრივაც პეტრიწის „განმარტება“ მეტად საინტერესო სურათს გვთავაზობს: „თუ XI—XII საუკუნეთა ძეგლებში საგანგებო ძიების შემდეგ მხოლოდ ხუთი ნიმუში აღმოჩნდა ხსენებული ფორმებისა, იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ არა ერთი და ორი შემთხვევა გვხვდება გარდაუვალ ორპირიან ზმნათა I რეზულტატის ორგანული წარმოებისა და, ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ უკვე ახალი, -ია დაბოლოებით“²². ამავე დასკვნას აკეთებს ნ. კეჭელაძე, შეისწავლის რა პეტრიწისეულ თარგმანს პროკლე დიალოხოსის „კავშირისა“: „არის უხვი ხმარება თურმეობითის ახალი ფორმებისა: დაგიმცერია, დაგიკინებია...“²³

რაც შეეხება იოსებ ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, მასში ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება:

1. გარდამავალი ზმნების I თურმეობითში, როგორც წესი, იხმარება ძველი, -იეს დაბოლოებიანი ფორმები: დადასტურებული გვაქვს 53 შემთხვევა: მაგ.: „... იფელი წარუვლინებ იეს მისთვის“ (წ. 15, თ. 6,6). „ანტონიოს ... მოუკუდინებ იეს იგი“ (წ. 15, თ. 3,7). „დასასრული ასამონელთა ნათესავისაა მოგვლებ იეს“ (წ. 14, თ. 16,4). „შეურაცხ-უყოფიეს“ (წ. 14, თ. 14,3); ცხად-გუქმნიეს (წ. 13, თ. 1,1); შემცარაცხიეს (წ. 12, თ. 2,3) და ა. შ.

მთელ თარგმანში ერთხელ შეგვხვდა ახალი, -ია დაბოლოება გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში: „მე ვიდრემე უკუე, ვითარ ვბოვე სამღდლოთა წიგნთა შინა, ესრეთ თითოეული ამათი გარდმოციე ია“ (წ. 2, თ. 16,5).

2. რაც შეეხება სტატიკური ზმნების აწმყოს, ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანი ამ შემთხვევაშიც ძველ ვითარებას გვიჩვენებს: -იეს და არა -ია დაბოლოება: „მეფემან ... მისცეს ... ყელისზედაა ოქროსადა...; ვითარ და ხალდეველთაყა მეფეთა კმოსიეს“ (წ. 10, თ. 11,2). „... ძალი ღმრთისაა კგონიეს შესანდობელი შესაძლებელი ცთუნებად“ (წ. 4, თ. 3,4). „რომელმან უწყის თავი თვისი ღირს, სარწმუნოდ კგიეს იგი“ (წ. 4, თ. 2,2) და ა. შ.

3. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში ჩვენ ვერ დავადასტურეთ I თურმეობითში გარდაუვალი ზმნის ორგანული (-იეს, -ია) დაბოლოებიანი ვერც ერთი ფორმა.

¹⁹ ლ. ბარამიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

²⁰ ლ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

²¹ ს. ნათაძე, შესაშვ სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, ივე, VII, 1955, გვ. 28.

²² ლ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

²³ ნ. კეჭელაძე, პროკლე დიალოხოსის „კავშირისა“, ძველი ქართული თარგმანი (ფილოლოგიური ნარკვევი), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1948, გვ. 307.

როგორც ვხედავთ, ფლავიოსის თხზულების მთარგმნელი იოანე პეტრიწთან შედარებით მეტ სიმკაცრეს იჩენს ძველი ქართული სამწერლობო ენის ნორმების დაცვის თვალსაზრისით.

გ) ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ნ ე ო ლ ო გ ი ზ მ ე ბ ი. მკვლევრები, რომელთაც უმუშავიათ იოანე პეტრიწის ენაზე, ერთსულოვანნი არიან იმაში, რომ პეტრიწი არ გაურბის ახალ, მისი დროის სამეტყველო ენაში დამკვიდრებულ ფორმებს და ასახავს მათ თავის თარგმანებასა თუ ორიგინალურ თხზულებებში: „იოანე პეტრიწი მისი დროის მწერლობაში თანაარსებული ორი ფორმიდან ახალს ხშირად აძლევს უპირატესობას“²⁴. „რომ პეტრიწის ენა უკვე ახალი ქართულის ნორმების გზაზეა დამდგარი, ეს მტკიცდება თავსართების მაგალითითაც: ალ- და გან- წაროდგენილია ახალი ფორმებითაც (ა- და გა-)“²⁵.

დ. მელიქიშვილს უხვად მოჰყავს მაგალითები პეტრიწის ნაშრომებიდან არს მეშველი ზმნის გამარტივებისა²⁶. მსგავსი მაგალითები ბევრი აქვს დადასტურებული სიმ. ყაუხჩიშვილსაც²⁷.

ენახოთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს თარგმანში: სულ რამდენიმე მაგალითი დასტურდება ალ- ზმნისწინის გამარტივებისა: ადგომილი (წ. 14, თ. 15,11); ამკედრებულნი (წ. 1, თ. 9,1); ამღებელი (წ. 6, თ. 7,4; 9,4); ამკედრა (წ. 9, თ. 12,1); აქსნნა (წ. 8, თ. 5,3); ავსებულმან (წ. 13, თ. 4,8). რაც შეეხება სხვა ზმნისწინებს, ისინი უგამონაკლისოდ ძველი ფორმით იხმარება.

„არს“ მეშველი ზმნის გამარტივება და შერწყმა სახელთან არ არის დამახასიათებელი თარგმანისათვის (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა).

როგორც ვხედავთ, იოანე პეტრიწი არ გაურბის ახალ ფორმებს და სწორედ ამიტომ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ -ებ-იანი მრ. რიცხვის ხმარების მხრივ იგი საკმაოდ მკაცრია. დ. მელიქიშვილი სულ 24 შემთხვევას ადასტურებს იოანე პეტრიწის თხზულებებში -ებ-იან მრ. რიცხვში დასმული სახელისა. აქედან 20 მაგალითი მოდის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაზე, რომელიც აღდგენილია XVII ს-ის ხუცურით და, ამდენად, მოსალოდნელია, ეკუთვნოდეს ვადაძმურს. ამ ფაქტის ასახსნელად დ. მელიქიშვილი იშველიებს ივ. იმნაიშვილს: „როცა ებ-იან მრავლობითზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ზოგ ძეგლში იგი შედარებით ნაკლებად იხმარება, ზოგში უფრო მეტად“²⁸. „ამ ნაკლებად ხმარებული ებიანი მრავლობითის ერთ-ერთი მაგალითია იოანე პეტრიწის ენაც“²⁹.

რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს, იგი აქაც განსხვავებულ სურათს იძლევა: თარგმანში 28 შემთხვევაა -ებ-იანი მრ. რიცხვის ხმარებისა, ხოლო ორმაგი მრავლობითის (ებიან-ნარ-თანიანი) — ამაზე გაცილებით მეტი: „ორმაგი მრავლობითის, როგორც არასწორი ფორმის, მწერლობაში შემოტანას ერიდებოდნენ, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, იშვიათად მაინც ეპარებოდა“³⁰. განსახილველი თარგმანი შესრულების მაღალი დონით არ

²⁴ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

²⁵ იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1940, გვ. LVIII.

²⁶ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 16—17.

²⁷ ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. VIII.

²⁸ ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნება ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 296.

²⁹ დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

³⁰ იქვე, გვ. 12.

გამოირჩევა; სწორედ ამიტომ არ არის მოულოდნელი მასში ორმაგი მრავლობითის ასეთი ხშირი ხმარება. მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს — ებ-იანი და ორმაგი მრავლობითისა: მკედრები (წ. 4, თ. 8,47; წ. 5, თ. 1,1—4; 6,3; წ. 13, თ. 5,6; 13,1; წ. 15, თ. 15,3). სულეები (წ. 6, თ. 14,2; წ. 8, თ. 15,6; წ. 9, თ. 6,6). სოფლები (წ. 14, თ. 13,9; წ. 15, თ. 15,4). სხეულები (წ. 12, თ. 4,1). აღკურვილები (წ. 14, თ. 15,5). სახელები (წ. 13, თ. 16,2) და ა. შ. მკედრებნი (წ. 7, თ. 10,2). შესამოსლებნი (წ. 9, თ. 4,5). ცოლებთა (წ. 1, თ. 3,2). კარგებთა (წ. 1, თ. 21,1) და სხვ. მრ.

IV. არქაიზმები მორფოლოგიაში. დ. მელიქიშვილი (ა)ე-ის დაბოლოებიან ვნებითს, -იე ფორმანტიან მოქმედებითს, „ძნიალ“ ტიპის ზედსართაეებს, აგრეთვე -ო/ვი-ის და -ო-ჲ-ს დაბოლოებიან ნასახელარ ზმნებს მიიჩნევს არქაიზმებად, რომლებიც აისახნენ იოანე პეტრიწის ენაში ნეოლოგიზმების გვერდით³¹, რადგან იგი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც ხდებოდა გადასვლა ძველიდან ახალ ფორმებზე. ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანშიც ვხვდებით ყველა ამ არქაიზმს, ოღონდ მათი არსებობა ვერ გამოდგება არგუმენტად თარგმანის იოანე პეტრიწისადმი მიკუთვნებისა, რადგან ეგვიპე მოვლენები ხშირია გარდაამავალი პერიოდის (XI—XIII სს.) მწერლებისა და მთარგმნელების ენაში. თუ ამ არქაიზმებს გვერდში ამოუდგებოდნენ ის სპეციფიკური ენობრივი მოვლენები, რომელთაც აქვთ ადგილი პეტრიწთან, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძენდნენ ისინი დამხმარე არგუმენტის ძალას. მოვიყვანთ თარგმანში დადასტურებულ ზოგიერთ მაგალითს:

ა) -იე: მამულებრივი (წ. 1, შეს. № 3). ღმრთაებრივმან (წ. 2, თ. 12,4). ყრმებრივი (წ. 2, თ. 9,6). ებრაელებრივთა (წ. 1, შეს. № 2).

ბ) „ძნიალ“ ტიპის ზედსართავი სახელები: მწუხრიად (წ. 7, თ. 9,6). მღუმრიად (წ. 6, თ. 8,1; წ. 5, თ. 2,11). მალიად (წ. 6, თ. 8,1). მალიადი (წ. 4, თ. 8,1). მრგულიად (წ. 3, თ. 7,6). მსწრაფლიად (წ. 2, თ. 16,1).

გ) -ო/ვი-ის, -ო-ჲ-ს: ცრემლოოდა (წ. 4, თ. 3,3; წ. 9, თ. 1,2). ცრემლოოდეს (წ. 4, თ. 8,3). იგლოს (წ. 5, თ. 7,10). ცრემლოვთა (წ. 2, თ. 5,5). ცრემლოვანნი (წ. 2, თ. 6,8). ცრემლოანისა (წ. 2, თ. 4,5).

დ) (ა)ე-ის დაბოლოებიანი ვნებითი: შეიწირვის (წ. 2, თ. 5,2). მოიღებვის (წ. 3, თ. 9,4). აღიძრვის (წ. 2, თ. 15,3). შეიკერვის (წ. 3, თ. 7,3) და ა. შ.

V. სიტყვათა წარმოება არაბრუნებადი სახელების ბრუნების მეშვეობით. იოანე პეტრიწის ენის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად მკვლევარები გამოყოფენ ახალ სიტყვათა წარმოებას უბრუნველი ან ფორმაუცვლელი სიტყვის ბრუნებით. ამ ზერხს იოანე პეტრიწი ძირითადად ტერმინთა წარმოებისას მიმართავს. დ. მელიქიშვილს და ნ. კეკელიძეს დასახელებული აქვთ ბევრი მაგალითი: იგი — უიგომა, მასი, თუთი, იყოსი, იმართებისი, მუნაჲ, მიერი, შორისი...³²; იყოჲ, იყოსი, გამონი, ივარდაოს, ისეობს, მიეგრეობაჲ...³³

იოსებ ფლავიოსის თხზულების მთარგმნელმა მხოლოდ ერთხელ მისცა თავის თავს უფლება მსგავსი მანიპულაციის ჩატარებისა: ორი ნაგენეტივარი კუთვნილებითი ნაკვალასახელის შეერთებით მიიღო ახალი სიტყვა. ისევ და ისევ კუთვნილების გამოსახატავად და აბრუნა იგი: „... მრავალთა ნიჭთა მიმცემელმან ჩემ თვისთავან, ორთავე სარგებელი ვიზრუნე“ (წ. 15, თ.

³¹ იქვე, გვ. 25—31.

³² დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 107—108.

³³ ნ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 279—280.

5,3). „ხოლო ექორწინა ცოლსა, ...სახელით იეზაველას, რომლისაგან მის-
თ ვ ს თ ა ლმერთთა თაყუანისცემაჲ ისწავა“ (წ. 8, თ. 13,1). „ხოლო ძლევა-
სა არა უმციერეს მათთ ვ ს ა დ იტყოდა...“ (წ. 5, თ. 6,6).

ყველა ამ შემთხვევაში მთარგმნელი აკეთებს კალკს: ბერძნულ დედანში
შესატყვის ადგილებში ნაცვალსახელის გარდა იხმარება *წმ* ზმნიზედა, რო-
მელიც ნიშნავს „პირადად თავისთვის“.

ამგვარად, ახალ სიტყვათა წარმოება სხვადასხვა საშუალებით, რაც ძა-
ლიან ზშირია პეტრიწთან, არ არის დამახასიათებელი ფლავიოსის თხზულების
მთარგმნელისათვის.

VI. მთარგმნელი აზროვნებს ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციებით.

პეტრიწი თავის თარგმანებში დიდად არ დალატობს ქართული ენის ბუნებას:
აქვს, რა თქმა უნდა, ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციები³⁴, მაგრამ ზოგ-
ჯერ ისიც შეინიშნება, რომ პეტრიწი ცდილობს თავი დააღწიოს ბერძნული დედ-
ნის სინტაქსს და ქართული ენისათვის ბუნებრივად ააგოს ესა თუ ის წინადადება.
ასე მაგალითად, ნ. კეკელმაძე თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ ბერძნული
პირობითი წინადადების გადმოტანისას ქართულ თარგმანს შემთხვევათა უმრავ-
ლესობაში აკლია ბერძნულ ტექსტში არსებული მაპირისპირებელი ზმნისათე-
ბი: *ინადა, ესთანადა, ადაუნე, ჟ* და სხვ. ასეთი წინადადებები მთარგმნელს გადმო-
აქვს დადებითი მნიშვნელობით, ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე, რადგან
მაშინდელი ქართული ენის ბუნებას მაინცაღამაინც არ შეეფერებოდა ამგვარ
მაპირისპირებელ ზმნისართიანი წინადადებები³⁵.

ასე ვრცლად ამ საკითხზე მსჯელობა იმისთვის დაგეჰირდა, რომ ვაჩვენოთ
ამ მოვლენის საპირისპირო ვითარება იოსებ ფლავიოსის თხზულების ქარ-
თულ თარგმანში: გარდა იმისა, რომ მთარგმნელი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აკე-
თებს ბერძნული კონსტრუქციების კალკს, იგი ბერძნული ყაიდის წინადადე-
ბებს აგებს მაშინაც, როდესაც უშუალოდ დედანი არ არის დამნაშავე ამასი.
მთარგმნელი, როგორც ჩანს, იმდენად არის მიჩვეული ბერძნულ ენას და იმ-
დენად არის დაცილებული ქართულ გარემოს, რომ აზროვნებს ბერძნული
კონსტრუქციებით. მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს:

ა) „ღ ა“ კ ა ვ შ ი რ ი ს ხ მ ა რ ე ბ ა. როგორც ცნობილია, ბერძნულ *αει-ს*
აქვს ორი მნიშვნელობა: „ღა“ კავშირისა და „ც“ ნაწილაკის. ეს არაერთხელ
აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში³⁶. აღნიშნულა ისიც, რომ ძირითადად
ეს განსხვავება სწორად არის გაგებული და *αει-ც* სათანადოდ თარგმნილი ქარ-
თულ ენაზე.

იოსებ ფლავიოსის თხზულების მთარგმნელი, რომელიც მიჩვეულია ბერძ-
ნულ ენაში *αει-ს* ხმარებას არა მხოლოდ „ღა“ კავშირის მნიშვნელობით და რო-
მელსაც ბევრი ასეთი წინადადება უთარგმნია ქართულ ენაზე, უკვე ბერძნული
დედნისაგან დამოუკიდებლად ხმარობს „ღა“-ს და ანიჭებს მას სხვადასხვა მნი-
შვნელობას: „ხოლო დართის აღსრულდა რაჲ, მიმღებელმან მეფობისამან ყრმა-
მან მისმან ქსერქსი დაიმკვიდრა და მისი და ღმრთისა მიმართიცა კეთილმსახუ-

³⁴ დ. შ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 185—202. ნ. კ ე კ ა ლ მ ა ძ ე, დასახ. ნაშრ.,
გვ. 263—275.

³⁵ ნ. კ ე კ ა ლ მ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

³⁶ ს. ყ ა უ ხ ი შ ი ვ ი ლ ი, გორგი ამარტოელის ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II,
გამოკვლევა, ტფილისი, 1926. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ეტიოლოგიკ. ქართული ლიტერატურის ისტორიი-
დან, I, თბ., 1956, გვ. 255. ნ. კ ე კ ა ლ მ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 263—265; დ. შ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი,
დასახ. ნაშრ., გვ. 197—201.

რება და პატივი" (წ. 11, თ. 5, 1). ბერძნული ღედნის შესატყვის ადგილას (A, 11₁₂₀) არ დასტურდება *καί*. „და მისი“ შეიძლება გავიგოთ როგორც „მი-სიცა“.

როგორც ჩანს, ბერძნულ ენაში განკერძოებული განსაზღვრება ხშირად იწყე-ბა *καί* კავშირით, რომელსაც ამ შემთხვევაში აქვს მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქცია. მაგ.: *οί τούς Βράβα παίξες και παρὰ τῶν κλήθει δυνάτει, πιστοι διετέλου* (A, 15₂₈₃) — ვეფს ყრმანი, რომელთაც ჰქონდათ ძლიერი გავლენა სიმრავ-ლეზე... ასევე არის გადმოსული თარგმანშიც: „არამედ ვითარცა ვას ყრმანი, და სიმრავლეს შორის შემძლებელნი, მტკიცედ დაადგარებოდეს ანტილონოს მი-მართ“ (წ. 15, თ. 7, 10). ამგვარი მაგალითები კიდევ არის. ახლბ ცხადია, თუ რა-ტომ იწყებს მთარგმნელი განკერძოებულ განსაზღვრებას „და“ კავშირით მაში-ნაც, როდესაც ბერძნული ღედნის შესატყვის ადგილას *καί* არ დასტურდება: იგი მიჩვეულია ბერძნულში ასეთ შემთხვევაში *καί*-ს ხმარებას: „და განთქმულე-ბაა უკუე ბრწყინვალე ყოველსა გარემომესსა ქუეყანასა მიდმოჰვლიდა, და მკმო-ბელი სალომონოას სათნოებისა და სიბრძნისაა“ (წ. 8, თ. 7, 3). *Φήρηγ δὲ λαμπρὰ πᾶσων ἐν χύκλῳ τῆν Σολομώντος ἐρετῆν καὶ σοφίαν* (A, 8₁₈₂).

ცალკე უნდა გამოვეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც „და“ ქართულ თარგ-მანში თითქოს უადგილოდ არის ნახმარი მაშინ, როდესაც ბერძნული ღედნის შესატყვის ადგილას დასტურდება წინდებულისი სიტყვა. ამგვარ შემთხვევებ-ში ქირს იმის გარკვევა, თუ რა მიზნით არის იგი ნახმარი, მაგრამ ხშირად გვრჩე-ბა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მთარგმნელი „და“ კავშირს შთაბეჭდილების გაძ-ლიერების მიზნით მიმართავს: „ივლტოდა უშინაგანესისა მიმართ სამეფოთაჲსა და ქუეშეალმდებელმან მისმან და თან-ღაიწუა თავი თჳსი“ (წ. 8, თ. 12, 4) ... *συμψυχεν εἰς τὸ μαχαίτατον τῶν βασιλείων καὶ ὑποπρήσας αὐτὸν σὺγκρατῆσθεν ἐλατὸν* (A, 8₃₁₁).

საკმაოდ ხშირია „და“ საკუთარ სახელთა წინ. ამგვარ შემთხვევებშიც ძნე-ლია გარკვევა, თუ რა აზრი ჩადო მთარგმნელმა „და“ კავშირში; დააკისრა მას „ც“ ნაწილაკის ფუნქცია, იხმარა შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, სტი-ლისტურ თავისებურებად უნდა ჩავუთვალოთ მთარგმნელს თუ კიდევ სხვა მი-ზეზი უნდა ვეძებოთ. მაგ.: „ხოლო ღმერთმან ამის უგბილობისათვის მეუკლესუ-ლად საჯნა იგინი და პატიენი მიჰჯადა და ონიაჲს მოკუდინებაჲ ესრეთ სახედ...“ (წ. 14, თ. 2, 2). „და ისწავა რაჲ ქმნილი იოავოს, მივიდა და ავესსალომოს მი-მართ“ (წ. 7, თ. 8, 5). ასეთი მაგალითები კიდევ ბევრია. არც ერთ შემთხვევაში ბერძნული ღედნის შესატყვის ადგილას არ არის *καί*.

ზედმეტი არ იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ იოანე პეტრიწის ენის მკვლევრები, ხაზს უსვამენ რა *καί* კავშირის რამდენიმე მნიშვნელობას და მათ სათანადო გაღ-მოღებას პეტრიწის თარგმანებში, არაფერს ამბობენ ზემოთ ჩვენ მიერ ნაჩვენებ მოვლენაზე, კერძოდ, „და“ კავშირის რამდენადმე გაურკვეველი ფუნქციით ხმა-რებაზე თარგმანში ბერძნული ღედნის შესატყვისი *καί*-ს გარეშე. ვფიქრობთ, ეს მოვლენა მათ არ დარჩებოდათ შეუნიშნავი მისი არსებობის შემთხვევაში.

ბ) ზ მ ნ უ რ ი მ ნ ი მ ვ ე ნ ე ლ ო ბ ი ს ი ნ ფ ი ნ ი ტ ი ვ ე ლ ა მ ი მ ღ ე ო ბ ა. როგორც ცნობილია, ბერძნულ ენაში არსებობს ისეთი კონსტრუქციები, სა-დაც ინფინიტივს აქვს შემასმენლის ფუნქცია. ასეთია *Accusativus cum infinitivo* და *Nominativus cum infinitivo*, ასეთი კონსტრუქციების თარგმნისას ბერძნული წინადადების ინფინიტივი წესით ქართულში პირიანი ზმნით უნდა გადმოვიდეს. ჩვენი ძეგლის მთარგმნელს კი ამგვარი ფუნ-ქციით ნახმარი ინფინიტივი ძალიან ხშირად ისევე ინფინიტივით გაღ-

მოაქვს. იგივე შეიძლება ითქვას მიმღეობაზე, რომელსაც ბერძნულში ხშირად ზმნის გაგება აქვს და ასევე მიმღეობის ფორმით და ზმნური შინაარსით არის გადმოსული თარგმანში. ეს მოვლენა არ არის იშვიათი ნათარგმნ ძეგლებში, ადგილი აქვს ამას პეტრიწთანაც .

ჩვენი ინტერესის ფარგლებში აქამდე არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ბერძნული დედანი არ არის უშუალო მიზეზი ქართულ თარგმანში ინფინიტივისა და მიმღეობის ზმნური მნიშვნელობით ხმარებისა. მთარგმნელი, როგორც ჩანს, ისე გაუშინაურდა ინფინიტიურ და მიმღეობურ კონსტრუქციებს, რომ ხმარობს მათ მაშინაც, როდესაც ბერძნული დედნის შესატყვის ადგილას ზმნის პირიანი ფორმა დასტურდება. მაგ.: „ნუცა აქა ჰმყოფობ, ნუცა სახედველად ჩემდა შემემთხვევი, არამედ მამულად შენდა წარსრული აგარაკთა შინა ცხორებად“ (წ. 8, თ. 1, 3)... (წმ: (A, 810) = იცხოვრე. „არა ჩემისა მადლისა მიერ მიღებად და ღმრთისა არა მსჯავრისაჲგან, დასდებს მას საშუელად განსარჩევლად მნებებელთა“ (წ. 4, თ. 2, 4). ... λαβών (A, 429) = მიიღო. „და ღამე ყოველი მივიღეს ვითსად მისრულნი ზღუდეთა თანა მბრძოლთასა და შთამოშლენი იავისად“ (წ. 6, თ. 14, 8)... καθέλονται... ποιήσασιν εις ἰσχύα (A, 637a) = ...ჩამოიღეს... მიიღეს იავისად.³⁷

მთარგმნელი რომ ბერძნული ენის ძლიერ გავლენას განიცდის, ამას, ვფიქრობთ, მოყვანილი მასალაც ცხადყოფს. ზემოთ თქმულს შეგვიძლია დავუმატოთ ისეთი მოვლენები, როგორიცაა მეშველი ზმნის ჩავარდნა თარგმანში მისი ბერძნულ დედანში არსებობის პირობებში, ქვემდებარის არასწორი ბრუნვის ფორმით ხმარება იმის გამო, რომ ბერძნულ ენაში ქვემდებარის ბრუნვა მხოლოდ სახელობითია, აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვების გათიშვა ზოგჯერ დედნის გავლენით, ზოგჯერ კი — მისგან დამოუკიდებლად მთარგმნელის ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციებით აზროვნების გამო.

VII. ხარვეზები ტექსტის თარგმნისას. ბუნებრივია, რომ დიდი მოცულობის თხზულების ბერძნული ენიდან თარგმნისას მთარგმნელი არ არის დაზღვეული დედნის არასწორი გაგებით დაშვებული შეცდომების, ლაფსუსებისა და ხელოვნური ფორმებისაგან. არ იყო დაზღვეული ამისგან არც იოანე პეტრიწი. ნ. კეკელმაძე თავის ნაშრომში გარკვეულ ადგილს უთმობს მსგავს შემთხვევათა აღნუსხვას. იგი აღნიშნავს, რომ „პეტრიწი ზოგჯერ შემდგარ სიტყვას შემადგენელ ნაწილაკებითურთ თარგმნის... ხშირად ეს ხელოვნურია, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსს ზოგჯერ მშვენიერად გადმოსცემს“³⁸. მკვლევარს მოჰყავს ისეთი მაგალითიც, როდესაც პეტრიწი რამდენიმე მნიშვნელობის მქონე ბერძნულ სიტყვას ყოველთვის ერთი მნიშვნელობით თარგმნის³⁹. უთარგმნელად გადმოღებული სიტყვებიც გვხვდება პეტრიწთან, მაგრამ ისინი თითზე ჩამოსათვლელია⁴⁰.

ყოველივე ამას ნ. კეკელმაძე „დიდ დანაშაულად“⁴¹ არ უთვლის მკვლევარს და უარს არ ამბობს იმ საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებაზე, რომ პეტრიწი იყო ამ პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე ერუდირებული და მაღალი დონის მთარგმნელი.

³⁷ ამ საკითხებზე ჩვენ ერცლად უკვე გქონდა საუბარი გამოკვლევის გვ. 50.

³⁸ ნ. კეკელმაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

³⁹ იქვე, გვ. 260.

⁴⁰ იქვე, გვ. 261.

⁴¹ იქვე, გვ. 262.

როგორც ჩანს, ზემოთ აღნიშნული მოვლენები პეტრიწთან ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, თითო-ორიოლა იყო და საერთო სურათს ვერ ცვლიდა: თარგმანი მაინც სათანადო დონეზე იდგა. რაც შეეხება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანს, მსგავსი მოვლენები აქ ისეთი რაოდენობით არის, რომ ძნელი ხდება მთარგმნელის მაღალ ოსტატობაზე საუბარი. წარმოვადგენთ საილუსტრაციო მასალას:

1. რთული სიტყვების კალკირება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში. მთარგმნელი აკეთებს აბსოლუტურად ყველა რთული სიტყვის კალკს, მაშინაც კი, როდესაც ამგვარი კალკირების არავითარი აუცილებლობა არ არის (და ასეა ძირითადად, რადგან ქართული ენის მდიდარი ლექსიკა მას საშუალებას აძლევდა ბერძნული კომპოზიციების ნაცვლად ეხმარა მათი შესატყვისი ქართული სიტყვები). მაგ.: ქუეშმოხარკენი — *ἡπίστελαει*; კეთილლონიობა — *ἐξ — πειρί*; უკუნსიტყუა — *ἀνεπίστα* და სხვ. მრ. ძალიან ხშირად კალკირების შედეგად მიღებული ქართული ფორმა ვერ ახერხებს იმ შინაარსის გადმოცემას, რომელიც მას ეკისრება და ქართული ტექსტი ბერძნული დედნის მოშველიების გარეშე გაუგებარი ხდება. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ბევრ სიტყვას აქვს რამდენიმე, ერთიმეორის სრულიად გამომრიცხავი მნიშვნელობა (ზოგჯერ ეს განსხვავებული მნიშვნელობები დასტურდება სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ ძირითადად ერთსა და იმავე პერიოდს განეუთვნებიან). მთარგმნელი, გააკეთებს რა ბერძნული კომპოზიტის კალკს, დააკისრებს მას ყველა იმ მნიშვნელობის გადმოცემას, რომელიც აქვს შესატყვის ბერძნულ ფორმას და აძნელებს ტექსტის სწორ გაგებას. მაგ.: „წინმოურნეობა“, რომელსაც ბერძნულ დედანში შეესატყვისება სამი სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვა *ἡ πρόνοια*, თარგმანში ამ სამივე მნიშვნელობით იხმარება: ა) წინაბედულება; ბ) ღვთიური განგება; გ) ზრუნვა. ასევე, „ხელმღებარაობა“ წარმოადგენს ბერძნული *ἡ ἔχρημα*-ს კალკს და აქვს მისი ორივე მნიშვნელობა: ა) ყოფნა, წოლა და ბ) დაუინებით მოთხოვნა.

ბერძნულში რთული სიტყვის მნიშვნელობას ხშირად არ განსაზღვრავს მისი შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში კალკირებული ქართული ფორმა სწორად ვერ გადმოსცემს აზრს.

განვიხილოთ სიტყვა „დიდგონიერი“, რომელიც ქართველი მკითხველისათვის ნიშნავს დიდად გონიერს, ბრძენს, ჭკვიანს. თხზულების ქართულ თარგმანში (და, რა თქმა უნდა, ბერძნულ დედანში) ამ სიტყვას აქვს „დიდსულოვნის, კეთილშობილის“ მნიშვნელობა: „...იქმენ მისა მიმართ დიდგონიერ“ (წ. 2, თ. 6,8) ...*μεγαλόφρων* (A, 2141). საქმე იმაშია, რომ ბერძნულ ენაში *ἡ φρόνησις* გარდა „გონებისა“ ნიშნავს „გაგებას, გადაწყვეტილებას, სიამაყეს“. ამიტომ ბერძნული კომპოზიტი შეიძლება ნიშნავდეს „დიდსულოვანს“, ხოლო ქართულ „დიდგონიერს“ გაუჭირდება ამ მნიშვნელობის გადმოცემა.

ასევე: „ავიძელეხოს ...არასადა გარეშემწერელ იყო ძალსა, უკუეთუ არა ყოველნი წარწყმიდნა“ (წ. 5, თ. 7,5), ბერძნულ დედანში ამ ადგილას არის *περιყρῆσθαι* (A, 5251). ამ სიტყვას, გარდა „გარშემოწერის“ (შემოფარგვლა, შემოხაზვა) მნიშვნელობისა, რაც მისი ზუსტი კალკირებით მიიღება, აქვს „შეწყვეტის, დამთავრების“ მნიშვნელობაც. მართალია, „შემოფარგვლა“ რამდენადმე გულისხმობს რაიმეს დამთავრებას, წერტილის დასმას, მაგრამ მკითხველისათვის მაინც საკმაოდ ბუნდოვანი რჩება, რომ „ავიძელეხმა არ შეწყვიტა ბრძოლა, სანამ ყველა არ დაიღუპა“.

„ქუეშ-იმოქმედნა რაჲ მალიადთა მიერ მეფემან...“ (წ. 4, თ. 6,4), ...*ἄπιστοί* (A, 422). *ἀπιστοί* ნიშნავს დახმარების აღმოჩენას. „ქუეშ-იმოქმედნა“ ზუსტი კალკია ბერძნული *ἀπιστοί*-ი და ქართველი მკითხველისათვის ძნელი გასაგებია, რომ იგი „დახმარებს“ ნიშნავს. თანვენებულება (წ. 7, თ. 10, 5) ქართულ თარგმანში იხმარება „სიმპათიის, თანაგრძნობის, სიყვარულის“ მნიშვნელობით. ეს მნიშვნელობა აქვს ბერძნულ *συμπάθεια*-ს (A, 725a), რომლის კალკიც გააქეთა მთარგმნელმა (*πάθη* = ტკივილი, ვნება, ტანჯვა).

ამასთან, თარგმანში არის რიგი კომპოზიტებისა (ძირითადად „კეთილ“ და „ქუეშ“-ით ნაწარმოებნი), რომლებიც სრულიად გასაგებნი და გაცილებით ორგანულნი იქნებოდნენ ქართული ენისათვის თავიანთი პირველი შეზღვეული ნაწილის გარეშე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მთარგმნელმა არ უღალატა ფორმათა კალკირების თავის პრინციპს, მაგ.: კეთილბედნიერება, კეთილდიდებაობა, კეთილნაყოფიერება, ქუეშობარკე, ქუეშდამორჩილებული, ქუეშეულელი, ქუეშეაღმდებელი (= ცეცხლის წამკიდებელი).

«Можно только удивляться тем неисчерпаемым ресурсам, тем прямо-таки чародейским силам, которыми он располагал, чтобы с избытком находить в грузинской речи нужные материалы для передачи всех оттенков и переливов мыслей по образцу греческого языка, для преодоления всех трудностей в высшей степени отвлеченной и сложной диалектики»⁴²

ზემოთ მოყვანილი მასალა აშკარად ამ აზრის საწინააღმდეგოა. ფლავიოსის თხზულების ქართული თარგმანის ავტორი ყველაზე ნაკლებ სწორედ ქართულ ენაში ეძებდა საჭირო მასალას და ყველაზე ადვილი გზით, ფორმათა კალკირებით, თარგმნიდა.

2. კონკრეტული კონტექსტისათვის ბერძნული სიტყვის შეუფერებელი მნიშვნელობით თარგმნა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნულ ენაში სიტყვას ხშირად აქვს რამდენიმე, ერთმანეთის გამომრიცხავი ან ერთმანეთისაგან ნიუანსურად განსხვავებული მნიშვნელობა. „ბერძენთა ენაჲ“, — ამბობს ეფრემ მცირე, „უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყვაჲ მრავალსა პირსა აღიარებს“⁴³. არცთუ იშვიათად ფლავიოსის თხზულების მთარგმნელს ვაღმოაქვს სათარგმნო სიტყვის არა ის მნიშვნელობა, რომელიც ბერძნული დედნის მოცემულ კონტექსტში აქვს ამ სიტყვას. მაგ.: „ანგაპრები თა ქალაქთათა“ (წ. 5, თ. 1, 20) *ἄστυ* (A, 571) ნიშნავს როგორც „სიხარბეს, ანგარბას“, ასევე „უპირატესობას, უკეთეს მდგომარეობას“. დამოწმებულ ადგილას, რა თქმაუნდა, საუბარია არა ხარბ ქალაქზე, არამედ ბუნებრივი პირობების გამო უკეთეს მდგომარეობაში მყოფზე. „ბოროტი ცხოველები“ არის ნახმარი იქ, სადაც ბერძნულ დედანში ივარაუდება „წმინდა, საკულტო ცხოველები“ (წ. 13, თ. 3,1; A, 13_გ). ეს გაუგებრობა მოხდა იმის გამო, რომ [ჰრძ ნიშნავს როგორც „საოცარსა და საშინელს“, ასევე „წმინდას, საკულტოს“. ამ კატეგორიის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

⁴² Марр Н. Я., Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века (ЗВО, т. XIX), СПб., 1910, გვ. 86.

⁴³ ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლისადან, II, თბ., 1946, გვ. 199.

3. ნ ა თ ა რ გ მ ნ ი ს ა კ უ თ ა რ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი. ხშირ შემთხვევაში ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანში საკუთარ სახელთა თარგმნა აძნელებს ტექსტის სწორ წაკითხვას, რადგან იკარგება საკუთარი სახელის გაგება. მაგ.: „...არავთა მეფე, საჩინოდ მყოფი“ (წ. 13, თ. 13,3). ბერძნული დედნის არავთა მეფის საკუთარი სახელი ἸΑΡΕΑ გაგებულია როგორც საზოგადო სახელი ἡ ἀρετή = სიმამაცე, ამაღლებული თვისებები, თარგმნილია და გადაქცეულია არავთა მეფის ეპითეტად. ასევე, საკმაოდ ძნელი მისახედრია, რომ თარგმანში „მორკინალის“ ქვეშ (წ. 13, თ. 16, 5) იგულისხმება ადამიანი, რომელსაც ჰქვია პალესტი (Παλαστίνης A, 13₄₂₄). „განმგებელი“ ქართულ ენაზე ნიშნავს „მმართველს“ და ბერძნული დედნის გარეშე მკითხველისათვის გაუგებარია, რომ აქ საუბარია პიროვნებაზე, რომელსაც ჰქვია Πέρταυς (A, 14₂₄₆). ἸΑΧΕΥ (A, 15₁₀₉) გეოგრაფიული სახელი, რომელიც აღნიშნავს ყურეს აკარნანიაში, ამბრაკიის სრუტის შესასვლელში, მთარგმნელმა მიიჩნია საზოგადო სახელ ძαυიცი-ად და თარგმნა იგი როგორც „ზღვსპირი“. ასევე, საკუთარი სახელი Περαις (A, 13₄₀) = ადგილი პალესტინაში, მთარგმნელმა წარმოგვიდგინა როგორც „წიად მყოფი“ (წ. 13, თ. 2,3).

თარგმანიდან საილუსტრაციო მასალის წარმოდგენისას ჩვენ შემდეგ პრინციპით ვხელმძღვანელობდით: 1. მოვახდინეთ ზოგიერთი საერთო ენობრივი ძოვლენის შეპირისპირება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანსა და ნამდვილად პეტრიწისეულ თარგმანებსა თუ ორიგინალურ ნაშრომს შორის. აღმოჩნდა, რომ ისინი, როგორც წესი, განსხვავებულად არიან წარმოდგენილი ამ ძეგლებში. 2. ვაჩვენეთ ისეთი შემთხვევები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია იმ მასშტაბის მთარგმნელთან, როგორც იყო იოანე პეტრიწი.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მთარგმნელი იოსებ ფლავიოსის თხზულებისა „იუდეველთა სიძველენი“ არის არა იოანე პეტრიწი, არამედ სამშობლოდან გადახვეწილი, რომელიღაც შედარებით ნაკლები გაქანებისა და ცოდნის მქონე პიროვნება.

ს ა ბ ო ლ ო დ დ ა ვ ა ს კ ე ნ ი თ :

1. იოსებ ფლავიოსის თხზულების, „იუდეველთა სიძველეთა“ ქართულ ენაზე თარგმნა XI—XII საუკუნეებში შემთხვევითი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო: ამ დროს საქართველოში შეინიშნება დიდი ინტერესი ანტიკურობისადმი. გარდა ამისა, იოსებს აქვს ცნობები საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ.

2. თარგმანის XIX ს-მდე გადაწერილი ყველა ნუსხა თუ ფრაგმენტი მომდინარეობს XIII ს-ის ხელნაწერ A 675-ში დაცული ტექსტიდან. რაც შეეხება XIX ს-ის ნუსხებს, მათ საფუძვლად დაედოთ დავით დადიანის კარის მღვდლის, დავით ინანიშვილის მიერ ნარედაქციალი (პირველი თხუთმეტი წიგნის მანძილზე) და ნათარგმნი (XVI—XX წიგნების) ტექსტი, რომელიც დაცულია S 315/321-ში.

3. ქართული თარგმანის შედარებისას ბერძნულ ორიგინალთან პირველი ათი წიგნის მანძილზე ვერ ირკვევა, თუ რომელი ბერძნული ნუსხა დაედო მას საფუძვლად. ამის მიზეზი თვით ბერძნული ტექსტია, სადაც ამ ათი წიგნის მანძილზე არ ჩანს ერთსულოვნება და არ გამოიყოფა ნუსხათა მყარი ჯგუფები. რაც შეეხება XI—XV წიგნებს, მათი წყარო ჩანს L კოდექსში (Codex Leidensis F 26, XI—XII სს.) მოთავსებული თუ ამ კოდექსიდან მომდინარე ტექსტი.

4. ქართული თარგმანის შემცველ უძველეს ნუსხებში, A 675-სა და ქუთაის 10-ში არის იოსებ ფლავიოსის თხზულების პირველი თხუთმეტი წიგნი. ბოლო ხუთი წიგნის მხოლოდ XIX ს-ში შესრულებული თარგმანი არსებობს. გაურკვეველი იყო, არ ყოფილა ისინი XIX ს-მდე თარგმნილი თუ ხელნაწერის დაზიანების გამო დაიკარგა. მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ თარგმანის XI—XV წიგნების ბერძნული დედანი არის L კოდექსში დაცული ტექსტი და ეს კოდექსი მოიცავს თხზულების მხოლოდ XI—XV წიგნებს, ვვარაუდობთ, რომ XVI—XX წიგნები ქართულ ენაზე XIX ს-მდე არც ყოფილა თარგმნილი.

5. თხზულების საკუთარი სახელების დიდი ნაწილი ბიბლიურია. ამ სახელებს ქართველები ძველთაგანვე იცნობდნენ და ისინი ტრადიციით დაკანონებული სახით იხმარებოდა ქართულ წერილობით თუ ზეპირ წყაროებში. თხზულების მთარგმნელი არ უწყევს ანგარიშს ამ ფაქტს და საკუთარი სახელები გადმოაქვს თარგმანის შესრულების პერიოდში (XI—XII სს.) მოქმედი ფონეტიკური შესატყვისობების გათვალისწინებით.

6. თხზულების ქართული თარგმანი დიდ დამოკიდებულებას იჩენს თავის ბერძნულ დედანზე. მთარგმნელს თარგმნის ძირითად მეთოდად კალკირება გაუხდია. გვხვდება მორფოლოგიური, სინტაქსური და ფრაზეოლოგიური კალკები. თარგმანის ენის შესწავლა ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ აძნელებს ტექსტის გაგებას დედანთან უკიდურესი სიახლოვის მიღწევის ცუდად ხორც-შესხმული ცდა. მაგალითად: თხზულების მთარგმნელს ბერძნული დედნის

პირიანი ზმნის გაგების მქონე ინფინიტივი და მიმღეობა თარგმანში ძირითადად ისევე ინფინიტივითა და მიმღეობით გადმოაქვს, აგებს რა უზმნო წინადადებებს და აზრს საკმაოდ აბუნდოვანებს. ზოგჯერ ბერძნული დედნის პირიანი ზმნის შესატყვისადაც კი თარგმანში ინფინიტივი და მიმღეობა იხმარება. ე. ი. მთარგმნელს ზმნური მნიშვნელობით ინფინიტივისა და მიმღეობის გამოყენება ქართული ენისათვის ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია.

7. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილად ითვლებოდა, რომ „იუდეველთა სიძველეთა“ პირველი თხუთმეტი წიგნის ქართულ ენაზე მთარგმნელი არის XI—XII საუკუნეთა გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი იოანე პეტრიწი.

ჩვენ შევეცადეთ შეგვემოწმებინა ამ აზრის საფუძვლიანობა ძეგლის თარგმანის ენობრივ ანალიზსა და თარგმნის სპეციფიკაზე დაყრდნობით. თარგმანიდან საილუსტრაციო მასალის წარმოდგენისას ვხელმძღვანელობთ შემდეგი პრინციპით:

ა. მოვახდინეთ ზოგიერთი საერთო ენობრივი მოვლენის შეპირისპირება ფლავიოსის თხზულების ქართულ თარგმანსა და ნამდვილად პეტრიწისეულ თარგმანებსა და ორიგინალურ ნაშრომს შორის. აღმოჩნდა, რომ ისინი, როგორც წესი, განსხვავებულად არის წარმოდგენილი ამ ძეგლებში. ბ. ვაჩვენეთ ისეთი შემთხვევები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ნაკლებად მოსალოდნელია იმ მასშტაბის მთარგმნელთან, როგორც იყო იოანე პეტრიწი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დავასკვნით, რომ მთარგმნელი აოსებ ფლავიოსის თხზულების „მოთხრობანი ოუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი“ არის არა იოანე პეტრიწი, არამედ რომელიღაც შედარებით ნაკლები გაქანებისა და ცოდნის მქონე პიროვნება.

ГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД «ИУДЕЙСКИХ ДРЕВНОСТЕЙ» ИОСИФА ФЛАВИЯ

Резюме

Исторический памятник I века еврейского летописца Иосифа Флавия «Иудейские древности» является историей еврейского народа с сотворения мира до иудейской войны (66 г. нашей эры). Написан он на греческом языке и содержит 20 книг.

Сочинение Флавия имеет большое значение как один из важнейших источников для изучения тех исторических событий, о которых древние еврейские летописцы не предоставляют никаких сведений после III века до нашей эры. Флавий часто цитирует тех историков, чьи труды не дошли до нас. Таким образом его сочинение является и источником для восстановления этих трудов.

В XII веке в Грузии наблюдался большой интерес к античности. Одним из первых исторических памятников той эпохи, переведенных с греческого на грузинский язык, было сочинение Иосифа Флавия. Но кроме интереса к античной истории были, по-видимому, и более конкретные причины для этого перевода: в труде Флавия имеются сведения о Грузии и близлежащих к ней странах.

Древнегрузинский перевод выполнен в XI—XII веках и содержит текст первых пятнадцати книг. Последние пять книг переведены на грузинский язык в XIX веке по инициативе известного грузинского феодала и книголюбца Давида Даднани его придворным священником Давидом Инанишвили.

Древнегрузинский перевод дошел до нас в виде двух древних списков — А 675 (XIII век, коллекция Института рукописей им. К. Кекелидзе ГССР) и Кутанси 10 (XVI век, коллекция кутаисского музея). Кроме этого, имеется два списка XIX века, содержащие древний перевод пятнадцати книг (отредактированных Давидом Инанишвили и Давидом Даднани) и перевод последних пяти книг — S 315/321 и S 372/375 (коллекция Ин-та рукописей ГССР). Сохранилось несколько фрагментов различной величины и разных периодов. Текст перевода во всех этих списках относится к одной редакции.

При сопоставлении грузинских и греческих текстов оказалось, что первые десять книг перевода не дают ясного представления о том, какой из греческих списков лег в основу перевода, так как и в греческом подлиннике на протяжении этих десяти книг разные списки не формируют четко различающиеся группы, и показания грузинского перевода часто совпадают с различными списками. Что же касается последующих пяти книг (XI—XV) перевода, у них имеется один источник, список L, который содержит текст только XI—XV книг. На основании этого можно сделать вывод, что переводчик во время работы над второй частью труда Флавия имел под рукой рукопись, содержащую текст только XI—XV книг и поэтому не перевел последних (XVI — XX) пяти книг. Именно по этой причине, а не вследствие повреждения рукописи они не вошли в древнегрузинский перевод.

Данный перевод — важный памятник древнегрузинской переводческой литературы. Он является значительным источником для изучения древнегрузинского языка этого периода (XII в.) и древнегрузинской социальной терминологии.

В исследовании показано, что язык грузинского перевода сочинения Флавия во многом зависит от греческого подлинника. В тексте перевода встречаются кальки как морфологического, так и синтаксического характера. Выявлены также случаи фразеологического калькирования. Можно привести несколько примеров морфологических калек: а) под влиянием греческого оригинала, где нет категории версии, соответствующие отношения передаются искусственным для грузинского языка способом; б) моноперсональность греческого глагола определяет то, что часто отношения, естественно выраженные в грузинском языке глаголом объективного спряжения — с маркировкой объектного лица, передаются глаголами субъектного спряжения, что создает искусственные для грузинского языка конструкции. Частое употребление пассивных конструкций в переводе также можно отнести за счет влияния греческого подлинника... Что же касается синтаксического влияния, оно представлено в виде предложений без подлежащего, в виде нарушения согласования в падеже и числе и т. д.

В труде изучены три группы композитов, представленные в грузинском переводе сочинения Иосифа Флавия: 1) именные, 2) глагольные, 3) композиты, составленные из неизменяемых слов. Показано, что эти композиты являются кальками с греческих форм и очень часто не передают того содержания, которое имеют соответствующие греческие сложные слова. Поэтому иногда затрудняется правильное понимание перевода без привлечения греческого подлинника.

Изучены отыменные глаголы и слова, образованные посредством отрицательных аффиксов. Показано, что переводчик образует превосходную степень посредством прибавления частицы — *re* к основе слова, что является особенностью только некоторых литературных школ. Изучены также способы образования новых имен посредством падежных окончаний и предлогов. Показано, что переводчик образует причастия с помощью только тех аффиксов, которые были хорошо известны в древнегрузинском языке.

В труде изучены также вопросы передачи собственных имен в переводе. Показано, что переводчик в основном не следует традиции передачи собственных имен, существующей в древнегрузинском языке, и передает их в соответствии с фонетическими нормами греческого языка XI—XII веков. Представлена попытка объяснения нерегулярных передач на основе фонетических процессов, имеющих место в древнегрузинском языке. Выявлены случаи неадекватной передачи собственных имен в результате неправильного прочтения текста.

В труде рассмотрены функции инфинитива, масдара и причастия в грузинском переводе сочинения Иосифа Флавия. Показано, что переводчик не считается с природой грузинского языка и переводит инфинитив, масдар и причастие глагольного значения греческого подлинника посредством грузинского инфинитива, масдара и причастия. Переводчик мыслит конструкциями греческого языка и часто даже глагольные формы подлинника переводит посредством отглагольных имен. Этот факт дает нам основание предположить, что перевод памятника выполнен вне Грузии.

В исследовании дается попытка пересмотреть принятую в научной литературе версию принадлежности грузинского перевода труда Иосифа Флавия Иоанну Петрици. Сопоставление исследуемого перево-

да с переводами, бесспорно принадлежащими Иоанну Петрици, показало, что переводчик «Иудейских древностей», в отличие от Иоанна Петрици, находится в сильной зависимости от синтаксиса греческого оригинала и что целый ряд языковых явлений в этих переводах представлен по-разному. К примеру: вследствие сопоставления форм собственных имен общего употребления в нашем памятнике, в оригинальном труде Иоанна Петрици «Рассмотрение Платоновской философии и Прокла Диадоха» и в его переводном памятнике Немесия Эмесского «О природе человека» выяснилось, что в «Иудейских древностях» эти имена употребляются в отличной от двух других памятников форме. Кроме того, переводчик нашего памятника старается более строго следовать нормам древнегрузинского языка, чем это делает Иоанн Петрици. Интересующий нас перевод изобилует искусственными формами, имеются неточности разного порядка и ошибки, допущенные вследствие неправильного прочтения текста подлинника.

Из всего вышесказанного сделан вывод, что переводчиком данного памятника не может являться известный грузинский философ и мыслитель, блестящий знаток грузинского и греческого языков Иоанн Петрици.¹

ბექსტისათვის

გამოცემას საფუძვლად დაედო XIII ს-ის ხელნაწერი A 675 (თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, ლიტერი A). გათვალისწინებულია XVI და XIX სს-ეების ნუსხების, ქუთაის 10-ისა და S 315—321-ის ჩვენებები (ლიტერები Q და S), აგრეთვე დავით დადიანის მიერ ნარედაქციული S-ის მონაცემები (ლიტ. D). თხზულების ქართული თარგმანი, წარმოდგენილი სხვადასხვა ნუსხებში, ერთი რედაქციისაა. სხვაობები ნუსხებს შორის ვარიანტებში არ გაგვაქვს. Q, S და D-ს ჩვენებებს წარმოვადგენთ მაშინ, როდესაც A 675 ბერძნული დედნისაგან განსხვავებულ წაკითხვას გვთავაზობს ან მასში დაშვებულია რაიმე შეცდომა.

ტექსტი ხელნაწერშივე არის დაყოფილი წიგნებად. თავებად და პარაგრაფებად კი ჩვენ დაყვავით ბერძნულ გამოცემაზე დაყრდნობით (ვსარგებლობთ შემდეგი გამოცემით: Josephus, with an English translation by H. St. J. Thackeray, M. A. Ralph Marcus, Ph.D., Lois Feldman. In nine volumes. Jewish Antiquities. IV—IX, London, MCMLXI—MCMLXVI.

სქოლიო სამი სახისაა: 1. დანომრილი, რომელშიც ჩატანილია ძირითადი ტექსტის შესწორებები; 2. ვარსკვლავიანი (*), რომელშიც განმარტებულია გაუგებარი თუ უთარგმნელად გადმოტანილი ადგილები ბერძნული დედნის შესატყვისი მონაკვეთის მოტანით. ამავე ვარსკვლავით მითითებულია ტექსტში გამოყენებული ბიბლიის მონაკვეთები; 3. სქოლიოში o ნიშნით გატანილი გვაქვს ხელნაწერის აშეიბზე გაკეთებული მინაწერები.

ძირითად ტექსტში საკუთარ სახელებში ბერძნული u-ს შესატყვისად იხმარება v. ასეთი ფორმები ტექსტში დავტოვეთ გასწორების გარეშე.

უე კომპლექსი A 675-ის პირველი ნახევრის მანძილზე გადმოცემულია უქ სახით. ტექსტში ასეთი ადგილები ყველგან გასწორებულია სქოლიოში ჩატანის გარეშე.

განსვენებულ მეცნიერს, მიხეილ კახაძეს, გადმოწერილი აქვს პირი A 675-დან, რომელიც დაუღულია ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ტექსტზე მუშაობისას ჩვენ ამ პირით არ გვისარგებლია, რადგან ეს არის პირველადი გადმონაწერი სქოლიოების გახსნის გარეშე და, საზოგადოდ, გაუმართავია.

ესენი არიან პირველსა შინა იოსიპოჲს მოთხრობათასა იუდაებრივისა სიტყუადასამობისაჲ¹

ა) წინასაწყი ყოვლისათჳს მოქმედებულისა.

ბ) ქუეყანისა შესაქმე და განწესებაჲ სტკჭითაჲ.

გ) ნათესვისათჳს აღამოჲსსა და მის მიერ. ათა ნათესავათჳს ვიდრე წყლითრღუნისამდე.

დ) ვითარმედ წყლითრღუნაჲ იქმნა და რომლითა სახითა ნოხოჲს, ცხოვნებული ლარნაჲსა შინა ნათესავთა თჳსთა თანა, დაემკვდრა ქუეყანასა სინაროჲსსაჲ.

ე) ვითარმედ გოდოლი, რომელსა შეიღნი მისნი აშენებდეს საგინებელად ღმრთისაჲ, შთამორღუა და ვითარმედ კმანი მათნი განყენა და ადგილი, რომელსა შინა ესე იქმნა, ბაბილოენად იწოდა.

ვ) ვითარმედ ნოხოჲსგან შობილთა ყოველი ქუეყანაჲ დაიმკვდრეს.

ზ) ვითარმედ თითოეული ნათესავთა მაგინებელთაგან² იწოდა.

თ) ვითარ აბრამოჲს, პირმშომან ჩუენმან, გამოსრულმან ქუეყანისაგან ქალდეველთასაჲ, დაიბჳრა მაშინ ვიდრემე ქანანაჲ, ხოლო აწ იუდეად სახელდებული.

თ) ვითარმედ სიემილისა მოწევენულობასა ქანანისა, ეგვბტედ წარვიდა და ეამსა რაოდენსამე³ მყოფი მუნ, უკუნ-იქცა კუალად.

ი) ძლევაჲ სოდომელთაჲ ასკრელთა მიერ, აღმკედრებულთაჲ მათ ზედა.

ია) ვითარმედ ავრამოჲს, ასკრელთა ზედა აღმკედრებულმან, სძლო და ტყუენი სოდომელთანი აცხოვნნა და ნატყუენავი, რომელი წარიღეს, მიუღო⁴ მათ.

იბ) ვითარმედ სოდომელთა ნათესავი დააქცია ღმერთმან, განრისხებულმან მათთჳს, რომელთათჳს ცოდვიდეს.

იგ) ისმაილოჲსთჳს, ავრამოჲს ყრმისა, და მისგან შობილთა არაბთათჳს.

იდ) ისაკოჲსთჳს, რომელი იყო საკუთარი ავრამოჲს შვილი.

იე) სარაჲსთჳს, ავრამოჲს ცოლისა, და ვითარ ცხოვრებაჲ დაასრულა.

იზ) ვითარმედ ქეტერის, ავრამოჲს ქორწინებულისაგან, ტროღლოდტთა ნათესავი იშვა⁵ ავრამოჲსსა.

ილ) ავრამოჲს აღსრულებისათჳს.

¹ დასაწყისი რამდენიმე ფურცელი A-ს აქლია. აღვადგინეთ Q-ს მიხედვით. აქ არ მოგვყავს შესხმა აფხაზეთის კათალიკოს ექვთიმესი, რადგან ეს შესხმა ვერ ექნებოდა XIII ს-ის ნუსხას, A-ს. ² სიტყუადასამობისაჲ. ³ ღმრთისაჲ /+მაშენებელნი. ⁴ რაოდენსამე. ⁵ მიუღოა. ⁶ იშვაა.

* ძარბ წჳო ისაძდახოჲ ტ. IV, გვ. 632 (=მაშენებელთაგან).

ბ) ისაკოას ძეთათვის — ისავომს და იაკოვომსა — და შობისათვის მათისა და აღზრდისაჲ.

კ) იაკოვომს ლტოლვაჲ შუამდინარედ შიშისათვის ძმისა.

კა) ვითარმედ მუნ ქორწინებული და ათორმეტთა ყრმათა მშობელი, კუალად ხანანიალ აღმოვიდა.

კბ) ვითარმედ ისაკოს¹, აღსრულებული, დაეფლა ნევრონს².

მოაქუან წიგნსა ამას ჟამნი წელთა სამ ათას რვაას ოცდაათ სამშეტანი.

იოსიკომს იუდაებრივისა დასაბამსიტჳუაოგისაჲ³

წიგნი პირველი

1) მნებებელთა აღწერად მოთხრობისათა არა ერთსა, არცა მასვე ვხედავ ქმნილსა⁴. მიზეზსა მოსწრაფებისასა, არამედ მრავალთა და მრავლად ურთიერთსა განყოფილთა. რამეთუ ვითნიმე მჩუენებელნი სიძნელისა სიტყუათასა⁵ და მისგან მომნადირებელნი დიდებისა⁶, ამას კერძოსა ზედა სწავლულებისასა მიიშართეს, ხოლო სხუათა⁷, მადლსა მიმნიჭებელთა მათთვის, რომელთა ძლით აღწერისა ქმნაჲ შემთხუეულ არს, მისდა მიმართ შრომაჲ და უზეშთაეს სულისა მოითმინეს. ხოლო არიან, რომელნი იიძულნეს თვთ მის საჭიროებისაგან საქმეთასა, რომელთა ქმნილობასა⁸ თანა-დაემთხვენეს წერილსა მათუწყებელსა მიცემად მათდა. ხოლო მრავალნი და სიდიდემან საცმართა საქმეთა, უმეცრებასა შინა მდებარეთამან, მიუწოდნა მათ ძლითსა მოთხრობასა⁹, გამოიღებენ საზოგადოდ სარგებელად. ამათ პირველთქუმულთა მიზეზთა უკუანამსკენელი ორნი მეცა შემემთხვენეს, რამეთუ პრომთა მიმართ ბრძოლასა, ქმნილსა ჩუენ, იუდელთაგან, და მას შინათა საქმეთა დასასრულსა, ვითარ იქმნა, გამოცდილებით მსწავლელი, ვიიძულე მოთხრობად განმრყუნელთათვის ქეშმარიტებისათა წერასა შინა.

2) ხოლო ამას წინამდებარესა მოქმედებულსა კელ-ვპოფ, მექუელი ყოველთა ელლინთა მიერ შერაცხვად¹⁰ ღირსად მოსწრაფებისა, რამეთუ ეგულების შინაგან ქონებად ყოველსა ჩუენ მიერსა ძუელსიტყუაობასა¹¹, განწესებულსა მოქალაქობისასა, ებრაელებრივთა წერილთაგან გარდათარგმნილსა. ოდესმე უკუე პირველადცა ვგონებდ უწყებად, რაჟამს ბრძოლასა აღვსწერდი, ვითნი იყვნეს დასაბამითგან იუდელნი და რომელთა მქუმეველნი ბედთანნი, თანად რომლისა სჯულისმდებელისა მიერ განწურთილნი კეთილმსახურებისა მიერ და სხვსა სათნოებითისა სწავლულებისა. და რაოდენთა¹² უკუე ბრძოლათა გრძელთა ჟამთა შინა მბრძოლნი, უკუანამსკენელ უნებლიეთ პრომთა დაემორჩილნეს. გარნა ვინაჲთგან უზეშთაეს იყო სიტყუსა ამის სიდიდე, თვისგან მისგან განმყოფელმან, თვისთა თანა დასაწყისთა მისთა და დასასრულსა წერილი შევარიტხუე. ხოლო ჟამისა წარსრულობასა¹³, რომელი უყუარს დიდთა შეხებად მგონებელთა, მცონარებაჲ და მომლოვრებაჲ იქმნა ჩემდა, ესევეითარსა მიზეზსა გარდაღებად სხვსა მიმართ ჩუენგან და უცხოოსა ენისაჲ ჩუეულები-

1 ისაკოას. 2 ნევრონს. 3 ნუ IV მარტივი IV გვ. 642. 4 დასაბამსიტყუაობისა. 5 ქმნილსა. 6 სიტყუათასა. 7 დბა⁶ს. 8 ქმნილობასა. 9 მოთხრობასა. 10 შერაცხვად. 11 ძუმელსიტყუაობასა. 12 რაოდენთა. 13 წარსრულობასა.

სა! ხოლო იყენეს ვიეთნიმე, რომელნი სურვილითა მოთხრობისათა მისდა მიმართ მაწუევდეს მე და უფროასლა ყოველთასა ეპაფროდიტოს, მამაკაცი, ყოველსა ვიდრემე სახესა სწავლულებისასა შემყუარებელი. ხოლო უმეტეს მოხარული გამოცდილებათა შინა საქმეთასა, ვითარ დიდთა ვიდრემე მიმთხუ-
ქული იგი საქმეთა და ბადეთა* მრავალსახეთა, ხოლო ყოველთა შინა სა-
კრველსა მაჩუენებელი ბუნებისა კეთილისა ძალისა და წინააღრჩევასა სათ-
ნოებისასა შეუძრველსა. ამისი რწმუნებული საქმარისა, გინა კეთილისა რასხვე
მოქმედებად შემძლებელთა თანმომხედველისა და თავისა თვისისაგან სირცხუ-
ლეული, უკუეთუ ვგონო ხარებად მცონარებასა² შინა უფროას, ვიდრე შრო-
მასა შინა კეთილთა მიმართ, უგულსმოდგინესა³ განვსძლიერდი. მერმე ამისი-
ცა თქუმულთა თანა გულისმსიტყუელი, არა ცუდად თანად ჩუენთა პირველ-
მშობელთათვის, ვინათგან ამითვის გარდაცემა მენება⁴ და ელღინთათვის,
ვინათგან ვიეთმე მათგანნი ჩუენ მიერთა ცნობად მოსწრაფე-იქმნენს.

3) ვპოვე უკუე, რამეთუ პტოლემეოსთა მეორემან, უფროასლა უკუე მე-
ფემან, სწავლულებისათვის და წიგნთა შეკრებისა მოსწრაფემან, უმეტეს შეი-
ყუარა სჯული ჩუენი და მის მიერ განწესებულებად მოქალაქობისა ელღინსა
კმასა ზედა გარდაღებად. ხოლო ჩუენ მიერთა მღდელთმთავართა არცა ერთისა
სათნობითა მეორე, ელეზაროს⁴, პირველთქუმულსა მეფესა ესევეთარისა სარ-
გებელისა მიღებად არა ეშურვა, ნანდვლ ნაცვალმცა თქუა, უკუეთუმცა არა
მაძულებრივი იყო ჩუენდა არას კეთილთაგანისა ქონებად, უთქუ არა განე-
ლტნენ კაცთა, | რომლისა⁵ გამო ჭეროვნად ეპგონე მღდელთმთავრისა უკუე
მიმსგავსებად დიდსულობისა, ხოლო მეფისა მრავალთა მსგავსად შერაცხვად და
აწცა ყოფად სწავლისმოყუარეთა⁶, რამეთუ არცა იგი ესწრა ყოველსავე ძიე-
ბად წერისსა, არამედ მუხლნი იგი სჯულისანი მისცნეს წარვლინებულთა
აღქსანდრიად გამოთარგმანებისათვის. ხოლო ბევრეული არიან უწყებულნი
სამღელთა წერილთა მიერ, ვითარ ხუთ ათისთა წელთა მოღებულობასა⁷
მთ შინა მოთხრობისა. და ყოველითურთნი არიან უჯერონი კლდინი და მრავ-
ალნი ბედნი ბრძოლათანი და მკედართმეყანთა მკნეკეთილობანი და მოქალა-
ქობათა წვალბანი. ხოლო ყოველივე, უფროასლა ამისგან ვინმე ისწაოს მო-
თხრობისა, მნებებელმან წიაღსლვად ამას, ვითარმედ ღმრთისა ვიდრემე ნება-
სა შედგომილთა და არა მკადრეთა კეთილად სჯულდებულთასა გარდასლვად,
ყოველივე წარემართების წიაღად სარწმუნოებისა და პატივი კეთილბედობი-
სა წინამდებარე არს ღმრთისა მიერ. ხოლო რაჟამს განდგენ მათისა გამოწუ-
ლილვისთა⁸ ზედმოურნეობისაგან, უღონო იქმნებიან საღონონი და მიიჭ-
ცივის განსაცდელთა მიმართ უკურნებელთა, რომელსაცა რასვე, ვითარ კე-
თილისმოქმედნი⁹, მოსწრაფე იყენენ. აწ უკუე მიმთხუეულთა წიგნთასა ვე-
ვედრები გონებასა ღმრთისადმი ქონებად და გამოცდად სჯულისმდებელსა
ჩუენსა, უკუეთუ ბუნებად ღირსად მისა განიხილა და ძალსა მიანდვნა მარადის
ჭეროვანნი საქმენი, წმიდად დამმარხველმან მის მიერისა სიტყუსამან ყოვლი-
საგან სხუათა მიერისა უშუერისა ზღაპარმეტყუელებისა. და თანად, სივრცესა
შინა ეამთასა და სიძუელესა, მოცალეობასა მქონებელმან მტყუართა მოგონება-

1 ჩუქულებასა. 2 მცონარებასა. 3 მენება. 4 ელეზაროს. 5 თხრობა გრძელბა
A-ს მიხედვით. პირველი ორი ფურცლის კიდები მოხუელია. დაზიანებული ადგილები აღდგე-
ნილია S-ის მიხედვით, რადგან შესატყვისი მონაკვეთი Q-ში გამოტოვებულია. 6 სწავლისა-
მოყუარეთა. 7 მოღებულობასა. 8 გამოწულილისთა AQ. 9 კეთილსა მოქმედებენ AQ,
კეთილისა მოქმედებენ S.

* სჯუღ (აბელთა).

თასა, რამეთუ ექმნა უწინარეს წელთა ორ ათასთა, რაოდენ სიმრავლე საუკუნო-ნოასაჲ არცამცა მოქმედნი მათ ღმერთთა შობასა, არცა მოქმედებათა კაცთასა, გინა სჯულთა მოთხრობად მკადრე იქმნენეს. გამოწულილვითნი უკუე აღწერილთა შინათანი წინწარსრულმან სიტყუამან თვისისა წესისაებრ მოასწაოს, რამეთუ ესე ამის მოქმედებულისა მიერ ქმნად აღვქვ, არაჲს დამმეტებელმან, არცა მომკლებელმან.

4) ხოლო ვინაფთვან ყოველნი სიბრძნისაგან სჯულისმდებელისა მოსესა ჩუენნი შთამოკიდებულ არიან, საჭიროჲსა ჩემდა მცირედთა წინაწარ მისთვის თქუმაჲ, რაჲთა არავინ წარმკითხველადთაგანნი უღონოებდენ, სადაჲთ ჩუენდა მქონებელი სიტყუაჲ სჯულთათვის და მოქმედებათა აღწერასა, ესეოდენსა ეზიარა ბუნებათმეტყუელებასა. უწყებულ-იყავნ უკუე, ვითარმედ ყოველთა უსაჭიროგსად შეპრაცხა მან, მგულეებელისაჲ ცხორებასაცა თვისისა განგებად კეთილად და სხუათა სჯულდებად, პირველად ბუნებასა ღმრთისასა განცდად და საქმეთა მისთა გონებასა შინა განხილვაჲ და ესრეთ მიმსგავსებამ იგავსა ყოველთა უმჯობესსა, რაოდენ შესაძლებელ და მოსწრაფებად შედგომად მისა. რამეთუ არცაღა მის სჯულისმდებელისა იქმნეს გონებაჲ კეთილი, დაკლებულისა ესევეთარისაგან ზედვისა, არცა აღწერადთა მიერ სიტყუად სათნოებისა არა სარგებელ-ექმნეს მიმღებელთა, უკუეთუ არა პირველად სხვსა ყოველისა ისწაონ, ვითარმედ ყოველთა მამაჲ და მეუფედ მყოფი ღმერთი და ყოველთა ზედამხედველი შედგომილთა ვიდრემე მისთა მისცემს კეთილქედნიერსა ცხორებასა, ხოლო გარეგან სათნოებისა მავალთა შთაადებს განსაცდელთა დიდთა. ამის სწავლულებისა სწავლად მნებებელმან, მოსე, თვისთა მოქალაქეთამან, დადებასა სჯულისასა არა იგავთაგან და ურთიერთას მართალთაგან იწყო მსგავსად სხუათა, არამედ ღმრთისა ზედა და ქუეყანისა შემზადებისა, გონებათა მათთა აღმყვანებელმან და მარწმუნებელმან, ვითარმედ ქუეყანის ზედათა მოქმედებულთა ღმრთისათა უმჯობესნი ვართ კაცნი. რაჲმს კეთილმსახურებისა მიმართ აქუნდეს იგინი მსმენელად, აღვილად ყოველთათვის არწმუნებადა, რამეთუ სხუანი სჯულისმდებელნი, ზღაპართა შედგომილნი, კაცობრივთა ნაყოფებთა სირცხვლსა ზედა გარდასდებდეს სიტყვთ* და მრავალსა მიზეზსა ბოროტთა მისცემდეს, ხოლო ჩუენი სჯულისმდებელი, წმიდაჲ სათნოებასა მქონებელი ღმრთისა გამომაჩინებელი^{1*}, მნებებელ იყო ჭეროვნად ქონებად კაცთაცა მიერ და მოსწრაფებობად მისისა მიღებისათვის. ხოლო არა ესრეთ მბრძნობნი და მარწმუნებელნი, უსიტყუად განსაჯნა. ამის უკუე მიზეზისა მიმართ გამოწულილვისა ქმნად ვევედრები წარმკითხველადთა, რამეთუ ესრეთ განმხილველთა არა ეჩუენოს მათ არცა უსიტყოჲ, არცა სიდიდისა მიერ ღმრთისა და კაცთმოყუარებისა მოუზავებელი. რამეთუ ყოველთა თანჯდად აქუს დადებულებამ ბუნებისა ყოველთაჲსა, რომელთასა მერმე იგავებობასა სჯულისმდებელისასა სიმარჯვთ, ხოლო სხუათასა აღიყვანებთ თქუშულობასა პატიოსნებით, ხოლო რაოდენთა მართლგანმარტებით თქუმაჲ ჭერ-იყო, ცხადად გამომაჩინებელსა მისა. მგულეებელთათვის უკუე და მიზეზთა თითოეული-სათა განხილვად, მრავალი იქმნას მოხილვაჲ და ყოველად ბრძენი, რომელსა მე ვიდრემე აწ უკუნ-ვაგდებ. ხოლო ღმრთისა მომცემლობასა ჩუენდა ქამისასა, კელ-ეყო აღწერად შედგომად ამის მოქმედებულისა. ხოლო მივიქვე აწ მო-

* *עַל יְהוֹשֻׁעַ בְּעֵינֵי ה' (თარგმანს აქლი: ღმერთს). 1* ὁ δὲ ἰσχυρὸς ὑπομῆνους ἀπαρτῶν ἑστὶν ἀπειρῶν ἐχούσα ἐστὶν Ἐδὲ ἀποφθῆναι 123 (=სჯულისმდებელი ღმერთს წარმოაჩინდა წმინდა სათნოების მქონებულად).*

თბრობისა მიმართ საქმეთაჲსა, მომკსენებელი პირველად რომელთაჲ ქუეყანის შესაქმისათჳს თქუა მოკსი. ხოლო ესენი სამღდლოთა წიგნთა შინა ვპოვენ აღწერილად. ხოლო მოაქუს ესრეთ:

თ. 1.

1)* დასაბამსა აღაგო ღმერთმან ცაჲ და ქუეყანაჲ. ხოლო ამისსა სახედველად არა მოსრულობასა, არამედ ღრმასა შინა ბნელსა დაფარულობასა, ხოლო ზედა კერძო მისსა სულისა მსრბოლობასა, ნათლისა ქმნაჲ ბრძანა ღმერთმან. და ქმნულობასა ამისსა, განზხილველმან ყოველისა ნიეთისამან, განყო ნათელი და ბნელი და რომელსამე სახელ-სდვა ღამედ, ხოლო სხუასა დღედ უწოდა, მწუხრად თანად და განთიადად დასაბამსა ნათლისა და განსუენებასა სახელისმდებელმან. და ესე ვიდრემე დღე პირველი. ხოლო მოკსი ერთად თქუა: „ხოლო მიზეზსა ვიდრემე შემძლებელ ვარ გარდმოცემად აწცა, ხოლო ვინაჲთგან აღმითქუამს მიზეზმეტყუელებასა ყოველთასა თჳსად აღმწერელსა მოცემაჲ, მაშინდლისად და მათთვისსაცა თარგმანებასა მივაგდებ“. ხოლო შემდგომად ამისსა მეორესა დღეთასა ცაჲ ყოველთა ზედა დასდვა და მაშინ, მისმან სხუათაგან განწყოფელმან, თჳსგან აღირსა დაწესებად, თანად მყინვრისა შემაყინებელმან მისდა და ნოტიოდ და ცუარებრივად მომკელოვნებელმან მისმან, სარგებელად ცუართაგან მოზავებულად ქუეყანისა. ხოლო მესამესა დაადგინა ქუეყანაჲ, გარდამღურველმან მისგან ზღუასა. ხოლო მასვე დღესა შინა მეყუსეულად ნერგნი და თესლნი ქუეყანიით აღმოვიდეს. ხოლო მეოთხესა — შეამკობს ცასა მზისა და მთოვარისა მიერ და სხუათა ვარსკულავთა, ძრვათა და სრბათა მბრძანებელმან მათდა, რომელთა მიერ ქამთა მოქცეულობანი ცხადად მოისწავებოდინ. ხოლო მეხუთესა¹ დღესა — ცხოველნი, თანად მკურვალნი და ჰაერისანი, რომელნიმე სიღრმესა შინა, ხოლო რომელნიმე ჰაერისა შორის, განუტევენა, შემკრველმან მათმან ზიარებითა და შეყოფითა შობისა ძლით და თანააღორძინებად და განმრავლებად ბუნებასა მათსა. ხოლო მეექუსესა დღესა მოქმედებს ოთხფერკთა ნათესავსა, მამალსა და დედალსა, შემქმნელი. ამასვე უქუე შინა და კაციცა აღზილა. და ქუეყანასა და ყოველთა მათ შინასა ყოველთა ექუსთა შინა დღეთა იტყვს მოსე ქმნილობასა, ხოლო მეშვდესა შინა — განსუენებასა და დაცხრომისა მიღებასა საქმეთაგან, რომლისათჳს ჩუენცა მოცალებასა შრომათაგან მას დღესა შინა მივიღებთ, სახელისმდებელნი მისნი სავვატად. ხოლო მოასწავებს განსუენებასა ებრაელთა ენისაებრ სახელი.

2)* და ბუნებათმეტყუელებად შემდგომად მეშვდისა დღისა იწყო მოკსი, შემქმნისათჳს კაცისა მეტყუელმან ესრეთ: აღზილა ღმერთმან კაცი, მიწასა ქუეყანისაგან მიმღებელმან, და სამფშენველი შთაუდვა მას და სული. ხოლო კაცი ესე აღაგოდ იწოდა, ხოლო მოასწავებს ესე ებრაელთა ენისაებრ მეწამულსა, ვინაჲთგან მეწამულისა ქუეყანისაგან აღზელილისა იქმნა, რამეთუ ესევეთარ ქალწული ქუეყანაჲ და მეწამული. ხოლო წარმოუდგინნა ღმერთმან ადამოს ნათესაობითნი ცხოველნი, მამალნი და დედალნი, მჩუენებელმან. და ამათ სახელნი უწოდნა, რომელთა მიერ და აწცა იწოდებიან. ხოლო მხედველმან ადა-

¹ მეოთხესა აკ.
• დაბ. 1,1—2,3. * დაბ. 2,7; 2,19—23.

მოას არამქონებელისა ზიარებასა დედლისა მიერ და თანქცევასა, რამეთუ არცა იყო, განკვრებულსა სხუათა ცხოველთა ზედა, ესრეთ მქონებელთა, ეძინა რაჲ მას, ერთისა გუერდისა მისისა გამომღებელმან, მისგან აღზილა დედაკაცი. და ადამოს, მიყვანებული მისდა, იცნა მისგან ქმნილი. ხოლო ევეა ებრაელთა მეტყუელებისაებრ იწოდების დედაკაცი. ხოლო სახელი მის დედაკაცისაჲ ევა იყო. ხოლო მოასწავებს ყოველთა ცხოველთა დედასა.

3)1*. ხოლო იტყვს ღმრთისა მიერსა მტილისა დანერგვასა აღმოსავალით კერძო, ყოვლითა ყუავილოვანსა ნერგითა. მათ თანა უკუე — ყოფასა და ნერგსაცა ცხორებისასა და სხუასა — გონიერებისასა, რომლისა მიერ იცნობებოდა, რაჲ არს კეთილი და რაჲ არს ბოროტი. ამას უკუე სამოთხესა შინა შემყვანებელმან ადამოჲს და დედაკაცისამან, უბრძანა ზედმოურნებოჲა ნერგთაჲ. ხოლო ირწყვების მტილი ესე ერთისა მდინარისა მიერ, გარემომდინარისა ყოველსა ქუეყანასა მომრგულებით, რომელი ოთხთა კერძოთა მიმართ განიპოების: და ფისონ ვიდრემე, მოასწავებს თანა სიმრავლესა სახელი, ჰინდოეთად მიმავალი, შევალს პელაღონად2*, ელლინთა მიერ ღანგისად სახელდებული; ხოლო ევფრატი და ტიღრისი მეწამულისა ზღუსა მიმართ წარვლენ. ხოლო იწოდების ევფრატი ვიდრემდე ფორა — მოასწავებს უკუე მიდმოგანფენასა, გინა ყუავილსა. ხოლო ტიღრისი — დიღლათ, რომლისაგან ითქუმის შეიწრებით მახვლი; ხოლო გიონ, ეგვპტეს შინა მდინარე, ჩუენდა აღმოცენებასა მოასწავებს აღმოსავლეთით, რომელსა ნილოსად ელინინი სახელსდებენ.

v 4)3* ხოლო ღმერთმან უკუე ადამოს1 და დედაკაცსა / სხუათა ვიდრემე ნერგთაგან უბრძანა გემება, ხოლო ნერგისაგან გონიერებისა — შორს ქონებოჲა, წინაწარმქუმელმან შეხებულთათჳს მისდა წარსაწყმედელისა ქმნა მისგან. ხოლო ეამსა მას ერთვამობასა ყოველთა ცხოველთასა, გუელსა, თანქცეველსა ადამოჲს და დედაკაცისა, მოურნებობით აქუნდა, რომელთა ზედა იგინი კეთილბედნიერობად საგონებელ იყენეს, რწმუნებულნი ღმრთისა მცნებათანი. ხოლო გულისმსიტყუელი განსაცდელად შთაგრდომასა მათსა, ურჩქმნილთასა, არწმუნებს ბოროტჩუეულებით დედაკაცსა გემებად ნერგისაგან გონიერებისა, მას შინა ყოფად მეტყუელი კეთილისა და ბოროტისა მეცნიერებასა, რომლისა მგემებელთა მათ სანატრელი და არაჲთ ნაკლულევანი საღმრთოჲსგან ცხორებაჲ გარდავლონ. და ეკუეთების ესრეთ დედაკაცსა უგულებელს-ყოფად მცნებასა ღმრთისასა. ხოლო მგემებელმან ნერგისამან და განმწუხებელმან საქმელსა ზედა, ადამსცა არწმუნა ჯუმევაჲ მისი. და ცნეს მათ, განწიშლებულთა, და სირცხვლსა უსაფარველოდ მქონებელთა საფარველი მათთჳს მოიგონეს, რამეთუ ნერგი სიმახლისა და გონიერებისაჲ იყო. ფურცელთა მიერ უკუე ლელსათა თაენი თჳსნი დაფარეს და, ამათნი წინასაყდემელთა მომდებელნი, უფროსდა ჰგონებდეს კეთილბედნიერობად მპოვენელნი, რაოდენთაგან წინაწარ დაკლებულ იყენეს. ხოლო ღმერთი რაჲ მტილად მოვიდა, ადამოს, პირველად ვიდრემე სიტყვსგებად მისდამი მავალი, და მცნობელი უსამართლოებისა თჳსისაჲ, განეშორებოდა. ხოლო ღმერთსა განაკვრებდა მოქმედებული და იკითხვიდა მიზეზსა, რომლისათჳს, პირველად შუებული მის მიერთა მოახლეობითა, აწ ივლტის და განეშორების. ხოლო მისსა არაჲს მეტყუელებასა მეცნიერებისათჳს მისისა გარდასლვასა ღმრთისა ბრძანებისასა, „არამედ ჩემსა

1 ადამოჲს.

* მთცა 1³⁴. 1* დაბ. 2,8—14. 2* *sic est πέλαγος* 1³⁸. 3* დაბ. 3,1—24.

ვიდრემე, თქუა ღმერთმან, თნებულ იყო, რაათა ცხორებასა კეთილბედნიერსა და ყოვლისა ბოროტისაგან უვნებასა სცხოვნდებოდი, არცა ერთსა ზრუნვასა შინა განმლეველნი სულისანი, ხოლო ყოველნი თქუენდა მსთუად. რაოდენნი განსუენებისა მიმართ და შუებისა არიან, ჩემისა განგებისაებრ მავალთა თვინიერ კირისა და შრომისა თქუენისა, რომელთა მყოფობასა მსწრაფლ მოვიდეს თქუენდა სიბერე და ცხორება არა გრძელი გექმნეს თქუენ. ხოლო აწ მცნებასა ჩემსა ავინე, ბრძანებათა ჩემთა ურჩქმნილმან, რამეთუ არა სათნობისა გაქუს ღუმილი, არამედ მეცნიერსა თვისსა სიბოროტისასა¹. ხოლო ადამოს შორს განჰკვდიდა ცოდვისაგან თავსა თვისსა და ევედრებოდა ღმერთსა არა განმწარებად მისთვის, მიზეზმცემელი დედაყაცისაჲ ქმნილისათვის და მის მიერ ცთუნებული ცოდვად, მეტყუელი. ხოლო იგი შეასმენდა გუელსა. ხოლო ღმერთმან, უღარეს დედაკაცებრივისა განზრახვისად ქმნილი იგი, ქუეშე ყო სასჯელსა, მიწისა არლა მერმეცა არარას მისთავანსა აღმოცენებად მათთვის მთქუმელმან², გარნა მშრომელთა და მუშაკობათა თან ძკრხილულთაჲ რომელთამე მოცემაჲ, ხოლო სხუათა—არა ღირსება. ხოლო ევა შობადთა მიერ და შობისა ტკივილთა მიერ განსაჯა, ხოლო რომელთა მიერ იგი გუელმან აცთუნა, მათ მიერ მბრკოლელმან განსაცდელთა შთაგდო ადამოს. ხოლო მიუღო გუელსაცა კმაჲ, განრისხებულმან ბოროტრუეულებასა მისსა ზედა ადამოს მამართსა, და წამალი შთადვა ენასა მისსა ქუეშე, მბრ/ძოლად გამომაჩინებულმან კაცთამან და მამცნებელმან ძუნად თავისა მოღებად წყლულებათა, ვითარცა მას შინა ბოროტისა კაცთა მიმართისა მღებარეობასა და აღსასრულისა ადვილად მყოფადისა მბრძოლთათვის. ხოლო ფერკთაგან დამაკლებელმან მისმან, ცურვად ქუეყანასა ზედა მისათრეველ-ყო იგი. და ღმერთმან ვიდრემე, ამათმან მბრძანებელმან ენებად მათდა, გარდაამკვდრა ადამოს და ევა მტილისაგან სხუასა ადგილსა.

თ. 2.

1)* ხოლო იქმნეს მათდა ყრმანი წულნი ორნი. ხოლო სახელ-იდებოდა მათგან პირველი ვიდრემე კაისად, ხოლო შენებულსა ცხად-ჰყოფს სახელი ესე გარდათარგმნილი. ხოლო მეორე — აველოსად, მოასწავებს უკუე!¹ ყოფილთა იქუმევედეს ქცევათა, რამეთუ აველოს უქაბუეკისი სიმაართლისა მოურნე იყო და ყოველთა მის მიერ მოქმედებულთა, მახლობლად ღმრთისა მგონებელი, სათნობასა წინა-განიზრახვიდა. ხოლო მწყემსებრივი იყო ცხორებაჲ მისი. ხოლო კაის, სხუათაცა ზედა, ბოროტი იყო და მოგებისა მიმართ მხოლოდ მხედველ. და ქუეყანისმოქმედმან პირველად მოიგონა და მოაკუდინა² ძმაჲ ესე-ვითართა მიზეზითა: მსხუერპლვად ღმრთისა სათნო-უჩინდა მათ და კაის ვიდრემე ნაყოფნი ქუეყანისმოქმედებისაგან და ნერგთა მოიხუნა, ხოლო აველოს—სძინა³ და პირმშონი მძოვნელთანი. ხოლო ღმერთმან ამას ზედა და უმეტეს განიშუა მსხუერპლსა, თვისგან და ბუნებისქმნილთა მიერ პატივეცემულმან და არა მოგონებისა მიერ კაცისა ანგაპრისა და იძულებითქმნილთა. ამისთვის კაის, განრისხებულმან პატივეცემისათვის აველოესა ღმრთისა მიერ, მოაკუდინა² ძმაჲ და, მკუდრისა მისისა უჩინომქმნელი, დაფარვად ჰგონებდა. ხოლო ღმერ-

¹ მოქმელმან. ² მოაკუდინა. ³ ძინი ზე ყძღა 1⁵⁴.

* დაბ. 4,1—15. ¹ უკუე+σὴμαίνουε δὲ δὲ τὸν εὐνοῖα δὲ ἀνατὴν καὶ θურῶντες ὁλ' μὲν ὁν. δὲ ἀπὸ τοῦ διαφθορῶν ἔλαρον ἔλασηθῆναι ἄστυ 1⁵⁴⁻⁵⁵ (=ამოცებას. მათ ჰყავდით ოვრათვე ქალიშვილები. ძმები სიამოვნებას ღებდნენ განსხვავებული საქმიანობადან).

თი, მცნობელი საქმისაჲ, მივიდა კაისის მიმართ, მკითხველი ძმისათჳს, სად-მე უკუე არს, რამეთუ მრავალთა შინა ღღეთა არა ეხილა იგი, სხუასა ჟამსა ყოველსა მის თანა მქცევლად მხედველსა მისასა. ხოლო კაის, უღონოჲ და არამქონებელი რაჲ თქუას ღმრთისა მიმართ, უმეცრებასა და იგიცა იტყოდა პირველად ძმისა არაჩენილობისათჳს. ხოლო განრისხებულმან ღმრთისა ვედრებით მდებარეობასა და გამოძევიებელობასა მისასა, თქუა არა-ყოფად ყრმათმყვანებულად, არცა მცველად მისა და მის მიერ მოქმედებულთა. ხოლო ამიერ ამხილა ღმერთმან კაისს, აწდა მკლველად ძმისა ქმნილსა: „და განკვრევილ ვარ, თქუა ღმერთმან, უკუეთუ მამაკაცისათჳს უმეცრებ თქუმულად, რაჲ იქმნა, რომელი შენ წარსწყვიდი“. სასჯელისაგან უკუე მკლველობითის ზედაჲს განუტევა იგი, მსხურაპლისა აღმასრულებელი და მის მიერ ვედრებული არა მოღებად მის ზედა რისხვასა უბოროტესსა. და საწყევლად უკუე დაღვა იგი, ხოლო მისგან შობილთა — ტანჯვაჲ აქადა და მეშველდ¹ ნათესავადმდე და ქუეყანისა მისგან განდევნა იგი ცოლისა მისისა თანა. ხოლო შეშინებულსა, ნუ მიდმოცთუნებული მკცეთა შთავარდეს და წარწყმდეს, ამით სახითა უბრძანა არარას ბოროტსა გონებაჲ ესევეითარისა მიზეზისაგან, არამედ მკცეთაგან არაჲს ქმნილობისაგან ძლით მისთჳს ძვნსა, ყოველსა ადგილსა უშიშად მიდმოსლვაჲ. და სასწაულისა მიმცემელმან, რომლითა საცნაურ იყოს, უბრძანა წარსლვაჲ.

2*) ხოლო მრავალსა მავალი ქუეყანასა, კაის დაემკვდრა ცოლისა თჳსისა თანა ნაიდას, ადგილსა ესრეთ სახელდებულსა. და მუნ ყო დამკვდრებაჲ, სადა და შვილიცა იქმნნეს მისდა. არა საწურთელად უკუე მიიღოს სასჯელი, / არამედ აღსაორძინებლად სიბოროტისა, საშუებელისა ყოველისა მომლონებელმან სხეულისათჳს მისისა, დადაცათუ გინებითა მახლობელთაჲთა ჯერ-იყო ამისი ქონებაჲ. ხოლო აღმორძინებელი სახლისაჲ სიმრავლითა საკმართაჲთა ტაცებისაგან და იძულებისა, შუებისა მიმართ თანად და ავაზაკობისა მიმწოდებელი მახლობელთაჲ, მოძღუარ ბოროტთა ქცევათა იქმნა მათდა და უძნ მოგებობაჲ, რომელსა თან-ცხოვნდებოდეს პირველად კაცნი, საწყაულთა და საწონთა მოგონებითა გარდაცვალა და სრულიად მყოფი ცხოვრებაჲ მათი ამათისა უმეცრებისაგან და დიდსულობაჲ მზაკვრობისა მიმართ გარდაიღო. და საზღვარნი ქუეყანისანი პირველად ამან დასხნა და ქალაქი აღაშენა და ზღუდეთა მიერ განამტკიცა, მაიძულებელმან თჳსთამან ამისდა მიმართ მისლვად. ხოლო ქალაქი იგი ანოხოჲსგან, პირველისა ყრმისა, ანოხოლ უწოდა. ხოლო ანოხოლს ძე იარედის იყო და ამისგან მარუილოს, რომლისა იქმნა ძე მათუსალა. და ამისი ლამეზოს, რომლისა იყვნეს ყრმანი სამეოდაათშვიდმეტნი, ორთა ცოლთა მისთაგან შობილნი სელაჲსსა და ადაჲსსა. ამათგანმან იოვილოს ვიდრემე, სელაჲსგან ქმნილმან¹, საყოფელნი აღჰმართნა და ცხოვართა მწყსაჲ შეიყუარა. ხოლო იოვალოს², ერთისა დედისაგან მყოფმან მისდა, მუსიკობაჲ ისწავა და გალობანი და ებანნი მოიგონნა. ხოლო თოველოს, სხვსგან ქმნილთაგანმან, ძალითა ყოველთა მძლემან, საბრძოლონი შუენიერად განაგნა ამათგან და შუებასა სხეულისასა მომლონებელმან, ჰედამ პირველად მან მოიგონა. ხოლო მამა ასულისა ქმნილი ლამეზოს, სახელითა ნაამაჲსი, ვინაჲთგან საღმრთოთა მეცნიერი იყო და ზედვიდა თავსა თჳსსა თანამდებად სასჯელსა კაისის ძმისმკლვე-

¹ მეშველდ A. ² იოვილოს AQ. 'Ιούβελος 144.

* დაბ. 4, 16—24. 1* μέν δέ 'Αδὰς γέγονε: 144 (ბერძნული დედნის მიხედვით იოვილობს იყო არა სელას, არამედ ადას ძე).

ლობისას, ესე ცოლთა მისთა ცხად-უყო. ხოლო მერმეცა სიცოცხლესა ადამოხსნა, შეემთხვა კაისისგან შობილთა ბოროტ-ქმნაჲ, მონაცვალობისაგან და მიმსგავსებისა სხვსა¹ უბოროტესად მყოფისა მიმართ, თანად და ბრძოლათა მიმართ მქონებელ იყვნეს დაუპყრობელად და ავაზაკობისა მიმართ მიიმართებოდეს. და ყოვლითურთ, უკუეთუ ვინმე მცონარი იყვის კლევისა მიმართ, არამედ უგუნურებითა იყვის თავკედ, მაგინებელ და ანგაპარ.

3)* ხოლო ადამოს, პირველად ქუეყანისაგან ქმნილი, რამეთუ მიმჯდელ არს სიტყუაჲ მის მიერსა თხრობასა, აველოჲს ვიდრემე მოკლობასა, ხოლო კაიოჲს ლტოლვილობასა მოკუდინებასა ძლით მისისა, შვლთმოქმედებისათჳს ზრუნვიდა. და აქუნდა იგი სურვილსა დიდსა შობისასა წელთა ოცდაათთა აწლა და ორასთა აღმასრულებელი ცხოვრებისაჲ, რომელთა თანა სხუათა² შვდასთა³ ცხოვნებული აღესრულა. იქმნებიან უკუე მისდა ყრმანი სხუანიცა მრავალნი და სითოს. არამედ სხუათათჳს უკუე გრძელ ვიდრემე იყო მეტყუელებჲ, გარნა კელ-ვეყო სითოჲსგანთა მხოლოდ მოთხრობად. რამეთუ ამან, აღზრდილმან და ჰასაკსა წარმსროლმან, აწლა კეთილად განსჯად შემძლებელისამან, სათნოებჲჲ მოიგო და, თვთ რჩეულქმნილმან, მობაძვად მისდა მისგან შობილნი დაუტევნა. ამათ ყოველთა, კეთილთა ნაშვთა, ქუეყანაჲ იგი დაიმკდრეს უშფოთველად და კეთილგონიერობით, არა რომლისა ძვისა შემთხუეულობასა მათდა ვიდრე და აღსასრულამდე. ხოლო რამათა / არა განეველტნენ კაცთა მაშინ პოვნილნი და არცა განიხრწნენ პირველ ცნობად მოსლვისა, რამეთუ პირველვე ეთქუთა ადამოსს უჩინო-ქმნაჲ ყოველთაჲვე, რომელსამე ძალისა მიერ ცეცხლისა, ხოლო სხუასა — იძულებისა მიერ და სიდიდისა წყლისა, შემქმნელთა ორთა ძეგლთასა, ერთსა ვიდრემე ალიზისაგან, ხოლო სხუასა — ქვათაგან, მრჩობლთავე ზედა-წარწერნეს პოვნილნი, რამათა უკუეთუ შეემთხვოს ალიზისასა უჩინო-ქმნაჲ წვმისა მიერ, ქვისაჲ გებული მიანიჭებდეს კაცთა სწავლად აღწერილთა, მაუწყებელი ალიზისასაცა მათ მიერ აღმართებასა. ხოლო ჰვიეს აქამომდე ქუეყანასა სირიასასა.

თ. 3.

1)* და ესენი ვიდრე შვდ ნათესავადმდე ეგნეს ღმრთისა ყოფად მკონებელნი მუეფედ ყოველთა და ყოველნივე სათნოებისა მიმართ მხედველნი. ხოლო წარსრულობასა ეამისასა გარდაიქცეს მამულთა ჩუეულებათაგან ბოროტისა მიმართ, არცა განწესებულთა პატივთა ღმრთისა მიმნიჭებელნი, არცა მყოფელნი ზრუნვისა კაცთა მიმართისა სამართლისასა. არამედ შური, რომელი აქუნდა პირველად სათნოებისათჳს, მაშინ ორწილად სიბოროტისასა აჩუენებდეს მათ მიერ, რომელთა მოქმედებდეს. ამიერ ღმერთი განარისხეს მათთვის, რამეთუ მრავალთა ანგელოზთა ღმრთისათა დედაკაცთა და შეყოფილთა მაგინებელნი შვნეს ყრმანი და ყოვლისა კეთილისა შეურაცხისმყოფელნი მინდობილობისათჳს ძალისა. რამეთუ მსგავსად ელლინთა მიერ თქუმულთა შეკადრებად გმირთა და ესენიცა ქმნად მოიციემიან. ხოლო ნოხოს, მათ მიერ მოქმედებულთა ზედა⁴ მწუხარე და განზრახვათა ზედა უშუებოდა მქონებელი, არწმუნებდა მათ უმჯობისისა მიმართ გონებასა და საქმეთა გარდაღებად. ხოლო

¹ სხვსა / +სხვსა A. ² სხვთა. ³ შვდ აასთა. ⁴ ზედა] და.

* დაბ. 5,3. 1* დაბ. 6,1.

მხედველი არადამტკვებელთაჲ, არამედ პურობილთაჲ ძლიერად შუებისა მიერ ბოროტთაჲსა, შეშინებული, ნუუკუე მოკლან იგი, დედაკათა თანა და ყრმათა და თანმკვდრთა მათთა განვიდა ქუეყანისაგან.

2)* ხოლო ესე ღმერთმან სიმართლისათჳს ვიდრემე შეიყუარა. ხოლო განსაჯნა არა მხოლოდ იგინი ოდენ სიბოროტისათჳს, არამედ ყოველი, რაოდენი იყო კაცებაჲ მაშინ საგონებელად მისდა, განხრწნად და ქმნად სხუასა ნათესავსა, წმიდაჲ სიბოროტისაგან, შემამოკლებელმან ცხოვრებისა მათისამან და მოქმედმან წელთა არა რაოდენთა პირველ ცხონდებოლიან, არამედ ას და ოცთამან. ვმელეთი ზღუად გარდაცვალა და იგინი ვიდრემე ესრეთ უჩინო-იქმნებიან ყოველნი. ხოლო ნოხოს მარტოჲ ცხოვნდების, წინადამდებელისა ღმრთისა მიერ მისდა ღონესა ცხოვრებისა მიმართ ესევეითარისა: ლარნაკსა ოთხკედელსა აღმაშენებელი, სივრცით სამასთა წყრთასა, ხოლო სითართით — ორმეოცდაათისასა და სიღრმიით — ოცდაათისასა, ამას შინა შევიდა დედისა თანა ყრმათაჲსა და ცოლებთა მათთა, სხუათაჲცა შთამდებელი, რაოდენთა ეგულეზობლა საკმარებისა მათისა თანშეწევნაჲ, თანშემეყვანებელი ცხოველთა ყოველითურთთაჲ, მამალსა და დედალსა, დაცვად ნათესავისა მათისა და სხუანი უმრავლესნი ამათსა რიცხვთ. ხოლო იყო ლარნაკი კედლითა შეკრული და მტკიცე შენაწყობითა ძლიერად და სართულითა არა სადაჲთ შთამომდინარეობისათჳს, არცა ძლევისათჳს წყლის მიერისა იძულებისა. და ესრეთ ნოხოს ვიდრემე თჳსთა თანა ცხოვნდების. ხოლო იყო იგი ადამოამითგან მებათე, რამეთუ ლამეხოს იყო ძე, რომლისა მამა იქმნა მათუსალა. ხოლო ესე იყო ანოხოს, იარედოჲს ძისაჲ. ხოლო მარულოჲსგან იარედოს / იქმნა, რომელი იშვა კაინანსგან, ენოსოჲს ძისა, დათა თანა მრავალთა. ხოლო ენოსოს, სითოჲს ძე, იყო ადამოჲსაჲ.

3)* ხოლო იქმნა ვნებაჲ ესე მეექჳსასესა წელსა ნოხოჲს მთავრობისაჲ, თუესა მეორესა, მაკედონელთა მიერ¹ დიოდ სახელდებულსა, ხოლო ებრაელთა მიერ — მარსუანად. ხოლო ესრეთ ეგვიპტეს შინა დამწყესებელნი იყვნეს წელიწადსა. ხოლო მოჳსი ნისაჲ, რომელ არს ქსანთიკოს, პირველად თუედ დღესასწაულთა შინა განსაზღვრა², ამას შინა ეგვიპტით ებრაელთა გამომეყვანებელმან. და ესე მას შინა ყოველისა მიმართ საღმრთოჲსა პატივისა მთავრობდა. და განსყიდანი უკუე და მოსყიდანი და სხუაჲ განსაგებელი პირველსა თუესა და იცვა. ხოლო წჳმისა დაწყებასა იტყჳს მეშუდესა პირველთქუმულისა თჳსასა და მეოცესა. ხოლო წელიწადი ესე ადამოჲსითგან, პირველქმნულისა, იყო წელთა ორ ათას ექჳსას ორმეოცდაათექჳსმეტთაჲ. და აღწერილ არს უკუე წელიწადნი სამღდლოთა წიგნთა შინა, დამნიშნველთაგან მაშინ მრავლისა თანა გამომწულილისა შობათაჲცა საჩინოთა კაცთასა და აღსრულებათა.

4)* ადამოჲს ვიდრემე, სამას და ოცდაათ წლის³ ქმნილისა, იშვა ყრმაჲ სითოს, რომელმან იცხოვრება ცხრაას და ოცდაათსა წელსა⁴. ხოლო სითოს, ორას და მეხუთესა წელსა, შვა ენოსოჲ, რომელმანცა, ცხოვნებულმან წელთა ცხრაას და ხუთთა, ყრმასა თჳსსა, კაინას, მიათუალნა ზედმოურნეობანი საქმეთანი, მშობელმან მისმან ოთხმეოცდაშეათესა წელსა⁵. ესე ცხონდა წელთა

¹ ბრ¹თ AQ. ² განსაზღვრა AQ.

³ დაბ. 6,3; 6,15. ⁴ დაბ. 5,3—31. ⁵ დაბ. 7,11. ⁶ * *ερακιστην ηθη και βασισιστην 188 (=230)*. ⁷ * *930 წელს იხსოვრა ანა სითა, როგორც ეს ქართული თავგანდილან გამოდინახეობს, არამედ აღმაჲ*. ⁸ * *ερακιστην αραβη παρι βασισιστην και βασισιστην 189 (=190)*.

ლო ითქუმის ნავისათვის სომხეთს შინა, მახლობლად მთასა კორჯდეთასა, მერ-
მეცა ყოფად კერძოსა რასმე და მოღებად ვიეთმე წუნწუბისაგან¹ მიმღებელ-
თა. ხოლო უმეტესლა იკუმევენ კაცნი მიღებულსა განსაჯდელად“. ხოლო
მოკსენებასა მათსა იერონიმოსცა ეგვპტელი, ძუელსიტყუობასა ფვნიკისასა
აღმწერელი, და მნასეასცა და სხუანი მრავალნი. და ნიკოლას დამასკინელი
ოთხმეოცდამათქმუსმეტესა წიგნსა შინა მოიტყვს, ესრეთ მეტყუელი: „არს
ზნა კერძო მინვადაჲსა მთა დიდი, სომხეთს, ვარიდ სახელდებული, რომლისა
მიმართ მრავალთა, მილთორღელთასა წყლითორღუნისაზე, ცხოვნებასა მქონებელ
არს სიტყუად და ვისმე, ლარნაკისა ზედა მკდომარეა, მწუერვალისა მიმართ
მთისა მიახლებასა და დანეშტებულსა ძელთასა მრავლად დადგრომასა. ხოლო
იყოს ესეცა, რომელი მოსე აღწერა, იუდეელთა სჯულისმღებელმან“.

7) ხოლო ნოხოს, შეშინებული, ნუ წლითი-წლად წარპრღუნიდეს ღმერთი
ქუეყანასა, განმბჭობი კაცთა ხრწნილებისაჲ, საკუერთხთა დამწუეელი, ევედრე-
ბოდა მიერთგან ღმერთსა დადგრომად პირველისა ზედა კეთილწესიერებისა
და არა ესევეთარსა მოღებად ენებასა, რომლისა მიერ იძულოს ყოველი ნა-
თესავი ცხოველთაჲ წარწყმედად, არამედ განსჯად ბოროტთა და წყალობისა
ქმნად დატევებულთათვის სახიერებისა ძლით და დასჯილთაგან ლტოლვად ბო-
როტსა. რამეთუ უძნელბედესთა ყოფად იტყორდა ამით და უძკრესითა ძვნითა
განსჯად, უკუეთუ არა სრულად იყენენ ცხოვნებულნი, არამედ იმარხვოდინ
სხვსა წყლითორღუნისად, პირველისაგან ვიდრემე შიშსა და მოთხრობასა სწავ-
ლულნი, ხოლო მერისაგან — წარსაწყმედელსა. სიტკობით უკუე შეწირ-
ვასა მსხუერპლისა მისისასა ევედრებოდა და არცა ერთსა რისხვასა მერმეცა
პირველისა მსგავსსა. ქუეყანისა ზედა მოღებად, რაჲთა, მუშაკობათა მის მიერ-
თა მოქმედთა და ქალაქებისა აღმაშენებელთა, / კეთილბედნიერად აქუნდეს
ცხოვრებაჲ და არაჲს კეთილთაგანისა დაკლებულ იქმნენ, რომელთა და პირველ
წყლითორღუნისადა, მიიღებდეს გრძელსა შინა სიბერესა და ვრცელსა ცხოვრ-
ებასა, მსგავსად მალლად მომავალთასა.

8)* ხოლო ნოხოს რაჲ ვედრებანი ესე ქმნა, ღმერთმან, მოყუარემან მა-
მაკაცისამან სიმართლისათვის, უწამა მას ლოცვათა მისთა დასასრულად მიღე-
ბაჲ, მეტყუელმან არცა განხრწნილთათვის მის მიერ ქმნასა წარწყმედისასა,
არამედ სიბოროტითა მათითა ქუეშე ქმნად ესევეთარისა სასჯელისა; არცამცა
მოყევანნეს იგინი ცხოვრებად, უკუეთუმცა ქმნილთა კაცთა უჩინო-ქმნაჲ
ენება, რამეთუ ჟერ-იყო დასაბამსავე არა მინიჭებაჲ მათდა ცხოვრებასა, ვიდ-
რელა მიმცემელისაგან, განხრწნაჲ მათი. „არამედ რომელთა მიერ ავინებდეს
კეთილმსახურებასა ჩემსა და სათნოებასა, ამით მიერ მაიძულეს მე ესევეთარსა
სასჯელსა დადებად მათ ზედა. ხოლო ამიერთგან დავესცხრე ესევეთარითა
რისხვითა სასჯელთა უსამართლობათა ზედა მიმცელი და უფროჲსლა შენ,
მვედრებელისა მიერ. ხოლო უკუეთუ ოდესმე უმეტეს ზამთარი ვყო, ნუ შე-
შინდებით სიდიდისაგან წვმათაჲსა, რამეთუ არა მერმეცა წარღუნას წყალ-
მან ქუეყანაჲ. ხოლო გამცნებ კაცობრივისა კლვისაგან განყენებად და გან-
წყმედად მკლველობისაგან, ხოლო მოქმედთა ესევეთართასა — განსჯად. და
კუმევეად სხუათა ყოველთა ცხოველთა, რომელნიცა გონდენ და გემოვნებანი

¹ წუნწობისგან.

* დაბ. 8,1.

გაქუნდენ, რამეთუ ყოველთა ზედა მეუფედ თქუნენ შეგქმნენ*. ხოლო სასწაულ გიყო თქუნენ ყოფადი განსუენებაჲ მშკლდითა ჩემითა ირის!* ცხადმყოფელმან, რამეთუ მშკლდად ღმრთისა მიერ საგონებელ არს იგი: და ღმერთი ვიდრემე, ამათი მეტყუელი და აღმთქუმელი, წარვიდა.

9)2* ხოლო ნოხოს, ცხოვნებული შემღვამად წყლითრღუნისა სამას ორ მეოცდაათთა წელთა და ყოველსა უამსა მისსა კეთილბედნიერებით წარმვლელი, აღესრულა, ცხოვრებული რიცხუსა წელთა ცხრაას და ორმეოცდაათთასა. ხოლო ნუენი, აწინდელისა ცხოვრებისა მიმართ და სიმცირისა წელთაჲსა, რომელთა ვცხოვნდებით, შემასწორებელი ძუელთასა ტყუელიად შეჰრაცხს მათვს თქუმულთა, არცა აწ ესეოდენ განგრძნობისათვს წელიწდისა ცხოვრებასა შინა სახისმცემელი, არცა მათსა მიწვენილობასა სივრცისა მიმართ მის ცხოვრებისა. რამეთუ იგინი, ღმრთის-მოყუარედ მყოფელნი და ღმრთისა მიერ ქმნილნი და საზრდელთაცა უმჯობესთა უმრავლესთა წელთა მიმართ მყოფთა, სამართლად ცხოვნდებოდეს სიმრავლესა ესოდენთა წელთასა. ამას თანა სათნოებისათვსცა და კეთილსაქმარებისა, რომელთა მოიგონებდეს ვარსკულაეთმრიცხველობისა და ქუეყანისმშობელობისა მიერ, უმეტესსა ცხოვრებასა მიანიჭებდა მათ ღმერთი, რომელნი არა იყვნეს მათ მიერ წინაწარ მტყიცედ თქუმად არა ცხოვრებულთა ექუსასთა წელიწადთა, რამეთუ ესეოდენთა მიერ სრულექმნების დიდი იგი წელიწადი. ხოლო მოწამე არიან სიტყუსა ჩემისა ყოველნი ელლინთა შორის და ბარბაროზთა, აღმწერელნი დასაბამსიტყუაობისანი: და რამეთუ მანეთოს, ეგვბტელთა მოქმედი აღწერისაჲ; და ხალდეველთა შემკრებელი ვიროსოს და მოხოს და ესტეოს; და ამათ თანა ეგვბტელი იერონვმოს, ფკნიკებრიეთა აღმწერელნი, თანაჲმ¹ არიან ჩემ მიერ თქუმულთა. ხოლო ისიოდოს და ეკატეოს, ელანიკოს და აკუსილაოს და ამათ თანა ეფოროს და ნიკოლაოს იტყვან ძუელთა ცხოვრებულად წელთა ათასთა. ამისთვს უკუე, ვითარცა საყუარედ იყოს თითოეულისა, ესრეთ განიხილევდენ.

/ თ. 4.

6

1)3* ხოლო ნოხოსს ყრმანი სამნი: სიძას და იაფეთას და ხამას, ასითა წლითა უწინარეს წყლითრღუნისა ქმნილნი, პირველად შთამოსრულნი მათაგან ვაკეთა მიმართ, ამათ შინა დამკვდრებულ იქმნნეს და სხუათაცა, ფრად შეშინებულთა მდაბალთა ქუეყანათაგან წყლითრღუნისა ძლით და მოშიშებით მქონებელთა მალალთა ადგილთაგან შთამოსლვისათვს, არწმუნეს, მინდობილთა მსგავსად მათსა ყოფად ქმნაჲ. და ქუეყანაჲ, რომელი პირველ დაიმკვდრეს მათ, იწოდების² სენაარად. ხოლო ღმერთმან უბრძანა მათ, რაჲთა, უკუეთუ განმრავლდენ, გარდაისახლებოდინან, რაჲთა არა მბრძოლ იყვნენ ურთიერთას, არამედ მოქმედნი მრავალსა ქუეყანასა, უხუად მიიღებდენ ნაყოფთაგან. ხოლო იგინი უმეცრებისა მიერ ურჩ-ექმნნეს ღმერთსა და ამისთვს, განსადგელთა შთაერდომილნი, მგრძნობ იყვნეს ცოდვისა. და ვინაჲთგან ყუიოდეს სიმრავლითა სიტუბუქისაჲთა, კუალად ღმერთმან განაზრახა მათ ქმნაჲ გარდამკვლ-

¹ თანკმა. ² ეწოდების A.—QS.

* *ὁμοιογενὲς γὰρ ἄνθρωπον ἔμεινεν εἰς αὐτὴν πεντηκῆτα τῶν τε χριστιανῶν καὶ νουθετῶν καὶ ἑσθῆς καὶ μετάρσιον ἀλώβρων ἔχει καὶ ποσὸν, ἡραρὶς αἰματωσὲς ἐν τοῦτο γὰρ βίωσει ἢ ψυχῇ* 1₁₀₂ (ბერძნული დედანი ამ ადგილს უფრო ვრცლად წარმოადგენს. საუბარია იმის შესახებ, რომ ღმერთმა ისინი მეუფედ ქმნა ყველა სულიერისა, რომელიც კი არის დედამწამე, წყალში თუ ჰაერში და მათ აქვთ უფლება გამოიყენონ ამ სულიერთა ყველა ნაწილი, გარდა სისხლისა, რადგან სისხლში არის მათი სული). ¹ * *ἔτιν ἴσιν* 1₁₀₃ (ციხარტყულა). ² * დაბ. 9,28. ³ * დაბ. 9,18; 11,2.

რებისად. ხოლო იგინი, არა სახიერებისა მისისაგან მგონებელნი ქონებად კეთილთა, არამედ ძალსა მათსა მიზეზად თვისისა ღონიერებისად მეჭუელნი, არა ირწმუნებდეს. ხოლო შესძინეს მერმეცა ურჩ-ქმნად მცნებასა ღმრთისასა და განზრახვად ვონებასა შინა, ვითარმედ განზრახვით აწუევს მათ გარდამკვრებისა მიმართ, რათა, განყოფილნი, ადვილად კელპყრობილ იქმნენ.

2) ხოლო მიიზიდნა იგინი გინებისა მიმართ ღმრთისა და შეურაცხყოფისა ნევროდის, შეილისშვილად ვიდრე მყოფმან ხამოჲს, ნოხოს ძისამან, კანდიერადმან და კელითა მენემან, რომელმანცა არწმუნა მათ არა ღმრთისა მიჩემებაჲ მის მიერისა კეთილბედნიერობისაჲ, არამედ მეჭუელობად თვისისა სათნოებისა მიერ მინიჭებისა ამათსა და მცირედ-მცირედ დაადგინებდა მძლავრებისა მიმართ საქმეთაჲსა, მხოლოდ ესრეთ მეჭუელი განყენებასა კაცთასა შინისაგან ღმრთისა, უკუეთუ მეუბეველ ძალისა მათისა იყვენ. ხოლო შურისგებად ღმრთისად მიმოქადულობდა, მგულბელისა კუალად წარღუნად ქუეყანასა, რამეთუ იტყოდა გოდლისა აღშენებასა მალასა, რაოდენ არა შემძლებელ იყოს წყალი აღსლვად, ხოლო ზღვევად პირველშობილთაცა წარწყმედასა.

3)* და სიმრავლე უკუე ერისაჲ გულსმოდგინე იყო შედგომად განწესებათა ნევროდისთა, მონებად შემრაცხელი დამორჩილებასა ღმრთისასა. და გოდოლსა აშენებდეს, არარას მომაკლებელნი მოსწრაფებისაგან, არცა მოქმედებისა მიმართ მცონარებით მქონებელნი. ხოლო მოიღებდა მალიად სიმაღლესა ვიდრე მოგონებისა ვისისამე მრავალკელობისა მიერ. და სისქე ესოდენ ძლიერ იყო, ვიდრე და შემცირებადცა მის მიერ მხედველთათჳს სივრცესა. ხოლო იშენებოდა მცხვრისა ალიზისა მიერ, წუნწუბისა თანა შეკრულისა, რათა არა განირღუეოდის. და ესრეთ უკუე მათმან აღმორგებულად მხედველმან ღმერთმან წარწყმედაჲ ვიდრემე ყოვლითურთი არა საჯა, რამეთუ არცა პირველად წარწყმედილთა მიერ გონიერქმნილ იყვნეს, არამედ წინააღდგომასა ურთიერთარსსა შთაყარნა იგინი, სხუა ენად მოქმედმან მათმან და მრავალკმობისა მიერ უგულსკმისყოფელმან მათმან. ხოლო ადვილი, რომელსა შინა გოდოლი აღაშენეს, აწ ბაბვლოვნად იწოდების შერევისათჳს ენათა მიერისა, რამეთუ ებრაელნი შერევენასა ვაველად უწოდენ. ხოლო გოდლისა ამისთვის და სხუაქმობისა კაცთასა მოიქსენებს სივკლაცა, მეტყუელი ესრეთ: „ყოველთა კაცთა ერთგმობასა გოდოლი აღაშენეს ვიეთმე მალალი, ვითარ ცად მიმართ აღმავალადთა მის მიერ. ხოლო ღმერთთა, მომვლენელთა ქართასა, შთაარღვეს გოდოლი და თჳსგან თითოეულსა¹ კმაჲ მისცეს. და ამისთვის ბაბვლონად წოდებაჲ შეემთხვა ქალაქსა“. ხოლო ქუეყანისათჳს, სახელდებულისა სენიარად, ბაბვლონისა სოფელსა შინა, მოიქსენებს / ესტოს, მეტყუელი ესრეთ: „ხოლო მდღელნი, ცხოვნებულნი მბრძოლისა, დიოჲსნი მიმღებულნი სამღდელთანი, სენაარად ბაბვლონისად მოვიდეს“.

თ. 5.

1)* და ამიერ უკუე განიზნინეს სხუაენობისა მიერ, გარდამკვრობისა მოქმედნი ყოველთა ადგილთა. და თითოეულნი მიიწეოდეს ქუეყანასა დამთხუელსა და რომლისა მიმართ მიიყვანებდა მათ ღმერთი, ვიდრეღა აღვსებად მათ მიერ ყოველსა კმელეთსა და ზღვსპირსა. ხოლო არიან ვიეთმე, რომელთა-

¹ თითოეულსა.

* დაბ. 11,3; 11,9. 1* დაბ. 10,32.

ვანცა, განმწილებელთა ნავით, ქალაქი დაიმკვდრნეს. და ნათესავნი რომელნიმე დაიცივნა მაშენებელთა მიერ დადებულსა წოდებულსა, ხოლო რომელთამე და გარდაუცვალესა, ხოლო სხუათა, საჩინო-ყოფისათჳს თანამკვდრთაჲსა, ცვალებად მიიღეს. ხოლო ელლინნი არიან ამისნი მიზნქმნილნი, რამეთუ, განძლიერებულთა უკუანაესნელთა შინა ეამთა, განითჳსეს ძუელი დიდებაჲ, შემამკობელთა წარმართთა სახელთა მიერ გონიერებისა მათისათჳს და მოქალაქობისა სამკაულსა დამდებელთა, ვითარ მათგან ქმნილთაგან.

თ. 6.

1)* ხოლო იყვნეს ნოხოჲს ყრმათა ძენი, რომელთა პატივისათჳს სახელნი მათნი ნათესავთა უწოდნეს ადგილსა რომელსავე მიწენილთა. ხოლო იაფეთოჲს უკუე, ნოხოჲს ყრმისა, იყვნეს ძენი შუდნი. და მკვდრ არიან ესენი ტავროჲს და ამანოჲს მათათაგან დამწყებელნი და შთამოვლენ ასიად ვიდრე მდინარედმდე ტანაჲსა, ხოლო ევრუბეს შინა — ვიდრე ლადირთადმდე. მიწენულნი ქუეყანასა, რომელი დაემთხვა და არავეითისა მკვდრობისათჳს, წარმართნი სახელითა მათითა უწოდნეს, რამეთუ აწ ელლინთა მიერ ლალატად წოდებულნი, ხოლო ღომარად სახელდებულნი* ...მაღოგნი დაამკვდრნა, ხოლო სკვთას მის მიერ სახელდებულნი. და იაფეთოჲს უკუე ყრმათაგან — იოჲანოჲსა და მადოჲსა, მადოჲს ვიდრემე მიერ მადელნი იქმნებიან წარმართნი, რომელნიცა ელლინთა მიერ მიღად იწოდებიან, ხოლო იოჲანოჲსგან — იონიად და ყოველნი ელლინნი იქმნებიან. დაამკვდრებს უკუე თოვილოსა თოვილთასა, რომელნი აწ ივირად იწოდებიან. ხოლო მესქინნი, მესხოჲს მიერ აღმენებულნი, აწ კაპადუკად იწოდებიან და რამეთუ დასაბამითანისა სახელისა მათისა მერმეცა ნიში იჩუნებვის, რამეთუ ქალაქი არს მათ შორის და აწცა მაზაკაჲ, ცხად-მყოფელი გულისკმის-ყოფად შემძლებელთაჲ ესრეთ! ოდესმე სახელისდებასა ყოვლისა ნათესვისასა. ხოლო თირას თირად უწოდა, რომელთა ემთავრა, ხოლო ელლინთა თრაკად გარდასახელნეს იგინი. და ესოდენნი ვიდრემე ნათესავნი იაფეთოჲს ყრმათაგან დამეკვდრებიან. ხოლო ღომაროჲსგან, სამთა ძეთა ქმნილთა, ასხანაზოჲ² ვიდრემდე ასხანაზნი დაამკვდრნა, რომელნი აწ რიგიად ელლინთა მიერ იწოდებიან³, ხოლო რიფათის — რიფათელნი, პაფლაღონად სახელდებულნი; და თორღამის უკუე — თორღამელნი, რომელნი თნებისაგან ელლინთაჲსა ფრკვად იწოდეს. ხოლო იოჲანოჲსგან, იაფეთოჲსა, მის მიერცა სამთა ყრმათა ქმნილობასა, ელისას ვიდრემე — ელისელ, რომელთა ემთავრა, ხოლო აწ ეოლნი არიან; ხოლო თარსოს — თარსთა, რამეთუ ესრეთ იწოდებოდა ძუელთად კილიკია და მომასწავებელ უკუე ესე, რამეთუ ტარსოდ მათ მიერ ქალაქთა უპატროსნენი იწოდების, დედაქალაქად მყოფი გარდამდებელთაგან ტარისათა წოდებისა მიმართ თანისა; ხოლო ქეთიმოს ქეთიმოჲს ქალაქი დაიპყრა. ესე იწოდების აწ კვბრედ და ამის მიერ ქალაქი ყოველნი და უმრავლესნი ზღვსპირთანი ქეტინად ებრაელთა მიერ სახელდებულნი. ხოლო მოწამე ჩემდა სიტყვსა — ერთი კერძოჲს ქალაქთაგანი, შემძლებელი დაცვად სახელსა, რამეთუ კიტრი გარდამომაველინებელთა⁴ მიერ იწოდების იგი, არცა ესრეთ განლტოლვილი ქეთიმოჲს სახელისაგან. იაფეთოჲს უკუე ყრმათა და შვილის-შვილთა / ესოდენნი დაიპყრნეს ნათესავნი. ხოლო რომელი ელლინთა

¹ ესრეთ. ² ასხანაზოჲს 'Ασχαναζήν 1,28. ³ იწოდებიან A. ⁴ გარდამომაველინებელთა AQ.

* დაბ. 10,1. 1* სახელდებულნი]+Γρόμαρος შპαισε. Μαγύγις δὲ τοῦς δι' ἀνὴσιν 1,28 (ქართულ ტექსტს აქლია „ღომარაჲ დაამკვდრა. მაღოგა...“).

მიერ ნუჟუჟე და უცნაურ იყო, ამისი წინაწარმოქმედი მივიქცე მოთხრობისა მიმართ მათისა, რომელნი დაუტევენ. რამეთუ სახელნი შუენიერებისათჳს წე-რილისა გარდაეღლინებულ არიან და სიტკბოებისათჳს მიმთხუეულთაჲსა, რა-მეთუ არა ჩუეულება ჩუენდა ესევეითარი სახე მათი, არამედ ერთგუარი მათი და დასასრულიცა ერთვე. ნოხოს უკუე ნოედ იწოდების და ამის სახესა ყოვ-ლისა ზედა მცველობს გუარისა.

2)* ხოლო ხამოს ყრმათა დაიპყრეს ქუეყანაჲ სკრიათგან და ამანოთ და მათათგან ლიბანისათა, მიმღებელთა მისთა, რაოდენი ზღჳსა მიმართ განფენილ იყო და ვიდრე უკანაოჲსამდე ყოველი განითვისეს. და რომელთანი-მე სახელისდებანი ყოვლად უჩინო-იქმნნეს და სხუათანი, გარდაცვალებულნი და თანშეერთებულნი სხჳსანი, ძნელსაცნობელ იქმნნეს. ხოლო მცირენი არიან დამცველნი სრულთა სახელთანი, რამეთუ ოთხთა ყრმათა, ხამოსაგან ქმნილ-თა, ხუსონს ვიდრემე არაჲ ავხო წელიწადმან, რამეთუ ეთიოპელნი, რომელთა ემთავრა, მერმე და აწცა მათ მიერ და ასიას შინათა ყოველთაგან ხუსნი იწო-დებიან. ხოლო დაცულ არს მესტრელთათჳსცა სახელისდებისაებრი კსენე-ბაჲ, რამეთუ ეგჳტესა მესტრად და მესტრალად ეგჳტელთა ყოველნი მის შინანი უწოდენ. აღაშენა უკუე და ფუტიცა ლივკაჲ, ფუტელად მის მიერ ად-გილისათა მწოდებელმან. ხოლო არს მდინარეცა მავრიონთა სოფელსა შინა ამის სახელსა მქონებელი, რომლისა ძლით სახილველ არს უმრავლესთა წიგნთა შინა ელლინთასა და მოთხრობათ-მწერალთასა მოკსენებჲ მდინარისაჲ და მის თანა ემღარისა სოფლისაჲ, ფუტად სახელდებულისაჲ. ხოლო გარდაცვალა, რომელი აწ არს სახელი მისი, მესტრამოსს ძეთაგანმან, ლივკოდ სახელდებუ-ლისამან. არა შემდგომად უკუე მრავლისა ვთქუათ მიზეზიცა, რომლისათჳს მას აფრიკად სახელისდებჲ შეემთხვა. ხოლო ხანაანოს, მეოთხემან ყრმამან ხამოსმან, აწ იუდეად წოდებულისა დამკვდრებულმან, მის მიერ ხანაანად სახელ-სდვა. და იქმნებიან უკუე მათგან ყრმანი: ხუსოსგან ვიდრემე ექუსნი, რომელთაგანმან სავას ვიდრემე საველნი, ხოლო ევილატოს ევილელნი აღა-შენნა, რომელნი აწ ეგჳტელად ითქუმიან¹*; და სავათას — სავათინელნი, ხო-ლო სახელ-იდებიან ასტავარიად ელინთა მიერ; ხოლო რედმოს რედმელნი დაამკვდრნა და ესხნეს ორნი ყრმანი, რომელთაგანმან იუდადას იუდადელთა, ეთიოპერივისა ნათესვისა დასაელეთისათა დამამკვდრებელმან, თანმოსახლე-ობჲ თჳსი დაუტევა, ხოლო საველნი — სავას. ხოლო ნევროდის, ხუსოსს ძე, დადგრომილი ბაბკლონელთა შორის, ემძლავრა მათ, ვითარ წინაწარცა ცხად-ქმნილ არს ჩემ მიერ.

ხოლო მესტრეოსა რვათა ყრმათა, ქმნილთა ყოველთა ღაზითგან ვიდრე ეგჳტემდე, ქუეყანაჲ დაიპყრეს. და მხოლოდ უკუე ფილისტინოსს ადგილმან თანმოსახლეობჲ თჳსი¹ დაიცვა, რამეთუ ელინნი პალესტინად კერძოსა მისასა უწოდენ. ხოლო სხუათაგან ლკემოესა და ენამაესა და ლუვიმოსა მხოლოდ დამკვდრებულისგან ლკვიადასა შინა ადგილსა მის მიერ ეწოდა, ხო-ლო ნედემომესთჳს და ფითროსიმოესა და ქესლემომესა და ქეფთრომოსა გარეშე სახელთაჲსა არა რომელსა უკენიერ ვართ, რამეთუ ეთიოპებმან² ბრძოლამან, რომლისათჳს ცხად-ვყოთ უკუენაჲსკენელ, დაუდგრომელ ყვნა ქალაქნი მათნი.

ხოლო იქმნნეს³ ხანან/ელსდაცა ყრმანი: სიდონ, რომელმანცა ქალაქიცა თანმოსახლე აღაშენა ფენიკიას შინა, სიდონიად უკუე ელინთა მიერ იწო-

¹ თჳს AQ. ² ეთიოპებმან. ³ ქმნეს.

* დაბ. 10,6—7; 10,13; 10,15. ¹ *of the Philistines λεγόμενοι 1,34.*

დების. ხოლო ამათუსნი ამათინოსმან დაამკვდრნა, რომელი არს და აწცა მსოფლიოთაგან ამთად წოდებული, ხოლო მაკედონელნი ერთისა შობილთაგანისა მიერ ეპიფანად სახელ-სდებენ. ხოლო არუდეოსს არადოჲ ჭალაჲი აქუნდა და არუციოსს უკუე — არაჲი ლივანოჲს შინაჲ. ხოლო სხუთა შვდლათჲს: ევეოჲსა, ქეტგეოჲსა, იევუსეფოჲსა, ამორეოჲსა, გერგესეოჲსა, ევდეოჲსა*, სინნეოჲსა, სამარეოჲსა—თუნიერ სახელთა საღმრთოთა წერილთა შინათაჲსა არარაჲ გვსწავიეს, რამეთუ ებრაელთა აღჰმართნეს!† ჭალაჲნი მათნი, ესევეთარისა მიზეზისაგან განსაცდელთა შინა ქმნილნი:

3)2* ნოხოს, შემდგომად წყლითრღუნისა ქუეყანაჲ რაჲ დადგა ბუნებასა თჲსსა ზედა, საქმეთა მიმართ მიმართა და დაჰნერგნა მას შინა ვენაჲნი. და რაჲამს ნაყოფი სრულ-იქმნა და ჟამეულად შეკრიბა და იყო ღვწოჲ საქმარებისა მიმართ, შემწირველი, შუებასა შინა იყო, ხოლო დამთრავლი ძილად შთავარდა და განშიშულებული უშუერად მდებარე იყო. და მხილველმან უკუე მისმან უკბატუეკსმან ყრმათამან ძმათა, მზასრობელმან, უჩუენა იგი, ხოლო მათ დაფარეს მამაჲ მათი. და ნოხოს, მგრძნობელმან, სხუთა ვიდრემე ყრმათა კეთილბედნიერობაჲ ულოცა, ხოლო ხამოს ნათესავობისათჲს ვიდრემე არა დაწყევია იგი, არამედ მისგან შობილნი. და სხუთა ლტოლვილობასა წყევისგანცა, ხანანოჲს ყრმათა ზედა მიიღო ღმერთმან წყევია. და ამათჲს შემდგომთა შორის ვთქუათ.

4)3* ხოლო სიმამსა, ნოხოჲს მესამისა ქეთაგანისა, ხუთნი იქმნებოიან ყრმანი, რომელნი მკვდრ არიან ასიასა ვიდრე ჰინდოეთამდე უკეანოჲსა, ევერატით დასაწყისსა მოქმედნი. და ელამოს უკუე ელამელნი, სპარსთა მთავარნი, დაუტევნა; ხოლო ასურას ნინოსი ჭალაჲი დაამკვდრა და ქუეშდამორჩილებულთა ასკრიოს სახელ-სდვა, რომელნი ფრიად კეთილბედნიერობენ; და არფაქსადი, აწ ჭალდეველად სახელდებულთა, არფაქსადად სახელ-სდვა, მთავრებულმან მათ ზედა; ხოლო არამელნი არამოსს აქუნდეს, რომელთა ელლინნი სკრად სახელ-სდებენ; ხოლო რომელთა აწ ლვად უწოდენ და მაშინ ლუდად, ლუდას აღაშენა. და არამოჲს უკუე ყრმათა ოთხთაგანმან — უსოს ვიდრემე აღაშენა ტრახონიტი და დამასკოჲ, ხოლო საშუალი არს ესე პალესტინისა და ლელისა ასურეთისაჲ, და ულოხ ვიდრემე — სომხეთი და ლათეროს — და ვაკტრიანოსნი; ხოლო მისას — მისანეოსნი და აწინდელთაგან იწოდების პასინოჲს ხარაჲი. და არფასადის უკუე ყრმაჲ იქმნების სალის და ამისგან ევეროს, რომლისა მიერ იუდეელთა დასაბამითგან ებრაელად უწოდენ. ხოლო ევეროს იუქტან და ფალეკონ შვა. ხოლო იწოდა ფალეკრდ, ვინაჲთგან განყოფასა შინა სამკვდრებელთასა იშვა, რამეთუ ფალეკ განყოფასა უწოდენ ებრაელნი. ხოლო იუქტამს, ევეროჲს ყრმათაგანისა, იყვნეს ძენი: ელმოდამოს, სალეფოს, აზერმოთის, იერახოს, ედორამოს, უზალის, დაილის4*, ივალოს, ეემმაილოს, / საფას, 8 სოფირას5*, ევილას, იოვილოს. ესენი კოფიოჲთ, მდინარით ჰინდოეთისაჲთ, და მის მიერ რომელსამე სკრიაჲსასა მკვდრ არიან. ესენი უკუე სიმამს ყრმათათჲს მოითხრობოდენ.

* ევეოჲსა]—A1₁₃₉. 1* ძუნწეოჲს 1₁₃₉. ძუ-ლთეჲს ნიშნავს როგორც აშენებას, ასევე—დანგრევას. კონტექსტის მიხედვით აქ დანგრევა ოგულისხმება. 2* დაბ. 9,20. 3* დაბ. 10,21. 4* Δδκλγς 1₁₄₇. 5* ΙΟφίργς 1₁₄₇.

5)* ხოლო ვყო სიტყუაჲ ებრაელთათჳს, რამეთუ ფალეკოჲს ებეროჲსა იქმნა ყრმაჲ რაღავოს, ხოლო ამისსა — სერუხოს, რომლისა იშეგების ძე ნახორის, ხოლო ამისსა — თარროს და ესე უკუე მამა ავრამოჲსა იქმნების, რომელი მათე ვიდრემე არს ნახოჲსი, ხოლო მეორეჲსა წელსა და ოთხმეოცდამეათესა ორასთა თანა შემდგომად წყლითრღუნისა იქმნა, რამეთუ თარროჲსა ვიდრემე სამეოცდამეათესა შინა იქმნების ავრამოს, ხოლო ნახორის ოცისა და ასისა წლისად ქმნილმან შვა თარროს, ხოლო სერხოჲსა იშეგების ნახორის წელსა მეორეჲსა და ოცდამეათესა და მეასესა. ხოლო რაღაოს შვა სერუხოს წელთა ოცდაათთა და ასთად ქმნილმან და მათე უკუე წელთა შინა რაღავოს-ცა ფალეკოსისდა იყო, ხოლო ევეროს — მეოთხესა და ოცდამეათესა და მეასესა, რომელი არფაქსადის შვა მეხუთესა და ოცდამეათესა წელსა ჰასაკისასა მეასესა თანა. ხოლო სიმამს ძე არფაქსადის იყო, შემდგომად ორთა წელთა და ათთა წყლითრღუნისა ქმნილი.

ხოლო ავრამოსს აქუნდეს ძმანი — ნახორი და არანი. ამათგანი უკუე არანის, ძესა დამტევებელს ლოტისი და სარრაჲს და მელხაჲსი ასულთაჲ, ხალდეველთა შორის მოკუდა¹ ქალაქსა შინა ხალდეველთასა, ურილად სახელდებულსა². და საფლავი მისი ვიდრე აქამომდე საჩინო არს. ხოლო ექორწინებთან ძმისშვილთა: მელქანს ვიდრემე ნახორის და სარრას — ავრამოს. და თარროჲს უკუე, მოძულეჲსა ხალდეჲსასა გლოვისათჳს არანოჲსა, გარდამკვდრნეს ყოველნი ხარანად შუვაჲმდინარეთისა, სადა თარროს, აღსრულებული, დაჰმარხეს, ცხოვნებული წელთა ხუთთა და ორასთა, რამეთუ ამიერითგან შემოკლდებოდა კაცთათჳს ცხოვრებაჲ და მცირედ-მცირედ უკნინეს იქმნებოდა, ვიდრე მოკისის შობადმდე, რომლისა შემდგომად განსაზღვრებულ იყო სიცოცხლე ასსა წელსა ოცსა თანა ღმრთისა მიერ, ამით განმასაზღვრებელისაგან, რაოდენნი და მოსესცა შეემთხვნეს ცხოვრებად. და ნახორისა ვიდრემე რვანი იქმნეს მელქაჲსგან ყრმანი: უქსოს, ვაუქსოს, მათუილოს, ზახამოს, აზავოს, იადელფას, იადოფას, ვათუილოს, ესენი უკუე ნახორის ყრმანი საკუთარნი, რამეთუ ტავეოს და ღადამოს და ტაოს და მახას რუჲმამს ხარჭისგან იქმნეს მისდა. ხოლო ვათუილოჲსა, ნახორის ძისა, საკუთართა შვილთაგან, იქმნების რევეკა ასული და ლავანოჲს ძე.

თ. 7.

1)²* და ავრამოს უკუე ლოტ, არანის, ძმისა თჳსისა ძე, ხოლო ცოლისა მისისა, სარრაჲს, ძმაჲ, შვილად მიიყვანა, ულონომან საკუთრისა² შვილისაგან და დაუტევა ხალდეჲს, სამეოცდაათთა და ხუთთა წელთა ქმნილმან, უბრძანა რაჲ ღმერთმან ხანანიად გარდასლვაჲ, რომელსა შინა დაემკვდრა და მისგან შობილთა დაუტევა, მყოფმან გონიერად გულისკმის-ყოფისათჳს ყოველთაჲსა, დამარწმუნებელი მსმენელთათჳს და რომელთა მეჭუელობდეს, არა განცრუვებული, ამისთვისცა და გონიერებასა სათნოებასა თანა უმეტეს ყოველთა მოქმედმან / და ღმრთისათჳს დიდებასა, რომელი ყოველთა შეემთხუეოდა, განახლებად და გარდაცვალებად ცნა. პირველად ამან შეჰკადრა ღმრთისა ერთისა თქუმაჲ შემოქმედად ყოველთა, ხოლო სხუათაგანი, დაღაცათუ კეთილბედნიერობისა მიმართ მმარჯუეობს, ამისისა ბრძანებისაგან მინიჭებაჲ თითოეულისა და არა თჳსისა ძალისაგან. ხოლო მეჭუელობდა ამით ქუეყანისა და ზღვსა

¹ მოკდა. ² საკუთრისა.

* დ.ბ. 11,18; 11,27; 22,20. ¹ *Ὁνή λεγομένη* 1,161. ² დ.ბ. 12,1; 12,7.

ვნებათაგან და მზისა მიერთა და მთოვარისათა და ყოველთა ზეცისა შინათაჲსა შემთხუეულთაგან: რამეთუ რომლისა ყოფასა განგებად მათ მიერსა წესიერებასა, ხოლო ამისგან დაკლებულთა ცხად-ქმნასა, არცა რაოდენნი საკმარებისა მიმართ თანაშემწე ჩუენდა კელმწიფებისა მათისაებრ, არამედ რომლისაგან მბრძანებელისა მოქმედებად, რომლისა მხოლოჲსა მიმართ კეთილად აქუნდა პატივისა და მადლობისა შეწირვად. რომელთა ძლით ხალდეველთა და სხუათა შუამდინარელთა განდგომილობასა მისა მიმართ, გარდამკვდრებად მეცადინსა ნებისაებრ და შეწევნისა ღმრთისა ხანანაჲს აქუნდა ქუეყანაჲ. ხოლო მუნ დამკვდრებულმან, ბომონი აღაშენა და მსხუერპლი შეწირა ღმრთისა.

2) მოიკსენებს უკუე მამისა ჩუენისა ავრაჰამოჲსთვის ვიროსოს, არა სახელისმდებელი, ხოლო მეტყუელი ესრეთ: „შემდგომად წყლითრღუნისა მეთესსა ნათესაჲსა შინა ხალდეველთა შორის იყო ვინმე, მართალი მამაკაცი და დიდი და ზეცისათა მეცნიერი“. ხოლო ეკატეოს და მოკსენებისა ცა უმეტესისა¹ რაჲვე ქმნა, რამეთუ წიგნი, შემაწყობელმან, დაუტევა მისთვის. და ნიკოლაოს დამასკინელი² მეოთხესა შინა მოთხრობათასა იტყვს ესრეთ: „ავრაჰამოს განმეფნა დამასკოჲსა, უცხოჲთ მოსრული მკედრობისათა ქუეყანისაგან ზენა კერძო ვაჟულონისა მყოფისა, ხალდეად სახელდებულსა. ხოლო შემდგომად არა მრავლისა ჟამისა წარსრული და ამისცა სოფლისაგან თვისისა ერისათა, მაშინ ვიდრემე ხანანეად სახელდებულსა, ხოლო აწ — იუდეად, გარდაემკვდრა. და მის მიერ განმრავლებულნი, რომლისათვის სხუასა სიტყუესა შინა ვთქუნე მოთხრობანი. ხოლო ავრაჰამოს სახელი მერმეცა დამასკოს შინა იდიდების და დაბად მის ამიერ იჩუენების, ავრაჰამოს სამკვდრებელად სახელდებული“.

თ. 8.

1)* ხოლო უკუანაჲსკენელთა ჟამთა სიყმილისა ხანანიად მოწვეწულობასა, ავრაჰამოს, კეთილბედნიერობასა ეგვპტელთასა მსწავლელი³, წარსლვად მათდა მიმართ გულსმოდგინე იყო, მათ მიერისა ნაყოფთა იეფობისა ზიარებად წადიერი და მდღელთაგან მნებებელი სმენად, რომელთა იტყოდეს ღმერთთათვის. რამეთუ, ანუ უმჯობესად პოვნილთა, შეუდგეს მათ, გინა გარდაიხუნეს იგინი უმჯობესისა მიმართ, უმჯობესად მგარძნობმან. მიმყვანებელმან უკუე და სარკაჲსმანცა და მოშიშმან ეგვპტელთა ბორგნეულობისაჲმან დედათა მიმართ, ნუ შუენიერებისათვის დედაკაცისა მეფემან მათმან მოაკუდინოს⁴, ღონე ესევეითარი მოიგონა: მისდა ძმად-ყოფაჲ იჩემა და მას ამისი მთქუმელობაჲ ასწავა, ვითარ უმჯობესისა მათთვის. ხოლო ვითარ მივიდეს ეგვპტელ, შეემთხვა ავრაჰამოს, ვითარ იქუელობდა: რამეთუ შუენიერებაჲ ცოლისა მისისაჲ განითქუა, რომლისათვის და ფარაოთის, მეფე ეგვპტელთაჲ, არა კმაყოფილი მის ძლით თქუმულთა ზედა, არამედ და ხილვადცა, / მზა იყო შეხებად. გარნა დააყენა ღმერთმან უჯეროდ გულსთქუმაჲ მისი სნეულეებითა და განყენებითა საქმეთაჲთა. და კითხულსა განშორებისათვის რისხვისაგან ღმრთისა, ბოროტისა მოახლებასა მის და აუწყებდეს მდღელნი, რომელთათვის ინება გინებაჲ ცოლისა უცხოჲსასა. და, შეშინებული, ჰკითხვიდა სარკას, ვინ უკუე არს და ვისსა მომყვანებელ. ხოლო მსწავლელი ქეშმარიტსა, ავრაჰამოსგან იჯმნიდა, რამეთუ მე-

¹ უმეტესა A, უმეტესა Q. ² ნაკოს დამასკინელი A, ნაკოს დამსკ'ლი Q, ნიკოლაოზ დამასკოლი S *Νικολαος δὲ ὁ Δαμασκηνός* 1,159. ³ მსწავლელი. ⁴ მოაკუდინოს.
* დაბ. 12,10.

ქუელი დად და არა ცოლად მისდა, მოსწრაფე იყო მისა მიმართ მონათესეველ-
ბასა ქმნად მნებებელი და არა გულისთქუმისაებრ მიმართებული. მიანიჭნა
მას უკუე მრავალნი საკმარნი და ეგვპტელთა თანა იყო უსიტყვერესთა. ამიერ
სათნობასა ზედა მისასა და მის ზედა დიდებასა უსაჩინოეს ქმნაჲ შეემთხვა.

2) რამეთუ ეგვპტელნი, განყოფილთა მნებელნი წესთანი და სხუათა მიერ-
თა სჯულღირთა განმგდელნი და ამისთვის ბოროტად მქონებელნი, ურთიერთას
თანშემწყობმან თითოეულისა მათისამან და მწერწყუველმან სიტყუათამან,
რომელთა მოქმედებდეს თვსთათვს, ამაოდ და არაჲს ჭეშმარიტებისა მქონებე-
ლად გამოაჩინნა, განკვრეებულმან უკუე მათ მიერ ზრახვათა შინა, ვითარ
ბრძენმან და გამოცდილმან მამაკაცმან არა მოგონებად მხოლოდ, არამედ დარ-
წმუნებადცა მეტყუელმან, რომელთათვს კელ-ჰყოფდეს სწავლასა. მრიცხვე-
ლობითი მიანიჭა მათ და ვარსკულაეთმრიცხველობისანი მისცნა, რამეთუ პირ-
ველ ავრამოჲს მისლვისა ეგვპტეს უმეტრებაჲ აქუნდა ამათი ეგვპტელთა, რა-
მეთუ ხალდეველთაგან მიიწივნეს ესენი ეგვპტელ, ვინაჲ იგი კჳლად მიიწია
ეკლინთაცა მიმართ.

3) ხოლო ვითარ ხანანიად მიიწია, განეყო ლოტოსს ქუეყანასა, მწყემსთა
მათთა განდგომილებასა ადგილისათვს, რომელსა შინა აძოვებდეს. და გამორ-
ჩევაჲ უკუე და ნებებაჲ უბრძანა ლოტოსს. ხოლო მან, მიმღებელმან მისგან
დატევებულისა მათისა ქუეებისამან, დაიმკვდრა ნავროს ქალაქსა შინა და ესე
უბუეღესი არს წელიწდითა შვდითა ტანიდიოჲს ეგვპტისაჲ¹. ხოლო ლოტოსს
ველისა მიერ და მდინარისა იორდანისა მდებარე აქუნდა, არა² შორს სოდო-
მელთა ქალაქისაგან, რომელი ოდესმე კეთილი იყო, ხოლო აწ უჩინოქმნილ
არს განზრახვისაებრ და რისხვისა ღმრთისა. ხოლო მიზეზი თვისსა ადგილსა
ვაუწყო.

თ. 9.

1) მას უკუე ეამსა შინა ასურელთა ასიამსა მპყრობელობასა, სოდომელთა
ყუაოდეს მონაგებნი სიმღიდრისაგან მათდა მიცემულთაჲსა და სიჭაბუქისა
მრავლისა თანად. და მეფენი ხუთნი განაგებდეს ადგილსა მათსა: ვალაკოს, ვა-
ლესა, სენავარის და სემოვოროს და თანად მეფე ვალინონ. ხოლო თითოეული
თვისსა კერძოსა ჰმთავრობდა. ამათ ზედა ამკედრებულნი ასურელნი და ოთხ
კერძოდ მყოფელნი მკედრობისანი, მოაკრებდეს მათ, ხოლო თითოეულთა ზედა
დაწესებულ იყო ერთი მკედართმთავარი. და ბრძოლისა ქმნილობასა მძლეველთა
ასურელთა ხარკი უბრძანეს სოდომელთა მეფეთა. ათორმეტთა უკუე წელთა
მმონებელნი და ბრძანებულთა მათდა ხარკთა აღმასრულებელნი / მოთმინე-
ობდეს, ხოლო მეათსამეტესა — განადგეს. და მოვიდა მათ ზედა მკედრები
ასურელთაჲ მკედართმთავრობასა ამაროფსიდომასასა³, არიუხოასასა⁴, ხოდო-
ლამოროჲსასა, თადლოჲსასა. ამათ ვიდრემე სვრიაჲ ყოველი მიიტაცეს და
გმირთა ნაშობნი დააქციეს. ხოლო სოდომად ქმნილთა აღიმკედრეს კევსა შინა,
სახელდებულსა „ჭურღუმულად ასფალტოჲსაჲ“⁵, რამეთუ მას ეამსა წყარონი
იყვნეს ადგილსა მას შინა, აწ ვიდრემე, სოდომელთა ქალაქისა უჩინო-ქმნასა,

¹ პროტანიდიოჲს ეგვპტისაჲ *πρὸ Τάνιδος τῆς Αἰγυπτου* 1₁₇₀ (=ვიდრე ეგიპტის ტანიდოს).

² აწ. ³ ამაროჲსა ოსიდომასა AQS, ამართალ D, *Ἀμαρᾶσιδος* 1₁₇₀. Bibl. *Ἀμαρᾶδ* IV, გვ. 86. ⁴ არაუტხოასასა Q, არა უტხოასასა S, არიოხოასასა D, *Ἀριόχου* 1₁₇₀.

⁵ დაბ. 13,6; 13,18. ^{1*} დაბ. 14,1; 14,10. ^{2*} *σφραεαε ძσφ(ί)ს* 1₁₇₄ (=მაზეთის ორმო-
ები).

კევი იგი ტბა იქმნა, ასფალტიტად* სახელდებული. და ამის უკუე ტბისათვის შემდგომად არა მრავლისა კულად გამოვარჩინოთ. ხოლო სოდომელთა თან-შეაწყვეს რაჲ ასკრელთა და ძლიერად ბრძოლაჲ იქმნა, უმრავლეს უკუე ვიდრემე მათნი მოკუდეს¹, ხოლო ნეშტნი ტყუე იქმნნეს, რომელთა თანა და ლოტოსცა წარიყვანა, თანმბრძოლად სოდომელთა მოსრული.

თ. 10.

1)1* ხოლო ავრამოსს, მსმენელსა განსაცდელისა მათისასა, თანად შიში შეუტდა ლოტოხსთვს, ნათესავად მისდა მყოფისა და წყალობაჲ სოდომელთათვის, მოყუარედ მყოფთა და მახლობელთა. და შეწევნად მათდა მეცადინმან არა უღებ-ყო, არამედ მოსწრაფექმნილმან და მეხუთესა ღამესა ზედღამსხმელმან² ასკრელთამან დანოხს თანა, რამეთუ ესრეთ სხუად იორდანისა წყაროჲ სახელიდების, და მიწვენილმან უწინარეს საჭურველთა შინა ქმნისა მათისა, სარეცელთა შინა ვიდრემე მყოფნი მოაკუდინნა³, არცა გონებასა შინა მქონებელნი განსაცდელისანი. ხოლო ძილად არღა მიდრეკილნი და ბრძოლად სიმთრვალისაგან არა შემძლებელნი, იელტოდეს. ხოლო ავრამოს, მდევნელი, შეუდგა, ვიდრემდის მეორედქმნილნი მლტოლველ ჰყენა იგინი სოვად^{2*}, დამასკოჲსა ქუეყანად, და უჩუენა მათ, ვითარმედ ძლევაჲ არა სიმრავლესა შინა და მრავალკელობასა მდებარედ შემთხუელ არს, არამედ გულსმოდგინებასა მბრძოლთასა და სიმცნე მპყრობელ არს ყოვლისა რიცხვსა, სამას და ათრვათა მონათა მისთა თანა და სამთა მოყუარეთა ესოდენისა მკედრებისა მძლეველმან. ხოლო რაოდენნი განევლტენს მას, შეურაცხად უკუნ-იქცეს.

2)3* და ავრამოს უკუე, სოდომელთა ტყუეთა მაცხოვრებელი, რომელნი პყრობილ იყვნეს ასკრელთა მიერ და ნათესვისა თვისისა ლოტოხსთ, უკუნ-იქცა მშვდობით. და მიეგება მას სოდომელთა მეფე ადგილსა რომელსამე, რომელსა უწოდიან „ქუეყანად სამეფოჲ“, სადა სოლკმას ქალაქისა მეფემან, მელქისედეკის, შეიწყანარა იგი. ხოლო მოასწავებს სახელი ესე „მეფე მართალი“. და იყო ესევეთარი ჰეშმარიტად, ვიდრელა ამის მიზეზისათვის შეემთხვა მას მლდელ ღმრთისა ქმნად და სოლკმას ვიდრემე უკუანაასკნელ იეროსოლკმად უწოდა. ხოლო მოართუა ამან მელქისედეკის მკედრობასა ავრამოხსასა ძლუენნი და ფრიალი უშურველობად საკმართად მიანიჭა. და იწყო ქებად მისდა სერობასა შინა და კურთხევად ღმრთისა, კელისქუეშედ მოქმედსა მისდა მტერთასა. ხოლო ავრამოხს, მიმცემელისაგან ათეულსა ნატყუენავისა მისისასა, მიითუალა ნიჭი მისი. და სოდომე / ლთა უკუე მეფე ნატყუენავისა ვიდრემე ქონებად ევედრებოდა ავრამოსს, გარნა კაცთა მიყვანებასა მოქენობდა, რომელნი ასკრელთაგან აცხოვნნა, ნათესავად მყოფნი. ხოლო ავრამოს არა თქუა ამისი ქმნად, არცა სხვსა სარგებლისაჲ ნატყუენავისა მისგან მისდამი მისლვაჲ, თვნიერ რაოდენნი საზრდელ მონათა მისთა იქმნენ, ნაწილი უკუე რომელიმე მოყუარეთა მისთა მიანიჭა, თანადმკედრებულთა. ესხოს უკუე იწოდებოდა პირველი და ენ-ნიროს და მამერის.

10

¹ მოკლეს. ² ზედღამსხმელმან A. ³ მოაკლდინა.

* ἢ Ἀσφάλτης Ἰσχυμῆθη 174. * დაბ. 14,13. ² εἰς ἄβυθον 178 (თარგმანში წინდებულის S ბიერთებულთა საკუთარ სახელთან). ³ დაბ. 14,16.

3)* ხოლო ღმერთმან, მაქებელმან სათნოებისა მისისამან, „არა წარსწყმიდნე, ჰრქუა, სასყიდელნი, რომელთა გიღირს მიღებად შენ ესევეითართა მოქალაქობათა ზედა“. ხოლო ავრამოს მიუგო—და რა იყოს მადლი ესევეითართა სასყიდელთად, არა-ყოფასა, რომელთა დაიმკვდრნენ შემდგომად მისა, რამეთუ ჭრეთ უშვილი იყო. ხოლო ღმერთმან და ყრმთაცა ქმნაჲ აღუთქუა მას და კუხლად მრავლისა ქმნაჲ მისგან ნათესავისა ვიდრე ქმნადმდე მას მსგავსად რეახუსა ვარსკულეთასა. და მსმენელმან ამათმან, მსხუერპლი მოართუა ღმერთსა, მის მიერ ბრძანებულმან. ხოლო იყო მსხუერპლისაჲ ესევეითარი: დიაკუელი სამ წლისაჲ და ვაცი სამ წლისაჲ და ვერძი მსგავსადვე სამ წლისაჲ და გურიტი და ტრედი, ბრძანებულმან ღმრთისაგან, განანაწილნა ოთხფერქნი, მფრინველთაჲსა არაჲს განმყოფელმან. და ამისა შემდგომად, პირველ დადგმადმდე ბომონისა, მფრინველნი ზედა-ფრინვიდეს, გულისთქუმითა სისწლისაჲთა. და კჲმად საღმრთოჲ მოიწია, მომასწავებელი მისდა ქმნილობასა ბოროტთა მახლობელთასა მისგან შობილთათჳს ეგვპტეს შინა, წელთა რვაასთა, და ძვრხილულთასა ძლევაჲ მტერთაჲ და დამოყორებილთა ძლევიტ ხანანელთასა, ქონებაჲ ქუეყანისა მათისაჲ და ქალაქთაჲ.

4)1* ხოლო ავრამოს მკვდრ იყო ქუეყანასა შინა, გვგიდ წოდებულსა, მუხანა თანა. არს უკუე ადგილი ხანანაჲსაჲ, არა შორს¹ ევრონიანთა ქალაქისაგან. ხოლო მწუხარე ცოლსა ზედა, არა შშობელსა, ევედრებოდა ღმერთსა ყრმისა წულისა შობასა. და ღმერთმან უკუე მინდობილობაჲ უბრძანა თანად და სხუათა ყოველთათჳს, ვითარ კეთილთა ზედა მათთა შუამდინარეთით მოსრულსა, და ყრმისაცა ქმნილობაჲ. ხოლო სარრა, ღმრთისა ბრძანებითა, მიაწვინა ერთი მკვევალთაგანი, სახელით აღარინ, ნათესავით ეგვპტელი, ვითარ მის მიერ შვილიერ ქმნილობისათჳს. და უძღებქმნილი მონაჲ მკადრებოდა გინებად, სარრაჲს მიერ განდედოფლებული, ვითარ მთავრობისა დადგომილობასაჲ მის მიერ შობადისა ზედა. ხოლო ავრამოს ტანჯვად რაჲ მისცა იგი სარრას, ლტოლვაჲ განიზრახა, არა მომთმენელმან შეურაცხებათამან და ევედრებოდა ღმერთსა წყალობისა მინიჭებად მისდა. და შეემთხვა მას, უდაბნოდ მავალსა, ანგელოზი საღმრთოჲ, მბრძანებელი მეუფეთა მიმართ უკუნქცევისაჲ, ვინაჲთგან ცხორებასა უზეშთაესსა მიემთხვოს, მდაბალქმნილი, და რამეთუ აწ, დედოფლისა მიმართ უგუნური და თავვედქმნილი, ამათ ბოროტთა შინა არს. და ღმრთისა ვიდრემე ურჩქმნილსა და წარმართ მკადრესა, ეტყოდა წარწყმედასა, ხოლო უკუნქცეული — დედა ყრმისა იქმნეს, მის ქუეყანისა მეფექმნილისა. ამათ ირწმუნა და, მეუფეთა მიმართ აღსრული, შენდობასა მიემთხვა. და შემდგომად უკუე არა მრავლისა შვა ისმაილოს, „ღმრთივსმენილი“ თქუას თუ ვინ, შესმენისათჳს ღმრთისა / ვედრებასა.

5)2* ავრამოს ვიდრემე უკუე, აწლა ექუს და ოთხმეოც წლის ქმნილისა, პირველთქუმული იშვა. ხოლო მეცხრედ და ოთხმეოცდამეათედ აღსრულსა წლად, გამოჩინებულმან ღმერთმან აღუთქუა, ვითარმედ და სარრაჲსგანცა იქმნეს მისდა ყრმაჲ. და უბრძანა მას ისაკოდ წოდებაჲ, ცხადმოფელმან ნათესავთა დიდთა მისგან ქმნილობასა და მეფეთასა და ვითარმედ, მბრძოლთა, დაიპურან ყოველი ხანანიაჲ სიღონიად ვიდრე ეგვპტედმდე. ხოლო უბრძანა წინადაცუეთაჲ სარცხენელთაჲ, მნებებელმან დადგრომად მის მიერსა ნათესავსა არა თანააღ-

¹ შოს AQ. ² დადგმობასა AQ.

* დაბ. 14,24; 15,1. 1* დაბ. 13,18; 16,1; 16,11. 2* დაბ. 17,1.

რევად სხუათა და ამის ქმნად მერვესა დღესა შემდგომად შობისა. ხოლო მი-
წეზი წინადაცუეთისა ჩუენისაჲ სხუათა შინა ცხად-ვეო. ხოლო ავრამოს იკი-
თხვიდა რაჲ ისმაილომსთესცა, უკუეთუ ცხონდეს, მრავალაჲმეულობაჲ აუწყა
ღმერთმან და ნათესავთა დიდთა მამობაჲ. და ავრამოს ვიდრემე, ამათ ზედა
მმადლობელმან ღმრთისამან, წინა-დაიცუთა. მეყუსეულად და ყოველთა მის-
თანათა და ყრამანცა ისმაილოსცა, მას დღესა შინა მეთაჲმეტეტესა წელსა მქო-
ნებელმან, ხოლო ავრამოს თვთ მომღებლობდა ოთხმეოცდამეთესა ცხრათა
თანა.

თ. 11.

1)* და მას უკუე ეამსა შინა სოდომელნი, სიმდიდრითა და სიმრავლითა
საკმართათა ზეშთმბრძნობნი, თანად და კაცთა იყვნეს მაგინებელ და ღმრთი-
სა არა პატივისმცემელ, ვიდრელა არცა მოიქენებდეს მის მიერ ქმნილთა სარ-
გებელთა, არამედ მოძულე იყვნეს უცხოთ შეწყნარებისა და ურთიერთარსისა
სიყუარულსა განაგებდეს. და განრისხებულსა ამათ ზედა ღმერთსა სთნდა გან-
სჯაჲ ამპარტავანებისა მათისაჲ და დაქცევაჲ ქალაქებისა მათისაჲ და სოფლისა
მათისაჲ ესრეთ უჩინო, ვიდრე არცა ნერგსა მერმეცა, არცა ნაყოფსა სხუასა
მისგან აღმოცენებად.

2)* ამათსა ღმრთისა განმკობელობასა სოდომელთათეს, ავრამოს, მხილ-
ველი სამთა ანგელოზთაჲ, მჯღომარე იყო მუნასა თანა მამერისასა, მახლობე-
ლად კარსა ეზოასა მისისასა და, იქუნეული უცხოდ ყოფისა მათისაჲ, აღდგო-
მილი შეემთხვა და მის მიერ პურობილთა ევედრებოდა მიღებასა საუცხოათსა.
ხოლო მათ, უწამეს რაჲ, პურთა ბრძანა მეყუსეულად სიმინდისაგან ქმნაჲ და,
კბოასა მმსხუერპლველმან და შემწყველმან, მოილო¹ თანამსხდომარეთა მუ-
ნასა ქუეშე. ხოლო მათ მისცეს მას რეცა თუ მგონებლობაჲ ჭამისაჲ და მერმეცა
ცოლისათეს ჰკითხვიდეს, სად-მე უკუე არს სარაჲ. ხოლო მან თქუა რაჲ შინა-
გან ყოფაჲ, მისლვაჲ თქუეს გულვებადსა წელსა და პოვნაჲ მისი აწლა დედა-
ქმნილისაჲ. ხოლო დედაკაცმან ამას ზედა განიღიმნა რაჲ და შეუძლებელ-ყო-
ფაჲ შვილთმკემედებისაჲ თქუა, მისსა ვიდრემე ქონებულობასა ოთხმეოცდა-
ათსა წელსა, ხოლო მამაკაცისსა—ასსა. არღარა იპყრეს დამფარველთა, არამედ
აუწყეს მათი ანგელოზად უფლისა ყოფაჲ და ვითარმედ „წარმოვლინებულ
ვართ ერთი ვიდრემე — მაუწყებელი ყრმისათეს, ხოლო ორნი — სოდომელთა
დამამკობელნი“.

3)* ამათი მსმენელი ავრამოს ტყიენულ იქმნა სოდომელთა ზედა და,
აღდგომილი, ევედრებოდა ღმერთსა, მოქენე არა წარწყმედად მართალთა და
კეთილთა ბორტება თანა. ხოლო ღმერთმან თქუა რაჲ არცა ერთისა სოდო-
მელთაგანისაჲ ყოფაჲ კეთილად, რამეთუ უკუეთუმცა იყვნეს მათ შორის ათნი,
შენდომცა ყოველთა სასჯელი საცოდვებთაჲ. და ავრამოს ვიდრემე დუმნა.
ხოლო ანგელოზნი წარვიდეს სოდომელთა ქალაქსა. და ლოტოს ევედრებოდა
მათ დასადგურებასა, რამეთუ იყო ფრად კაცთმოყუარე უცხოთა მიმართ და
მოწაფე ავრამოსსა სახიერებისაჲ. ხოლო სოდომელთა, იხილნეს რაჲ ჰაბუკნი,
გარდამატებულნი სახითა შეენიერებისაჲთა და ლოტოსადმი დამონებულნი,

¹ შოლომ AQ.

* დაბ. 18,20. 1* დაბ. 17,1. 2* დაბ. 18,23.

იძულებად და გინებად შუენიერებისა¹ მათისა მიდრკეს. ხოლო ლოტოს, ევედრებოდა რაჲ შეკდომებად და არა მიმართებად სირცხვლისა ზედა უცხოთაჲსა, არამედ ქონებად კდემასა მისდა მიმართისა დავანებისათჳს, ხოლო უკუეთუ მქონებელ არიან დაუპყრობელად, ასულთა თჳსთა მათ ძლით გულისთქუმათა მათთა მინიჭებადსა ეტყოდა. გარნა არცა ესრეთ არწმუნეს.

4)* ხოლო ღმერთმან, განრისხებულმან განრისხებათა მათთა ზედა და კანნიერებათა მათთა ზედა, იგინი ვიდრემე დააბნელნა, რაჲთა არ შემძლებელ იყვნენ პოვნად შესავალსა სახლისასა, ხოლო სოდომელთა ყოველი საეროჲ მოოკრებაჲ განაბჭო. ხოლო ლოტოს, ღმერთმან რაჲ პრქუა მას გულგებადი სოდომელთა წარწყმედაჲ, განეშორა, წარმყვანებელი ცოლისა და ასულთაჲ: ორნი უკუე იყვნენ მერმეცა ქალწულნი, რამეთუ დაწინდებულთა უგულგებელს-ყვეს გამოსლვაჲ, ლოტოსს მიერ თქუმულთა სისულელედ შემრაცხელთა. ხოლო ღმერთმან მოავლინა ისარი ქალაქისა ზედა, დაწუა ქუეყანაჲ მსგავსითა დამწუველობითა უჩინომქმნელმან, ვითარცა პირველ იყო და თქუმულ არს ჩემ მიერ, იუდაებრივსა ბრძოლასა აღმწერელისა. ხოლო ცოლი ლოტოსისი, განშორებასა მას მრავლად ქალაქადმი უკუნქცეული და განმცდელი მის ძლითთაჲ არა მცნებასა ღმრთისასა მისდა კმნად, ძეგლად მარილთა გარდაიცვალა. ხოლო მომთხრობელქმნილ ვარ ძეგლსა ამას, რამეთუ მერმეცა ესრეთ მყოფ არს. და თვთ უკუე ივლტოდა ასულთა თანა, დამპყრობელი მცირესა რასმე ადგილისა, დაშთომილსა ცეცხლისაგან. ჯერეთ და აწცა ზოორ იწოდების, რამეთუ ესრეთ უწოდენ ებრაელნი „მცირესა“. აჲა შინა, უდაბურობისაგან კაცთაჲსა და ულო-ნობისაგან საზრდელისა, შეიწრებით მყოფ იყო.

5)* ხოლო ქალწულნი, მეტუელნი ყოვლისა კაცთა ნათესავისა აღვოცისანი, მიეახლნეს მამასა, მგონებელნი დაფარვად. ხოლო მოქმედებდეს ამას არა მოკლებისათჳს ნათესავისა. და იქმნებიან ყრმანი: უხუცესისაგან ვიდრემე მოავოს, თქუას უკუე ვინმე „მამისგან“, ხოლო ამჟანონს უმრწამესი შობს: „ნათესავისა ძესა“ მოასწავებს სახელი. და აღაშენებს ერთი მათგანი ვიდრემე მოავიტთა, დიდ ნათესავად მყოფთა ჯერეთ და აწცა, ხოლო სხუაჲ — ამანიტთა. დელისა სკრიაჲსანი არიან მრჩობლნი ვიდრე. და ლოტოსს ვიდრემე ესევეთარი განშორებაჲ შეემთხვა სოდომელთაგან.

თ. 12.

1)2* ხოლო აგრამოს გარდაემკვდრა გერარად პალესტინისა, სახითა დისაჲთა მიმყვანებელი სარაჲსი, მსგავსად პირველთა მჩემებელი შიშისათჳს, რამეთუ ეშინოდა ავიმელეხოჲს, მათ ადგილთა მეფისაგან, რომელიცა, ტრფიალებული სარაჲსი, განხრწნად წადიერ იყო. ხოლო დაიყენებს გულისთქუმი-საგან სენისა მიერ ბოროტისა, ღმრთისა მიერ მოვლინებულისა მისდა. და მკურნალთა მიერ განწირულმან, მიძინებულმან, იხილა გინებად ცოლსა უცხოჲსასა. და, მცირედ აღსუბუქებულმან, თქუა მოყუარეთა მიმართ, ვითარმედ ღმერთმან მოიღო მის ზედა სნეულებაჲ ესე უსამართლოებისათჳს / უცხოჲსა მიმართ, დამცველმან უგინებელად ცოლისა მისისამან, რამეთუ არა დად მყოფ-სა მომყვანებელ არს მას, არამედ სჯულიერად თანმკვდრსა მისსა თანად. და უბრძანა მიერთგან მინიჭებაჲ მისდა უვნებელისაჲ, უშიშქმნილსა ცოლისათჳს.

¹ შუენიერებისა.

* დაბ. 19,11; 19,22. 1* დაბ. 19,30. 2* დაბ. 20,1; 20,12.

ამათ მიერ მეტყუელმან, მოუწოდა ავრამოს თანაგანზრახვითა მოყუარეთათა და არა შეშინებდალ ცოლისათვს უბრძანა მას; ვითარ ვნებულისა რასვე ზენეშთაგანსა, რამეთუ ღმერთი მზრუნველ არს მათვს და, თანშეწვევისა მისისაგან, უგინებელად დადგრომილისა უბრძანა მიყვანებად. ხოლო ღმრთისა მოწამედ მყოფობასა და დედაკაცისა სუნდისისასა იტყოდა არა გულისთქუამდ დასაბამსავე, უკუეთუ მცა ქორწინებულად მისდა უწყოდა. „ხოლო უკუეთუ დაღ მიმყვანებელ იყო, არა უსამართლოებდი მე“. და ევედრებოდა მას მოწულებით ქონებად მისსა მიმართ*. და, თანად დადგრომად მნებებელისა, ყოვლისა უშურველობისა ყოფად და წარსლვად მგულბელისა — მიმთხუევად წარვლინებისა და ყოველთაჲ, რაოდენთა მოქენე მისა მიმართ მივიდა. ესენი რაჲ თქუნა, ავრამოს არცა ნათესვობასა დედაკაცისასა იტყოდა ტყუელიად, რამეთუ მძისა შვილ-ყოფად მისი თქუა და, გარეშე ესევითარისა ჩემებისა, არა უცთომელსა მეტყუელობდა მუნ მისლვასა, თანად და რაოდენსა არა მიზეზ-ქმნად სნეულებისა, არამედ გულსმოდგინებდა ცხორებისათვს მისისა; მზად იტყოდა მის თანა დადგრომასა. და ავიმელეხოს მის მიერთგან უნაწილა ქუეყანაჲ და საკმარნი და თან-დაისხნეს უზაყუეველად მოქალაქობისათვს, ზენა კერძო რომლისაჲე ჯურღუმულისა მოქმედნი ფიცისანი, რომელსა ვირსოდ უწოდინან, ხოლო „ჯურღუმული ფიცისად“ ითქუმის¹. ესრეთ უკუე მერმე და აწცა ადგილისათაგან სახელ-იდების.

2)1* იქმნების უკუე ავრამოსს შემდგომად არა მრავლისა და ყრმადცა სარაჲსგან, ვითარცა წინაწართქუმულ იყო მისდა ღმრთისა მიერ, რომელსა ისაკოდ სახელ-სლდა. ესე „სიცილსა“ მოასწავებს, განღიმებისათვს სარაჲსა, ღმერთმან რაჲ პრქუა მას შობად, არა მომლოდესა აწლა შობისა, უმოხუცებულესად მყოფსა. და ძესა ესრეთ უწოდა, რამეთუ ამას ოთხმეოცდაათნი აქუნდეს წელნი, ხოლო ავრამოსს — ასნი. იშვების უკუე ყრმად ორთავე უკუანაჲსკენელსა წელსა, რომელსაცა მეყუსეულად შემდგომად რვისა დღისა წინადასცუთეს. და ამისგან შემდგომად ესეოდენთა დღეთა ჩუეულებად აქუს იუდელთა ქმნად წინადაცუეთასა², ხოლო არაენი — შემდგომად მეთათსამეტისა წლისა, რამეთუ ისმაილოს, მაშენებელმან ნათესავისა მათისამან, ავრამოსსა ქმნილმან ხარკისაგან, ამას წელსა შინა დაიცუთა, რომლისათვს ყოველი სიტყუჲა გარდმოვსცე მრავლისა თანა გამოწულივისა.

3)2* სარაჲს მკვევლისა მისისა, აღარისგან შობილი ისმაილოს პირველ ვიდრემე უყუარდა, არა მომაკლებელსა სიყუარულისასა, ვითარ თვისისა ძისა მიმართ, რამეთუ იზარდებოდა მონაცვალბად მთავრობისა. ხოლო შვა რაჲ მან ისაკოს, არა აღირსებდა თანაზრდასა მისდა ისმაილოსს, უხუცესად მყოფსა და ბოროტის-ყოფად შემძლებელსა შემდგომად სიკუდილისა მამისა მათისა. არწმუნა უკუე ავრამოსს უცხოებად წარვლინებაჲ მისი დედისა თანა. ხოლო იგი პირველ ვიდრემე არა ირწმუნებდა განზრახვასა შინა მისსა, რომელთათვს/სარაჲ მოსწრაფებოდა, ყოველთა უუგბილესად შემრაცხელი ყრმისა 12 ჩჩკლისა და დედაკაცისა უღონოხასასა საჭირთაგან წარვლინებასა. ხოლო უკუანაჲსკენელ და რამეთუ ღმერთსაცა სათნო-უჩნდეს სარაჲს მიერ განწესებულნი, რწმუნებულმან, მისცა ისმაილოს დედასა, არღა შემძლებელი სლვად

¹ ითქუმის. ² წინადაცუეთასა.

* მიმართ | — και θεου εβμεσθ ποσειδ 1210 (==და ღმერთის კეთილგანწყუდას). 1* დაბ. 21,1. 2* დაბ. 21,10.

თავისა მიერ თვისისა, წყლისა უკუე ტიკსა შინა და პურისა მიმღებელსა უბრძანა წარსლვამ, წინამძღუარად საპირობისა მკუშმეველსა. ხოლო წარსრულსა, ვითარ მოაკლდეს საპირონი, ბოროტთა შინა იყო. ხოლო წყალი რამ მოაკლდა, ელატსა* რომელსამე ქუეშე დამღებელი ყრმისაჲ, სულმოკლისაჲ, ვითარ არაყოფასა სულისასა შეხებისა თანა, უშორესადრე წარვიდა. და შემთხუეულმან მისდა საღმრთომან ანგელოზმან ჰრქუა წყაროვასათჳს, მახლოვლად მდებარისა, და უბრძანა ზრუნვაჲ აღზრდისათჳს ყრმისა, რამეთუ დიდნი კეთილნი მიელიან მას ისმაილოვს ცხორებისაგან. ხოლო იგი მიენდო წინაწარალთქუმულთა და, მიმთხუეული მწყემსთაჲ, მათ მიერისა მოურნეობისაგან განველტო უღონოებათა.

4)1* ხოლო მამაკაცქმნილისა ყრმისა მოიყვანა ცოლი, ნათესავით ეგვპტელი, ამიერ უკუე იყო იგიცა პირველ, რომლისაგან ყრმანი იქმნებიან ისმაილოვსდა ყოველნი ათორმეტნი: ნავეოთის, კიდაროს ავდეილოს, მასსამოს, იღუშას, მასმასოს, მასმისოს, ხოლამოს, თემანოს, იეტუროს, ნაფეოს, კადმასოს. ესე ყოველნი ყოველსა ევფრატით შთამავალსა ქუეყანასა ზღუად მეწამულად მკვდრ არიან, ნავატინად ადგილისა სახელისმღებელნი. ხოლო არიან ესენი, რომელნი ნათესავსა არაბთასა და მათ მიერთა თესლთა უწოდიან, თანად სათნოებისათჳს მათისა და ავრამოვს პატივისა.

თ. 13.

1)2* ხოლო ისაკოს მამასა, ავრამოს, ზეშთ უყუარდა, მხოლოდშობილად მყოფი და ქმნილი მისდა ზღურბლსა სიბერისასა ნიჰად ღმრთისა მიერ. ხოლო მიიწოდებოდა კეთილგონიერებისა მიმართ და სიყუარულისა უმეტეს მშობელთა მიერ და თვთ ყრმაჲ: მომმარჯუებელ იყო ყოველსა სათნოებასა და მქონებელ მსახურებასა მამათასა და მონებისა მიმართ ღმრთისა მოსწრაფე. ხოლო კეთილბედნიერობასა თჳსსა ერთსა შინა მხოლოდ დასდებდა: ძისა უენებლად დამტვევებელი განსლვად ცხორებისაგან. და ამას ვიდრემე, ნებისაებრ ღმრთისა, მიემთხვა, რომელიცა, გამოცდილებისა მისისა მიღებად მნებებელი მისდა მიმართისა მსახურებისათჳს, გამოჩინებულისა მისდა და ყოველთა, რაოდენთა მიმნიჭებელ იყო მისდა, აღმრიცხველი: და ვითარ მბრძოლთა უმჯობეს-იყო იგი და, მყოფსა კეთილბედნიერობასა, მის მიერისა მოსწრაფებისაგან მქონებელ არს, ძესა ისაკოს სთხოვდა მინიჭებად მისდა შესაწირავად და მსხუერპლად თანა. და უბრძანა მას, მორიონად მთად აღმყვანებელისა, ყოვლად დასაწუეველ ქმნაჲ, ვომონისა აღმაშენებელსა. რამეთუ ესრეთ განაცხადოს მისდა მიმართა მსახურებაჲ, უკუეთუ შეილისა ცხორებასა წინა პატივ-სცეს ნიჰსა ღმრთისასა.

2)3* ხოლო ავრამოს, არა რომელსა ზედა მნებებელი ურჩ-ქმნასა ღმრთისა მსჯავრისასა, არამედ მოქმედებად აღმრჩეველი ვითარ მისისა განგებისაგან დამთხუეულთაჲ, რომელთა მიერ კეთილმოწლე იყოს, დამფარველი ცოლისაგან თანად ღმრთისა მიერ თქუმულსა და რომელი აქუნდა მას გონებაჲ დაკლვისათჳს ყრმისა, არამედ არცა მონათაგანისა ვისდამე განმაცხადებელი, რამეთუ დაყენებულ იყომცა მსა/ხურებად ღმრთისა, მიმყვანებელი ისაკოვსი ორთა მონათა თანა და მსხუერპლისა მიმართთაჲ დამღებელი კარაულსა ზედა, წარვიდა მთად მიმართ. და ორთა ვიდრემე დღეთა თან-მოგზაურობდეს მისდა

1 მბრძოლდა.

* 6π' ἰσάακ 1:28. 1* დაბ. 25,12. 2* დაბ. 22,1. 3* დაბ. 22,3; 22,5; 22,7—8.

მონანი, ხოლო მესამესა, ვითარ სახილველ იყო მისდა მთაჲ, დამტევებელი ქუე თანამყოფთაჲ, მხოლოესა ყრმისა თანა აღვიდა მთად, რომელსა ზედა ტაძარი დავიდის მეფემან აღაშენა უკუანაესკნელ. ხოლო მიიხუნეს მათ თანა ნეშტნი, რაოდენნი მსხუერპლისა მიმართნი იყვნეს გარეშე მსხუერპლისა მხოლოდ. ხოლო ისაკოს, ხუთსა და ოცსა წელსა მქონებელმან, ბომონისა შემგზადებელმან, ჰკითხა, რაჲ ეგულების შეწირვად მსხუერპლისა არა-ყოფასა. ხოლო იგი ღმრთისა მინიჭებად მათდა ეტყოდა, შემძლებულად მყოფისა და არა მყოფთაგანცა ღონიერობასა მინიჭებად კაცთა და მყოფთა კუალად მათ ზედა მოსავთაგან მიღებასა. მისცეს უკუე მასცა მსხუერპლი, უკუეთუ სიტკობებით ეგულების მსხუერპლისა მისისა მიმთხუევაჲ.

3) ხოლო ვითარ ვომონი შეიშადა და ნახეთქნი ზედა კერძო მდებარობდეს და ყოველნივე მზა იყვნეს, თქუა ძისა მიმართ: „ოჲ, ყრმაო! ბევრთა ლოცვათა მიერ მთხოველი შენი ქმნად ჩემდა ღმრთისა მიერ, ვინაფთგან მოხუედ ცხორებად, არა არს, რომელი არა ვიპატივის-მოკუყარე შენისა აღზრდისათეს, არცა რომელსა ზედა უფროჲს კეთილბედნიერობად ვმეკუუელობდი, რაჲთა გიხილო შენ მამაკაცქმნილი და, აღსრულებულმან, მონაცვალედ მთავრობისა ჩემ მიერისა დაგიტეო შენ. გარნა ვინაფთგან ნებითა ღმრთისაჲთა მამად შენდა ვიქმენ და კუალად ამასვე შინა საგონებელი განგადგებს შენ, მოითმინე სიმკნით შეწირვაჲ, რამეთუ ღმრთისა მიგანიჭებ შენ, ამის პატივისა მღირსებელსა, რომელსათეს სახიერ მექმნა მე, თანმდგომ და თანმბრძოდ. მოკუედცა! ხოლო ვინაფთგან იშვე, წარვედ აწ ცხორებისაგან არა ზოგადითა სახითა, არამედ თვისისა მამისა მიერ ღმრთისა, ყოველთა მამისა მიმართ, სჯულითა მსხუერპლ მსხუერპლვისაჲთა შეწირული. ჯეროვნად უკუე ვპგონებ ღმრთისა, მსაჯულისაგან, რაჲთა არა სნეულებითა, არცა ბრძოლითა, არცა სხვთა რაჲთვე ვნებათაგანითა, რომელნი შესამთხუეველ არიან კაცთათეს, ცხორებისაგან გარდაიცვალო შენ, ლოცვათა მიერ უკუე და მსხუერპლვისა, მისგან სულისა შენისა შეწყყნარებასა და მის თანა ჰყრობასა. იყავ ჩემდა მოურნე და სიბერის მყვან, რომლისათეს უმეტეს აღგზარდე, ღმრთისა ნაცვლად თავისა თვისისა მიმნიჭებულმან“.

4. ხოლო ისაკოს, რამეთუ მამისაჲ იყო ძისა მიმთხუეულისაჲ და ჯერ-იყო გონებასა მცნესა ქონებად, მიითუალავს სიტკობებით სიტყუათა, მეტყუელი. ვითარმედ არცა სამართალი იყო ქმნაჲ მისი დასაბამსავე, უკუეთუ ღმრთისა და მამისა მსჯავრსა ეგულების განგდებაჲ! და არა მინიჭებამ თავისა თვისისაჲ განზრახვისა მიმართ ორთასავე მოსწრაფებით, ოდეს მხოლოესა მამისა, ამათისა წინაღმრჩეველისა, ურჩებაჲ უსამართლოება იყო. და მიიმართა ვომონისა მიმართ და დაკლვისა. და იქმნამცა საქმე, არა თუმცა დადგრომილ იყო ღმერთი მაცენებელად, რამეთუ კმობს სახელით აფრაიმოსს, მაცენებელი დაკლვასა ყრმისასა. რამეთუ არა გულისმთქუმელი სისხლისა კაცობრივისაჲ ეტყოდა ბრძანებად მისდა დაკლვასა ყრმისასა, რამეთუ არა რომლისა მამად ქმნა იგი, მიღებად მისგან მნებებულ არს ესევეითარისა თანა უპატიოებისა, არამედ სთანეს გამოცდად გონებისა მისისა, უკუეთუ /ესევეითართა ბრძანებული მორჩილ არს. ხოლო ისწავა რაჲ გულსმოდგინებაჲ მისი და გარდამატებულებაჲ სარწმუნოებისაჲ, შუებაჲ ვიდრემე მათ შინა, რომელნი მიანიჭნა მას და არა მოკლებაჲ მისგან ყოველთა ზედმოურნეობისაჲ ნათესვისა ღირსებულსა აღუთქუა და მრავალ წელ ყოფაჲ ძისა მისისაჲცა, რომელმან, ცხორებულმან კეთილ-

13

ბედნიერობად შრომათა კეთილთა, და საკუთართა მისცეს დიდი მთავრობა მათ და წინა-მომავლებდა ნათესავისა მათისა მრავალნათესავ ყოფასა და სიმდიდრისა მიცემასა და საკსენებელად საუკუნოდ ყოფასა ნათესავთმთავართა მათათვის და ხანაიახსნა საჭურველთა მიერ მოგებასა და საშურველ-ქმნასა ყოველთა კაცთა მიერ. ამათმან მეტყუელმან ღმერთმან ვერძი უცნაურად წარმოუდგინა მათ სამსხურაპლოდ. ხოლო ივინი, გარეშე სასოებისა თავად თვსად მოგებულნი და ესევითართა კეთილთა აღთქუმასა მიმთხუეულნი, შეიტკბნეს ურთიერთას და, შეშწირველნი, უკუნ-იქცეს სარჩაას მიმართ და მყოფობდეს კეთილბედნიერად ყოველთა ზედა, რომელთა მნებებელ იყვნეს, ვინაფთგან ღმერთი შეეწეოდა მათ.

თ. 14.

1)!* და სარჩა ვიდრემე არა მრავლისა შემდგომად მოკუდა, ცხოვნებული წელთა შვდთა და ოცთა ასთა თანა. ხოლო დაძვლეს იგი ქვერონს შინა, ვინაფთგან მიუტევეს ხანანელთა საეროდ მიწაჲ საფლავად მისა. ხოლო ავრამოს მოიყიდა ადგილი ოთხას სიკლად ეფრემომს ვისგანმე ქვერონელისა. და საფლავნი ავრამოს და მისგან შობილთა აქა შექმნანდეს.

თ. 15.

1)!* ხოლო ექორწინა იგი უკუნანასკნელ ხატურას, რომლისაგან იქმნეს მისდა ექუსნი ყრმანი, მუშაკობათა მიმართ მოთმინენი და მახვლნი გულისკმისყოფად: ზამერანის, იაზარის, მალანის, მაღიანის, ლავსუვაკოს, სუსოს. და იქმნებიან ამათდაცა ყრმანი: და სუოჲს ვიდრემე საეკანის იქმნების და დალანის, ხოლო ამისგან — ლატოსიმოს, ასსურის, ლუორის, ხოლო მადანოჲსგან — იფას, ოფრის, ანოხოს, ედიდას, ელდას. ამათ ყოველთა ყრმათა და შვილისშვილთა წარვლინებამ სხუად ადგილად მოიკლოვნა ავრამოს: და ტროლოლოდქტი¹ მიიწინეს და კეთილბედნიერისა არავიაჲსად, რაოდენნი მეწამულად ზღუად შთავალს. ხოლო ითქუმის, ვითარმედ ამან ოფრის, აღმკედრებულმან ლივკისა ზედა, დაიპყრა იგი და შვილისშვილთა მისთა, დამკედრებულთა მას შინა ქუეყანასა, სახელისა მისისაგან აფრიკად სახელ-სდევს. ხოლო მოწამე არს სიტყვსა ჩუენისა აღექსანდროს პოლვისტროს, მეტყუელი ესრეთ: „ხოლო კლეოდიმოს იტყვს, წინაწარმეტყუელი და მახანს², მომთხრობელი იუდელთათვის, ვითარ და მოვსიცა მოიტყვს, სკულისმდებელი მათი, ვითარმედ ხატურაჲსგან ავრამოსა იქმნეს ყრმანი კმასაყოფელნი“. ხოლო იტყვს სახელთაცა მათთა, სახელისმდებელი სამთაჲ: აფერან, სურინ, იაფრან. და სურისგან ვიდრემე ასკრიაჲ იწოდების, ხოლო ორთაგან — ფრატი და იაფეროჲსგან — ქალაქ აფრაჲ და სოფელი აფრისკი სახელ-იდების. რამეთუ ამათსა ირაკლის თანა აღმკედრებასა ლივკად და ანტეონს იტყვან. ხოლო ქორწინებული აფრაჲს ასულისაჲ, ირაკლის შობს მისგან ძესა დიოდოროსს, და ამისგან უკუე იქმნების სოფონ, რომლისაგან ბარბაროზნი სოფაკად სახელ-იდებიან.

¹ ტროლოლოდქტი *ε: Τρωλοδοξος* 129.

² ლაბ. 23,1. 1* ლაბ. 25,1. 2* *Μάχης* 129.

1)* ხოლო ისაკოჲს, ორმეოც წლის ქმნილისად, მამასა ავრამოსს ცოლსა მიყვანებდა ეგულებოდა მისა, რევეკკას, ასულსა ძმისასა ნახოროჲს ყრმისასა. და უმოხუცებულესი წარავლინა მონათაჲ წინდობისა მიმართ, შემკრველზან მისმან დიდთა ფიცთა მიერ, რომელნი იქმნებიან ამით გუარითა: წყვილთა ზედა ურთიერთას კელთა მიმდებელნი, ამისა შემდგომად მოუწოდენ ღმერთსა, მოწამედ ქმნილსა. ხოლო წარავლინა მუნ ძლუენიცა, მუნ მყოფთა მიმართ, ნაკულუევანებისათჳს!... საველად შუვამდინარედ მიმართ, ზამთრის ვიდრემე სიღრმისაგან უყეთათასა, ხოლო ზაფხულის — ურწყულობისაგან, მერამეცა საავაზაკოთა მყოფობისათჳს მას შინა, რომელთაგან ვლტოლვად არა შესაძლებელ იყო არა წინმეცნიერთა მოგზაურთათჳს ამას. და ქალაქად მიიწვევის ხარჩანად და, დაბათა მათ შინა ქმნილი, ქალწულთა მიემთხუევის მრავალთა, წყლად მიმავალთა. ილოცავს უკუე ღმრთისა რევეკკაჲს პოვნასა მათ შორის, რომელსა დაწინდებად ყრმისა მგულებელმან, ავრამოს წარავლინა იგი. უკუეთუ განზრახვისა მისისაებრ ეგულების ქორწილსა ამას სრულ-ქმნაჲ, და ცნობად მას სხუათაგან ვიდრემე, მთხოელისათჳს უარ-ყოფასა სასუმელისა, ხოლო მისგან — მიმცემელობასა მისდა.

2) და იგი ვიდრემე, ამას გონებასა ზედა მყოფი, ჭურღუმულად მივალს და ევედრებოდა ქალწულთა სასუმელისა მინიჭებად მისდა. ხოლო იგინი გარემიაქცევდეს რაჲ, ვითარ მნებებელნი სახლად მიღებასა, არამედ არა მისდა მინიჭებასა, და რამეთუ არცა ადვილ აღმოსაღებელ იყო წყალი. ერთი ყოველთაგან მათ შორის, მძნვარედ შერისხვასა უცხოჲსა მიმართსა მხილველი, ეტყოდა: რაჲსა სხვსა ზიარ არიან კაცთა მიმართ იგინი ოდესევე, რომელნი არცა წყლისგან გარდასცემენ? და მიანიჭა მას პატივისმოყუარებით. ხოლო იგი, სასოებასა შინა ვიდრემე ყოველთათჳს ქმნილი და მნებებელი ქეშმარიტსა სწავლად, აქებდა მას კეთილნათესავობისათჳს და სახიერებისა, რამეთუ და თჳსისა შრომისაგან მოქენეთა კმა-ყოფასა არა ევლტოდა. თანად და იკითხვიდა, რომელთა მშობელთაჲ არს და ულოცვიდა მათ სარგებელსა ესევითარისა ყრმისაგან და სძლობასა იტყოდა, ვითარ მათდა სახარულევან არს, სახლსა შინა მამაკაცისასა კეთილისა, ყრმათა შობად მისდა საკუთართა. ხოლო იგი არცა ამით ეშურვა მას, მნებებელსა სწავლად, არამედ და ნათესავიცა აუწყა: „და რევეკკად ვიდრემე, პრქუა, ვიწოდები მე. ხოლო მამა ჩემდა ვათუილოს იყო, არამედ იგი ვიდრემე აწლა მომკუდარ არს. ხოლო ლავანოს ძმაჲ არს ჩუენი და სახლისა ყოვლისა დედისა თანა განმგებელ და ქალწულბისა ჩემისა ზედმოურენ“. ამათი მსმენელი იხარებდა ქმნილთა ზედა და თქუმულთა, ღმრთისა ესრეთ მხედველი ცხადად თანაშემწესა მისდა გზასა შინა. და გამომღებელმან მანიაკისამან და რომელთამე სამკაულთამან, რომელთაჲ შუენიერ მოსად ქალწულთა, მისცა ქალსა მისაგებელად და პატივად სასუმელისა ძლით, მეტყუელმან, ვითარმედ ესევითართა ჟერ-არს მიმთხუევედ იგი, ესეოდენთა ქალწულთა შორის კეთილმოქმედი. და ევედრებოდა მათ თანა დავანებასა, ვინაჲთგანმე ღამე მიმღებელ არს მისგან წამართ სლვასა. და, სამკაულსა მომღებელი მრავალსახესა სადედოსა, არა / უსარწმუნოესთათჳს რწმუნებად იტყოდა, გარნა

* დაბ. 24,1. 1^o ნაკულუევანებისათჳს | ἡ μητ' ἔλας ἔπιχεριδίζεν θιασοιμημέου οὐτος διαερχόμενος χροῖον θείον ἐπὶ οὐρανὸν χυλίσθη 1,244 (=...ამ ადგილებში დიდი ღირებულების მქონენი. მსახურის მოგზაურობა გავრცელდა სიძნელის გამო).

თუ ესევეთართა მიმართ, რომელთა სათნოებისა ისწავა სათნოებისა მათისა ძლით¹ მისგან. ხოლო დამსახველად დედისა და ძმისა მისისა კაცთმოყუარებინათეს იტყოდა სათნობასა მისსა და ვითარმედ არა მიმედ აღუჩნდეს სათნოებისა მათისა ძლით; ვინაჲთგან არცა სარწმუნო სამძიმო იქმნეს, სასყიდელსა დასადგურებისასა სრულყოფელი და თვსთა წარსაგებელთა მკუმეველი. ხოლო იგი ვიდრემე მშობელთა მისთა კაცთმოყუარებისათეს მართლიად მეჭუქელობასა ეტყოდა, გარან ვითარ ძკრად მგონებელსა მათსა აბრალებდა, რამეთუ ყოველთა უსასყიდლოდ მიიღებდეს. და ეტყოდა, ვითარმედ მათუწყებელმან პირველად ლავანოჲს, ძმისა თვისისამან, და შენდობილმან მისგან, მიიყვანოს იგი სახილ.

3)* ვითარ უკუე ესე იქმნა და მიიყვანა უცხოჲ, ჟღერმთა ვიდრემე მისთათეს ლავანოჲს მონანი, მიმყვანებელნი, მოურნეობდეს. ხოლო იგი, სერობად მგულეებელი, შეიყვანებოდა მის თანა. და შემდგომად სერობისა თქუა მისა მიმართ და დედისა მიმართ ქალისა: „ავრამოს თარრავს ვიდრემე არს ძე, ხოლო ნათესავ თქუენდა, რამეთუ ნახორის, ოჲ დედაკაცო, ამათ ყრმათა პაპი, ძმად იყო ავრამოჲსი, ერთ მამად და ერთ დედად. წარმოუვლინებვიარ უკუე მღირსებელსა ამას თქუენდა მიმართ, მვედრებელსა ქალისა ამის მიყვანებად ყრმისა თვისისა მიმართ ქორწილად, რომელი საკუთარი არს მისი და მხოლოდ ყოველთა ზედა აღზრდილ, რომლისა შესაძლებელ იყო მუნ შინათაგან დედაკაცთაგან მიყვანებად მისდა უკეთილბედნიერესსა, უღირს იჩინა მიყვანებაჲ. არამედ, პატივისცემული ნათესავისაჲ, ითხოვს ამას ქორწილსა, რომლისა მოსწრაფებასა და წინააღრჩევასა ნუ აგინებთ, რამეთუ ნებისაებრ ღმრთისა და თანად სხუანიცა გზასა შინა შემემთხვევენს² და ყრმაჲცა და სახლი თქუენი ეპოვე: რამეთუ ვინაჲთგან მახლობელ ქალაქისა ვიქმენ, ქალწულთა მრავალთა მხილველმან, ჟურღუმულსა ზედა მოსრულთამან, ვილოცე ამისდა მიმთხუევად, რომელი და იქმნაჲცა. ქორწილი, საღმრთოჲსა განჩინებისა მიერ დაწინდებული, თქუენცა დაამტკიცეთ და ავრამოსს, ესევეთარისა თანამოსწრაფებისა წარმომავლინებელსა, მინიჭებითა ქალისაჲთა პატივე-ეცით“.

ხოლო მათ, რამეთუ კეთილნი იყვნეს მათდა სახარულეგანნი, ჟერჩინებაჲ ღმრთისაჲ გულისკმა-ყვეს და წარავლინეს ასული, რომელთა ძლით აღრისებდეს. და ექორწინა ამას ისაკოს მონაგებთა მისდა მიმართ მისრულობასა, რამეთუ ხატურაჲსგანნი გარდამკვდრებისა მიმართ წარვიდეს.

თ. 17.

1)* აღსრულდების უკუე ავრამოსცა შემდგომად მცირედისა, კაცი ყოველსა სათნოებასა მიმწუთარი და მისდა მიმართისა მოსწრაფებისათეს ჟეროვნად ღმრთისა მიერ პატივეცემული. ხოლო ცხოვნდა ყოველსა ჟამსა წელთა სამეოცდაათხუთმეტთა ასთა თანა. და დაეფლა ქვერონს შინა სარარავს თანა, ცოლისა თვისისა, ყრმათა თანა ისაკოჲს და ისმაილოჲსა.

თ. 18.

1)²* ხოლო ისაკოჲს, შემდგომად ავრამოჲს აღსრულებისა, მიდგომილ იქმნა ცოლი. და მუცლისა უმეტეს განზრქელებასა შეშინებულმან, ჰკითხა

¹ ძლით/ძლით ისწავა. ² შემემთხვევენს.

* დაბ. 25,5. ¹ დაბ. 25,8. ² დაბ. 25,21.

ღმერთსა და ეუწყა მას მარჩბივთა შობა რევეკიასგან და თანმოსახელედ ყრმათა ყოფა ნათესავთაჲ. ხოლო უდიდესისა პირმშოდ საეჭუელობაჲ უღარეს იყოს. და იშვებიან მისდა შემდგომად მცირედისა, წინაწართქუმულისაებრ ღმერთისა მიერ, / მარჩბივნი ყრმანი, რომელთა მიერ უმობუცებულესი თავითგან ვიღრე ფერტადმდე ფრიად ფაჩუნიერ იყო, ხოლო უმრწამესი შეუდგებოდა ტერფთა თანა მის გამომავალისათა. და უმობუცებულესი უყუარდა მამასა, ისავოდ სახელდებული, თანმოსახელედ ფაჩუნიერობისა. ხოლო აქუნდა სხუადცა სახელი, სიირონად თქუმული, რამეთუ ებრაელნი სიიროდ ფაჩუნიერობასა იტყვიან. ხოლო იაკოვოს, უკაბუკისი, დედისა საყუარელ იყო.

2)* ხოლო ვინაითგან სიყმილი მოიწია ქუეყანასა მას, ენება ისაკოს წარსლვაჲ ეგვიპტედ, ქუეყანისა კეთილისა მყოფობისათჳს. და გერარონთად წარვიდა, შიშითა ღმერთისაჲთა. და შეიწყნარა იგი ავიმელეხოს, მეცნიერებისათჳს და სიყუარულისა აერამოხსა. და ფრიად მრავლისა კეთილგონებობისა მკუმეველი მისა მიმართ დასაბამსა, ამას ზედა დადგომად შურისა მიერ დასასრულადმდე დაიყენა, რამეთუ მხედველმან ისაკოს თანამყოფად ღმერთისა და მკუმეველად მისა მიმართ ესოდენსა მოსწრაფებასა, განჯადა იგი. ხოლო იგი, კულად ესევითარისა ავიმელეხოს მიმთხუეული გარდაცვალებისაგან შურისა მიერ, მაშინ უკუე ვიღრემე განეშორა ფრანად სახელდებულსა ადგილსა, არა შორს გერარონთაგან. ხოლო აღმოსთბრიდეს¹ რაჲ ჭურღუმულსა, მწყემსთა, ზედადასხმულთა, ბრძოლად მიიმართეს, მაყენებელთა საქმისათა. და, არა მნებებელისა მიმართ ბრძოლად, ჰგონებდეს ივინი ძლევასა. და იგი, წარსრული, აღმოსთბრიდა სხუასა. და წინააღმდეგს რაჲ სხუანი რომელნიმე ავიმელეხოს მწყემსთაგანნი, და ამისმანცა დამტეველმან, მიპრიდა კეთილგონიერითა გულისიტიყვთა, მომგებელმან უშიშოებისამან. და შემდგომად ნებსით თჳსით მიანიჭა მას ჭურღუმულისა მთხრელობაჲ, დაუყენებელად. და როგოთ სახელ-სდვა ჭურღუმულსა: ფართოებასა მოასწავებს სახელი. ხოლო პირველთაგანი რომელთამე ესკონ იწოდების, ბრძოლისად ვინმე თქუას იგი, ხოლო სხუად — სვენა, მტერობასა ცხად-ჰყოფს სახელი.

3)* ხოლო ისაკოს² აღორძინებაჲ შეემთხუეოდა რომლისაჲ სიდიდისაგან საქმეთასა. ხოლო ავიმელეხოს, ძუნად მისა აღორძინებასა მექუელი ისაკოსი, რამეთუ იქუნეულ იყო მათი ურთიერთარსიცა ქცევაჲ. არა საჩინოთა ზედა მტერად ისაკოსს განდგომილობასა, შეშინებულმან, ნუსადა პირველისა სიყუარულისაგან არაჲ სარგებელ ეყოს მას, ნაცვლისგებად რაჲ განეწყოს ისაკოს, რომელთათჳს ეგნების, ამიერ პირველსა სიყუარულსა მოქმედებს მისა მიმართ, ერთისა მკედართმთავართაგანისა, ფილოხოსს, მიმყენებელი. და ყოველთა მიმთხუეული, რომელთა ითხოვდა, ისაკოსს სახიერებისათჳს, რამეთუ რისხვისა ამოაქსა წინა პატივმცემელი უპირველესსა მალსა მისდა მიმართ და მამისა მისისა მიმართ ქმნილსა, წარვიდა თავად თჳსად.

4)*² ხოლო ისაკოსს ყრმათაგანი ისავოს, რომლისა ძლით უმეტეს მოსწრაფე იყო მამად, ორმეოც წლის ქმნილი, ექორწინების აღანს ილონოხსასა და ალივამნს ევეეონოხსასა, ასულთა ხანანისა შინა მძლეთა მამაკაცთასა, უფალმყოფელი თავისა თჳსისაჲ კელმწიფებასა ზედა ქორწილისასა და არცა

¹ აღმოსთბიდე AQ. ² ისაკოსს.
^{*} დაბ. 26,1. ^{1*} დაბ. 26,26. ^{2*} დაბ. 26,34; 36,2.

მამისა თანა განმზრახი, რამეთუ არცლამცა მაწუეველქმნილ იყო ისაკოს¹ მისდა ნებსით თვისით, რამეთუ არა საყუარელ იყო მისდა ნათესავობისა მოგე-
ბაჲ ადგილისათა / მიმართ. ხოლო არა მნებებელმან ბრძანებად ყრმისა არა
განყენებასა ცოლთასა, რაჲთა არა საქულელ იქმნეს, ღუმილი საჯა.

5)* ხოლო დაბერებულმან და თუალითა ყოვლად არა მხედველმან, მომ-
წოდებულმან ისავოჲსმან, პრქუა: და სიბერეცა, თვნიერ სიბრმისა და ვნებისა
თუალთა მიერისა, მაყენებელ არს მისდა მსახურებად ღმრთისა. და უბრძანა
წარსლვაჲ ნადირობად და, მომნადირებელსა, რაოდენსა რას შემძლებელ იყო,
მისდა შემზადებად სერსა, რაჲთა შემდგომად ამისა ევედროს ღმერთსა თანა-
მბრძოლ და თანამოქმედ ყოფადისა ყოველსა შინა ცხორებასა, უცნაურ-ყო-
ფადსა, მეტყუელმან, ოდეს აღსრულდეს, ხოლო პირველ ამისა მნებებელ არს
მინიჭებად მისდა ღმრთისა, მიწოდებულსა, ლოცვათა მისთჲ მიერ.

6) და ისავოს² ვიღრემე ნადირობად მიიმართა. ხოლო რევეკკა, მოქე-
ნემან მიწოდებად ღმრთისა და იაკოვოჲს წყალობისა მიმართ და გარეშე ისა-
კოჲს ნებისა, უბრძანა მას, თიკანთა დამკლველსა, სერსა შემზადებაჲ. ხოლო
იაკოვოს მორჩილ არს დედისა, ყოველთა მის მიერ სწავლული. ხოლო ვინა-
ჲთგან მზა იყო სერი, და თიკნისა ტყავითა შემოსესლმან მკლავისამან, რაჲთა
დასარწმუნებელ იყოს ისავოს ყოფად მამისა მიერ ფაჩუნეირობისათჲს, რამე-
თუ სხუათა ყოველთა მიერ მსგავს მისდა მყოფი მარჩბობისა ძლით, ამით
ყოვლითა განუყოფოდა. და შეშინებულმან, ნუსადა წინაწარ ლოცვათა ქმნი-
სა, პოვნილმან ბოროტისმოქმედად, წინააღმდეგომისა მიმართ აღძრას მამაჲ
ქმნად ლოცვათა, მიართუა მამასა სერი. და ისაკოს ვიღრემე, მგრძნობელი
თვებასა კმისასა, მიუწოდს ძესა, წარმომყოფელსა მკლავისასა, რომლისა-
თჲს ტყავი თიკნისაჲ მოებლარდნა. და, ამისმან შეხებულმან, თქუა: „ჰკმობ
ვიღრემე მსგავსად იაკოვოჲსა და სიღრმისაგან უკუე თმისა ისავოს ყოფად
საგონებელ ხარ ჩემდა“.

და არა ბოროტისმოქმედად მეჭუელი, მსერებელი, მიიქცევის ლოცვათა
მიმართ და ვედრებასა ღმრთისასა, მეტყუელი: „მეუფეო საუკუნოჲსა და მო-
ქმედო ყოვლისა არსებისაო! რამეთუ შენ მამასა ჩემსა მიეც ძალი დიდთა
საქმეთაჲ და მე ამას მალირსე და ჩემ მიერ ქმნილთა აღუთქუ შემწედ სახიე-
რად და მომცემლად მარადის უმჯობესთა ყოფაჲ, ესენი უკუე დაამტკიცენ
და ნუ გარე-მიიხილავ ჩემგან ჩემისათჲს უძლურებისა, რომლისა ძლით უფ-
რომლად მევედრებელი შენი. ვითარმედ და ჩემდა ყრმაჲ ესე მშვდობით აცხო-
ვნე და უვნებელი ყოვლისა ბოროტისაგან დაიციე, მიმცემელმან მისდა ცხო-
რებასა კეთილბედნიერსა და მონაგებსა კეთილთასა, რაოდენთაჲ არს შენდა
ძალი მინიჭებად; და ყავ იგი საშინელ მტერთა, ხოლო მოყუარეთა — საპა-
ტიო და სახარულევან“.

7)* და მგონებელი ისავოჲსდა ქმნასა ლოცვათასა, ევედრებოდა ღმერთ-
სა. ხოლო აწლა დაცხრომილ იყო ამათგან და მოვიდა ისავოს ნადირობით.
და შეტუნებისა მცნობელი ისაკოს ღუმილსა მქონებელ იყო. ხოლო ისავოს
ევედრებოდა ძმისავე მსგავსთა მიმთხუევად მამისაგან. და მამაჲ უარ-ჰყოფდა

¹ ისაკოს. ² მს თ-ი AQ. ³ ისაკოს AQ.

* დაბ. 27,1. ^{1*} დაბ. 27,30.

რამ ყოველთა ლოცვათა იაკოვოს¹ მიმართ წარმოცარიელებსათეს, გლოვა-
სა მქონებელ იყო, არა მიმთხუეული. და ცრემლთა მისთა ზედა შეწუხებული
მამა ნადირობისათა ვიდრემე და ძალსა სხეულისასა საქურველთა შინა და
ყოველთა საქმეთა წარმართებად ეტყოდა და მოსთულებად მათ მიერსა დი-
ლებასა საუკუნოდ და მის მიერსა ნათესავსა, არამედ მსახურებად ძმისა.

8)* და იაკოვოს უკუე, შიშნეული ძმისაგან და გულეებადი სასჯელსა
მი / ღებად შებრკუმისათეს ლოცვათა ზედამსა, დედამან იქსნა: არწმუნებს
მამაკაცსა შუამდინარით ნათესავსა ცოლსა მიყვანებად იაკოვოსა², რამეთუ
აწლა და ისმაილომს ასულიცა, ვასათიმან, უნებლიეთ მამისა მიყვანა ისავოს
ქორწილად. რამეთუ არა შეეერთებოდეს ხანანელთა ისაკომსთანანი, რომლი-
სათეს პირველთა მისთა ქორწილთა ზედა მწუხარებით მღებარე იყენეს, სახა-
რულეევანსა მათსა ზედა ვასათიმანცა მიყვანა ისავოს, უფრომსლა მისთვის
მოსწრაფემან.

თ. 19.

1)* ხოლო იაკოვოს³, შუამდინარედ წარვლენილი დედისა მიერ⁴ ქორწინე-
ბად ლავანრომს ასულისა, ძმისა თვისისა, ბრძანებული ისაკოვანგანცა ქორწინებად,
რამეთუ ირწმუნებდა განზრახვათა ცოლისათა⁵, შორის ხანანიაჲსა ვიდოდა.
და სიძულულისათეს ადგილის შინათაჲსა, არცა ერთისა თანა ღირს-იჩენდა
დადგრომასა, არამედ უსართულოდ მკვდრობდა. და მძინარე, მის მიერ შეწყო-
ბილთა ქვათა ზედა თავსა დამღებელი, ძილსა შინა ესევითარსა ხედავს ჩუე-
ნებასა: საგონებელ იყო ხედვად მახლობელად მისდა მდგომარესა კიბესა,
ქუეყანით ცად მიწვენულსა და ამის მიერ ხედვათა შთამომავალსა უშუენიე-
რესად ვიდრე კაცობრივისა ბუნებისა მქონებელთა. და დასასრულსა ზენა
კერძო მისასა ღმერთსა, ცხადად მისდა გამოჩინებულსა, თანად და სახელით
წოდებასა და ყოფად ესევითართა სიტყუათა: „იაკოვე! შენ, კეთილისგან მა-
მისა მყოფისა და პაპისა მპოვნელისა დიდებასა სათნოებისა დიდისასა, და
შრომაჲ არა გიღირს აწ მოწვენითა ზედა, არამედ მოლოდებამ უმჯობესთაჲ.
და რამეთუ უშურველმან შეგიწყნაროს შენ, დიდთა კეთილთა მოსლვამან
ყოვლისა მიმართ. შეწვენისა ჩემისა მიერ; რამეთუ ავრამოს მე მოვიყვანე აქა
შუამდინარით, დევნული ნათესავთა მიერ, და მამა შენი კეთილბედნიერად
გამოვაჩინე, რომელთასა არა უმცირესი ნაწილი დავდვა შენდა მიმართ. მინ-
დობილი უკუე, და ამასცა ვიდოდე გზასა, ჩემი წინამძღუანველად მკუმეველი,
რამეთუ აღსრულდეს ქორწილი შენი, რომლისა მიმართ მოსწრაფე ხარ და
იქმნენ შენდა ყრმანი კეთილნი. ხოლო სიმრავლე მათი უმჯობეს რიცხვსა იყოს,
დამტევებელნი ძეთა მათთა უმრავლესთანი, რომელთა მე ამის ქუეყანისა
პყრობამ მივსცე და ყრმათა მათთა, რომელთა ადავსონ ყოველი ქუეყანაჲ და
ზღუაჲ, რაოდენსა მზე ხედავს. გარნა ნუ მიხედავ ქირსა რომელსავე, ნუცა
შეშინდები სიმრავლისაგან შრომათაჲსა, ჩემ მოქმედისაგან შენ მიერ მოქმედე-
ბულთა განგებასა, აწინდელთაცა შინა და ფრიად უმეტეს უკუანაჲსკენლთა“.

¹ ისაკოვოს A, ისქან Q, ისაკოს S. ² ისაკოვოს AQ, ისაკოს S, იაკოვოს D. ³ იაკოს
A, იაკოს Q. ⁴ შრთ AQ. ⁵ ცოლისათაჲ.

* დაბ. 27,41. ^{1*} დაბ. 28,1—11.

2)* ესენი ვიდრემე ღმერთმან იაკოვოს! ჰრქენა², ხოლო იგი, მხიარულ-ქმნილი ჩუენებულთა ზედა და აღთქმულთა, განაშუენებს ქვათა, ვითარ ესე-ვითართა კეთილთა ქმნისათჳს მათ ზედა; წინაწარტქმულობასა და ლოცვასა ჰყოფს შეწირვად მათ ზედა, უკუეთუ, მომგებელი ცხორებისა უენებელისაჲ, აღმოვიდეს, ღმრთისა ათეულსა მონაგებთა შემწირველმან, ესრეთ კჳალად წარსრული. პატიონად სჯის ადგილსა, სახელისმდებელი მისი ვეთილად, 26 ხოლო მოასწავებს ესე საღმრთოსა საყოფელსა ე/ლლინთა ენისაებრ.

3)!* ხოლო განსრული შუამდინარით, სიმრავლესა შინა ჟამისასა მიიწია ხარანად. და მწყემსთა მპოვნელი დაბათა შინა და ყრმათა ჰაბუკთაჲ და ქალ-წულთაჲ, მსხდომარეთაჲ რომელსამე ჟორღუმულსა ზედა, მათ თანა იქცეოდა, მოქენე წყლისაჲ. ხოლო სიტყუად მოსრულმან მათდა მიმართ, ჰკითხა მათ, უკუეთუ მეცნიერ არიან ლავანოს ვისმე, მათ შორის ჳერეთ მყოფსა. და მათ უკუე ყოველთა მეცნიერებჲაჲ მიუგეს, რამეთუ არა ესევეითარი არს, ვითარ-მცა არა საცნაურ იყო, და მათ თანა მემწყემსეობს ასული მისი, რომლისათჳს განკვრებულ იყვნეს, რამეთუ არასადა იყო მუნ, რამეთუ ამისგანმცა ესწავა გამოწულილვით, რაოდენთა მათჳს სმენად სურის. ამათსა უკუე მათგან მე-ტყუელებასა, მოვიდა ყრმაჲცა თანშთამომავალთა² მწყემსთა თანა. და უჩუენ მას მას იაკოვოს, მეტყუელთა, ვითარმედ უცხოჲა ესე მოვიდა, მკითხველი მამისა შენისა ძლითთაჲ. ხოლო იგი, განმხიარულებული სიყრმისაგან მიერ მოსლვასა ზედა იაკოვოვასსა, ჰკითხვიდა მას, ვინ სადა-მე არს და სადაჲთ მო-სრულ არს მათდა მიმართ და რომლისა საქმარებისა ძლით მოწუენულ. და ეტყოდა, ვითარმედ შესაძლებელ არს მათდა მინიჳებჲა, რომელთათჳს მოქენე მოსრულ არს.

4) ხოლო იაკოვოს, არა ნათესავობისათჳს, არცა ამისა მიერისა სიყუარუ-ლისათჳს, არამედ ტრფიალეზითა ყრმისაჲთა ძლეული, განცუბრდა, მქონებე-ლად სიკეთესა ესრეთ მხედველი, ვიდრელა მკირენი მაშინ დედაკაცთანი ესრეთ ყუაოდეს. და ჰრქუა: „არამედ ჩემდა შენდა მიმართ და მამისა შენისა, უკუეთუ ლავანოჲს ყრმაჲ ხარ, საყუთრებჲა არს უპირველესი შენისა და ჩემი-სა შობისაჲ, რამეთუ თარროსგან ავრამოს და არანის და ნახორის იყვნეს ძენი, რომელთაგან ვათოილოს, პაპი შენი, ყრმა იქმნების ნახოროსა, ხოლო ავრამოსგან და სარაჲს არანისა — ისაკოს, მამაჲ ჩემი. ხოლო უმახ-ლობლესი და ახალი ესე შეერთებჲა ნათესავობისაჲ ჩუენ გუჳქუს ურთიერთას მიმართ, რამეთუ რევეკჳა, დედაჲ ჩემი, ლავანოს, მამისა შენისა, დაჲ არს; თანად მისევე მამისა და დედისაგან და-ძმათა უკუე შვილი ვართ ჩუენ, მე და შენ. და აწ აჳა მოსრულ ვარ შემთხუევეად თქუენდა და პირველმყოფსა ნათე-სვობასა განახლებად მგულებელი“. ხოლო ყრმაჲ, ჳსენებისა მიერ ვითარ სა-ყუარელ არს შემთხუევეად ყრმათა, წინაწარმსმენელი მამისა მიერ რევეკჳას ძლითთაჲ და მეცნიერი მშობელთა მოსურნეთაჲ სახელისა მისისათჳს, მამისა მიერისა სიყუარულისაგან ცრემლოვანქმნილი, შეიტკობს იაკოვოსს. და, გარემოხუეული, სანეტაროსა და დიდსა სიხარულსა მიყვანებად მამისა ეტყო-და მას და ყოველთა სახლისა შინათა მიმართ, რომელი მდებარე არს ჳსენება-სა ზედა დედისა მისისასა და მხოლოდ ამის მიმართ დამთხუეულობს და საგო-

¹ იაკოვოს AQ, იაკოვოს S. ² ჰრქენა.

* დაბ. 28, 18. ¹ დაბ. 29, 1. ² თჳს თიჯ მარადითჳს უწუ მისმთაჲ 1, 22 (მარადითჳს-შთამომავალთა. ჳჳს წინდებულთა ცალკე არ უნდა ითარგმნოს).

ნებელ უკუე იქმნეს მისდა ნაცვალ საღირსო ყოვლისა კეთილისა თანად. და სლვაჲ უბრძანა აწვე მამისა მიმართ და შედგომად მიმავალისაჲ და არა მოკლებად სიხარულსა უმეტესად დაყოვნებითა მისითა.

5)* ამათმან მეტყუელმან წარიყვანა იგი ლავანოს მიმართ. და ცნობილი მისგან დედი/თ, თვთ უშიშ იყო მოყუარეთა შორის ქმნილი და მათ ფრიადი სიხარული მიანიჭა, მოულოდებელად გამოჩინებულმან. ხოლო შემდგომად არა მრავალთა დღეთა ლავანოს, სიხარულსა ვიდრემე მისისა მისთვისსა დიდად¹, ვითარ სიტყუასა შინა მოასწავოს, ეტყოდა, ხოლო მიზეზსა, რომლისათვის იგი მივიდა, დედისა და მამისა მოხუცებულთა დამტყვებელი და მსახურებისა მისისა მოქენეთაჲ, ჰკითხვიდა, რამეთუ მიანიჭოს მას და ყოვლისა საქმარებისა მიმართ შეეწიოს. ხოლო იაკოვოს ყოველი მიზეზი მიუთხრა მას, მეტყუელმან ისაკოვს მარჩბიეთა ყრმათა ქმნაჲ², მისი და ისავოამი, რომელი, ვინაჲთგან ლოცვათა მამისათა განეჭუა სიბრძნითა დედისაჲთა, მისდა მიმართ ქმნილთა, მოკუდინებად ეძიებდა მას, ვითარცა მიმღებელსა ღმრთისა მიერისა მეფობისა და კეთილთაჲ, რომელთაჲ მამამან ულოცა. ესე არს მიზეზი აჟა მოსლვისაჲ მცნებისაებრ დედისა. „რამეთუ ჩუენდა ყოველთა შინა ძმანი არიან და უმეტეს მისდა მიმართისა ნათესავობისასა დედაჲ მიმღებელ არს. ხოლო მცველად, თქუა, განშორებისა ჩემისა შენი და ღმერთისა მოქმედი, მინდობილ ვარ აწ მყოფთა ზედა“.

6) ხოლო ლავანოს და პირველთა მშობელთა ძლითცა აღუთქუამს გარდაცემად მისდა ყოველსა კაცთმოყუარებასა და დედისათვისცა, რომლისა ძლით სიყუარული აჩუენოს და არა მყოფობასაცა შინა მისსა მუნ, მისდა მიმართისა მოსწარაფებისა მიერ, რამეთუ სამწყსოთა მისთა ზედმოურნედ დადგინებასა ეტყოდა და ამათ ძლით სასყიდლისა ღირსებასა. და თვისთა მშობელთა მიმართ წარსლვად მგულებელი, ძლუენთა თანა აღვიდეს და პატივისა, რაოდენისა ჭერ-არს მიმთხუევად ესრეთ ნათესავსა. ხოლო იაკოვოს³ სიხარულით ისმინნა ესენი და ჰრქუა: „მხიარულებით ყოველსა ვიდრემე ტკივილსა შენ თანა დადგრომილი, სიხარულად შევკრავც ჩემდა“. ხოლო ამის ძლით სასყიდლად მიღებასა ევედრებოდა რაქილას ქორწილსა, სხუათათვისცა ღირსად პატივისა მყოფსა მისგან და რამეთუ მსახურ მისდა მიმართისა მისლვისა ექმნა, რამეთუ სურვილი ყრმისაჲ აიძულებდა მას ქმნად ამის ძლითთა სიტყუათა. ხოლო ლავანოს, მხიარულქმნილმან ამათ ზედა, უწამა მას ქორწილისათვის ყრმისა, არა უმჯობესსა სიძესა სხუასა მისლვად მლოცველმან. უკუეთუ ვიდრემე რომელსამე ჟამსა დაადგრების მის თანა, ყოს ესე, „რამეთუ ხანანელთად არა წარავლენ ასულსა, ვინაჲთგან შემინანებიეს და ღისაცა ქორწინებისა მუნ შეერთებაჲ“. ხოლო იაკოვოს მიუტენა ესენი და შვდთა წელთა ჟამსა შინა აღუთქუა, რამეთუ ესოდენნი განეწუნეს მას მსახურებად სიმამრისა, რაჲთა, გამოცდილებასა სათნოებისასა მიმცემელი, საცნაურ იქმნეს უფროსდა, თუ ვინ არს. და მიმთუალველმან სიტყუსამან ლავანოს, ჟამი რაჲ წარკდა, წინა-დაუდგა მას სერი ქორწილთაჲ. ხოლო ღამე რაჲ მოიწია, არარაჲს მეცნიერებასა იაკოვოსსა, მიაწვინა მის თანა ერთი ასულთაგანი, უპირველესი რაქილასსა და სახითა და არა შუენიერი. და იგი, თანაყოფილი სიმთრავალისა მიერ და სიბნე-

¹ დედად A, დიდად B Q, დედამან S. *მცნება* 1²⁹⁴. ² ქმნა, *წმინდობა* 1²⁹⁵. ³ ისაკოვოს A Q.

* დაბ. 29, 13.

ლისა, და შემდგომად დღისა მცნობელი, უსამართლებასა აყუედრებდა ლავანოსს. ხოლო იგი შენდობასა ითხოვდა ჭირისათვის, რომლისა მიერ ამათ მოქმედ იქმნა, რამეთუ არა ბოროტმოქმედებით მიანიჭა მას ღია, არამედ სხვა უდიდესისაგან ილუელმან“. და ესე ვიდრემე არა მაყენებელ გექმნეს რაქილას ქორწილსა, არამედ, ტრფია/ლებულსა, მოგცე იგიცა შემდგომად შუდისა წლისა“. ირწმუნა უკუე იაკოვოს, რამეთუ არარაჲს სხვას მოქმედებად შეჰმზადებდა მას ტრფიალებად ქალისაჲ. და წარკდა რაჲ სხუად შუდი წელი, რაქილა მიიყვანა.

7)* ხოლო იყენეს ორთავე მკვეალნი მამისა მიერ მიცემულნი: ზელფა ვიდრემე ლიამსსა, ხოლო რაქილამსსა — ვალლან, მონანი ვიდრემე არასადა, გარნა ქუეშდაწესებულნი. და შეაწუხებდა ლიას ფრიად ქმრისა ტრფიალებად დისა მიმართი და მგონებელ იყო ყრმათა ქმნილობასა უპატიოსნესად ყოფასა მისსა. და ევედრებოდა ღმერთსა მარადის და ყრმისა წულისა ქმნილობასა და ამისთვის მისდა მიმართ მიქცეულობასა მამაკაცისასა. რუვიმოს სახელსადეა ძესა, რამეთუ წყალობისაებრ ღმრთისა იქმნა მისდა, რამეთუ ამას მოასწავებს სახელი. ხოლო შვილ იქმნებიან მისდა და სამნი სხუანი შემდგომად ჟამისა: სუმეონ, და მოასწავებს სახელი მოსმინე ქმნად მისდა ღმრთისა, და შემდგომად — ლევი, ვითარ ზიარებისა შემამტკიცებელი, რომლისა შემდგომად — იუდას, მადლობასა მოასწავებს ესე. ხოლო რაქილა, მოშიში, ნუ კეთილშვილიერობისათვის დისა უდარესსა ნაწილსა მიემთხვოს ქმრისაგან, მიაწვინა იაკოვოს თანა მკვეალი მისი ვალლან. ხოლო იქმნების მისგან ყრმაჲ დან, ღმრთივ-გამორჩეულად თქუან ვიეთმე ელლინთა ენისაებრ. და ამისა შემდგომად — ნეფთალემი*, ვითარ უღონიეროჲ ნაცვლად ღონიერობისათვის დისა მიმართისა. ამას უკუე ლიაცა მოქმედებს, დისა მიერ მოქმედებულისა ნაცვალმეტკლოვნე, რამეთუ მიაწვინა მკვეალი მისი და იქმნა ზელფამსაგანცა ძე ღადას, ბედებრიობითად ვინმე უწოდოს მას. და ამისა შემდგომად — ასირ, მონატრედ ვინმე თქუას, რომელთა ძლით მომღებელ იყო ლიას დიდებისა მიმართთაჲ. ხოლო რუვიმოს, უპირველესმან ლიამს ძეთამან, მანდრადორომსნი ვაშლნი მოართუნა დედასა. და რაქილა, მხილველი, ევედრებოდა მიცემად მისა, გულისთქუმასა შინა ჰამადისასა ქმნილი. ხოლო იგი არა ირწმუნებდა, კმაყოფად მეტყუელი, რამეთუ მიიღო მისგან პატივი ქმრისა მიერი. ხოლო რაქილა, მლიქნელი გულისწყრომასა დისასა, მიტეკვებასა ეტყოდა მისდა ქმრისასა დაძინებად მის თანა მწუხრსა მას. ხოლო მიიღო რაჲ სასყიდელი, დაიძინა ლიამს თანა იაკოვოს, რაქილამს მიმნიჭებელმან. და კუალად იქმნებიან მისდა ყრმანი: ისახარის ვიდრემე, მომასწავებელ სასყიდლით ქმნილობასა, ხოლო ზავილონ — დაწინდებულისა მისდა მიმართისა კეთილგონიერებისათვის და ასული — დინა. ხოლო უკუანაჲსკენელთა ჟამთა და რაქილამსიცა იქმნა ძე იოსიპოს, ხოლო დაძენასა ქმნადისა რაჲსასამე მოასწავებს სახელი.

8)*² ამას ყოველსა ჟამსა, ხოლო არიან წელნი ოცნი, მწყემსი იყო სიმამრისაჲ. ხოლო შემდგომად ამისა ჯერ-უჩნდა, ცოლთა მიმყვანებელსა, წარსლვად თავად თვსად. და სიმამრისა უკუე არა შემნდობელობასა, ფარულად ამისსა ქმნასა განიზარახვიდა. და განსცდიდა უკუე ცოლთა, თუ ვითარ მქონებელ არიან წარსლვისა მიმართ. და მხიარულებით მქონებლობასა მათსა, რა-

* დაბ. 29,32; 30,14. ¹ ნეფთალემი [נפתולי] (მთხერებელი, ძნელად მოსატყუებელი). ² დაბ. 30,25; 31,19.

ქილა და სახენიცა ღმერთთანი, რომელთაჲ სჯულ იყო მსახურებამ მამათა მიერ, თანა-მიიყვანნა და იელტოდა დისა თანა და ორთავე ყრბანი და მკე-ვალნი ძეთა თანა და იყო თუ რამ მონაგები მათი. ხოლო მიიყვანებდა იაკო-ვოს¹ და სამწყსოთაცა წახვეარსა, ლავანოსა არარაჲს წინაწარ/მეცნიერე-ბასა. ხოლო ნატკრნი ღმერთთანი აქუნდეს რაქილას, ვინაჲთგან შეურაცხ-ყოფად ესევითარისა ღმერთთა პატივისა სწავლულ იყო იაკოვოს მიერ, და რაჲთა, უკუეთუ წევნულ იყვენენ, მამისა მისისა მიერ დევნულნი, აქუნდეს, ამათდა მივლტოლვილსა, შენდობისა მიმთხუევაჲ.

9)* ხოლო ლავანოს, შემდგომად მესამისა დღისა მცნობელმან იაკოვოს და ასულთა წარსლვისამან, დიდად ტკიენულმან, მსწრაფლიად დევნა-უყო მას ძალისა თანა და მეზდესა დღესა ეწია მათ, დაბანაკებულთა მთასა რომელსამე ზედა. და მამინ ვიდრემე, რამეთუ მწყუხრი იყო, დიდიღუმა. ხოლო ჩუენებნასა შინა მისდა ზედლადგრომილმან ღმერთმან განაზრახა, მიმყვანებელსა სიძისა და ასულთასა, დაწყნარებამ და არარაჲს მათდა გულისწყრომით კადრებამ და ფიცთა ქმნამ იაკოვოს მიმართ, მეტყუელმან: „მე თან-ვებრძოლო მას, უკუეთუ მიიმართო ბრძოლად მისდა, შეურაცხისყოფელმან სიმცირისა მისისამან“. ხოლო ლავანოს, ესევითარისა წინაწართქუმისა მისდა მიმართ ქმნილობასა ღმრთისაგან, შემდგომად დღისა იაკოვოს სიტყუათა მიმართ მიმწოდებელმან და მაუწყებელმან მისდა ჩუენებისამან, ვინაჲთგან მოვიდა მისსა მიმართ, რწმუნებული, იწყო ყუედრებად მისა, წინადამდებელმან და ვითარმედ და გლახკად მოსრული მისა მიმართ იგი და ყოველთაგან უღონოჲ, შეიწყნარაჲ და მიანიჭა ყოველი უშურველობაჲ მონაგებისა მისისაჲ: „და რამეთუ ასულნი ჩემნი შეგაუდლენ, აღორძინებად გულისმსიტყუველმან ამათმან კეთილგონებობისა შენისამან ჩემდა მომართ. ხოლო შენ, არცა დედისა თვისისა და ზიარებისაჲ, რომელი გაქუს ჩემდა მომართ ნათესავობისაჲ, არცა ცოლთა, რომელთა ექორწინე, სირცხვლსა მქონებელმან, არცა ყრმათა, რომელთაჲ ვარ მე პაპბი, შეიკდიმე. არამედ სჯული ბრძოლისაჲ იცუმიე ჩემდამო, მონაგებისა. ჩემისა მიმდებელმან, ხოლო ასულთა მარწყუნებელმან გან-ლტოლვად მშობელისაგან. და, სამდღელთა მამულთა მპყრობელი, წარხუ-ალ, მიმდებელი თანად, და მშობელთა ჩემთა მიერ პატივემულნი მიიპარენ, ჩემ მიერ მისვე მსახურებისა მათისა ღირსქმნილნი. და ამათ თანა რომელნი არცამცა მბრძოლთა მტერთათვის ემოქმედნეს, შენ, ნათესავმან და დისა ჩემისა ვიდრემე ძემან, ხოლო ასულთა ჩემთა ქმარმან, მოყუარემან და თანმო-სახელედ სახლისა ჩემისად ქმნილმან, იმოქმედენ“. ესენი რამ თქუნა ლავანოს, სიტყუა-უგებდა იაკოვოს კითხვად ღმრთისაგან!² მოკსენებითა მამისა და მამულისა და ყოველთა სახლის შინათაჲთა და მისგან ბრძანებად და არა მის მხოლოჲსა შთაბერვად ღმრთისგან სურვილსა მამულისასა, არამედ ყოველ-თათვის, და შემდგომად ესოდენისა ჟამისა კეთილ-ქონებად მუნ შთასლვისათვის მისისა: „ხოლო მონაგებისათვის, თქუა, რომლისათვის მამბრალემ, თუჲ ჰპოვო უსამართლო სხვსა მსაჯულისა მიერ, რამეთუ რომლისათვის გიკმდა შენ მადლ-სა ჩუენდა ქონებაჲ, დაცულისა ჩუენ მიერ და უმეტესქმნილისა, ამის ძლით ვითარ არა მიუმთხუეველ იყო სამართალთა მაქირავებელი ჩემი, უკუეთუ ნაწილი მისი მცირე მიმდებელთა გუჟაქუს? ხოლო ასულთათვის უწყოდე არა

¹ ისაკოვოს AQ. ² შეიწყნა A.

* დაბ. 31,22; 30,27. * ზედაჲ ძუჲ მძუჲ 1₃₁₇ (ნაცვლად ზედა, ახედ=სიყვარული, მთარგმ-ნელმა თარგმნა ზედაჲ=კითხვა).

ჩემისა ბოროტმოქმედებისა მიერ აღმძრველისა შედგომაჲ, არამედ ჭეროვნისა კეთილგონიერებისა მიერ, რომელი დედაკაცთა ქორწინებულთა თანმემკლრეთა მიმართ ყოფად შემთხუეულ არს. / ხოლო აწ შედგომილ არიან არა ესოდენ ჩემდა, რაოდენ ყრმათა მათადა“. და ამით ვიდრემე არა უსამართლოებისათვის ეტყოდა მას, აბრალებდა უკუე და ყუედრებისა მოქმედ იყო, ვითარმედ დედისა მისისა ძმად მყოფი და შემალულებელი მისდა ასულთაჲ, ბრძანებათა მიერ ბოროტთა ჰქუედნის, ოცთა წელთა რიცხვსა მათ თანა მპყრობელი. და რომელთამე მის მიერ მოქმედებულთა მიზეზითა სასძლოთაჲთა და თანად ბოროტად მყოფთა, სუბუქად-ყოფასა იტყოდა, ხოლო უმძევარეს არიან ქორწილისა შემდგომნი და რომელთაგან მტერიცა განვლტოლვილ იყო, რამეთუ ფრიად ბოროტად იტუმევდა იაკოვოს ლავანოს. რამეთუ მხედველი ღმრთისაჲ შემწედ მისდა, რომლისაცა მიმართ ენების, აღუთქუმიდა შობად-თაგან მინიჭებად¹ მისდა, იყოს ოდესმე რომელი და იქმნეს თეთრ, კუალად ოდესმე შობილთაგან—შავთა. ხოლო განმრავლებასა იაკოვოს სახელსა ზედა შობილთასა, ეამად ვიდრემე არა დაიცვა სარწმუნოებაჲ, ხოლო შემდგომსა წელსა აღუთქუმიდა მინიჭებად ზედმოხილვისა ძლით სიმრავლესა მონაგები-სასა, აღმთქუემელი ვიდრემე² ძნელსაგონებელ-ყოფისათვის ესეოდენტა ქმნად, ხოლო განმტყუენებულ იქმნიან რაჲ.

10)* სამღდელოთათვის უკუე ბრძანა ძიებისა ქმნაჲ. ხოლო ლავანოს მიიღო რაჲ ძიებაჲ, რაქილა, მსწავლელმან, დასხნა აღმონაბერნი ჰალანსა ქუეშე მყვანებელისა მისისა აქლემისასა. და მჯდომარე იყო, მეტყუელო³ წყინებად მისდა ბუნებისაებრსა განწმედასა. და ლავანოს ვიდრემე განეყენე-ბის უმეტესისა ძიებისაგან, არა მეჭუელი ასულისაჲ, ესევეთარისა ვნებისა თანა, მიახლებად აღმონაბერთა. ხოლო იქმს ფიცთა იაკოვოს მიმართ, არა რომლისა მოქმედებულთაგანისა ძლით ძკრმოცსენეობად მისდა, არამედ და მისგანცა — შეყუარებად ასულთა მისთა. და დასარწმუნებელნი ამათდა მი-მართნი ქმნეს მათა რომელთამე ზედა, რომელთა ზედა ძეგლი აღჰმართეს სახითა ვომონისაჲთა, რომლისათვის ღალადინად სახელ-იდების მთაჲ იგი, რომ-ლისაგან და აწცა ღალადინად უწოდინ ქუეყანასა და ისერეს რაჲ ფიცთა თანა, ლავანოს ვიდრემე წარვიდა.

თ. 20.

11)* ხოლო იაკოვოს⁴, ზანანიად მიმავალსა, ჩუენებანი შეემთხვნეს, კე-თილთა სასოებათა მქალებელნი გულეებადლათვს. და მას ვიდრემე ადვილსა უწოდა მკედრობაჲ ღმრთისაჲ. ხოლო მნებებელმან ცნობად, რასა ძმაჲ მისი განიზრახავს მისთვის, წარავლინა მსწავლელნი თითოეულისა გამოწულილ-ვით, მოშიშმან მისგან პირველისა უსამართლოებისათვის. ხოლო ამცნებდა წარ-ვლინებულთა თქუმად ისავოჲს მიმართ, ვითარმედ იაკოვოს, უჯეროდ მგონე-ბელი რისხვისა მისისა თანაცხოვრებად, ნებსით განვიდა სოფლისაგან. და აწ, კმასაყოფელსა ეამსა მეჭუელი დამაგებელყოფად, აღმოვალს, მომყუ-ნებელი ცოლთა და ყრმათაჲ მოგებულისა ცხოვრებისა თანა და პატროსანთა თანა თავსა თვისსა მიცემად მისდა, რამეთუ დიდად კეთილად სჯის თანაზი-არებად ძმისა ღმრთისა მიერ მიცემულთა. და იგინი ვიდრემე ამათ აუწყებდეს.

¹ მინიჭება A. ² ე.ე. ³ მეტყუელი. ⁴ ისაკოვოს AQ, იაკოვოს Ss

* დაბ. 31,32. 1* დაბ. 32,1.

ხოლო ისავოს მხიარულ იქმნა და წინა-მიეგება ძმასა აღკურვილთა თანა ოთხასთა. ხოლო იაკოვოს, მსმენელი მოსლვისა მისისაჲ მიგებებად ესოდენტა თანა აღკურვილთა, მოშიშ იყო და ღმერთსა უკუე სასოებაჲ ცხოვრებისაჲ მიანდო და განიზრახვიდა, ვითარ მომავალთაგან უეგნებელად აცხოვნეს მან მისთანანი, მძლეველმან მტერთამან, უკუეთუ ინებონ უსამართლოებად. გან-
მყოფელმან უკუე მისთანათამან, რომელნი/მე წინა-წარავლინა, ხოლო ნეშტ-
თა მახლობელად უბრძანა შედგომაჲ, რაჲთა უკუეთუ იმძლავრნენ წინაწარ-
ვლინებულნი ზედდადებულებასა ძმისასა, ლტოლვაჲ აქუნდეს უკუანაშედ-
გომილთა. და ამით სახითა განმაწესებელმან მისთანათამან, წარავლინა რა-
მელნიმე ძღუენტა მიმღებელნი, ძმისა. ხოლო კარაულნი იყვნეს წარვლინე-
ბულნი და სიმრავლე ოთხფერკთა¹ მრავალსახეთაჲ, რომელნი მიმღებელთა-
თვს პატიოსნად საგონებელ იყვნეს ნაკულევეანებისათვს მათგან. ხოლო იყვნეს წარვლინებულნი წინა და უკუანა შედგომილ, რაჲთა უმრავლესად, შემთხუეულნი, მრავალ საგონებელ იყვნენ, რამეთუ მომდოვრებასა რისხვი-
საგან ძღუენტა მიერ იტყოდა, უკუეთუ დადგრომილ იყოს მერმეცა გულის-
წყრომასა ზედა. და ამით თანა სიტყუათა მიერ კეთილთა ზრახვად მისსა მი-
მართ ეტყოდა წარვლინებულთა.

2)² ამათი განმაწესებელი ყოველსა მას ღღესა, ღამე რაჲ მოიწია, იყვა-
ნებდა მისთანათა. და ნაღუარევისა რომელსამე, იაკოვოხოდ სახელდებულსა,
განვიდოდეს რაჲ, იაკოვოს, დამთომილი და ჩუენებისა შემთხუეული, ერკი-
ნებოდა, მისგან დამწყებლობასა ბრძოლისასა. თანად და მძლეველ იყო ჩუე-
ნებულისა, რომლისაცა და ქმასა იკუმევედა და სიტყუათა მისდა მიმართ და
ეტყოდა მას ქმნილთა ზედა მხიარულებად და არა მეკუეულობად მკირეთა რა-
თმე პყრობად, არამედ საღმრთოჲსა ანგელოზისა ძღეველ და მეკუეულობად
ამას დიდთა კეთილთა სასწაულად ყოფასა და არა ოდეს მოკლებად ნათესვისა
მისისა, არცა კაცთაგანისა რომლისა უზეშთაეს ძალისა მისისა ქმნად. თანად
ბრძანა წოდებაჲ მისი ისრაილოდ, ხოლო მოასწაეებს ესე ებრაელთა ენისაებრ
წინაგანმწყობსა ღმრთისა ანგელოზისასა. ამით ვიდრემე წინაწარ ეტყოდა მო-
შიშქმნილობასა იაკოვოჲსა. რამეთუ მგრძნობელი ღმრთისა ანგელოზად ყოფი-
საჲ, რომელი ნაწილი აქუნდეს¹*, უწყებად ევედრებოდა. და ჩუენებაჲ ვიდრე-
მე, ამათი მეტყუელი, უჩინო-იქმნა. და განმხიარულებულნი ამით ზედა იაკოვოს
ფანუილოდ სახელ-სდებს ადგილს, ხოლო მოასწაეებს პირსა ღმრთისასა. და
იქმნა რაჲ წყლულებაჲ მისდა ბრძოლასა მას ძარღვსა თანა ვრცელისა, იგიცა
განეყენა ამისისა ჭამისაგან და მის მიერ არცა ჩუენ ზედა საკმელ არს.

3)² ხოლო ვინაჲთგან მიახლებჲა ისწავა ძმისაჲ, უბრძანა სლვაჲ თითო-
ეულსა ღედაკაცთაგანსა თვსგან მკეველთა თანა, რაჲთა შორით მხედველ
იყვნენ საქმეთა მამაკაცთა მბრძოლთასა, ინებონ თუ ესე ისავოს. და თაყუა-
ნის-სცა მან ძმასა, მახლობელად მისდა ქმნილსა, არარას ზაკუევისა მისთვს
განშზრახსა. და ისავოს, შემტკობელმან მისმან, მოიკითხა სიმრავლე ყრმა-
თაჲ და ღედაკაცინი და იკითხვიდა სწავლად ყოველსავე მათ ძლითსა და თანა-
წარსლვად ეტყოდა მათ მამისა მიმართ. გარნა ვინაჲთგან მიზეზობდა იაკო-

¹ ოთხფერკთა A, ოთხფერკთა Q.

² დაბ. 32,22. ¹* *εἷμα μίτρων ἔξει σωμαίνουσ παρεκάλει* 1₃₃₃ (—ვეედრებოდა თავისი მო-
მავლის, ბედის წინასწარ უწყებას. *¶* *μίτρα* ნიშნავს რაგორც წილს, ქანების ნაწილს, ასევე ბუღს).
² დაბ. 33,1.

ვოს შრომასა კარაულთასა, წარვიდა სიირონად, რამეთუ ამას შინა მკვდრ იყო, სახელისმდებელი სოფლისაჲ ფაჩუნეირობისა მისისაგან დასიად*.

თ. 21

1)¹* ხოლო იაკოვოს წარვიდა ჯერეთ და აწცა სკინად სახელდებულთა მიმართ, სადაჲთ სიკიმოდ მივიდა, რომელი ხანანელთა ქალაქი არს. ხოლო სიკიმელთა დღესასწაულისა აღსრულებასა, დინა, რომელი მხოლოჲ იყო ასული იაკოვოვისი, მივიდა ქალაქად მოხილვად სამკაულსა მის ადგილისა დედაკაცთასა. ხოლო მხილველმან მისმან სკქემის, ემშოროჲს მეფისა ძემან, განხრწნა იგი მიტაცებით და ტრფივლებით დადებული, ევედრებოდა მამასა მისსა მიყვანებად ქალისა საქორწინოდ მისდა. ხოლო იგი, რწმუნე/ბული, მივიდა იაკოვოვსა მიმართ ყრმისა მისისა, სკქემისა, შეუღლებად დინას სჯულისაებრ. ხოლო იაკოვოს, არცა უკუნსიტყუად შემძლებელი ღირსებინათვს მვედრებელისა, არცა სჯულიერად შემრაცხელი სხუა ნათესვისა შეუღლებად ასულსა, ევედრა მინიჭებად მისდა ქმნად განზრახვასა, რომელთა ძლით ევედრებოდა. წარვიდა უკუე მეფე, მსასოებელი იაკოვოვსგან მინიჭებად მისდა ქორწილსა. ხოლო იაკოვოს, მათუწყებელი ყრმათაჲ განხრწნასა დისასა და ვედრებასა ემშოროვსასა, ევედრა განზრახვად, რაჲ ჯერ-არს ყოფად. ხოლო უმრავლესნი ვიდრემე დუმნეს, განზრახვისა ულონონი, სკმეონ უკუე და ლევის, ერთისა დედისაგან ძმანი ქალისანი, განიზრახვენ ურთიერთარს ესე-ვითარსა რასმე საქმესა: დღესასწაული რაჲ იქმნა და სიკიმელნი განსუენებად და განცხრომად მიდრკეს, ღამე, ზედადასმულთა პირველად მცველთასა, მოაკუდინნეს მძინარენი და, შესრულთა ქალაქად, მოსრეს ყოველი წული და მეფე მათი მათ თანა და ძე მისი, ხოლო განეკრძალებიან დედაკაცთა. და მოქმედნი ესევეითართანი გარეშე ცნობისა მამისა მათისა, მიიყვანებენ დასა მათსა.

2)²* ხოლო იაკოვოს, განცხვრებულსა სიდიდისა მიერ მოქმედებათაჲსა და განრისხებულსა ძეთა მიმართ, წარმოუდგა ღმერთი და უბრძანა მინდობილებად და, განმწმედელსა კარვებთასა, მსხუერპლთა აღსრულებად, რომელნი, პირველად წარმავალმან შუამდინარედ, ხილვისა ზედა ჩუენებისასა ილოცნა. და განმწმედელი უკუე დამთხუეულთაჲ, მიემთხვა ლავანოჲს ღმერთთა, რამეთუ არა მეცნიერ იყო რაქილას მიერ მიპარვასა მათსა. და დაფარნა იგონი სიკიმოსს, მიწასა შინა მუხასა ქუეშე და ამიერ წარსრულმან ვეთილს, უმსხუერპლა, სადა ჩუენებაჲ იხილა, წარსრულმან პირველად შუამდინარეს.

3)³* და ამიერ წარსრულმან, ვინაჲთგან ევერანთინად იქმნა, აქა რაქილა, შობისა მიერ მომკუდარი, დაჰმარხა, მხოლოჲ ნათესავითგან ქეგრონის შინაჲსაჲ პატივისა არა მიმთხუეული. და დიდად მგლოვარემან² მისგან შობილსა ყრმასა ვენიამენ უწოდა, მის ზედა ქნილისა ტკივილისაგან დედისათვს. ესე არიან იაკოვოვს ყრმანი ყოველნი ვიდრემე, წული ათორმეტნი, ხოლო ქალი — ერთი. ცოლთაგან საკუთართაჲ რვანი: ლიამსგან ვიდრემე ექუსნი,

1 უმრავლესნი A. 2 მგლოვარემან A. 3 საკუთართა.

* მათეჲ 1338 საზოგადო სახელე კართველი მთარგმნელის მიერ გავებულია საკუთარ სახელად. ნუნაჲს თმანს, ბანგელიანს. S-ში ის გადაშლილია. 1* დაბ. 34,1. 2* დაბ. 34,30; 35,1; 31,32. 3* დაბ. 35,16.

ზოლო რაქილაძესგან — ორნი. და ოთხნი უკუე მკვევალთაგან, ორნი თითოეულისაგან, რომელთა და სახელნიცა თან* წინაწარ ვთქუენ.

თ. 22*.

და ამიერ წარვიდა ქევრონად ქალაქად, ხანანელთა შორის მდებარედ მყოფისა. მუნ უკუე ისაკოსს აქუნდა მკვდრობაჲ. და მცირედ ურთიერთას თანა იქცეოდეს, რამეთუ რევეკკას არღარა ეწია ცოცხალსა იაკოვოს; მოკუდა უკუე ისაკოსცა შემდგომად არა მრავლისა მისლვისა ძისა მისისა. და მიემთხუევის დაფლვასა ყრმათა მიერ ცოლისა თანა ქევრონს შინა, მამულებრივისა საფლავისა მუნ შინა მყოფობასა მათდა. ზოლო იქმნა ისაკოს კაცი ღმრთისმოყუარე და წინაგანგებისა მრავლისა მიმთხუეული ღმრთისა მიერ შემდგომად მამისა თვისისა ავრამოჲსა და მრავალჲმ მყოფი, რამეთუ ცხოვნებული წელთა ხუთთა და ოთხმეოცთა ასთა თანა, სათნოებით ესრეთ მუშაკობდა.

ფლავიოჲს იოსიპოჲსი იუდაებრივისა სიტყუადასაბამობისაჲ, პირველი.

Ἰακώβου* 1:44 (= მთლიანად, სულ. „თან“-ის ნაცვლად უ. ი. „ყველასი“). 1ღაბ.* 35,27.

**ესე არიან მთორებსა შინა იოსიკომს იუღაეზრივისა
სიტუშაღასაგამოზისასა**

1) ვითარმედ ისავოს¹ და იაკოვოს², ისაკოას ყრმად მყოფთა, განიყვეს სამკვდრებელი. და ისავოს ვიდრემე ი/ღუმიაა დაიპყრა, ხოლო იაკოვოს — ხანანია.

2) ვითარმედ იოსიბოს, უჭაბუკესი იაკოვოას ყრმათაჲ, ჩუენებათა მიერ, წინაწარმაუწყებელთა მისდა გულეებადსა კეთილბედნიერობასა, ძმათა მიერ შეიშურა.

3) ვითარმედ იგივე ესე, ეგვბტეს განსყიდული ძმათა მიერ მისდა მიმართისა სიძულილისათეს და საჩინო და ბრწყინვალექმნილი მუნ, ძმათა კელისქუეშედ მპყრობელ-იქმნა.

4) მამისა მისისა ნათესვისა ყოვლისა თანა მისდა მიმართ მისლვაჲ ქმნითათეს სიყმილისა.

5) რაოდენნი ევრაელთა ეგვბტეს შინა შეემთხვნეს, ძვრხილულთა წელთათხასთა⁴.

6) ვითარმედ მოკსეოას, მმთავრობისა მათისა, მიერ ეგვბტე დაუტევეს.

7) შობაჲ მოკსისი და აღზრდაჲ.

8) ვითარმედ ზღუამან ევრაელთა, დევნულთა ეგვბტელთა მიერ, განპებულმან შორის მისსა, ლტოლვაჲ მიანიჭა.

ხოლო მოაქუან წიგნსა ამას წელნი ორას ოცნი.

თ. 1.

1)* ხოლო შემდგომად ისაკოას აღსრულებისა, ყრმათა მისთა, სამკვდრებელისა განმყოფელთა ურთიერთას მიმართ, არა რომელი მიიღეს, ესე დაიპყრესცა, არამედ ისავოს ვიდრემე, ქევრონიასა ქალაქსა ძმისა მიმტევებელი, სიირონს შინა მკვდრობდა და იღუმეაჲსა მთავრობდა, ესრეთ მწოდებელი სოფელსა მისგან, რამეთუ ედომოდ სახელ-იდებოდა, ესევეითარისა მიზეზისაგან მიმტეუელი წოდებისაჲ: ნადირობისაგან ოდესმე და შრომისა ნადირობითისა მომყმარი აღმოვიდა, ხოლო იყო ჭერეთ ყრმაჲ ჰასაკითა. და მიმტეუელი უკუე ძმისაჲ, ოსპნისა შემზადებელისაჲ სერად მისდა, ფერითა წითელსა ფრიად და ამისთვის უმეტესად გულისმთქუმელი, ევედრებოდა მინიჭებად მისდა საზრდელად. ხოლო იგი მიცემად მისდა ჰამადისა ძლით, პირმშობასა აიძულებდა, თანამემწედ მკუმეველი სიყმილისა ძმისასა. და მან, სიყმილისა მიერ ძლეულმან, მიუტევნა პირმშობანი ფიცით. ამიერ სიწითლისაგან საჭმელისა თანმოჰასაკითა მიერ კიცხევით ედომოდ იწოდა, რამეთუ ედომა ევ-

¹ ისავოს. ² იაკოვოს. ³ მისისა/ქთანა. ⁴ სამასთა AQ. მკთ წმცქძრძე IV, გვ. 642 (=400).

* დაბ. 36,6; 25,27—29.

რადიონი მეწამულსა უწოდინ. და სოფელსა ესრეთ სახელ-სდვა. ხოლო ელ-
ლინთა უშუენიერესობისათვს მას იღუმიად¹ სახელ-სდვეს.

2)* იქმნების უკუე მამად ყრმათა ხუთთად რიცხვთ, რომელთაგან უკუე
ერთი ვიდრემე იაუს და იეკლომოს და კორეოს ერთისა ცოლისაგან, ოლივა-
მის სახელით, ხოლო ნეშტთაგანი — ელიფაზის ვიდრემე ადასისგან, ხოლო
რალუილოს — ვასემათისგან ქმნილ იყვნეს მისდა. და ისავოას ვიდრემე ესე-
ნი იყვნეს ყრმანი. ხოლო ელიფაზისა იქმნებიან ყრმანი საკუთარნი ხუთნი:
თემანოს, ომანოს, სოფაროს, ღოთამოს, ოკენეზოს. რამეთუ ამალიკოს უცხო-
სა ხარკისაგან ქმნილ იყო მისდა, თამნაჲსგან სახელით. ამათ დაიმკვდრეს იღუ-
მეჲსა, ღოვოლიტიხად სახელდებული და ამალიკოსგან წოდებული ამალი-
კიტი, რამეთუ დიდქმნილი ოდესმე იღუმეჲა მაშინ ყოვლისა მიმართ მიაწვე-
და სახელსა და კერძოთა მიერ მკვდრთა მიერსა სახელსა დამკველ იყო.

თ. 2.

1)* ხოლო იაკოვოს შეემთხვა მოწევნაჲ დიდისა კეთილბედნიერობისაჲ,
რომელი არავის სხუასჲ შეემთხვა ადვილად, რამეთუ თანად სიმდიდრითა
გარდაემატა ადგი/ლისათა და ყრმათა სათნოებითა საშურველ და საჩინო-იქმნა, 20
რამეთუ არარაჲს ნაკლულეჲან იყვნეს, არამედ და საქმეთა მიმართ ჯელოთაჲსა
და მოთმინებისა შრომათაჲსა იყვნეს სულკეთილ და ბრძენნი განგონებად.
ესეოდენი სადმე წინგანგებაჲ მისი აქუნდა ღმერთსა და კეთილბედნიერობისა
ზედმოურნეობაჲ, ვიდრე და საგონებელთაჲცა მისდა საწუხელთაგან³ გარდა-
მატებულებასა კეთილთასა მინიჭებად და ქმნად მიზეზსა მშობელთა ჩუენთა
ეგვპტით გამოსლვისასა მისსა და მისგან ქმნილთასა ესევითარითა მიზეზითა:
იოსიპოს⁴, რაქილას⁵ შვილმოქმედი, იაკოვოს სიკეთისათვს სხეულისა
და სათნოებისათვს სულისა, რამეთუ ჰმატდა გონიერებითა სხუათა ძეთასა,
უმეტეს უყუარდა. ამას ძმათა მიმართ მამისა სიყუარულმან შური აღუდგინა
და სიძულილი, და ჩუენებათა მიერ მანცა კეთილბედნიერობამან, აღმტქუმელ-
მან მისდა კაცთაგან საშურველთა მიმთხუევასა და კეთილისმოქმედებასაჲცა
თვისასა, რომელთა მხილველმან მამასა და მათ მიუთხრნა. ხოლო ჩუენებანი,
რომელნი ძილსა შინა იხილნა იოსიპოს, ესევითარნიმე იყვნეს:

2)* წარვლინებული მამისა მიერ ძმათა თანა შეკრებისათვს ნაყოფთაჲ-
სა მკისა მოწევნულობასა, ხედვიდა მრავლად განყოფილობასა ჩუენებისასა
ჩუეულებისაებრ ძილსა შინა მომავალთა სიხმარათაჲსა, რომელიცა, აღდგო-
მილმან, ძმათა, ვითარცა განმსჯელთა მის მიერ უწყებულისათა, მიუთხრა,
მეტყუელმან ხილვად წარსრულსა ღამესა მისსა ვიდრემე მკელეულსა იფქლ-
თასა მართლიად დგომად, რომლისა ადგილისა ზედა დადვა, ხოლო მათთასა —
სრბად და თაყუანისცემად მისდა, ვითარ მონათა მეუფისა მიმართ. ხოლო
მათ, გულისკმისყოფელთა ჩუენებასა, წინამაუწყებელსა⁵ მისდა ძალსა და
სიდიდესა საქმეთასა და ჰქნად მათდა ჯელმწიფებისა ქმნულებასა, იოსიპოსს
ვიდრემე ამათგანი არარაჲ განუცხადეს, ვითარ უცნაურ მათდა ყოფითა ჩუე-
ნებისაჲთა. ხოლო ლოცვათა მოქმედებდეს არა რომელსა დასასრულად მიწვე-

¹ იღუმისა AQ, იღუმი S. ² სხვასა. ³ საწუხელთაგან A. ⁴ იოსიპოს. ⁵ წინამაუწყებელ-
სა AQ.

* დაბ. 36,1; 36,11. 1* დაბ. 37,1; 37,3. 2* დაბ. 37,5.

ნად მისთვის, რომელი მათ ცულისკმაყვნეს¹. და მისა შიმართ მერმეცა უფროას სიძულილით მქონებელი, დადგრომილ იქმნეს.

3)* ხოლო შურისა მათისა შურისსაგებელად ღმერთმან მეორე ჩუენებად მოუვლინა იოსიპოსს, უმეტეს პირველისასა უსაკვრველსი, რამეთუ ჰგონა, ვითარმედ მზემან მიიყვანა მთოვარე და ნეშტნი ვარსკულაენი და, ქუეყანად შთამოსრულთა, თაყუანის-სცეს მას. ესე ჩუენებად მამისა განუტება და, არარას ბოროტჩუეულებასა ძმათაგან მეცნიერმან მათსაცა თანდამთხუეულებასა და რაისა ეგულების მოსწაევებად, თქუმად ევედრებოდა. ხოლო იგი, განმხიარულებული ჩუენებასა ზედა, რამეთუ წინაწართქუმისა მისისა გონებასა შინა შემკრებელი და სიბრძნისა თანა არა უგონებოდ განმცდელი, იხარებდა დიდთა ზედა მოსწაევებადთა, რამეთუ კეთილზენიერობასა აღუთქუმიდა ყრმასა და უამისა მოსლვასა ღმრთისა მოციმეშელისაგან, რომელსა შინა პატიოსან იქმნეს იგი და მშობელთა მიერ და ძმათა ღირს-იქმნეს თაყუანისცემასა², მთოვარესა და მზესა დედისა და მამისა მიმსგავსებული. ერთსა ვიდრემე — აღმოაჩინებელსა ყოვლისასა და მზრდელსა, ხოლო მეორესა — გამომახველსა და სხესაცა ძალსა შთამდებელსა; ხოლო ვარსკულავათავს — ძმათა მიმსგავსებული და რამეთუ ესენიცა ათერთმეტნი იყვნეს, ვითარ ვარსკულაენი, მზისა და მთოვარისაგან ძალსა მიმღებელი /.

v 4)* და იაკოვოს ვიდრემე არა უგულისკმოდ-ყო განსჯად ჩუენებისად. ხოლო ძმანი იოსიპოსნი ფრად შეაწუხნეს წინათქუმულთა და დადებულ-იქმნეს, ვითარ უცხოასა ვისმე ზედა გულსავსებადისა მოსლვად მოსწაევბულთა კეთილთა ჩუენებათა მიერ და არა ძმისად და რომელთად მის თანა მიღებად ჭერ-იყო, ვითარ შობისა ზიართად, ეგრეთვე კეთილზენიერობისათეს ქმნილთად. მოკუდინებლად ყრმისა მიიმართეს და ამის განზრახვისა და მამტიციებელნი, ვინაფთგან შეკრებისათა დასასრული აქუნდა მათდა, სიკიმიოდ მიქცეულნი, ხოლო სოფელი არს ესე ცხოვართ საძოვნელად კეთილი და გამოსაზრდელად სამწყსოთა, მუნ სამწყსოთა მოურნე იყვნეს, არა მუწყებელნი მამისათეს მუნ წარსლვასა. ხოლო მან, უმეტრებისაგან და არცა რომლისავე მისლვისა ძლით მისა მიმართ სამწყსოთაგან შემძლებელისა ჰეშმარტისა უწყებად მისდა ყრმათათეს, უმკუმენვარესსა მათ ძლით გონებასა მიმღებელმან და ულონოქმნილმან, წარავლინა იოსიპოს სამწყსოთა მიმართ სწავლად ძმათათეს და რასა მოქმედებენ, უწყებად.

თ. 3.

1)2* ხოლო მათ, ვითარ იხილეს ძმად მათდა მიმართ მიმავალი, განიხარეს ვიდრემე, გარნა არა ვითარ ნათესვისა მოსლვასა ზედა და მამისა მიერ წარვლინებულისასა, არამედ ვითარ მტერისა ზედა და კელთა მათთა მიცემულსა საღმრთოასა განზრახვისაებრ მოკლვად აწვე და არა ფერკთა შინასა უამსა მიიმართეს³. ესრეთ მქონებელთა მხედველი რუვიმოს, უმოხუცებულესი მათი, და საქმისა მიმართ ერთგანზრახვათად, მოსწრაფე იყო პყრობად, მანუ-

¹ გულისკმაყვნეს A, გულისკმაყვენეს Q, გულისხმაყუნეს S. ² თაყუანისცემასა AQ.

³ მთკუნებლად.

* დაბ. 37,9. 1* დაბ. 37,12. 2* დაბ. 37,18. 3* ზე πιστες 2₂₆ აქ ფიგურალური გამოთქმა: სულდით ამ შესანიშნავი შემთხვევის მაშინვე გამთყუნება. D: არა განტრევებად ხელთა მიიმართეს.

ენებელი სიდიდესა კადნიერებისასა და მის ზედასა სიძულილსა, ვითარ ზო-
 როტსა ღმრთისადა და კაცთადა უსულოდ საგონებელსა და არა კელ-ყოფად.
 მოკლევასა კაცისა ნათესვისასა; ფრად უბოროტეს არს გამოჩენად მათი მოქ-
 მედთა კლვასა ძმისასა, რომლისა მოკლევასა ზედა მამად თანა-იუსამართ-
 ლოების და დედა გლოვასა თანა შთამოვიდეს, ყრმისა მოკლევასა არა კაცობ-
 რივისა სჯულისაებრ ქმნისათვის. ამათსა სირცხვლას მიმღებულთა და გონებასა
 შინა დამდებელთა, რად ყონ მომკულდრისა ყრმისათვის მათგან, კეთილისა და
 ჭაბუკისა, და განყენებად კადრებისაგან ევედრებოდეს და ღმრთისაგან შევი-
 ნებად, რომელი მხედველ არს ერთბამად და მოწამე არს აწ განზრახვასა მათ-
 სა, ძმისა ზედა ქმნილსა, და განყენებულთა ვიდრემე საქმისაგან — შეყუა-
 რებად დამორჩილებულთა სინანულსა და სიწმიდესა. ხოლო მოსრულთა საქ-
 მისა შიშართ არა არს, რომელი სასჯელი არა მიეკადოს ძმისკლველობისა
 შემაგინებელთა, ყოველსა შინა თანამყოფსა, მისსა წინაგანგებასა და არცა
 უდაბნოსა შინა მოქმედებულთაგან დაკლებულსა, არცა ქალაქის შინათა,
 რამეთუ სადაცა კაცი იყოს, ჭერ-არს გონებად აქა შინა-ყოფად ღმრთისადაცა.
 და სენიდისისა თვისსა მტერად ქონებასა მათსა ნაკადრებთა ზედა ეტყოდა,
 რომელი არცა მქონებელთა მისათვის კეთილ არს, არცა ესევითარ, რომელი
 მათ თანა-დაემკვდრამცა, ძმისკლველთაგან სალტოლველ იყო. დასძინებდა
 უკუე ამითცა პირველთქმულთა ზედა, ვითარმედ ძმისა, არაჲა მცოდველისადა,
 უჯერო არს მოკუდინებად, არამედ კეთილ არს არა ძკრისმოკსენებობად მო-
 ყუარებთა ესრეთ, რომელთათვის ცოდვად საგონებელ იქმნეს. ხოლო იოსი-
 პოსს, არა ბოროტქმნილსა მათდა მიმართ, განზრწნიან, რომლისა და პასაიკი-
 საცა უძლურებად უმეტესდა ჩუენ მიერსა წყალობასა მიზიდველ არს. ხოლო
 მიზეზი მოკლვისადა უფროსდა უძკრესად საქმესა მათსა დასდებს: შორისა-
 თვის² გულისმსიტიყუველთადა განყუანებად ცხორებისაგან ქმნადა კეთილთა-
 თვის მისდა, რომელთაგან სწორებით მიიღონ მოზიარება მისდა მონაგებისა-
 თა, არა უცხოთად მყოფთად თვითად, რამეთუ თვსად საგონებელ იყვნენ.
 თქუენდა, რაოდენნი ღმერთმან იოსიპოსს მოსცენს. ჭერ-არს უკუე მოგონე-
 ბად, ვითარმედ რისხვად უმძევარესი ექმნეს მათ და ესრეთ კეთილად ქონე-
 ბად, უკუეთუ ღმრთისა მიერ გამოჩეულსა ღირსქმნადათა კეთილთა, მიულონ
 ამათ, რომელსა ღმერთი მიანიჭებდეს, მომაკუდინებელთა მისთა.

21

2)* და რუვიმოს ვიდრემე, ამათი მეტყუელი და ამათ თანა მერმეცა უმე-
 ტისად მოქენე, მოსწრაფე იყო ძმის-მკლველობისაგან გარე მიქცევისა მათსა.
 ხოლო ვინაჲთგან არა ღმობიერქმნილნი სიტყუათაგან იხილნა, არამედ მოს-
 წრაფენი მოკლვისა მიმართ, განზრახებდა მათ ქმნასა ბოროტისასა უდაბნე-
 სად გუარისაგან მოკლვისა. და რამეთუ პირველ მეცადინთა სჯულ-უღვა რწმუ-
 ნებად, მეტყუელმან მათმან, ხოლო ვინაჲთგან დაამტკიცეს მოკლვად ძმისა —
 „იყვნეთ ფრად არა ბოროტად — ეტყოდა — რომელთა აწ გამცნებ, მრწმუ-
 ნებელნი, რამეთუ ამათვე შინა იყოს და საქმეცა, რომელსა ზედა მოსწრაფე
 ხართ არა ვიდრემე ესევითარი, არამედ ვითარ უღონოებდათ შორის უსულებ-
 ქესი“³. რამეთუ ევედრებოდა მათ ძმისა არა მკლველად კელით ქმნასა, არამედ
 შთამგდებელთა თანამდებარესა მთხრებლსა შინა, ესრეთ სიკუდილად დატყუ-
 ბასა შეძინებდა და არა შეგინებასა კელთა მათთასა. ესრეთ ამათთვის თანდადე-
 ბულებასა ჭაბუკთასა, მიმყუანებელმან ყრმისამან რუვიმოს⁴ და საბლითა

¹ სენიდისა AQ. ² შორისათს A. ³ მომაკუდინებელთა. ⁴ რუვიმოს.
 • დაბ. 37,21.

შემკრველმან, კრძალვით შთაუტევა იგი მთხრებლად და რამეთუ ფრიად ურწყულ იყო. და იგი ვიდრემე, ამისი მოქმედი, წარვიდა ძიებად ადგილთა მარჯუეთა სამწყსოთათჳს.

3)* ხოლო ოულა, და ამანცა იაკოვოს ყრმათაგანად მყოფმან, მხილველმან ვაჟართა არავთამან ისმაილიტის ნათესვისაგანთამან, რომელნი მიიღებდეს ეგვპტელთა მიმართ ტვრთსა ღალადინისაგან, სურნელთა და მასტიქსა, შემდგომად რუვიმოს წარსლვისა განაზრახებდა ძმათა აღმოყვანებასა იოსიპოსსა და მისყიდად არავთა მიმართ, რამეთუ მას, ფრიად შორსქმნილსა, ექმნეს სიკუდილი უცხოთა შორის, ხოლო მათ ესრეთ გარდაცვალებაჲ მიეცეს შეგინებისაგან. და იგინი უკუე, ამის მნებებელნი, მისცემენ იოსიპოსს ვაჟართა, აღმოყვანებელნი მთხრებლისაგან ოცთა ღრპაკანთათჳს, ათშვდმეტთა წელთად ქმნულსა. ხოლო რუვიმოს ღამე მთხრებლსა ზედა მივიდა, ცხოვნებად მნებებელი იოსიპოსი ფარულად ძმათაგან. და ვითარ აღმოწოდებულსა არა კმა-სცა, შეშინებული, ნუუკუე განხრწნეს იგი შემდგომად წარსლვისა მისისა, აბრალებდა ძმათა. ხოლო მათ მოქმედებული რაჲ მიუთხრეს მას, დაღუმნა რუვიმოს გლოვისაგან.

4)* ხოლო ვინათგან ესენი ძმათა მიერ იოსიპოს ზედა იქმნეს, ეძიებდეს, თუ რაჲსა მოქმედნი განერნენ მამისა მიერსა იკუსა. და სამოსლისაჲ, რომლისა მმოსელი მივიდა მათდა მიმართ იოსიპოს, რომელიცა მოსძარცუნეს მას, რაჲმს შთაუტეობდეს ლაკუად, სთნდა მათ, განმხეთქელთა, სისხლითა ვაცისათა შებლაღუაჲ და, წარმღებელთა, ჩუენებაჲ მამისაჲ, რაჲთა საგონებელ იქმნეს მისდა მკეცთა მიერ განხრწნაჲ. და ამისნი მოქმედნი მივიდეს მოხუცებულისა მიმართ, აწლა ძისა ძლითთა ცნობად მოსრულსა. ხოლო იტყოდეს იოსიპოსსა არცა ხილვასა, არცა რომლისა განსაცდელისადა მიმთხუეულ არს მეციერებასა, ხოლო სამოსლისა პონასა სისხლიანისა და განწინხულისასა, სადაჲთ საეკუ არს მათდა, შთაერლომილისაჲ, მკეცთა მიერ წარწყმედაჲ მისი, უკუეთუ ამის მმოსელი სახლით წარივლინა. ხოლო იაკოვოს, მცირეთა ზედა მყოფმან სასოებათა, ვითარ მიპარვისათჳს / ყრმისა მისისა, ვიდრე ესემე დაუტევა გულისსიტყუაჲ, ხოლო სიმტკიცესა აღსრულებისა მისისასა ცხადსა სამოსლისაგან მიმღებელი და რამეთუ იცნა, ვითარმედ იგი ამის მმოსელიცა წარავლინა ძმათა მიმართ. ვითარ მკუდარსა ზედა, მიერთგან ესრეთ მღებარე იყო ყრმასა ზედა მგლოვარესა და ვითარ ერთისა მამადყოფი, სხუათა ნუგეშინისცემისაგან დაკლებული, ესრეთ იყო ბოროტსა შინა, პირველ ძმათა მიმთხუევისა მეჭუელი მკეცთა მიერ იოსიპოსს უჩინო-ქმნისაჲ. ხოლო მკდლომარე იყო ძაძისა შემმოსელი და მწუხარებითა დამძიმებული, ვიდრე არცა ყრმათა მიერ, ნუგეშინისმცემელთა, განსუენებად მისდა, არცა ტკივნულისა შრომათა უარყოფად.

თ. 4.

1)2* ხოლო იოსიპოს, განსყიდული ვაჟართა მიერ, მიმსყიდელსა პეტეფრის, კაცსა ეგვპტელსა, ფარაოთის მეფისა მზარაულთმთავარსა, აქუნდა ყოველსა შინა პატივსა. და წურთილებითა თავისუფლებრივითა წურთიდა და

1 მკედრსა

• დაბ. 37,25. 1* დაბ. 37,31. 2* დაბ. 39,1.

საზრდელსა კუმევად უმჯობესსა მონის ზედასა ბედისასა უბრძანებდა და კელთ-უდვა განგებად სახლისა მისისა შინათა.

ხოლო მან ესენი ვიდრემე მიიხუნა და სათნობაჲ, რომელი იყო მის თანა, არცა შეცვალეზისაგან დაუტევა, არამედ აჩუენა გონიერებაჲ, შემძლებელი ცხორების შინათა ძენთა პყრობად, რომელთაცა თანა იყოს მტკიცედ, არა შემსჭულული მხოლოდ კეთილმოქმედებათა ეამიერთაჲ.

2)* რამეთუ ცოლი მეფისაჲ, შუენიერებისათჳს და საქმეთა მიმართ მარჯუობისა მისისა ტრფიალებით დადებული და მგონებელი, უკუეთუ ცხადიქმნას ესე მისდა, ადვილად-ყოს იგი მოსპოლვად! თანაშეერთებისა მიმართ, ბედნიერობად მგონებელი დედოფლისა მისისა მოქენეობისაჲ და სახისა მიმართ მონებრივისა მხედველისაჲ, არამედ არა გუარისა შემდგომად გარდაცვალებისაჲ დადგრომილისაჲ, გულისთქუმასა ცხადყოფელისაჲ მისდა და სიტყუათა მომღებელისაჲ შეერთებისათჳს, გარე-მიაქცია ვედრებაჲ, არა ღირსად მსჯელმან ესევითარსა მადლსა მიცემად მისდა, რომელსა შინა მომსყიდელსა და ესეოდენსა პატივისა მადირსებელსა უსამართლოებისა და ვანებისა ქმნაჲ შეემთხუეოდა. არამედ პყრობად ვნებისა ევედრებოდა მასცა, წინადამღებელი არა სასოებად მიმთხუევისა გულისთქუმისასა, რამეთუ მოუძლოვრდეს მასცა ესე არა-ყოფასა სასოებისასა. და თვთ ყოველთა უმეტეს მოთმინებასა ეტყოდა, ვიდრე ამისდა მიმართ რწმუნებულქმნასა. და რამეთუ უკუეთუ, დედოფლისა მონად მყოფსა, უქმს არაზაჲს წინააღმდეგობისა ქმნაჲ, უფროჲსლა ამათ ბრძანებათა მიმართსა სიტყუსვებასა მრავალი აქუნდა ჯნულობაჲ. გარნა სურვილსა მისსა უმეტეს აღაოროძინებდა, არა მომლოდენსა იოსიპოჲს მიმთხუევისასა და, მქენვარედ ბოროტისა მიერ შემრღუეულმან, უჟალად მეორისა გამოცდილებისა მოქმედებაჲ ინება.

3) ყოველ საეროდ აღსრულებადისა დღესასწაულისა წარმოდგომასა, რომელსა შინა და დედაკაცთაცა მისლვაჲ სჯულიერ იყო შესაკრებლად, იჩემა სნეულებაჲ ქმრისა მიმართ, მომნადირებელმან განმარტოებასა და მოცალეობასა იოსიპოჲს ვედრებისა მიმართ. და ეყო რაჲ მას ესე, მერმეცა უმეტეს სავედრებელნი პირველთასა სიტყუანი მოართუნა მას, ვითარმედ კეთილ ვიდრემე იყო / მისდა შემდგომად პირველსავე ვედრებისა დამორჩილებაჲ და არა ურჩებაჲ კდემისათჳსცა მეედრებელისა და ვნებისათჳს გარდამატებულისა, რომლისაგან იძულა დედოფლად მყოფი მისისა ღირსებისაგან უმდაბლესქმნად. »აწ უკუე უმჯობეს ბრძნობ მომლოვრებელი, და პირველ გარდასრულთა შინა უგუნურებაჲ განჰმართე, რამეთუ უკუეთუ მეორესა ვედრებასა მიელოდი, ესე ქმნილ არსცა, უმეტესისა თანა მოსწრაფებისა, რამეთუ სნეულებაჲ მიზეზებულ არს და დღესასწაულისა და შესაკრებელისა მისდა მიმართ თანაშეერთებაჲ უპატიოსნეს უქმნიეს. დაღაცათუ პირველნი მისნი გულისიტყუანი, ურწმუნოქმნილმან, უკუნ-აქცინა, ხოლო მათვე ზედადადგრომიჲ მაუწყებელ არცა ერთისა ბოროტმოქმედებისა ყოფასა პოვნად მათ შინა და მოლოდებად აწ მყოფთა თულთა საარგებელსა, რომელთა აწვე მიმღებელ იყოს, თანდადებული ტრფიალებისა მისისაჲ და უდიდესთა მიმღებელ იქმნეს, მორჩილქმნილი. ხოლო შურისგებაჲ და სიძულილი მიიღოს მისგან, გარემიმაქცეველმან ვედრებისამან და მიმნიჭებელმან დედოფლისათჳს, წინადადებით, გამოცდილებასა სიწმიდისასა, რამეთუ არა ერგოს მას ესე, მიდრკეს თუ შესემ-

22

* დამ. 39,6. 1* πειθεει 2₄₁ (=დარწმუნება, დამორჩილება).

ნად მისდა, განმამტყუენებელი გამოცდილებებისა მისისაჲ ქმრისა წინაშე, ვინა-
თჳან უმეტესდა მსმენელ იქმნეს სიტყუათა მისთა პეტეფრე, ვიდრე მის თანა,
დაღაცათუ დიდად ფრიად ჰეშმარიტებისაგან მოხუმულ იქმნენ.

4) ამათსა მეტყუელებასა დედაკაცისაგან და ცრემლობასა, არცა წყალო-
ბამან არწმუნა მას უკრძალველობაჲ, არცა შიშმან აიძულა, არამედ ვედრე-
ბათა წინა-ალუდგა და ქადებათა არა მოუღბა შეშინებული. და ვნებად
უსამართლოსა და მოთმენად რასმე მძკნვარეთაგანსა აღირჩევდა უფროჲს,
ვიდრეღა აწ მყოფთა მიღებად მიმნიჭებელი, რომელთა მიერ წარწყმედაჲ
თჳსი უწყოდა. და ქორწილისასა მოაჴსენებდა და ქმრისა მიმართ თანაცხორება-
სა და ამათსა უფროჲს მინიჭებასა ევედრებოდა, ვიდრე წუთ-ერთსა გემოვ-
ნებასა გულისთქუმისასა, რომლისაგან სინანული ექმნეს კუალად, ტკივნეულ-
ქმნილსა არა განმართლებისათჳს ნაცოდებთაჲსა და შიშისათჳს არა ცხად-
ქმნად, არამედ დაფარვისათჳს უცნაურისა ბოროტისა, ხოლო ქმრისა მიმართსა
ზიარებასა უქირველი აქუს შუებაჲ. და ამით თანა ეტყოდა მრავალსა კადნი-
ერებასა ქონებად სუნიდისისაგან ღმრთისაცა მიმართ და კაცთა და ვითარმედ
უფროჲსად ეუფლოს მას, დადგრომილი წმიდად, და დედოფლისა კელწიფე-
ბაჲ იუჴუმოს მისა მიმართ, არამედ არა სირცხვლი თანმცოდველისაჲ, რამეთუ
ფრიად უმჯობეს არს მინდობაჲ საცნაურთა ზედა კეთილცხორებულთა, ვიდ-
რე დაფარულსა ზედა ბოროტმოქმედებასა.

5) ამათი მეტყუელი და მერმეცა უმეტეს მსგავსთა ამათთაჲ აღძრვასა
დედაკაცისასა პურობად მოსწრაფე იყო და ვნებასა მისსა გონებადმი მიქცე-
ვად. ხოლო იგი უმეტესსა მქონებელ იყო მოსწრაფებასა და, კელთა დამ-
სხმელი, იძულებად მნებებელ იყო, არღა მსასობელი რწმუნებისაჲ. ხოლო
ვითარ განველტო რისხვისაგან იოსიბოს¹, დამტევებელი და სამოსლისაჲცა
მისდა, მპურობელისაჲ, და რამეთუ მისი დამტევებელი მისდა, განვიდნა სახ-
ლისაგან, მოშოქმნილმან დედაკაცმან, ნუჴუე იოსიბოს თქუას ქმრისა მი-
მართ მისისა და ვინებასა ტკივნეულად მქონებელმან, აგრძნა წინაწრობად
ტყუელით შესმენაჲ იოსიბოსი / პეტეფრის მიმართ და ამით სახითა დას-
ჯაჲ მისი ბოროტად, ვითარ შეურაცქმნილმან. და წინაწრობაჲ შესმენისაჲ
ბრძენი თანად და დედაკაცებრივი ჰგონა. და მჯდომარე იყო მქმნეჴარე და
შექმნევებული ვერმიმთხუევისათჳს მწუხარებასა გულისთქუმისასა, განცდი-
ლებასა განხრწნისასა მჩემებელი რისხვით. ხოლო მოვიდა რაჲ ქმარი მისი
და შეშფოთნა სახითა, მკითხველი მიზეზსა, იოსიბოსა შესმენისასა დაიწყო
მან: „და მო-მცა-ჰკუდები, ჰრქუა, მამაკაცო, ანუ მონაჲ ბოროტი, სარეკლისა
შენისა შეგინებად მნებებელი, განსაჯე, რომელი არცა მომჴსენებელ იქმნა,
თუ ვითარად მყოფი ჩუენსა სახლსა მოვიდა, არცა რაოდენთა სახიერებასა შენი-
საგან მიემთხვა, არამედ უმაღლოდ მყოფმან, თანად არათუ მომნიჭებელ იყო
კეთილსა, არამედ განიზრახა ვინებაჲ ქორწილისაცა შენისაჲ და ამას დღესას-
წაულსა შინა წარსლვისა შენისა დამცველმან. რომელი რაოდენ მდაბალ საგო-
ნებელ იყო პირველ, შიშისა შენისაგან მდუმარეობდა და არა ბუნებით კე-
თილ იყო. ესეითარ სადმე, უმეტეს ღირსებისა მისისა გარეშე, სასოებისა
პატივად მოყვანებასა მოქმედ იქმნა, ვითარ ჴეროვანსა, ვითარმედ რომელსა
მონაჴებისა შენისა რწმუნებაჲ და განგებისა მიღებაჲ ექმნა და პირველთა მო-
ნათა წინა პატივისცემაჲ, ამას და ცოლისაცა შენისა მიახლებაჲ ეყოს“. ხოლო

1 იოსიბოს.

დაცხრომილი სიტყუათაგან; უჩუენებდა მას სამოსელსა, ვითარ დატევებულ-
სა მისგან. რაჟამს კელ-ყო იძულებაჲ. ხოლო პეტეფრი, არცა ცრემლოანისა
ღედაკაცისაჲ, არცა რომელთათვის იტყოდა და იხილნა, ურწმუნოდ მქონებე-
ლი, თანად და ტრფიალებისა მისდა მიმართისა მიმნიჭებელი კულად, გამო-
ძიებისა ვიდრემე მიმართ ჰეშმარიტისა არა მიდრკებოდა, ხოლო დაღუმება-
სა მიმქეველმან ღედაკაცისათვის და ბოროტყოფასა იოსიბოჲსა განმსჯელმან,
იგი ვიდრემე საპყრობილესა ბოროტმოქმედთასა შთაგდო¹, ხოლო ღედაკაცი-
სა ზედა ფრიად ზუაობდა, შემკულეებასა და სიწმიდესა მისსა მწამებელი.

თ. 5.

1)* ხოლო იოსიბოს უკუე, ყოველთა მის ძლითა ღმრთისა ზედა მოქ-
მელი, არცა პასუხისგებად, არცა გამოწულილვით უწყებისა მიმართ ქმნილთა-
ჲსა მიიქცა და საკრველთა და ჰირსა ღუმლით მოუქდა, მრწმუნებელი მიმ-
ცემელთასა უმჯობეს-ყოფასა ღმრთისასა, რომელი მეცნიერი არს მოზეზსა
განსაცდელისასა და ჰეშმარიტებასა, რომლისაჲ წინგანგებისა დასასრულსა
მეყუსეულად მიიღებდა, რამეთუ საპყრობილის მცველმან, გულსმოდგინებისა
და სარწმუნოებისა განმცდელმან, რომელთაჲცა შინა დააწესის იგი და ღირსე-
ბასა სახისასა, განუტევა იგი საკრველთაგან და ძნელსა სუბუქ და ადვილ იქ-
მოდა მისთვის, ხოლო საზრდელსა კუმეკად უმჯობესსა კრულთაგან უბრძანებ-
და. ხოლო მათსა ამათ შინა მყოფობასა, რაჟამს დასცხრიან საქმეთა თანკუე-
თებისაგან და ზრახვად მიდრკიან, ვითარ საყუარელ არს ზიართათვის მსგავ-
სისა განსაცდელისა თანა, და ურთიერთარს მიზნთა, რომელთათვის დაისაჯ-
ნეს, მკითხველობასა, მეღვნე მეფისაჲ და ფრიად მის მიერ პატივეცემული და
რისხვით შეკრული საკრველთა მიერ და თანმქევეი იოსიბოჲსი, უმეტეს მო-
ყუარე იქმნა მისდა. და რამეთუ ჰგონებდაცა მას გონიერებითა უზეშთაეს
ქონებად, ხოლო ჩუენებისა მხედველმან უთხრა მას, მეედრებელმან უწყებად,
რასა მოასწავებს, მბარალობელმან, რამეთუ მეფისა მიერთა ბოროტთა ზედა
მერმეცა ღმერთმან ზედა-დასძინნა მას და ჩუენებათა მიერნიცა ზრუნენი.

2)* ეტყოდა უკუე ხილვად ძილთა შინა სამთა რტოთა ვენაჯისად მყოფთა
და ტევანთა თითოეულისათვის შთამოკიდებად, დი/დთა აწვე დასაწურვად ჟა-
მიერთა, და ამათსა მისგან გამოწნეხასა ფიალსა შინა, ქუეშე კერძო პყრო-
ბილსა მეფისაგან, და მომწნეხელისაგან გამოწურვილსა მიცემად მეფისათვის
სასუმელად და მისგან მიღებასა მხიარულებით. და ჩუენებისასა ვიდრემე
აუწყებდა ესევეთარად ყოფასა, ხოლო ევედრებოდა, უკუეთუ წილხდომილ
არს მისთვის გონიერებაჲ, თხრობად მისდა უწყებასა ჩუენებისასა. ხოლო იგი
მინდობილებად ეტყოდა და მოლოდებად სამთა დღეთა შინა განჯსნასა საკრ-
ველთაგან, მეფისა მიერ შემყუარებელისა მსახურებასა მისსა და კულად მი-
სა მიმართ აღმყვანებელისა მისისა. რამეთუ ნაყოფსა ვენაჯისასა მოასწავებდა
მონიჭებად ღმრთისა მიერ კაცთათვის კეთილისა ძლით, რომელი მისდაცა შეი-
წირვის და სარწმუნოებასა და სიყუარულსა კაცთასა შეაერთებს, დამჯსნელი
ვიდრემე მტერობათაჲ, ხოლო ვნებათა და მწუხარებათა დამჯსნელი და გან-
მცდელი მიმღებელთაგან მისთა და შუებისა მიერ მიმყვანებელი: „ესე რომ-
ლისასა იტყვ სამთა ტევანთაგან გამოწნეხასა, კელთა შენთა მიერ მიერთუას

¹ შთაგდო.

* დაბ. 39, 21. 1° დაბ. 41, 9.

მეფესა, კეთილი უკუე უწყოდე ჩუენებაჲ, ქმნილი შენდა, და წინამომასწა-
ვებელი ქსნასა აწ მყოფისა კირისაგან ესეოდენტა დღეთა შინა, რაოდენტა
ვენაჲსა რტოთაგან გამოსწურე ნაყოფი ძილსა შინა. მოიქსენე უკუე, ამათ-
მან მიმთხუეულმან, შენთვის კეთილთა წინაწარაღმტუემელისაჲ და კელმწიფე-
ბასა შინა ქმნილი ნუ უგულებელს-გუყოფ ჩუენ, რომელთა შინა დაგვტევენი
წარმავალმან, რომელთა შინა ცხად-გიყავით, რამეთუ არარას . მკოდველნი
საკრველთა შინა ვიქმნენთ, არამედ სათნოებისა ძლით და სიწმიდისა ბორო-
ტისმოქმედთასა მოთმენად დავისაჲგენით, არცა თვისისა დემოვენებისათს მნე-
ბებელნი გინებისანი ჩუენდა ამისთა მოქმედისა მიმართ*¹. და მეღვნე უკუე,
მსმენელი ესევეთარსა გამოთარგმანებასა ჩუენებისასა, ჯერისაებრ მხიარუ-
ლებასა შინა იყო და მოლოდებაჲ აქუნდა დასასრულისა წინთხრობილთასა.

3)¹* ხოლო მონაჲ ვინმე¹, პურისმოქმედთა ზედდაწესებული მეფისათაჲ,
თანშეკრულ იყო მეღვნისა. ესევეთარსა აღქსნასა ჩუენებისასა მისდა იოსი-
პოს მოქმედებასა კეთილსასოებით მყოფი, და რამეთუ იგიცა მხილველ იყო
ჩუენებასა, ევედრა იოსიპოს თხრობად, რაჲ ეგულების მისდაცა მოსწავებად
წარსრულისა ღამისა ჩუენებათა. ხოლო იყვნეს ესევეთარნი: „სამთა, იტყოდა,
ეკგონებდ კალათთა მოღებასა ზენა კერძო თავისა: ორთა ვიდრემე პურითა
აღსავსეთა, ხოლო მესამესა — სანოვაგითა და მრავალსახეთა საკმელთა მი-
ერ, ვითარნი მეფეთა შემეზადებინ. და შთამოფირინებულთა მფრინველთა
ყოველი აღლიეს, არცა ერთისა ზრუნვისა მოქმედთა მისთვის, გარემოდგო-
მილთა“. და იგი ვიდრემე მსგავს-ყოფასა მეღვნისათს თქუმულისა ჰგონებდა.
ხოლო იოსიპოს, დამდებელმან გონებასა ჩუენებისამან და მისდა მიმართ მე-
ტყუელმან, ვითარ ეგულებოდა² შემთხუევაჲ მისთვის კეთილთა თარგმანად
მყოფმან და არა ვითარსა ჩუენებაჲ აღუწებდა მას, ჰრქუა ყოველთა დღეთა
ცხოვრებისათა ორთა ქონებად მას მერმეცა, რამეთუ კალათნი ამას მოასწავე-
ბენ. ხოლო მესამესა დღესა — ჯუარცუმულსა — საკმლად ყოფაჲ მისი
მფრინველთაჲ, არცა თავისა თვისისა შეწევნად შემძლებელისაჲ. დასასრულ-
მან მიიხუნა მსგავსმან, ვითარნი იოსიპოს ჰრქუა მათ, რამეთუ პირველთქუ-
მულსა დღესა შინა შობისა აღმასრულებელმან მეფემან პურისმოქმედთა ზე-
დასა / ვიდრემე, ჯუარს-აცუა, ხოლო მეღვნისა საკრველთაგან განმქსნელმან,
ვისევე სახიერებისა ზედა დაადგინა.

4)²* ხოლო იოსიპოს, ორსა წელსა შინა საკრველთა მიერ ძვრხილული
და არარას მრგებელი მეღვნისა მიერ მოქსენებითა წინთქუმულთათა, ღმერ-
თმან განუტევა საპყრობილისაგან, ესევეთარსა ქსნასა მისდა მომლონებელმან:
ფარაოთის მეფე, ერთსა ღამესა შინა ჩუენებათა ორთა ძილსა შინათა მხილ-
ველი და მათ თანა გამოთარგმანებისა მათისა, ამას ვიდრემე დამეწყებელ
იქმნა, ხოლო ჩუენებანი იპყრნა. შეძრწუნებულმან უკუე ჩუენებითა ზედა
და რამეთუ საგონებელ იყვნეს ესენი მქმუნვარედ მისდა, მიუწოდა შემდგო-
მად დღისა უსიტყვერესთა ეგვტელთასა, მნებებელმან სწავლად განსჯასა
ჩუენებათასა. ხოლო უღონო იყვნეს რაჲ იგინი, მერმეცა უმეტეს შემფოთ-
ნებოდა მეფე. ხოლო მეღვნე ფარაოთის შემრლუეულობასა ხედვიდა რაჲ,
შეუტჯდა ქსენებაჲ იოსიპოსი და ჩუენებათა გულსიკმის-ყოფისაჲ და, მოსრულ-
მან, აღუწყა მას იოსიპოსთვის: და ჩუენებაჲ რაჲ იხილა მან საპყრობილესა

¹ ვისიმე. ² ეველებოდა.

* ბერძნულ დედანში (2^{გგ-გგ}) ოსები თავის თავზე საუბრობს მრ. რიცხვში (pluralis male-
viticus = მოწიწებით მრავლობით). ¹ დაბ. 41,16. ² დაბ. 42,1.

შინა და გამოთქუმა ადკსნისა მისისაჲ, თანად ვითარმედ ჭუარს ეცუა მას დღესა პურისმოქმედთა ზედა და მას ესე შეემთხვა გამოთარგმანებისაებრ ჩუენებისა იოსიპოჲს წინაწარმთქუმელობითა. ხოლო შეკრულ არს ესე პეტერის¹ მიერ, მზარაულთზედაჲსა, ვითარ მონაჲ. ხოლო იტყჳს თავსა თჳსსა ევრაველთაგან და მცირეთათჳს ყოფად ესევეითარსა ნათესავსა თანად და მამისა დიდებასა. „ამისმან უკუე მომწოდებელმან და არა შეურაცხისმყოფელმან აწინდელისა ძვრხილულობისათჳს, სცნენ მოსწავებადნი ჩუენებათა მიერ“. და ბრძანა მეფემან სახედველად მისა მოყვანებაჲ იოსიპოჲსი. და იგი ვიდრემე მოიყვანეს ბრძანებულთა მოსწრაფედ ბრძანებისაებრ მეფისა.

5)* ხოლო მან, მარჯუენისა მისისა მიმღებელმან, „ოჲ ჰაბუკო, ჰრქუა, რამეთუ შენ, რჩეული და ჭეროვნად გულისკმეირი, მონისა მიერ ჩემისა წამებულ ხარ ჩემდა, მათვე კეთილთა, რომელთაგან და ამისდაცა გარდაგიცემიეს, მაღირსე მეცა, მაუწყებელმან ჩემდა, რაოდენთა მოასწავებენ ძილის შინათა ჩუენებათა ხილვანი. ხოლო მნებაჲს შენი, არა შეძრწუნებულისაჲ შიშისაგან, თნებად ჩემდა მომართ. ტყუეილითსა სიტყუასა² და სიხარულის მიმართსა, უკუეთუ ჰეშმაჩიტი უმკმუნეარეს იყოს. რამეთუ ეკვონებლ³ მდინარესა შინა განმავალად ჯართა კეთილზრდილთა ხილვასა თანა და სიდიდითაცა გარდამატებულთა, შვდთა რიცხუთა, და მდინარისაგან მიმართებად მწუანვილსა ზედა. ხოლო სხუათა, რიცხუთა სწორთა, მწუანვილოვანისაგან შემთხუევად მათდა, ფრიად მკლეთა და ხილვადცა ხეწუთა, რომელთა, კეთილზრდილთა და დიდთა შემკმელნი⁴, არარას ირგებდეს, ბორცთად სიყმილისა მიერ განკაფულნი. ხოლო შემდგომად ამისა ჩუენებისა აღდგომილი ძილისაგან და შეშფოთებული და თუ რაჲ-მე იყოს ჩუენებაჲ, თჳსაგან გამომძიებელი, შთავეარდი კუალად ძილად და მეორესა ჩუენებასა ვხედევდ, მრავლად პირველისაგან უსაკრველესსა, რომელი მე უფროჲს შემაშინებს და შემამარღუეჲს: ჯუვილთა⁵ შვდთა ვხედევდ, ერთისა ძირისაგან აღმოცენებულთა, აწვე თავდამძიმებულთა და დადრეკილთა ნაყოფისაგან ესმისა შინა მკისასა. და მახლობელად ამათსა სხუათა შვდთა ჯუვილთა ვხედევდ, განხრწნილთა და უძლურთა უნოტიოებისაგან, რომელთაცა, აღლევად და შეკმად მიდრეკილთა შეუენიერთასა, განცვბრებაჲ მომცეს მე“.

6)1* ხოლო იოსიპოჲს, მიმგებელმან, „ჩუენებაჲ ვიდრემე ესე, თქუა, ოჲ მეფე, და ორთა შინა ჩუენებული სახეთა, ერთსა და მას მოა/სწავებს აღსასარულსა ყოფადთასა. ხოლო ჯართა ხილვაჲ, ხოლო ესე ცხოველი ორნატობისა ზედა მუშაკობად შექმნილი, უდარესთა მიერ შეკმულად, და ჯუვილთაჲ, ულუსურესთა⁶ მიერ აღლულად, სიყმილსა და უნაყოფობასა ესეოდენთა წელთა შინა აუწყებენ ეგვტესა მსგავსთა მიერ კეთილბედნიერთასა, ვიდრემდის კეთილნაყოფიერებაჲ მათ წელთაჲ უნაყოფოებისაგან შემდგომად მყოფისა სწორისა რიცხუსა მიერ აღლიოს. ხოლო იქმნეს ფრიად ძნელსაკურნებელი მოკლებაჲ საჭიროთაჲ, ხოლო სასწაულ, რამეთუ მკლენი ჯარნი, აღმლეველნი უმჯობესთანი, არა შემძლებელ იქმნეს განძლომად, ხოლო ღმერთი არა შეწუხებისათჳს მჩუენებელ არს კაცთათჳს გულეებადთა, არამედ რაჲთა, წინაწარმცნობელნი, უსუბუქესთა განცილებათა მოქმედებდენ აღთქუ-

¹ პეტერის AQ. ² სიტყუასა. ³ ეკვონებად A, ეკვონებლ Q, ვიხილედ S. ⁴ შემკმელნი AS, შემკმელნი Q. ⁵ უვილთა A. ⁶ ულსურესთა A.

* დაბ. 41,15. 1* დაბ. 41,25.

მულთასა. შენ უკუე, პირველსა შინა ჟამსა ქმნილთა კეთილთა დამაუნჯებელ-
მან, უცნაურ-ჰყო ეგვპტელთაგან მომავალი განსაცდელი“.

7)* ხოლო მეფემან, განკრვებულმან მეცნიერებასა და სიბრძნესა იოსი-
პოასსა და მკითხველმან, თუ ვითარ სახედ წინ-აგნეს ჟამთა შინა კეთილობი-
სათა შემდგომთა მისთათს, რაჲთა უსუბუქეს იყვნენ კეთილნაყოფიერებისანი,
წინა-დაუდვა მან და განაზრახა კრძალულებისა კეთილთაჲსა ქმნად და არა
მოგებისაებრ მათისა კუშგეჲა ბრძანებად მეგვპტელთად, არამედ რაოდენი საზ-
რდელად აღლიონ ნამეტნავისაგან, ამით დაცეჲა ნაკულუღეანისა ჟამისათს.
და დაუნჯებად განაზრახებდა იფქლისა, მიმღებელსა მუშაკთაგან, კმასაყო-
ფელთა მხოლოდ საზრდელად მიღებულთა. ხოლო ფარაოთის, მრჩობლთავე
ზედა მაქებელმან იოსიპოასმან, განსჯისათს ჩუენებისა და თანგანზრახვისა,
მისცა მას განგებად, რაჲთა იქმოდის, რომელთაჲცა ჰგონოს უმჯობეს-ყოფად
სიმრავლისათს ეგვპტელთაჲსა და მეფისა, ვითარ მოენელმან გზასა საქმი-
სასა და ზედამდგომელადცა მისმან რჩეულად მეჭუელმან. ხოლო იგი, ამას
ველმწიფებდასა მეფისაგან მიმღებელი და ბუქდისა მისისა მკუშეველი და ძო-
წეულისა შემოსელი, ქუეყანასა შინა განმავალი ეტლსა ზედა, შეჰკრებდა
იფქლსა ქუეყანისმოქმედთაგან, კმასაყოფელსა დათესვისა მიმართ მომწყვე-
ლი ყოველთაგან, არავისთვის მათწყებელი მიზნისა, რომლისათს ამით მოქ-
მედებდა.

თ. 6.

1)* ხოლო ოცდამეათესა წელსა აწვეე ჰასაკისა მისისასა აღვიდა და პატივ-
სა ყოველსა მიმღებელ იქმნა მეფისაგან და უწოდა მას ფსოთომფანინონ,
მხილველმან განსაკრვებელისა გონიერებისა მისისამან, რამეთუ მოასწავებს
სახელი მოვენლსა დაფარულთასა. ხოლო ექორწინა ქორწილსა სიტყუსა
ღირსსა, რამეთუ მიიყვანა ასული პეტეფრესი, მზის შინაჲსა ქალაქსა მღდე-
ლთაგანისაჲ, თანშეწევისთა მისდა მეფისაჲთა, მერმეცა ქალწული, სახელით ასე-
ნეთი. ხოლო ამისგან ყრმანცა იქმნებთან მისგან, პირველ უნაყოფობისა-
მანასის ვიდრემე პირმშოჲ, ხოლო მოასწავებს დავიწყებასა, პოვნისათს მის-
და, კეთილბედნიერსა, დავიწყებასა ძნელბედობათასა. ხოლო უმრწემესი —
ეფრემის, მოცემასა უკუე მოასწავებს ესე, მიცემისათს მისდა თავისუფლება-
სა მშობელთასა.

ხოლო ეგვპტესა, შვდთა წელთა შინა სანატრელად აღმავალსა იოსიპოას
ჩუენებთა აღქსნისაებრ, მერვესა წელსა სიყმილი შეეხებოდა. და ზედდაცე-
მისათს ბოროტსა მათ ზედა უცნაურად, მკვნეარედ ტკივნეულნი მის მიერ
ყოველნი მეფისა კართა მიმართ შემდინარეობდეს. ხოლო იგი იოსიპოსს მოუ-
წოდდა, და იგი მისცემდა მათ იფქლსა, მაცხოვარქმნილი სიმრავლისაჲ ჭეშ-
v მარტიად. და სასყიდელად არა ადგილისათა / წინა-დაუდებდა მხოლოდ, არა-
მედ და უცხოთაჲცა მისი სასყიდელი იყო, მღირსებელისა იოსიპოას მიერ, მიმ-
თხუევად შეწევნასა ყოველთა კაცთასა, ნათესავობისა ძლით მკუშეველთაგან
კეთილბედნიერობისათა.

2)* და იაკოვოსცა ხანანიასგან, ფრიად შეიწრებულისაჲ, რამეთუ ყო-
ველსა ქუეყანასა შეეხო ბოროტი, წარავლინნა ძენი თვისნი ყოველნი ეგვპტელ
მოსყიდად იფქლისა, მსწავლელმან მიტეგებად მოსყიდასა უცხოთათსცა.

* დაბ. 41,39. 1* დაბ. 41,45; 41,51. 2* დაბ. 42,1.

მხოლოდ უკუე იპყრა ვენიამენ, რაქილასგან ქმნილი მისდა, დედით ერთით იოსიპომას ძმაჲ. და ესენი უკუე, ეგვბტედ მისრულნი, მიემთხვევნეს იოსიპოსს, მოქენენი სყიდისანი, რამეთუ არაჲ იყო, რომელი არა იქმნებოდა განზრახვითა მისითა და რამეთუ განსუენებჲა მეფისაჲ მაშინ საკმარ-იქმნის კაცთა, რაჲმს იოსიპომას პატივისა ზედმოურნე იქმნიან.

ხოლო მან, მცნობელმან ძმათა, არარას მოკსენეთა მისთამან სიყრმესავე განშორებისათჳს მათგან და ამას ჰასაკსა მოსლვისათჳს და სახეთა გარდაცვალებისათჳს უცნაურად მყოფმან მათგანმან და სიდიდისათჳს ღირსებისა არცა გონებად მოსლვად შემძლებელთა, გამოიკითხვიდა მათგან ვითარ მქონებულ არიან მეცნიერებასა ყოველთსა. რამეთუ იფქლსა არა მისცემდა მათ თანად და მეფისა მონაგებთა განმსტურობად მოსლვასა ეტყოდა მათ და მრაველთა ადგილთაგან შემოკრებულებასა მათსა და მიზნუ-ყოფასა ნათესავობისასა, რამეთუ არა შესაძლებელ არს კაცისა მსოფლიოსაჲ მიერ ესევეითართა ყრმათა და სახითა ესოდენ საჩინოთა აღზრდაჲ, ძნელად მყოფობისათჳს და მეფეთათჳსცა ესევეითარსა ყრმათმზრდელობასა. ხოლო ცნობისათჳს მამისა ძლიოთა და შემთხუეულთა მისდა შემდგომად მისისა განშორებისა, ამით მოქმედებდა, სწავლად მნებებელი, და ძმისა ვენიამენის ძლიოთაჲცა, რამეთუ მოშიშ იყო, ნუსადა მისცა აღმკოცელ იყვნენ ნათესავობისაგან მსგავსად მისა, რომელნი მისა მიმართ იკადრნეს.

3)* ხოლო იგინი იყვნეს შფოთსა შინა და შიშსა და ჰირისა დიდისა მიერ მოცეულებასა თჳსსა მექუელნი და არარას ძმისათჳს გონებად მიმღებელნი. მდგომარენი მიზეზთა მიმართ, სიტყუა-უგებდეს¹ როვიმოს წინამეტყუელებასა², რომელი უხუტესი იყო მათი. „რამეთუ ჩუენ, თქუა, არა უსამართლოებისათჳს მოვედით აქა, არცა ბოროტის-ყოფად მეფისა მონაგებთა მოქენენი, ხოლო ცხოვნებისანი და სოფლისა ჩუენისა გარემომცველთა ბოროტთა მისა-ლტოლველად კაცთმოყუარებასა თქუენსა მომღებელნი, რომელთა ძლით არა მოქალაქეთა თჳსთა მიმართ მხოლოდ, არამედ და უცხოთაცა მიმართ წინადადებად გუესმოდა სყიდასა იფქლისასა, განმბჰობელთა მიმართ მინიჭებად ყოველთათჳს, ცხოვნებად მოქენეთა. ხოლო რამეთუ ვართ ძმანი და ზიარ ჩუენდა სისხლი, ცხად-ჰყოფს ვიდრემე და სახისაცა თჳსებჲა, არა მრავლად განყოფილი. ხოლო მამა ჩუენდა არს იაკოვოს, კაცი ევრაელი, რომლისა ვიქმნენით ათორმეტნი ყრმანი ოთხთა ცოლთაგან, რომელთაცა ყოველთა მყოფობასა ვართ კეთილბედნიერნი, ხოლო ერთისა ძმათაგანისა, იოსიპომას, სიკუდილმან საქმენი ჩუენნი უძკერისსა მიმართა გარდაცვალნა, რამეთუ მამაჲ გრძელსა გლოვასა მის ზედა მნებებელ არს და ჩვენ განსაცდელისა მიერ მომკუდრის ზედასა დაუღლურებისათჳს მოხუცებულისა ძკრ-ვხლულობთ. და აწ მოვედით სყიდად იფქლისა, მამისა ზედმოურნეობასა და სახლის შინათა განგებასა ვენიამენისთჳს, უმრწემესისა ძმათაგანსა, მარწმუნებელნი. ხოლო შემძლებელ ხარ წარმავლენელი სახლად ჩუენდა სწავლასა, უკუეთუ არს რაჲ ტყუევილ თქუმულთაგანი“.

4)2* და როვიმოს ვიდრემე, ესევეითართა მიერ, მოს/წრავე იყო რწმუნებად იოსიპომასა და მათთჳს უმჯობესსა განზრახვად. ხოლო მან, იაკოვოსს ცოცხლად მსწავლელმან და ძმასა არა წარწყმედილად, მაშინ ვიდრემე სა-

¹ სიტყუა-უგებდეს.

* დაბ. 42,10. ² κατὰ σείδιους τὸ πρὸς τὰς ἀτείας ἀπελυσθε Ἰουβήλου προφητοσύνης 1₁₀₀ (=აირჩიეს მათდამი წაყენებული ბრალდებების უარსაყოფად რებენი). ³ დაბ. 42,17.

პერობილედ შთაყარა იგინი, მოცალეზით გამოძიებად მგულეზელმან. და მესამესა უკუე დღეთასა, გამომყვანებელმან მათმან, ვინათგან ჰრქუა: „წინა- აღმდგომ ხართ არცა ბოროტმოქმედებისათჳს მეფისა მონაგებთაჲსა მოსვლად და ძმად-ყოფადი და მამისა, რომლისაგან ჰმეტყუელებთ. მარწმუნოთ უკუე ამათი ესრეთ ქონებაჲ, უკუეთუ დაუტეოთ ერთი თქუენგანი ჩემ თანა, არა- რას გინებასა მენებელი, ხოლო მიმღებელნი იფქლისანი მამისა მიმართ, კუა- ლად მოხვდეთ ჩემდა მომართ, მომყვანებელნი თქუენ თანა და ძმასაცა, რომ- ლისა დატევებასა მუნ ჰმეტყუელებთ, რამეთუ ესე იყოს დამამტკიცებელ ქეშმარიტებისა“. ხოლო იგინი უდიდესთა ბოროტთა შინა იყვნეს, ტიროდეს თანად და მრავლად ურთიერთას¹ მიმართ მგლოვარე იყვნეს იოსიპოჲს გან- საცდელისათჳს და ვითარმედ ძენად მისთჳს განზრახულთა ძლით, მათისა განმსჯელისა ღმრთისაგან, ამათ შთავარდეს. ხოლო როვიმოს დიდ იყო მკუ- ედნელი მათი სინანულისა ძლით, რომლისათჳს არაჲ სარგებელ ეყოფვის იოსიპოსს, მოთმინებად უკუე მათ ყოველივე, და რაჲცა ევენოს შურისგებისა- თჳს მის ძლითისა ამათისა მოქმედისა ღმრთისაგან, სიმკნით ევედრებოდა. ხოლო ამათ იტყოდეს ურთიერთას მიმართ, არა მექუელნი იოსიპოჲსნი მეცნი- ერებასა ენისა მათისასა. მწუხარებასა უკუე აქუნდეს ყოველნი სიტყუათათჳს² როვიმოჲსთა და მოქმედებულისა შენანებასა, ვითარ არა მათგან განბჭობილ- თასა, რომელთა ზედა ტანჯულნი სამართლიანთა მოქმედად სჯიდეს ღმერთსა. ხოლო მხედველი მათი იოსიპოს ესრეთ უღონოთჲ ვენებისა მიერ, ცრემლთა შთავარდა. და არა მნებებელი ძმათად საჩინო-ქმნისაჲ, განეშორებოდა და, დამ- ტევებელი, კუალად მოვიდოდა მათდა მიმართ. და მპყრობელმან სუმეონისმან, თანმოყუსად აღსლვასა ძმათაჲსა მგულეზელისამან, მათ, მიმღებელთა სასყი- დელსა იფქლისასა, უზრძანა წარსლვაჲ, მბრძანებელმან მსახურისამან ვე- ცხლსა, რომელსა მომღებელ იყვნეს სასყიდლად იფქლისა, ფარულად ტკრთ- თა შინა შთამდებელსა, განტევებად მისსაცა მიმღებელთა. და იგი ვიდრე მცნებულთა მოქმედებდა.

5)* ხოლო იაკოვოჲს ყრმათა, მისრულთა ხანანიად, მიუთხრნეს მამასა ეკვტეს შინა შემთხუეულნი³ მათდა: და ვითარმედ განმსტურობად მეფისა სა- გონებელ იქმნეს მისლვად და მეტყუელნიცა ძმად-ყოფისანი და მეათერთმე- ტესა სახლად დატევებისანი, არა ირწმუნებოდეს, ვიდრემდის დაუტევენესცა სუმეონ მკედართმაჯრისა თანა⁴, ვიდრემდის ვენიამინ, თვთ წარსრული, და- მარწმუნებელ იქმნეს მისდა მის მიერ თქუმულთა. და ევედრებოდეს მამასა, არარაჲს მოშიშსა, წარვლინებასა მათ თანა ჭაბუკისასა. ხოლო იაკოვოჲს არცა ერთი სათნო-უჩნდა ძეთა მიერ მოქმედებულთაგანი და, სუმეონის პყრობი- ლებისათჳს მწუხარებით მომმთმენელი, სიკუდილად ჰგონებდა დაძინებასა ვენიამენისსაცა. ხოლო როვიმოს ვინაჲთგან ევედრებოდა და ყრმათა თჳსთა ნაცვალად მისცემდა, რაჲთა, უკუეთუ რაჲმე ევენოს ვენიამენს წარსლვისაგან, მოსწყვდნეს იგინი ჰაჲმან, ირწმუნა სიტყუათაჲ. და იგინი უკუე უღონო იყ- ვნეს ბოროტთა ზედა და უმეტესად შეაშფოთებდა მათ ვეცხლი, ჰოვინლი ჰურჰელთა შინა იფქლისათა დამალული. ხოლო იფქლისა, მათ მიერ მოღე- ბულისა, მოკლებულობასა და სიყმილისა უმეტეს შეწუხებასა, იძულებითა ჰირისაჲთა იაკოვოჲს წარგზავნაჲ საჯა ვენიამენისი ძმათა თანა, რამეთუ არა

¹ ურთიერთას A, ურთიერთს Q, ურთიერთარს S. * სიტყუათათჳს. † შემთხუეულნი.

* დაბ. 42,29. ^{1*} ἄρα εἶπὲν ὁ ἀγαθὸς 2₁₁₁ (σφαιρῆτος = 1) მხედართმთავარის; ² მმართვე- ლო. † კონტექსტში იგულისხმება „მმართველი“).

იყო მისლვამ მათდა ეგვპტეს, არა წარსრულთამ მცნებულეებისაებრ. და ვენ-
ბისა დლითი-დლე / უმძენვარეს ქმნილობასა და ძეთა მეედრებელობასა, არა
აქუნდა იაკოვოს, რამ იკუმბიოს წარმოდგომილთა ზედა. ხოლო იულდა, მამა-
ცაცმან კადნიერმან სხუათაცა ზედა ბუნებით, იკუმბია მისა მიმართ კადნიერ-
ბამ, ვითარმედ არა ჭერ-არს მისდა შეშინებამ ძმისათვის, არცა ბოროტთა მეკუ-
ელობისა მიღებამ, რამეთუ არაარამ მათგანი იმოქმედოს ძმისა მიმართ, რომ-
ლისა არა თანა-იყოს ღმერთი, ხოლო ესე შემთხუვეად არს ნანდვლვე და მის
თანაცა მყოფისა; გარნა არა გამორჩევად მათსა ესრეთ ცხადსა წარწყმედასა,
არცა მიღებად მათგან ფარაოთის მიერსა საზარდელისა ღონიერებასა უსი-
ტყუთა¹ ყრმისა ძლითითა შიშითა, თანად და ზრუნვად სკემონისცა ცხორებასა,
რამთა არა წარწყმედეს იგი კრძალულებითა ვენიამენის წარგზავნისაჲთა. ხო-
ლო მის ძლითთა ღმრთისა მარწმუნებელმან, თქუა ესეცა იულდა, ვითარმედ:
„ანუ მრთელი აღმოვიყვანო შენდა ძე, ანუ ერთბამად თანდაცაქციო მისდა
ცხორებამ“. რწმუნებულმან უკუე იაკოვოს მისცა ვენიამინ, ფასი იფქლისაჲ
ორწილი თანად და ხანანელთა შორის ქმნილთაგან უბრძანა მიღებად იოსი-
პოჲსა ძლუენთა: ვალანოჲსა, ნელსაცხებელსა და სტახშსა და ტერევეინთოსა²
და თაფლსა. ხოლო მრავალნი იყვენეს მამისა მიერ განსლვისა ზედა ყრმათასა
ცრემლნი და თვთ მათნიცა, რამეთუ იგი ძეთათვის, უკუეთუ აღმოვიდენ მრთე-
ლნი, ზრუნვიდა, ხოლო იგინი — უკუეთუ ეწინენ მამასა მრთელსა და არარას
მათ ზედამსა მწუხარებისაგან მენებელსა. და დლე ყოველ აღესრულა გლოვამ
მათი. და მოხუცებული ვიდრემე, ტკივნეული, მოთმინე იყო, ხოლო მათ მიი-
მართეს ეგვპტედ, მიმართ უმჯობესისა თანა სასოებისა მწუხარებასა წარმო-
დგომილთა ზედასა განმკურნებელნი.

6)^{1*} ხოლო ვითარ მივიდეს ეგვპტედ, მიიყვანებიან იოსიპოჲს მიმართ.
და შიში შეაშფოთებდა მათ არა დამთხუვეითი, ნუსადა იფქლისა საფასოჲსა-
თვის პატიენი მიიხუნენ, ვითარ თვთ რამსავე ბოროტისმოქმედთა. და იოსიპო-
ჲს საუნჯეთმპყრობელისა მიმართ ფრიალდა სიტყვისგებასა ჰყოფდეს, მეტყუ-
ელნი სახლად პოვნასა ვეცხლისასა კურკელთა შინა და აწ, მომდებელთა მის-
თა, მოსლვასა. ხოლო ვინამთგან იგი ეტყოდა მათ არა მეცნიერებასა, რომელსა
რას იტყვან, განტევებულ იქმნეს შიშისაგან თანად. და მოურნე იქმნა, გან-
მკსნელი სკემონისი, რამთა იქცეოდის ძმათა თვისთა თანა. ხოლო ამას შინა
შოვიდა იოსიპოსცა განსლუენებისაგან მეფისა. და მიიხუნეს მისა ძლუენნი და,
მკითხველსა მამისათვის, მიუგეს, ვითარმედ „ვოკვეთ იგი მრთელი“. ხოლო
მან, მსწავლელმან მოსლვასა ვენიამენისსა, „უკუეთუ ესე არს უქაბუეკსი
შმაჲ“, ჰკითხა, რამეთუ მხილველქმნილ იყო მისა. ხოლო მათ მიუგეს რამ
ყოფამ მისი; ღმრთისა ყოველთა ზედა თქუა შემწედ-ყოფამ. ხოლო ვენებისა-
გან აღძრული ცრემლთადმი განეშორა, არა მნებებელი ძმათად ცხად-ქმნისაჲ.
სერობად უკუე მიიყვანნა იგინი და დაისხნიან ვიდრემე ესრეთ, ვითარ და
მამისაცა მიერ. ხოლო მათ ყოველთა, იოსიპოს, შემწყყნარებელმან მის თანა
მსერებელთაგან, უმეტეს ორ კერძოთა წილთა² მიერ პატივ-სცა ვენიამენს.

7)^{2*} ხოლო შემდგომად სერობისა ძილად მიდრკებოდეს. უბრძანა კე-
ლარსა იფქლსა აღწყულსა მიცემამ მათდა და ფასსა კუალად დამალვამ კურ-
კელთა შინა, ხოლო ტკრთსა შინა ვენიამენისსა და თასსაცა ვეცხლისაცა, რომ-

¹ უსიტყუთა. ² წელთა.

* *στανειν υπεβυστον* 2₁₁₈ (=მწვეთავი ტერევეინთო). ^{1*} დაბ. 43,15. ^{2*} დაბ. 44,1.

ლითა მსუმელი იშუებდის, შთადებად მას შინა და დატევებად. ხოლო იქმოდა ამათ ძმათა გამოცდილებისა მიღებად მნებებელი, უკუეთუ შეეწევიან სადმე ვენიაშინს, მიყვანებულსა პარვისა ძლით და გულეებადსა ტანჯვად, ანუ დამტევებელნი, ვითარ თვთ იგინი არაარაას ბოროტისმოქმედნი, წარვლენ მამისა მიმართ. ხოლო მსახურმან იქმოდნა რაჲ მცნებულნი, შემდგომად დღისა, არაარაას ამათგანისა მეცნიერნი, იაკოვოას ყრმანი წარვიდეს, მიმყვანებელნი სუმონისნი. და მრჩობლითა სიხარულითა იხარებდეს მას ზედა და მიყვანებასა ზედა ვენიაშინისასა მამისა მიმართ, ვითარ აღუთქუეს. ხოლო ეწიენეს მათ შვედარნი, მიმყვანებელნი მსახურსაცა, რომელმან შთადევა ტკრთსა შინა ვენიაშინისსა თასი. შემფოთებულთა უკუე მოულოდებელისა ცხენოსანთა ზედმოსლვისაგან და მიზეზისა მკითხველთა, რომლისათვის მამაკაცთა ზედა მივიდეს, რომელნი მცირედი უწინარეს პატივსა და შეწყყნარებასა მიემთხვნეს მეუფისა მათისაგან, ბოროტად უწოდდეს მათ წევნულნი, რომელნი, არცა თვთ მათ შეწყყნარებასა და სიყუარულსა იოსიპოასსა კსენებად მიმღებელნი, არა მცონარე იქმნეს უსამართლომსა ქმნასა მისსა მიმართ, რამეთუ თასსა, რომელსა შინა სიხარულით წინაშე მათსა სუმიდა, აღმღებელნი, მქონებელ არიან უჯგრომსა მოხუევისა ძლით და იოსიპოას მიმართსა სიყუარულსა თანად და ჳირსა თავთა თვისთასა, განცხადნენ, მფორესა შინა დამდებელ არიან. სატანჯველსა უკუე მიცემად აქალებდეს მათ, არა დამალულთა ღმრთისაგან, არცა განვლტოლილთა და პარვისა თანა, დადაცათუ განმგებელსა მსახურსა დაეფარნეს: „მკითხველ ხართ აწ, ვითარ არა მეცნიერნი, რაჲსათვის მოსრულ ვართ. სცნათ უკუე, ტანჯულთა მეყუსეულად“. და ამათ და ამათსა უმეტესთა მათდა მიმართ მეტყუელი, მონაჲ აგინებდა მათ. ხოლო იგინი, უმეტერებისათვის მათ ძლითაჲსა, აყუედრებდეს მათ თქუმულთა ზედა და განკკრდებოდეს სუბუქსიტყუაობისათვის მონისა, მკადრებელისა მიზეზსა მოღებად მამაკაცთა ზედა, რომელთა არცა საფასოჲ, იფქლისაჲ, ძაძათა მათთა პოენილი, იპყრეს, არამედ მოილეს, არცა ერთისა ვის მეცნიერებასა მოქმედებულისასა, ესოდენ განშორებულთა ბოროტმოქმედებისაგან ნებსით. და უგარყოფისასა უკუე უსარწმუნოესად შემრაცხელთა განხილვისათა უბრძანეს² მისი ეუმევაჲ. და უკუეთუ ვინ იპოვოს³ მათ შორის მპყრობელ, რაჲთა ყოველნი იტანჯნენ, რამეთუ არაარაას მეცნიერნი თავთა თვისთა მიმართ, მქონებელ იყვნეს კადნიერებასა, ვინაჲთგან ჳკონებდეს უქირველობასა. ხოლო იგინი, აღხილვასა ვიდრემე ღირსებულნი ქმნად, ტანჯვასა ერთისასა ყოფად იტყოდეს, რომელიცა იპოოს მოქმედი პარვისაჲ. ხოლო ძიებისა მოქმედნი და სხუათა ყოველთა გამომეძიებელნი განხილვასა შინა, უკუანაჲსკენელსა ზედა ვენიაშინის მოვიდეს, არა უმეტარნი, ვითარმედ მისსა ძაძასა შინა დამმალველ იქმნეს თასსა, არამედ გამოწულილითსა ძიებასა მნებებელნი მოქმედებად საეჭუ-ყოფისათვის. და სხუანი უკუე ყოველნი, კსნილნი მათ ძლითისა შიშისაგან, მიერთგან ვენიაშინისთვის ჳრუნვასა შინა იყვნეს, გარნა უშიშ იყვნეს, ვითარ არცა მათ თანა პოენისათვის ბოროტმოქმედებისა. და ჳგმობდეს მდევართა, ვითარ მაყენებელთა მათთა გზისაგან, შემძლებელთა აწვე წინაწარსლვად. ხოლო ვითარ ვენიაშინის ტკრთისაგან მხილველთა მიიღეს თასი, მეყუსეულად გლოვათა და ტირილთა მიმართ მიდრკეს და სამოსელთა განმხეთქელნი, სტიროდეს ძმასა გულეებადისა სატანჯველისათვის პარვისა ძლით და თავთაცა თვისთა ეგლოვდეს, განმტყუენებულთა მამისა მიმართ ვენიაშინის ცხოვრებისათვის.

1 წინაჲ. 2 უბრძანესა A. 3 იპოვოს A.

ხოლო მიეფინებოდა მათ ზედა ბოროტი და შეშურებამა, აწლა მეჭუელთა განვლტოლვად ძენთაგან; ხოლო ბო/როტთათჳს ძმისათა და მამისათა მის ზე-
ნაჲსა კმნადისა მწუხარებისათჳს, ხოლო თავთა თჳსთა მიზეზ იტყოდეს; მაი-
ძულეებლად მამისა უენებლიეთ მათ თანა წარგზავნისათჳს.

მ)* და ცხენოსანთა უკუე, მიმყანებელთა ვენიამენისთა, მიიყვანეს იოსი-
პოსს მიმართ, ძმთაცა უკუანაშედგომილობასა. ხოლო მან, მხილველმან მის-
მან საპყრობილესა შინა, ხოლო სხუათამან — მგლოვართა სახითა, „რამსა გან-
მგონეთა, მ ბოროტნო, ჰრქუა, გინა ჩემისა კაცთმოყუარებისათჳს, ანუ
ღმრთისა წინმოურნეობისათჳს, ესევეთართა მოქმედება კეთილმოქმედისა¹
და უცხოთ შემწყნარებელისა იკადრეთ?“. ხოლო იგინი მისცემდეს თავთა
მათთა ტანჯვად ცხოვნებისათჳს ვენიამენისა. და კუალად მომკსენებელნი იოსი-
პოსს მიმართ მათ მიერ კადრებულთანი და მწოდებელნი მისნი უსანატრელე-
სად მათსა, უკუე მოკულა, ხოლო უკუეთუ არს ვიღრელა, ღმრთისა მიერისა
შურისგებისა არს ესე ბოროტისა მათისათჳს. და თავთა უკუე თჳსთა მამისა
მაგინებლად იტყოდეს, რამეთუ მწუხარებასა, რომელსა. მქონებელ არს მის
ზედა ვიღრე აქამომდე, და ვენიამენისაცა ზედა დასძინონ. ღიდ იყო აქაცა
ვინა როვიმოს, მაყუდრებელი მათი. ხოლო იოსიპოს ეტყოდა მათ სხუათა
ვიღრემე განტევენასა, რამეთუ არარაჲ იუსამართლეს მათ, გარნა მხოლოდ
კმა-ყოფად ტანჯვასა ზედა ყრმისასა; რამეთუ არცა ამისსა განტევენასა ჯე-
როვნად იტყოდა არარაჲს მცოდველთა ძლით, არცა თანტანჯვასა მათსა პარ-
ვისა მოქმედსა თანა. წარვიდეს უკუე, მიცემად სიმტკიცესა მამკნებელისასა^{1*}.
და სხუანი ვიღრემე განკრკვებამან შეიპყრნა და ენებისა თანა უკმოებამან.
ხოლო იუდა, მამისა მარწმუნებელმან წარვლინებად ყრმასა და სხუათაცა ში-
ნა მოქმედებითად მყოფმან მამაკაცმან, ძმისა ცხორებისათჳს საჯა იოსიპოსს
მაიხლებამა.

„და ბოროტნი ვიღრემე, თქუა, ოჲ მკედართმთავარო, ვიკადრენით შენ-
დაში და განსჯისა ღირსნი და ჩუენ ყოველთა სატანჯველსა მოთმენისანი²
სამართლად, დაღაცათუ უსამართლოებამა არა ჩუენ ყოველთაჲ, არამედ ერთისა
უჭაბუკესისაჲ იქმნა. გარნა ეგრეთვე ჩუენდა ცხორებისა მის ძლითისა გან-
მწირველთათჳს, სასოებამა დატევებულ არს შენისა სახიერებისაგან, აღმოქუ-
მელისა განვლტოლვასა კირისაგან. და აწ ნუ ჩუენ მიერსა³ მიხედავ, ნუცა
ბოროტმოქმედებასა გამოეძიებ ჩუენსა, არამედ თჳსისა ბუნებისასა და სათნო-
ებასა თანგანმზრახად მოქმედი, ნაცვლად რისხვისა, რომელსა სხუებრცა მცი-
რედნი ძალად მიიღებენ არა ღიდთა ზედა მხოლოდ, არამედ და დამთხუეულ-
თაცა მკუმელნი მისნი, იქმენ მისა მიმართ ღიდგონიერ და ნუ იძლევი მის
მიერ მოკუდინებად ჩუენდა, ვინაჲთგან არა ჩუენ ნაცვალმძრძოლ⁴ ვარა
თჳსისა ცხორებისათჳს, არამედ შენგან მვედრებელ ვართ მიღებასა ამისასა.
და რამეთუ არა აწ პირველად მოგუანიჰებ ჩუენ ამას, არამედ და ძუელო-
დესვე მოსრულთა სყილად იფქლისა და ღონიერებამაცა საზრდელისაჲ მოგუა-
ნიჰე, მომცემელმან წარღებად სახლისათა მიმართ, რაოდენთა გუაცხოვნეს
ჩუენ, იძულებულნი წარწყმედად სიყმილისა მიერ. ხოლო არარაჲთ ჰმატს
ანუ არა გარემიქცევაჲ წარწყმედილთაჲ ნაკულუევანებისაგან საპყროთაჲსა,

¹ კმქმდებენ კეთილმოქმედისა A, კმამოქმედებენ კეთილმოქმედებისა QS, კმამოქმედება კეთილ-
მოქმედისა D. ² მოთმენისანი AQ, მოთმენისანი S. ³ მიერსა] + მიერსა A. ⁴ ნაცვალმძრძოლ A.

* დაბ. 44, 14. ^{1*} *βῆθι οὐκ ἐξ ἀπορίας* *διεφάσειεν* *ἐπαγγελλομένοι* 2, 138 (=წაიღონენ,
აძნო რა მან მათ უმშობრობა).

ანუ არა ტანჯვამ იქუნეულთაჲ ცოდვად და შეშურვებულთაჲ ბრწყინვალისა კეთილმოქმედებისა შენ მიერ ქმნილისაგან; ხოლო იგივე მადლი სხვათა ვიდრემე გუარითა მოცემული, რამეთუ აცხოვნენ, რომელთა აქამომდე ზრდილი, და სულნი, რომელნი სიყმილისა მიერ ძვრხილულობად არა უტევენ, დაიცვენ ნიჭთა შენთა მიერ. რამეთუ საკვრეულ და თან და დიდ — მოცემად ჩუენდა სულთაჲ და მონიჭებაჲ, რომელთა მიერ ესენი თან-დაადგრებიან უღონოთათჳს საზრდელისაგან თანად. და ღმერთსა ვკვონებ მიზეზსა ამის შემზადებად, მნებებელსა გარემოდგომად ჩუენდა / ამის განსაცდელისა ცხადყოფისათჳს სიდიდესა სათნოებისა შენისასა, რაჲთა კაცთმოყუარედ საგონებელ იქმნე, შემნდობელქმნელი შეცოდებულთაჲ შენდა მიმართთა უსამართლოებათათჳს და არა მხოლოდ სხვსა მიზეზისათჳს მოქენეთა შეწვევისათაჲ. ფრად დიდ ვიდრემე და ქმნადცა კეთილისაჲ ვიეთმე დადგინებულთა მიერ საკვარებისა მიმართ, არამედ უმეტეს მთავრებრივი — ცხოვნებაჲ სასჯელისაჲ თანადებთაჲ მათდა მიმართთა ნაკადრებათათჳს. რამეთუ უკუეთუ მიტევებამან მცოდველთათჳს მცირედთა ზღვეულებათამან ქებაჲ მიართუა მიმტევებელთა, ამის ძლითი ურისხველობაჲ, რომელთათჳს ცხორებაჲ თანმდებ სატანჯველისა მეუსამართლოეთაჲსა იქმნების, ღმრთისა ბუნებასა მიემსგავსების. და მე, უკუეთუმცა არა იყო მამად ჩუენი, რომელი განშორებისათჳს ყრმათაჲსა ძვრხილულობს, მწუხარე იოსიპოჲს აღსრულებისათჳს, არამცა ვყვენ სიტყუანი ჩუენ ძლითისა ცხორებისათჳს, არამედ, მიმნიჭებელმცა, ვყავ სახიერებისა შენისა, შემძლებელისა კეთილად ცხოვნებასა კაცთა, არა მქონებელთასა რომელნი შეწუხნენ, უკუანადსენელ მოკუდენ რაჲ, და მივსცენითმცა თავნი თჳსნი ვნებად, რომელიცა გენებოს. ხოლო აწ, არა თავთა თჳსთა შემწყნარებელი, დადაცათუ ჳებუენი და არა ცხორების შინათაგან შეუბული მოვკუდებით, გარნა მამისა ძლით გულისმსიტყუეენი და სიბერისა მისისა შემწყალებელი ამთ ვედრებათა! მოგართუამთ და ვიკმნით სულთა თჳსთაგან, რომელი შენ ბოროტმოქმედებაჲმან ჩუენმან მოგცნა, რომელმან არცა თჳთ მან ბოროტმან, არცა ესევითარად ქმნადნი გუყვნა, არამედ კეთილად მყოფმან და ესევითართა განცდისა არა ღირსმან და აწ, განშორებულთა ძლით, ჩუენ ძლითთა ზრუნვათათჳს ძვრ-ვნებულობს; ხოლო მსწავლელი წარწყმედისაჲ და თანად თუ რომლისა მიზეზისათჳს, არა მოთმინებოდეს, რამეთუ ამის ძლით მრავლად უმეტეს ცხორებისა დამტევებელ იქმნეს. და უდიდებობაჲ ჩუენისა დამტევებელისაჲ ეწიოს მას, თავისმკლველსა, და ბოროტ-იყოს მისი ცხორებისაგან გარდაცვალებაჲ პირველ მიწვენანდმდე ჩუენ ძლითთა, სხუათა მიმართ, მოსწრაფექმნილისაჲ გარდალებაჲ თავსა თჳსსა უგრძნობელობისა მიერ, ქმნილმან უკუე ამას შინა გონებითა. დადაცათუ აწ სიბოროტე ჩუენი და მისდა¹ მიმართ სამართალი აღგმანუავს შენ, მიანიჭე მამასა და შემძლებელ იყავნ მისა მიმართი წყალობაჲ უმეტეს სიბოროტისა ჩუენისა; და სიბერე უღაბნოსა შინა გულგებადი ცხორებად და სიკუდილად ჩუენ წარწყმედულთათჳს შეიკდიმე, მამათა სახელისაგან ამის ნიჭისა მიმნიჭებელმან. რამეთუ ამას შინა და მშობელსაჲ შენსა მისცემ პატივთა და თავსაცა თჳსსა, მშუებელი ვინმე აწვე² სახელისლებისაგან და უვნებელად მას ზედ დაცვადი ღმრთისა მიერ, ყოველთა მამისა, რომლისა მიმართ ზიარებისათჳს სახელისა კეთილ პატივის-

¹ ვედრებათა A.

² ესე იგი არს: მამამან ბოროტმან კაცმან არა ესევითართა ბოროტთათჳს გუაშენა, ვითარმცა ბოროტ ვიქმნეთ. ³ ესე იგი არს სიბოროტისა ჩუენისა მიმართ. ⁴ რამეთუ აწლა მამად იყო იგი ძრთა ძეჲ და მამად იწოდებოდა, ვინაჲ ჳერ-იყო მისა მამობისა სახელსა პატივისცემა.

მცემელად ითნო, მიმღებელი მის მიერ წყალობასაცა მამისა ჩუენისასა, რომელთა ზედა იენოს ყრმათაგან დაკლებულმან. შენი უკუე არს მოცემად ჩუენდა, რომელნი მოგუანიტუნა ღმერთმან, კელმწიფებასა მქონებელისაჲ მიღებად ამით და არაჩაბთ განყოფილებად ჩიჭისა მისისაგან. რამეთუ მჩრობლ კერძოჲსა ძალისა მიმთხუელისაჲ კეთილ არს ამისი კეთილთა შინა ჩუენებაჲ და¹ სხვსა განტეგებაჲ და ამისდა მიმართისა ვიდრემე კელმწიფებისაჲ, ვითარ არა მყოფისა დაეწყებაჲ, გარნა მხოლოდ მიდრეკაჲ მგონებლობასა ზედა ცხოვნებისასა. და რაოდენ ვინ უმრავლესთა მიანიჭოს, ესე უფროჲსა გონებად ამისი მიცემაჲ. ხოლო შენ ჩუენ ყოველნი გუაცხოვნე მძისა შემნდობელმან, რომელთათჳს ძნელ-ბედობს, რამეთუ არცაღა ჩუენდა იყოს ცხოვრებად¹, ესე თუ დაისაჯოს, რომელთაჲ არა შესაძლებელ არს მამისა მიმართ მიწეგნაჲ მხოლოთაჲ, არამედ აქა შინა ჯერ-არს ზიარებაჲ ამისა მასვე დაქცევასა ცხოვრებისასა. და ესოდენ მოქენე ვართ, მკედართთაგარო, დამსჯელო ძმა/სა ჩუენსა სიკუდილად, რაჲთა თანა-დაგუსაჯენე ჩუენ, ვითარ უსამართლოებისა ზიარნი, რამეთუ არად შევრაცხოთ ჩუენ მოკუდინებაჲ² თავთა ჩუენთაჲ, ვითარ მწუხარებისათჳს ძმისა მომკუდარისა, არამედ ვითარცა მსგავსად მისა, ბოროტქმნილთა, ესრეთ სიკუდილი მოვითმინოთ. და რამეთუ ვიდრემე და ჰაბუჲად მყოფმან ცოდა და არღა გონიერებასა ზედა განმტკიცებულმან და რამეთუ კაცობრივი არს ესევეითართა შენდობისა მინიჭებაჲ. შენდა მიმტეგებელი დავსცხრე წამართ მეტყუელებად, რაჲთა უკუეთუ დასაჯენე, ჩუენ მიერ თქუმულნი საგონებელ იქმნე ვნებად ჩუენდა უმკმუნგარესისა მიმართ, ხოლო უკუეთუ განუტევენე მათცა, სახიერებისა შენისა თანა განმხილველი, უკუნბრტობად საეჭუელ იქმნე, არა მაცხოვნებელი ჩუენი მხოლოდ, არამედ და რომელთა მიერ უფროჲსა სამართლიანად გამოვჩნდეთ, მიმთხუევად მომნიჭებელი და უმეტეს თვთ ჩუენსა ცხოვრებისა ჩუენისა მოურნე. და უკუეთუ ვიდრემე მოკუდინებაჲ მისი ვნებაჲს, დამსჯელმან ჩემმან ნაცვლად ამისსა, ესე მამისა წარავლინე თანად. უკუეთუ და მონად პყრობაჲცა თნებულ არს შენდა, მე საჯმარებათა მიმართ უმჯობეს მსახურ ვიყო შენდა და ვითარ ხედავ, მჩრობლისავე მიმართ ვნებათაჲსა უმჯობეს-ვიყოფები“.

და იუდა ვიდრემე, ყოველთა მოთმენად ძმისა ცხოვრებისათჳს შუეებით მქონებელმან, დააგდო თავი თჳსი წინაშე ფერკთა თანა იოსიპოჲსთა, მღუწველმან, რაჲთა მოალბოს რისხვად მისი და დაამჴდოს. წინა-დაეცნეს უკუე ყოველნი ძმანიცა, ცრემლოვანნი და მიმცემელნი თავთა თჳსთანი სიკუდილად ვენიამენის სულისათჳს.

9)* ხოლო იოსიპოს, მხილებულმან ვნებისაგან და არღა შემძლებელმან მოღებად თნებასა რისხვისასა, მუნ ვიდრემე მყოფთა უბრძანა წარსლგაჲ, რაჲთა მხოლოთა ძმთა განუტყადოს თავი თჳსი. ხოლო განეშორნეს რაჲ იგინი, საცნაურ-ქმნა თავი თჳსი ძმთა მიმართ და თქუა: „სათნოებისათჳს ვიდრემე და სიყუარულისა ძმისა მიმართ ჩუენისა გაქებ თქუენ და უმჯობესად, რაოდენ ვკვონებდი ჩემდა მომართ განზრახულთაგან, გპოებ, ამათ ყოველთა მოქმედი გამოცდისათჳს ძმისა მიმართისა სიყუარულისა თქუენისა. ხოლო არა ბუნებით გგონებ თქუენ ჩემდა მომართ ბოროტქმნილთა, განა ღმრთისა განზრახვითა, აწ განსუენებასა კეთილთასა მომვაკრებელისა და უკუანაჲსკენელი-

¹ ცხრებად. ² მოკუდინებაჲ.

³ ესე იგი არს კეთილისა ქმნაჲ და სიბოროტისა დატეგებაჲ.

* დაბ. 44,1.

სასა, რომელი კეთილმოწლებით დაგუადგრეს ჩუენ. ხოლო მამისა ცხოვრებასა მცნობელი, არღა სასოებულსა, და ესევეითართა მხედველი თქუენი ძმისათვის, არღარა მოცსენე ვარ მერმეცა, რომელთა ჩემდა მომართ მგონებელ ხართ ცოდვად, ხოლო დავსცხრე მათ ზედაჲსა ბოროტმოძულებობისაგან და ვითარ თანმიზნითა ღმრთისა განზრახულთასა, აწინდელთა ამითთვის მადლოებისა ქონებად აღვიარებ. ხოლო თქუენიცა მნებავს, დავიწყებისა მათისა მიმღებელთაჲ, უფროჲსღა მხიარულებად მაშინ განზრახულთა ესევეითარად დასასრულად მოსლვისათვის, ვიდრღღა მწუხარებად კდემულთა იაცოდვებთა ზედა. ნუ საგონებელ არს შეწუხებად თქუენდა ძენად ჩემ ზედა მოღებდა ბოროტისა ბჭობისაჲ და მას ზედა სინანული, არა წარმართებისათვის განზრახულთაჲსა. მხიარულნი უკუე ღმრთისა მიერ ქმნილთა ზედა, წარვედით, ამათნი მამისა მათუწყებელნი, ნუსადა და თქუენთაცა ზრუნვათა მიერ განლეულმან ზღვეულ-ყოს უმჯობესი კეთილბედნიერობისა ჩემისაჲ პირველ სახედველად ჩემდად მოსლვადმდე და მიღებად აწ მყოფთა კეთილთა, მომკუდარმან. ხოლო თუთ მას და ცოლთა თქუენთა და შვილთა და ყოველისა ნათესავისა თქუენისა მიმყენებელნი, აქა გარდამომკვდრენით, რამეთუ არა ჭერ-არს შორს-ყოფაჲ კეთილთა ჩუენთაგან ჩემდა საყუარელთაჲ. და სხუებრცა, ვინაჲთგან სიყმილისა ნეშტი ხუთწლობაჲ დაშთომილ არს“. ამათი მეტყუელი იოსიპოს გარემოებჯა ძმათა. ხოლო იგინი ცრემლთა შინა/ იყვენეს და მწუხარებასა მის ზედა განზრახულთა ძლით და სასჯელისაგან არარაჲთ დაკლებად საგონებელ იყო მათთვის კეთილსიმშვდე ძმისაჲ. და მაშინ ვიდრემე იყვენეს შუებასა შინა. ხოლო მეფემან, მსმენელმან იოსიპოს მიმართ მოსლვასა ძმათასა, განიხარა ფრიად და ვითარ თვისსა კეთილსა ზედა დადებულმან, მიანიჭნა მათ ურემნი იფქლითა აღსავსენი და ოქროჲ და ვეცხლი მიღებად მამისა. ხოლო იგინი, მიმღებელნი უმეტეს ძმისაგან რომელთამე მამისა მიღებად და რომელთამე თითოეული¹ ნიჭად თვისად ქონებად, უფროჲსღა მათგან ღირსებულებასა ვენიამინისსა, წარვიდეს.

28

თ. 7.

1) ხოლო ვითარ მიიწივენეს ყრმანი და ისწავა იაკოვოს იოსიპოს ძლითთაჲ, და ვითარმედ არა მხოლოდ განვლტოლვილ არს სიკუდილისაგან, რომელსა ზედა მგლოვარე იყო, არამედ და ცოცხალ არს და ბრწყინვალისა თანა კეთილბედნიერებისა მეფისა თანა განმგებელი არს ეგვპტისაჲ და მცირედღა ყოველსა ზედა მოურნეობასა მისსა კელთმპყრობელ არს, ურწმუნოდ ვიდრემე არარაჲ საგონებელ იყო მისდა თხრობილთაგან, რამეთუ გულისმსიტყუევი იყო ღმრთისა დიდსმოქმედებასა და მისდა მიმართსა სიყუარულსა, დაღაცათუ საშუვალ ჟამისა მოკლებულ იყო. და მეყუსეულად წარემართა იოსიპოს მიმართ.

2)* ხოლო ვითარ მიიწია ჭურღუმულსა ზედა ფიცისასა, მუნ მმსხუერპლველი ღმრთისაჲ და მოშიში, ნუსადა კეთილბედნიერობისათვის ეგვპტისა შინაჲსა ყრმათა, შემყუარებელთა დამკვდრებისათა მას შინა, არღარა დაიპყრან ხანანიაჲ მისგან შობილთა აღმოსრულთა, ვითარ აღეთქუა ღმრთსა, თანად ნუსადა ნებისა ღმრთისა გარეშე ქმნისათვის ეგვპტელ შთასლვასა, განი-

¹ თათუელი.

* დაბ. 46,1.

ხრწნას ნათესავი მისი, ხოლო ამათ თანა მოშიში, ნუსადა განვიდეს ცხორებისაგან პირველ სახელველად იოსიპოს ქმნადმდე, შთავარდა ძილად, თავსა შორის თვისა შქევი გულისსიტყუასა! ამას.

3)^o ხოლო ღმერთმან, ზედადაღვრომილმან მისდა და ორგზის სახელით მწოდებელმან, მკითხველისამან, ვინ არს: „არამედ არა სამართალ არს შენთვის, თქუა, და იაკოვოვსა ღმრთისა უცნაურებოა, მარადის თანამდგომელად და შემწედ მშობელთა შენთა და შემდგომად მათსა — შენდა ქმნილისა; თანად მოკლებულსა შენ მამისა მიერ მთავრობისაგან, მე მოგანიჭე ესე; და ჩემისა კეთილმოწლებისათჳს შუევამდინარედ მხოლოვ წარგზავნილი, ქორწილთა მიემთხვე კეთილთა და, ყრმათა სიმრავლესა აღმოძყვანებელი და საქმართაჲ, უკუ-მოიჭეც; და დაგადგრა შენ ნათესავი ყოველი წინმოურნეობითა ჩემითა; და რომლისაგან ძეთაგან წარწყმედლასა ჰგონებდი, იოსიპოვსსა, ესე მოსაგებელად უზეშთაესთა კეთილთა მოვიყვანე და ეგვპტისა უფალ-ყავე, ვიდრე მცირედლა მეფობასა მეფისასა; ხოლო აწ მოსრულ ვარ გზისა ამისა წინამძღუარ-ყოფადი და ცხორებისა შენისა დასასრულსა იოსიპოვს კელთა შინა ქმნადლსა წინამომასწავებელი და გრძელსა საუკუნესა შენგან შობილთასა მთავრობასა შინა და დიდებასა მიმთხრობელი და დამადგინებელი მათი ქუეყანასა შინა, რომელი აღმოთქუამს“.

4)* ამის ჩუენებისა მინდობილი, უგულსმოდგინესადრე ეგვპტედ ძეთა თანა და ყოველთა მისთა გარდაიცვალებოდა. ხოლო იყენეს ყოველნი სამეოცდაათნი. სახელთა ვიდრემე უკუე ამათთა უწყებად არა ვემცადინებოდე და უფროვსდა სიძნელისათჳს მათისა. გარნა რაჲთა წარმოუდგინო არა შუევამდინარით, არამედ ეგვპტით ყოფისა ჩუენისა მეჭუელთა, საქიროდ ვკგონე მოკსენებაჲ სახელთაჲ. იაკოვოვს უკუე ყრმანი იყენეს ათორმეტნი, ამათგანი იოსიპოს / აწეე უწინარეს წარსრულ იყო. ხოლო შემდგომნი მისნი და მათგან ქმნილნი ცხად-ყვენეთ: როვიმოს ვიდრემე იყენეს ყრმანი ოთხნი: ანოქის, ფალლუს, ასსარონ, ხარმისოს; ხოლო სუმეონისა — ექუსნი: იუმილოს, იამონოს, პუთოდოს, იაქინოს, სუაროს, ულსაროს; ხოლო სამნი ლევისა იქმნეს ძენი: გირსომის, კათოს, მარაიროს; ხოლო იუდაასა იყენეს ყრმანი სამნი: სალას, ფარეს, ზარასოს; ხოლო შვილისშვილნი ორნი ფარესისაგან ქმნილნი: ესრომოს და ამუროს; ისაკხაროვსა უკუე ოთხნი: თულას, ფურას, იასოვოს, ზამარომოს, ხოლო სამნი ზაველონს ესხნეს ძენი: სარადოს, ილონ, იანილოს. ესე ვიდრემე ნათესავი ლიდასგან, და ესეცა თანა-ადვიდა და ასული მისი დინა, სამნი უკუე ესენი და ოცდაათნი. ხოლო რაქილაასა იყენეს ყრმანი ორნი. ამათგანისა იოსიპოვსა ვიდრემე ორნი იქმნეს ძენი: მანასის და ეფრემის; ხოლო სხვისა, ვენიამენისა, ათნი: ვოლსორ, ვაკხაროს, ასავილოს, გირასოს, ნეემანის, იის, არო, ნომფთის, ოპტეს, საროდოს. ესენი ოთხნი და ათნი უწინარეს აღრიცხულთა თანა შუდად და ორმოც რიცხუად² იქმნებიან. და საკუთარი ვიდრემე იაკოვოვს ნათესავი ესე იყო. ხოლო ვალაისგან, რაქილას მკეველისა, იქმნებიან მისდა დანოს და ნეფთალის, რომელსა ოთხნი შეუდღეს ყრმანი: ელიინოს, ლუნის თანად და სარარის და სელლიმოს. ხოლო დანოვსა

¹ გულისსიტყუასა. ² რიცხვად.

^o და რამეთუ ისააკსა ესავისა ენება მთავრად დადგინებოა, არამედ ღმერთმან იაკობს მიანიჭა ესე უღრთხევისა მიერ ისაისა. და პირმშობებთა გარდაცვალებისა ესავისა იაკობის მიმართ.

* დაბ. 46,8; 46,21; 46,16.

მხოლოდშობილ იყო ყრმაჲ უსის. ესენი, თანაქმნილნი პირველთქუმულთა, ორმოცდაათთა და ოთხთა სრულ-ჰყოფენ რიცხუსა¹. ხოლო დადის და ასი-როს ზელფაჲსგან ვიდრემე იყვნეს, ლიამს უკუე ესე მკვეალი. ხოლო ყრმათა მყვანებელობდეს ღადის ვიდრემე შვდთა: სოფონიას, უგინს, საენის, ზავ-რონს, აირინის, ეროდინს, არილანს. ხოლო ასირომსა უკუე იყო ასული და ყრმანი წულნი, რიცხვთ ექუსნი, რომელთა სახელინი: იომნის, ისუი, იუვის², ვარის, ავაროს³ თანად და მელქიილოს. ამათსა ათექუსად მყოფობასა და თან-დაძინებასა ორმოცდაათთა და ოთხთა თანა, ჭრულ-იქმნებზს პირველთქუმული რიცხვ, არა აღრიცხულობასა მათ თანა მამისა იაკოვოსსა.

5)* ხოლო იოსიბოს, მსწავლელი მამისა მოსლვისაჲ და რამეთუ წინა-სწრობით იუდა, ძმამან მისმან, აუწყა მას მისლვაჲ, წინამიგებებად გამოვიდა და იროთა ქალაქსა თანა-შეემთხვა მას. ხოლო იგი, სიხარულისა მიერ მოუ-ლოდებულად ქმნილისა და დიდისა, კინდა და მოაკლდებოდა. არამედ გან-ცხოველა იგი იოსიბოს, არცა თვთ მან პყრობად შემძლებელმან თავისამან, ვითარმცა იგივე ჰვნებოდა სიხარულისა მიერ, არა უმცირეს ვნებისა, ქმნილსა სახედ მამისა. ამისა შემდგომად მას ვიდრემე დაწყანარებით სლვაჲ უბრძანა, ხოლო თვთ მან, მიმყვანებელმან ხუთთა ძმათამან, მისწრაფა მეფისა მიმართ მითხრობად მისა მოსლვასა იაკოვოსსა ნათესავესა თანა. ხოლო მან მხიარუ-ლებით მოისმინა და უბრძანა იოსიბოსს თხრობად მისდა, რომელსა ცხორე-ბასა შინა მშუებელნი მყოფ არიან, რაჲთა ესრეთ უბრძანოს მათ ქცევად. ხო-ლო იგი მწყემსად კეთილად ყოფასა ეტყოდა მათსა და არარაჲს სხუათავანი-სა, გარნა ამის მხოლომსა შეტკობასა. და ვითარმედ ამას არა განეფვიან, არამედ მას შინა დაადგრებიან ზედმოურნეობასა მამისასა, წინაგანმგებელნი; თანად რაჲთა ეგვბტელნი მოყუარედ აქუნდენ მათ, არა მქონებელნი ესევი-თართანი მათ შორის, რამეთუ ეგვბტელთათჳს საძაგელ იყო სამწყსოთა თანა ქცევაჲ.

29 6)1* ხოლო იაკოვოს მიიწია რაჲ მეფისა მიმართ და ამბორს-უყო და ულოცა მას მეფობისა ძლით, ფა/რაოთის იკითხვიდა, რაოდენთა წელთა ცხორებული მყოფობს. ხოლო მან ასთა და ოცდაათთა ქმნილობაჲ მიუგო. ხოლო იგი განკვრდა სიდიდესა ზედა იაკოვოსს ცხორებისა. ხოლო მან თქუა, ვითარმედ უმცირესთა წელთა მშობელთაგან არს ცხორებული. დაუტევა იგი ცხორებად შვილთა თანა მზის ქალაქსა შინა, რამეთუ მუნ შინა და მწყემსნიცა მისნი მქონებელ იყვნეს სამწყსოთა.

7)2* ხოლო სიყმილი უმეტეს ზედ-მიეფინებოდა ეგვბტელთა და მოქმენო-ბაჲ უნაკლულეგანესი მერმეცა უმეტეს იქმნა მათდა, ვინაჲთგან არცა მდი-ნარე ქუეყანასა მომრწყველ იყო, რამეთუ არღა აღორძინდებოდა, არცა ღმერთი წვმასა შთამოუტევებდა. და წინმოურნეობასა არცა ერთსა თავთა თჳსთასა და უმეტეობისაგან მოქმედ-ყვნეს, ხოლო იოსიბოს მიმცემელ იყო მათდა იუქლსა ნაცვლად საკმართა. და ვინაჲთგან ესენიცა მოაკლდეს მათ, საცხოვართა მიერ და მონათა მოიყიდდეს იუქლსა. ხოლო რომელთათჳს ქუეყანისაჲ რაჲვე ნაწილი იყო, ამას მიუტევებდეს ფსაღდ საზრდელისა. და

1 რიცხუსა. 2 იოსიუვის, 'Hιστήτης 2¹⁸⁸ (მთარგმნელმა წინა სახელის, 'Ισθμισαგ-ის დაბო-ლოება 16 მიუერთა მომდევნო სახელს). 3 სავაროს, 'Αβαρδος 2¹⁸⁸ (მთარგმნელმა წინა სახელის, Βάρδος-ის S მიუერთა მომდევნოს).

* დაბ. 46,28. 1* დაბ. 47,7. 2* დაბ. 47,13; 47,26.

ესრეთ ყოვლისა მონაგებისა მათისა უფალ იქმნას მეფე¹, გარდაემკვდრა სხუა სხუად ადგილსა, რაათა საკუთარ იქმნეს მეფისა მონაგები ადგილისა მათისაჲ, გარეშე მღღელთა, რამეთუ ამით დაადგრა სოფელი მათი. ხოლო ბოროტი დაამონებდა არა სხეულთა მათთა მხოლოდ, არამედ გონებათაცა და მიერთგან უშუერისა საზრდელისა მოღონებასა აიძულებდა მათ. ხოლო ვინაჲთაგან დასცხრა ბოროტი და აღმოვიდა წყალი ქუეყანასა ზედა და აღმოცენდა მან ნაყოფნი უშურველად, იოსიპოს, თითოეულსა² ქალაქსა მიწენულთა და შემკრებელი მას შინა სიმრაველსა და ქუეყანაჲ, რომელი მიუტევეს მათ მეფესა ქონებად და შემძლებელ იყო მხოლოდ მოსთულებად, ყოველთა მიანიჭა. და მნებებელთა მოქმედებად თვისსა ადგილსა, ამცუნებდა ხუთეულსა ნაშობთასა მეფისა მიცემად ადგილისათვის, რომელსა მისცემს მათ, მისდად მყოფსა. ხოლო იგინი, გარეშე სასოებისა უფლად ქუეყანისა დადგინებულნი, სიხარულმან შეიწყნარნა და დაიდგინებოდეს ბრძანებანი. (და ამით სახითა უმეტესი პატრივი ყო თავისა თვისსაჲ ეგვპტელთა შორის იოსიპოს და უმეტესი სიყუარული იყო მათ შორის მეფისაჲ თანად. და სჯული ხუთეულთა ნაყოფსა მიცემისაჲ დაადგრა და ვიდრე უკუანასკნელთა მეფეთამდე.

თ. 8.

1)* ხოლო იაკოვოს, შვდსა და მეათესა წელსა ეგვპტეს შინა მქცევი და სნეულქმნილი, მუნ მყოფობასა ძეთა მისთასა მოკულდა, რომელთამე მლოცველი მოგებასა კეთილთასა და წინაწარმთხრობელი წინაწარმეტყუელებისა მიერ, ვითარ ეგულების თითოეულსა ნათესისა მათისგან დამკვდრებაჲ ხანანასაჲ, ხოლო ესე უკუანასკნელ მრავალთა ჟამთა იქმნა. იოსიპოსთვის ქებასა აღმომთქუმელმან, რამეთუ არა ძკრმოკსენე იქმნა ძმათა მიმართ, არამედ და უმეტეს ამათსა სახიერ ექმნა მათ, მიმნიჭებელი მათდა კეთილთაჲ, რომელნი ვიეთმე არცა კეთილმოქმედთა ნაცვალ-აგნეს. უბრძანა ყრმათა თვისთა, რაათა ყრმანი იოსიპოსნი რიცხუსა მათსა თანა-შეერთენ, განმყოფელნი მათ თანა ხანანასანი, რომელთათვის უკუანასკნელ ვთქუათ. ევედრებოდა უკუე და დაფლისაცა ქვერონს შინა მიმთხუევასა. ხოლო აღესრულა, ცხოვნებული ყოველთა წელთა სამთა ნაკლულევანებითა ორმოცდაათთა და ასთაგან, არა რომლისა პირველმშობელთაგანისგან დაკლებული კეთილმსახურებისათვის ღმრთისა და მიმთხუეული მოსაგებელსა, რომლისა ჟერ-იგი მიმთხუეად ესრეთ კეთილქმნილთაჲ. ხოლო იოსიპოს, განტევებულმან მეფისაგან, მკუდარსა მამისსა ქვერონდ მიმღებელმან, მუნ დაჰვლა იგი შუენიერად. ხოლო ძმათა, არა მნებებელთა მისთა უკუნქცევად, რამეთუ შიშსა აქუნდეს იგინი, ნუსადა შემდგომად სიკუდილისა მამისა მათისა განსაჯნეს მისდა მიმართ / განზრახულისა ძლით, არღარა მყოფობასა მამისასა, რომელსა მიანიჭებდეს მათდა მიმართსა სიყუარულსა, იოსიპოს არწმუნა მათ არარას მეჭუელობად, არცა ქონებად მის მიერ ზაკულებასა. და მიმყვანებელმან მის თანა, მონაგები ფრიალი მიანიჭა და ყოველსა მოსწრაფებასა მკუმეველი მათთვის, არა მოაკლებდა.

2)* ხოლო აღსრულდა და ესეცა, ცხოვნებული წელთა ას და ათთა, საკრველქმნილი სათნოებითა და განშორებული ყოველთა^{2*}, განმგებელი და

1 მეფისასა. 2 თითოეულსა.

0 და მკუმეველი სენისაჲ.

* დაბ. 47,28; 48,1; 49,1. 1* დაბ. 1,22. გამ. 1,6. დაბ. 1,25. 2* και λαισμων πάντα ძიουσαν 2ჯგგ (==მართაჲდა ყოველივეს ბრძნულად. ძს-იანკა-1) ცხოვრება განმარტობით; 2) მართაჲ, ზელმძღვანელობა. ამ კონტექსტში იგულისხმება მეტარე მწიგნულობა).

ველმწიფებასა მომგებელი, რომელიცა ესევეთარისა. კეთილბედნიერობისა მიზეზ იყოს მისდა ეგვპტელთა მიმართ, სხუთ ადგილით მოსრულისათვის და ესევეთარისა თანა ბოროტმოქმედებულისა, რომელი წინაწარ ვთქუთ. აღესრულებიან უკუე ძმანიცა მისნი, ცხოვნებულნი კეთილბედნიერად ეგვპტეს შინა. და სხეულნი ვიდრემე მათნი, მიმხუმელთა მათგან შობილთა და ყრმათა, შემდგომად ჟამისა დაძულნეს ქვერონს შინა. ხოლო იოსიპოვს ძუალნი უკუენაჲსკენელ, რაჟამს აღმოვიდეს ეგვპტით ევრაელნი, ხანანიად მოიხუენეს, რამეთუ ესრეთ აფუცნა იგინი იოსიპოს. და თითოეულმანს¹ უკუე ამათგანმან ვითარ მოიგო და რომელთა შრომათა მიერ მპყრობელ იქმნნეს ხანანიაჲსა, ცხადვეყო, წინაწარმიმთხრობელმან მიზეზისა, რომლისათვის დაუტევეს ეგვპტე².

თ. 9.

4)* ხოლო მღღელთმთავარი შეიმკვების ვიდრემე და ამათცა, არა რო-მელსა პირველთქუმულთაგან დამტევებელისა. ხოლო შემოსელი ვაკინთოჲ-საგან ქმნილსა შესამოსელსა, პოდირი უკუე არს და ესეცა მიერ იწოდების ენისა ჩუენისაებრ, სარტყელსა შეირტყამს ფერთა მიერ, რომელთა პირვე-ლიცა ყუოდა, განშუენებული ოქროჲსა თანა ქსოვილისა. ხოლო ქუეშე კერ-ძო მისა თანშეკრულნი ფესუნნი, მსგავსებასა ბროწეულთასა მიმსგავსებულნი ფერიტა, შთამოკიდებულ არიან. და ეყუანნი ოქროჲსანი, ფრიადითა კელოვ-ნებითა შუენიერებისაჲთა, ვიდრელა საშუვალ იპყრობენ ორნი ეყუანნი ბრო-წეულსა და ბროწეულნი — ეყუანსა. ხოლო არს შესამოსელი ესე არა ორ-თა ნაკუეთთაგან, ვითარმცა შეკერილი იყო მკართა ზედა და გუერდსა, არა-მედ სამოსელი არს ერთი ვრცელი ქსოვილი და განხეთქილსა მქონებელ არს საყვლოსა მგუარდლ, არამედ სიგრძისა მიმართ განაბული მკერდისა და ბეჭტ-საშუვალისა. ხოლო ქუეშე კერძო შეკრულ არს, რაჟათა არა იმხილებოდის უშუერებისა განკუეთილებჲჲ და მსგავსადვე სადაჲთ კელნი დაიყენებოდენ, განაბულ იყო.

5):* და ამათ თანა შესამედ შეიმოსს, სახელდებულსა ვიდრემე ეფუდიდ, ხოლო ელლენებრივისა მკრისა ზედაჲსა მსგავსსა, რამეთუ იქმნების ესევი-თართა გუარითა: ქსოვილი, სიღრმედმი წყრთეულად, ფერთა მიერ ყოვლი-თურთა და ოქროჲსა განშუენებული, და შეუყოფელად დაუტევებს საშუ-ვალ მკერდისა, შემკობილი ჰრელთა მიერ და ყოვლისა გუარისა შესამოსელად ქმნილი. ხოლო ცარიელსა ამის შესამოსლისასა შევიდოდა ნაკუეთი, მტკაე-ლისაჲ სივრცით, ოქროჲსაგან და მათვე ფერთა ეფვდისათა აღყუავებული, ესინ ვიდრემე იწოდების, ხოლო მოასწავებს ესე ელლინთა ენისაებრ სი-

¹ შეკრულ A, შეკარ'ლ Q.

* გამ. 28,31. 1* გა. 28,6; 28,15; 28,9; 28,17; 28,8.

o ესე იგი არს სარტყელსა.

ტყუასა და სრულ-ჰყოფს უკუე მტკიცედ ეფუდისა, მქსოველთა ბეჭისა ზედა ნაკლულევან ყვეს. ხოლო შეიერთების გრგოლთა მიერ ოქროასათა, ორთასა ვიდრე მსგავსად შეერთებულებასა თითოეულსა კიდესა, მკერდისა მიერ კაკინთოასა მოღებულისა შეკრვისათჳს გრკალთა მიმართ თითოეულისა. ხოლო რაჲთა არა შთატევებულბდეს / დატევებულისა მიერ საშუაელ გრგოლ-^v თაჲსა, ჰკონეს შეკრვამ მისი მკედთა მიერ კაკინთოასათა. ხოლო განმსჭუალულ არიან სამკრისა სარდონვეჭნი ორნი მკართა ზედა, თითოეულსა დასასრულსა ოქროედსა მათ ზედა მქონებელნი, მქცეად მარჯუეყოფადის სამსჭუალთაჲსა. ხოლო წერილ არიან მათ ზედა იაკოვოჲს ყრმათა სახელნი, წერილთა მიერ ჩუეულებითა ენითა ჩუენითა, თითოეულთა ქვათა ზედა ექუსნი, და უმოხუცებულესნი უკუე არიან მარჯუენესა მკარსა ზედა. ხოლო არიან ესინისაჲ ზედა ქვანი ათორმეტნი, სიდიდითა და შუენიერებითა გარდამატებულნი, არა მოგებულნი კაცთა სამკაულად გარდარეულებისათჳს პატივისა. ესენი უკუე, განწესებით სამნი, ოთხთა ზედა მდებარენი გარდანასახთა, ნაქსოვისა ზედა მოქმედებულ არიან. ხოლო ოქროჲ გარემოჰვლის მათ, მომარგულებათა დამდებელი ნაქსოვისა ზედა; ესრეთ მოქმედებულნი, რაჲთა არა წარიდინებოდინ. და პირველი ვიდრემე სამობაჲ არს სარდონვეჭს, ტოპაზოს, სმარაღლოს; ხოლო მეორე — ანთრაქსა მოანიჭებს და იასპსა და საჰფიროსა; ხოლო მესამისა — ლიგჯროს ვიდრემე მთავრობს და შემდგომად — ამეთსოს, ხოლო ახატის მესამე; მეცხრედ მყოფი ყოველთა, ხოლო მეოთხისა განწესებისა — ბრკსოლითოს ვიდრე წინა-მდებარეობს და შემდგომად მისსა — ონვექს და მერმე — ვერკლლოს, უკუანაჲსენელი ესე. ხოლო წერილნი ზედა-გამოჰკრილ იყვენეს ყოველთა იაკოვოჲს ძეთანი, რომელთაჲცა და ნათესავთ-მთავრად ვჰკონებთ. და თითოეული ქვათაჲანი შემკობილ იყო სახელითა წესისაებრ, ვითარ თითოეულსა მათგანსა შეემთხვა ქმნაჲ. ხოლო გრგოლთა უძლურად მყოფობასა თავისა მეორე თვისისა მმობენად სიმძიმესა ქვათასა, ხოლო სხუანი გრგოლნი უფროჲსნი ქმნენეს ქუეშე კერძო ესინისა, რომელი აღიწვეის ყელისა მიმართ, შემსჭუალულნი ნაქსოვისა, მტკრთველნი ჯაჰუთა მოქმედებულთანი, რომელნი თანა-იყვენეს მწვერვალსა მკართასა, ჯაჰუთა ოქროჲსაგან თხზნილთა შემკრველნი, რომელთა მწუერვალნი უკუნქცეული აღვიდოდა გრგულისა მიმართ, მქონებელისა წინა კერიოსა მწუერვალსა ეფუდისასა სამხრით კერძო. და ესე იყო სიმტკიცე ესინისა, რაჲთა არა წარიდინებოდის; ხოლო სარტყელი თანაშეკრულ იყო ესინისა ოქროჲთა, მსგავსი ფერთა, რომელნი წინაწარ-ეთქუნენ, რომელი, გარემოჲს მოსრული, შეიკრვის კუალად ნაკერავისა ზედა და შთამოეკიდების. ხოლო ფესუთა ოქროჲსა ქტკრნი ესენი, თითოეულსა მწუერვალისაგან მიმღებელნი ყოველთანი, შინაგან იპყრობენ.

6) ხოლო ნაბადი იყო ვიდრემე მისდაცა, მსგავსი ყოველთა მდღელთათჳს ქმნილისაჲ, ხოლო თანშეკრული მისდა სხუჲა კაკინთოასაგან. შემკობილი გვრკვენი ოქროჲსაჲ გარე-მოჰვლიდა მას, სამგანწესებით ქედილი. ხოლო ყუანის მის ზედა კალკქსი* ოქროჲვან, მიმსგავსებული ჩუენ მიერ საყხაროდ სახელდებულისა მწუანვილისაჲ!¹, ხოლო გამოცდილებასა მქონებელნი ელდინთაგანნი მოკუეთისა მიმართ ძირთაჲსა ღორისა კნდურად სახელ-სდებენ. ხოლო უკუეთუ ვინმე, არამხილველი მწუანვილისაჲ, უსწავლელობითა ამისითა

* ძილს 3172 (=ფილა. ბოტანიკური ტერმინი). ¹ ექ σαχάρω βουδω 3172 (=შაქრის ლერწამი).

უმეცრებს ბუნებასა მისსა, გინათუ, წოდებისა მეცნიერი, არამხილველი უმეცრებს, ესრეთ მქონებელთა უკუე ვაუწყებ ესევეითარად: მწუანვილი ვიდრემ არს მრავალგზის უმეტეს საშთა მტკაველთა აღორძინებული სიმაღლედ, ხოლო 47 დირითა მსგავსი ვუნიადისა*, რამეთუ / ამისმან მიმსგავსებულმან არა-ვინ ცოდოს, ხოლო ფურცელთა მიერ მსგავსი ფურცელთა ევზომოვანსა¹. არტოთაგან მორჩთა უკუე აღმოოტობს კლავქსისა მახლობელად მორჩისა, ხოლო გარემოკვლის მას საფარველი, რომელი განარჩევს თვსგან, ნაყოფისა მიმართ გარდაცვალეზად რაჲ იწყოს. და კალქსი უკუე არს სიდიდით მცირისა თითისა შენაწევრებისა სწორი, ხოლო კიქისა მსგავსი მომრგულებით. ხოლო ვასწავო ესეცა და მეცნიერთა: მომრგულებისა ორკერძოდ განკუთვითლებასა ქუეშე კერძო სხუად განკუთვითლებაჲ აქუს აღორძინებულსა ძირით მრგულიად¹. და შემდგომად, შეყოფილი კულად მცირედ-მცირედ დაღრმობილობასა შეუენიერად განყენებისასა, განემარტების მცირედ-მცირედ ბაგისადმი, მსგავსად ბროწეულისა კიპისა განკუთვითილი. ხოლო ზედა კერძო მისი ნახევარსფერაჲ დატევებულ არს, მიმსგავსებით თქუას ვინმე გამოჭრილი, ზეადღვამილთა მქონებელი ნაკუეთთაჲ, რომელნი თქუნეს მსგავსად ბროწეულისა აღმოცენებად ეკლოვანად და მწუერავალსა ყოვლად მახვლსა დამტევებელად. ხოლო დამცველ არს ზედა კერძო მისი ნაყოფსა, ყოვლისა კალქსისა შორის მყოფსა, მსგავსსა მწუანვილი სიდირიდიტოვსა² თესლსა. ხოლო განუტევებს ყუავილსა, შესაძლებელსა მიმსგავსებად პლატალონიოვსა მიკონსა³. ამისგან უკუე გვრგვნი ქანდაკებულ არს, რაოდენი თითოეულისა საფეთქელისაგან სხვსა მიმართ, ხოლო შუბლისა ზედა არა მოიწვევის ეფელის, რამეთუ იწოდებოდედ ესრეთცა კალქსი. ხოლო არს შემკრველიცა ოქროვსაჲ. რომელი სამდღელთა წერილთა მიერ სახელსა ღმრთისასა ზედათად-მოჭრით მქონებულ არს. და ესევეითარი ვიდრემ არს სამკაული მღდელთმთავრისაჲ.

7) ხოლო განკვრდეს ვინმე სიძულილისათვს კაცთაჲსა ჩუენდა მომართისა, რომელსა მქონებელნი დადგრომილ არიან შეურაცხის მყოფელობისათვს ჩუენისა საღმრთოსა, რომლისა პატივისცემასა წინა-აღორჩევენ იგინი. რამეთუ უკუეთუ ვინმე კარვისაგან ცადოს დამყარებაჲ⁴ და მღდელსა იხილოს შესამოსელი თანად და ჭურჭელნი, რომელთა მღდელმოქმედებისა მიმართ ვიკუმევეთ და სკულისმდებელ იპოვოს საღმრთოჲ მამაკაცი, ჩუენცა ამაოდ მსმენელნი სხუათა მიერ გმობათანი გუპოვნეს. რამეთუ თითოეული მათგანი მსგავსებისაებრ და სახისა ყოველთაჲსა ქმნილად პოვოს, უკუეთუ მრავლად და გულისკმის-ყოფით ენებოს განხილვაჲ: რამეთუ კარავისა, ოცდაათთა წყრათად მყოფისა, სამად და ორად კერძოდ განმყოფელი და ყოველთა მღდელთა მიმტევებელი⁵, ვითარ სავალისა რაჲსამე და ზოგადისა ადგილისაჲ, ქუეყანასა და ზღუასა მოასწავებს და რამეთუ ესე ყოველთა ზედადლსავალ არიან. ხოლო მესამე კერძოჲ მხოლოვსა ღმრთისა გარე-შემოწერა, ვინამთგან არცა ცაჲ ზედდლსავალ არს კაცთა მიერ. და ტრაპუნისა ზედა პურთა დამდებელი მოასწავებს წელიწადს, ესეოდენთა თუეთა მიმართ განყოფილსა.

¹ მრგულიად.

* *βασυδὲς* 3₁₇₄ (=თალგამურა). ¹ *εὐχάμων* 3₁₇₄ (=მეუნარი). ² *σπορηλίδος* 3₁₇₇ (=მეუნარი). ³ *τῆς μύκωνος πλάτυνας* 3₁₇₇ (=ყაყაის ფოთოლი). ⁴ *τῆς σταφύλης καραποσίτου* *ἢ ἢ πηξῆς* 3₁₈₀ [=თუ ვინმე ვედება ვიკოსს, თუ როგორ არის აგებული კარავი]. ⁵ *σελας ἐς πρὸς καὶ θύο μῆνη πᾶσις δαυὲς τοῖς λειπέσις* 3₁₈₁ [=სამად განყოფილი და ორი ნაწილის მთლიანად მღდელთათვის მიმტევებელი].

ხოლო სასანთლისა, სამეოცდაათა ნაწილთა მიერ შენაწევრებულ მოქმედი¹, ათორმეტთა ზოდითა ნაწილსა გამოჰსახავს და სასანთლეთა მათ ზედა შველთა— ცთომილთა სლვასა, რამეთუ ესოდენნი არიან რიცხვთ. და სამოსელნი უკუე, ოთხთაგან ქსოვილნი, სტკვიითა ბუნებასა ცხად-ჰყოფენ, რამეთუ ვესონი ქუეყანისა მოსწავებულ საგონებელ არს მის მიერ აღმოცენებისათვის სელისა, ხოლო პორფერა — ზღვსა, ღებვისათვის თევზთა სისხლისაგან. და აერისა უკუე მოსწავებდა ეგულების კაჟინთოსა, ხოლო ფვნიკი იყოს სახე ცეცხლისა. მოსწავებს უკუე და სამოხელიცა მღდელთმთავრისა ქუეყანასა, სელისად მყოფი: ხოლო კაჟინთო — ცისა, ბროწეულთა მიერ ელვან² მიმსგავსებულნი, ხოლო ქუხილთა კმისა მიერ — ეყუანთაჲსა, ხოლო შესაკრველისა მიერ — ბუნებასა ყოვლისა ოთხთაგან ქმნილად ღმრთისა მიერ, ოქროსა თანა ქსოვილისა / მექუელობისაებრ ვკგონებ ყოველთა თანამყოფისა ბრწყინვალეებისა. და ესინი ვიდრემე, საშუვალყოფი საკრველისა, სახედ ქუეყანისა დააწესა. და რამეთუ ამასცა საშუვალი ადგილი აქუს. ხოლო სარტყელთა მომრგულეებული უკეანოსსა მოასწავებს და რამეთუ ესეცა შინამომღებელ არს ყოველთა. ხოლო მოასწავებს მზესაცა და მთოვარესა თითოეულისა სარდონ-კქთაჲ, რომელთა მიერ განმსჭუალა მღდელთმთავარი. ხოლო ათორეულისა ქვითასა, უკუეთუ ვისმე თუეთადმი ენებოს გულისკმის-ყოფაჲ, გინათუ ესრეთ რიცხვსა ვარსკულაეთასა, რამელსა ზოდიაკად მომრგულებითად ელლინი უწოდენ, ესევეთარისა გონებისაგან არა შორს დამთხუეულობდეს. და ნაბადი ვიდრემე საგონებელ არს ჩემდა ცასა მოსწავებულ, კაჟინთონოდ ქმნილი, რამეთუ არა სხუადმცა ზედ-დაიდებოდა მისა სახელი ღმრთისაჲ, გვრკვინთა განშუენებული და ამით ოქროსაჲთა ბრწყინვალეებისათვის, რომელსა ზედა უმეტეს იხარებს საღმრთოჲ. და ესენი ვიდრემე ესოდენ იუწყებოდეს ჩემ მიერ მრავალგზის და მრავალთა შინა მოცემისათვის ჩუენდა საქმეთაგან სათნოებასა სჯულისმდებელისასა აღმოთქუმად.

თ. 8.

1)* ხოლო ვინაჲთგან პირველთქუმულსა დასასრული აქუნდა, მსხუერპლთა არღა შეწირულობასა¹... ძმისა აარონისა, ვითარ უმართლესისა ყოველთაგან სათნოებისათვის, რომლისა ძლით პატივისა მიემთხვოს. და შემკრებელი სიმრავლისაჲ შესაკრებელად, მიუთხრობდა სათნოებასა მისა და სასუერულსა და ჰირთა, რომელნი მოითმინნა მათთვის. ხოლო ვინაჲთგან ეწამებოდეს მას ყოველთა ზედა და გულსმოდგინებასა მისა გამოაჩინებდეს, „მამაკაცნო, თქუე, ისრაილიტნო, საქმესა ვიდრემე დასასრული აქუს, ვითარი თვთ ღმრთისა სახარულევან იყო და შესაძლებელ ჩუენ მიერ. ხოლო ვინაჲთგან ჯერ-არს მისა-მითულვება კარავსა შინაჲ, საქმარებაჲ არს ჩუენდა პირველად მღდელმოქმედებისაჲ და მსახურისაჲ მსხუერპლთა და ჩუენ მიერთა ლოცვათა. და უკუეთუმცა ჩემდა განხილვად ამისი ბრძანებულ იყო, თავიმცა თვისი ვსაჟე ღირსად პატივისა დიდებისმოყუარებისათვის ყოველთაჲსა ბუნებით და რამეთუ ფრიად მაშურალი ცხორებისა თქუენისათვის უწყი თავი ჩემი. ხოლო აწ თვთ ღმერთმან საჯა ღირსად პატივისა ამისა არონ და ამას აღირჩევს მღდელად, უმეტეს თქუენსა მეცნიერი, მართლად, რაჲთა ამან შთაიკუეს შესამოსე-

¹ მქმდე A. ² ღელვათა, ძველად 3₁₈₄ (=ელვა, ნათელი).

* გამ. 28,1. ლევიტ. 8,1. ¹ შეწირულობასა] + *†* *ἐπισημασθε ὁ θεὸς Μωυσῆν ἔην ἱερουσαλήμ* 'Ααρὼν· ἐδόξε ληθῆν ἄριστον αὐτῷ... 3₁₈₈ (=ღმერთი გამოეცხადა მოსეს და უბრძანა, რომ მღდელმთავრობა მიეცა...).

„ლი. ღმრთისათვის განკუთვნილი“ და ვომონთა ზედმოუწინებამა¹ აქუნდეს და წინაგანგებამ მსხურაპლთა და ლოცვანი თქუენ ძლითნი ქმნენს ღმრთისა მიმართ სიხარულით სასმენლად, რამეთუ მოურნეობს ნათესვისა თქუენისათვის და მამაკაცისა მიერცა, რომელი მან გამოიჩინა, ქმნილთა ამათ, მიითულაღეს“. ხოლო ევრაველთა სათნო-უნდეს თქუმულნი და მნებებელ იყვნეს კელთდისმასა ღმრთისასა, რამეთუ იყო აარონ ნათესვისათვის და წინაწარმეტყველებისა და სათნობისათვის ძმისა პატრიუსისა მიმართ ყოველთასა უღირს-სიტყუესი. ხოლო იყვნეს მისდა და ყრმანიცა ესმისა მას ოთხნი: ნაეალოს, ავიუს, გლეზაროს, ითამაროს.

2)* ხოლო რაოდენნი ნამეტნავ იყვნეს განმზადებულთაგან შემზადებისა მიმართ კაცობრივისა, ამათი ბრძანა აღლევამ საბურველთა მიმართ. საფარველთა თვთ მის კარვისა და სასანთლისა და სასაკუმვლისა და სხუათა კურკელთადასა, რაათა სლვასა შინა არარას ვნებდენ ესენი არცა წკმისაგან და არცა მტურისაგან. ხოლო სიმრავლისა კუალად შემკრებელმან, უბრძანა მას მოღებად ხარკი სიკლისა ნახევარი თითოეულსა. ხოლო სიკლომ, ვეცხლად ევრაველად მყოფი, მიიღებს ატრიკორთა დრახმათა ოთხთა. ხოლო იგინი განმზადებულნი ისმენდეს, რომელთა უ/ბრძანებდა მათ მოკსი. და სიმრავლე მომღებულთა იყო სამეოცნი ბევერეულნი და ხუთ ათასნი და ხუთასნი და ორმეოცდაათნი. ხოლო მოიღებდეს ვეცხლსა თავისუფალთაგან ოცისა და უნეტესასა წლისანი ვიდრე ორმეოცდაათამდე ქმნილნი. ხოლო შეკრებული საჯარებისა მიმართ კარვისა აღილეოდა.

3)1* ხოლო განწმედდა უკუე და კარავსაცა და მდდელთა, სახითა ესევი-თართა მოქმედი განწმედისა მათისა: მურისა² რჩეულისა, სიკილასა ხუ-თასსა, და ორეოსსა³ სწორსა, კინამომოსსა⁴ ათსა და კალამისასა⁵, ხოლო არს ესეცა სახე სურნელისა, ნახევრად პირველთაგან წონილთა წონითა, მო-კუეტილსა თანად ორთა ინთა ზეთისა ზეთისხილისათა ბრძანა, ხოლო სა-წყაე არს მსოფლიომ, ორთა ხოათა ატრიკორთა მიმთუალველი, შეყოფილთა შეგბოლვამ და შემზადებამ კელოენებითა მკრონის მოქმედთაათა საცხებელსა სურნელსა. და შემდგომად, ამისმან მიმღებელმან და თვთ მდდელთა და ყოვე-ლისა კარვისა მცხებელმან, განწმიდნა მამსხურაპლონი. ხოლო ფრიად არიან ესენი და მრავლისახენი კარავსა შინა, სასაკუმველისა ზედა ოქროედისა და მრავლისა პატრიუსისად მყოფნი მოიღებვოდეს, რომელთა ბუნებისა მოთხრო-ბამ დაუტეო, რაათა არა საწყინო იქმნეს მიმთხუეულთა. ხოლო ორგზის დღესა შინა ჯერ-იყო კუმევამ: პირველ—აღმობრწყინებამდე მზისა და დას-ლვისა. და ზეთისაგან განწმედილნი სცვიდეს მას სანათობათვის, რომელთა-გან სამთა ვიდრემე სამდდელოსა სანთებელსა ზედა აღნთებამ ჯერ-იყო ღმრთისა დღე ყოველ, ხოლო ნეშტთა — მწუხრიად აღნთებულთა.

4) ხოლო ყოველთა აწვე დასასრული რამ მიიღეს, შერიაცხნენ ურჩეუ-ლესად მოქმედთადასა ვესელეილოს² და ელიავოს, რამეთუ უპირველესთა მომპოვნებელთასა ამათ მოიგონნეს უმჯობესნი გამოძიებად და გულისკმის-ყოფასა მოღებად შემძლებელნი, რომელთა შემზადებასა პირველად უმეც-

¹ განკუთვნილი. ² ვესელეილოს AQ. *Βεσεληηλως* 3₂₀₀.

* გამ. 30,13. 1* გამ. 30,23. 11 ნეშტთა 13,11. 2* *σμάρηως* 3₁₉₇ (=სმირნა ანუ მირრა, არმატული საცხებელი). 3* *ζρεως* 3₁₉₇ (=ორისი). 4* *κινναμωρου* 3₁₉₇ (=დარიჩინი). 5* *καλαμω* 3₁₉₇ (=ღერწამი).

რებდეს. ამათგან უკუე ვესელეილოსს შეემთხვა უმჯობესად სჯაჲ. ხოლო ყოველი ჟამი თუეთა შვდთაჲ წარვიდა საქმესა შინა და შემდგომად ამისა, ვინათგან ეგვპტე დაუტევეს, წელიწადი პირველი სრულ-იქმნებოდა მათდა. ხოლო დაწყებასა მეორისა წელიწადისა, თუესა ქსანთიკოსსა მაკედონელთაებრ, ხოლო ნინასანა ევრაელთათჳს, თავობისასა, სრულ-ყოფენ კარავსა და ყოველთა, რაოდენნი ჭურჭელნი მის შინანი ჩემ შორის საცნაურქმნილ არიან.

5)* და აჩუნა ღმერთმან თავი თჳსი განშუენებულად მოქმედებულსა ზედა ევრაელთასა და არა ამაოდ მაშურალად იგინი სიდიდესა ზედა მოღებულისასა, არამედ დაისადგურა და დაემკვდრა ტაძარსა ამას შინა. ხოლო მოსლვაჲ ესრეთ იყო: ცაჲ ვიდრემე წმიდა იყო, გარნა მხოლოდ ზედა კერძო კარვისა ნისლოვნობდა, არცა ფრად ღრმისა ღრუბლისა მიერ გარემომცველი მისი, ვითარმცა საგონებელ იყო ზამთრისად, არცა მწულილისად ესრეთ, ვითარმცა სახედველმან შეუძლო რასეჲ მის მიერ განცდაჲ. ხოლო ცუარი კუროდა მისგან ტბილი, მაუწყებელი ღმრთისა მოსლვისაჲ ამისთა მნებებელთა და მრწმენებელთად.

6)1* ხოლო მოჴსი, კელოვანთა ესევითართა მოქმედთასა პატივისმცემელმან ძღუნეთა მიერ, ვითართა ჳერ-იყო, მსხუერპლი ქმნა ეთერისა ქუეშე ბრძანებისაებრ ღმრთისა: კუროჲ და ვერძი და თიკანი ცოდვათა. და რამეთუ მეგულგბის მსხუერპლის ძლითთა შინა მოქმედებულთა თქუმაჲ მდღელმოქმედებათა მიერ, მათ შინა ცხად-ვეყო, რომელთათჳს ბრძანებს ყოველად დაწუვისა და რომელთაგან საკმლად მიღებასა შეუნდობს სჯული. და სისხლისაგან მსხუერპლებულთაჲსა სამოსელსაცა აარონისსა და მასცა ყრმათა თანა-აპკურებდა, / განწმედილი წყაროჲსა წყალთა მიერ და მკრონისა, რაჲთა ღმრთისა იქმნენ. შვდთა ვიდრემე უკუე დღეთა შინა ესრე სახედ მათ² და სამოსელთა მათთა განსწმედდა და თანად კარავსა და მას შინათა ჭურჭელთა ზეთისა მიერ წინაწარ მსხუერპლებულისა, ვითარცა ვთქუ და სისხლისა ზუარაკთა და ვერძთა დაკლულთაჲსა, თითოეულსა დღესა ერთისა ნათესვისათჳს. ხოლო მერქესა — დღესასწაულსა აუწყებდა ერსა და მსხუერპლვად უბრძანებდა ძალიანებრ. ხოლო იგინი, ურთიერთას³ მბრძანებელნი, მობრძანენი და გარდამატებად მოყუარენი მსხუერპლთა, რომელთა მორიდებდეს, მორჩილ იყვნენ თქუმულთა. ხოლო ზედმედბარე იყვნეს რაჲ მსხუერპლნი ბომონისა, მეყუესულად მათგან ცეცხლი აღენთო თავით თჳსით და, მსგავსად ელვისა ბრწყინვალეობითა ხილულმან, აღსა შინა ყოველნი ბომონისა ზედანი აღლინა.

7)2* ხოლო შეემთხვა და აარონსცა განსაცდელი რამეჲ ამისგან, საგონებელსა ვითარ კაცისა ზედა და მამისა. ხოლო მკნედ მის მიერ მოთმენილი, რამეთუ და სულთაცა შემთხუევადთა მიმართ მტკიცე იყო და ღმრთისა განზრახვისაგან ქმნილად შეპრაცხდა ვნებასა. ხოლო ძეთა მისთა ოთხად მყოფობასა, ვითარცა წინაწარ-ვთქუ, ორნი უმოხუცებულესნი — ნავდოს და ავიოს მომღებელნი ბომონისა ზედა სამსხუერპლოთანი არა რომელთაგან წინაწარ-პრქუა მოჴსი, არამედ რომელთა წინაწარ პირველად იკუმევედეს, დაიწუნეს ცეცხლისა მათ ზედა მიმართებისა მყოფელობასა და მუტლისა და წინაკერძობას მათისა წუვად დამწყებელობასა და დაშრეტად არავის მიერ შეძლებასა და იგინი ვიდრემე ესრეთ მოკუდეს. ხოლო მოჴსი უბრძანა მამასა

1 ნისლოვნობდა A, ნისლოვანობდა Q. 2 მას. 3 ურთერთას A, ურთიერთარს S.

* გამ. 40,17; 40,34. 1* გამ. 29,1; ლევ. 8,1; 9,24. 2* ლევ. 10,1.

მათსა და ძმათა, მტკრთველთა სხეულისათა და განმლებელთა გარეშე შესაკრებელისა, დაფლვად ბრწყინვალედ. ხოლო იგლოვს მათ სიმრავლე მკმუნეზარედ დადებული სიკუდლიისათვის, ესრეთ საკვრველად ქმნილისა. მხოლოთა უკუე ძმათა მათთა და მამასა არა შეუნდა ზრუნვად მოკისი მათ ზედამასა მწუხარებისათვის, წინააღმრჩეველთა ღმრთისა პატივისათა მათ ძლითისა მწუხარებისა, რამეთუ აწვე და აარონსცა სამოსელი სამღდელოად ემოსა.

8)* და მოკისი უკუე, ყოვლისა პატივისაგან მკმნელი, რომლისა მზად მინიჭებდა მისდა ხედვიდა სიმრავლესა, მხოლოთა ღმრთის მსახურებისა მიმართ მყოფ იყო. და სინეოხსადმი ვიდრემე აღსლვათა განეყენა, ხოლო კარავად შესრული გამოითხოვდა² ღმრთისაგან, რომელთაა ჭერ-იყო. განლიტონებული სამოსლითაცა და სხუათა ყოველთასა უმეტეს საზოგადოდ მყვანებელი თავისა თვის, და მნებებელ იყო არა საგონებელ-ქმნასა უმეტეს-ყოფად წრავალთა, გარნა მხოლოსა წინმოურჩეობასა მათსა შინა ჩენად. და ამას თანა მოქალაქობასა და სჯულთა წერდეს, რომელთა მიერ სახარულევანად ღმრთისა ცხონდებოდინ, არცა ერთისა ურთიერთას მოსაჯულობისა მქონებელნი. ამათ ვიდრემე უკუე მცნებისაებრ ღმრთისა განაწესებდა. ხოლო ვიტყვ მოქალაქობისათვის და სჯულთა.

9) რომელი ვიდრემე მღდელთმთავრისა შესამოსლისათვის დაუტევე, წარმოთქუმა მეგულების. რამეთუ არასადა ცრუთა ბოროტმოქმედებასა დაუტევა მიზეზი, ხოლო უკუეთუ ვინმე ესევეთარნი იქმნენ, ვითარ კელყოფად ღირსებასა ღმრთისასა. და თვთმპყრობელად ღმერთი დაუტევეს მღდელთა თანა ყოფად, რაჟამს ინებოს, და არა-ყოფად. და ამას არა ევრაველთად მხოლოდ საცნაურ-ქმნად ინება, არამედ და უცხოთაცა, მუნ დამთხუელულად, რამეთუ ქვათა, რომელთაა მკართა ზედა მღდელთმთავრისათა მოღება წინაწარ-ვთქუ, ხოლო სარდონქნი იყვნეს და მნებავს მოსწავება ბუნებისა მათისა გარდამატებით ყოველთა / მეცნიერებად მოსრულთაჲსა, შეემთხუელა ბრწყინვალეობა ერთსა, მარჯუნენსა ზედა მკართასა დამსკუალულსა, რაჟამს მღდელმოქმედებათა შინა მოიწიის ღმერთი და ბრწყინვალეობა გამოჰკრთებოდის შორიელთაცა მიმართ ჩენილი, არა³ პირველად ქვისა თანაყოფილი ესე. საკვრველ ვიდრემე უკუე და ესეცა არა მომლონებელთად სიბრძნისათა საანჯმონ-ქმნისათვის საღმრთოთასა, ხოლო რომელი არს უსაკვრველისი ამისი, ვთქუა: რამეთუ ათორმეტთა ქვათა მიერ, რომელი მკერდისა ზედა მღდელთმთავარსა ესისინისა ზედა კერულად ჰმოსიან, ძლევასა⁴ აუწყებდა ღმერთი მგულებელთა ბრძოლად, რამეთუ ესოდენი ელვიდის მათგან ბრწყინვალეობა არა აღძრულობასა მკედრობისასა, ვიდრედა ყოვლისა სიმრავლისა საცნაურ-იქმნის მოსლვად ღმრთისა შეწევნად, რომლისა ძლით ელლინნი, პატივისმცემელნი წესთა ჩუენთანი, არა შემძლეობისათვის ნაცვალსიტყუაობად ამათა, ესისინისა სიტყუად¹ * უწოდენ. ხოლო დასცნრეს ვიდრემე ესისინნი ჯა სარდონქნი ბრწყინვალეობისაგან უწინარეს ორასთა წელთა პირველ შეწყობისა ჩუენ მიერ წერილისა ამას, ღმრთისა განრისხებულებასა გარდასლვისათვის სჯულთაჲსა, რომელთათვის ვთქუათ უკეთილყამიერესად. ხოლო მივიქცე აწ შემდგომისა სიტყუსა მიმართ.

1 სინეოხსადმი A, სინეოხსადმი Q, სინეოხსადმი S. 2 გამოითხოვიდა A. 3 არა] + არა A Q. 4 ძლევასა A.

* რაცხვთა 7, 89. 1* ἄριστον καλίστην 3₂₁₈ (ამ კონტექსტში იგულისხმება თარგუმის წინასწარბეუველები).

10)* სამღდელო იქმნა რამ აწვე კარავი და შეიმკენეს მღდელთა ძლით-
ნი, საჯა სიმრავლემან თანმემკვდრედ მათდა ყოფად ღმრთისაჲ და მიიქცა
მსხუერპლთა მიმართ და ჭებათა, ვითარ წარმდევენელმან აწვე ყოველსა მო-
ლოდებასა ბოროტისასა და გულგებადთათვის ვითარ უმჯობესთა გულისმჭე-
მელნი, თანად ღმრთისა ძლუნთა, რომელთამე ზოგად, ხოლო რომელთამე
თვსაგან, დასდებდეს ნათესავად-ნათესავადი. რამეთუ ნათესავთშთავარნი,
ორ-ორნი შეკრებილნი, ურემსა და ორთა წართა მოიყვანებდეს: ექუსნი ვიდ-
რემე უკუე იყვნეს ესენი და კარავსა მოგზაურობათა შინა მოიღებდეს. ამთ
თან თითოეული ფილისა მოიღებდა და ლეცნასა და სასაკუმეველსა, დარიკოს-
თა¹ ათთა შემძლებელსა დატევნად და აღსაესათასა საკუმეველითა. ხოლო
ლეკანაჲ და ფიალი ეცხლისაჲ იყო და სიკლითა ვიდრემე ორნივე ორასთა
მომღებელ იყვნეს, ხოლო ფილისა ზედა სამეოცდაათნი მხოლონი აღლეულ
იყვნეს და აღსაესე იყვნეს ფქვილითა, ზეთისა თანა შესუარული, რომელთა
ვომონისა ზედა იკუმევენ მღდელმოქმედებათა მიმართ, და კბოსა და ვერძისა
კარავისა თანა წელიწდეულთაჲსა, ყოვლით ასოათურთ დასაწუველთა, და
ამთ თანა ვაცსა ჭმნისათვის ცოდვათაჲსა. ხოლო მოიღებდა თითოეული მთავარ-
თაგანი და სხუათაცა მსხუერპლთა, საცხორებელად სახელდებულთა თითო-
ეულსა დღესა: ორთა ზუარაკთა და ხუთთა ვერძთა კარავთა თანა წელიწდე-
ულთა და თიკანთა. ესენი ვიდრემე მემსხუერპლებენ ათორმეტთა დღეთა,
ყოველსა დღესა კარავსა შინა².

ხოლო მოუსი, არღა აღმავალი სინეოჲსა მთად, არამედ კარავად შემავალი,
ისწავებდა ღმრთისა მიერ მოქმედებადთათვის და სჯულთა განწესებისა, რო-
მელთა, უმჯობესადვედა კაცობრივისა განზრახვისად მყოფთა, ყოველთა საუ-
კუნეთა მტკიცედ შემთხუა დამარხვად, ვითარ ნიჭ ღმრთისა ყოფად თნებულ-
თა, რადთა არცა მშვდობასა შინა განსუენებისა მიერ, არცა ბრძოლასა შინა,
იძულებით ეყოს ვერაელთა გარდასლვად რომელსამე სჯულთაგანსა³. არამედ
ამათთვის ვიდრემე დაეცხბრები მეტყუელი წერილსა, სხუასა მადირსებელი
შეწყობად სჯულთა.

თ. 9.

1)1* ხოლო აწ მცირედ რომელთამე მოვიცხენო მღებარეთაჲ სიწმიდე-
თათვის და მღდელმოქმედებათათვის და რამეთუ სიტყუსა ჩემისა და მსხუერპლ-
თათვის წამოდგომაჲ შემთხუეულ³ არს. ორნი ვიდრემე არიან მღდელმოქმე-
დებანი. ამათგანი ერთი ვიდრემე მსოფლიოთა მიერ, ხოლო სხუა — ერისა
მიერ აღსრულებულნი, ორ სახედ იქმნებიან. ერთისაჲ ვიდრე ყოველი დაიწუ-
ვის, ყოველი მსხუერპლბული. და ამისთვის ესევითარი სახელისდებად მიუ-
ღღეს. ხოლო სხუა სახარულევიან არს და შეუბისათვის მმსხუერპლველთაჲსა
იქმნების. და ვთქუა უკუე პირველისათვის:

მამაკაცი მსოფლიოჲ, ყოვლად დამწუეველი, მმსხუერპლავს ვიდრემე
ზუარაკსა და კარავსა და თიკანსა: ამთ ვიდრემე წელიწდეულთა, ხოლო ზრო-
ხათა შეუნდობს მსხუერპლვად და წინაწარსრულთაცა, ხოლო მამალთა ყო-
ვლად დამწუეველობს ყოველთა. ხოლო დაიკლნენ რამ ესენი, გარემოჲს ბომო-
ნისა სისხლითა შესუარიან მღდელნი. და ამისა შემდგომად, წმიდამყოფელნი,

¹ მენდარიკოსთა $\mu\epsilon\nu\ \delta\alpha\rho\iota\kappa\omicron\upsilon\sigma\iota\varsigma\ \pi\epsilon\iota\sigma$ (=სპარსული ოქროს ფული). ² კარავსა QS. ³ შემთ-
ხუეულ.

⁴ რიცხე. 7,89. ⁵ ლეე. 1,1-3-10-5-11-9-13.

⁶ დაწერე განსუენებათა. ⁷ შესწავე სჯულთათვის.

ასოეულად დასკრიან და, დამასხმელნი მარილსა, ვომონსა ზედა დასდებენ, შეშათა აწვე აღლელობასა და ცეცხლისა მწუხეველობასა. ხოლო ფერკთა მსხუერპლისათა და მუცლის კერძოთა, განწმედილნი კეთილად, სხუათა თანა სამსხუერპლოთა ზედ-მოიღებენ, ხოლო ტყავთა მდღელნი მიიღებენ. და ყოვლადდასაწუველისა ვიდრემე სახე არს ესევეთარი.

2)* ხოლო სამადლობელთა მსხუერპლთა აღმასრულებელნი ამათვე ცხოველთა მსხუერპლვენ, ხოლო ამათ სრულთა და წელიწდეულთასა უმოხუცებულესთა. მამალთა, შეუღლვილთა დედალთა თანა. ხოლო მსხუერპლველნი ამათნი, შეღებენ ვიდრემე სისხლითა ვომონსა, ხოლო თირკუმელთა და ზედგარდაბურვილთა და ყოველთა ცმელთა ზედ ღვძლის ყურისა თანა და ამათ თანა კუდსა კრავისასა მოიღებენ ვომონისა ზედა. და, მკერდსა უკუე და მარჯუნესა ბარკალსა მდღელთა მიმნიჭებელნი, ორთა დღეთა შინა იშუებენ დანეშტებულთა კორცთა მიერ. ხოლო რომელნი ნამეტნავობდენ, დასწუვენ.

3)1* ხოლო მსხუერპლვენ ცოდვილთათესცა და მსგავსად პირველისა გუარისა. სამადლობელთა, მდღელმოქმედებისა იქმნების. ხოლო უძღურნი მოღონებად სრულიადთა მსხუერპლთა, ტრედთა ანუ გურიტთა ორთა, რომელთაჲ ერთი ვიდრემე ყოვლად დაიწუვის ღმრთისა, ხოლო სხუა — მდღელთა მისცენენ საგნლად. გამოწულივითრე მსხუერპლისათეს ვთქუათ და ცხოველთა უკუე მსხუერპლის ძლითა შინა. რამეთუ უმეტრებითა ვიდრემე ამას შთავრდომილა, კრავსა და თიკანსა დედალსა, წელიწდეულთა, მოიყვანებს და სისხლითა შესუარავს ვომონსა მდღელი არა ვითარცა და პირველ, არამედ საკიდურთა კუთხებსა. და თირკუმელთა უკუე და სხუასა ცმელსა ღვძლის ყურისა თანა მოიღებენ ვომონისა ზედა. ხოლო მდღელნი. ტყავთა მიიღებენ და კორცთა მასვე დღესა შინა აღპლვეენ სამდღელოსა შინა, რამეთუ სჯული ზვალისად დატევებად არა უტევებს. ხოლო მცოდველი, თესგან უკუე მეცნიერი და არავისი მქონებელი შამხილებელისაჲ, ვერძს მსხუერპლავს, ვინათგან სჯული ამას ბრძანებს, რომლისა კორცთა სამდღელოსა შინა მსგავსადვე მდღელნი მასვე დღესა შესჭამენ. ხოლო მთავარნი, რომელთათეს ცოდვს, მსხუერპლველნი, მსგავსთავე მოიღებენ მსოფლიოთასა. ხოლო განეყოფვიან მოღებსა შინა მსხუერპლთასა ზუარაკსა და თიკანსა მამალთასა./

4)2* ხოლო სჯული არს თითოეულისა და საზოგადოთა მსხუერპლთა თანა დაფქვილსაცა წმიდისა მოღებად: კრავისა თანა საწყავსა ასსარონისასა, ხოლო ვერძისა — ორსა და ზუარაკისა — სამსა. ამას წმიდა-ჰყოფენ, ვომონისა ზედა შესუარულსა, ზეთითა, რამეთუ მოიღებვის ზეთიცა მსხუერპლველთა მიერ: კარისა ზედა ვიდრემე ნახევარი ინოჲსაჲ, ხოლო ვერძისა კერძო — მესამედი ამის საწყავისაჲ და მეოთხე კერძო — კრავისა ზედა. ხოლო ინ საწყავი არს დასაბამითგანი ვერაული, რომელი შემძლებელ არს ორთა ხოათა ატტიკორთა დატევენად. ხოლო მასვე საწყავსა ზეთისა თანა და ღვნოსაცა მიიღებდეს და მსხუერპლვენ უკუე ღვნოსა ვომონისა ზედა. ხოლო უკუეთუ ვინმე მსხუერპლსა არა აღასრულებდეს ლოცვისათეს, მოიღებს სემიდალსა³, ამისგან შესაწირავსა მკელსა ერთსა დასდებს ვომონისა ზედა. ხოლო ნეშტსა მდღელნი საზრდელად მიიღებენ, გინა გამოცხობილსა, ანუ პურად ქმნილსა⁴. ხოლო მდღელი მიიღებს, რაოდენი ჭერ-იყოს, ყოვლად დასაწუველად.

* ლევ. 3,1. 1* ლევ. 5,7; 4,27; 4,32; 6,2. 2* რიცხ. 15,4—10. ლევ. 2,1; 6,14; 6,23; 22,27.

3 სიმინდა. 4 რამეთუ ზეთითა შესუარულ არს.

აყენებს უკუე სჯული მსხუერპლვად ცხოველსა მისვე დღისასა მშობელი-სა თანა ერთბამად, არცა სხუად უწინარეს რვისა დღისა წარსლვისა შობილი-სათვს. ხოლო იქმნებიან სხუანიცა მსხუერპლნი განლტოლვისათვს სნეულემა-თავან, გინა სხუათა მიზეზთაებრ, რომელთა შინა თაფლოვანნი მსხუერპლთა თანა აღილევიან, რომელთავან უკუენადასკნელისად დატევებაჲ არა სჯულ არს, ხოლო მდღელნი მოიღებენ ნაწილსა თვსა.

თ. 10.

1)* ხოლო საზოგადოდასა წარსაგებელისაგან სჯულ არს კრავა წელი-წღელუთავან დღითი-დღე დაკლვამ, დაწყებასა დღისასა და დასრულებასა. ხოლო მეშვდესა დღესა, რომელსა სავვატად ეწოდების, ორთა დაპკლვენ, მით-ვე სახითა მდღელმოქმედნი. ხოლო თვს თავსა დღითი-დღედთაცა მსხუერ-პლთა დასრულებენ და ორთა ზროხთა, კრავთა შვდთა წელიწღელუთა და ვერძსა, ხოლო თიკანსა ცოდვათავან განყენებისათვს, უკუეთუ რამე უმეც-რებით იქმნეს.

2)* ხოლო მეშვდესა თუესა, რომელსა მაკედონნი კვერვერეტოდ უწო-დენ, ზედდამქენელნი პირველთქუმულთანი ზუარაკსა და ვერძსა და კრავთა შვდთანი, მსხუერპლვენ და თიკანსა ცოდვათათვს.

3)*² და მეათესა უკუე მისვე თვსასა მთუეარისა მიმართ მმარხველნი ვიდრე მწუხრადმდე, მსხუერპლვენ ამას დღესა შინა: კარსა და ვერძთა ორთა და კრავთა შვდთა და ცოდვათათვს თიკანსა. ხოლო ამათ მოიყვანებენ ორთა თიკანთა, რომელთავან ერთი ვიდრემე ცოცხალი გარეშე საზღვანთა უდაბნოდ წარივლინების, განშორებდა და განსაყენებლად ქმნადი ცოდვათა-გან ყოელისა სიმრავლისა, ხოლო სხუასა, ვარეშე ქალაქისა წმიდა ადგილსა მიმყვანებელნი, მუნ დასწუვენ მისვე ტყავისა თანა, ყოელითურთ არა გან-მწმედელნი. ხოლო თან-დაიწუვის კარიცა, არა ერისა მიერ მიყვანებულნი, არა-მედ თვსთა წარსაგებელთავან მდღელთმთავრისა მიერ მინიჭებულნი, რომელი დაიკლას რაჲ, შემღებელი ტაძრად, სისხლისაგან თანად და თიკანისადაცა ასხუ-რებს თითითა სართულსა შვდგზის და მისგანვე იატაკსაცა და ესეოდენგზის ტაძარსა და ოქროსა ვომონსა. ხოლო ნეშტსა უდიდესისათვს გამოიღებს ეთერისა ქუეშე. ამათ თანა მწუერვალთა და თირკუმელთა და ცმელთა ღვძ-ლის ყურისა თანა მოიღებენ ვომონისა ზედა. მიანიჭებს უკუე ვერძსაცა მდღელთ/მთავარი ყოვლად დასაწუველად ღმრთისა.

4)*³ ხოლო მეათხუთმეტესა მისვე თვსასა, მიდრეცილობასა მიერითავან ჟამისასა ზამთრისა ჟამდმი, კრავთა აღმართებასა ბრძანებს თითოეულისა სახლითი-სახლად, მომლონებელთა სიცივისათვს და დამარხვად წელიწდისა. რაჟამს მამულთა მიემთხვენ, მიწენილნი ქალაქსა მას, რომელი ტაძრისათვს დედაქალაქად იპყრიან, რავთა დღეთა შინა აღმსრულებელთა დღესასწაულსა, ყოვლადდაწუველობად და მსხუერპლვად ღმრთისა, სამადლობელთა მომ-ღებელნი კელთა შინა ირესიონსა⁴, მკრისინისა⁵ და ძეწნისაგან ნაყოფსა თანა ფვნიკისასა ქმნილსა, პერსეაჲს ვაშლისა⁶ თანამყოფობასა. ხოლო ყო-

* რიცხ. 28,3—15. გამ. 29,38. 1* რიცხ. 29,1. 2* რიცხ. 29,7. ლევ. 16,5—14—18—25—3. 3* რიცხ. 29,12. ლევ. 23,34; 23,40. რიცხ. 29,13; 29,35. 4* *שְׁעֵי עֵשְׂרֵי* 3₂₄₅ (=მატულით შე-კრული დაღნის ან ზეთისხილის გვირგვინი). 5* *מִקְרִיִּים* 3₂₄₅ (მურტის ტოტი). 6* *עֵץ מִיְּהוּדָה* 3₂₄₅ (=ხე ლიზნის მაგვარი ნაყოფით).

ფად პირველსა დღეთასა მსხუერპლსა ყოვლადდასაწუველისასა სამთა და ათთა ზროხათაგან და კრავთა ერთითა უმრავლესთა და ვერძთა ორთა და გან-ყენებისაგან ცოდვათაჲსა თიკანსა დაძენად. ხოლო შემდგომთა დღეთა იგივე ვიდრემე რიცხვ კრავთა და ვერძთაჲ თიკანისა თანა იმსხუერპლების. ხოლო და-მაკლებელნი თითოეულსა დღესა ერთსა ზროხთაგან, შვდთადმი შთამოვლენ. და მერვესა დღესა განისუენებენ ყოვლისა საქმისაგან და ღმერთსა, ვითარცა წინაწარ ვთქვთ, კბოსა უმსხუერპლვენ და ვერძსა და კრავთა შვდთა და ცოდ-ვათათჳს და უკუნჯმნისა თიკანსა. და ამათ ვიდრემე აღსრულებთა მამულებითი არს ევრავლთაჲ, კარვისა აღმმართველთაჲ.

5)* ხოლო თუესა ქსანთიკოსსა, რომელი წისან იწოდების ჩუენ მიერ და წელიწდისა არს დასაბამი, მეთათხმეტესა მთუვარისაებრ, მზისა ვერძისა ზედა მდგომარეობასა, რამეთუ ამას თუესა შინა ეგვპტელთ ქუეშისა მონებო-საგან განვთავისუფლდით, და მსხუერპლი, რომელი მაშინ გამოსრულთა ეგვ-პტით ჩუენ მიერ მსხუერპლედ წინაწარ ვთქვთ, პასხად სახელდებული, თი-თოეულსა წელსა მსხუერპლეთა სთნდა. და აღვისრულებთ ამას ნათესვობით, არცა ერთისა მსხუერპლებულთაგანისა დამმარხველნი მომავლისად. ხოლო მეთათხმეტესა ემონაცვალების პასხასა უცომოთა დღესასწაული, შვდთა დღეთა შინა მყოფი, რომელსა შინა უცომოთა მიერ იზარდებიან და თითო-ეულსა დღესა ზუარაკნი დაიკლვიან ორნი და ვერძი ვიდრემე ერთი, ხოლო კრავნი — შვდნი. და ესენი ვიდრემე ყოვლად დაიწვიან და ზედ-დაეძინე-ბის ყოველთა თიკანიცა ცოდვათათჳს, საშუებლად მღდელთა თითოეულსა დღესა. ხოლო მეორესა დღესა უფუვართასა, მეთათქუსმეტე უკუე არს ესე, ნაყოფთაგან, რომელნი მომკნეს, პირველ მიოდებენ, რამეთუ არა შეეხნიან მათ უწინარეს და ღმრთისა პატივის-ყოფად სამართლად მგონებელნი პირ-ველად, რომლისაგან ღონიერებასა ამათსა მიემთხვენს. დასაბამთა მოიღებენ მისა ქრთილნსაგან ესრეთ სახედ: განმაკმობელნი მკვლეულსა კუვილთასა და დამმუსრველნი და წმიდამყოფელნი ქრთილთანი დაფქვისა მიმართ, ასსარონ-სა მიიღებენ ღმრთისა ვომონისა ზედა და, ერთსა მკვლსა დამდებელნი მის-გან ვომონისა ზედა, ნეშტსა დაუტევებენ საკმარებისათჳს მღდელთაჲსა. და მაშინ მიერითგან საზოგადოდ და თჳსგან ჭერ-არს ყოველთა მკაჲ. ხოლო მსხუერპლვენ დასაბამთა ზედა ნაყოფთასა კრავსა ყოვლადდასაწუველად ღმრთისა.

6)* ხოლო მეშვდისა შვდელისა ქმნილებასა შემდგომად ამის მსხუერ-პლისა, და ესენი უკუე, არა შვდელთა, დღენი ორმოცნი და ცხრანი, ორ-მეოცდამეათისა თანა, რომელსა ევრავლნი ასართა უწოდებენ, ხოლო მოასწა-ვებს ესე ორმოცდამეათესა, რომელსა შინა მოიღებენ ღმრთისა ასსარონთა 51 ორთა პურად ქმნილთა საფუერისა თანა ფქვილისაგან იფქლისაჲსა. / რამეთუ ესენი ვიდრემე, მოღებად ღმრთისა, მხოლოდ საზრდელად მღდელთა შეიმ-ზადების და დანეშტებთა არა შენდობილ არს მათგან¹ მომავალისად² და ყოვ-ლადდასაწუველ ქმნადთა კბოთა მსხუერპლვენ სამთა და ვერძთა ორთა და კრავთა ათთხმეტთა, ხოლო თიკანთა ორთა ცოდვათათჳს. და არცა ერთი არს დღესასწაულთაჲ, რომელსა შინა არა ყოვლად-დამწუველობენ, არცა მომდოვრდებიან შრომათგან საქმის ზედათაჲსა, არამედ ყოველთა შინა სჯულ

1 მათგან] + მათგან A, — QS. 2 მომავლისად A.

* ლევ. 23, 5. რიცხ. 28, 17. ლევ. 23, 11—12. 1^o ლევ. 23, 15; 23, 18. რიცხ. 28, 27.

არს გუარი მსხუერპლისა და უშრომელობა უქმობისა და განსუენებისა მიმართ არიან მსხუერპლველნი.

7)* ხოლო საზოგადოებაგან პური გამოცხობილი, უნაწილო საფუევა-რისა, ასსარონნი უკუე ოცნი და ოთხნი ამის მიმართ აღილევიან. ხოლო გამოიცხობვიან ორ-ორად განყოფილნი ვიდრემე უწინარეს სავეატოხსა, ხოლო განთიად სავეატოსა მოღებულნი, სამღდელოხსა ტრაპეზისა ზედა დაის-ხმიან ექუს-ექუსნი, ურთიერთას მხედველნი. ხოლო ზედა კერძო მღებარეო-ბასა ორთა ოქროხსა პინაქთასა¹*, აღსავსეთა ლივატონოხთა²*, დაადგრებიან ვიდრე სხვსა სავეატოხსადმდე და მაშინ ვიდრემე ნაცვლად მათსა სხუანი მოიღებვიან, ხოლო ივინი საზრდელად მიეცემიან მღდელთა. და ლივანოტო უკუე იკუმევის საღმრთოხსა ცეცხლისა ზედა, რომლისა მიმართ ყოვლად დასაწუველობენ ყოველნი, ხოლო ლივანოტო ზედა კერძო მისა სხუად პურ-თა ზედა დაიდებს. ხოლო მსხუერპლავს მღდელი თვსთა წარსაგებელთა მიერ და ორგზის თითოეულსა დღესა ამის ჰყოფს ფქვილსა, ზეთითა შესუარულსა. და შეყინებულსა გამოცხობითა მცირედ. და ერთი ვიდრემე ასსარონი ფქვი-ლისა, ამისსა ვიდრემე ნახევარსა განთიად, ხოლო სხუასა — მწუხარად მიი-ღებს ცეცხლისა თანა. ამით ძლითი ვიდრემე უკუე სიტყუად გამოწულდვით-რე კულად მოვასწოთ, ხოლო საგონებელ არს ჩემდა კმა-ყოფად აწ მათთვის წინაწარ თქუმისა.

თ. 11.

1)3* ხოლო მოვისი, ლევიტის ნათესავსა ზიარებისაგან ერის მიმართისა განყოფილი სამღდელოდ მყოფსა, განსწმედდა წყალთა მიერ წყაროხსათა, მარადის მცენთა, და მსხუერპლთა, რომელთაცა ესევეითართა ზედა სკულიერ-თა მიანიჭებდეს ღმერთსა. და კარავი და ჰურჰელნი სამღდელონი და სხუანი, რაოდენნი საფარველად კარვისა ქმნილ იქმნეს, მისცნა მათ, რაათა წინა-მძღურებითა მღდელთათა ჰსახურებდენ, რამეთუ აწვე განკუთხვილ იყვენს ღმერთისა.

2)4* და ცხოველთათვს განარჩია თითოეული, რომლისაგან იზარდებო-ლიან და კულად — რომლისაგან განყენებულ იყვენ, რომელთა ძლით, რა-მელთა შინა მიზეზი წერისა იქმნეს ჩუენდა, წარმოვთქუნეთ¹ მიზეზნი. რა-მელთაგან აღძრულმან რომელთამე მათგანთა საკმლად ჩუენდა ყოფად ბრძანა, ხოლო რომელთაგანმე განყენება განაწესა. და ყოვლისა უკუე სისხლისა საზრდელად კმარება უარ-ყო, სამშუმინველად და სულად მეკუთელმან მის-მან. და ზრდა კორცისაგან თვთომოკუდრისა ცხოველისა განაყენა, ხოლო ზედმოსრულისაგან და ცმელისა თხათაჲსა და ცხოვარისა და ზროხათაჲსა გან-ყენება წინაწარვე თქუა.

3)5* ხოლო განდევნა ქალაქისაგან და ვნებულნიცა სხეულითა კეთარისა მიერ და წარმდინარენი შობადისანი. და დედაკაცი, რომელთად წარდინება ბუნებრივი მოვალს, განაყენა შვდსა დღესა ყოვლისაგან. შემდგომად, ვითარ

¹ წარმეთქუნეთ.

* ლევ. 6,20. ¹ πινάχον 3,256 (=ლანგარი). ² λιβανωθεν 3,256 (=საკმეული). ³ რიცხ. 3,5. ⁴ ლევ. 17,10; 11,29; 7,23. ⁵ ლევ. 15,19. რიცხ. 19,11; 31,19. ლევ. 15,16.

წმიდათა, შემოსლვაჲ! შეუნდო. ეგრეთვე და მკუდრისაცა დამმარხველთა ესე-
ოღენთა დღეთა შემდგომად სჯულ არს შემოსლვაჲ. ხოლო პყრობილისა უმე-
ტეს რიცხვსა ამით დღეთასა. შეგი/ნებასა შინა, სჯულ არს მსხუერპლვად
როთა კრავთაჲ. რომელთაგანისა ერთისა ვიდრემე წმიდა-ყოფაჲ ჳერ-არს,
ხოლო სხუისა მღელნი მიიყვანებენ. ეგრეთვე მსხუერპლვენ და წარმდინა-
რისათვისცა შობადსა¹. ხოლო რომელთა ძილთა შინა წარედინოს შობადი,
შთაძტევებელსა თავისა თვისისასა წყლად გრილად, მსგავსად სჯულისა დედა-
კაცისა მიახლებულთად აქუს კელმწიფებაჲ. ხოლო კეთროვანნი ყოვლითურთ
განასხნა ჳალაქისაგან არავის თანა მქცევინი და მკუდრისა არარათ განყო-
ფილნი. ხოლო უკუეთუ ვინმე, მედრებელი ღმრთისაჲ, განიტეოს სნეულე-
ბისაგან და მრთილი მიიღოს სხეული, ესევეთარი უკუე მრავალთა მსხუერპლ-
თა ნაცვალ-აგებს ღმერთსა, რომელთათვის უკუანასკნელ ვთქუათ.

4) რომლისათვის და მბასრველ იქმნესცა ვინმე, მეტყუელთა მოვსის, ვნე-
ბულსა კეთრითა თვთ მას, ლტოლვად ეგვპტით და წინამძღუარ-ყოფად ამის
მიზეზისათვის განვრდომილთა და ხანანიად მიყვანებად მათდა. რამეთუ უკუე-
თუმცა ესე ჳეშმარიტი იყო, არამცა უპატიოებასა მისსა ზედა ესევეთარნი
სჯულნი დასხნა, რომელთა შინა ადვილ იყო მისდა და სხუითაცა მაწუეველო-
ბასა წინააღდღომად და ამით თანა მრავალთა ნათესავთა შორის ყყოვობასა
კეთროვანთასა და პატივისა მიმღებელობასა, არა მხოლოდ გინებისა და უპა-
ტიოებისა და ლტოლვისაგან კსნილთა, არამედ და საჩინოთაცა მკედრობათა
მნკედრობთა და სამოქალაქოთა მთავრობათა რწმუნებულთა და კელმწიფება-
სა მქონებელთა შესლვად სამღდელითა შინა და ტაძართა. ვიდრედა არცალა
მოვსის აყენებდა, უკუეთუმცა ესევეთარიითა რათმე შემთხუევეთა სხეული-
სადა უდარესობდა იგი, გინა მის თანა. სიმრავლე, სჯულდებად მათდა უმჯო-
ბესთა და არცა ერთსა, ვითარსა განსაზღვრებად ზღვევასა. არამედ ცხად-არს,
ვითარმედ ამათ ჩუენთვის იტყვან, შურისა მიერ აღძრულნი, ხოლო მოვსის;
ამათგან წმიდადმყოფი წმიდათა შორის ერთნათესავთა, სნეულთათვის სჯულს-
უდებდა, პატრე-სათვის ღმრთისა ამისი მოქმედი. ამათთვის თითოეული ამათი,
ვითარ საგონებელ არს მათდა, გამოძიებად.

5)* ხოლო დედაკაცნი, რაჲმს შვან, სამღდელიად შესლვისაგან დააყენ-
ნა და მსხუერპლთა შეხებისაგან ვიდრე ორმოცთა დღეთადმდე, უკუეთუ
წული იყოს შობილი, რამეთუ ორწილ ყოფაჲ დღეთაჲ შემთხუეულ არს ჳა-
ლის შობათა ზედა. ხოლო შესრულნი ვიდრემე შემდგომად პირველად თქუ-
მელისა დროასა, მსხუერპლთა სრულ-ჳყოფენ, რომელთა მღელნი ღმრთისა
შესწირენ.

6)!* ხოლო უკუეთუ ვინმე იტუნეულ² იქმნეს³ მრუშებასა ცოლისა თვისა-
სასა, მიიღებს ასსარონსა ქრთილისა დაფქულისასა და, მკელსა ერთსა შემ-
წირელნი ღმრთისა, ნესტსა მღდელთა მისცემენ საზრდელად. ხოლო დედა-
კაცსა მღდელთაგანი ვინმე⁴ დამადგინებელი ბკეთა ზედა, ხოლო ესენი მხედ-
ველ არიან ტაძრისა მიმართ, და თავისაგან სამოსელსა აღმღებელი, დასწერს
ვიდრემე სახელსა ღმრთისასა ტყავისა ზედა. ხოლო უბრძანებს ფუცვად არა-
რას უსამართლოებად ქმრისა: და გარდასრულსა სიწმიდისაგან — გარეშე.

¹ შემოსლვაჲ | შემოსლვაჲ A. ² იქნეულ. ³ იქმნეს A. ⁴ ვისმე AQ, ვისიმე S.
¹ ლე. 12,2. ^{1*} რიცხ. 5,12.
⁰ ესე იგი არს თესლი.

ქმნად ნასხმანთა ბარკლისათა და მუცლითა განბერილსა ესრეთ სიკუდილად, ხოლო უკუეთუ ფრიადისა ტრფიალებისა მიერ და ამის ძლით მოშურნეობისა წინაწარ მამაკაცი იქვსა მიერ აღძრულ არს, თუესა მეათესა იყოს მისდა ყრმად მამალი. და ფიცნი რაჲ უკუე სრულ-იქმნენ, აღმკოცელი სახელი ტყა-ვისაგან, ფიალსა შინა დასწორავს და, მომღებელი სამღდელოჲ/სა მიწისაგან, რაჲცა მიემთხვოს¹, და შთამყრელი, სასუმელად მისცემს. ხოლო იგი ვიდრემე, უკუეთუ უსამართლოდ მიიწეოდა, მუცელქუმულ იქმნების და სრულსავე მუცლითა და ცრუქმნილი ქმრისაჲ ქორწილთა ზედა და ღმრთისაჲ ფიცთა ზედა — სირცხვლისა თანა დაამკობს ცხოვრებასა, დაქსნასა ბარკლისა მისინსა-სა და მუცლისა წყლითმანკიერობისა მიწეწილობასა. და მახუერპლთათვს ვიდრემე და სიწმიდისათვს მათ ზედათაჲსა ესენი მოკსი თანმონათესეითა წინ-განუჩინნა, ხოლო სჯულნი დაუსახნა მათ ესევეთარნი:

თ. 12.

1)* მრუშებდა ვიდრემე ყოვლად უკუ-თქუა, მთნებელმან კეთილბედნი-ერად მრთელობად ქორწილთა შინა მამაკაცთამან და თანად ქალაქთა და სახლთად უმჯობეს-ყოფად საკუთართა შვილთა ყოფისამან. და შეყოფად ვიდ-რემე დედათაჲ, დიდად ბოროტად მყოფი, უკუ-თქუა სჯულმან; ეგრეთვე და მამისა ქორწინებულსა თან-ყოფა² და მაწოვნებელთა და დათა და შვილთა ცოლებისა, ვითარ გარენათესავად ქონებულა უსამართლოებდა, მოიძულა. ხოლო დააყენა დედაკაცისაჲ, შევიწებულსა ბუნებითაგან, მიახლებდა, არცა პირუტყუთა თან-შეყოფად მისლვად, არცა წულთა თანა-შეყოფასა პა-ტივისცემად, მათ ზედაჲსა შეუნიერებისათვს შეუებასა უსჯულოსა მომსთუ-ლებელთად. ხოლო ძენად ამათაჲ მავინებელთად სიკუდილი განასაზღვრა სა-ტანჯველად.

2)* და მღდელთა უკუე ორწილად სიწმიდე ქმნა, რამეთუ ამათგან მათცა მსგავსად სხუთა აყენებდა და ამას თანა მეძვისა დედაკაცისა თანა-ყოფად აყენებდა და არცა მონისა და არცა ტყვსა ქორწინებაჲ შეუწდო მათ და არცა მოსყიდისა მიერ³ და ყოველთა მესადგურეობისა ცხოვრებისა მომლონებელ-თად, არცა პირველთა ქმართაგან რომელთავე მიზეზთა მიერ განყენებულთაჲ. მღდელთმთავარსა უკუე არცა მომკედრისა² მამაკაცისაჲ ცოლსა — ქორწი-ნებდა ქალწულისაჲ და ამისი დაცვაჲ. რომლისათვს არცა მკედრისა მივალს მღდელთმთავარი, სხუთა არა დაყენებულებასა თანა-ყოფისაგან ძმათა და მშობელთა და ყრმათა მათთა მიცეალებულთაჲსა. და უნაკლულოდ-ყოფად უკუე ყოვლისა უნაკლულობითა. ხოლო არასრულსა ყოველითურთ მღდელ-თაგან, უბრძანა პატივთა მინიჭებდა მღდელთადმი და ვომონადმი აღსლვისაგან და ტაძრად შესლვისა დააყენა. და არა მხოლოდ მღდელმოქმედებათა შინა წმიდა-ყოფაჲ უბრძანა, არამედ სწრაფად და მოქალაქობასაცა შინა მათსა, რაჲთა უბიწო იყოს ესეცა. და ამის მიზეზისათვს, რომელთა კმოსიეს სამღდე-ლოჲ შესამოსელი, თანად უბრალო არიან და ყოველითურთ წმიდა და განწმე-დილი და დაყენებულ სუმაღ ღვნოსა, ვიდრემდის შესამოსელსა მქონებელ იყვნენ. ამას თანა და შესაწირავთა მსხუერპლვენ უნაკლულოთა და არასადა ცნებულთა.

¹ მიემთხვოს A. ² მომკედრისა] + არცა მომკედრისა A.
³ ლევ. 20,10; 20,18; 15,13. ^{1*} ლევ. 21,7—14—11—1; 10,9 (ეზეკია 44,21); 22,19.
⁰ ესე იგი არს მშობელთა თვისთაჲ. ⁰¹ კაპილოვნობისა.

3)* ესენი ვიდრევე, აწვე უამსა ცხორებისა მისისასა ქმნილნი, მისცნა მოკსი. ხოლო ამათვს და კუალად უდაბნოსა ზედა მქცევმან წინაწარ-განი-ხილა, ვითარ რაჟამს ხანანია მთილონ ამათ, მოქმედენ. მეშვდესა წელსა ლხი-ნებასა მისცემს ქუეყანასა კნვისაგან და ნერგვისა, ვითარ და მათა მეშვდესა დღესა საქმეთაგან განსუენებაჲ წინაწარ ჰრქუა. და თავით თვისით აღმოცე-ნებულთა ქუეყანისაგან — საჰმარად საზოგადოდ-ყოფაჲ მნებებელთათვს,

v თანმონათესევთა და სხუთა სოფე/ლთაგან მყოფთა, არარას მათგან დაამარ-ნგვლთად. ხოლო მოქმედებად ამას და შემდგომად მეშვდისაჲ შვდელისა წელთასა, ესენი ვიდრევე ორმეოცდაათნი წელი არიან ყოველნი. ხოლო იწოდების ევრაელთა მიერ ორმეოცდაათე წელი იოვილოს¹*, რომელსა შინა თანამდებნი სესხთანი განიტეობიან და მმონებელნი თავისუფალნი წარვილი-ნებიან, რომელნიცა, თანმონათესვედ და მყოფნი და გარდასრულნი რასავე სჯულიერთასა, სახითა მონებისაჲთა განსაჯნა, სიკუდილისა არა ღირსნი. ხო-ლო უკუნ-აქცევს და აგარაკთაცა პირველთგანვე უფალთა მათთა გუარითა. ამით წარმოდგეს რაჲ იოვილოს, ხოლო თავისუფლებასა მოასწავებს სახელი, შეკრებიან თანად უკუნმქცეველი ადგილისაჲ და მომსყიდელი და, აღმრიცხუ-ველნი ნაყოფთა და წარსაგებელთა ქმნილთანი ადგილსა ზედა, უკუეთუ ვიდრევე ნაყოფნი უმეტეს იპოვნენ, მიითულავს აგარაკსა მიმცემელი; ხოლო წარსაგებელი თუ უმეტეს იყოს, ნაკლულევანისათვს დამდებელი ჯეროვნისაჲ განჯეენების მომგებელსა მონაგებსა; ხოლო უკუეთუ სწორად აღირიცხუნენ ნაყოფნი და წარსაგებელნი, უკუნ-სცემს და პირველვე მინიჭებულთა. ესევე უკუე და სახლთაცა ზედა, დაბათა შინა განსყიდულთა, სთნდა სჯულსა შეძ-ლუნად. ხოლო ქალაქსა შინა განსყიდულთაჲ სხუებრ აგრძნო, რამეთუ უკუე-თუ პირველ სრულ-ქმნისა წელსა მისცემს ვეცხლი, აიძულებს მიმსყიდელსა უკუნცემად; ხოლო უკუეთუ სრულ-იქმნეს წელიწადი, დაუმტყიცებს მონა-გებს მიმსყიდველსა. ესე განწესებაჲ სჯულთაჲ გამოსწავა მოკსი ღმრთისა მი-ერ, რაჟამს სინეოჲსა ქუეშე დაბანაჲჲ მკედრობაჲ და ევრაელთა დაწერილად მსცა.

4)2* ხოლო ვინათგან საგონებელ იყო მისდა კეთილად ქონებაჲ სჯუ-ლისათვს, მიერითგან გამოძიებისა მიმართ მკედრობისაჲსა მიიქცა, სამბრძო-ლოთა შეხებად, აწვე გონებასა შინა მქონებელი, და უბრძანა ნათესავთმა-ვართა, თვნიერ ლევიტიდოჲს ნათესვისა, გამოწულილვით სწავლად რიცხუსა მკედრობად შემძლებელთასა, რამეთუ მდღელნი იყვნეს ლევიტელნი და ყოვ-ლითურთ უხარკონი. ხოლო იქმნა რაჲ აღხილვაჲ, იპოვნეს ბევრნი სამეოცნი შემძლებელთაგანნი აღჭურვილად აღჭურვად ოცით წლითგანნი ვიდრე ორმე-ოცდაათთამდე, და სამ ათასნი ექუსთა თანა და ორმეოცდაათთა. ხოლო ნაცვ-ლად ლევისა დააწესა ნათესავთმაჲვართა შორის მანასი, იოსიპოჲს ყრმაჲ, და ეფრემი ნაცვლად იოსიპოჲსა. ხოლო ესე ვედრებაჲ იყო იაკოვოჲსი იოსიპოჲს მიძართ, მისდა ქმნად მინიჭებისათვს ყრმათასა, ვითარ წინაწარ ვთქუ.

3)3* ხოლო აღმმართველნი კარვისანი საშუევალ, მიიღებდეს სამთა ნა-თესავთასა, თითოეულისა კუთხისა თანამკედროთასა. ხოლო გზანი საშუევალ⁴ განკუეთილ იყვნეს და შემკობილებაჲ იყო სასყიდელისაჲ და განსასყიდელ-

¹ სასაშუევალ A.

* ლევ. 25,1-8-39-13-16-27-31-29. ¹ [ἀβηλας 2₃₈₈ (=საიუბილო)]. ** რიცხ. 1,1. ³ რიცხ. 2,1; 1,53; 3,39; 9,18.

თავან თითოეული განწესებით მდებარე იყო და მოქმედნი ყოვლისა კელოვ-
ნებისანი სამოქმედოთა შინა იყვნეს. ხოლო არარას სხუასა, გარნა ქალაქსა,
აღძრულსა და კულად დამტკიცებულ, მიენსგავსებოდა. და კარვისანი უკუე
პირველად ვიდრემე მდღელთა აქუნდა და შემდგომად — ლევიტელთა, ყო-
ველთა სიმრავლედ მყოფთა, რამეთუ აღირაცხნეს იგინიცა; და მამლისაჲ
ვიდრემე, რაოდენსა აქუნდა ოცდაათი დღე, იპოვნეს ორნი ბევრნი და ორ
ათანი რეაასთა თანა ოთხმოცნი. და რაოდენ კარავსა თანაშემთხუეოდა
მდგომარეობაჲ ღრუბლისაჲ, საგონებელ იყო დადგრომაჲ მათ თანა, ვითარ
წოსლავსა ღმრთისასა, ხოლო მიდრკის რაჲ — განყენებაჲ.

6)* ხოლო მოიპოვა და სახეცა ნესტუსაჲ ვეცხლისაგან მოქმედმან და
არს უკუე ესევითარი: სივრცე ვიდრემე აქუს წყრთუელი მცირედ ნაკლული,
ხოლო იწრო არს განსავალი სტკრისაჲ, მცირისა უმცირესი. / ხოლო მოანი- 53
ჰბს სიფართესა, კმასაყოფელსა პირისა ზედა შეწყუნარებისათჳს სულისა,
ეუუნად მყოფი მსგავსად საყვრთა, ასოსრა იწოდების ვერაელთა ენისაებრ.
ხოლო იქმნებიან ორნი: და ერთსა ვიდრემე მისაწოდებულად და შესაკრებე-
ლად იკუმევედეს სიმრავლისა ეკკლისიაღმი და ერთისა ვიდრემე მაუწყებე-
ლობასა ჭერ-იყო მთავართა შეკრებაჲ, განმზილველთაჲ თჳსთათჳს. ხოლო
ორნივე შეჰკრებდეს სიმრაველსა. ხოლო ესე იქმნებოდის, რაჲჲს იძრეოდის
კარავი: რამეთუ აუწყებდეს რაჲ პირველად, აღმოსაუღეთით კერძო დაბანა-
კებულნი აღდგებოდნან. და მეორისა მიერ — საშხრით კერძო მისსა მდგომარ-
ენი. ამისა შემდგომად კარავი, დაჳსნილი, სახეგარი წინაწარსრულთაგან
ექუსთა ნათესავთაგან მოიღებოდა და უკუანაშედგომილთა — ექუსთა, ხო-
ლო ლევიტელი კარვისა თანა იყვნეს ყოველნი. და მესამედ უწყებისა მიერ
ლივანსადმი* მხედველი დაბანაკებულთა კერძო აღდგებოდა და მეოთხედ —
ვორრამთჲ* კერძოჲ. ხოლო იკუმევედეს ნესტუთა მღღელმოქმედებათაცა ზედა,
მათ თანა შემწირველნი მსხუერპლთანი სავვატოთაცა შინა და ნეშტთა დღე-
თა. ხოლო მსხუერპლავს მაშინ პირველად შემდგომად ეგვპტით წარსლვისა,
პასნად სახელდებულსა, უდაბნოსა ზედა.

თ. 13*.

და, მცირედ დამტკეველი, აღდგების ღირეოჲსა მთისაგან და ადგილთა
რომელთამე წარმველი, რომელთათჳს ვაუწყით, ადგილსა რომელსამე, ესე-
რმით სახელდებულსა, მიიწევის. და მუნ კულად სიმრავლე დრტკნვად
იწყებს და მოკისს ბრალობად შემთხუეულთათჳს მისდა გამოსლვასა შინა:
და ვითარმედ ქუეყანისა კეთილისაგან არწმუნა მათ აღდგომაჲ და იგი ვიდ-
რემე წარწყმიდეს, ხოლო ნაცვლად კეთილბედნიერებისა, რომელი აღუთქუა¹
მინიკებად, ესევითართა ძკრთა შინა შეცთომილობენ, წყლისაგან ნაკლულე-
ვანნი, ხოლო უკუეთუ მანანასაცა მოკლებაჲ შეემთხვოს, სრულიად წარ-
წყმდენ. მრავალთა ვიდრემე მამაკაცისა მიმართ და ბოროტთა იტყოდეს, ხო-
ლო ერთი ვინმე განაზრახებდა მათ არცა მოკისს და ტკივნეულებათა მისთა
ზოგადისა ცხორებისათჳს მოუქსენებლობასა, არცა სასოწარკუუეთილებად
ღმრთისა მიერისა შეწყენისათჳს. ხოლო სიმრავლე ამის მიერ უფროსლდა

¹ აღღუთქუა A.

* რიკხ. 10,1; 10,5; 2,17; 10,10; 9,1. ¹⁰ თბ კარაჲ ლიფა 3₂₈₄ (=სამხრეთ-დასავლეთი).

²⁰ თბ კარაჲ პორპმჳ 3₂₈₄ (=ჩრდილოეთი). ²⁰ რიკხ. 11,1—4—19—31—34.

აღიძრა და, აღშფოთებული მერმეცა, უმეტეს მოკსის ზედა მიიმართებდა. ხოლო მოკსი, განზამკნობელი მათი, ესრეთ სასოწარკვეთილთაჲ, და თანად მათ მიერ მპვენგარდ გინებული, აღუთქუმიდა მინიკებად მათდა სიმრავლესა კორცთასა, არა ერთსა დღესა, არამედ მრავალთა. ხოლო ურწმუნო იყვნეს რაჲ ანას ზედა და ვისმე, მკითხველსა, სადაჲთ ესეოდენტა ბევრთა წინაწარ-თქუნილთა ღონე ექმნეს, „ღმერთი და, ჰრქუა, მე, და თანად ბოროტად სმე-ნილინი თქუენ მიერ. არა განვეყენნეთ შრომისაგან თქუენ მიერ ძლით და ესე არა შორს იყოს“. და თანად ამას იტყოდა და ყოველი ბანაკი აღივსო მწყე-რითა და შეჰკრებდეს მათ გარემოდგომილნი. ხოლო ღმერთი უკუე არა შორს ემონაცვალა ევრავლთა მისდა მიმართისა სილალისაგან და გინებისათვის, რა-მეთუ ნიკუდა არა მკირედი სიმრავლე მათი. და ჭერეთ აწცა თანმოსახელო-ბით ადგილი იგი სახელ-იდების კაეროთავა — გულისთქუმისა კსენებად ით-ქუმოდელ.

თ. 14.

1)* ხოლო მიერ მიმყვანებელმან მათმან მოკსი კევად¹ წოდებულისადმი, მანლობლად მყოფისა ხანანელთა ადგილისა და ბოროტისა მუნ ქევად, შე-საკრებლად მიუწოდა სიმრავლესა. და, მდგომარემან, „ორნი, თქუა, კეთილ-თანი ღმრთისაგან გაქუან, განმსკელია ღმრთისაგან მონიკებად თქუენდა, თა-ვისუფლებჲ და ქუეყანისა კეთილბედნიერისა მოგებჲ. და ერთი ვიდრე აწ მომეტველისაგან გაქუს, ხოლო სხუჲ მიიღოთ, რამეთუ მათათა ზედა ხანა-ნელთაჲსა მსხდომარე / ვართ და დაგუაყენნეს ჩუენ, ამიერიტგან მოწუენილ-ნი, არა მხოლოდ არა მეფემან, გინა ქალაქმან, არამედ არცა ყოველმან ნათე-სავმან მათმან კრებულმან. განვემზადნეთ უკუე საქმისა მიმართ, რამეთუ არა უბრძოლელად მოგვტონ ჩუენ ქუეყანაჲ, არამედ დიდთა ღუაწლთა მიერ მი-ღებულთა მისგან. ხოლო წარავგლინნეთ განმხილველნი, რომელთა ქუეყანი-სა ამის სათნოებჲჲ განიხილონ და რაოდენი ძალი მათდა. და პირველ უკუე ყოველთაჲსა ერთგანზარახვა ვიყვნეთ და ღმერთი, რომელი არს ყოველთა ზედა შეგმე ჩუენი და თანამბრძოლი, პატივით გუაქუნდენ.

2)² ხოლო მოკსი ესენი რაჲ თქუნა¹, სიმრავლე პატივთა ნაცვალ-აგებდა მას. და განმხილველთა გამოარჩიეს ათორმეტთა³, ერთს უგამოცდილესსა თითოეულსა ნათესეისაგან. ხოლო იგინი, გამოსრულნი ეგვბტისა კერძო-თაჲთ, ხანანისა ყოველსა და ამათინ ქალაქსა მიიწუვიან და ლივანოსა მთასა. და ქუეყანისა ბუნებასა და მკვდრთა კაცთასა გამომკულეველნი, მოიწინეს, ორმეოცთა დღეთა ყოვლისა საქმისა მიმართ მკუმეველნი. და ამას თანა ნაყოფთაგანცა, რომელთა ქუეყანაჲ გამოიღებს, მოიღეს და შეუენიერებითა მათთა და სიმრავლითა კეთილთაჲთა, რომელთა ქონებად იტყოდეს ქუეყანა-სა, ბრძოლად აღსარედეს სიმრავლესა. ხოლო კულად შემამინებელნი მათ-ნი უღონოებისათვის მოგებისა, მდინარეთა, შეუძლებელთა განსავალად მეტყუ-ელნი სიდიდისა მიერ და სიღრმისა და მათა, უღონოთა განმავალთათვის და ქალაქთა, მტკიცეთა ზღუდეთა და მოდგმულებათა სიმავრისათვის. ხოლო ქევ-

¹ თქუნა.

² რიცხ. 13,1. ^{1*} *ἑβδμήκων τῶν* (საკუთარი სახელი თარგმნილი). ^{2*} რიცხ. 13,3—25—22—33. ^{3*} *καὶ ἡβδμήκων: ἀπελθεὶς δὲ τῶν ἑβδμήκων τῶν* (=განმხილველნი გამო-არჩიეს ათორმეტნი).

რონს შინა და ნაშობთაცა გმირთასა იტყოდეს პოენასა. და განმმსტურობელნი ვიდრე, მხილველნი ხანანიასა შინათანი უზეშთაესად ყოველთა, რომელთა შემდგომად ეგვპტით განსლვისა შიეძთხენეს, თვთ იგინი განცვბრებულ იყენეს და სიმრავლისა ესრეთ ქონებად მოსწარაფე იყენეს.

3)* ხოლო იგინი გულისმითუყუველ იყენეს უღონოდ მოგებასა ქუეყანისასა, რომელთა მიერ ესმოდა, და, განჯსნილნი შესაყრებელისაგან, ცოლთათანა და ყრმათა მგლოვარე¹ იყენეს, ვითარ არა შეწყენასა მათდა ღმრთისაგან საქმით, არამედ სიტყვთ მხოლოდ აღმთქუმელობასა. და მოკიც კულადა აბრალეზდეს და კმობდეს ძენად მისა და ძმისა აარონისა, მღელღელთათავრისა და ბოროტსა ვიდრემე ღაშესა მქონებელ არიან გინებათა თანა მამაკაცთა მიმართთაჲსა, ხოლო განთიად შესაყრებულად მიმსრბოლობდეს, გონებასა შინა მქონებელნი დაქეაებად მოკისსი და აარონის და ეგვპტედვე უკუნქეცეად.

4)*¹ ხოლო განმსტურობელთაგანნი იისუს, ნაიხიოხს ყრმაჲ. თესლისაგან ეფრემისსა, და ხალევოს, იუდაჲს თესლისაგან, შეშინებულნი შევიდეს შორის და სიმრავლესა იპყრობდეს, განმქნობად მნებებელნი, მვედრებელნი და არა ცრუსიტყუაობასა დასჯად ღმრთისა, არცა რწმენებად განცვბრებულთა, არა ქეშმარითა მეტყუელისათეს ხანანელთა ძლით², არამედ კეთილბედენერობისა მიმართ და მოგებისა კეთილთაჲსა განმამკნობელთა მათთა, კამეთუ არცა მათთა სიდიდე, არცა მდინარეთა სიღრმე შემაბრკოლებელ ექმნეს საწმეთა მიმართ მოქმედთა სათნოებისათა და ამას ღმრთისა თანმოურნეობასა და ნაცვალმბრძოლობასა მათეს. „წარვიდეთ უკუე, იტყოდეს, მბრძოლთა მიმართ ზედაო, არარას მეჭუელობასა მქონებელნი, მთავრისა და ღმრთისა რწმუნებულნი და წინამძღუართა ჩუენთა შედგომილნი“. და იგინი ვიდრემე, ამათნი მეტყუელნი, კელ-კყოფდეს დამშვდებად რისხვასა სიმრავლისასა. ხოლო მოკისი და აარონ, ქუეყანად დაერღომილნი, / ევედრებოდეს ღმერთსა არა მათისა ცხორებისათეს, არამედ რაჲთა დააცხროვს სიმრავლე უგუნურებისაგან და განჰმართოს გონებაჲ მათი, შეშფოთებული ეღონოებისაგან მათდა წარმოდგომილისა ვნებისა. ხოლო მოიწია ღრუბელი და, დადგრომილი კარავისა ზედა, აუწყებდა³ ზედგამოჩინებასა ღმრთისასა.

54

თ. 15.

1)2* ხოლო მოკისი, მინდობილი, შიეიდა სიმრავლისა შიმართ და ღმრთისა აღძრვასა აუწყებდა გინებისა მიერ მათისა და მოწყენასა სატანჯველისასა, ნაცოდვებთა ვიდრემე მათთა არა ღირსისასა, გარნა ვითარსა მამანი სწავლისა ძლით შვილთა ზედა მოიღებენ. რამეთუ შესრულობასა მისსა კარავსა შინა და გულვებადისათეს წარწყმედისა მათისა მგლოვარეობასა, შემაქსენებელ ექმნა მას ღმერთი, რაოდენთა მის მიერ და ვითართა კეთილმოქმედებათა მიმღებელნი უმაღლო იქმნეს მისა მიმართ და, რამეთუ აწინდელისაგან მმსტურობელთა შიმისა ქუეშე ქმნილნი, სიტყუათა მათთა უქეშმარტეს აღთქუმისა მისისა შეჰრაცხენ. და ამის მიზეზისათეს არა ვიდრემე წარწყმიდნეს ყოველ-

¹ მგლოვარე. ² აუწყებდ AQ. ³ მმსტურობელთა AQ, მმსაბრბელთა S 56 ოაგაგაგრაჲ 331 (შშეერაეი).

* რიცხ. 14,1. ¹ რიცხ. 14,5. ² რიცხ. 14,11—39—31.

³ გარეშე გაგონე რწმუნებად.

ნი, არცა უჩინო-ყოს ნათესავი მათი, რომელი უფროას ყოველთა კაცთადასა აქუნდა პატივით, ხანანიადასა ვიდრემე ქუეყანადა არა მიანიჭოს მათ მიღებად, არცა მის მიერი კეთილზღვდნიერებადა, ხოლო უსახლო იყენეს და უქალაქო უღაბნოსა ზედა წელთა ორმეოცთა, ცხორებად უსჯულოებისა მისაგებელსა. ამის ნაცვალმცემელნი. „და ყრმათა უკუე თქუენთა ქუეყანისა ამის მიცემადა აღუთქუა და მეუღე-ქმნადა მათი კეთილთა ზედა, რომელთა მიღებასა ეშურ-ვენით თავთა თესთა უგუნურებითა“.

10)* და ზამერისას, სემონის ნათესვისა მთავარჰან, ხოსივას შეყოფილმან მაღიანიტელისამან, სვროს ასულისამან, მამაკაცისა მძღავრისა მათ შინათასა, ბრანებულმან დედაკაცისა მიერ, პირველ მოვისის თნებულთასა საშუებელად მისდა ქნადი იმოქმედა, არცა მსხუერპლველმან მამულთაჲან და ქორწილსა უტხო ნათესვისა აღმასრულებელმან. ამათ შინა ყოფასა საქმეთასა შეწინებელი მოვსი, ნუ იქმნეს რამმე უბოროტესი, და, შემკრებელი შესაკრებელად ერისა, არცა ერთისად ვის აყუედრებდა სახელით, არა მნებებელი უგუნურებად შთავდებდა შენაებლად შემძლეულთა უმეტრებისაგან. ხოლო იტყოდა, ვითარმედ არა ღირსთა მოქმედებენ არცა თავთა თვსთა, არცა მამათასა, შუებდასა წინა-პატივისმცემელნი ღმრთისა და მის მიერსა ცხორებისა. ხოლო ჭერ-არს, იტყოდა, მერმეცა და კეთილად ქონებასა მათსა გარდაცვალებად მექუელთა სიმკნისათა არა იძულებისათვის სჯულთამასა, არამედ არა დამოძილებისათვის გულისტუქმათამასა. და ამათ თანა არცა ჭეროვნად იტყოდა მათ, განსწავლათა უდაბნომასა ზედა და აწ, კეთილთა შინა მყოფთა, დაქსნად და, არცა მოგებულთა ნაკულღევანებისა² მიერ, ღონიერებისათვის მათისა წარწყმედად და იგი ვიდრემე, ამათი მეტყუელი, მოაწრაფე იყო აღმართებლად კაბუეთა და სინანულად მიყვანებად, რომელთათვის მოქმედ იყვნეს.

11) ხოლო შემდგომად მისა, აღდგომილმან ზამერისას, „არამედ შენ ვიდრემე, პრქუა, ო მოვისი, იკუმეველ სჯულთა, რომელთათვის შენ მოსწრაფე ხარ, ამათისა უმეტრებისათვის სიმტიციესა მიმნიჭებელი მათდა, ვინამთგან არათუმცა ამას გუარასა შქონებელ იყვნეს იგინი, მრავალგზისმცა გუემულმან აგრძენ არა ადვილ შეურაცხ-ყოფამ ევრაელთად. ხოლო მე არა მიმიყვანო შედგომილო, რომელთასა შენ შობო მძღაერებით, რამეთუ არა არს სხუასა, ვიდრე აქამონადე, გარნა თუ სახითა ვიდრემე სჯულთამათა და ღმრთისამათა მონებასა ვიდრემე ჩუენსა, ხოლო მთავრობასა თავისა თვისისათვის ბოროტმოქმედ იყავ, მიმღებელი ჩუენგან სიტკობებისად და ცხორებასა შინა თავით თვსით კელმწიფესასა, რომელი თავისუფალთად არს და მეუფეთა არა შქონებელთად. ხოლო უმჯნეარეს უკუე ეგვტელთამასა იქმნე ევრაელთათვის, ესრეთ მადირსებელი მათი ტანჯვად სჯულთაებრ, თნების ძლით თითოეულისა სახარულე/ვანის მისისა ზიძართ. ხოლო ფრიად უმეტრეს სამართლიანი—ტანჯვად მოითმინო მათ მიერ, თითოეულთა მიერ აღსარებულთა კეთილად ქონებისასა უჩინო-ქმნად ზნებებელმან და ყოველთა თნებისა ძენად უჭეროებისა. შენისა შემზადებულმან. ხოლო მე უკუეთუ უგუნურ ვიყო, ჭეროვნად ვიქმ აწ³, აღმრჩეველი კეთილთა.

¹ მნებებელმან AQ. ² ნაკოლღევანებისა. ³ ზამერის AQ.

* რიცხ. 25, 14. * ზყან ბ' ონ შეფოცოუ აქძეა ონ A, 4₁₄₈ (=მე დამსახურებულად უნდა მეთქვა უარი ჩემს ახლანდელ მდგომარეობაზე).

ამათ, რამეთუ მათთვის ამათ შინა აღსაარებდა არ დაეციკონო. და დედაცაცისა უცხოსა, ვითარ იტყუ, მიმყვანებელ ვარ. რამეთუ ჩემ მიერ გესმენენ საქმენი ჩემნი, ვითარ თავისუფალისაგან, და რამეთუ არცა განმიზრახავს დაფარვაჲ. უმსხუერალბე, რომელთა მსხუერალბედ საგონებელ არს ჩემდა, ჭეროვნად შემრაცხელმან მრავალთა მიერ მოვაჭრებად თავისა თვისად ჭეშმარიტებასა და არა ვითარ მძლავრებასა შინა ცხორებად, ყოველსა სასოებასა ცხორებასა შინა ყოველსა ერთისა შთამომკიდებელმან. ხოლო განიშუას არავინ, უსაკუთრესად თავსა თვისსა გამომაჩინებელმან განზრახვისა ჩემისა, რომელთათვის მოქმედ ვარ“.

12)* ზოლო ზამერიის ესენი რამ თქუნა, რომელთათვის თვთ იგი უსამართლოობდა და სხუათაგან ვიეთნიმე, დაღუმნა ერი თანად შიშითა გულგებდიონსადა და სჯულისმდებელისა მხედველი არა წამართ მეტყუელისადა, ვითარ მნებებელისადა ჯანყენებად უგუნურებასა მისსა ბრძოლისაგან, რამეთუ გარემოდგომილ იყო სიმრავლე, ნუსადა მრავალთა მსგავსქმნილთა უძღებებისა მისისა სიტყუათასა იმოქმედონ რავე და დაიკნენების ვიდრემე ამთ ზედა შესაყრებელი. ხოლო აღმატა უბოროტისა მიმართ ველ-ყოფად ბოროტისადა, უკუეთუმელა არა წვენილ იყო ზამერიასა აღსრულებად ესეეთარისა მიზეზისაგან: ფინეისის, მამაკაცმან სხუათაცა შინა ჭაბუკთა უმჯობესმან და ღირსებითა მამაკაციონსადა მრავლად მოჰასაკეთა გარდამატებულმან, რამეთუ ელვაზაროვს მღდელთმთავარისა ძე იყო, ხოლო მოვისის მძისვილისა ძე, ტყივნულმან ზამერიას მიერ მოქმედებულთაგან და პირველ უძლიერეს-ქმნადმდე გინებასა უშიშოებისა მიერ საქმით სასჯელსა მიჯდად მისა მგრძობებელმან და დაყენებად გარდასლვასა უმჯობესისა მრავალთა მიმართ დამწყებელთა და არა განსჯილთა, ხოლო კადნიერებითა და სულისა და სხეულისა სიმწნითა ესეოდენ აღმატებულმან, ვიდრედა არა პირველად იცვალოს, უკუეთუ რომელსაცა ბოროტთასა შეემთხვოს, ვიდრე არა ილუაწის და მდილის მის ზედა ძლევაჲ: ზამერიას კარავსა მიწეწულმან და თანად მისმან მწყველმან ლახურითა და ხოსვიანსმან, მოაკუდინა იგი. ზოლო ჭაბუკნი ყოველნი, რომელთა სათნობისა ქონებულ იყო და კეთილთმოყუარებისადა, მსგავსქმნილნი ფინეისის კადნიერებისა, მოსრვიდეს, მომღებელნი მიზეზსა ზამერიის მსგავსთასა. წარწყმდეს ვიდრემე უკუე და ამათისაცა კეთილმამაკაციობისა მიერ მრავალნი უსჯულოებისა მოქმედთაგანნი, ხოლო განიხრწნეს ყოველნი და სენისა მთერცა, ვინამთგან ესე სენი მოუვლინა მათ ღმერთმან. და რაოდენნი ნათესავად მყოფნი დაყენებად შეამზადებდეს მათ ამთ ზედა, ღმრთისაცა თანუსამართლოებასა მექუელი, მოკუდებოდეს. წარწყმდეს ვიდრემე უკუე განწყობილთაგანნი არა უმცირესნი ოთხასთა და ბევრთანი.

13) ზოლო ამის მიზეზისა მიერ აღმახულმან მოვისი წარწყმედისათვის მადინიტელთადასა წარავლინა მკედრობადა, რომელთათვის მათ ზედასა განსლვისათვის შემდგომად მცირედისა ვთქუათ, წინამომთხრობელთა პირველად რომელი დაუუტევეთ, რამეთუ სამართალ არს არა დატევებად გონიერებასა სჯულისმდებელისასა შეუმკობელად ამისთვის: რამეთუ ვალამოსს, მიყვანებულსა/მადინიტელთა მიერ, რამათა სწყეოს ევრაველთა და ამას ვიდრემე არა შემძლებელსა ღმრთისა განგებითა, ზოლო მიმცემელსა განზრახვისასა, რომელი იკუმიეს რამ

1 უმსხუერალბებითა AQ, უმსხუერალბებულთა S, მთხ 4,149.

* რიხ. 25,7; 25,9.

მგზობელსა კაცისასა¹, სიმრავლე ევრაელთაჲ წარწყმდა მობრუნებათა მიერ მოკრებულთა ვიეთმე მიერთა მათთვის, ღიდად და პატივ-სცა, აღმწერელმან ხრისმოსთამან. და შესაძლებელ იყო მისდა მიჩემებაჲ მათ ზედაჲსა ღიღებისაჲ და განთვსებაჲ, ვინაჲთგან არამცა ვინ ქმნილ იყო მოწამე მამხილებელი მის, მისცა წამებაჲ და მის ზედაჲსა ქსენებისა აღირსა. და ამათ ვიდრე, ვითარ სთნავს ვიეთმე, ესრეთ განიხილევდინ.

თ. 7

1)* ხოლო მოვსი, რომელთათვის და წინაწარ-ვეთქუათ, მადიანიტელთა ქუეყანისა ზედა წარაელინა მკედრობაჲ, ყოველთა ორ ათას და ბევრთა, თითო-ეულისა ნათესვისაგან გამომრჩეველმან მსგავსად რიცხვსაებრ. ხოლო მკედრობამეყანებელად მათდა განაჩინა ფინეეს, რომლისათვის უწინარეს მკირედისა მოვიკსენეთ, დამკველისა ევრაელთათვის სკულთა და განმსჯელისა ამათ გარდამავალისა ზამერიაჲსა. ხოლო მადიანიტელნი, წინაწარმსმენელნი მკედრობისა მათ ზედა მოსლეისანი და რაოდენი არაოდეს მოწვეწულ იყო, შეკრებოდეს და ალაგთა ადგილისათა, რომლისა მიერ მიელოდეს მბრძოლთა, განმამტკიცებელნი, მდგომარე იყვნეს მიმლოდენი მათნი. ხოლო მივიდეს რაჲ და წყობაჲ იქმნა, დაეცა სიმრავლე მადიანიტელთაჲ უზოზოჲ და რიცხვსა უმჯობესი² და თანად მეფენი მათნი ყოველნი, ხოლო ხუთნი იყვნეს: ოხოს და იასურის და თანად როვეის და ურის, ხოლო მეხუთე-რეკემოს, რომლისა ქალაქი თანმოსახელე არს, ყოველსა ღირსებასა არავიელთა ქუეყანისასა მქონებელი³ და ვიდრე აქამომდე ყოველისა არავიელისა მიერ მამენებელისა მეფისა სახელი — არეკე-მი იწოდების, კლდედ ელინთა მიერ სახელდებულნი. ხოლო მიდრკეს რაჲ მბრძოლნი, მიიტაცებდეს ევრაელნი სოფელსა მათსა და დიდსა ნატყუენავსა მიმლებელნი და მკედრობისანი დედაკაცთა თანა განმხრწნელნი, მხოლოთა ქალწულთა დაუტობდეს, ვინაჲთგან ესე მოვსი უბრძანა ფინეესს, რომელი მოვიდა მომეყანებელი მკედრობისაჲ უვნებელად, მომღებელი ნატყუენავსა უშურველსა: ზროხათა ორ ათასთა და ხუთგზის ბევრთა, ხოლო ცხოვართა ხუთ ათასთა ბევრთა თანა შვდთა და სამეოცთა, და ვირთა ექუსგზის ბევრთა. ხოლო ურიცხვ იყო სიმრავლე ქურჭლისაჲ ოქროსაგან და ვეცხლისა, რომელსა იკუმევიდეს სახლსა შინა, რამეთუ კეთილბედნიერობისა მიერ ფრიად მდიდრად მცხოვრებელნი იყვნეს. ხოლო მოიყვანნეს და ქალწულნიცა ორ ათას და სამნი ბევრნი. ხოლო მოვსი, განმყოფელმან ნატყუენავისამან, ერთისა ვიდრემე ორმეოცდამეთე მისცა ელეაზაროს და მდღელთა, ხოლო ლევიტელთა — სხვსა ორმეოცდამეთისა კერძოჲ. ხოლო ნეშტი მიანიჭა ერსა. და მიერთგან იყვნეს კეთილბედნიერად, ვინაჲთგან უშურველობაჲ კეთილთაჲ იქმნა მათდა სათნოებისა მიერ და არაჲაჲ მწუხარებისაგან მიღებად მისა დააყენებდა.

2)* ხოლო მოვსი, აწვე სიბერესა შინა მყოფმან, მონაცვალედ თვსა დაადგინა იისუ წინაწარმეტყუელებათაცა შინა და ქმნად მკედრობამეყანებელადცა, უკუეთუ სადმე მოქენე იქმნეს, ვინაჲთგან ღმერთმან უბრძანა მას წინამდგომელობასა საქმეთასა მიცემაჲ მისდა. ხოლო იისუ ყოველსავე სწავლულ იყო სკულთა თვსსა სწავლულებასა და საღმრთოსა, ვინაჲთგან მოვსის ესწავა მისთვის.

¹ მგზობელსა კაცისასა]—A.

² რიცხ. 31,1 (25,16); 31,8—18—32—27—30. ³ რიცხ. 27,18.

⁴ მძღე. ⁵ ვალამის სიკუდილი დაიდუმა.

3)* და ამას შინა ორნი ნათესავნი, ლადისნი და როვილომსნი და ნახევარი მანასის თესლისაჲ, სიმრავლისა ოთხფერ/ვთაჲთა კეთილბედნიერნი და სხუთა V ყოველითა, ერთსიტყუაქმნილნი, ევედრებოდეს მოკისს, რაჲთა მიანიჭოს მათ აღრჩევით ამორიტისა ქუეყანაჲ, პოროლითა მოგებულად მყოფი, რამეთუ კეთილ იყო საზრდელად საცხოვართათეს. ხოლო იგი, გულისმსიტყუველი შეშინებისა მათისა ზანანელთა ბრძოლისაგან და მიზეზსა მარჯუესა მოპოვნებად ზედმოურნობასა საცხოვართასა, ბოროტად უწოდა მათ, შიშისა უშუერსა მიზეზსა მოლონებად და თუ ვიდრემე მნებებელთა შეუბად უტყვიარსა! ქცუვისა შინა. ხოლო ყოველთა დაშრომასა მოგებისათეს მათ მიერ ძიებულსა ქუეყანისასა, არა ნებებად თანაწარსლვასა, ლუაწლისა თანა ნეშტათასა მიღებად ქუეყანასა, რომელი იორდანისა განმწიადებელთა მათ აღუთქუა ღმერთმან მიცემად მას, დამამკობელთა, რომელნი მან გკჩინა ჩუენ მბრძოლად. ხოლო მათ, იხილეს რაჲ იგი განრისხებულად და სამართლად შექუელთა აღძრვად ღირსებისა მათისა მიმართ, სიტყუა-უგეს, შიშისათეს ჳირთაჲსა არცა მოჲედგარებისათეს შრომისა მიმართ ქმნად ვედრებასა, არამედ რაჲთა ნატყუენავსა სამარჯუეთა შინა დამტევებელნი, კეთილმორტყმულნი ლუაწლთა მიმართ და ბრძოლათა მიმართებად შემძლებელ იყვნენ. და მზად იტყოდეს თავთა თესთა, აღმაშენებელნი ქალაქთანი სამცველოდ შეილთა და ცოლთა და მონაგებისა მიმცემელნი მათდა, თანაწარსლვად მკედრობისა. და მოკისი, ჳერჩინებულმან სიტყუასა ზედა, მომწოდებულმან ელეზაროჲს მღვდელთმთავრისამან, მიუტევა მათ ამორიტისა ქუეყანაჲ თანამბრძოლებისათეს ნათესავთაჲსა, ვიდრემდის იყრან ყოველთა. მიმღებელთა უკუე სოფლისათა და აღმაშენებელთა ქალაქთასა, შეილნი და ცოლნი და სხუანი, რაოდენნი თანამისახუებელ მათდა იყვნეს, დამაბრკოლებელნი შრომისა მიმართ, დაუტევენეს მათ შინა.

4)* ხოლო აღაშენნა და მოკისცა ათორმეტნი ქალაქნი, ქმნადნი რიცხსა მიმართ რვათა და ორმეოცთაჲსა, რომელთაგან სამნი განაჩინნა ლტოლვილთათეს უნებლიეთისა კლვისა ძლით. და ჟამი განუწესა იგივე ლტოლვისაჲ მღვდელთმთავარსა, რომლისა ზე მოქმედი ვინმე კლვისაჲ ივლტოდა, რომლისა ჟამისა შემდგომად დაშთომილსა მიუტევებდა კელმწიფებასა ნათესავთა მოკლულისათა მოკუდინებად¹, უკუეთუ იყრან მომკლველი გარეშე საზღვართა ქალაქისათა, რომლისა მიმართ მიივლტოდა, ხოლო სხესადა არა ბრძანებულ იყო. ხოლო ქალაქნი, განჩენილნი ლტოლვათა მიმართ, იყვნეს ესენი: ვოსორა ვიდრემე საზღვართა ზედა არავიანსათა, ხოლო არიმანონ ღალადინოთა ქუეყანისა და ღავილანან ვალიტის შინა. ხოლო მოიგეს მათდა ზანანელთაცა ქუეყანაჲ, სამთა სხუთა ქალაქთა აღდგინებაჲ ეველებოდა ლევიტის ქალაქთაგან, სამკვდრებელად ლტოლვილთათეს მოკისს ბრძანებისაებრ.

5)2* ხოლო მოსრულთა ვიეთმე პირველთა მანასის თესლისათა და მაუწყებელთა, ვითარმედ მოკუდა ვინმე თანმონათესვეთაგანი, საჩინოჲ მამაკაცი, ოლოფანტის სახელით, ყრმათა ვიდრემე არა დამტევებელი წულთაჲ, გარნა ასულთაჲ და იკითხვენ, უკუეთუ იყოს მათდა სამკვდრებელი, მიუგო მოკისი: უკუეთუ ეგულების შეუღლებაჲ თანმონათესვეთა თანა, ნაწილისა თანა წარვიდენ მათდა მიმართ. ხოლო უკუეთუ სხესა ნათესავისაგანთა ვიეთმე ექორწინენ,

¹ უკვიარსა. ² მოკუდინებად.

* რიცხ. 32,1; 32,28.

² 2. სჯ. 4,41. რიც. 35,9; 35,25. 2. სჯ. 4,43 (ისო ნავესი 20,8). ³ რიცხ. 27,1.

დაუტეონ ნაწილი თვისა მამულისა შორის. და მაშინ განაწესა დადგრომა თითოეულისა ნაწილსა მამულისა წათესვისა შორის.

თ. 8

64 1)* ბოლო ორმოცთა წელთა გარეშე / ოცდაათთა დღეთა სრულქმნილობასა, მოკსი, შესაყრებელისა შემკრებელმან იორდანესა ზედა, სადა აწ ქალაქი არს ავილი, ბოლო ფუნკით მაყენებელი არს ადვილი, შემოჭრება რაჲ ყოველი ერი, თქუნა ესევეთარნი:

2)* „მამაკაცო თანხვედარხო და გრძელისა შრომისა მოზიარენო! ვინა-მთხან ნებისაებრ ღმრთისა და სიბერესა შინა, აწვე ეამსა წელთა ოც და ასთასა აღმასრულებელისა, ჭერ-არს ჩემდა ცხოვრებისაგან წარვლად და წილ იორდანისა ქმნადთა არა მიველებსი შემწე თქუენდა ყოფად და თანბრძოლად დაყენებულსა ღმრთისა მიერ, ჭეროვნად ვჰგონებ არცა აწ დატევებასა ჩემისა გულმოდგინებისასა თქუენისა კეთილბედნიერობისათეს, არამედ სამარადისოდ მომვაჭრებელი თქუენდა მიღებასა კეთილთასა და ქსენებასა თავისა ჩემისად. იქმნეს რაჲ თქუენდა უშურველობად უმჯობესთად. მოვედ უკუე განმაზრახებელი, რომლითა სახითა კეთილბედნიერობდეთ თქუენ და ყრმათა თესთა დაუტეოთ მონაგები კეთილთად მოუკლებელი. წინადადებელი ესრეთ წარვიდე ცხოვრებისაგან, ბოლო ღირს ვარ რწმუნებად და პირველთა თქუენ ძლითთაცა პატივისმოყუარებათათეს და თანქცევისათესცა სულთა, დასასრულისა ზედა ქმნილთამსა ყოვლისა თანა სათნოებისა.

ო ყრმანო ისრაილომანო! ერთი მიზეზი ყოველთა კაცთა კეთილთა მოგებისა ღმერთი სახიერი, რამეთუ ესე მხოლოდ შემძლებელ არს მოცემად ამით ღირსთა და ძალ-უც მიღებად მცოდველთაგან მისა მიმართ, რომლისა თავთა თესთა მიმნიკებელნი, ვითართად მას პნებაეს და მე, გონებისა მისისა მეცნიერი, კეშმარიტად განვაზრახებ — არა უბედობდეთ, ოდეს საანატრელად ყოველთა და საშურველად მყოფნი ვინა მოაკლდეთ, არამედ აწ რომელთა კეთილთა მონაგები არს თქუენდა, მტკიცედ დაადგრეს, ბოლო არამყოფთად — მალიადი მოსლვად გაქუნდეს. მხოლოდ რომელთა შედგომაჲ თქუენი პნებაეს ღმერთსა, ამათი ირწმუნეთ. და ნუცა აწ მყოფთა სჯულთასა სხუასა წინა პატივსცემთ განწესებასა, ნუცა კეთილმსახურებისა, რომლისა აწ მქონებელ ხართ, ღმრთისა მიმართ შეურაცხისყოფელნი სხესა გუარისა მიმართ გარდაიცვალდით. ბოლო ამთნი მოქმედნი ძლიერ იყვნეთ ბრძოლასა ყოველთასა მოთმენად და არცა ერთისა მტერთაგანისა მიერ ადვილ საძლეველ იყვნეთ, რამეთუ ღმერთი რაჲ იყოს შემწე თქუენდა, ყოველთა შეურაცხის-ყოფად ადვილ არს. ბოლო სათნოებისა ნიჭნი დიდნი მდებარე არიან თქუენდა, მომგებელთად ყოველთასა ცხოვრებასა შინა. ესე პირველი კეთილი და უმოხუცებულესი არს და შემდგომად მონაგებსაცა სხუათასა მოანიკებს, ვიდრელა და ურთიერთს მიმართ მკუმეველთად ამას, საანატრელ იყოს ცხოვრებაჲ თქუენი და სხუა ნათესავთა უფრომს დიდებულთად უბრძოლველ და შემდგომთაცა შინა დიდებაჲ თქუენი ეგოს. ბოლო ამათსა მიღებასა შემძლებელ იქმნეთ, უკუე მსწინელ იქმნეთ სჯულთა და დამცველ, რომელნი, ღმრთისა მიერ თქუმულნი¹ ჩემდა მოწართ, განვაწესენ და იწურთიდეთ გონებასა მათსა. ბოლო მე წარვალ, მონარული თქუენთა კეთილთა ზედა, დამტევებელი თქუენი სჯულსა შინა სიწმი-

¹ თქუმულნი.

² მ. სქ. 1,3. ^{1*} მ. სქ. 31,2; 4,26; 12,2.

დისასა და შემკობილებასა მოქალაქობისასა და სათნოებათა შინა მკვდართ-
 მყვანებელთასა, რომელთა აქუნდეს უმჯობესისა თქუენისა წინმოურნეობაჲ.
 და თანად ღმერთმან, რომელი წინამძღუანველი იყო თქუენდა ვიღრე აქამოდღე,
 რომლისა განზრახვითა და მეცა საკმარ ეიქმენ თქუენდა, არა ვიღრე ღღენ-
 დელადმდე დააყენოს წინმოურნეობაჲ მისი თქუენგან, არამედ რაოდენსა უამ-
 სა გენებოს თქუენ ამისი ქონებაჲ ზედამდგომელად, დადგრომილთა მოქმედე-
 ბათა შინა სათნოებისათა. ესეოდენთავე იტუმევედეთ წინმოურნეობასა მისსა და
 განზრახვითა რჩეულთა გაზრახებდენ თქუენ, რომელთაცა¹ შედგომილთა კე-
 თილბედნიერობაჲ გაქუნდეს, მღვდელთმთავარ ელენაზაროს და იისუ და მოხუ-
 ცებულნი და მთავარი ნათესავთანი, რომელთასა ისმენდით ნუ ბოროტად, მეც-
 ნიერნი, ვითარმედ ყოველნი მთავრებულნი კეთილად და მთავრობასაცა მე-
 ნიერ იყენენ, მიწეენილნი კელმწიფებისა მისისა მიმართ. და თავისუფლებად
 ჰგონებდით ნუ განრისხებად, რომელთა მოქმედებად გაღირსებდენ თქუენ მთა-
 ვარი, რამეთუ აწ გინებასა შინა მოურნეთასა დასდებდით კანდიერებასა, რ-
 მელი ამიერიტგან დაიკვათ თუ თქუენ, უმჯობესად გაქუნდენ საქმენი. ნუცა
 მოიღებვოდესვე სწორსა რისხვასა ამათ ზედა, რომელსა მუნად² ჩემდა და
 მრავალგზის იკადრეთ ჭუმევაჲ, რამეთუ უწყით, ვითარმედ უმრავლეს ვიძიუ-
 ლე თქუენ მიერ სიკუდილიად³, ვიღრედა მბრძოლთაგან. ზოლო ესენი არა საყუ-
 ედრელად თქუენდა წინა-დაესხენ, რამეთუ არა ჯერ-შიჩნდა განსლვასა ზედა
 ცხორებისაგან მწუხარეთა დატევებაჲ ჯსენებად, მომლებელადსა უამსა ვიენებ-
 დი ამათ რისხვასა შინა ქმნასა, არამედ განბრძნობისა თქუენისათვის გულვე-
 ბადისა მიმართ და ამის მიერ მტკიცე-ყოფისათვის და არა გინებისათვის წინამ-
 დგომელთა მიმართ სიმდიდრისა ძლით⁴, რომელი მრავლად გარე-მოგადგეს
 თქუენ, განწილებელთა იორდანისათა და ხანაიაჲსა მომგებელთა, ვინამთგან
 მიწეენითა შეურაცხ-ყოფად მის მიერ და სათნოებისა უგულვებელს-ყოფად,
 წარსწყმიდით და სიყუარულიცა ღმრთისა მიერი. ხოლო ჰყოთ რაჲ ესე მტერ,
 თანად ქუეყანაჲ, რომელი აწ მოგიგიეს ჰყრობილთა, კუალად საქუერველთა
 მათთა მიერ მიგელოს დიდთა თანა ყუედრებათა და, განბნეულთა შორის ქუე-
 ყანისა, ყოველი მიწაჲ აღავსოთ და ზღუაჲ მონებისაგან თავთა თუსთაჲსა. ხოლო
 განცდილებისა ამათისა მიმღებელთად ურგებ იყოს თქუენდა სინანული და ჯსე-
 ნებაჲ არა დაცულთა სჯულთაჲ, რომლისათვის უკუეთუ ინებოთ ამათი დადგ-
 რომაჲ თქუენდა, არა რომელნი მბრძოლთაგანნი უტევენთ დამჰყრობელთა მათ-
 თა, არამედ უმჯობესად განსაჯოთ⁵ წარწყმედამ მათი, რაჲთა არა, სიცოცხლესა
 მათსა მგემებელთა, ქცივისა მათისათა განხრწნათ მამული მოქალაქობაჲ. მერ-
 მეცა და ვომონთა და სერტყუნათა და ტაძართა, რაოდენნი აქუნდენ, დამჰო-
 ბასა განგაზრახებ და აღლევასა ცეცხლითა ნათესეისა მათისა და ჯსენებისათა,
 რამეთუ ესრეთ ჰუმშარიტი მხოლოდ იყოს თქუენდა სიმტკიცე თუსთა კეთილ-
 თაჲ. ხოლო რაჲთა არა უსწავლელობისა მიერ უმჯობესთაჲსა ბუნებაჲ თქუენი
 მიდრკეს უძკურებისა მიმართ, დაესხენ თქუენდა სჯულნიცა, თქუმულნი ჩემდა-
 მო ღმრთისაგან და მოქალაქობაჲ, რომლისა შემკობილებასა დამცველნი უბედ-
 ნიერენ ყოველთაჲსა ისაჩნეთ“.

3)* ამათმან მეტყუელმან მისცნა მათ წიგნსა შინა სჯულნი და განწესებაჲ
 მოქალაქობისაჲ აღწერილი. ხოლო იგინი ცრემლოოდეს და მრავალსა ძიება-

¹ მუნად. ² სიკუდილად. ³ გ¹ნსაჲო AQ, განსკჲა S.

* მ. სქ. 31, 9.

⁴ ცხად არს განზრახვასა. ⁵ ესე იგი არს სიმდიდრისა.

სა* ჰყოფდეს შვედართმყვანებელისასა, მომკნენებელი უკუე, რაოდენთა ძვრბილულობად და გულსმოდგინე იყო ცხოვრებისა მათისათვის და, ძნელ-მსასოებელი გულგებადითათვის, ვითარმედ არაარა იყოს სხუად ესევეითარი შთავრობაჲ, თანად და ღმერთი უდარეს წინმოურნე იყოს მოკსის მვედრებელად ყოფისა ძლით და მონანულნი, რომელთა ძლით უდაბნოსა ზედა რისხვით ზრახვიდეს მისა მიმართ, ტყვიეულობდეს, ვიდრეა ყოველისა ერისა ცრემლთა-
65 აღმი შთავრდომილობასა უმჯობეს და სიტყვისმიერისაცა ნუგეშინისცემისა იქმნა ვნებაჲ მის მიერ./ხოლო მოკსი ნუგეშინის-სცემდა მათ და, განმავორებელი მათი შეკუეულობისაგან ღირსად ცრემლთაჲსა ყოფისა მისისა, კუშევედ მოქალაქობისა ევედრებოდა. და მაშინ ვიდრემე ესრეთ დაიკსნენს.

4) ხოლო მეგულების პირველისა მოქალაქობისა მთქუმელსა, თანად მსგავსსა მოკსის ღირსებისასა სათნოებასა მიმცემელი მის მიერ მიმთხუეულთად, ვითარნი იყვნენს ჩუენნი დასაბამითგან ესრეთ მიმთხრობისა მიმართ სხუათაჲს მიდრეკად. ხოლო წერილ არიან ყოველნი, რაოდენნი დაუტევეს მან. და არაარა ძენილი არს ჩუენ მიერ შეუნიერებისათვის, არცა რომელი არა დაუტევე მოკსი. ხოლო განახლებულ არს ჩუენგან ნათესავად-ნათესავად თითოეულისა დაწესებაჲ, რამეთუ განზნევით დაიტევენს მის მიერ დაწერილნი და ვითარ თითოეული რაჲვე ღმრთისა მიერ ისწავა. ამის მაღლისათვის საჭიროდ ვგონე წინაგანჩევაჲ, ნუუკუე და იქმნეს რაჲვე ბრალობაჲ ჩუენდა, ვითარ მცოდველთად თანმონათესვეთაგან მიმთხუეულთა წერილისათა. ხოლო აქუს ესრეთ განწესებასა სჯულთა ჩუენთასა განჩენილთა მოქალაქობისათვის. ხოლო რომელნი საზოგადოდ და ურთიერთს მიმართ დაგეტენა ჩუენ, ესენი გარდავეცვალენ გარდაცემისა მიმართ წესთა და მიზეზთაჲსა, რომელი, შეწევნისა თანა ღმრთისა, შემდგომად ამის მოქმედებულისა ჩუენ მიერ შეწყობად წინამდებარე არს.

5)1* „ვინამთგან ხანანელთა ქუეყანაჲ მოიგოთ და მოცალებაჲ კუშევისა ზედა კეთილთაჲსა გაქუნდეს, მიერითგან ქალაქთა აღშენებად მნებებელ იყვენით, ამათნი მოქმედნი სიყუარულთა ღმრთისათა ჰყოფდეთ და კეთილბედნიერობაჲ მტყიე გაქუნდეს: სამღდელოჲ ქალაქი იყოს ერთი, უმჯობესსა შინა ხანანელთა ქუეყანისასა შემკობილბებისათვის საჩინოჲ, რომელიცა ღმერთმან წინაწარმეტყუელებისა მიერ გამოიჩინოს მისდა. და ტაძარი ერთი ამას შინა იყოს და ვომონი ერთი, ნუ ქვათაგან მოქმედებულთა, რამედ რჩეულად შეწყობილთა, რომელნი კირისა მიერ ცხებულნი, შუენიერნი იყვენს თანად და წმიდანი ზედვისა მიმართ. ხოლო ამის მიმართ აღსავალი იყოს ნუ ხარისხთაგან, არამედ და მთხრებლებისა მიერ, ქმნილისა მისდა შთამართ. ხოლო სხუასა ქალაქსა შინა ნუცა ვომონი, ნუცა ტაძარი იყოს, რამეთუ ღმერთი ერთ და ევრაელთა ნათესავი ერთ“.

6)2* „ხოლო ღმრთისა გმობად მკადრებელი დაქვაებული დამოეკიდენ ყოველსა დღესა და უპატივოდ და უჩინოდ დაემარხენინ“.

7)3* „ხოლო შემოკრებოდენ ქალაქსა, რომელსაცა შინა განაჩინონ ტაძარი, სამგზის წელიწადსა შინა კიდეთაგან ქუეყანისათა, რომლისაცა მპყრობელ იყვენ ევრაელნი, რაჲთა მყოფთათვის ვიდრემე კმონებდენ ღმერთსა, ხო-

1 ძნელ Πρωτοβίβλων 4:108 (=დამატებული).

* ღმრთის წესთა 4:104 (=განიცილიდენ. ნაცვალად ზნეცდა-სი თარგმნილია ზნეცდა-ძენა).
1* მ. სქ. 12,5. გამ. 20,25—26. 2* მ. სქ. 21,22. 3* მ. სქ. 16,16.

ლო გულეზებადნათეს ევედრებოდინ და, შეკრებულნი ურთიერთას¹ და თან-სერებულნი, მოყუარენი იყენენ, რამეთუ კეთილ არს არა უმეტრება ურთი-ერთთარს ერთნათესავად მყოფთა და მათვე წესთა მოზიარეთაჲ. რამეთუ ესე ამის შეერთებისაგან ეყოს მათ და ხილვითა და ზრახვითა კსენებაჲ მათი და-დვან, რამეთუ არა შეერთებულად ურთიერთთარს, დადგრომილნი უცხოად საგო-ნებელ იყენენ მათაჲ.

8)* „ხოლო იყოს და მეათეცა ნაყოფთაჲ შესაწირავი გარეშე მისსა, რომელი განვაწესე მიცემად მღვდელთა და ლევიტელთა, რომელი განისყიდოს ვიდრემე მამულთა შინა, ჩოლო შეუებათა მიმართ იქუმეოდინ და მსხუერპლთა მიმართ სამღვდლომსა ქალაქისა შინათა, რამეთუ ჭერ-არს ქუეყანით აღმოცენებულთა შეუებაჲ პატივად მომცემელისა, რომელი ღმერთმან მოანიჭა მათ მოგე-ბად.“

9)1* „სასყიდლისაგან დედაკაცისა მეძვისა მსხუერპლნი არა აღესრულე-ბოდინ, რამეთუ არცა ერთისა გინებისა მიერთაგან იშუებს საღმრთოჲ, ხოლო არარაჲ უძკრეს არს კორცთზედასა სირცხელისა. და მსგავსად ვერცა ვინ მიი-ლოს სასყიდელი ნაჰქმევისაგან² ძალლისა მონადირისა, გინა მკველისა ცხო-ვართაჲსა, რამთამცა ამისგან უმსხუერპლა ღმერთსა“.

10)3* „ხოლო ნუვინ ჰგმობს ღმერთთა, რომელთა სხუანი ქალაქნი მექუე-ლობენ. ნუ იბარაენ სამღვდლოთა უცხოთა, ნუცა უკუეთუ სახელდებულ იყოს ვისმე მიერ ღმრთისა მსხუერპლი, მიიღებენ“.

11)4* „ხოლო თქუენგანსა ნუვის ჰმოსიედ გრებილი მატყლისაგან და სე-ლისა სამოსელი, რამეთუ მღვდელთა მხოლოთათეს განჩენილ არს ესე“.

12)5* „ხოლო შეკრბეს რაჲ სიმრავლე სამღვდლოსა ქალაქსა მსხუერპლთა ზედა შორის შვდთა წელთა, კარვისა შენებისათა წარმოდგეს რაჲ დღესასწაუ-ლი, მღვდელთმთავარმან, მღვდომარემან აღსავალისა ზედა მალლისა, რომლისა მიერ სასმენელ იქმნეს, წარუკითხენ სჯულნი ყოველთა: და ნუცა დედაკაცი, ნუცა ყრმანი დაიყენებიან სმენისაგან, არამედ არცა მონანი, რამეთუ კეთილ არს სულთა შინა შთაწერად მათი და კსენებითა დამარხვაჲ, რამთა არაოდეს აღ-კოცად შესაძლებელ იყენენ, რამეთუ ესრეთ არცა ცოდვიდენ, არა შემძლებელ-ნი თქუმად უმეტრებასა. განსაზღვრებულთასა სჯულთა შინა და თანად სჯულთა, ფრიადი კანნიერებაჲ აღაორძინონ მცოდველთა მიმართ, ვითარ წინაწარმეტ-ყუელთა მათდა, რომელნი ევენენ. და სულთა შინა შთამწევილნი სასმენელისა მიერ, რომელთა ბრძანებენ, მქონებელ იყენეს სამარადისოდ შინაგან მათსა წინააღრჩევასა მათსა, რომლისა შეურაცხისმყოფელნი იუსამართლოვნეს და იქმნენს მიზეზ ზღვეულებისა თავთა თჳსთა. ხოლო ისწავებდენ ყრმანცა პირ-ველად სჯულთა, სწავლასა კეთილსა და კეთილბედნიერებისა მიზეზსა“.

13)6* და ორგზის თითოეულსა დღესა, დაწყებასა მისასა და ოდეს უამი ძილად მიდრეკისაჲ, წამებდენ ღმრთისა ნიჭთა, რომელნი განთავისუფლებულ-თა ქუეყანისაგან ეგვპტელთაჲსა მიანიჭნა მათ: ბუნებითა ჭეროვან-ყოფისათეს

¹ ურთერთას AQ.

* მ. სქ. 14,22. 1* მ. სქ. 23,18. 2* *ἡμοίως μὴδ' ἔν τε ἔπ' ὁμοίως αὐτὸς ἦτο* 4²⁰⁶ (დენ-დნში საუბარაჲ ძალუბის შუარის, შეერთების შედეგად მიღებულ საფასურზე). 3* გამ. 22,28. მ. სქ. 7,25. 4* მ. სქ. 22,11. 5* მ. სქ. 31,10; 41,19. 6* მ. სქ. 6,8; 11,18; 11,20.

მადლობისა და ნაცვალგებისათვის ვიდრევე აწვე ქმნილთაჲსა, ხოლო მოწოდებისათვის გულგებდათაჲსა. და დაწერად უკუე კართაცა ზედა მათთა დიდთა, რომელნი უყუნა მათ ღმერთმან და მცლავთა ზედა თითოეულისათა მოღებდა თანად. რაოდენნი ძალსა ღმრთისასა მოსწავებდა შემძლებელ არიან და მათდა მძიმართსა სიყუარულსა მოღებდა, დაწერილთა თავისა ზედა და მკლავისა, რაჲთა სახილველ იყოს ყოვლით კერძო მათდა მიმართი გულსმოდგინება ღმრთისაჲ“.

14)* „ხოლო მთავრობდენ თითოეულსა ქალაქსა მამაკაცნი შვდნი, სწავლულნი სათნოებასაცა და სიმართლისა ძლითსა მოსწრაფებასა. და თითოეულისა მთავრობისაგან ორნი მამაკაცი მიეცემოდედ მსახურთა ნათესვისაგან ლევიტელთაჲსა. ხოლო იყვნედ და განსჯასაცა ხუედრებულნი ქალაქთა შინა ყოვლითა პატივითა, ვიდრედა არცა გმობად იყოს, წარმოდგომილ იყვნენ რაჲ იგინი, არცა შესაძლებელ იყოს ვიეთღამე განლაგებამ სირცხვლისაგან ღირსებისათვის შინათა კაცთაჲსა უმდაბლისმოქმედისა მათისა, რაჲთა არა შეურაცხ-იქმნებოდნინ ღმერთი. და მსაჯულნი უკუე განჩინებად საკუთარნი¹, თნებულთა მათთან იყვნედ, თვნიერ არა თუ ვინმე გამოაჩინდეს იგინი საკმართთა მიმღებულად განხრწნისათვის სამართლისა, გინა სხუად რაჲვე მიზეზი მოიღოს, რომლისა მიმართ არა კეთილად განმაჩინებულობასა ამხილებდეს მათ. რამეთუ არცა სარ/გებულისა, არცა² ღირსებისა მიმნიჭებულთა ჯერ-არს³ ბოროტთა სჯათა ქმნად, არამედ სამართალსა ზენა კერძო ყოველთაჲსა დამდებულთა. რამეთუ ღმრთისა შეურაცხ-ყოფად ესრეთ საგონებელ იქმნეს და უუძღურეს მათსა ითნოს, რომელთა მიანიჭეს ვინმე შიშისათვის ძალისა განსჯად ბჭობისაჲ. რამეთუ ღმრთისა ძალისაჲ არს სამართალი. მიმნიჭებელი უკუე ვინმე ღირსებისა შინა მყოფთაჲ, უძლიერეს ღმრთისა ჰყოფს მათ. ხოლო უკუეთუ მსაჯულთა არა გულისკმა-ყონ მათ ძლითთა განწესებულთა განჩინება და შეემთხუევიან მრავლად ესენი კაცთა, სრულიადი განსჯად წარაელინონ სამღდელოსა ქალაქსა და შეკრებილთა მღდელომთავარმან და წინაწარმეტყუელთა და მოხუცებულთა, რომელი გულისკმა-ყონ, განაჩინენ“⁴.

15)1* „ხოლო ერთი არა სარწმუნო იყოს მოწამე, არამედ საზნი, გინათუ უუქანაქსენელესი—ორნი, რომელთა წამებამ ჰემმარიტ-ყონ პირველთა ცხორებათა. ხოლო დედაკაცთა არა იყოს წამებამ სისუბუქისათვის და კადნიერებისა ნათესვისა მათისა. და წამებენ უკუე ნუცა მონანი უგუარობისათვის სულისა, რომელთა ანუ შექენისათვის ჯერ-არს, გინა შიშისა არა ჰემმარიტთა წამებამ. ხოლო უკუეთუ ვინმე ცრუთა მოწამე ირწმუნოს, ეცნენ ესენი მხილებულსა, რაოდენთა ვნებამ ეგულებოდა წამებულსა“.

16)2* „და უკუეთუ იქმნეს კლვამ სოფელსა რომელსაჲმე შინა, ხოლო მოქმედი არა იბოებოდის, არცა იეჭუებოდის ვინმე, ვითარ სიძულილით მომაკუდინებელი, ეიებდენ მას, მრავლისათა მოსწრაფებისა მიმცნებათა წინადამდებელნი. ხოლო უკუეთუ არცა ერთისაგან მოემცნოს, მთავართა ქალაქისათა, მახლობელთა მის სოფლისათა, რომელსა შინა კლვამ იქმნა, და მოხუცებულთა შესაკრებელთაგან ზომენ სოფელი ადგილისაგან, რომელსა შინა მდებარე არს მკუდარი. ხოლო უკუეთუ უმახლობელეს იყო ქალაქი, მას შინამან ერმან,

1 საკუთარნი. 2 არცა/თარცა A. 3 ჯერარ A, ჯ'რის Q.
4 მ. სქ. 16,18; 17,8. 1* მ. სქ. 17,6; 19,5. 2* მ. სქ. 21,1.
5 განჩენა მსჯავრისა გამოღებდა გულისკმა-ყავ.

მომსყიდველმან დიაკუელისამან და მიმყენებელმან ჯევენაროანსა და უმარჯოსა აღგილსა ანუელ-ყოფისათეს და ნერგთა, განკუეთენინ ძარღუნი დიაკუელისა ყელისანი და კელთბანისა მიმღებელთა თავსა ზედა ზუარაკისასა მღღელთა და ლევიტელთა და მოხუცებულთა მის ქალაქისათა, კმა-ყონ წმიდათა კელთა ქონებაჲ კლვისაგან და არცა მოქმედებაჲ, არცა მოქმედისა თანადამთხუევაჲ და ხალოდინ ღმერთსა მოწყალე-ყოფად და არღა მერმეცა შემთხუევად ქუეყანისა ესევითარსა ბოროტსა შემთხუევად ვნებასა“.

17)“ „რჩელვანგებულებაჲ ვიდრემე ძლიერი და მსგავსი მისი ცხოვრებაჲ გიპყრობდინ. და ნუ გიპყრობენ თქუენ სურვილი სხვსა ქალაქისაჲ“¹, არამედ მას შინა დაადგერიტ, სკულთა მქონებელნი მეუფედ და მათ მიერ თითოეულთა მოქმედნი, რამეთუ კმა-არს ღმერთისა მთავრად ყოფად. ხოლო უკუეთუ იქმნეს თქუენდა სურვილი მეფისაჲ, იყოს ვიდრემე ესე ერთმონათესვე, ხოლო იყვენინ და წინმოურნეობაჲ სიმართლისა და სხვსა სათარებისაჲ სამარადისოდ. და უმეტესნი ვიდრემე ბრძნობისანი მიუტევენეს ამან სკულთა და ღმერთსა, ხოლო მოქმედ იყავნ ნუცა ერთსა გარემე მღღელთმთავრისა და მოხუცებულთა მეცნიერებისათა², ქორწილთა არა მრავალთა მქუმეველი, არცა სიმრავლესა საცმართასა მეძიებელი, არცა ცხენტასა, რომელთა მოწევენსა ზესთმჩინ³“
სკულთა იქმნეს. სოლო დაიყენენ, უკუეთუ მოსწრაფებით აქუნდეს ამათგან უძლიერეს უმჯობესისა თქუენისა ყოფად“.

18)“⁴ „საზღვართა მიწისათა არა შემძლებელ იყოს ძრვად არცა / თვსთა, v არცა უცხოთა, რომელთა მიმართ არს ჩუენდა მშუდობაჲ. ხოლო დაიმარხენინ, ვითარ ღმერთისა ბჭობასა მტკიცესა განქარვებად, საუკუნოდმი მღდებარესა, ვინამთგან ამიერ ბრძოლანი და კლომანი იქმნენ თნებისაგან მიმხუეველთაჲსა მიმართებად წარმართე საზღვართა, რამეთუ არა შორს იყვენ სკულთა გარდასვლისაგან საზღვარსა“.

19)“⁵ „მცვალეებელნი ქუეყანასა და მწერგველი, უკუეთუ უწინარეს ოთხთა წელთაჲსა მოილონ ნაყოფი ნერგთა მიერ, ნუცა ღმერთისა მოიღებს დასაბამთა, ნუცა იგი იკუმევეს, რამეთუ არა ჟამსა მათსა გამოიღეს, ხოლო იძულეებული ბუნებისაგან უქამოდ არცა ღმერთისა ჭერ-არს, არცა მეუფისა მისისა კუმევად. ხოლო მეოთხესა ქმნილი შეკრიბენ ყოველივე, რამეთუ მაშინ ჟამიერი იყოს და, შემკრებელმან, სამღღელოსა ქალაქსა მიიღენ. და ათეულისა თანა სხვსა ნაყოფისა მოყურაეთა თანა შუეებულმან, აღლიენ, და ობოლთა თანა და ქურთეთა დედაყატთა. ხოლო მეხუეთესა წელსა უფალ იყავნ ნერგთა მონაყოფიერებად“.

20)“⁶ „მიწაჲ, ვენახთაგან ნერგული, არა ითესვიდის, რამეთუ კმა-არს მისდა ამის ნერგისა მხოლოდ ზრდაჲ და ერქუნის მიერთა შრომათაგან იქსენინ. კარნი ცნევიდინ მიწასა და ნურარას სხუათა ცხოველთაგანსა მიიყვანებთ ულლისა ქუეშე, არამედ თვსისა ნათესვისაგან მათი იყოს ცნვაჲ. ხოლო იყვენინ წმიდა თესლნი და შეურევენელ და ნუ დაითესვინ ორისა თანა და სამისა, რამეთუ არა იხარებს ბუნებაჲ ზიარებასა ზედა უმსგავსოთასა, არცა პირუტყუთა ზედა მოყვანებად, რაოდენნი არა ნათესავ, რამეთუ შიში არს ნუ გარდავიდეს

¹ მეცნიერებისა თან.
² მ. სქ. 17,14. ³ მღ. სქ. 4223 (სახელმწიფოებრივი წყობა, მმართველობის ფორმა). ⁴ ს. სქ. 19,4. ⁵ ლევ. 19,23. ⁶ მ. სქ. 22,9. ლევ. 19,29.

და ვიდრე კაცთამდგეა თანმონათესვისა მიმართ უბატოებამ, დასაბამსა მცირეთაგან და ბოროტთა მიმღებელი პირველად. ხოლო ჭერ-არს არარაჲს ესე-ვითარისა შენდობამ, რომლისაგან მსგავსებით მიდრეკეამ რამევე ქალაქისა* შინათა იყოს, არამედ არცა დამთხუეულთაგანი შეურაცხქმნილ არს სჯულთაგან, მეციერნი წინა-განაგებდინ უბრალოებისა მათისაებრ“.

21)¹ „მომკელნი და შემკრებელნი მკილთანი ნუ მოკუფხლვენ სრულად, არამედ დაუტევენ რანივე მკელეულთანი ნაკლულეფანათს¹ ცხოვრებისაგან, საბოვნელად მათდა ზრდისა მიმართ. ეგრეთვე და ყურძნისაგანცა დატევებად უდარესთა გლახკათოსს და ზეთისხილთაგან დაშთენალ რომელსამე ნაყოფისასა. შესაკრებელად თვსთაგან მიღებისა არა მქონებულთად, რამეთუ არა ესოდენი მტყიცე ღონიერებამ შეკრებისაგან ექმნეს შეუფეთა, რაოდენი მაღლი მოქენეთაგან მოვიდეს. და საღმრთომან უგულსმოდგინეს ყოს მიწამ გამოზრდისა მიმართ ნაყოფთაჲსა, არა თავთა თვსთა უმკობისათს მხოლოდ წინმოურნეთა, არამედ და გამოზრდისათსცა სხუთასა ზრუნევისა მქონებულთამ. ნუცა ქართა შეუკრვენ პართა კალოსა ზედა, რაჲამს მოსრვიდენ კუვილთა, რამეთუ არა სამართალ არს დაყენებამ თანმოქმედთამ, ქმნისა მიმართ ტკიერილთამ, ნაყოფისაგან. ნუცა ხილისა აღორძინებასა აყენებენ შეხებად გზასა ზედა მავალთა, არამედ, ვითარ თვსთაგან, უბრძანებდენ მათ აღვსებად, დაღაცათუ აღგილისა შინანიცა იყვენ, გინათუ უცხონი და სიხარულით მოღებად მინიჭებისათს მათდა ჟამეულთაჲსა, ხოლო თანწარლებამ არა შესარგებელ იყოს. ნუცა მომყურძნველნი, რომელთა საწნებელთა მიმართ მიიღებდენ, დააყენებდენ² და შემთხუეულთა ჰამად, რამეთუ უჯგრო-არს კეთილთა, რომელნი გან-
67 ზრახვისაგან ღმრთისა მოვიდეს ცხოვრებისა/ღმი, მოშურნეობამ ფულისმთქმელთათს მიღებად მათდა ჟამისა, რომელსა შინა ყოფასა და მონწრათებასა წარსლვად, ვითარცა სახარულ იყავნ, ღმრთისა იყოს. და სირცხვისა მიერ ვითინივე მცონარენი შეხებად, მიღებად ევედრებოდინ, ისრაილიტად ვიდრემე მყოფთა, ვითარ მოზნარეთა და შეუფეთა წათესვობისათს, ხოლო წარსრულთა სხუათადმი კაცთა სასყიდელთა მიმთხუევად აღირსებდენ, რომელთათს ღმერთმან ჟამსა თვსთა მიანიჭნა მათ. რამეთუ წარსრგებულად არა შესარაცხელ არს, რაოდენსა ვინ სახიერებით მიუტევებს კაცსა მიღებად, ვინამთგან ღმერთი უშურველობასა კეთილთასა მონიჭებელ არს ამით სახითა თვსთა ისრაილიტთა მიერისა მიმართთა სიყუარულსა და მონიჭებასა კეთილბედნიერობისასა სხუათაცა ჩინებად, მრავლად მონაგებისა მათისა მიერ და მათ მიმცემელთაგან. ხოლო გარეშე ამათსა მოქმედმან, თავისუფალმან, წყლულეზანი, ერთითა დაკლებულნი ორმოცთაგან, კრებულისა შორის ღუელითა მიმღებელმან, სატანჯველისა ამის საკვდემელისამან შოთიშინენ, რამეთუ ანგაპრებისა მსახურმან აგინა ღირსებასა. და კეთილად მქონებელ არს თქუენდა, განციდილთა განსაცდელთა მიერ ეკვპტეს შინა და უდაბნოჲსა ზედა, წინმოურნეობასა ქონებად მყოფთათს მსგავსთა შინა და მიმთხუეულნი კეთილღონიერებასა წყალობისაგან და წინმოურნეობისა ღმრთისა, ამასვე მსგავს ვნებულებისაგან უყოფდით მოქენეთა“.

22)² „ხოლო ათეულთა თანა ორთა, რომელნი თითოეულსა წელიწადსა წინაწარ-ვთქუენ აღსრულებად, ერთი ვიდრემე ლევიტელთა, ხოლო სხუად — განსუენებთა³ მიმართ, მესამე ამით თანა მესამესა წელსა შემოღებად [გან-

¹ ნაკლულეფანთს AQ. ² დააშენებდენ AQ. ³ განსუენებთა.

⁴ *της περιουσίας* 4₃₈₈ (სახელმწიფოებრივი წყობა). ¹ 2. სქ. 24,19. ლევ. 19,9. მ. სქ. 24,4; 23,25; 25,3. ² 2. სქ. 14,28; 26,12; 26,3.

საყოფელად ზაკულევენათა, დედაკაცთა ქურციკთა და ყრმათა ობოლთა. ხოლო ჟამელთაგან, რომელიცა და ბირველად თითოეულსა მიემთხვოს ქმნილად, ტაძრად მოიღებდა და ღმერთსა, აღმომაცენებელისათვის ქუეყანისა ამის, რომელი მიანიჭა მათ მოგებად, მაკურთხეველნი, მსხუერპლთა, რომელთა სჯული უბრძანებს მათ მოღებად, აღმასრულებელნი, ამათთა უბირველესთა მისცემენ მღელელთა. ხოლო ვინაჲთგან ესენი იმოქმედნეს ვინმე და ყოველთა ათეულთაგან ერთბამად ლევიტელთა მიმართ და განსუენებათა დასაბამთაგან მიიღოს, წარსლვად მგულბელი სახლად თვსა; მდგომარე პირის-პირ ტაძრისა, კმდლობდინ ღმერთსა, რამეთუ, ეგვპტელთა გინებისაგან მცვალებელმან მათმან, ქუეყანაჲ კეთილი და ფრიადი მისცა მათ მონაყოფიერებად. და წამებდეს, ვითარმედ ათეულთა მოჯის სჯულთაებრ აღასრულებდეს და ევედრებოდის ღმერთსა სახიერ და მოწყალე-ყოფად მისდა ყოველსა შინა და ზოგად ყოველთა ევრაელთათვის დადგრომად და დაცვად ვიდრემე, რომელნი მოსცნა მათ კეთილნი და მოგებად რაოდენთა შემძლებელ არს მონიჭებად¹.

23)* „ხოლო ექორწინებოდინ ჟამსა ქორწილისასა ქალწულთა თავისუფალთა, მშობელთაგან კეთილთა. ხოლო არა მნებებელი მიყვანებად ქალწულსა, ნუ შეეულლებინ თანმკვდრისა სხესასა შემაცთუნებელი, ნუცა შეაწუნებენ პირველსა ქმარსა მისსა. და თავისუფალნი ნუ ექორწინებინ მონათა, ნუცა ტრფიალებისაგან იძულებიან² ვინმე ამის მიმართ, ხოლო ჰყრობად გულისთქუმასა შუენიერ და ჭეროვან არს ღირსების შინათაცა. და მერმეცა არცა³ მეძვისა იყოს ქორწინებაჲ, რომლისაცა ქორწინების ზედათა მსხუერპლთა არა მიიღებს ღმერთი გინებისათვის სხეულსა: რამეთუ ესრეთ იქმნენ ყრმათა გონიერებანი თავისუფალნი და სათნოებისა მიმართ მართალნი, უკუეთუ არა დაემთ/ხვნენ⁴ v ქორწინებათა საძაგელთა მიერ შობილნი, არცა გულისთქუმათათვის არა თავისუფლებისა მიერ შეყოფილთაგან. ხოლო უკუეთუ ვინმე, ქალწულისა დაწინდებულმან, შემდგომად არა ესევეთარი იპოვოს, სამსჯავროჲსა მიმთხუეული იგი ვიდრემე შესამენდინ, მკუმეველი გამოსაჩინებელად, რომელთაცა ნიშანთა მქონებელ იყოს. ხოლო სიტყუა-უგებდინ მამაჲ ქალისაჲ, ვინა ძმაჲ, ანუ რომელიცა შემდგომად ამათსა უმახლობელესად⁵ ნათესავად საგონებელ იყოს, და განსჯილი ვიდრემე ქალი არა უსამართლოებად, თანამკვდრ იყავნ შემასმენელსა, არცა ერთისა კელმწიფებისა ქონებასა მისსა უკუნქცევად მას, თვნიერ უკუეთუ არა დიდნი მიზეზნი მოატყუნეს მას და რომელთა მიმართ არცა ნაცვლისა თქუმად შემძლებელ იყო. ხოლო იგი თუ კადნიერებით და ურცხვოდ მიზეზსა ზედა-მოიღებდეს და შესმენასა, საზღავი მისცეს, წყულულებათა ორმოცთა ერთითა დაკლებულთა მიმღებელმან და ორმოცდაათნი სიკლონი მისცენინ მამასა, ხოლო უკუეთუ ამხილოს ქალსა განხარწინლებაჲ, ერისაგან ვიდრემე მყოფი არა დამარხვისათვის სიწმიდით ქალწულებასა ვიდრე სჯულიერთაჲ ქორწინებათამდე, დაიქვან, ხოლო უკუეთუ მღელელთაგან ქმნილ იყო — დაიწუნ⁶ ცოცხალი.

ორნი თუ ცოლნი იყვენნ ვისაჲ და ერთი ვიდრემე პატრისა შინა ფრიადსა და სიყუარულსა მდებარე იყოს გინათუ ტრფიალებისათვის, ანუ შუენიერებისა, ანუ სხესა მიზეზისა, ხოლო სხუაჲ უმცირესსა ნაწილსა მიმთხუეულ იყოს, უკუეთუ საყუარელისაგან ქმნილსა ყრმასა, უჭაბუტესად მყოფსა, სხესაგან შო-

¹ იძულებიან AQ. ² არცა/ქარცა A. ³ დაიწუნ.

* მ. სჯ. 22,22. ლევ. 21,7. მ. სჯ. 22,43; 22,18; 25,3; 21,15; 22,23—25—28; 24,1; 25,5; 21,10.

⁵ ესე იგი არს ქმრისა.

ბილისასა, აღირსებდეს უმოხუცებულესთა მიმთხუევეად¹ სიყუარულისათვის მამისა დედისა მიმართ, რათამცა ორი ნაწილი მამულისა მონაგებისა მიიღოს², რამეთუ ესე სჯულთა შინა განმიწესებვის: ნუ შეუნდობვედ, რამეთუ უჯერო არს უმოხუცებულესს მყოფისა შობისა თანამდებთა მისთავან დაკლებამ, უღარეს-ყოფისათვის დედისა მისისა მამისა სიყუარულისა მიმართ.

ქალა, სხუად³ დაწინდებულისა, განმხრწნელმან⁴, უკუეთუ ვიდრემე მარწმუნებელმან ხრწნილებისა მიმართ თანდადებულად მიიყვანა, მოკუედინ⁵ მის თანა, რამეთუ მრჩობლივე მსგავსად ბოროტნი: იგი ვიდრემე რწმუნებისათვის ქალისა საძაველსა ნებისთ მოთმენად და წინააღრჩევად ამას თავისუფლებითისა ქორწილისა, ზოლო იგი — თავისა თვისისა მინიჭებად, რწმუნებული შეუბისათვის მისისა, გინა შეძენისათვის, გინებისა მიერ. ზოლო უკუეთუ მხოლომ შევრდომილი⁶ იძულოს, არცა ერთისა შეშწისა ყოფასა, მხოლომსა⁶ მოკუედინ. განმხრწნელი ქალწულისა, არღა დაწინდებულისა, იგივე ექორწინენ. ხოლო უკუეთუ მამასა ქალისასა არა ეთნოს თანშეუღლებამ მისდა, ორმეოცდაათნი სიკლონი პატივად გინებისა მისცენსა.

და დედაკაცისა თანმკვდრისა გამოუღლვად მნებებელი რომელთაცა სადავე მიზეზათვის, ხოლო მრავალნი ექმნებიან ესევეთარნი კაცთა, წერილთა მიერ არაოდეს თანმოსლვისათვის განემტკიცენ, რამეთუ ესრეთ მიიღოს კელმწიფებამ დედაკაცმან დამკვდრებად სხესა თანა. ვინაჲთჲან პირველ არა შესანდობელ, ხოლო უკუეთუ მის მიერცა ბოროტ იქმნეს, აღსრულებასა მისსა ინებოს თუ ქორწინებად მისა პირველმან, არა შესაძლებელ იყო მისა უკუეწევეად.

უშვილისა, ქმარი თუ მისი აღესრულოს, ძმამ მისი ექორწინენ და ყრმინ^{6B} სა, ქმნისაჲ სახელთა მომკუდრისაჲთა⁶ მწოდებელი/, ზრდიდინ მას მონაცვალედ სამკვდრებელისა. რამეთუ ესე და საზოგადოებასა სარგებელ იქმნეს თვისთა არა მოკლებისათვის და საჭმართა თვისთა მათდა არა დატევიებისათვის და დედაკაცთაცა აღსუბუქებამ მოართუას განსაცდელისა, შეუღლებულთა მახლობელთა ნათესავთა თანა პირველთა ქმართასა, ხოლო უკუეთუ არა ინებოს ქორწინებამ ძმამან, მოხუცებულთა კრებულისა თანა მიმართ მისრული დედაკაცი წამებდინ ამას, ვითარმედ მნებებელსა მას სახლსა შინა დადგრომად და შვილიერ-ქმნად მისგან, არა შეიწყნარებს, მაგინებელი მომკუდრისა ძმისა კსენებისა. ხოლო მოხუცებულთა ჰკითხონ, რომლისა მიზეზისათვის უცხოდ აქუს ქორწინებისა მიმართ. და იგი თუ მცირესა, გინა დიდსა იტყოდინ, ამით მიმართ მიიქეცინ: ხოლო დედაკაცმან, განმკსნელმან მისგან სანდალთა ძმისათა და მწერწყუეღმან პირსა მისსა, ამით მის მიერ მიმთხუევეად ღირს-ყოფამ მისი თქუას, მაგინებლისაჲ წარსულისა კსენებასა. და იგი ვიდრემე მოხუცებულთაგან წარვედინ, ამას ყუედრებასა მქონებელი ყოველსა შინა ცხორებასა, ხოლო მას, რომელიცა ენებოს ვისმე მოქენთასა, ექორწინენ.

ხოლო უკუეთუ ტყუედ ვინმე მიიყვანოს ქალწული, გინათუ ქორწინებულიცა, მნებებელისა შეუღლებად არა შესაძლებელ იყოს პირველად შეხებად ცხედარისა და ზიარებისა, ვიდრე არა აღპარსულმან და საგლოველსა სახესა აღმღებელმან, იგლოვენს ნათესაენი და მოყუარენი, წარწყმედილნი ბრძოლასა შინა, რაითა, ესრეთ მათ ზედამსა მწუხარებისა განდრომილი, შემდგომად ესრეთ შეუბათა მიმართ მიიქეცეს და ქორწილთა. ხოლო კეთილ არს და სამართალ, ყრმისმოქმედსა მიმყვანებელისა განსუენებამ⁷ მწუხარებისა მისისა ნებისაჲცა

¹ მიმთხუევეად. ² მიიღოს. ³ სხუად. ⁴ განმხრწნელმან AQ. ⁵ მოკუედინ. ⁶ მომკვდრისაჲთა.

⁷ განსუენებამ.

⁸ ესე იგი არს დედაკაცი.

ზე და ესრეთვე და არა მხოლოდ თვსსა განსუენებასა მეძიებელისა სახარულეანისა მისისა უგულვებელს-ყოფამ. ხოლო ოცდაათნი რამ დღენი გლოვასა შინა წარკდენ, 'ხოლო გონიერთათვს კმა არიან ესენი ცრემლთა ზედა საყუარელთასა, მაშინ მიიმართოს ქორწილისა მიმართ. ხოლო უკუეთუ, განძლომილი გულისთქუმითა, შეურაცხ-ყოფდეს ცოლად ქონებასა მისსა, არა კელმწიფებით აქუნდეს დამონებაჲ მისი, არამედ სადაცა ენებოს მიმართებაჲ, წარევიდინ წათესვის უფლებისა მქონებელი“.

24)* „ხოლო რაოდენნი ჰაბუკთაგან შეურაცხ-ყოფენ მშობელთა და პატრისა არა მიანიჭებენ მათ გინა სირცხვისათვს, ანუ უგუნუტებისა მაგინებელნი მათნი, პირველად ვიდრემე სიტყუათა მიერ წუართენ იგინი მამათა, რამეთუ კმა-არიან ესენი შვილთა ზედა მსაჯულად, მოსლვად ურთიერთას ვიდრემე არა შუებისა ძლით მეტყუელნი, არცა საკმართა აღორძინებისა მრჩობლთათვსვე ზიარად მყოფთა, არამედ რამათა ყრმათა მიემთხვევენ, რომელთა სიბერისა შინა იტყრთენ იგინი და რომელთა მოქენე არიან, მათ მიერ მიიხუნენ: „ხოლო ქმნილნი მხიარულებით და მეცნიერებისათვს დიდსა მადლსა აღმლებელთა“, მოსწრაფებით აღზარდენი, არა რომლისა კრძალულებისა მოქმედთა საკმარ-ყოფისათვს თნებულისა ცხობებისა შენისა მიმართ და წურთისა რჩეულთამსა. ხოლო აწ, რამეთუ შენდობისა მინიჭებაჲ ჯერ-არს ნაცოდევსა ზედა ჰაბუკთასა, არა სამართალ არს შენდა, რაოდენი ჩუენდა მიმართისა პატრისაჲ შეურაცხ-ჰყოფ და გარდაიცვალე უგონიერისა მიმართ, გულისმსიტყუველი და ღმრთისაჲ ბოროტად-ქონებისაჲ მკადრებელთა ზედა მამათა მიმართ და რამეთუ იგი მამამ ყოვლისა კაცთა წათესვისაჲ/არს და უპატიო-ყოფად საგონებელ არს, მქონებულთა თანა სახელისდებასა მსგავსსა მისსა, არა თუ მიემთხუეოდიან ყრმათა მიერ ჯეროვანთა მათდა. და სჯული მტანჯველ იქმნებიეს ესევითართა თანა გარეწარუვალთად, რომლისა განცილებასა შენ ნუ მიიღებ“. და ამათ შინა განიწუართოს სილაღე ჰაბუკთამ, განთავისუფლდენ იგინი უმეცრებისა ყუენდრებათაგან, რამეთუ ესრეთ სჯულისმდებელიცა კეთილ იყოს და მამანი ბედნიერ, არამხილველნი ტანჯულად არცა ძესა, არცა ასულსა. ხოლო რომელთა სიტყუანი და მათ მიერი მოძღურებაჲ არარად საგონებელ იყოს გონიერებისათვს, არამედ მტერთა და უგებელთა იქმოდინ მათთვს სჯულთა ზედამ-ზედათა კადრებათაგან მშობელთა მიმართ, განყვანებული მათ მიერ გარეშე ქალაქისა სიმრავლისა ყოვლისა შედგომილობასა, დაიქევენ. და დღე ყოველ დავრდომილი სახედველად ყოველთა, დაემარხნენ ლამით. ესრეთვე და რომელნი ვიდრე სჯულთა მიერ განსჯილნი მოკუდინებად. ხოლო დაიმარხვიდინ და მბრძოლნიცა. და მკუდარი ნუცა ერთი უნაწილოჲ ქუეყანისაჲ მდებარე არს, უმეტესსა ჯეროვანისაგან სატანჯველსა მიკილილი“.

25)* „ხოლო ვასხებაჲ არა შესაძლებელ იყოს არცა ერთისა ევრავლთამსა გინა დადგინებისათვს“, არცა საკმლისა ზედა, არცა სასუმელისა, რამეთუ არა სამართალ არს მოხუეკჲ მონათესავეთა ბედისაგან. არამედ, შემწე ნაკულევა-ნებათა მისთამ, შეძენად ჰგონებდეს მათ მიერსა მადლობასა და ღმრთისა მიერ ნაცვლისგებად სახიერებისა ზედა“.

* ნაცოდევებსა A.

* მ. სქ. 21,18; 21,11. ¹⁰ ყვძმყუყუ, ხე ძე მესძ ჯარძს ხაღი ხომ ნფ მფა ჯძიუ ეღმწაღ ნიუ მუწიღიუ ძრძმესი 4₂₈₁ (=როდესაც შენ დაიბადე, მხიარულებით და ღმრთისაღმი უღრმესი მადლიერების გრძობით...). ²⁰ მ. სქ. 23,19. ³⁰ ზეს ნძაღე ჳწმწაღ 4₂₈₈ (=აპროცენტებით. შეძლება, გადააწერის შეცდომა და უ. ო. აღნაღგინებისაჲს).
• 237

26* „ხოლო მიმღებელნი გინა თუ ვეცხლისა, ანუ რომელსავე ნაყოფთა-სა, ნედლსა გინა ჯმელსა, გონებასა შინა მომღებელნი ღმრთისა მიერ მათდა მონიჭებულნი, მხიარულებით მიმცემელნი მომცემელთანი, ვითარ დამღებელნი საუნჯეთა შინა მათთა, კუალად, უკუეთუ მოქენე იყენენ, მიიღებდენ, ხოლო უკუეთუ შეუდრემელობდენ მიცემად, არღარა წარსრულნი სახლად, ივუთყო-ლიან პირველ მსჯავრისა ქმნადმდე ამისთვის, ხოლო ნაცვალსა თხოვად გარემ-ყოფისა და თანადებსა შილებად მისგან, არა ნაცვალმეტყუელისა მისრულისა მიმართ მისდა სჯულთა შეწვევისა თანა. ხოლო უკუეთუ ღონიერ იყოს მკუთ-ველი იგი, იპყრან იგი მავასხებელჲან ვიდრე ნაცვლისგებადმდე. ხოლო უკუე-თუ გლახაკ, მიეცინ ვიდრე მზისა შთასლვადმდე და უფროასლა, უკუეთუ სამო-სელი იყოს კუთვილი, რამათა ძილისა მიმართ აქუნდეს, ვინამთგან ესე წყალო-ბაჲ მინიჭებულ არს ღმრთისა მიერ ბუნებით გლახაკათავს. წისქვლისა მიმართ და ამის მიმართთა ჭურჭელთაჲ არა შესაძლებელ იყოს კუთვაჲ, რამათა არა ნაკლულეჲან იყენენ და საზრდელისაჲცა მიმართთა ჭურჭელთაგან, არცა უღო-ნობითა ევენოს რაჲვე უძკრესთაგანი“.

27)1* „კაცისა ვიდრემე პარვასა ზედა სიკუდილი იყოს ზღვეულებად. ხო-ლო ოქრომსა, გინა ვეცხლისა მიმპარველჲან ორწილად უკუნ-ეცინ. მომკლვე-ლი ვინმე სახლსა შინა მიპარულთა ზედა უბრალო იყენენ და ამას თანა აღმო-თხრასა ზღუდისასა! ზედა მოაკუდინოს თუ. პირუტყუსა მპარველჲან ოთხწილად ზღვეაჲ უკუნ-ეცინ, გარეშე ზროხისა: ხოლო ხუთწილად ამისთვის მისცეს. და უღონოჲ უკუე დაჯნად პატივსა, მონაჲ იყოს განმჯელთა“.

28)2* ხოლო მსყიდელი ვინმე თანმონათესვისისა, ექუსთა წელთა ჰმსახურე-ბდინ და მეშვდესა — თავისუფალი — განტევებულ იქმენინ. ხოლო შვილნი თუ 69 იქმენენ მისდა მწევ/ვლისაგან2 მიმსყიდელისა თანა და სიყუარულისათვის და თვსთა თანა დადგრომისა მნებებელ იყოს მონებად, წარმოდგეს რაჲ წელიწადი იოვილოსი, ხოლო მეოცდამეათე3 წელი არს, განთავისუფლებულ იქმენინი შვილთაჲცა და ცოლისა თავისუფლისა მიმყვანე“.

29)4* „ხოლო უკუეთუ ოქროჲ ვინმე პოვოს, გინა ვეცხლი გზასა ზედა, მეძიებელჲან წარწყმედლისამან და მეტყუელჲან ადგილისამან, რომელსა შინა პოვა, მიეცინ, არა კეთილსა სარგებელსა მექუელჲან სხვსა ზღვეულებისაგან. ესრეთვე მსგავსად და პირუტყუთაჲცა, რომელთა შეემთხვოს თუ ვინმე უღამ-ნოსა ზედა შეცთომილთა, არა მპოვნელჲან უფლისა მისისამან, მეყუსეულად მის თანა დაჰმპარხენ, მოწამედყოფელჲან ღმრთისამან არა იგანთვსებად უცხო-თა“.

30)5* „ხოლო არა შესაძლებელ იყოს თანაწარსლვაჲ სასყიდელსა შინა პირუტყუთასა4 ვნებულთაჲ, გინა ზამთრისა მიერ დაცემულთაჲ უყესა შინა, არამედ თანაცხოვნებად და შემწე-ყოფად თვსად ტკივილად შემრაცხელისა“.

31) „ხოლო უმეცართა — სწავებად და გზათაჲცა და, ანუ მომნადირებელნი თავთა თვსთათვის სიცილსა, დააბრკოლებენ ცთუნებით სხვსა საჯმარებასა“.

32)6* ეგრეთვე მსგავსად ნუვინ ჰგომობს ბრმასა და სულელსა“.

1 ზღუდისასა. 2 მწვევისაგან A. 3 პოვოს A. 4 პირუტყუთაჲ.

* მ. სქ. 24,10; 24,12 (გამ. 22,26); 24,6. 1* მ. სქ. 24,7 (გამ. 21,16). 2* მ. სქ. 15,12.

3* *επιτηδεύειν* 4,27, S: ორმოცდამეათე. 4* მ. სქ. 22,1. 5* მ. სქ. 22,4; 27,19 (ლევ. 19,14).

6* ლევ. 19,14.

33)* „ბრძოლასა შინა ვინმე, სადა არა იყოს რკინამ, წყლული, მეყუხეულად ვიდრემე მომკუდარი, ნაცვალი საჯენ მას ვნებთა მწყლველისათა. ხოლო უკუეთუ მიყვანებული სახედ თვსად და, სნეულქმნილი, მრავალთა დღეთა ამისა შემდგომად მოკუდეს, უბრალო იყოს მწყლველი. ხოლო ცხონდეს თუ და მრავალნი აღლინეს სნეულებისა მიმართ, მისცენს ყოველნი, რაოდენნი უამსა ქუმედებარეობისა მისისასა წარაგნა და რაოდენნი მკურნალთა მისცნა. მწიხნელი დედაკაცისა მუცელქუმულისაჲ, უკუეთუ ვიდრე უქმ-ქმნეს დედაკაცი, იზღვიერ საკმარათაჲნ მსაჭულთა მიერ, განხრწნილისაგან სამოსა შინა შემამციკრებელი სიმრავლისაჲ. ხოლო მიეცენინ და ქმარსაჲ დედაკაცისასა მის მიერ საკმარნი. და მოკუდებოდის თუ წყლულსაგან, და იგიცა მოკუედინ, სულსა ნაცვლად სულისა დადებად განმსჯელისა სჯულისა მიერ“.

34) „წამალი, ნუცა სასრკუდინოჲ, ნუცა ვნებთა მიმართ ქმნილი, ნუცა ერთსა ვის ისრაილიტათაგანსა აქუს. ხოლო უკუეთუ საცნაურ იქმნეს, მქონებელი მოკუედინ, ამისი მვენებელი, რომელი ქმნილ იყომა მათდა, რომელთა მიმართ წამალი შემზადებულ იყო“.

35)1* „რომელმან დააბრმოს, ევენენ მას მსგავსნი დაკლებულსა, რომელი-საგან მან დააკლოს სხუაჲ, უკუეთუ არა რომელთამე საკმართა ენებოს მიღებაჲ დაბრმობილსა, ვინათგან უფალ-ჰყოფს სჯული ვნებულსა დაფასებად შემთხუეულსა მისდა ვნებასა და შეუნდობს, არათუ ენებოს, უმწარეს-ყოფაჲ“.

36)2* „კარი, რქითა მწყლველი, დაკალნ მეუფემან მისმან. ხოლო უკუეთუ კალოსა ზედა მოაკუდინოს. ვინმე მწყლველმან, იგი ვიდრემე დაქვაებული მოკუედინ, არცა საზრდელისა მიმართ საკმარ-ყოფად ღირსებული. და უკუეთუ მეუფეცა მისი იმხილებოდის, წინაწარმეცნიერი ბუნებისა მისისაჲ და არა დამცველი, იგიცა მოკუედინ, ვითარ მიზეზქმნილი კარისა მიერ მოკულლისაჲ. ხოლო უკუეთუ მონაჲ, გინა მკევალი მოაკუდინოს“ კარმან, იგი ვიდრემე დაიქვაენ, ხოლო ოცდაათნი სიკლოსნი მისცენს შეუფესა მოკულლისასა უფალმან კარისამან. და უკუეთუ კარი, ესრეთ წყლული, - მოკუდეს, განისყიდოს და მომკუდარიცა და მწყლველი და ფასი ორთამე / განიყონ მეუფეთა მათთა.“ v

37)3* „ჯურღუმულისა, გინა ლაკვსა აღმომთხრელთა მოსწრაფებამე აქუნდინ, რაათა ყონ გარემოჲს ფიცართა მიერ შეკრძალულ, არა რაათა ვიეთნიმე დაიყენებოდინ აღმოვსებისაგან, არამედ რაათა არავინ ღელვა-გუემულებამე იქმნეს შთავრდომილთა. ხოლო რომლისა ესევეითარსა აღმომთხრილსა, არა დაქშულსა, პირუტყვ ვისიმე შთავრდომილი განიხრწნეს, მისცეს სასყიდელი ვითარ მეუფესა მისასა. ხოლო შეზღუდენ გარემოჲს შეშათა მიერ, რომელნი, ვითარ ზღუდედ მყოფნი, არა უტევებდენ ვიეთმე შთავრდომილთა წარწყმედად“.

38)4* „ხოლო ნამარხევი, ვითარ სამღდელიჲ რამემე და საღმრთოჲ საკმარი, მიმღებელმან საცაეისა, აღირსენ. და ნუვინ მკადრე არნ დაკლებად მარწმუნებელისა, ნუცა მამაკაცი, ნუცა დედაკაცი, ნუცა, უკუეთუ ოქროსა აურაცხელსა ეგულებოდის შეძენამ, შეურაცხ-ჰყოფს მცირე-ყოფისათვის მამხილებელისა, რამეთუ ყოვლისა მიმართ გონებამან მეცნიერმან მიუტევა თითოეულსა თვსმან კეთილმოქმედებამ და, მოწამედ მისა კმამყოფელმან, ყოველთა

1 მოაკუდინოს. * მოკვდეს.

* გამ. 21,18—12—21. 1* გამ. 21,24. ლევ. 24,19. 2* გამ. 21,28; 21,35. 3* გამ. 21,33; 2. სჯ. 22,8. 4* გამ. 22,7; 8,11. 2. სჯ. 24,14.

მოქმედებისამან, რაოდენთა სხვა მიერ ქებაჲ მიანიჭონ მას და უფროასლა ღმრთისა მიერ, რომელსა არავინ, ბოროტადმოყოფი, დაეფარვის. ხოლო უკუეთუ, არცა ერთისა მზაკუვარებისა მოქმედმან, რწმუნებულმან წარწყმიდოს, წარსრულმან შვდთა მსაჭულთა მიმართ, ფუცენ ღმრთისა მიმართ, ვითარმედ არაჲა მისითა განზრახვითა და სიბოროტითა წარწყმიდა, არცა იკუმია რომელიე კერძოჲ მისი. და ესრეთ მოუტდელი წარვედინ. ხოლო უკუეთუ დაემთხვოს წარმწყმედელად რომელსავე უმცირესსა კერძოსა რწმუნებულთასა მკუმელი, მეცნიერ იყავნ, ვითარმედ ნეშტნი ყოველნი, რომელნი მიიხუნა, კუალად უკუნ-სცნეს. ესრეთე და მსგავსად ნამარხევთაჲსა, უკუეთუ ვინმე სასყიდელი დააკლოს მუშაკთა სხეულთა მათთა მიერ, საძაგელ იქმნენინ, რომლისათეს არა დააკლებდენ სასყიდელსა მამაკაცისა გლახაკისასა, მეცნიერნი, ვითარმედ ნაცულად ქუეყანისა და სხუათა საკმართა, ამის მიმნიქებელ არს მისდა ღმერთი. არამედ ნუცა დაამყოვრებენ მიცემასა, არამედ მასვე დღესა მიაგონ, ვინაჲთგან არა ჰნებავს ღმერთსა დააკლებად მოქმედისაჲ საკმარებისაგან, რომელთაჲსა იმუშავან“.

39)* „ყრმანი უსამართლოებათათეს მამათაჲსა ნუ იტანჯვიან, არამედ სათნოებისა მათისათეს წყალობისა უფროასლა ღირს იქმნებოდენ, რამეთუ ბოროტთა მამათაგან იქმნენს და ნუ სიძულილისა ღირს იქმნებიან, შობილი ბოროტთაგან. ნუცა შეერაცხებიან მამათა ცოდვაჲ ძეთაჲ, ვინაჲთგან ჰბაბუკნი მრავალთა უმოდლურებენ თავთა თვსთა, გარეშე სწავლისა ჩუენისა ამატარევენით სწავლისა ძლით“.

40)1* „ღალღოსთა² ევლტოდიან და კრებულსა მამაკაცობისა მიმდებელთასა განეშორებოდიან და ნაყოფისასა შეილთმოქმედებისა მიმართ, რომელი აღორძინებისათეს ნათესვისა მოგუანიჭა ჩუენ, კაცთა, ღმერთმან. და ესრეთ იდენებოდინ იგინი, ვითარ კლვისა ზედა შვილთაჲსა და პირველ ამათსა წარმწყმედელნი მიზეზისა მათისანი. რამეთუ ცხად არს, ვითარმედ სულისა მათისა დადღელებასა, ამის მიმართ გარდაამკვეს სხეულიცა. ეგრეთევე მსგავსად და ყოველი საგონებელი სასწაულად მხედველთა. ხოლო არა შესაძლებელ იყო ქმნად დაკუეთისაჲ არცა კაცთად, არცა სხუათა ცხოველთად“.

41)3* „ესე ვიდრემე უკუე მშვდობითი განგებაჲ სჯულთაჲ მოქალაქობისა მიმართ იყავნ თქუენდა და ღმერთმან სა/ხიერმან უშფოთველი შემკობილებაჲ მისი მოგანიჭოს თქუენ. ხოლო ეამი არა იქმნეს არცა ერთი, რომელმანცა განაახლა რაჲე ამათგანი და წინააღმდგომისა მიმართ გარდაცვალა. ხოლო ვინაჲთგან კაცობრივი იძულებით, გინა წინააღმდგომით უნებლიეთთა შფოთთა და კირთა შთავარდების, მოიღე, მოვედ!“ და ამათვსცა მცირედნი განვაწესნეთ, რაჲთა წინაწარმეცნიერნი, რომელთაჲ ჯერ-არს მოქმედებაჲ, საკმარებასა შინა ცხოვრებისათა ღონიერ იყვენთ და ნუ მამინ, რომელთა ჯერ-იყოს მოქმედებაჲ, მეძიებელნი, შეუმზადებელნი, ეამთა მიერ დაეცნეთ.

ქუეყანაჲ, რომელი მოგცა თქუენ ღმერთმან, კირისა შეურაცხისმოყველთა და სულისა განმსწავლელთა სათნოებისა მიმართ, უმბრძოლოდ მიანიჭებდით პყრობად მომგებელთა მისთა. და არცა უცხონი აღიმკედრებდენ ვენებისა

* მ. სჯ. 24;16. 1* მ. სჯ. 23,1. 2* Γδλλουσ 4200 (=საქურისი). 3* მ. სჯ. 20,10; 20,1; 20,4; 24,5. 4* ფძეჲ 4203 (=მოლი ერთი, ნება მომეცი. ფძეჲ მთარგმნელის მიერ გაიგივებული ჩანს ფძეჲ-სთან).

მისისათვის და არცა თანმონათესევემან კლომაზან გიპყრნეს თქუენ, რომლისა მიერ, წინააღმდეგოდ თნებულთა მამათა თქუენთასა მოქმედნი, წარსწყმედოთ. ხოლო მკუთხეველი სჯულთანი, რომელნი ღმერთმან კეთილგამოცილებით მოსცნა, ეგნეთ. ხოლო საქმე, რომელი რაჲვე სამბრძოლო, გინა აწ თქუენ მიერ, ანუ უკუთანასკნელ ყრმთა თქუენთა მიერ იქმნეს, ესე ცარემე საზღვარ-თა იქმნეს. ხოლო მკუთხეველი ბრძოლად, ვედრებათა და ქადაგათა წარავლენ-დით ნებსით მბრძოლთა მიმართ, რამეთუ პირველ საჭურველთათა კეთილ არს სიტყუათა კუმევაჲ მათდა მიმართ, მიუწყებელნი, ვითარმედ მკედრობასა ფრიალსა მქონებელნი და ცხენთა და საჭურველთა და, პირველად ამათსა, ღმერთსა მოწყალესა და თანმბრძოლსა, ეგრეთვე არა იიძულებით ბრძოლად მათდა, არცა მათგან მიძღებელნი უნებლიეთსა შეძენასა მომხუეველ ხართ. და ირწმუნონ თუ ვიდრემე, კეთილ არს თქუენდა ქონებაჲ მშუდობისა დაცვა-სა. ხოლო უკუეთუ ბრძნობდენ თავთა თქსთა ზედა, ვითარ ძალითა გარდამა-ტებულნი, უსამართლოებად მნებებელ არიან, მკედრობაჲ მიიყვანეთ მათ ზე-და, მკედართმეყვანებელად ვიდრემე თვთმპყრობელისა ღმრთისა მკუთხეველთა, ხოლო ქუემ მკედართმეყვანებელად კელთდამსხმელთა ერთსა, სათნოებითა აღმატებულსა, რამეთუ მრავალმოთავრობაჲ დაბრკოლებასა თანამოსწრაფები-სა მქონებელთასა მოქმედებად რასვე და მანებელცა არს მკუთხეველთა. ხოლო მკედრობასა მიიყვანებდით წმიდასა, ყოველთაგან გარდამატებულთა ძალითა სხეულთაჲთა. და კადნიერებითა სულისაჲთა და მოშიშსა განარჩევდით, ნუსა-და სარგებელ იქმნეს მბრძოლთა საქმესა შინა მიდრეკილი ღოტოლად. ხოლო აწ ახლად აღმაშენებელთა სახლისათა, რომელთა არა უამი მათ შინა განსუენე-ბისაჲ იქმნა წელიწადი და დამწერგველთა, ხოლო არა ნაყოფთა მათთაგან მიძღებელთა, უტევებდით ადგილისა ზედა, და დაწინდებულნი და ახლად ქორ-წინებულნი, ნუ სურვილითა მათითა განკრძალულნი ცხორებისა მიმართ და დამკველნი თავთა თქსთანი განშუებისათვის, ამათ მიერ ჰვერუეულ იქმნებიან დედაკაცთა მიმართ.“

42)* „ხოლო აღმკედრებულნი, წინა-განიხილვებდით, უძვრესთაგანი რაჲ-ვე იმოქმედოთ. და ქალაქთმოპყრებელნი¹, უკუე და ძელთაგან უღონონი მოქმედებისა მიმართ მანქანებათაჲსა, ნუ განჰპარსავთ ქუეყანასა, შინაურთა² ხეთა მოპყუეთელნი, არამედ ერიდენით, გულისმსიტყუველნი, ვითარმედ სარ-გებელისათვის კაცთაჲსა იქმნენ ესენი, რომელნი, უკუეთუმცა ჯმისა ღონიერ-იყვნეს, მართლიად იმეტყუელესმცა თქუენდა მიმართ, ვითარმედ, არა მიზეზ-ქმნილნი ბრძოლისანი, ბოროტად / ივნებენ გარემოსა სამართლისა და უკუე-³ თუმცა შესაძლებელ იყო მათდა, გარდამკედრნესმცა და გარდაიცვალნეს სხვსა ქუეყანისა მიმართ. ხოლო მპყრობელთა წინააღმდეგობათსა ბრძოლასა შინა, მო-აკუდინენით³ და სხუანი სრულ-ყოფად ხარკთა თქუენთა აცხოვნენით, გარე ხა-ნანელთა წათესვისა, რამეთუ ამითი ყოვლით სახლითურთ ჯერ-არს უჩინო-ქმნაჲ“⁴.

43)* „ხოლო დაიმარხეთ, ბრძოლათა შინა უფროსდა, რაჲთა არცა დედა-კაცმან საჭურველი მამაკაცისაჲ იკუმიოს, არცა მამაკაცმან — შესამოსელი დედაკაცისაჲ“.

1 ქალაქთმოპყრებელნი. 2 შინაორთა. 3 მოაკუდინენით. 4 უჩინო იქმნათ AQ.

* მ. სჯ. 20,19. 1* მ. სჯ. 22,5.

44) * მოქალაქობად ვიდრემე უკუე ესევითარი დაუტევა მოვისი, ხოლო სჯულნი, მერმეცა უწინარეს ორმოცისა წლისა დაწერილნი, მოსცნა, რომელთათვის სხუასა წერილსა შინა ვთქუათ. ხოლო შემდგომთა დღეთა, რამეთუ მრავლად შეჰკრებდა ერსა, კურთხევანი¹ მისცნა მათ და წყევანი არა სჯულთებრ ცხოვნებდათ, არამედ გარდამავალთა მათ შინა ჟანსაზღვრებულთასა. ამისა შემდგომად მოქმედებამ შვდრიცხუელი² წარუციხა მათ, რომელი დაუტევა წიგნითა სამღვდლოსა შინა, მკონებელი გულვებადთა წინაწარტქუმი-საჲ, რომლისა მსგავსად იქმნეს ყოველნი და იქმნებიან, არა განცრუებულნი ქეშმარიტებისა მისისაგან.

ესე უკუე წიგნი მისცნა მღვდელთა და კილობანი, რომელსა შინა და ათნიცა სიტყუანი, დაწერილნი ორთა ფიცართა ზედა, შთასხნეს, და კარავიცა, ხოლო ერსა ამცნო, მპყრობელსა ქუეყანისასა და დამკვრებულსა, არა მიღებად დაიწყებასა ამალიკიტთა გინებისასა, არამედ, აღმკვრებულსა მათ ზედა, ტანჯვისა მიგებად, რომლისათვის, უდაბნოსა ზედა მყოფთა, ბოროტი-უყვეს. ხოლო განფხურან რამ ხანანელთა ქუეყანაჲ და ყოველი მას შინაჲ სიმრავლე განხრწნან, ვითარცა ჯერ-არს, ვომონი აღჰმართონ მზისა მიმართ აღმომავალისა მიქცეული, არა შორს სიციმელთა ჭალაქისაგან, მდგომარე საშუალო ორთა მთათასა, ღარიზეოჲს ვიდრემე მარჯულ მდებარეობასა, ხოლო მარცხლ-ეული სახელდებულისასა. ხოლო განიყოს რამ მკვდრობაჲ ექუს ნათესავად, ორთა მთათა ზედა აღდგენ და მათ თანა ლევიტელნი და მღვდელნი. და პირველად ღარიზინს ზედა ქმნილთა ულოცნენ უმჯობესნი მსახურებისათვის ღმრთისა და სჯულთა დაცვისათვის მოსწრაფეთა და არა ურჩქმნილთა, რომელნი მოვისი თქუნა. ხოლო სხუანი აქებდენ და კუალად ესენი რამ ლოცვიდენ, პირველ, აღსრულნი, დაამტკიცებდენ. და, შემდგომად ამითსა, გარდამავალთათვის წყევთა დასდებდენ, მკომბელნი³ ურთიერთს და მტკიცებისათვის თქუმულთასა. ხოლო დაწერნა თვთ მან კურთხევანი და წყევანი, რამათა არაოდეს მოაკლდებოდის სწავლაჲ მათ შორის ეამთა, რომელნიცა და ვომონისა ზედა, აღსრულებამან, დაწერნა თითოეულსა ფუერდსა, რომელთა შინა მდგომარე ერი, იტყვის, მსხუერპლევდინ და ყოვლად-დამწუველობდინ. და შემდგომად დღისა მის არღარა მოიღებდენ მსხუერპლსა სხუასა, არცა იყოს სჯულიერ. ესენი უკუე განაწესნა მოვისი და ნათესავი ევრავლთაჲ ამისთა შემდგომილთა მოქმედ არს.

45)¹ * ხოლო შემდგომსა დღესა ერისა დედაკაცთა თანა ერთბაჲდ და ყრმათა ეკლისიად შემკრებელმან, ვიდრელა და მონათაცა მოწვენადმედ, აფუცნა, რამათა მოქმედ იქმნენ დაცვასა სჯულთასა და, ღმრთისა გონებისა გამოწულილვით გულისსიტყუასა მოქმედნი, ნუცა შიშისა დამორჩილებულნი, 71 ნუცა სხუასა მიზნესა, ყოველითურთ უსაკუთრესად სჯულთა დაცვისა შემრაცხელნი, გარდაჰდებიან მათ. ხოლო უკუეთუ ვინმე სისხლთაგანი შემწრლუქუ-ვად და დაქსნად კელ-ჰყოფდეს მათ მიერსა მოქალაქობასა, გინათუ ქალაქი შურის იგებდენ მათ ზედა დიდგომად, ზოგად და თვისაგან დაპყრობილთა ვიდრემე თვთ მათ საფუძველთაგან აღჰხუერიდენ და უკუეთუ შესაძლებელ იყოს, ნუცაღა იატაკსა, იქუნეულქმნილთასა, უტევებენ. ხოლო უძლურ იყვნენ თუ ტანჯვისა მიგებად, აჩუენებდენ ამას არა ნებსით თვისით მოქმედებასა ამითსა. და ერი ვიდრემე ფუცვიდეს.

¹ კურთხეანი AQ. ² შვდრიცხუელი. ³ მკმებელი.

* 2. სქ. მ. 28; 32,1—43; 21,9; 21,25; 25,17; 27,4—6—8—12 (ისინავესი 8,31). ¹⁰ 2. სქ. 29,2; 13,6; 13,12.

46)* ხოლო ასწავებდა მათ, თუ ვითარ მსხუერპლნი უფროხსდა სახარულევან იქმნენ ღმრთისა და ვითარ, აღმკვდრებულნი, განვიდოლიან, სასწაულად მკუშმეველნი ქვათანი, ვითარ და წინაწარცა ცხად-ვყავ. ხოლო წინაწარ ყოველთა მოვსის მყოფობასა და იისუცა, რაოდენნი ქმნეს ერისა ცხორებისათეს და ბრძოლათაცა შინა და მშვიდობასა და სჯულთა დამდებელმან და სამკაულსა მოქალაქობისასა მომლონებელმან, გულსმსიტყუველმან, წინაწარ-თქუა, ვითარ აუწყა მას ღმერთმან, ვითარმედ, დამტვევებლნი მისა მიმართისა მსახურებისაგან, განცილი იქმნენ ბოროტთა მიერ: და ვითარმედ საკურველთა მიერ მბრძოლთა მათთაჲსა აღივისო ქუეყანაჲ და აღიფხურნენ ქალაქნი, ხოლო ტაძარი დაიწუას და განისყიდნენ მონებად კაცთა, არცა ერთსა წყალობასა მომდებელთად განსაცდელთა მათთა ზედა, ხოლო შეინანონ არცა ერთისა მოქმედებისათეს მანებელთა ამათთა. „და ღმერთმან უკუე, დამბადებელმან მათმან, ქალაქნი მოქალაქეთა თქუენთა უკუნ-სცნეს და ტაძარი“. ხოლო იყო ამათი ვნებაჲ არა ერთგზის.

47)*¹ ხოლო იისუს ამცნო წარყვანებაჲ მკვდრებისაჲ ხანანელთა ზედა, ვინაჲთგან ღმერთი შეეწიოს მას ყოველთა ზედა, რომელთაცა კელ-ჰყოფდეს. და, ყოველისა სიმრავლისა მაქებელმან, ჰრქუა: „ვინაჲთგან თქუენთა მიმართ პირველთა მშობელთა წარვალ და ღმერთმან ესე დღე განსაზღვრა“² ჩემდა მათდა მიმართ ივანსღვისაჲ, მადლისა ვიდრემე ქონებასა აღვიარებ მას მერმეცა ცოცხალი და მყოფი თქუენ თანა თქუენისა წინმოურნობისათეს, რომელი არა მხოლოდ ბოროტთაგან ქსნისა თქუენისათეს იმოქმედა, არამედ და უმჯობესთაცა მონიჭებისათეს. და რამეთუ შრომასა ჩემსა შინა და ყოველსა ზრუნვასა მომდებელისა უმჯობესისა მიერ გარდაცვალებისა თქუენისათეს თანმოლუაწე იქმნა და მოგუანიჭა ჩუენ ყოველთა შინა თავი თვისი მოწყალედ. და უფროხსდა თვთ იგი იყო მოთხრობასა ამათსა მომცემელ³ და დასასრულთა მომნიჭებელი, ქუეშე მკვდართმყვანებელად მკუშმეველი ჩემი და მსახურად, რომელთა მიერ ცხოვნებაჲ ერისა თქუენისაჲ ინება, რომლისა ძლით ვაკურთხევ ძალსა ღმრთისასა, რომელმან იზრუნვოს და გულეებადისაცა მიმართ ქსნაჲ თქუენი. და კულად ქონებაჲ ვჰგონე თვთ მეცა ამას, თანამდებსა, ნაცელისგებასა მიმცემელმან და დამტვევებლმან საქსენებელად თქუენდა, რამთა სასწრაფო იყოს თქუენ მიერ მსახურებაჲ და პატივისცემაჲ ამისი და დიაცვნეთ სჯულნი ყოველთანი, რომელნი მოგანიჭნა და მერმეცა, სახიერებით დადგრომილმან, მონიჭნეს ნიჭი კეთილი, რამეთუ მძენვარე მტერი არს და კაციცა სჯულსმდებელი, იგინებოლიან რაჲ მის მიერნი სჯულნი და უქმად ღდებარე იყვნენ. და ღმრთისა მიერ ნუ განცილილ იქმნებით, განრისხებულისა სჯულთათეს უდებქმნილთა, რომელთა თვთ მშობელმან მოგცნა თქუენ“.

48)³ ხოლო მოვსი ესენი რაჲ დასასრულსა ცხორებისასა თქუნა და კურთხევით თითოეულსა ნათესავთასა უწინაწარმეტყუელნა, რომელნი და იქმნესცა, ცრემლთადმი შთავარდა სიმრავლე, ვიდრელა დედაკაციცა მკერდ-აჩუე-ზონებდეს ცრემლოანი⁴, აჩუე(ნ)ებდეს მას ზედა ვნებასა, მოსიკუდილ² მყო(თ)-ისასა, და ყრმანი მგლოვარენი, მერმეცა უუძღურესნი პყრობად მწუხარებასა, აჩუენებდეს, ვითარმედ სათნობებაჲ მისი და დიდმოქმედებაჲ მასეჲ ჰასაკსა შინა

¹ განსაზღვრა A, განსაზღვრა Q. ² მოსიკუდილ.

* რიხ. 28, 1. 2. სქ. თ. 28. ¹ 2. სქ. 31, 7; 32. ² εἰς δὲ φῶς (v 4₃₁) (=1) წინამძღოლობა; 2) ამბის მდილი. ამ კონტექსტში საჭიროა პირველი მნიშვნელობა). ³ 2. სქ. 33, 1; 34, 1; 24, 5. ⁴ στεφανοσυμμεύειν A 326 (=მკერდნი იცმდნენ).

გულსცმა-ყვეს. ხოლო იყო გონებასა შინა ჰაბუტა და მოხუცებულთასა ძლე-ვისმოყუარება მწუხარებისათვის, რამეთუ რომელნიმე, მეცნიერნი ვითარსა და-აკლდეს მოურნესა, გულვებადისათვის მგლოვარობდეს, ხოლო სხუათა და ამი-სთვისცა მწუხარება იყო, რამეთუ, არა კეთილად მგებელთა სათნოებისა მისისათა, შეემთხუეოდა დაკლებად მისგან. ხოლო გარდამატებული მწუხარება სიმრავლისა და სულთქუმანი ისწავოს ვინმე შემთხუეულისაგან სკულისმდე-ბელისად: და რამეთუ რწმუნებული ყოველსა ჟამსა არა ჭეროვან-ყოფისა მწუ-ხარებად გულეებადა ზედა აღსასრულსა, ვინაფთგან განზრახვითა ღმრთისაფთა მენებელ არიან ამას. დასჯილთა ბუნებისაფთა, იძლია ცრემლოვან-ქმნად მოქ-მედებულთა მიერ ერისაგან. ხოლო წარსრულსა ამიერ სადა ეგულებოდა უჩი-ნო-ქმნაჲ. შეუდგეს ყოველნი ცრემლოანნი. და მოვსი, შორს ვიდრემე მყოფთა კელითა მძრველი, დადგრომასა უბრძანებდა მათ, დაწყნარებულთა, ხოლო მახ-ლობელთად შედგომილთა სიტყუათა მიერ ევედრებოდა, რაფთა არა ყონ მის-და ცრემლოვან აღსასრული. ხოლო იგინი, და ამასცა მინიჭებად მის მსჯელ-ნი, რაფთა იყოს მისი თვისისა ნებისაებრ წარსლვად, იპყრობდეს თაფთა თვისთა, ურთიერთას მგლოვარენი. და მხოლოთა უკუე მოხუცებულთა წარავლინეს იგი და მღღელთმთავარმან ელეაზაროს და მკედართმყვანებელმან იისუ. ხოლო ვითარ მიიწინეს მთასა ზედა, ავარიდ წოდებულსა, ხოლო მალალი არს და პი-რის-პირ იერისუნტომასა მდებარე არს, ქუეყანასა რჩეულსა ხანანელთაჲ და ფრიადსა მონიჭებელი ხილვად მას ზედა ქმნილთა, წარავლინა მოხუცებულ-თა კრებული. ხოლო შეიტკობ მან ელეაზაროს და იისუ და მერმეცა, ზრახვასა მათად მიმართ, ღრუბლისა მყუესულად ზენა კერძო მისსა დადგრომილობასა უჩინო-იქმნა რომლისა კვენარისა მიმართ. ხოლო დაწერა თავი თვისი სამღდე-ლოთა წიგნთა შინა მკუდრად, შეშინებულმან, ნუსადა, გარდამატებულ-ებისათვის სათნოებისა მისისა, ღმრთისა მიმართ განშორებამ მისი ივადრონ თქუმად.

49)* ხოლო ცხონდა ყოველსა ჟამსა წელთა ოცთა და ასთა, რომელთა მთავრობდა თესა ერთისა მოკლებითა მესამისა ნაწილისაგან. ხოლო აღსრულდა უკუანაჲსკენლსა თუესა წელიწდისასა, მკედრონელთა მიერ ვიდრემე დვსტროდ წოდებულსა, ხოლო ჩუენ მიერ აღაროდ, თეს თავსა, გულისცმისყოფითა ოდეს-ვე მყოფთა კაცთა გარდამატებული და მკუშეველი რჩეულად მოგონებულთაჲ, თქუმად უკუე და ზრახვიდ სიმრავლისა მიმართ მადლიერი. და სხუათა თანა ვნებათაცა თვთმპყრობელი, ვიდრედა არცა ერთისა ამათგანისა ყოფიამ საგონე-ბელ იყო სულისა მისისა და უწყყოდა¹ მხოლოდ სახელისდებამ მათი სხუათა შორის ხილვითა მათითა უფრომსლა, ვიდრე მის შორის. და მკედართმყვანებ-ლი ვიდრემე მცირედთა შინა, ხოლო წინაწარმეტყუელი — არლარა სხუამ, ვიდრედა უკუეთუ თქეს რაფეე, საგონებელ იყვის სასმენელ-ყოფამ ღმრთისა, მეტყუელებდის რაჲ იგი. იგლოვა ვიდრემე უკუე იგი ერმან ოცდაათთა ღდე-თა, ხოლო მწუხარებამან სხუამან ესეოდენმან არლარა იპყრნა ევრეაენი სიდი-დითა, ვითარმან მოვსის სიტყუილითა. და საყუარელ იყო იგი არა განმცდელთა მისთაგან მხოლოდ, არამედ და სკულთაცა მისთა მიმთხუეულნი ფრიადსა

72 კყოფდეს ძლებასა, სიდიდესა სათნოებისა მისისასა ამათგან გულისმსი/ტყუეულ-ნი და მოვსის ვიდრემე აღსასრული ამით სახითა საცნაურ-იქმნენინ ჩუენ მიერ. ფლავიოვს იოსიპოვსი ოუდაებრივისა სიტყუათმთავრობისა, სიტყუაჲ მეოთხე.

¹ უწოდა AQ.
• 2. სვ. 34,7.

ესანი არიან მესუთესა შინა იოსიკოგს მოთხრობათასა
იუდაბრივისა სიტყუათმთავრობისათჳს

1. ვითარმედ იისუ, მკედართმყვანებელმან ევრაელთაჲს, მბრძოლმან ხანანელთა მიმართ და მპყრობელმან მათჲს, იგინი ვიდრემე განხრწნა, ხოლო ქუეყანისა მათისა დამამკვდრებელმან, განუყო ნათესავთა.

2. კუალად მოკუდა რად მკედართმყვანებელი, ისრაილიტინი, გარდასრულნი მამულნი სჯულთანი, დიდთა მიერ განიცადნეს განსაცდელთა და ჯდომად რად იქმნა, ვენიამინის ნათესავი განიხრწნა, გარეშე ექუსასთა მამაკაცთაჲსა.

3. ვითარ შემდგომად ამის ბოროტმოქმედებისა, უსჯულოებისა მოქმედნი, დაამონნა ღმერთმან იგინი ასკრიელთა.

4. კენეზოას¹ მიერ, ნათილოას ყრმისა, თავისუფლებად ქმნილი მათდა, რომელმან იმთავრა წელთა ორმეოცთა და ეწოდა ელლინთა მიერ და ფენიკთა მსაჯულად.

5. ვითარმედ კუალად ერმან ჩუენმან ჰმონა მოავიტელთა რევთა და ათთა წელთა და იუღუმს ვისმე მიერ მონებისაგან განთავისუფლდა, მთავრობასა მპყრობელისა წელთა ოთხმეოცთა.

6. ვითარმედ ხანანელთა, დამონებულნი იგინი წელთა ოცთა, განთავისუფლდეს იგინი ვარაკოას მიერ და დევორაჲს, რომელნი ჰმთავრობდეს მათ წელთა ორმეოცთა.

7. კუალად ამალიკიტთა, მბრძოლთა ისრაილიტთა მიმართ, სძლეს და სოფელი მათი მოაოკრეს შუდთა წელთა.

8. კუალად გედეონ განათავისუფლნა იგინი ამალიკიტთაგან და ჰმთავრა სიმრაველესა წელთა ორმეოცთა.

9. კუალად შემდგომად მისსა მრავალნი, მონაცვალებქმნილნი, მრავალთა გარემოასთა ნათესავთა ჰბრძოდეს კმასაყოფელსა ჟამსა.

10. სამფსონის სიმკნესათჳს და რაოდენთა ბოროტთა მიზეზ-ექმნა პალესტინელთა.

11. ვითარმედ ძენი ილი² მღდელისანი მოკლნეს პალესტინელთა მიმართსა ბრძოლასა შინა.

12. არამედ მამად მათი, მსმენელი განსაცდელისაჲ, შთამტკევებელი თავისა თვისსაჲ საყდრისაგან, მოკუდა.

13. არამედ ამას ბრძოლასა შინა პალესტინელთა, მძლეველთა ევრაელთაჲსა, და კიდობანიცა მათი ნატყუნეწავად მიიღეს.

14. არამედ შემდგომად კენეზოასა მთავრებულნი, ყოველნი მსაჯულად იწოდნეს.

მოაქუს წიგნსა ამას ჟამი წელთა ოთხას სამეოცდაათექუსმეტთაჲ.

ფლავიოას იოსიპოასი იუდაებრივისა სიტყუათმთავრობისა, სიტყუაჲ მესუთე.

¹ ენეზოის AQ, Κενζου V, გვ. 798. ² ილი AQ, 'Hλι V, გვ. 800.

1*. ხოლო მოკი პირველთქუმულითა სახითა რაჲ კაცთაგან გარე-იქმნა, იისუ, ვინამთგან ყოველთა მის ზედა განწესებულთა აწვე დასასრული აქუნდა და გლოვა¹ დასცხრა, ამცნო სიმრავლესა მზა-ყოფაჲ მკედრობისა მიმართ. თანად წარავლინა განმზილველნი იერისებრთ, რაჲთა ცნას ძალი მათი და რომელსა გონებასა მქონებელ არიან იგინი. ზოლო თვთ განიხილვიდა მკედრებასა, ვითარ ეამიერად განსლვად მგულეებელი იორდანისაჲ. და აღმომწოდებელი უკუე რუვილოჲს ნათესვისამთავართაჲ და ლატილოჲს და მანასისი წინმდგომთაჲ, რამეთუ სინახევრით ბრძანებულ იყო და ამის ნათესვისაცა დამკვდრებაჲ ამორეაჲსაჲ², შეაჯსენებდა, რომელნი აღუთქუნა მოკისის და ევედრებოდა მიმადლებად მისისა წინმოურნეობისა, არცა რაჲამს მოკედრობაჲ მათთვის უდებქმნილისა და მინიჭებად თათა თქსთა მცნებულთა მიმართ გულს-მოდგინედ უმჭობებისათვის ზოგადისა. ზოლო შეუდგეს რაჲ იგინი, აღქურვილთა თანა ხუთგზის ბევრთა წარვიდა ავილით იორდანედ მიმართ, სტადიონთა/სამეოცთა.

21*. და განეწყობოდა რაჲ, მეყუსეულად განმზილველნი მოვიდეს, არა უმეცარნი ხანანელთა მიერთანი ხოლო დაფარულთა, არამედ ყოველი ქალაქი მათი მოცალებით განიხილეს და ზღუდეთაგან — რაოდენნი ძლიერ და რაოდენნი არა მტკიცედ ამით სახითა მქონებელ არიან მათდა და ბჭეთაგან — რომელნი შესლვისა მიმართ თან-შეეწოდეს მკედრობასა უძლურებისათვის. ზოლო უგულეებელს-ყოფდეს დამთხუეულნი ხილულთა, მოთხრობისაებრ ჭე-როვნისა უცხოთა გამოწულილვით თითოეულსა ქალაქის შინათასა გამოძიებად მექუელნი, არამედ არა გულისსიტყვთა მბრძოლთაჲთა. ხოლო ვითარ მწუხარი იქმნა, წარვიდეს საყოფელსა რომელსამე, მახლობელად ზღუდისა, რომლისა მიმართ და პირველადცა მივიდეს მსერებელნი. და მიერთიგან ზრუნეაჲ იყო მათდა მიერ გამოსლვისათვის, ხოლო მიემცნო მეფესა, სერობად მყოფსა, ვითარმედ განმმსტურობელნი ვინმე ქალაქისანი ევრავლთა მკედრობისაგან მოსრულ არიან და, მყოფნი რახავის საყოფელსა შინა, მრავლისა მოურნეობისა თანა დაფარვად მეცადინ არიან. ზოლო მან, მეყუსეულად წარმავლენელმან მათ ზედა შემპყრობელთაჲმან, ბრძანა მიყვანებაჲ, რაჲთა, მტანჯველმან, ისწავოს, რაჲსა მწებებელნი მოსრულ არიან. ზოლო ვითარ ცნა მოსლვაჲ მათი რახავი, რამეთუ სელისა ნაკრავთა ზღუდისა ზედა აქმობდა, მსტუარნი ვიდრემე მათ შინა დამალნა, ხოლო მეფისა მიერ მივლინებულთა ეტყოდა, ვითარმედ უცხო-ნი ვინმე იყვნეს უმეცარნი და, პირველ მცირედისა ვიდრე მზისა დასლვადმედ, მის თანა მსერებელნი, წარვიდეს. რომელნი უკუეთუ საშინელ ქალაქისა საგონებელ არიან, გინა თუ მოვიდეს ძვრსა მომღებელნი მეფისა, უჭირველად იპყრნენ იგინი, დევნულნი. ზოლო იგინი, დედაკაცისა ესრეთ დამთხუეულისა მათდა² არცა ერთსა ზედა ეუალსა ანუ ზაკუეასა³ მექუელნი, წარვიდეს, არცა-ლა თუ საყოფელისა მისისა აღმზილველნი. ზოლო ვინამთგან მიიმართეს დევ-ნად, რომელთა გზათა მიმართ ჰგონებდეს უფროჲსლა წარსლვასა მათსა და, მდინარისა მიმართ მიმყვანებელთა, არცა ერთისა საცნაურებისა მიმთხუეულნი, დასცხრეს შრომისაგან. ზოლო დასწყნარდა რაჲ შფოთი, რახავი, შთამომეყ-ნებელმან შამაკათამან, და ტანჯვასა, რომელი ცხორებისა მათისათვის მოითმი-

¹ იგლოჲ AQ. ² ამორეაჲსა AQ. ³ ეუესა AQ, მდღოვ S₁₀ (=ეშმაკობა, ცბიერება).

* ისო ნავესი 1,10; 2,1; 1,12—13. *¹ ისო ნავესი 2,1. *² ძანქმითყვ S₁₀ (=ეშმაკობით ნდობის მოპოვებელი).

ნოს, მეტყუელმან, რამეთუ, პერობილი დამფარველი მათი, არა განეცდოს მეფისა მიერსა რისხვასა, არამედ ყოველი სახლით მისით წარწყმდეს იგი ბოროტად, მვედრებელმან კსენებასა ქონებად, რაჟამს დადგენ მპყრობელად ხანანელთა ქუეყანისა, ოდეს შემძლებელ იყვნენ, ნაცვალაგონ მას აწისა ცხოვრებისათჳს. და წარსლავა უბრძანა, თჳსთა მიმართ მათუცებელმან ნანდკლ ცხოვრებად მისა და ყოველთა მის თანა, რაჟამს ქალაქისა მიმღებელთა განხრწნენ ყოველნი მის შინანი ბჭობისაებრ მათ მიერ ქმნილისა, რამეთუ ამათ სწავლული სასწაულთა მიერ ღმრთისათა მეცნიერ იყო. ხოლო იგინი და მამონი ქმნილთათჳსცა მადლისა ქონებასა აუარებდეს მას და კუალად გულეებადთათჳს ფუცივდეს საქმით მიუქმად ნაცვლისგებასა. ხოლო რაჟამს აგრძანას გულეებადი პერობაჲ ქალაქისაჲ, ღანაზრახებდეს მონაგებსა მისსა და თჳსთა ყოველთა საყოფელად მისა შეყვანებაჲ და დაკრძალვაჲ და წინაშე კართა აღმართებაჲ ფენიკთაჲ*, რამთა მკედართმეყვანებელმან, მეცნიერმან სახლისამან, დაიცვას ბოროტ-ყოფისაგან: „რამეთუ მოუთხართ მას, ეტყოდეს, შენისა გულსმოდგინებისა მიერ ცხოვრებაჲ. ხოლო უკუეთუ ვინმე შენთაგანი დაეცეს ბრძოლასა შინა, შენ ვიდრემე არა მოილო ჩუენ ზედა მიზეზი და ღმერთსა, რომელი ვფუცეთ, და ვევედრებით არა განრისხებად, ვითარ გარდამავლთა ფიცისათაჲ“. და იგინი ვიდრემე, ამათნი მამცნებელნი, წარვიდეს, ზღუდით შთამტევებელნი თავთა თჳსთანი. და მიწვეულთა თჳსთა მიმართ, აუწყეს, რაოდენთა მოქმედნი ქალაქსა შინა მოვიდეს. ხოლო იისუ მღღელთმთავარსა ელვაზაროს და მოხუცებულთა მიუთხრა მსტურათა მიერ ფუცებულნი რახავის მიმართ. ხოლო მათ დაამტყიცეს ფიცი.

31*. ხოლო შეშინებულ იყო რამ მკედრობაჲ მანწილებლისათჳს, რამეთუ დიდი იყო მდინარე სიღრმითა და არცა კიდთა მიერ სავალ, რამეთუ არღა შეუღლვილ იყო უწინარეს, იხოლო მნებებელნი კიდსა მოქმედებად, მექუელ იყვნეს არა ქონებად მოცალეებასა მბრძოლთა მიერ. და არცაღა ნავნი იყვნეს მათდა. გარნა ღმერთი აღუთქუმიდა მათ განსავალ-ყოფად მდინარესა, შემამცირებელი სიღიდისა მისისაჲ. და ორსა დღესა მპყრობელმან გზისაგან, იისუ განიყვანა სიმრავლე და მკედრები ყოველივე ესევეთართთა სახით: წინაწარვიდეს ვიდრემე მღღელნი, კიდობანსა მქონებელნი; და შემდგომად მათსა — ლევიტელნი, კარავსა და ქურქელთა მსახურებისა მიმართ მსხუერპლთა მომღებელნი; ხოლო შემდგომილ იყო ლევიტელთათჳს ნათესავად-ნათესავად ყოველი სიმრავლე, საშუვალ მქონებელი ყრმათა და დედაკაცთაჲ, შეშინებული მათ ძლით, ნუსადა იძლიენენ მდინარეობისა მიერ. ხოლო ვინაფთგან მღღელთა, პირველად შესრულთა, საგონებელ იყო სავალად მდინარე, სიღრმისაგან პერობილი და მფოფინარეობისა^{2*}, არა ფრიად მახელ-ყოფისათჳს წარმდინარისა, ვიდრეღა ნაცვლად იატაკისა მდებარე ფოთმენდა იძულებასაჲ, ყოველნი კანდიერებით განიწილებდეს მდინარესა, ესევეთარისა მხედველნი, ვითარი ყოფაჲ წინაწარვე თქუა ღმერთმან. ხოლო დადგეს საშუვალ მღღელნი, ვიდრემდის არა განვიდეს სიმრავლე და შეემთხვოს უშმოებებასა მიხლოებულთა. ხოლო ყოველთა რამ განვლეს, გამოვიდეს მღღელნი, თავისუფლად დამტევებელნი მდინარისანი, მიერითგან სლვად თჳსისა ჩუეულებისაებრ. და მდინარე ვიდრე-

* ძანა: ελυσαν φεικλιδας 5,3 (=წითელი ბაირაღების აღმართვა). 1* ისო ნაეესი 3,2; 3,17; 4,17. 2* τινθ θς χδλκθος 5,18 (=მსხილი ქვიშა, ხრეში. ძ ძδλκθ-ის ნაცულად თარგმნილთა ზნა ძდλκდჲ (=ღლევა, შფოთვა).

0 წინადაუეთისათჳს დაუტევა და სხუანი მრავალნი.

მე მეყუხეულად, განვიდეს რაჲ ევრაელნი, აღორძნდებოდა და თვისა მიიღებდა სიდიდესა.

4*. ხოლო მათ, ორმეოცდაათსა სტადიონსა წარსრულთა, დააყენეს მკედრები შორს იერიხუნტომასაგან ათითა სტადიონითა. ხოლო იისუ ვომონი ქვათაგან, რომელნი თითოეულმან ნათესავთმთავარმან აღიხუნა სიღრმისაგან, აღჰმართა, რამთა იყოს სასწაულ უკუე კუეთისათვის მდინარისა და მსხუერპლა მას ზედა ღმრთისათვის. და ფასკასა დღესასწაულობდა ადგილსა მას შინა, ყოველთათვის, რომელთა შეემთხუეოდა მათ უწინარეს მოკლებულეებაჲ, მაშინ დიდად ღონიერნი. ხოლო იფქლსა, აწლა მსთუადსა ხანანელთასა, მოჰმკიდეს და ნეშტსა ნატყუენავსა მიიღებდეს, რამეთუ მაშინ მოაკლდა მათ საზრდელი მანნა-მსაჲ, მკუშვევლთა ორმეოცთა წელთა შინა.

51*. ხოლო ვითარ ამთ იქმოდეს ისრაილიტინი, არა გამოვიდოდეს ხანანელნი, არამედ ზღუდეთა შინა დაწყნარებულ იყვნეს, ხოლო იისუ ოკრებაჲ რაჲ აგრძნო ქალაქისა მათისაჲ. და პირველსა დღესა დღესასწაულისასა კიდობანსა მიმღებელ იყვნეს მღდელნი, ხოლო გარემოჲს მისსა კერძოჲ რომელიმე აღჭურვილთაჲ მკველ იყო, რომელნიცა და წინა-წარვიდეს მათსა, შვდთა რქათა მიერ მნესტუევილნი. და მიუწოდდეს მკედრობასა სიძნისა მიმართ და გარე-შემოჰვიდდეს ზღუდესა მოხუცებულთაჲ უკუანა შედგომილობასა. და ნესტუევიდეს მხოლოდ მღდელნი, რამეთუ გარეშე ამათსა არცა ერთსა რას მოქმედ იყვნეს. და ვიდოდეს მკედრობისა მიმართ, ექუსთა დღეთა შინა მოქმედნი ამისნი. ხოლო მეშვდესა, აღჭურვილსა და ერსა ყოველსა შემკრებელმან, პყრობაჲ ქალაქისაჲ ახარა მათ, ვითარმედ მას/დღესა შინა მიანიჭოს მათ ესე ღმერთმან მეყუხეულად და გარეშე შრომისა მათისა დაემკუენენ ზღუდენი. მოკუდრებდა ვიდრემე ყოვლისა, რომელი იპყრან, უბრძანებდა, და რამთა არცა დამაშურალნი განეყენებოდან კლვასა მბრძოლთასა და არცა წყალობისათვის შემნდობელნი უტევებდენ, არცა ტაცებისა მიმართ ქმნილნი უგულუბელს-ჰყოფდენ მტერთა ღტოლივითა, არამედ ცხოველნი ვიდრემე ყოველნი განხრწნენ, ნუშცა მიიყვანებენ თვსად სარგებელად. ხოლო რაოდენი ვეცხლი იყოს და ოქროჲ, ამათი უბრძანა შეკრებაჲ მსხუერპლად ჩიხუელად, წარმართებათათვის დაცვად ღმრთისა, პირველპყრობილისა ქალაქისაგან მიმღებელთა. ხოლო აცხოვონ მხოლოჲ რახავი და ნათესავი მისი ფიცთათვის, რომელნი იქმნეს მისა მიმართ მსტუართა მიერ.

62*. ამათი მეტყუელი და განმაწყესებელი მკედრობისაჲ მივიდა ქალაქისა ზედა. ხოლო გარემოჲს ვიდოდეს კუალად ქალაქისა, წინაწარძღუანეთა კიდობანისაჲთა და მღდელნი რქათა მიერ აღსძრვიდეს ძალსა საქმისა მიმართ. და გარე-შემოვლეს რაჲ შვდგზის და მცირედ დასწყნარდეს, დაეცა ზღუდე, არცა მანქანებისა, არცა სხვისა რაჲსეუ იძულებისა მოღებითა მის ზედა ევრაელთაგან.

73*. ხოლო მათ, შესრულთა იერიხუნტოდ, ყოველნი მოაკუდინენეს მას შინანი, დიდებულისა მიერ ზღუდისა დამკობისა განცუბრებულნი გონიერებისა მათისა ქმნილებასა შესასწვენელად უკმარებისა მიმართ მათისა. მოისრვოდეს უკუე გზათა ზედა მოკუდინებულნი და სახლთა შინა პყრობილნი, ხოლო არა იქსნიდა მათ, არამედ ყოველნი წარწყმდეს ვიდრე დედაცაჲთა და ყრმათაჲმდე.

1 მოაკუდინენეს.

* ისო ნავესი 4,1; 5,10. 1* ისო ნავესი 6,1. 2* ისო ნავესი 6,15. 3* ისო ნავესი 6,21.

და მკუდართა მიერ აღსაესე იყო ქალაქი და არაბად განეულტო. ხოლო ქალაქი ყოველი დაწესეს და ადგილი. და რახავი, თვსთა თანა საყოფელთად შეველ-ტოლეილი, აცხოვნეს მსტუართა. და, მისა მიმართ მიყვანებულსა, იისუ მადლ-სა აღუეარებდა და ცხოვნებისათვის მსტუართაჲსა და ეტყოდა არა უმცირეს ჩენასა კეთილმოქმედებისა მისისა ნაცვლისგებათა შინა. ხოლო მიანიჭა მას მეყუსეულად აგარაკნი და ჰყვა იგი ყოვლისა პატივისა თანა.

8*. ხოლო ქალაქისაჲ, რომელი დაუშთა ცეცხლსა, აღმოფხურა. და დამკ-ვრებადთა მიმართ, უკუეთუ ვინმე დამკობილისა აღდგინებაჲ იწებოს, წყევ-ნი დასხნა, რადთა საფუძველთა ვიდრემე დამღებელი ზღუდეთასა დააკლდეს პირველისა ყრმისაგან, ხოლო სრულყოფელი — უქაბუქესსა ყრმათასა გან-ყენოს. და წყევისაჲ ვიდრემე არა უგულუბელს-ყო ღმერთჲნ, არამედ უკუანა-სკენელთა შინა ვთქუათ მის მიერ ქმნილი ვნებაჲ.

9. ხოლო აურაცხელი სიმრავლე მოოკრებისაგან შეიკრიბა ვეცხლისა და ოქრომსაჲ და ამას თანა რვალისაჲ. და არავინ გარდაჰყდა განწესებულთა, არცა სარგებელად თვსად მიიტაცნა იგინი, არამედ, მიმღებელნი, შესწირვიდეს ღმრთისა და ესენი ვიდრემე იისუ მისცნა მღდელთა დადებად საუნჯეთა შინა. და იერიხოჲ ამით გუარითა წარწყმდა.

101*. ხოლო ახაროს ვინმე, ზევედიოჲს ყრმაჲნ, ნათესვისაგან იუდაჲსა მყოფჲმან, მხოვნელმან ხლამუდასა სამეუფოსა^{2*}, ოქრომსაგან ვიდრემე ყოველ-სა ქსოვილსა, ხოლო მახასა^{3*} ოქრომსაჲსა საწონსა მომღებელსა სიკლთთა ორასთასა, და ბოროტად შემრაცხელმან, უკუეთუ ძკახილულმან პოვა შესაძი-ნელი და ამას თვისისა სავმარებისაგან მიმღებელმან მისცეს ღმერთსა და არა ბოკენესა, მთხრებლსა ღრმასა მოქმედმან კარავსა შინა თვსა, დაჰვლა მას შინა, ვითარ თანმკედართაგან, ეგრეთვე ღმრთისაგან დაფარედ მგონებულმან.

114*. ხოლო იწოდებოდა ადგილი, რომელსა შინა მკედრობაჲ შეიკრიბა იისუს, ლალად, ხოლო მოასწავებს ესე „თავისუფლსა“ სახელსა, / რამეთუ, ⁷⁴ განსრულთა მდინარესა, თავისუფლად მიერთგან თავნი თვისნი ეგვპტელთაგან და უდაბნოსა შინასა ძკრისხილვისაგან უწყოდნეს.

125*. ხოლო შემდგომად მცირედთა დღეთა იერიხოჲს განსაცდელისა, წარავლინნა იისუ სამ ათასნი აღჰურვილნი ღიდი, ქალაქად ზენა კერძო იერი-ხოჲს მღებარისად, დაჰყრობად მისა. რომელნიცა ეუწყენეს^{6*} რად მათ, ღაი-ტელნი, უკუნქცეულნი, დაუტყვებდიან^{7*} მამაკაცთა ექუს და ოცდაათთა. რომელი ესე მიეთხრა რად ისრაილიტთა, მწუხარებაჲ დიდი და სულმოკლებაჲ ფრიადი იყო, არა თვსაგან წარწყმედისათვის და ამას თანა მამაკაცთა კეთილთა და მოსწრაფებისა^{8*} ღირსთაგან ხრწნილობასა, არამედ უმცირებით, რამეთუ მრწმუნებელნი დაჰყრობად ქუეყანასა და უნაკლულად ქონებასა ბრძოლათა შინა მკედრობისაჲ, ესრეთ ღმრთისა მიერ აღთქმულობისათვის, საკვრვე-ლებით განმკნობილთა ზედვიდეს მბრძოლთა. და ძაძათა შთამცემელნი სამო-სელთა ზედა, დღე ყოველ ცრემლთა შინა იყენეს და გლოვასა საზრდელისა

² დაუტყვებიან A, დაუტყვებიან Q. ³ მოსრაფებისა A. ⁴ მკედრობისა A.

* ისო ნავესი 6,26. ^{1*} ისო ნავესი 7,1. ^{2*} *Χλωμαία βασιλειου* 5₃₃ (=მხედართმოთარების, მუდუების და გმირების მოსახსნაჲ). ^{3*} *მძღა* 5₃₃ (=მასა). ^{4*} ისო ნავესი 5,9. ^{5*} ისო ნავესი 7,2. ^{6*} *ol* *συναβλῆται* 5₃₃ (=შებნობილნი. ნაცვლად *συναβλῆται* თარგმნილია *συναβλῆται* (=მზ-ლაარაკება, უწყება).

არცა ერთისა ძლებასა მყოფელნი, ხოლო აქუნდა მათ შემთხვეული უმეტესად შეძრწუნებულთა.

13*. ხოლო იისუ, მხედველმან მკედრებისა ესრეთ განცკბრებულისამან და ყოველთათჳს აწვე ბოროტსა სასოებასა მიძღებელისამან, კადნიერებაჲ მიიღო ღმრთისა მიმართ: „რამეთუ ჩუენ, თქუა, არა თავკედლობით ვიძიულენით. ვინამცა მივიღეთ ქუეყანაჲ ესე საჭურველთა მიერ, არამედ მოსი, მსახურმან შენმან, ამის მიმართ აღგუძრან ჩუენ, რომელსა შირავალთა ნიჭთა მიერ აღუთქვ მოგებაჲ, მონიჭებაჲ ჩუენდა ქუეყანასა ამას და მკედრობასა!“ ჩუენსა მარადის უმჯობეს-ყოფაჲ მბრძოლთა საჭურველისა. და რომელნი ვიდრემე აღუთქმათა შენთაებრ შეგუემთხვევნეს² ჩუენ. და აწ, საკვრველებით მცოდველნი* და დაკლებულნი ძალისა რომლისაგანმე, თანად ამით ზედა, ვითარ არა მტკიცეთა შენ მიერ და რომელნი წინაწარ-თქუნა მოვსი, შეძრწუნებულ ვართ და უმძვნვარესად შეგუაწუხებეს ჩუენ გულგებადთა სასოებაჲ, პირველსა კელყოფასა ესევეითარსა მიმთხუეულთა. არამედ შენ, მეუფეო, რამეთუ ძალ არს შენდა ჰოვნაჲ ამათსა კურნებასა აწ მოწევეულისა ჩუენდა მწუხარებისა მიმართ, ძლევისა მომნიჭებელმან და გულგებადთათჳს ესრეთ ძნელსასოებით მღებარეობაჲ გონებისა ჩუენგან განაშორე⁴.

142*. ამათ ვიდრემე იისუ, პირსა ზედა დავრდომილი, ევედრებოდა ღმერთსა. ხოლო ღმერთმან პრქუა მას აღდგომაჲ და განწმედაჲ მკედრობისაჲ შეგინებისაგან, მას შინა ქმნილისა, და ნაპარევისაგან კადრებულისა მისდა შეწირულთა საკმართაჲსა, რამეთუ ამის ძლით შემთხვა მათ აწვე ძლევაჲ. და იძიონ რაჲ მოქმედი და იტანჯოს, ძლევაჲ იყოს მათდა მარადის მბრძოლთა მიმართ. და თქუნა ესენი იისუ ერისა მიმართ და მწოდებელი ელვაზაროს მღღელთმთავრისაჲ და მთავართაჲ ნათესავთაგან, წილ-იგდებდა. ხოლო ამას ნაკადრებსა მოასწავებდა რაჲ წილი იუდაჲს ნათესვისაგან, ნათესვიითი-ნათესავად კუალად წინა-დადვა მისა წილი. ხოლო ჳემმარიტებაჲ ბოროტად მოქმედებისაჲ ახაროჲს ნათესვისაგან იპოვებოდა. და მამაკაციითი-მამაკაცად რაჲ გამოძიებაჲ იქმნა, მიიყვანეს ახაროს. ხოლო მან, არა შემძლებელმან დაფარვად, ღმრთისა ბოროტად გარემოჲს მომცველისა მისისა, აღიარა პარვაჲ და ნაპარეგთა მიიღებდა შორის საშუვალ. და იგი ვიდრემე, მეყუსეულად მომკუდარი, საფლავსა უპატოსა და შესამსგავსსა დასჯილისასა მიემთხვა ღამით.

153*. ხოლო იისუ, განმწმედელმან მკედრებისამან, წარიყვანა იგი ღაის ზედა და ღამით შირთა მიერ მომდარნებელმან ქალაქის გარემოჲსთამან, ვან/თიად ეწყო მბრძოლთა. ხოლო ივინი რაჲ სიმკნით მოვიდეს მათ ზედა პირველისა ძლევისა ძლით, ეთნო მას რეცა თუ ლტოლვაჲ. და ამით გუართა მიიზინდა ივინი შორს ქალაქისაგან, დევნად მექუელნი და ვითარ ძლევისათჳს შეურაცხისყოფელნი. ამისა შემდგომად უკუნმაქეველმან ძალისამან, პირის-პირ მათსა ყო იგი და სასწაულთა მიმცემელმან, რომელნი სადარნოთა შინა მსხრომარეთათჳს განწეესნეს, ივინიცა ბრძოლისა მიმართ აღადგინნა. ხოლო ივინი შევლდნეს ქალაქად შინაგანთასა ზედა მყოფობასა, ხოლო რომელთასამე შემსკუალვასა გონებისასა ხედვისა მიმართ გარეგან მყოფთაჲსა.

1 მკედრობასა A. 2 შეგუემთხვენეს.

* ისო ნავესი 7,7. 1* ზინაძის 540 (=1) დამარცხებულნი; 2) შეკლომის დამშეუბნი, მცოდველნი. ამ კონტექსტში საპირთა პირველი მნიშვნელობა). 2* ისო ნავესი 7,6; 7,10. 3* ისო ნავესი 8,3.

და იგინი ვიდრემე აოკრებდეს ქალაქსა და ყოველთა დამთხუეულთა მოსრკვიდეს. ხოლო იისუ, მძლეველმან კელად მისრულთამან, ლტოლვად მიდრიენა. და იგინი უკუე, მილტოლვილნი ვითარ უენებელისა ქალაქისა მიმართ, ვინა-მთვან ღა ამასცა ხედვიდეს ქონებულად და პოვეს დამწუარი, ერთბამად ცოლთა თანა და შეილთა აგარაკთა მიმართ განიბნინეს, შეწვენად თავთა თვსთა არა შემძლებელნი განმარტოებისაგან. ხოლო ესევითარმან რაა განსაცდელმან ლაინიტელნი მოიკენა, ყრმთა სიმრავლე იპყრა და დედააკაცთა და განსასუენებელი-სა და სხვსა შემზადებულებისაჲ აურაცხელი შეკრებულემაჲ. და სამწყსოსა ცხოვართასა მიიყვანებდეს ევრავლნი და სავმართა ფრიალთა, და რამეთუ მდიდარ იყო ადვილი. და ესე ყოველნი მკედართა განუყუნა იისუ, ლალალას მიწვენულმან.

16*. ხოლო ღაეაონიტელნი, მკვდრნი მახლობელად იერუსალიმისა, მხილველნი ენებათანი, რომელნი შეემთხვნეს იერიხუნტელთა და ლინიტელთა და მათლაცა მიწვენად ბოროტისა მის ვულისმსიტყუველნი, იისუჲს ვიდრემე ვედრებად არა მნებებელ იქმნეს, რამეთუ არცა მექუელობდეს მიმთხუევასა უმჯობესთსა წარწყმედასა ზელა ყოვლისა ხანანელთა ნათესვისასა, რომელი მბრძოლ იყო მათდა. ხოლო ქეფირიტთა და ვირთიტთა და იარიმიტთა¹⁰, მახლობელად მათდა მყოფთა, მოუწოდეს თანამბრძოლად, მეტყუელნი არცა მათსა განვლტოლვასა ბოროტისაგან, უკუეთუ ეწინენ იგინი პყრობად ისრაილიტთა მიერ, ხოლო მარწმუნებელნი მათნი, ჰგონებდეს განვლტოლვასა ძალი-სა მათისაგან. ხოლო მათ, შეიწყნარნეს რაა სიტყუანი მათნი, წარავლინნეს მოხუცებულნი იისუჲს მიმართ სიყუარულსა მოქმედნი, რომელთაცა უფრო-მსლა უმჯობეს სხუათა მოქალაქეთასა ჰგონებდეს და შემძლებელთა მოქმედებ-ბად უმჯობესსა სიმრავლისათვს. ხოლო იგინი, აღსაარებად თავთა თვსთა ხანა-ნელად ბოროტად მექუელნი და ძკრისხილვისაგან ამის მიერ განვლტოლვად მგონებელნი, უკუეთუ იტყოდიან თავთა თვსთა არაამთ ზიარებად ხანანელ-თა მიმართ, არამედ შორს ამათსა დამკვდრებად და მოსლვად სარწმუნოები-სათვს სათნოებისა მისისა მიმართ მრავალსა გზასა დამურომად იტყოდეს. და დასამტკიცებელად სიტყუსა ამის სახესა აჩუენებდეს, რამეთუ სამოსელთა ყამ-თა მიერ მოგზაურობისათა დაბეჭულობასა იტყოდეს, ახლად მყოფთასა, რა-ყამს გამოვიდეს. რამეთუ განკაფულნი მიეხუნეს სიმარჯვთ, რაათა მათ მიერ ირწმუნნენ ესენი. და მდგომარენი უკუე საშუვალ იტყოდეს, ვითარმედ წარ-ვლინებულ არიან ღაეაონიტელთა მიერ და გარემოჲს მკვდრთა ქალაქთა, მრავ-ლად განშორებულთა ქუეყანისა ამისგან, ვითარ მოქმედნი მათდა მიმართ სი-ყუარულისანი სკულთა მიერ, რომელნი არიან მამულნი მათდა, რამეთუ მსწავ-ლენი ღმრთისა მადლისა მიერ და ნიქისა მიცემასა მათად მოგვებად ხანანელ-თა ქუეყანასა სრულად, იტყოდეს, ვითარმედ მხიარულ არიან და მოქალაქედ მათდა ქმნასა წადიერ არიან. იგინი ვიდრემე, ამათნი მეტყუელნი და მჩუენე-ბელნი მოგზაურობისა/ სასწაულთანი, მიუწოდდეს ევრავლთა აღთქუმათა მი-მართ და სიყუარულსა. ხოლო იისუ, მრწმუნებელმან მათმან, რომელთა იტყო-დეს, ვითარმედ არა არიან ხანანელთა ნათესვისაგან, ქმნა მათდა მიმართ სიყუა-რული და ელეაზაროს მდღელთმთავარმან მოხუცებულთა თანა ფუცა ქონებამ მათი და მოყუარედ და თანამბრძოლად და არარას განზრახვად მათთვს უსამარ-თლოსა. და თანდამამტკიცებელ იქმნა ფიცთა სიმრავლე. ხოლო იგინი, მიმთხუ-

* ისო ნაექი 9,3. ¹⁰ ვირთიტთა და იარიმიტთა] *Καριαιμαριαιτας* 5₃₀. S: ვირთიტთა და კათარიმიტთა S.

ეულნი რომელთა ენება, შემაცოტუნებელნი, წარვიდეს თავად თვსად. ხოლო იისუ აღიშვედრა მთისა მიმართ ხანანელთაჲსა და მსწავლელი არა შორს იეროსოლკმთაჲსა¹ დაშკვდრებად ღაჯონიტელთა. და ნათესვისაგან ხანანელთაჲსა მყოფად, მოშროდებელი მთავართა მათთაჲ, აბრალებად მათ ცოტუნებისათჳს. ხოლო იგინი რამ სიტყუა-უებდეს არა ქონებად სხუასა მიზნესა ცხორებისა-სა, გარნა ამის მოძღონებელნი საქიროებითა მათდა მიმართ შივილტნეს, მოუწოდდა მღდელთმთავარსა ელეუზაროსს და მოხუცებულთა და ყოველ საეროდ განსაჯნეს იგინი, ყოფად არა გარდასლვისათჳს ფიცისა. და ჭანაინა ესრეთ ყოფაჲ მათი. და მათ ვიდრეჲმე ესევეთარი პოვეს დაცვაჲ სიმტკიცე მათ ზედა მოწევნულისა განსაცდელისათჳს.

17*. ხოლო მეფე იეროსოლკმთაჲ ბოროტად მქონებელ იყო გარდაცვა-ლებასა ღაჯონიტელთაჲსა იისუჲს მიმართ და მოუწოდა მეფეთა მახლობელთა ნათესვისა თანაშეწევნად მისა ბრძოლისა მიმართ მათისა. ხოლო ვითარ იხილ-ნეს ესენი მოსრულნი ღაჯონიტელთა მის თანა, ოთხნი უკუე იყვნეს, და დაბა-ნაყებულნი წყაროსა რომელსამე ზედა ქალაქისასა არა შორს, განმზადებულ-ნი ოკრებად ქალაქისა, მოუწოდდეს თანამბრძოლად იისუს, რამეთუ ამით შინა იყვნეს საქმენი ამათნი, ვითარ თვსთა მიერ წარწყმედისა მექუელოდეს, ხოლო აღშვედრებულთა მიერ წარწყმედისათჳს ხანანელთა ნათესვისა ცხოვ-ნებასა ქმნილისათჳს სიყუარულისა მგონებელნი. ხოლო იისუ, ყოველ მკვდრე-ბითურთ მოსწრაჲვე შეწევნისა მიმართ და დღესა და ღამესა მოგზაური, განთი-ად ზედა-დაესხა მბრძოლთა, არა მომლოდეთა, და ლტოლვილთა შეუდგა, მღევნელი შორის ადგილთა შთამართთა, ვითორა ეწოდების, სადა და შეწევნაჲ ღმრთისაჲ ისწავა, ნიშნომოქმედისაჲ, ქუხილთა და მეხისტეხათა შთამოტევე-ბითა და სეტყვსა შთამოსლვითა უმეტეს ჩუეულებისა. მერმეცა უკუე და დღესაცა აღორძინებაჲ უმეტესი შეემთხვა, რამეთუ არა ღამემან მოწევნულ-მან დააყენოს გულსმოდგინებაჲ ევრაელთაჲ. ვიდრეღა დაიპყრნაცა მეფენი იისუ, დამალულნი რომელსამე ქუაბსა შინა მაკიდაჲსასა და ტანჯნა ყოველნი. ხოლო ვითარმედ სივრცე მიეცა მაშინ დღესა და ჩუეულებისაგან უმეტეს იქმნა, მოსწავებულ არს წერილთა მიერ სამღდელოსა შინა მღებარეთაჲსა.

18)¹* ესრეთ უკუე დამზობასა მეფეთა თანათასა, რომელთა ღაჯონიტელ-თა ბრძოლად აღიშვედრეს, კუალად აღვიდა იისუ მთასა ზედა ხანანიაჲსასა და მრავალსა სრვასა მოქმედი მას შინა და ნატყუენავსა მიმღებელი, შივიდა ბანაკად ღაჯონიტელთა შინა. ხოლო ევრაელთა სათნოებისათჳს მრავლისა სიტ-ყვსა განსლვასა გარემოჲს მკვდრთა მიმართ, განცხებრებასა აქუნდეს მსმენელნი სიმრავლესა წარწყმედულთასა. და აღიშვედრებდეს მათ ზედა ლივანოსა მთი-სა მახლობელად მყოფნი მეფენი. და ადგილთა შინა ხანანელთაჲსანი, პალეს-ტინელთა მიმყვანებელნი, აღმკვდრდებოდეს ვიროთის ქალაქსა დალილევასა, რომელი იყო ზენა კერძო და არა შორს კედლისაგან, ხოლო დალილევონთაჲ არს და ესეცა ადგილი. ხოლო მკვდრებისა ყოვლისა აღპურვილთაგანნი ვიდ-რეჲმე იყვნეს ბევრნი ოცდაათნი და ცხენოსანნი და ეტლნი — ორგზის ბევრნი. ხოლო განაცხებრა სიმრავლემან მბრძოლთამან თვთ იისუ და ისრაილიტნი და სასაებისა მიმართ უმჯობესისა მოწიწებით აქუნდა გარდამატებულებისა-თჳს შიშისა. ხოლო ღმერთმან აყუედრა მათ შიშისათჳს და უკუეთუ უმეტეს მის მიერისა შეწევნისაგან მეძიებულ არიან და აღუთქუა ძღვევაჲ მტერთაჲ და

¹ იერუსულკმთაჲსა.

* ისო ნავესი 10,1. 1* ისო ნავესი 10,43; 11,1.

უბრძანა ცხენთა უკმა-ყოფად და ეტლთა დაწუვად. და სიმენით აღთქუმათა მიმართ ღმრთისათა ქმნილჲან, მიიზარათ მბრძოლთა ზედა. და მეხუთესა დღესა მათ ზედა მისრული, განეწყო და ძლიერი ბრძოლად იქმნა და სრუად უმჯობესი რწმუნებისაგან მსმენელთა მიერ. ხოლო მღვენელი მრავლად განვიდა და ყოველი მკვდრობად მტერთად, თვნიერ მციერდთაჲსა, განხარწნა იისუ. და შეფენი ყოველნი დაეცნეს. ვიდრელა კაცთა მოკლებასა სრვისა მიმართ, ცხენთა მათთა სრვიდა იისუ და ეტლთა დასწუვიდა. და სოფელსა უშიშოებით განჰკლიდა, არცა ერთისა მკადრეობასა განსლვად ბრძოლისა მიმართ, არამედ ქალაქთოკრებით ქალაქთა მიიღებდა და ყოველსა, რომელსა იპყრობდა, მოაყუდინებდა¹.

19*. ხოლო მეხუთე წელი აწვე წარკვდა. ხანანელთაგანი არღარა ვინ დაშთომილ იყო, გარეშე არათუ ვიეთნიმე სიმტიციისა მიერ ზღუდეთაჲსა განეცლტნეს. ხოლო იისუ², ღალღალად აღმკვდრებულმან მთით კერძო, აღჰმართა სამღდელოჲ კარავი წინაშე სილუნ ქალაქისა, რამეთუ მარჯუელ საგონებელ იყო ადგილი შეუნიერებისათვის, ვიდრემდის საქმეთა მიანიჭონ მას აღშენებაჲ ტაძრისაჲ. და წარსრულმან მიერ სიციმთა მიმართ ყოვლისა მკვდრობისამან, ნახევარი ვიდრემე კერძოჲ ღარიზნის მთასა ზედა დააყენა, ხოლო ნახევარი — ივილოსა ზედა, რომელსა ზედა და ვომონიცა არს, და ლევეტელნი და მღდელნი. და მსხუერპლველნი ვიდრემე და წყევათა მოქმედნი და ამათ ვომონთა ზედა და წერილთა დამტევებელნი, სილუნად წარვიდეს.

20^{1*}. ხოლო იისუ, აწვე და მკოვნებულმან და ქალაქთა ხანანელთას მხედველმან არა ადვილად პყრობადთა სიმტიციისა მიერ ადგილთაჲსა, რომელთა შინა იყვნეს, და ძლიერებისათვის ზღუდეთაჲსა, რომელნი ბუნებით ანგაპრებითა ქალაქთაჲთა გარე-მოადგნეს და ჰგონებდეს მბრძოლთა განყენებასა ქალაქთარებისაგან, უსასოობისა ძლით მიღებისა, და რამეთუ ხანანელნი, მსწავლელნი ისრაილიტთანი წარსაწყმედელად მათდა მოქმედთანი ეგვპტით გამოსლვასა, მტიციე-ყოფისათვის ქალაქთაჲსა ყოველსა მას ეჰმსა შინა მოსწრაფე იყვნეს, შეკრებაჲ ამცნო ერსა სილუნს ეკლესიად. და მოსწრაფებით რაჲ შემოკრბეს, აწვე ვიდრემე წარმართებულთათვის და ქმნილთა საქმეთა იტყოდა, ვითარმედ რჩეულნი არიან იგინი და ღირსნი მომნიჭებელისა მათისა³, მკადრეთა კელად მათდა მოსლვასა, აუწყებდა და მკვდრობისასა, რომელი ოდესმე ძალისა მათისა შეუტრაცისყოფელი ქმნა და ბრძოლად განეწყო, ყოვლისა განხარწნილობასა, ვიდრელა არცა ნათესავი მათი დაშთომილი ქმნა. ხოლო ქალაქთაგან ვინაჲთგან რომელნი ვიდრემე იპყრნეს, ხოლო სხუანი მოქენე იყვნეს ყოვლისა და ფრიადისა ქალაქთოკრებისა სიმტიციისათვის ზღუდეთაჲსა და მის ზედაჲსა მკვდრთა სასოებისა, ევედრებოდა/წილ იორდანისა^{7 6} მყოფთა მათ თანა წარსლვად და ჰირთა თანა მიღებად ნათესავად მყოფთა და ესრეთ განტევებად თვსთა მიმართ მადლობისა აღმსაარებელთა მიმართ, რომელთათვის თან-დაშურეს. და თითოეულისა ნათესვისაგან ერთსა წარვილინებად წამებულსა ზესთ-ქონებად სათნოებითა, რომელთაცა, ქუეყანისა განშზომელთა სარწმუნოდ და არარას ბოროტისმოქმედთა, გუაუწყონ ჩუენ უზაყუენულად სიდიდე მისი.

¹ მოაკვდინებდა. ² იისო.

* ისო ნაყესი 18,1; 8,30. ^{1*} ისო ნაყესი 13,1; 18,1; 22,1. ^{3*} მათისა|ჰადი რჳნ ძრეუჳნ των υμῶν οὗς κατακλιθεῖσθε ἐλεος, βασιλεὺς τε παρακοντα καὶ ἑνα 5,3 (=და ამ ზრწყინებალ კანონებისა, რომელთაც ისინი ემორჩილებიან. მან გაიხსენა ოცდათორთეტი მეფე).

21*. და იისუს ვიდრემე, ამათ სიტყუათა მოქმედსა, თანმორჩილად აქუნდა სიმრავლე. და მამაკაცნი, განზომელნი ადგილისა მათისანი, წარავლინნა, მიმცემლმან მათდა ვითმე ქუეყანისმზომელთა ღონიერთამან, რომელთაცა არა ეგულებოდა მიფარებაჲ ქეშმარიტებასა კელოვნებისათვის, მცნებათა მიმცემლმან დაფასებად საზომსა ვიდრემე კეთილბედნიერსა ქუეყანისასა თესგან უღარეს კეთილისასა, რამეთუ ბუნებაჲ ზანანელთა ქუეყანისაჲ ესევეთარი რამე არს, ვითარ იხილოს თუ ვინმე ველნი დიდნი და ნაყოფთა მობეზად შემძლებელნი და, თანშესჯილნი სხვსა ქუეყანისა, ყოვლად კეთილბედნიერად საგონებელნი. ხოლო იერიხუნტისა ადგილთა შესწორებულნი, იეროსოლჳმისათა, არარად საჩინონი: და თანად ყოვლითურთ მცირე-ყოფად შეემთხუეოდა ქუეყანასა მათსა და ამასცა ბორცუნაროვნსა უმრავლესსა, არამედ გარდამატებით გამოზრდისათვის ნაყოფთაჲსა და შეუნიერებისათვის არა უნაკლულევაგანს არს სხუათაგან. და ამისთვის დაფასებაჲ მათი უფროსლა ვიდრე განზომილთა ნაწილთაჲ ჭეროვნად ჰგონა, მრავალგზის ერთისა რტომასათვის ათასთა ნაკულქმნილობასა.

ხოლო მამაკაცნი წარვლინებულნი, ათნი უკუე იყვნეს, წარსრულნი და დამფასებელნი ქუეყანისანი, მეშუდესა თუესა მოვიდეს მისსა მიმართ სილუნ ქალაქად, სადა კარავი აღემაართა.

22. და იისუ, ელენაზაროს და მოხუცებულთა ნათესავთმთავართა თანა მიმყვანებელმან, განუყო ცხრათა ნათესავთა და ნახევართა მანასისთა, სიდიდისაებრ თითოეულისა ნათესავთაჲსა რიცხუსა მოქმედმან. ხოლო დაუმკვდრა რამ მან იუდაჲს ვიდრემე წილზდომილი, ყოველსა ზენა კერძო იღუმეასა იპყრობს, მიწვენული ვიდრე იეროსოლჳმათამდე, ხოლო სიფართით მიახლებული ვიდრე სოდომიტისა ტბისამდე. და ნაწილსა უკუე ამას შინა ქალაქნი იყვნეს ასკლონ და ღაზა. ხოლო სემეონის, რამეთუ მეორე იყო, იღუმეაჲ ზუდა, ეგვიტისა და არავიდასა საზღვრად მყოფი. ხოლო ვენიამიტთა იორდანით მდინარით ზუდა ვიდრე ზღუადმდე სივრცით, ხოლო სიფართით — განსაზღვრებული იეროსოლჳმათამდე და ვეთილოთა. ხოლო ფრიად მცირე იყო ნაწილი ესე სიკეთისათვის ქუეყანისა, რამეთუ იერიხომ და იეროსოლჳმათა ქალაქი მიიღეს. და ეფრემოსს უკუე ნათესავსა ზუდა ვიდრელა ზაროთადმდე იორდანით მდინარის განვრცელებული, ფართომ უკუე ესე ვიდრელა შთააწევს ვეთილოთათ, დიდად ველადმდე. ხოლო მანასის ნახევართა — იორდანით ვიდრე დოროთა ქალაქადმდე და სიფართე ვიდრემე ვითისანოთადმდე, რომელსა აწ ეწოდების სკოთაოლიდ. და ამათ შემდგომად ისახარისს — კარმილოჲ მთაჲ თანად და მდინარე სივრცისა დასასრულთა მოქმედი, ხოლო იტავკროჲ მთაჲ სიფართისაჲ. ხოლო ზავილონიტელთა ვიდრე — გენნისარისა ტბადმდე, მახლობელი კარმილოჲსა და ზღუსად წილ-ზუდა. და კარმილოჲთაგან ლელედ სახელდებული ესევეთარად ყოფისა ძლით, ასირიტთა მიიღეს ყოველი, სიღონად მიმხედველი. ხოლო არკი ქალაქი იყო მათი ნაწილსა შინა, რომელი და ატრიკოსცა¹. და აღმოსავალით უკუე მხედველნი ვიდრე დამასკოდ/ ქალაქადმდე და ზენა კერძო დალიეაჲსა, ნეფთალიტთა მიიხუნეს ვიდრე ლივანოჲსა მთადმდე და იორდანისა წყაროთა, რომელთა სლვაჲ მთისაგან აქუს, რომელი შთამოიწევის საზღვართი ბღუართი² კერძო ქალაქისა არკისა მახლობელად¹ მკვდრობასა. ხოლო დანიტელთა წილ-ზუდა რაოდენნი დასავლით მშისაჲთ მხედველ არიან,

¹ მს'ლლდ A.

² ისო ნავსი 18,8—9. ¹⁰ 'Bxδελους 5^{ss}. S: აკტიოსცა. ²⁰ τὰ βόρεια 5^{ss} (მარდლოეთი).

აზოტომა და დოროთა მიერ განსაზღვრულნი, ამნიაჲ ყოველი და ტიტანაჲ პაკკარონისაჲ* ვიდრე მთადმდე, რომლით მთავრობდა იუდაას ნათესავი.

23. და ექუსნი, რომელნი უწყნით მომღებელად სახელისდებათა ძეთა ხანანეოხსთასა, განყვნა ესრეთ იისუ და ქუეყანაჲ ცხრათა და ნახევარსა ნათესავსა მისცა განანაწილებად, რამეთუ ამჟორიტი და იგიცა ესრეთვე ერთისა ხანანეოხსს ყრმათაგან წოდებული, მოვსი, აწვე წინაწარ მიღებულმან, განუყო ორთა ნათესავთა და ნახევარსა მანასის ნათესვისასა, ხოლო ესე წინაწარვე საცნაურ მექმნეს. ხოლო სიდონაჲ და არუქეოჲ და ამათეოჲ და არაუეოჲ შეუმკობელ იყო.

24¹*. და იისუ უკუე აწვე სიბერისა მიერ დაყენებულ იქმნა მოქმედებად, რაოდენთა გულისკმაჲ-ყოფდის¹. და შემდგომად მისა მთავრობაჲ მიიღეს უღებად მოურნეთა ზოგადისა უმჯობესისათა. და ამცნო თითოეულსა ნათესავსა ხანანელთა ნათესვისაგან არაარს დატევებად წილზღოჰილსა ქუეყანასა შინა. რამეთუ სიმტკიცე მათი და დაცვაჲ მამულთა წესთაჲ ამას მხოლოსა შინა ივენებს: „და მოვსიცა წინაწარვე ესენი თქუნა და ამათ ირწმუნეთ. და ლეიტელთა რვაანი და ოცდაათნი ქალაქნი უკუნ-სცენით, რამეთუ აწვე წინაწარ-მიეხუნეს ამორეასა შინა ათინი². ამათგან უკუე სამნი ლტოლვილთა მიანივნა² დამკვდრებად მათ შინა, რამეთუ მრავალი ზრუნვაჲ იყო არცა ერთსა დატევებათ, რომელნი დაუტევნა, განაწესნა მოვსი: იუდაას ვიდრემე ნათესვისაგან—ქევრონი, ხოლო სიკომაჲ—ეფრემოჲსაგან და კელასანი—ნეფთალიტისაგან, ხოლო არს ადგილი ესე ზენა კერძო ღალილეაჲსა. განუყო უკუე და ნატყუენავისაჲცა, რაოდენნი იყვნეს ნეშტნი. ხოლო ფრიად იყო და დიდთა სიმდიდრეთა მომღებელ იყვნეს და ზოგად ყოველნი და თვსაგან ოქროსა და ვეცხლისა და შესამოსელთა და სხვსა შემზადებისა მიერ. ხოლო ოთხეფრტა სიმრავლე ქმნილ იყო მათდა, რაოდენისა არცა რიცხვსა ცნობაჲ იყო.

25²*. და შემდგომად უკუე ამათსა, შემკრებელმან შესაკრებელად სიმრავლისამან, დამკვდრებულთა ზენა კერძო იორდანისა ამორეასა შინა, ხოლო თან-ალმკვდრებულ იყვნეს მათდა ხეთგზის ბევრნი აღტურვილნი, ჰრქუნა ესენი: „ვინაჲთგან ღმერთმან და მამამან და მეფემან ევრავლთა ნათესვისამან მოცა ქუეყანაჲ ესე მოგებად და მოგებულსა აღმოქუმელ არს დაცვად ჩუენდა სამარადისოდ, ხოლო მცნებისაებრ მისისა თანშეწევნისა თქუენისა მიერ მოქენეთა თავნი თქუენნი გულსმოდგინედ მოსცენით ყოვლითურთ, სამართალ არს თქუენდა, არცა ერთისა ძერისა მოლოდებასა, განსუენებისა მიმთხუევაჲ კრძალულებისათჳს გულსმოდგინებისა თქუენისა. რაჲთა უკუეთუ და კულაღცა საკმარ-იქმნეს ესე ჩუენდა, უმტროდ გუაქუნდეს სასწრაფოთა მიმართ და არა აწ მოუძღურებულნი შემდგომთა შინა უღებ-იქმნეს. ბადლი უკუე გუაქუნდეს თქუენდა მიმართ ჰირათთჳს, რომელნი თანა მიიხუენით არა აწ მხოლოდ, არამედ და სამარადისოდმი ესრეთ კეთილად მყოფთა და ქსენებას მოყუარეთასა გონებასა შინა მპყრობელთა, რაოდენნი გუყვენეს ჩუენ თქუენ მიერ. და რამეთუ განსუენებაჲ მოგებულთა თქუენთა კეთილთაჲ ჩუენთჳს უვარ-ჰყავთ, თანდაშრომილთა, რომელთა მიმართ სახიერებოთა ღმრთისაჲთა / აწ ვეგენით, ესრეთ აღირჩიეთ მიღებაჲ მიერი. ხოლო იქმნა თქუენდა³ 77 მოგებულთა კეთილთა თანა ჩუენ თანათა შრომათაგან სიმდიდრე უშურველი და ნატყუენავსა ფრიადსა მიმღებელ ხართ, ოქროსა და ვეცხლსა,

¹ ჰყ'ფდისა AQ. ² მიანიქნა]+და.

³ Γ'τταν δε' Ακκαρωος 5⁷⁷. ^{1*} ისო ნავესი 23,1; 21,1; 20,1; 22,8. ^{2*} ისო ნავესი 22,1.

და მეომრეცა ამოთგან უმეტესსა ჩუენ მიერსა სიყუარულსა და რომლისაცა მი-
მართ ინებოთ, ნაცვლისგებითსა გულსმოდგინებასა. რამეთუ რომელნი მოვსი
წინაწარ-თქუნა, მათგანი დაუტევეთ შეურაცხისყოფელთა, კაცთაგან რა
წარვიდა. არცა არს, რომელსა ზედა არა უწყით, მადლი თქუნდა! მხიარულთა
უკუე სარკვედრებელთა თქუნთა მიმართ განტევივით თქუნდა. იგვედრებით
არცა ერთსა საზღვარსა მეჭუელობად ჩუენისა ნათესავობისა მიმართ, ნუცა რა-
მეთუ საშუეალ მდინარე ესე არს — სხუად შეგურაცხთ ჩუენ და არა ევრა-
ელად. რამეთუ ავრამოხსნი ვართ ყოველნი, აქა და მუნ დამკვდრებულნი, თა-
ნად ღმერთი ერთი, რომელმან პირველმშობელნი ჩუენნი და თვთ თქუენნი!
მოიყვანა ცხორებად, რომლისა მსახურებისათვის გულსმოდგინე იქმნენით და
ყოველი დაცვა მოქალაქობისა გაქუნდენ, რომელი მან მოვსის მიერ განაწე-
სა. რაათა უკუეთუ დაადგრეთ მათ ზედა და ღმერთიცა გაქუნდეს მარადის სა-
ხიერებით მყოფი და თანამბრძოლი, ხოლო მისდრკეთ თუ მსგავსებისა მიმართ
სხუათა წესთაჲსა, განიშოროს ნათესავი თქუენი“. ამათი მეტყუელი და თითო-
ეულისა მთავართაგან და ზოგად სიმრავლისა მათისა შემტკობელი, იგი ვიდ-
რემე უკუნ-შთა. ხოლო ერი წარავლინებდა მათ არა უცრემლოდ და ძნიადღა
სადმე ურთიერთას განიქსნეს.

26*. ხოლო ფანშვილებელმან მდინარესა რუვილოჲს ნათესავმან და ლა-
დისმან და რაოდენნი მანასისგანნი შედგომილ იყვნეს მათდა, ვომონი კიდესა
იორდანისასა აღმართეს, მოსაკენებელად შემდგომად მყოფთათვის და სას-
წაულად საკუთრებისა წიად მდინარისა დამკვდრებულთა მიმართ. ხოლო მსმე-
ნელთა მიერ მყოფთა ვომონისა აღმართებასა განტევივითაგან, არა რომლი-
თა განზრახვითა აღმართეს იგი მათ, არამედ ახლად შემოყვანებისათვის უც-
ხოთა ღმერთთაჲსა, არა ენება ურწმუნობაჲ, არამედ საღმრთოსა მსახურებასა
გარდაცვალებად დამტკიცებით მეჭუელნი, აღტურვილ იყვნეს, რაათა შურ-
იგონ აღმართებელთაგან ვომონსა და, განშვილებელთა მდინარესა, ტანჯენ
იგინი მიდრეკისათვის მამულთა წესთაგან, რამეთუ არა საგონებელ იყო მათდა
გულისმსიტყუელობაჲ ნათესავობისა და ღირსებაჲ მიზეზთა მიმღებელთაჲ,
არამედ ღმრთისა ნებაჲ მხოლოდ და რომლითა სახითა პატიეცემული იხარებს.
და მათ ვიდრემე განიმკედრეს რისხვით, ხოლო იპყრნა იგინი იისუ და
მღდელთმთავარმან ელეაზაროს და მოხუცებულთა გამოცდილებასა გონებისა
მათისასა მიღებად პირველად და შემდგომად, უკუეთუ ჰავჩუეულად მყოფი
სწაონ გონებაჲ მათი, მაშინ სატურველითა მიიმართონ მათ ზედა. წარავლინეს
უკუე მათდა მიმართ მოხუცებულნი: ფინესი, ძე ელეაზაროჲსი და ათნი სხუა-
ნი მის თანა პატიეცემულთაგანნი ევრაელთა შორის სწავლად, რაჲსა განზრახ-
ველთა აღმართეს ვომონი, კიდესა ზედა მდინარისასა განწილებულთა.

ხოლო ვითარ განიწიარეს და მათდა მიმართ მიიწინეს და შეკრბა შესაყრ-
ბელი, მდგომარებაჲ ფინესი — უდიდეს ვიდრემე, ეტყოდეს, ცოდვად მათი, ვიდ-
რელა სიტყუათა მიერ, შერისხულთაჲ, სჯულისდებაჲ მათი გულგებადთა მი-
მართ: გარნა არა სიდიდისა მიმართ უსჯულოებისა მიმართ მხედველთა, მეყუ-
სეულად სატურველთა ზედა და კელთა მიერსა სჯასა მიიმართეს, არამედ ნა-
თესავობისა მიმართ და თანად მიერ განმხილველთა, იუსადა სიტყუათა მიერ
გონიერ იქმნენ. „და ესრეთ ქმნაჲ ვედრებისაჲ ვყავთ, რაათა მიზეზსა² მსწავ-
ლელთა, რომლისა მიერ აღიძრენით ვომონსა შემზადებად, არა წინამკდომ³

1 ჩწნი. 2 მიზეზი. 3 მკდომ AQ.

* ისთ ნავესი 22,10; 22,18.

საგონებელ ვიყენებთ საქურველთა მიერ მოწვეულნი თქვენ ზედა, მოქმედთა ვომონისათა ღირსისა გულისიტყვსა მიერ. ხოლო უკუეთუ უსამართლომსა, მერმეცა საშართლიანად შურ-ვიგოთ, შესმენად თუ ქემშარბილად იზილოს. რამეთუ არა ჭერ-გვჩნდა თქუენი, გამოცდილებასა შინა ღმრთისა განზრახვისასა ქნნილთად და სჯულთა, რომელნი მან ნოგუცხა ჩუენ, მსმენელად მყოფთად, განუღლეოდა ჩუენგან და წარსრულთად თვსად სამკვდრებულად, რომელი ნიკისა მიერ ღმრთისა და მისისა ჩუენ ძლითისა მოურნეობისა წილ-გუხუნდა, და იწყებდა მისსა მიღებამ და კარავსა და კიდობანსა დამტევებელთად და ვომონსა, რომელი მამულ არს ჩუენდა, უცხოსა ღმრთისა მოყვანებამ, ბოროტთა მამართ ხანანელთამსა მიმართებულთა. არამედ არა მეუსამართლოედ საგონებელსა ვიქმნებთ, შემნანებელნი და წამართ არაარა აღბორგებულნი მანულთა სჯულთა, სირცხვლსა და კსენებასა შიშლებელნი. ხოლო უკუეთუ დაადგრეთ ნაცოდებთა ზედა, არა ვიჯნათ შრომისაგან სჯულთა ძლითისა, არამედ, იორდანისა განმწიადებელნი, ამთა შევეწიენთ და პირველად მათსა ღმერთსა, არარამთ ხანანელთაგან განყოფილებასა თქუენსა მექუელნი, არამედ მსგავსად მათსა განმხარწელნი თქუენნი. რამეთუ ნუ ჰგონებთ, მდინარესა თუ გამოხუელით და ღმრთისაცა ძალისაგან გარე-იქმნენით, არამედ ყოველთაგან ამრთა შინა ზართ და განვლტოლვამ კელმწიფებისა მისისად და მის მიერისა მსჯავრისად შეუძლებელ არს. ხოლო უკუეთუ ჰგონებთ აქა მოსლვასა მაცუნებელყოფად თქუენდა სიწმიდისა მიმართ, არა დამაცუნებელ არს კულად განყოფად ქუეყანასა თქუენდა მიმართ და ამის დატევებად საძოვნელად ცხოვართათვს. არამედ კეთილად იმოქმედეთ განგებობილთა და ახალთა ზედა ცოდვათა გარდასრულთა. და გვედრებით თქუენ ყრმათა და ცოლთათვს, ნუ მოგუცენთ ჩუენ საპროლო-ქმნასა ბრძოლისასა, ვიდრედა ბრძოლისა თქუენისა და საყუარელთა თქუენთასა ამას შესაკრებელსა შინა მდებარეობასა, ესრეთ განიზრახეთ, უმჯობესად შემრაცხელთა ძლევისა სიტყუათა მიერ, ვიდრე მოლოდებად გამოცდილებასა საქმეთა და ბრძოლსასა“.

27*. ესენი რამ თქუნა ფინეესი, წინამდგომთა კრებულისათა და ყოველმან სიმრავლემან მათმან იწყო სიტყვსკვებად მათდა მიმართ თქუმულთათვს და პრქუეს არცა წათესვობისა მათდა მიმართისაგან ვანყენებამ, არცა ახლისა რამსვე მოქმედებისათვს აღმართებამ ვომონისად, არამედ ღმრთისა ერთისა მეცნიერებამ ევრავლთა ყოველთა ზოგადისად და წინამე კარავისა მყოფისად რვალისა ვომონისად, რომელსა ზედა მსხუერპლთა იქმენ. ხოლო აწ ვიდრემე აღმართებული, რომლისა მიერ საეჭუელ იქმნენესცა, „არა მსახურებისათვს აღმართებულ არს, არამედ რამთა იყოს სასწაულად და ნიშნად საუკუნოდნი თქუენდა მიმართისა საყუთრებისათვს. და საპრო არს სიწმიდე და მამულთა ზედა დადგომამ, არამედ არა გარდასლვისა დასაბამი არს, ვითარ ჰგონებთ. ხოლო მოწამე ჩემდა იქმნენინ ღმერთი, ღირსსარწმუნებელი შემზადებასა ზედა ესევითარისა მიწეზისათვს ვომონსა, რომლისა ძლით, უმჯობესსა გულსიტყუასა მქონებელნი ჩუენთვს, ნუ გუბარალობთა მათთვს, რომელთა მიერ ცთომილად საგონებელ არიან მართალნი ყოველნი, ჩაოდენნი, ავრამოხს ნათესვისაგან მყოფნი, ახალთა კელ-ჰყოფენ წესთა და გარდაცვალებულთა ჩუეულებითისა გუარისაგან“.

* ისო ნავესი 22, 21.

26*. ესენი რაჲ თქუნეს მათ, აქებდა¹ ფინეესი და მოიწია იისუჲს მიმართ და მათ მიერნი მიუთხრნა ერსა. ხოლო იგი, მოხარული, რამეთუ არცა ერთი სა-
78 ჭირრობაჲ იყო მათდა აღმკვდრ/ებად, არცა სისხლისა მიმართ და ბრძოლისა განსლვად ძუნად მამაკაცთა თანმონათესევთა, სამადლობელთა ამათჲს მსხუ-
რპლთა აღუსრულებდა ლმერთსა. და შემდგომად ამათსა, განმტყევებელი სიმ-
რავლისაჲ იისუ თესთა სამკვდრებელთა მიმართ, თვთ იგი სიკიმათა შინა მყო-
ფობდა.

ხოლო უკუანაესნელ წელსა მეოცესა, რამეთუ ბერი იყო ფრიად, მომ-
წოდებელი ღირსების ზედათაჲ, უფროჲსაჲ ქალაქთაგან და მთავართა და მო-
ხუცებულთაჲ და რაოდენი სიმრავლისაგან შესაძლებელ იყო, მისდა შემკრე-
ბელი, ვინაჲთგან მოიწივნეს, ქველისმოქმედებათა ღმრთისათა ყოველთა მოაჯ-
სენებდა მათ, ხოლო მრავალნი იყვნეს წინაწარმოწივნულთა ამის ღიდებისა მი-
მართ და მონაგებისა სიზღაბლისაგან სახისა და დაცვად განზრახვისა ღმრთისა-
სა, ესრეთ მქონებელსა მათდა მიმართ, ევედრებოდა, ყოველისა პატივისა მცუ-
მეველთა და კეთილმსახურებასა მხოლომსათა, რამეთუ ესრეთ სახიერებით და-
ადგრეს მათჲს ლმერთი. რამეთუ მასცა კეთილად აქუნდა, წარსლვად მგულე-
ბელსა ცხორებისაგან, ესევეითარსა სწავლასა დატევებად მათჲს. და მათცა
ევედრებოდა კსენებისა მიერ ქმნად ბრძანებულსა.

29¹*. და იგი ვიდრემე ამათი მდგომარეთა მიმართ მეტყუელი, აღსრულდა,
ცხორებელი ასთა წელთა და ათთა, რომელთაგან მოკისი ვიდრემე იყო სწავ-
ლისა ძლით საკმართასა ორმოცთა, ხოლო მკედართმეყანებელ შემდგომად
აღსრულებისა მისისა იქმნების ხუთთა და ოცთა. ხოლო მამაკაცი არცა გონი-
რებისაგან ნაკლულევანი, არცა განგონებულთა მრავალთა მიმართ მტკიცედ გა-
მოღებად გამოუცდელი, არამედ მრჩობლთავე შინა მწუერვალი, თანად საქმე-
თა მიმართ და ქირმკენ და დიდ, კადნიერი და განმგებელი, მშკდობისათა შინა
მარჯუე და ყოველსა ეამსა სათნოებითა შეზავებული. ხოლო დამეარხვის ქა-
ლაქსა თამნაჲსასა, ეფრემოჲს ნათესვისასა. ხოლო მოკუდა მასვე ეამსა და ელე-
ანზაროსცა მღღელთმთავარი, ფინეესის, ყრმისა მისისა მღღელთმთავრობასა
დამტევებელი. და საკანებელი მისი და საფლავი ღავათას ქალაქსა შინა არს.

თ. 2.

12*. ხოლო შემდგომად აღსრულებისა მათისა ფინეეს იწინაწარმეტყუე-
ლა. განზრახვისაებრ ღმრთისა, წარწყმედისათჲს ხანანელთა ნათესვისა [და] იუ-
დაჲს ნათესვისა მინიჭებაჲ მთავრობისაჲ. და რამეთუ ერისაცა სასწრაფო იყო
სწავლად, თუ რაჲ ჰნებავს ლმერთსა. მიმეყანებელმან სუმეონის ნათესვისამან
და მას შინა მყოფთა და მკვდრთასა განმსხმელთა, ესე ქმნეს*.

24*. ხოლო ხანანელნი, ზეღვიდეს რაჲ აღორძინებასა საქმეთა მათთასა, მას
ეამსა შინა დიდისა მკედრობისა თანა მიელოდეს მათ ზევეკინს შინა, მეფისა
ზევეკინონთასა, აღონიზევეკომასა, მთავრობასა მიმცემელნი. ხოლო სახელ
ესე მოაწავეებს „ზევეკინონთა უფალი“, რამეთუ აღონი ევრავლთა ენითა

¹ აქუნდა ἐπιείθεα: 5114.

* ისო ნავესი 22,30; 24,1. ¹* ისო ნავესი 24,19; 24,33. ²* მსაქ.1,1. ³* ბერძნ. დედანში და ქართულ თარგმანშიც ამ ადგილას ტექსტი ნაკლულია. ლათინური ვერსიის მიხედვით შეიძლება ანე აღდგას: „თუ ეს უკანასკნელი დაესმარებოდნენ მათ ქანანეელების განადგურებაში იუდუის ტერიტორიაზე, მათ მიუხედავად იმისა, რომ აქვე სვიმეონის კუთვნილ ტერიტორიაზე“. ⁴* მსაქ. 1,4.

უფალსა ეწოდების. და სასოებდეს ჰყრობასა ისრაილიტთასა სიკუდილისათვის ისუჲსა. და აღრეულნი მათდა ისრაილიტნი, ორნი ნათესავნი, რომელნი წინა-წარ-ვთქუენ, ჰბრძოდეს და ბრწყინვალედ და მოაკუდინნეს! მათგანნი უმეტეს ბევრეულისა და, მიერითგან მიდრეკილნი და მდევნელნი, იპყრობენ აღონიზე-ვეყოსს, რომელმანცა, მწუერგალ-დაჭრილმან მათ მიერ, თქუა: „არამედ არა ყოვლითურთ სადმე შეგულვა დაფარვაჲ ღმრთისაგან ამათსა მვნებელსა, რომელთა ქმნაჲ არა შევიდომე პირველად ორთა და საპოცდაათთა მეფეთა მიმართ“. და ცოცხალი ვიდრემე მოიყვანეს ვიდრე იეროსოლჲმთადმდე, ხოლო აღსრულებული დაჰლეს ქუეყანასა შინა. და განვიდეს მპყრობელნი ქალაქ-თანნი და, მრავალთა მიმღებელნი, აოკრებდეს იეროსოლჲმათა. და, ქუენა კერძოსა მიმღებელთა ჟამსა შინა, ყოველნი მოაკუდინნეს! / შინაგან მკვლრნი, ხოლო ^v დნელად საპყრობელ იყო მათდა ზენა კერძოჲსა სიმტიციასათვის ზღუდეთ-აჲსა და ბუნებისა მათ ადგილთაჲსა.

3*. რომლისა ძლით განიმჯედრეს ქვერონადმი და, მიმღებელთა მისთა, მოაკუდინნეს ყოველნი. ხოლო დაშთომილ იყო შერმეცა გმირთა ნათესავი, რომელნი, სიღიღისათვის სხეულთაჲსა და სახეთათვის არა მსგავსთა სხუათა კაცთაჲსა, უცხო იყვნეს სახილველად და საშინელ სასმენლად. ხოლო სახილველ არიან და ჭერეთ აწცა ძუალნი ამათნი, არა მსგავსნი მოსრულთანი სარწმუნოებისა ქუეშე!*

და ვიდრემე ლევიტელთა მისცეს რჩეულად ძღუნად ორ ათასთა წყრათათა თანა. ხოლო ქუეყანაჲ ზალოოსს ნიჲად მისცეს მოვისისა მცნებთაებრ. ესე უკუე იყო ერთი მსახურთაგანი, რომელნი წარავლინნა მოვისი ზანანიად. ხოლო მისცეს და იოთორისცა, მაღიანიტელისა ნაშობთა, ქუეყანაჲ, რაჲთა დაიმკვდრონ, რამეთუ მოვისის სიმამრი იყო და, მამულსა დამტყვევებლნი, შეუდღეს მათ და მათ თანა იყვნეს უღაბნოსა ზედა.

42*. ხოლო იუდაჲს ნათესავმან და სკმეონისმან მახლობელად ვიდრემე მთისა ზანანიისა ქალაქნი იპყრნეს და ველის შინათაგან უკუე და ზღვს პირისათა — ასკალონი და აზოტოჲ. ხოლო განევეტო მათ ღაზაჲ და აკკარონი. ხოლო ველნი იყვნეს და, მრავლისა საქურველთა ღონიერებისათვის, ძვრსა უყოფდეს მათ ზედა მოსრულთა. და ესე ვიდრემე ნათესავნი, კეთილბრძოლისაგან დიდად ბედნიერქმნილნი, წარვიდეს თვისთა ქალაქთა და დასხნეს საქურველნი.

53*. ხოლო ვენიამიტელთა, რამეთუ ამათი იყო იეროსოლჲმად, შეუდღევს მკვლრთა მისთა ზღვაჲ ხარკთაჲ და ესრეთ დაცხრომილნი ყოველნი — რომელნი ვიდრემე კლვისაგან, ხოლო სხუანი — ძვრისხილვისაგან — მოცალე იყვნეს მოქმედებად ქუეყანასა. ამასვე უკუე და ნეშტინცა ნათესავნი მოქმედებდეს, ვენიამიტელისა მიმსგავსებულნი. და, კმაყოფილნი მიხუმულთა ხარკთაგან, უბრძანებდეს ზანანელთა უმბრძოლოდ-ყოფასა.

61*. ხოლო ეფრემოჲს ნათესავი, მარღუეველ ვეთილაჲსაჲ, არა ჰპოებდა დასასრულსა ოკრებისასა, ღირსსა ჟამისა და შრომათასა. და ეგრეთვე დამძიმებულნი დადგრომილობდეს სადარნოთა შინა. ამისა შემდგომად, შემპყრობელთა

1* მოაკუდინნეს.

* მსაქ. 1,10; 1,20; 1,16. 1* *μηδὲν εἶχε πᾶς πῆσεν ἐρχομένου τοῦ αἰῶνα* 5,128 (=ვერონი იჟერეს მსგავსი ქმნილებების არსებობას). 2* მსაქ. 1,9; 1,17. 3* მსაქ. 1,21; 1,27. 4* მსაქ. 1,22.

ვიეთმე ქალაქის შინათაგან გამოსრულსა მიღებისათვის საჭიროთაჲსა, სიმტკიცენი რომელნიმე მისცნეს მას, განმცემელსა ქალაქისაჲსა, თანად ცხოვნებად მის და ნათესავთა მისთა. და იგი ამათ ძლით ეფუტებოდა მათ ქალაქისა კელთღებასა მ:თდა. და ესრეთ ვიდრემე, განმცემელი, ცხოვნდების თვსთა თანა, ხოლო მათ, მომსრველთა ყოველთა შინაგან მკვდრთაჲსა, აქუნდა ქალაქი.

7*. და შემდგომად ამთსა მბრძოლთა ვიდრენე მიმართ სიმშვიდით აქუნდა ისრაილრტთა. ხოლო ქუეყანისმოქმედებათა მისთათვის ზრუნვიდეს. და სიმდრძისა მიმართ უკუე, მიმცემელნი თავთა თვსთანი შეუებისა მიერ და განსუენებისა¹, უღებ-პყოფლეს შემკობილებასა და სჯულთა მოქალაქობისათა არღარა მსმენელ იყვნეს გამოწულილეთ. ხოლო ამას ზედა განრისხებულმან ღმერთმან განუცხადა მათ პირველად ვიდრემე, რამეთუ პირდეს ხანანელთა გარემე განზრახვისა მისისა და შემდგომად — ვითარმედ იყუმიონ მათ მრავალი უგბილობაჲ მათდა მიმართ, ჟამისა მიმღებელთა. ხოლო მათ და ღმრთისათვისაცა ბოროტად აქუნდა ბრძოლისა მიმართ უღებად, თანად უკუე მრავალნი მიიხუნეს ხანანელთაგან და შრომათა მიმართ აწვე შეუებისა მიმართ დაქსნილ იყვნეს. და შეემთხუეოდა რჩეულთა მიერსა პერობილებასა განხრწნილობაჲ: და მოხუცებულთა არა განაჩინებდეს, არცა მთავრობასა სხუასა არცა ერთსა პირველთა წესთაებრ. ხოლო იყვნეს აგარაკთა შინა შეძენისა ძლით თანამეკრულნი შეუებისანი. და ფრიადისა მოცალეობისა მიერ კულად ჭდომამან ბოროტმან იპყრნა იგინი და იძულნეს ბრძოლად ურთიერთას ესევეითარისა მიზეზისაგან.

81*. ლევიტელმან მამაკაცმან ერისათამან, ეფრემოს სამკვდრებელისაგან მყოფმან და მას შინა დამკვდრებულმან, მიიყვანა დედაკაცი ვითლემოთაგან, ხოლო იუდაჲს ნათესვისაჲ არს ადგილი ესე. ხოლო ტრფიალებული დედაკაცისაჲ ფრიად და შეუენიერებისა მიისისაგან ძლეული, მიუთხუეველობდა არა მსგავსთა განმცდელი მის მიმართთა, არამედ უცხოოდ მქონებელ იყო იგი. და ამისთვის. ვინაჲთგან უფროჲსლა შეიწუეოდა ვნებითა, ყუედრებანი ზედაჲს-ზედანი იქნებოდეს მათდა. და დასასრულსა, ამათ მიერ დამძიმებული დედაკაცი, დაძტევებელი მამაკაცისაჲ, მშობელთა მიმართ² მიიწია თუესა მეოთხესა. ხოლო მამაკაცი, მძვნარედ მომთმენელი ტრფიალებისა ძლით, მივიდა მზახალთა მიმართ და, დამქსნელი გმობათაჲ, დაეგო მას. და ოთხთა ვიდრემე დღეთა დაადგრა მუნ და განუსუენებდეს მას მშობელნი. ხოლო მეხუთესა, ვინაჲთგან ეთნო მას წარსლვაჲ სახილ თვსად, მწუხრიად განვიდა, რამეთუ მიმყოფებულსა განუტეველ მშობელთა ასული და პყოფდეს სლვასა დღისისა. ხოლო მონაჲ ერთი შემდგომი იყო მათდა და კარაული იყო მათდა, რომელსა ზედა აღმკვდრებულ იყო დედაკაცი იგი. და მიიწივნეს რაჲ იეროსოლკმად, მავალნი სტადიონთა აწლა ოცდაათთა, განაზრახებდა მონაჲ დაეანებასა სადავე, რაჲთა არა იპყრნეს იგინი სიძნელემან ღამისამან მავალნი და ამას თანა არა შორს მყოფნი მბრძოლთაგან, ვინაჲთგან ჟამი მრავალგზის შესაბრკოლებელ და ძტერ იქმს სიყუარულთაცა. ხოლო მას არა ეთნო განზრახვაჲ დაეანებისათვის უცხოთა ნათესავთა შორის, რამეთუ ხანანელთა ქალაქი იყო, არამედ წარსრულნი სტადიონთა ოცთა, თვსად ქალაქად მნებებელ იყვნეს მიწვენასა. და მძლეველი განზრახვითა მიიწია ღავეად, სოფელსა ვენიამენის ნათესვისისა.

¹ განსუენებისა. ² შ"რ AQ.

^{*} მსაჯ. 2, 11. ^{1*} მსაჯ. 19, 1; 19, 19; 19, 22.

ხოლო ვინაიდან მწუხრი იყო და არცა ერთი ვინ მიუწოდდა დადგრომად უბანთა შინა მყოფთაგანი, მოხუცებული ვინმე აგარაკით შთამომავალი, ეფრემოზს ვიდრემე ნათესისაგან მყოფი, ხოლო ლავას შინა დაქვდრებული, შვიტხუელი მისდა — თანდა მიწნე არს, ჰკითხვიდა, და რომელთა მიზეზითათს მავალი მიიღებს სერობისა მიმართთა აწვევ ბნელისა მყოფობასა. ხოლო მან ლევიტად ვიდრემე თქუა ყოფად და, დედაკაცისა წმობელთაგან მიწყევნიბელი, წარვალს სახიდ თვსად, ხოლო სამკვდრებელისა ყოფად ცხად-უყო ეფრემოზს ნაწილსა შინა. და მოხუცებულმან უკუე. ნათესობისათუ, დამკვდრებლისა მის ნათესავსა შინა შორის და თანაზრახვისათუს, მიიყვანა დადგრომად მის თანა. ხოლო ჰაბუქნი ვინმე ლავინელი, უბანთა ზედა მზილელინი დედაკაცისანი და განკვრევილნი შუენიერებისათუს, ვინაიდან მოხუცებულისა თანა დადგრომასა მისსა მსწავლელ იქნნეს, შეურაცხისწყოფელნი უძღურებინა და სიმციროსანი, მივიდეს კართა ზედა. ხოლო ვინაიდან მოხუცებული ევედრებოდა წარსლვად და არა მოღებად გინებასა, არცა იძულებასა, ეტყოდეს მას უცხოთა მინიგებასა და ესრეთ საქმეთაგან განშორებასა. ხოლო ვითარ ნათესავად და ლევიტლად ყოფასა მისსა ეტყოდა მოხუცებული და უკუეთუ მოქმედ იქნენ იგინი ბოროტსა, ცოდონ სჯულთა მიმართ უძღებებისა მიერ, შეურაცხ-წყოფდეს სამართალსა და ჰბასრობდეს და აჯადებდეს მას მოკვდინებასა. მაყენებელქმნილსა გულისთქუმათა მათთასა. ხოლო ჰირსა შთავრდომილი და არა მსენებელი უღებყოფად უცხოთა გი/ნებულთა, ასულსა თვსსა მიუტევიდა მათ აღსრულებად გულისთქუმისა მათისა, უმეტეს სჯულოერად მეტყუელი უცხოთა გინებისაგან და ამით სახითა არაზს უსამართლოებად მეტყუელი მათდა მიმართ, რომელნი შეიწყნარნა. ხოლო ვითარ არა დასცხრებოდეს მოსწრაფებისაგან უცხოთა მიმართისა, არამედ ზედადებულ იყვნეს, მიყენებასა მისსა მეტყუელნი, იგი ვიდრემე ევედრებოდა არა კადნიერებად უსჯულოსა. ხოლო მათ, აღმტაცებულთა და უმეტეს ზედამქმნელთა იძულებასა უძღებებისასა, წარიყვანეს მათდა მიმართ დედაკაცი. და ლამე ყოველ აღვსებულთა გრნებითა, განუტევეს მოწყენასა დღისასა. ხოლო იგი, მოუძღურებელი შემთხუეულთაგან, მოიწია სადგურისა მიმართ და მწუხარებინაგან, რომელნი ეცნნეს და არა კადრებისა სახედველად ქმრისა მისისა მოსლვასა. რამეთუ მისსა უფრომდა გულისმსიტყუელობდა უკურნებელად ქონებასა ქმნილთა ზედა, დაცემული, განტევიბელ იქმნა სულსა. ხოლო ქმარი მისი, გულისმსიტყუელი ძილისა ღრმისა მიერ პყრობასა დედაკაცისასა და არაზს ძვრსა მეტყუელი გინა მეტყუელი, აღდგინებად მეცადინობდა, ნუგეშინსცენასა მნებებელი, ვითარმედ არა თვისთა განზრახვითა მიანიჭა თავი მაგინებელთა, არამედ აღტაცებითა მათითა უცხოებისა შინა. ხოლო ვითარ აღსრულებულად ისწავა, გონიერქმნილმან სიდიდისა მიმართ ბოროტთაჲსა და დამდებელმან მკლდარსა დედაკაცსა პირუტყუსა ზედა, მიიღო სახიდ თვსად. და განყოფელმან მისმან ასოეულად ათორმეტთა ნაწილთადმი, წარუვლინა თითოეულსა ნათესავსა, მამცნებელმან მიძღებულთაჲს მტყუელებად მიზეზთა დედაკაცისა აღსრულებისათა და უძღებებასა ნათესავთასა.

9*. ხოლო იგინი, სახედველისა მიერ და სასმენელისა იძულებულთაჲსა ბოროტად დადებულნი, პირველად არცა ერთთა ესევეთარისა გამოცდილებასა მიძღებულნი, რისხვისა მიერ უპყრობელისა და ჭეროვნისა, სილუმს შეკრებილნი და წინაშე კარვისა მიწყენილნი, საქურველთა შესლვად მიიმართებდეს,

1 ყ'ფა A.

* მსაჯ. 20, 1.

0 რაისათუს არა იტყუ მართალსა.

კუმევედ ლავაინელთა მიმართ, ვითარ მბრძოლთა. ხოლო მოხუცებულთა იპყრ-
ნეს იკინი. მარწმუნებელთა არა ესრეთ მსწრაფლიად თანმონათესვეთა ზედა
მოღებად ბრძოლასა, ვიდრე არა უწინარეს სიტყუათა მიერ ჰკითხონ მათ ნა-
მოღებდათთეს, ვინაითგან სჭული არცა უცხოთა ზედა მნებებელთა უსამართ-
ლოებდა უტევებს მკედრობასა მიყვანებად გარეშე ვედრებისა და ესვითარი-
სა გამოცდილობისა შენანებისა მიმართ. „და კეთილად აქუნდეს სჯულისა
რწმუნებულთა და ესრეთ წარავალინნეთ ლავაინელთა მიმართ და ვითხოვნეთ
მცოდველნი და მოგუანებენ თუ ივინი, კმა-ვიყოთ ტანჯვად მათი, ხოლო თუ
შეტრაცხ-გუყუნენ, მაშინ საჭურველთა მიერ ვმბრძოლით მათ“. წარავლინენ
უკუე ლავაინელთა მიმართ, შემასმენელნი ჰაბუტანნი დედაკაცისა მიმართთა
ძლით და ტანჯვად ითხოვდეს მოქმედთა უსჯულოებისათა, ხოლო იქმნენ თუ
წინააღმდეგომ, ნაცვლად მათსა მოკუდენ ივინი. და ლავაინელთა უკუე არცა ჰა-
ბუტანი განსცნეს და თანად ბოროტად შეჰრაცხეს უცხოთა ბრძანებთა დამორ-
ჩილებად შიშითა ბრძოლისათა, არცა ერთისა უდარეს-ყოფად მნებებელთა
80 საჭურველ/თა შინა, არცა სიმრავლისათეს და არცა სულეკეთილობისა. ხოლო
იყვნეს შეშხადებასა შინა ფრიადსა და სხუათაცა თანმონათესვეთაგან, რამე-
თუ თანა-აგრძნეს შეწევნად მათი, იძულებულთა.

10*. ხოლო ვითარ რომელნი ესვეითარნი მიეთხრნეს ისრაილიტთა ლავა-
ინელთაგან, ფიცნი ყვნეს, რაჟთა არავინ მათგანმან მისცეს ვენიამიტსა მამაკაც-
სა¹ ასული თვისი დაქორწინებად მის თანა და აღმკედრებასა იტყოდესდა მათ
ზედა რისხვით, ვიდრეღა ხანანელთა, რომელთა შორის მამათა მათთა ყოფად
მოუგო²... იყო ორი ბევრი და ხუთი ათასი და ექუსასი, რომელთაგან იყვნეს
ხუთასნი. მარცხენეთა კელთა მიერ შურდღვად რჩეულნი. ვიდრეღა და ბრძო-
ლისა ქმნილობასა მახლობელად ლავამსა, უკუნ-აქცევენ ისრაილიტთა ვენიამიტ-
ნი და მამაკაცი დაეცნეს მათგანნი ორნი ბევრნი და ორ ათასნი, ხოლო განხრ-
წნილ იყვნესმცა და უმრავლესნი, უკუეთუმცა არა დამესა ეპყრნეს ივინი. და
დაეცნნეს მბრძოლნი და ვენიამიტნი ვიდრემე, მოხარულნი, წარვიდეს ქალა-
ქად, ზოლო ისრაილიტნი, შეშინებულნი ძლევისა მიერ, ბანაკად. და მეორესა
დღესა კუალად ეწყვნეს რაჟ, სძლეს ვენიამიტთა და მოკუდებინ ისრაილიტ-
თაგანნი რჯად ათასი და ბევრნი. და შეშინებულთა მოსრვისაგან, დაუტევეს ბა-
ნაკი და მიწვენულნი ვეთილა ქალაქად, მახლობელად მდებარისად, და მმარხ-
ველნი, შემდგომად ევედრებოდეს ღმერთსა ფინეესის მიმართ მდღელთმთავრი-
სა, დაცხრომად რისხვისაგან მათდა მიმართინა და კმა-ყოფად ორთა ძლევათა
მათთა ზედა და მოკემად ძლევისა და პყრობასა ძენად მბრძოლთა. ხოლო
ღმერთმან აღუთქუნა ესენი ფინეესის წინაწარმეტყუელებისა მიერ.

11*. და განყვეს მკედრობად ორ კერძოდ: და ნახევარნი ვიდრემე დაად-
გინნეს საღარწოთა შინა ღამით გარემოჲს ქალაქსა, ხოლო ნახევარნი განეწ-
ყვნეს ვენიამიტთა. და თანად იელტოდეს ზედდადებულთაგან და სდენიდეს ვე-
ნიამიტნი ევრაველთა, ლტოლვილთა მღუპრიად და მრავლად მნებებელთა გა-
მოსლვისა მათისათა. ვანშორებულთა შეუდგეს ვიდრეღა და ქალაქსა შინა
დაწოთმილნი მოხუცებელნი² უძლურებისათეს მათისა, განრბოდეს ერთბა-

¹ დედაკაცსა AQ, კაცსა S ძიძვი S₁₅₅. ² მიუგო+ხოლო გამოიყუანეს ვიდრემე ევლად მკედ-
რობა თვისი ორმეოცხის ბევრნი აღჭურვილი და მბრძოლთაგანი S. ასევეა ბერძნულ დედანში
(S₁₅₆).

* მსაქ. 21,1; 22,15; 20,26. ^{1*} მსაქ. 20,29. ^{2*} მოხუცებულნი+ამი უნის S₁₆₁ (=და ახალ-
გაზრდებუ).

მად, მნებებელნი კელთადებასა მბრძოლთასა, ხოლო ვითარ მრავლად ქალაქი-საგან განეშორნეს, დასცხრეს ვიდრემე მლტოლველნი ევრაელნი, ხოლო უკუ-ნქცეულნი დადგეს ბრძოლისა მიმართ და სადარნოთა შინა მყოფთა სასწაული აღუპყრეს, რომელი დაედვა, ხოლო იგინი, აღდგომილნი კმობით, ზედ-მიუვი-დოდეს მბრძოლთა, და იგინი უკუე ერთბაშად თავთა თვისთა ცთუნებულად აგრანობდეს და უღონობებასა შინა მყოფ იყვნეს. და ღელესა რასმე შინა შემა-ყენებელთა და მთხრებლოვანსა ადგილსა გარემოდგომილთა, განშებნეს იგინი, ვიდრეთა და ყოველნი განიხრწნეს, გარეშე ექესასთა. ესენი უკუე, თვისა განქ-ციულნი და შემამტყიებელნი თავთა თვისთანი და საშუალ მბრძოლთაჲსა დევ-ნულნი, მიივლტენეს მახლობელთა მთათა მიმართ და, მუნ მიწეუნულნი, განმ-ტყინეს, ხოლო სხუანი ყოველნი, ორ ბეგრად მყოფნი და ხუთ ათასად, მოკუ-დეს, და ისრაილიტთა უკუე თანად ღუამ დაწუეს და ღედანი და ყრმანი არღა ჰასაესა შინა მყოფნი, მოაკუდინნეს. და სხუათაჲ ქალაქთა ვენიაშიტთასა ესე უყვეს. ესრეთ უკუე იყვნეს განჩისხებულ, ვიდრეღა და იავისოცა, რომელი იყო ღალადიტიდისაჲ. რამეთუ არა ებრძოლა ვენიაშიტელთა მიმართ, წარავ-ლინნეს ბევრნი და ორ ათასნი მკედრობათაგან და უბრძანეს მოსრვამ, და მო-აკუდინნეს¹ ბზრ/ძოლნი ქალაქისანი წარვლინებულთა, შეილთა თანა და ცოლთა, თვნიერ ოთხასთა ქალწულთა. და ესოდენ რჩხენსა მიერ აღიბრნეს, ვიდრეღა და ვნებასაჲა დედაკაცისასა თან-შეაყვეს ვნებამ, რომელი იყო მოსრვისა მ-მართ აღტყრილთაჲსა.

12. ხოლო სინანულმან შეიპყრნა იგინი ეენიაშიტთა განსაცდელისათეს. და მარხვამ ყვეს მათ ზეღა და ანას თანა ჯეროვნად მსჯელთა ენებისა მათისა-თა. ვიდრე მკოდველთა სასჯელთა მიმართ. და განვლტოლველნი მათგან ექუ-სასანი მოხუცებულთა მიერ მიუწოდნეს. ხოლო დადგომილ იყვნეს იგინი კლდესა რომელსამე ზეღა, როად წოდებულსა, უდაბნოსა შინა. და მოხუცე-ბულნი უკუე ეტყოდეს, ვითარმედ არა მათი მხოლოდ ოდენ განსაცდელი ქმნილ არს, არამედ და მათიცა. ვითარ ნათესავთა მათთა წარწყმედილთაჲ. და მგლოვარენი სიმშვიდით არწმუნებდეს მოსლვად და თანმავლობად ერთბა-ნად და ნუ განბჭობად მათ ზეღა ყოვლითრთსა ვენიაშიტიდოჲსა ნათესვისა მოსრვასა. „ხოლო შევიდობთ თქუენ, ეტყოდეს, და ნატყუენავსაცა, რაო-დენსა შემძლებელ იქმნეთ მიღებად ყოვლისა მონათესვისა მიწისაგან“. ხოლო იგინი, განბჭობითა ღმრთისაჲთა მათ ზეღა ქმნილთაგან და უსამართლოები-სათეს მათისა გონებაზილებელნი, შთამოვიდეს ნამულსავე ნათესავსა, წყოღე-ბელთა რწმუნებულნი. ხოლო ისრაილიტთა დედაკაცი იავიტელნი, ოთხასნი ქალწულნი, მისცენს მათ და ორასთათეს უკუე გამოეიბდეს, რამთა იგინიცა. დედაკაცთა ღონიერქმნილნი, შვილიერ იქმნენ. ხოლო ვინათგან პირველ ბრძოლისა ქმნილ იყვნეს მათად ფიცნი, რამთა არავინ ვენიაშიტსა თან-შეა-ულლოს ასული, რომელნი ვიდრენე შეუტრაც-ყოფასა განიზრახვიდეს ფიც-თასა. ვითარმედ რჩხევით ფიცეს და არა ვონებითა და ბჭობითა. ხოლო წინა-აღმდგომი ღმრთისაჲ არარად იმოქმედონ, უკუეთუ ნათესვისა ყოვლისა, წარწ-ყმედად დაჭირვებულისაჲ, ცხოვნებამ შეუძლონ. ვინათგან ცრუფიცებანი, არა რაჲმს საჭიროებისათეს იქმნენ, ბოროტ არიან და ცთომილ, არამედ ოდეს ბო-როტმოქმედებით იკადრნენ. ხოლო ვინათგან მოხუცებულთა ასაწყალობელეს ცრუფიცებისა სახელი, ჰრქუა ვინმე მათ თქუმად დედაკაცთა ღონიერებასა ქო-ნებამ მათი და დაცვამ ფიცსა. ხოლო მათ ჰკითხეს რამ განზრახული, ნანდვლვე

¹ მოაკუდინნეს.

ტქუა: „სამგზის წელიწადსა შინა სილოდ აღსრულთა დღესასწაულობად შეუღ-
გებთან ცოლნი და ასულნი. ამათი აღტაცებით ქორწინებაჲ შეენდობვოდენ ვე-
ნაიპიტთა, რაოდენთაცა შემძლებელ იქმნენ, ჩუენსა არცა მაწუეველობასა,
არცა მაცენებელობასა. ხოლო მამათა მიმართ მათთა, განრისხებულთა და პა-
ტრცა მიღებად მალირსებელთა, ვქუენეთ იგინი მიზეზად, ვითარ უგულებელს-
ნყოფელნი დაცვასა ასულთასა. რამეთუ და ჭერ-არსცა რისხვასა დაცხრომად
ვენაიპიტთაგან, რომელთა იჯუმის იგი მსწრაფლ უზომოდ“, და მათ ვიდრემე,
ანისთა რწმუნებულთა, განბქვეს აღტაცებით ქორწინებაჲ ვენაიპიტელთაჲ.
ხოლო ვინათგან მოიწია დღესასწაული, ორასნი ვიდრემე, ორად და სამად,
უმზირდეს ქალწულთა, წინაშე ქალაქისა მოწვენულთა, ვენატა შორის და სო-
ფელთა, რომელთა შინა დაფარვად ეგულებოდა. ხოლო იგინი, განცხრომისა
თანა არაარს გულვებდთაგანისა განმხილველნი, დაუცველად მავლობდეს.
და იგინი უკუე განბნეულთა იპყრობდეს აღდგომილნი. და ესრეთ ვიდრემე,
ამათ ქორწინებულთა, მიიმართეს მუშაკობადთა ზედა ქუეყანისათა და მოურ-
ნეობაჲ ყვეს კუალად პირველსავე კეთილბედნიერობასა ზედა აღსლვისაჲ.
81 ვენაიპიტელთა ვიდრემე უკუე ნათესავი, დაჭირვებული სრულიად განხრ/წინი-
საჲ, პირველტქემულითა სახითა ისრაილიტთა სიბრძნისა მიერ ცხონდა და მე-
ყუესულად აღყუენა და მალაიდი სიმრავლისა მიმართ და სხუათა ყოველთა
გარდაცემაჲ. ესე ვიდრემე ბრძოლად ესრეთ დასცხრა.

თ. 3.

1*. ხოლო მსგავსი მათი დანიანისცა ნათესავსა შეემთხვა ივნებად მიზეზი-
თა ესევეთართა ამას ზედა მიყვანებულსა: ვინათგან ისრაილიტთა აწლად ბრძო-
ლათა შინა მოაკლდა კელოვნებაჲ და მუშაკობათა მიმართ იყვენეს ქუეყანისათა,
ხანანელნი, შეურაცხისყოფელნი მათნი, მქონებელ იყვენეს ძალსა, თვთ არაარს
ვნებად მომლოდენი, ვითარ მტკიცესა სასოებასა მიმღებელნი ევრაველთა ბო-
როტ-ყოფისასა და მიერთგან მოცალებით ითხოვდეს სამკვდრებელ-ყოფასა
ქალაქთასა. და თანად უკუე ეტლთა შეკმზადებდეს და საჭურველსა შეაწყობდეს.
და ქალაქნი მათნი ერთგანზარახვა იყვენეს და იუდას თესლისაგან ასკარონ და
აკარონი მიიტაცეს და სხუანი მრავალნი ველის ზედათაგანნი. და დანიანთა
მთად აიბთლეს ლტოლვად, არცა მცირესა ველისაგან დამტევებელნი მათდა სა-
ვალად.

ხოლო მათ, ბრძოლად არა შემძლებელთა, თანად და ქუეყანასა არა მქონე-
ბელთა კეთილსა, წარავლინნეს თვსთაგან ხუთნი მამადნი ქუეყანის საშულად.
რამთა მოიხილონ ქუეყანაჲ, რომელსა გარდაემკვდრნენ. ხოლო იგინი, შორს
ლივანოლსა მთისაგან და ელასსონოლსა¹* იორდანისა წყაროთაგანისა დიდისა
მიმართ ველისა სიდონოლს ქალაქისა გზასა დიდსა ერთისასა¹ მკვლელნი და
მხილველნი ქუეყანასა კეთილსა და ყოვლად ნაყოფიერსა, აუწყებენ თვსთა
მათთა. და ესენი უკუე, მართებულნი, აღაშენებენ მუნ ქალაქსა დანაჲსსა, თან-
მოსახელესა იაკოვოლს ყრმისასა, ხოლო ნათესვისა მათისა თანსახელსა.

22*. ხოლო ისრაილიტთა უკუე წინა-უძლოდეს ბოროტნი თანად უმეტრე-
ბისათვსცა ტკივილთაჲსა და შეურაცხებისათვსცა საღმრთოჲსა, რამეთუ ერთ-
გზის მიდრეკილნი განწესებისაგან მოქალაქობათაჲსა, ვიდოდეს გემოლსაებრ
და ნებისა თვისისა ცხორებად, ვიდრელა და მახლობელთაცა ხანანელთა მიერთა

¹ ერთისა A.

* მსაჯ. 1,34; 18,1; 18,7—11. 1* მსაჯ. 5,178 (=მცირე, პატარა). 2* მსაჯ. 3,5.

ბოროტთაგან აღესებად. განურისხნების უკუე მათ ღმერთი და რომელი ტყი-
ვილითა ბევრეულითა მოიგეს კეთილბედნიერებაჲ, ესე წარწყმედეს შუებითა.
რამეთუ აღიმკვდრა მათ ზედა ხუსართოს, ასურთა მეფემან, და მრავალნი წინა-
განწყობილთაგანნი წარწყმიდნეს და მოოკრებულნი მრავალნი პყრობილნი
ქმნნეს. ხოლო არიან, რომელნი და შიშისათჳს ნებსით თვისით მივიტოლდეს მი-
სა, ხოლო ხარკთა უმეტეს და სატაოასთასა* ბრძანებულნი მისცემდეს და გინე-
ბათა მრავალფერთა მოითმენდეს ვიდრე რვათა წელთაღმდეგ, რომელთა შემუ-
გომად ბოროტთაგან ესრეთ განთავისუფლდეს:

31*. იუდაჲს ნათესვისაგან ვინმე, კენეაზოს სახელით, ბრძენმან მამაკაც-
მან და გონებითა მკნემან, იკუმია ესე, რაჲთა არა ხედვიდეს ისრაილიტთა
ესევითარსა ჳირსა შინა მდებარეთა, არამედ შეჰკადრა თავისუფლებად განყუ-
ნებაჲ მათი და შეჰმზადნა თანაშეწენად მისა ვიეთნრიჲ ჳირთა შინა, ხოლო
მციორენი იყვნეს, რომელთაჲ იყო კდებამ მამინ ქმნილთა ზედა და გულ-
მოდგინებაჲ ცვალებისაჲ. და პირველ ვიდრემე პარატისაჲ* სამცველოჲ ხუსარ-
თოასაჲ² განხრწნა, ხოლო ვინამთგან თანა-ექმნეს უმრავლესნი თანმოღუაწე-
თათანი, რაჲთა არა ეკუნენ პირველთა კელყოფისათა, ბრძოლაჲ შეაწყვეს ას-
სურელთა მიერ და, სრულიად მდევნელნი მათნი, განწაილებად ეფფრატსა აი-
ძულუბდეს. ხოლო კენეაზოს, ვითარ საქმით მიმცემელი გამოცდილებასა სიმჳ-
ნისა თვისისასა, პატივად ამის ძლით მიიღებს სიმრავლისაგან მთავრობასა, რა-
ჲთა სჯიდეს ერსა. და მმთავრობმან წელთა ორმოცთა, დაჰქცია ცხორებაჲ.

თ. 4.

13*. ხოლო ვინამთგან მიიცვალა ესე, კუალად ისრაილიტთა საქმენი/ მთავ-
რობისა მიერ სნეულუბდეს და არცა პატივით ყვანებისათჳს ღმრთისა, არცა
სჯულთა მორჩილებისა, მერმეცა უმეტეს ძვრ-ხილულუბდეს. და ვითარ შეუ-
რაცხისმყოფელთა მოქალაქობისა შათისა განწყესებათასა, ელლონ, მოავიტელ-
თა მეფე, მბრძოლად აღუდგინა მათ. მრავალთა ბრძოლათა მიერ მძლეველი მა-
თი და სხუათა გონიერებითა გარდამატებულთა დამმორჩილებელი. ვიდრელა
და ძალსაცა მათსა ყოვლითურთ დამდაბლებად და ბრძანებად ხარკსა მიცლად
მათგან. ხოლო ქენა და სამეუფოცა მისი იერისუნტოს შინა. და ამისი განმა-
ჩინებელი არა რომელსა სიბოროტისასა მოაკლებდა სიმრავლისა ნიშართ თანად
და სიგლახაკესა შინა დაადგინნა იგინი რვა ათთა წელთა, ზოლო მიიღო ღმერ-
თმან წყალობება, რომელთა ზედა იენებდეს და, ვედრებათა მათთა ზედა მოდ-
რეკილმან, იქსნნა იგინი მოავიტელთა გინებისაგან და განათავისუფლნა სახი-
თა ესევითარითა:

24*. ვენიმიტილოჲს ნათესვისაგან ჳაბუეკი, იუდის ვიდრემე სახელით, ხო-
ლო გირომის მამით, შეკადრებად ვიდრემე ახოვანი და სხეულსა საქმეთა მი-
მართ კუმევეად შემძლებელი, კელთაგან მარცხენითა უმჯობესი და მათ მიერ
ყოველსა ძალსა მქონებელი, დამკვდრებულ იყო ვიდრემე და ესეცა იერისუნ-
ტოს შინა. ხოლო საყუარელ იქმნების ელლონისა, ძლუნთა მიერ მშსახური მი-
სი და შედგომილი, ვიდრელა ამის ძლით ღმეფის ქუეშეთაცა საყუარელ იქმნა

* ხოსართოასაჲ.
* დრძევჲ რე თმ მყავითჲ მელქოჲჲ 5₁₇₉ (=ხარკს, რომელიც აღმატებოდა მათ შესაძლებ-
ლობებს). 1* მსაჲ. 3,9. 2* რაჲ! ან-ბის 5₁₈₃ (=მათ ზემოთ). 3* მსაჲ. 3.12. 4* მსაჲ. 3,15.
0 ესევითარი არს გონებაჲ.

იგი და ოდესმე, ორთა თანა შონათა ძლუნთა მომღებელი მეფისა და მახვლსა მალულად მარჯუნესა კართსა ქუეშე შემკრეელი, შევიდა მისა მიმართ. ხოლო ეპი იყო მკისა და აწლა განშეულებასა დღისასა დაქსნილ იყვნეს მკველნი სიეხისა მიერ თანად და სერობად მიდრეკილ. და ქაბუქმან უკუე მისცნა ძლუნნი ვლონს, რომელი იქცოვად სახლსა რომელსამე შინა, მარჯუნედ მკონებელსა მკისა მიმართ, და ზრახვად მიდრკა, ხოლო მარტონი იყვნეს, ვინათგან მეფემან განსლვად უბრძანა შემაველთა იუდის მიმართ ზრახვისა ძლით, და მკლომარე იყო საყდარსა ზედა, ხოლო შიში შევიდა იუდისსა, ნუსადა არა შეემთხვოს და არცა სცეს სრულიადი წყლულებაჲ. აღადგინა უკუე იგი, მეტყუელმან ჩუენებასა ქონებად ბრძანებისაგან ღმრთისა და ცხადყოფად მისდა. და იგი ვიდრე სიხარულისაგან ჩუენებათამსა აღვლნა საყდრისაგან. ხოლო იუდის, გულსა ზედა მწყლველი მისი და მახვლსა დამტეეებელი, განვიდა, დამკრძალველი კარისაჲ. და მსახურნი უკუე დაწყნარებულ იყვნეს, ძილად მეკუენნი მეფისანი მიდრეკად.

3*. ხოლო იუდის, იერიხუნტელთა მაუწყებელი ფარულად, ევედრებოდა თანსტფლებასა მიღებად. და იგინი, სიხარულით მსმენელნი, თვთ საქურველთა მიწართ ვიდოდეს და თანად წარავლუნდეს სოფლითი-სოფლად მაუწყებელთა რწითა ცხოვართათა, რამეთუ ამით მიერ იყო მამული სიმრავლე წოდებისაჲ. ხოლო ელონის ქუეშენი მრავალსა ვიდრემე ეამსა უმეცრებდეს შემთხუეულსა მისდა ვნებასა. და ვინათგან უკუე მწუხრი იყო, შეშინებულნი¹, ნუსადა უაულესნი² რამე იყოს მის ზედა ქმნილი, შევიდეს სახლად და, მკუდრად მკოვნელნი. ულონობასა შინა იყვნეს. და პირველ სამკველომსა განკრძალვადმე ისრაილიტთა სიმრავლე მივიდა/მათ ზედა და რომელნიმე მეყუსუელად მოსრჩნეს³, ხოლო სხუანი ღტოლვად მიდრეკებიან მოავიტოდ, ვითარ ცხოვნებად მტეველნი. ხოლო იყვნეს უმრავლეს ბევრთასა. და ისრაილიტნი უკუე, წინადამკრობელნი იორდანისაჲ განსავალსა, მდევნელნი მოსრვიდეს და წილ სავალსა ზედა მრავალნი მათგანნი მოსრჩნეს და არცა ერთი ვინ განველტო ქელთა მათთა.

ეგრავლნი ვიდრემე უკუე ამით საბითა იცვალნეს მოავიტელთა მონებისაგან. ხოლო იუდის, ამის მიწეზისათვს პატივეცემული მთავრობითა ყოვლისა სწრავლისაჲთა, აღსრულდა წელთა ორმოცთა დამკრობელი მთავრობისაჲ. მანკაცი და გარემე პირველთქუმულისაჲცა საჭმისა ქებასა სამართლად მისამთხუეველი. და შემდგომად ამისა სანაღაროს, ანათომს ყრმამან, მკურობელმან მთავრობისანან, პირველსა წელსა შინა მთავრობისასა დააქცია ცხოვრებაჲ.

თ. 5.

12*. ხოლო ისრაილიტნი კუალად, რამეთუ არაჲს სწავლისა მიმართ უმკობესათასა მიჩნუმიდეს პირველთა ბედნიერობათაჲ არა მსახურებისათვს ღმრთისა, არცა მორჩილებისათვს სჯულთამსა, პირველ ვიდრე მკირედ აღმოფშუნვადმე მოავიტელთა მონებისაგან, ავიტომს მიერ, ხანანელთა მეფისა, ღაიმონეს, რამეთუ ესე ასოროთ მყოფი, ხოლო ესე ზენა კერძო მდებარე არს ამანონტიდომს ტბისა, მკედრობასა ვიდრემე აღკუთრვილთა ოცდაათთა ზრდიდა ბევრთასა, ხოლო ბევრთა ცხენოსანთასა და ღონიერ იყო სამ ათას-

¹ შეგნებულნი AQ, მსომავც 5₁₉₅. ² იურდანისა.

³ მსაგ. 3,26. ^{1*} წმინდოც 5₁₂₅ (=უჩუეული). ^{2*} მსაგ. 4,1. ^{3*} წმინდოც 5₁₉₈ (=უბეღურებათა).

თა ეტლთა. ამის უკუე ძალისა მკედართმეყანებელმან სისარის, პატეგსა პირ-
ველსა მეფისა მიერ მიმთხუეულმან, მისდა მიმართ მისრულნი ისრაილიტნი
განამწარნა ფრიად, ვიდრეღა და ხარკთა მიყდად ბრძანა მათგან.

2*. ოცნი ვიდრემე წელინი ესრეთ ძვრხილულთა აღსარულნეს, ვინამთ-
გან არცა ივინი კეთილგონიერ იყვნეს ძნელბედობისა მიერ და ღმერთსაცა უმე-
ტეს ეგულებოდა დამდაბლებამ მათი შეურაცხებისათჳს და უჯულსწმოვბისა
მისისა მიმართისა. და უკუნადასკენელთა, გონიერქმნილნი და მსწავლელნი გან-
საცდელთა მათთან სჯულთა შეურაცხებისათჳს ქმნილთანი, დევორას¹ ვისმე
წინაწარმეტყუელსა, ხოლო ფუტკარსა მოასწავებს სახელი ვერაელთა ენისა-
ებრ, ევედრნეს ვედრებად ღმრთისა და მოღებად მათთვის წყალობასა და არა
გარემიქცევად მათ, წარწყმედულთა ხანანელთა მიერ. ხოლო ღმერთმან მოიხი-
ლა ცხორებისა მათისათჳს და მკედართმეყანებელად გამოიჩინა ვარაკოს.
ნეფთალიბრდოას² ნათესეით მყოფი. ხოლო ვარაკოს არს ელვად ებრაელთა
ენისაებრ.

32*. მომწოდებელმან უკუე დევორა ვარაკოს, ბევრთა კაბტკთა აღმრჩე-
ველისამან უბრძანა მიმართებამ მბრძოლთა ზედა, რამეთუ ესოდენ ჳერ-არს,
ვინამთგან ღმერთმან წინაწარ-ალუთქუა და ძლევად აუწყა. ხოლო ვარაკოს ვი-
ნამთგან თქუა არა მკედართმეყანებლობად, უკუეთუ არა ივიცა მის თანა მკე-
დართმეყანებელ იქმნეს, მან, განრისხებულმან, „შენ ვიდრემე, ჳრქუა, დედა-
კაცსა მიუტეეებ პატეგსა შენსა, რომელი შენ მოგცა ღმერთმან, ხოლო მე არა
ვიჯმნი“. და, შემკრებელნი ბევრეულთანი, განწყყენეს მახლობელად იტავერი-
ოას მთისა. და შეემთხვა მათ სისარის, ბრძანებითა მეფისამათა, და განწყყენეს
ივინიცა არა შორს / მბრძოლთაგან. ხოლო ისრაილიტნი და ვარაკოს, განკრთო-
ვილნი სიძრავლესა მბრძოლთასა და უკუნქცევად მეცადინი, დევორა დაყენ-
ნა და ბრძოლისა ქმნამ უბრძანა მას დღესა შინა, ვინამთგან სძლონ მათ
ღმრთისა თანაშეწყენითა.

4. მივიდეს უკუე და იწყვნეს რამ. ვიეთნიმე წჳმად იქნნა დიდი და წყალი
ფრიადი და სეტყუამ. და წჳმასა ვიდრემე პირისა მიმართ ხანანელთამასა მიი-
ყვანებდა ქარი და დაუბნელებდა თუალთა მათთა, ვიდრეღა და მშველნიცა
მათნი უკმარ იქმნნეს და შურდულნი. და აღტურვილნი უკუე ყინელისა მიერ
კუმევესა მახვლთასა არა შემბილებლ იყვნეს. ხოლო ისრაილიტთა უმცირეს
აგნებდა უკუნამთ კერძო ქმნილი ჳამთარი. და განზრახვისაებრ ღმრთისა ნე-
წყენისა სიმკნესა მიიღებდეს, ვიდრეღა საშუალ შემამინებელნი მბრძოლთანი
მრავალთა მათგანთა მოსრვიდეს. და რომელნი ვიდრემე ისრაილიტთაგან, ხო-
ლო სხუანი თვსთა ცხენთაგან შემბრდულელნი დაეცეს და ნრავალნი ეტლთა
მათთაგან მოკუდეს. ხოლო სისარის, შთაყრდომილი ეტლისაგან, ვითარ იხილა
ქმნილი ძლევამ, მტოლველი მიიწია დედაკაცისა ვის მძმართ კენელდთადასა.
იარლის სახელით, რომელმანცა, დანალვად მვედრებელი, შეიწყყარა და სასუ-
მლისა მთხოველსა სძე, აწვეე განწრწნილი, მისცა. და იგი, უმეტეს საზოპისა
მსუმელი, ძილად მიდრკა, ხოლო იაილი, რკინისა სამსკუალსა განმწონელმან,
მძინარე დამსკუალა იატაკსა ზედა და შემდგომად მცირედისა ვარაკომან თან-
თა მოსრულთა უჩუენებდა ქუეყანასა ზედა დამსკუალულსა. ესრეთ უკუე
ძლევად ესე დედაკაცისა იქმნა, დევორაჲს მიერ თქუმულთაებრ, ხოლო ვარაკოს

¹ დევორანს AQ. Δεβόραჲჲ 5₂₀₀ (აქ. ბრ-ის ო მთარგმნელმა ფუძისეულად მიიჩნია).

² მსაჯ. 4,3. * ოჲჲ Nεφθαλιμίδης 5₂₀₁, ნეფთალიმიდოს S. 2* მსაჯ. 4,6; 4,15; 5,31.

განმკვდრა ასოროს ზედა და იაეინოს, წინააღმდეგომელი მისდა, მოაკუდინა¹. ხოლო მკვდართყვანებელი რაჲ დაეცა, იატაკად დაამკუა ქალაქი და მკვდართ-მყვანებელი იყო ისრაილიტთა წელთა ორმოცთა.

თ. 6.

1*. ხოლო ვინაჲთჳან აღსრულდა ვარაკოს და დევიჯრა ერთსა ქამსა შინა, ანისა შემდგომად მადიანტიტონი ევედრნეს ამალიკიტთა და არავეთა და ილიმ-კედრეს ისრაილიტთა ზედა და ბრძოლასა შინა სძლეს განწყობილთა, ხოლო ნაყოფი უჩინო-ყვეს და ნატყუენავსა წარიღებდეს. ამას რაჲ უკუე მოქმედ იყვნეს შველთა წელთა შინა, მათთა მიმართ უკუნ-ვიდა სიმრავლე ისრა-ილიტთაჲ და ველთაჲან მიპრიღებდეს, მთხრებლთა და ქუაბთა შინა განმყოფელი ყოველი, რომელი განევლტო მბრძოლთა და ამათ შინა დამფარველ იყვნეს. რამეთუ მადიანტინი, ქამსა მკისასა აღმკედრებულნი, ზამთარსა შინა მუშაკობად აწუეცდეს ისრაილიტთა, რაჲთა აქუნდეს შრომათა მათთაჲან, რომელნი ევნებინან, ხოლო სიყმილი იყო და ნაკულუევანებჲა საზრდელისაჲ. და მოიქცევიან ღმრთისა მიმართ ვედრებად, ცხოვნებისათჳს მათისა მკედრებელ-ნი.

21*. ხოლო გედონ, იასოჲს ყრმაჲ, მანასიდროჲს ნათესეისაჲ, მკელეულთა კუვილთასა მომღებელი, ფარულად საწნეხელსა შინა მოსრვიდა, რაჲეთუ მბრძოლთაჲან ემინოდა ქმნად ამის ცხადად კალოსა ზედა. ხოლო გამოჩინება-სა მისდა ოცნებისა სახითა ჳაბუქისაჲთა და მეტყუელისა მისდა კეთილბედ-ნიერად და საყუარელად ღმრთისა, მიმგებელმან ესე ჳკუქუა: „ღიდ სასწაულ კეთილბედნიერობისა მისისა საწნეხელისა ნაცელად კალოსა კუშევაჲ?“ ხოლო მან სიმკნე უბრძანა და სწრაფჲა განახლებად თავისუფლებასა. და იგი უკუე ⁸³ შეუძლებელ-ქონებასა ეტყოდა, ვინაჲთჳან / ნათესავი, რომლისაჲან არს, სიმ-რაცლისა ნაკულუევან არს და იგი ჳაბუქ არს და ესეეთართა საქმეთა შოგონე-ბისა უფძლურეს. ხოლო მან ღმრთისა მიერ სრულ-ქმნაჲ ნაკულუევანებისაჲ აღუთქუა და ძლევასა მინიჭებჲა ისრაილიტთად მკედრობასა შინა მისსა.

32*. ამისი უკუე გედონ, ჳაბუქთა ვიეთჲე მიმთხრობელი, ირწმუნებდა და მყუსუელად ღუაწლთა მიმართ შხა იყო მკედრობაჲ ბევრთა მამაკაცთაჲ. ხო-ლო ღმერთი, ძილსა შინა წარმოდგომილი გედონისდა, კაცობრივისა ბუნებისა დიდებისმოყუარობასა ცხად-ყოფდა და სათნოებითა გარდამატებულთა მი-მართ მოშურნეობასა და რამეთუ ძლევასა მიმღებელნი, ღმრთისად საგონებელ-სა, თჳსად შეპრაცხონ, ვითარ ერმრავალ მყოფნი და მბრძოლთა მიმართ ღირს-შესამბხეველნი. რაჲთა უკუე ისწაონ შეწევნისა მისისა საქმე, განაზრახებდა საშუალსა დღისასა და განძლიერებასა სიცხისასა მიყვანებად მკედრებასა მდი-ნარესა ზედა: და რაოდენნი ვიდრემე დადრკენ და ესრეთ სუან, მკნედ საგონ-ებელ იქმნენ იგინი, ხოლო რაოდენნი მოსწრაფებით და შეშფოთებულად მსუ-მელ იქმნენ, ესენი მოშიშ და განკართომილ საეკუელ იქმნენ მბრძოლთაჲან. და ქმნა ესე გედონ მკნებათაებრ ღმრთისათა. და სამასნი მამაკაცი იპოვნეს კელ-თა შიშით მიმღებელნი წყლისანი შეშფოთებულად. და ამათი მიყვანებაჲ თქუა ღმერთმან და კელ-ყოფაჲ მბრძოლთა მიმართ. და ჳანმკედრებოდეს ზენა კერძო იორდანისა, მომავალსა დღესა მგულებელნი განწილებად.

¹ მოაკუდინა.

* მსაქ. 6,1. 1* მსაქ. 6,11. 2* მსაქ. 6,34; 7,2.

4*. ხოლო ვინაიდან გედეონ შიშა შინა იყო და რამეთუ ღამით კელ-ყოფა ემცნო მისდა თჳს ღმერთსა, შიშისაგან გამოყვანებისა მისისა მნებე-ბელჳან უბრძანა ერთისა მკედართაგანისა მიუყენება და ზახლობელად მადი-ანიტელთა ბანაკისა მისლვამ, რამეთუ „მათგან შიილო სიბრძნე და სიმკნე“. ხოლო რწმუნებულ წარვიდა, მის თანა მიმყვანებელი მსახურისა მისისა მკვე-ლისაჲა^{1*}. და მიანლებულმან ბანაკსა რომელსამე, პოენა ზას შინანი მღვცარედ. და ერთი ჩუენებასა მიუთხრობდა თანამოკარგესა, ვიღრე სმენადცა გედეონი-სა. ხოლო იგი ესევიტარი იყო: პაქსიჲადი საგონებელ იყო ქრთილისაჲ, უნდო-ბისათჳს კაცთა მიერ უქამადი. და, საშუალ მკედრობისა შთაგორვებული, მო-იწია ბანაკსა მეფისასა და ყოველთა მკედრობათასა. ხოლო სნუჲმან მოსრევასა მკედრობისასა ჩუენებისასა მოსწაგებამ საჯა, მეტყუელმან, ვინაჲთგან „ამას გულსკმის-ყოფად მოვედ მის მიერ, ყოველი თვისლი, ქრთილისად წოდებული, უუნდოჲად აღსარებულ არს. ხოლო ყოვლისა ასიანელისა ისრაილიტთაჲ არს აწ ნათესავი უპატრიად ქმნილად სახილველი და მაგავსი ქრთილისა ნათესავი-საჲ. და ისრაილიტთა შორის უკუე აწ დიდმბრძობი ესე სადნე იყოს გედეონ და მის თანაჲ მკედრობაჲ. ვინაჲთგან უკუე პაქსიჲადსა იტყე ხილვად ბანაკთა ჩუენთა შემარყვევლად, მეშინის, ნუსადა ღმერთმან ჩუენდა მომართი ძლევაჲ მიანიჭა გედეონს“.

52*. ხოლო გედეონ, მსმენელი ჩუენებისაჲ, სასობეზმან კეთილმან და სიმ-კნემან იპყრა და უბრძანა თჳსთა საჭურველთა შინაგან ქმნაჲ, მიმთხრობელ-მან მათდა და ჩუენებასაცა მბრძოლთასა. ხოლო იგინი ნა იყენეს მმენებულთა მიმართ, განმცნობილი უწყებულთაგან. და მეოთხესა საჭურვილასა მიიყვანა მკედრობაჲ მისი გედეონი, სამად ნაწილად განმყოფელმან მესმან, ხოლო ასნი^V იყენეს თითოეულსა შინა. და მიმღებელ იყენეს ყოველნი ჰურკელთა ცალი-ერთა და ლამპართა აღნთებულთა, ხოლო ზედმისლვამ მბრძოლთა ზედა არა პარეით იყოს^{3*}. და მარყუენესა კელსა აქენდა რქაჲ ვერძისაჲ, რამეთუ ამით იტუმვედეს ნაცვალად საყვრთა. ხოლო ადგილი დიდი დაეპყრა მკედრობასა მბრძოლთასა, რამეთუ შეემთხუეოდა მათ მრავალ-ყოფაჲ აქლემთაჲ. და, ნათესავითი-ნათესავად განყოფილნი, ადგილსა ერთსა შინა იყენეს ყოველნი. ხო-ლო ევრთელთა წინაწარტქემელისაჲჲ მათდა მიმართ გედეონის მიერ, ეთარ-მედ რაჲამს ზახლობელ იქნენ მბრძოლთა, ერთბამად საყვრითა კმა-ყონ და ჰურკელნი განტეხნენ, ლამპრებიტა მიმართებულთა და მკმობელთა ძლევაჲ ქმნეს ღმერთისა თანაშეწვენიტა გედეონისდა. ხოლო შფოთმან და შიშმან იპ-ყრნა კაცნი, მერმეცა მძინარენი, რამეთუ ღამე იყო და ღმერთსა ენება ესე. მოისრკოდეს უკუე ციკრედნი ვიდრემე მბრძოლთა მიერ. ხოლო უბრავ-ლესნი — თანაშემწეთაგან განყოფილებისათჳს ენისა და ერთგვის უკუე შთა-ერდომილნი შფოთსა, ყოველსა მათდა მიმთხუეულსა მოსრვიდეს, მბრძოლთად ყოფისა მეჭუელნი. და ერთბამად კლვამ იყო. და კამა გედეონის ძლევისაჲ ის-რაილიტთა მიერ მიიწეოდა. და საჭურველთა შინა იყენეს და, მდენენლნი, ეწე-ვიან მბრძოლთა ღელესა რომელსამე შინა, ადგილსა ლუაროვანთა, მთბრე-ბლთა მიერ გარემოცულსა. არა შემძლებელთა სიღრმისა ძლით განწილდებად. და გარემოდგომილნი მოაკუდენენ ყოველთა და ორთა მეფეთა, ორიგონ და ზი-ვონ. ხოლო ნეშტნი მთავართანი, მიმყვანებელნი დანეშტებულთა მკედართა-ნი, რომელნი იყენეს ვითარ ბევრ და რვა ათას, განეწყენეს ფრიად შორს ისრა-

* მსაჯ. 7,9. ^{1*} Φρουρῶν 5219 (საქ. სახ. თარგმნილი). ^{2*} მსაჯ. 7,15. ^{3*} ἄνω μὴ ἀνά-στροφος τοῖς πλοῦστοις ἢ ἐξουίως ἀναστροφῆς 5223 (=ართა მტრებისთვის დაუარული ყო-ფილიყო მათი მისელა). D: დაფარვით.

ილიტაჰან. ხოლო გედეონ არა მომედგრდებოდა შრომათაგან, არამედ მდევ-
ნელჰან ყოველისა მკედრობისათა და მბრძოლჰან, ყოველნი მბრძოლნი განხრ-
დნა. ხოლო ნეშტნი მთავარნი — ზევეინ და ზარუენი ტყუედ მიიყვანნა. მოკუ-
დეს ეუთუ ბრძოლასა მას შინა მადიანიტელთაგან და თანააღმკედრებულთა
მართა არავთა ათორჰეტნი ბევრნი. ხოლო ნატყუენავი ფრიადე: ოქროს და
ვეცხლი და ნაქსოვნი და აქლემი და კარაულნი მიიყვანნეს ევრაელთა. ხოლო
გედეონ, მამულად თესად, ეფრანად, მიწვენილჰან, მოაკუდინნა მადიანიტელთა
მეფენი.

6*. ხოლო ეფრემოის ნათესავი, დამძიმებული წარმართებასა ზედა გედე-
ონისასა, აღმკედრებასა მის ზედა მეცადინობდა, მამბრალბელი არა უწყებასა
მაუდა გელ-ყოფისასა მბრძოლთა მიმართ. და გედეონ უკუე, ბრძნად მყოფი
და ყოველსა სათნობასა სწავლული, ეტყოდა არა თავით თვისით ზედდადებ-
სა მტერთასა გარეშე მათსა თვთმპყრობელისა გონებასა მკუმეველი, არამედ
ღმრთისა ბრძანებითა. ხოლო ძლევასა არა უმციერეს მათთვისად იტყოდა,
ვიდრე აღმკედრებულთად. და ამათ* სიტყუათა მიერ ნუგეშინისმცემელი
რისხვისა მათისა, ევრაელთა მარგებელ იქმნა ბრძოლათა ზედა განმარჯუებითა,
რათა ნათესავობითისა ელომისა დაწყებად მგულებელნი იქსნნა. და ამის ვიდ-
რემე გინებისა პატივი ზღო ნათესავჰან, რომელი ცხად-ვევით ჟამსა თვისსა.

71*. ხოლო გედეონ, დატევებად მგულებელჰან მთავრობისამან, იძულე-
ბულჰან იპყრა იგი წელთა ორმოცთა და მიანიჭებდა მათ სამართალთა და
8: მრავალთათეს, მათ ზედა მოსრულთა. მტკიცე უკუე იყვნეს ყოველნივე მის
მიერ თქუმულნი. და იგი ვიდრემე, დაბერებული, აღსრულდა და ეფრემოის
შინა მამულსა დაეფლა.

თ. 7.

12*. ხოლო ყრმანი¹ ვიდრემე მისნი საკუთარნი იყვნეს სამეოცდაათნი²,
რამეთუ მრავალთა ექორწინა ცოლთა, ხოლო უცხოა — ერთი, ხარკისაგან
დრუმამსა, ავიმელეხოს სახელით, რომელიცა, შემდგომად მამისა თვისისა აღს-
რულებისა წარსრული სიკიმად, ნათესავთა მიმართ დედისათა, რამეთუ ამიერ-
იყო, და მიმღებელი ვეცხლისა მათგან, რომელნი სიმრავლითა უსამართლოე-
ბათათა საჩინო იყვნეს, მიიწია მათ თანა მამულად სახლად და მოაკუდინნა³
ყოველნი ძმანი, გარეშე იონათომსა, რამეთუ ცხონდა ესე განლტოლვისა მიმ-
თხუეულ. ხოლო ავიმელეხოს მძლავრებად საქმენი გარდაცვალნა, ხოლო ნაცვ-
ლად სჯულიერთა თავისა თვისისა განმჩენელჰან უფლად, რომელიცა რაჲ ენე-
ბოს ქმნად, და ძნიად მწარე იყო წინამდგომელთა მიმართ სამართლისათა.

23*. და ყოველ საეროჲსა დღესასწაულისა ქმნასა სიკიმელთა შორის და
ყოელისა სიმრავლისა მუნ შეკრებულობასა, ძმაჲ მისი იონათის, რომლისა-
ცა განვლტოლვიჲ ვაჭუთ, აღსრული მათსა ზედა ღარიზინსა, ხოლო ესე ზე-
ნა კერით მდებარე არს სიკიმელთა ქალაქისა, სასმენლად სიმრავლისა მისდა
დაწყნარებასა მიმნიჭებელისა მკომბელი, ევედრებოდა სწავლად მის მიერ
თქუმულთა. ხოლო ვინათგან დუმილი იქმნა, თქუა, ვითარმედ ხენი, კაცობრი-
ვისა კმისა განმტევებელნი, ერთბამად შეკრებილნი ევედრნეს ლელუსა მთავ-

¹ ყრმან AQ. ² ოცდაათნი AQ, *ἑβδονακιστον* 5,23. ³ მოაკუდინნა.
* მსაჯ. 8,1, 1* მსაჯ. 8,22; 8,28. * მსაჯ. 8,30; 9,1. * მსაჯ. 9,7.

რობად მათდა. ხოლო მან ვინაიდან უარ-ყო, თვსთა წაყოფთაგან მიძღებელო-ბისათვის თვისსა პატივსა და არა სხუათაგან გარეგან ქმნილსა მისდა, ხენი ზრუნვასა მთავრობისა ძლითსა არა დაუტეობდეს და ჭერ-უჩნდა მათ ვენაქიად მიტევებაჲ მინიჭებაჲ პატივისაჲ. და ეენაქი, კელთდა¹ ახმაღი, ლელვსა მსგავსთა სიტყუათა მკუმეველი, იქმნიდა მთავრობისაგან. ხოლო ვინაიდან და ზეთის-ხილთაცა ესრეთვე ქმნეს, მაყუალმან, რამეთუ ევედრნეს მას ხენი, რათა მიიღოს მეფობაჲ, ხოლო ცეცხლისა მიმართ კეთილი შეშათაგან არს, აღუთქუა მთავრობასა მითუალვად და უმცონაროდ ქონებაჲ: და ჭერ-არსა უკუე მათი აჩრდილსა მისსა ქუეშე ყოფად, ხოლო უკუეთუ ძვრსა განიზრახვიდენ მის ზედა, შინაგან მყოფისა ცეცხლისაგან განიზრწნენ. „ამათ უკუე არა სიცილით ვიტყუ, რამეთუ მრავალთა კეთილთა გედეონის მიერ მიმბტუეულნი, უგულუ-ბელს-ჰყოფენ ავიმელეხოს, ყოველთა საქმეთა ზედა მყოფსა, მის თანა მოჰა-კუდინებელნი ძმათანი, რომელი ცეცხლსა არაჲთ განეყოფვის“. და იგი ვიდ-რემე ამათი მეტყუელი, წარვიდა და იზარდებოდა ფარულად მათთა შინა წელ-თა სამთა, შეშინებული ავიმელეხოსგან.

3*. ხოლო შემდგომად არა მრავლისა, დღესასწაული რამ წარვიდა სიკი-მელთაგან, დევნეს ავიმელეხოს ქალაქისა და ნათესავისაგან, რამეთუ შეინანეს გედეონის¹ ძეთათვის მოკუდინებულთა. ხოლო იგი განიზრახვიდა ძვრის-ყოფა-სა ქალაქისასა. და ვინაიდან უკუე სთუელი მოიწია, შეშინებულ იყვნეს შეკ-რებად ნაყოფსა, ნუსადა რამ ბოროტი ყოს მათდა მიმართ ავიმელეხოს. და მოიწია მთავართაგანი ვინმე, გელის სახელით, აღკურვილთა თანა და ნათე-სავთა თვსთა. და ევედრნეს მას სიკიმელნი დაცვასა მინიჭებად / მათდა, ვიდ-^v რემდის მოისთულებდენ. ხოლო მან ვინაიდან შეიწყნარა ვედრებაჲ მათი, წარვიდეს, და გელისცა მათ თანა, მკედრობისა თვისსა მიმყვანებელი. და ვი-ნაიდან უკუე ნაყოფი უშიშად შეკრებეს და ისერებდეს² შეკრებულნი, აწვე ცხადად მკადრე იქმნებოდეს გინებად ავიმელეხოსსა. და მთავართა უკუე, სა-დარწოთა ზედა მიწევნილთა, გარემოჲს ქალაქისა მრავალნი ავიმელეხოსნი, ჰყრობილნი, განზრწნეს.

41*. ხოლო ზაველოს ვინმე, სიკიმელთა მთავარი, მოყუარედ მყოფი ავი-მელეხოსს, წარმავლენელი მიმბტობელთაჲ აუწყებდა მას, თუ ვითარ აღად-გენდა ერსა გელის. და განაზრახებდა მზირებად წინაშე ქალაქისა, რამეთუ არწმუნოს გელის განსლვად მისა მიმართ. და მიერთგან მის ზედა იყოს, რა-მთა შურ-იგოს. რამეთუ უკუეთუ ექმნეს ესე, დაეგოს იგი ერსა. და ავიმელეხოს ვიდრემე ჭდა მზირად, ხოლო გელის განუტრძალველად იქცეოდა წინაშე ქა-ლაქისა და ზეველოსცა. და აღკურვილთა მომავალთა მხილველმან გელის ზეველოსს მიმართ თქუა კაცთა აღკურვილთა მათ ზედა მოსლვად. ხოლო მან ჰრქუა, ვითარმედ კლდეთა აჩრდილნი არიან. და ვინაიდან მახლობელ იქმნნეს ზედმიწევნით, განმცდელი იტყოდა: „არა აჩრდილნი არიან ესენი, აჲამედ მზი-რი მამაკაცთაჲ“. ხოლო ზეველოს ჰრქუა: „არა შენ აყუედრებდია სიბოროტი-სათვის ავიმელეხოსს? რასათვის არა აჩუენებ სათნოებისა სიდიდესა, ბრძოლისა მყოფელი მის თანა?“ ხოლო გელის, შეშფოთებული, განეწყო ავიმელეხო-სსთა. და დაეცნეს ვიეთნიმე მის თანათაგან და იგი უკუე ივლტოდა ქალაქად, მიმყვანებელი ნეშტთაჲ. ხოლო ზეველოს განიზრახა განდევნად გელისნი ქალა-ქით, მამბრალბელმან, ვითარმედ დაქსნით ილუაწა ავიმელეხოსს მკედართა მი-

¹ გედეონის¹ ძეთაგან. ² ისერებენ A, ისერებდენ Q.

• მსაყ. 9,23. 1* მსაყ. 9,30.

მატ. ხოლო ავიმელეხოს, ვითარცა ისწავა კუალად განსლვამ სიკიმელთამ სთელად. სამატუროთა შინა მზირ იქმნა გარემომს ქალაქისა. და ვინამთგან განჯვლეს, მესამე ვიდრემე ნაწილი მკედრობისა მიიწა ბქეთა ზედა, რამთა მიალონ მოქალაქეთაგან შესავალი, ხოლო სხუანი განბნულთა სდევნიდეს და ყოვლენ კლვამ იყო. და აღმომხრელი იატკად ქალაქისა, წარვიდა. მარილია მთავრელ დაცემულთა ზედა, რამეთუ არა კმაყო ოკრებამ და სიკიმელნი ყოველნი ესრეთ წარწყმდეს. ხოლო რაოდენნი ველსა ზედა განბნულნი განვლტნეს ჰირსა, ესენი, შეკრებილნი კლდესა რომელსამე ზედა მტკიცესა, მას ზედა დაადგურეს და განეზადნეს აღშენებად მისა. ხოლო ეწია გონებასა მათსა ავიმელეხოს, მწაველი, მისლვად მას ზედა ძალითა და ტვრთსა სერტყოვინისა კვლისაგან თვთ მიმღებელმან და ადგილისა მის გარემომდებელმან, მსგავსად ენისა ჭინაჲ მკედრებსაცა უბრძანა. და ვინამთგან შალიად გარემომდებელ იქმნა კლდე შეშათა მიერ, მომრგულეობით აღუდგეს ცეცხლი, თანად რაოდენთა უფროსად აქეს ბენებად აღგზებად. და დიდსა აღადგენენ საკუმისსა და განვლტრა ვიდრემე კლდესა ზედა არა ერთი, არამედ ერთბამად ცოლთა თანა და შვილთა წარწყმდეს მამაკაცი ვიდრემე ხუთას და ათასნი, ხოლო სხუამ სიმრავლე — კმასყოფელი. და სიკიმელთა ვიდრემე ესე განსაცდელი შეემთხვა, უნეტესქმნილი მის ზედამსაცა მწუხარებისა, გარნა ფრიად სამართლად მამაკაცისა ზედა კეთილსმყოფელისა ესევითარისა ბოროტისა მოქმედთა.

35 5)⁶ ხოლო ავიმელეხოს, ბოროტთა მიერ სიკი/მელთამსა შემადარწუნებელი ისრაილიტთამ და უზნეთესთა გულისმთქუმელი ცხად იყო და არასადა გარემომწერელ იყო ქალსა, უკუეთუ არა ყოველნი წარწყმდიდა. და წარვიდა თიუათა ზედა¹ და ქალაქი ვიდრემე, ზედმისრულმან, იპყრა. ხოლო გოდოლი იყო მას შინა დიდი, რომლისა მიმართ ყოველი სიმრავლე მივიღტოდა, რომლისათვის ოკრებად განეზადებოდა. და მახლობელად ბქეთა მისრულსა მას დედაკაცმან, და ნატენსა რასმე წისქელისასა მიმღებელმან, თავსა ზედა მიამთხვა, ხოლო ავიმელეხოს, დაცემული, ევედრებოდა მსახურსა მოკუდინებად¹ მისა, რამთა არა დედაკაცისად შეირაცხოს სიკუდილი მისი. წინამე მდგომელი ვიდრემე ბრძანებულსა იქმოდა. ხოლო მას ესევითარი პატყი მიეკადა ძმათა მიმართისა უსჯულოებისათვის და სიკიმელთა მიმართ მის მიერ კადრებულთათვის. ხოლო ამათ იონათის მისნობისაებრ განსაცდელი შეემთხვა. და ავიმელეხოს ვიდრემე მკედრობამ, ვინამთგან დაეცა იგი, განბნული წარვიდა თვსად ადგილად.

6². ხოლო ისრაილიტთა მთავრობამ იაირის ვალადინელმან, მანასსიტიდო-მს ნათესვისაგანმან, მიიღო, მამაკაცმან სხუათაცა შინა კეთილბედნიერმან და ყრბათა კეთილთა მოქმედმან, ოცდაათთა რიცხვთ ვიდრემე, ხოლო ცხენთა ზედა რჩეულთა და დალაადისა ქალაქთა ზედა მთავრობისა მიმღებელთა. ესე, ორთა და ოცთა წელთა მთავრობასა მპურობელი, აღსრულდა, დაბერებული და დამამერალი. საფლავსა ღირს-იქმნების ქალაქსა შინა დალაადისასა³.

7⁴. ხოლო ევრელთანი ყოველნი უპატიობებად ღმრთისა და გინებად სჯულთა მოიხუმიდეს და შეურაცხისმყოფელნი მათნი ამალიტელნი და პალესტანელნი მკედრობითა დიდითა მიიტაცებდეს სოფელსა მათსა. და პერრეამსა

¹ მოკუდინებად.

² მსაქ. 9,50. ¹ ἐπί Θίβας S₂₃₁. S: თივად. ² მსაქ. 10,3. ³ ἐν Καμίον πσιλει τῆς Γα-
 Ἰαბήης S₂₅₆, კამონეს შინა, ქალაქსა დალაადისასა S. ⁴ მსაქ. 10,6.

ყოველისა მპყრობელნი და ნეშტთაცა მოგებისა მიმართ განსლვად მკადრე იყვნეს. ხოლო ვერაელნი, განბრძნობილნი ბოროტთაგან, ვედრებად ღმრთისა მიმართ მიიქცეოდეს და მსხუერპლთა მიიღებდეს და ევედრებოდეს მას, რაჲთა, მოწილელემან და ვედრებისა მათისა მსმენელმან, დააცხრვოს რისხეამ. ხოლო ღწერთმან, ქცეულმან მშვიდისა მიმართ, იხება შეწევნამ მათი.

8*. ხოლო ვინაჲთგან განიმკვდრეს ამმანიტელთა ღალაადინსა ზედა, მსოფლონი მიიმართებოდეს მთისა მიმართ, მოქენენი მკედართმყვანებლესანი. ხოლო იყო ვინმე იაფთას, მამაკაცი მამულისა სათნოებნათეს ძლიერი და თვისისა მკედრობისა მიმართცა, რომელსა ზრდიდა იგი სასყიდლით. ამისა და მიმართ წარმავლენელნი ევედრებოდეს მას თანამეწევნად მათდა, აღმოქუმელნი მინიჭებად მისდა თვისა მთაერობასა ყოველსა ჟამსა. ხოლო მან არა შეიწყნარა ევედრება მათი და მამბრალბელმან, ვითარმედ არა შეეწინეს მას იგინი, ძმათა მიმართ თვისთა უსამართლოებულსა ცხადად, რამეთუ არა ერთისა დედისაგან ძმადმყოფი მათდა, არამედ უცხოა დედით, ტრფიალებისა ძლით გულისთქუმიითისა მოწვენილისა მათ ზედა, განდევნეს იგი, შეურაცხინყოფელთა უძლურებისა მისისათა. და იგი უკუე იქცეოდა სოფელსა შინა, ღალაადტო წოდებულსა. ყოველთა, ვინაჲე მისა მიმართ მისრულთა, სასყიდლით შეიწყნარებულნი. ხოლო იგინი ვინაჲთგან ევედრნეს მას და ეფუცენეს ნთჯრობასა საპარადისოსა მინიჭებად მისდა, განიმკვდრა.

9*. და ქმნა მალიადი საქმეთა ზედმოურნეობაჲ, მასთათისა ქალაქსა შინა განმა/წყობელმან მკედრობისამან და ვედრებაჲ წარავლინა ამმანიტელისა მიმართ, მამბრალბელმან ოკრებისამან. ხოლო მან ნაცკლად წარავლინა და აბრალეზდა ისრაილიტთა ეგვპტით გამოსლვასა, ამცნებდა მათ და ამმორეაისაგან წარსლვასა¹, ვითარ მამულად თვსად დასაბამითგან ყოფსა მეტყუელი. ხოლო იეფთას ნაცკალ-უგო, ვითარმედ არცა ამმორეაისთეს სამათლად აბრალბენ მნობელთა მათთა, უფროსლდა თანა აწ მადლსა მიცემად მათდა ამმანიტილოისთეს დატევეზულსა, რამეთუ შესაძლებელ იყო მოვისისა და ამისიცა მიღებაჲ. და წარსლვამ უკუე თვისისა ქუეყანისაგან ჰრქუა, რომლისაჲცა მიერ იზარდებინან, ღმრთისა მიერ ნოგებულისა შემდგომად სამასთა წელთა და მათდა მიმართ ბრძოლად მიუმცნო.

102*. და მოხტეებულნი ვიდრემე, ამათმან მეტყუელმან, განუტევენა. ხოლო მან ილოცა ძლევისათეს და მსხუერპლვამ აღუთქუა, უკუეთუ ცხოველი თვისთა მიმართ უკუნ-იქცეს და ყოველი, რომელი პირველ შეემთხვოს მას, აპსხუერპლოს იგი. და განწყობილმან სძლო მრავლად და, მომპრველი, სდევნიდა ვიდრე ქალაქადმდე მალიათისა. და განსრულმან ამმანიტილ, ქალაქნი მრავალნი ურინო-ყვნა და ნატყუენავი წარილო და თვისნი მონებისაგან განათავისუფლნა, წელთა შინა რვათა და ათთა ამისნი მომთმენელნი. ხოლო უკუნ-ქცული განსაცდელსა შთავარდა, არარაჲთ მსგავსსა მის მიერ წარმართებულთასა, რამეთუ შეემთხვა მას ასული მისი, ხოლო მხოლოდნობილი იყო, მერმეცა ქალწული. და, სულმთქუმელი სიდიდესა ზედა ვნებისასა, აბრალეზდა ასულსა მოსწარფებით შემთხუევისათეს მისდა, რამეთუ უმსხუერპლოს იგი ღმერთსა. ხოლო მას შემთხუევაჲ არა უშუერად სათნო-უჩნდა, მოკუდინებადსა ძლევისა ზედა მამისასა და თავისუფლებასა მოქალაქეთასა. ხოლო ევედ-

¹ წარსლვასა|+ამცნებდა მათ AQ.

* მსაჯ. 10,7; 11,1. ¹ მსაჯ. 10,17; 11,1. ² მსაჯ. 11,30.

რა ორთა თუეთა მინიჭებულ მისდა, რადთა იგლოოს სიკაბუყე მისი მოქალაქეთა თანა და მაშინლა ქმნად ლოცვისაებრ. ხოლო შემნდობელმან პირველთქუნულსა, ეამისაებრ შემდგომად წარსლვისა ამისისა, მმსხუერპლველმან ყრმისაჲნ, ყოვლადდასაწუველ ქმნა იგი, არცა სჭულიერისა, არცა ღმრთისა სახარულეანსა მსხუერპლსა აღმასრულებელმან, არა განმსჭელმან გულისსიტყუასა შინა ქმნილისაჲნ და ვითარი თანად ქმნილი საგონებელ იქმნეს მსმენელთა.

11.* ხოლო ვინაივან ეფერემოს ნათესავმან აღიმკედრა მის ზედა, რამეთუ არა თანა-იზიარან ივინი ამჰანიტელთა ბრძოლისა მიმართ, არამედ მხოლომან მიიღო ნატყუენავი და მოქმედებულთაცა ზედა დიდებაჲ, იგი ეტყოდა, ვითარმედ პირველად არცა მათ დაეფარნეს ნათესავნი ბრძოლინი, ხოლო წუეულნი თანაბრძოლად, არა მივიდეს, რომელთა ჟერი-იყო და პირველ კედრებისაცა, მცნობელთა, მოსწრაფებაჲ. და შემდგომად ვითარმედ უჯროთა ქმნად კელ-ჰყოფენ მპრძოლთა, კელად მისლვისა არა მკადრენი, ხოლო ნათესავთა მიმართ მიმართებულნი. და აქადებდა უფლისა ღმრთისა თანა მიღებასა სამართლისაჲსა მათვან, უკუეთუ არა გონიერ იქმნენ. ხოლო ვითარ არა არწმუნან, არამედ განეწყო მოსრულთა მკედრობისა თანა, რომელიცა, წოდებულნი ღალადით, მოიწია. კლვად ფრიადი იყო მათი. და მდევნელმან უკუნქცეულთამან და წინაწარსრულმან კერძოთა რომლითამე წინაწარვლინებულთა იორ-86 დანისა განსაყალთა ზედა, მოსრანა ორ ათასამდე¹ და / ოთხ ბევრად ქმნილინი.

121.* და იგი, მმთავრობი² წელთა ექუსთა, აღსრულდა და დაეფლა მამულსა თვსსა სემევის, ხოლო ღალადისაჲ არს ესე.

132* ხოლო ვინაივან აღსრულდა იეფთა, მთავრობაჲ აფსანის შიილო, იუდაჲს თესლისაგან მყოფმან, ვითილემოთ ქალაქით. ამისდა იყვნეს ყრმანი სამეოცნი, ოცდაათნი ვიდრემე წუელნი, ხოლო ნეშტნი — ასულნი, რომელნიცა ყოველნივე ცოცხალნი მიუტევნა, რომელთამე მამაკაცთა მიმცემელი, ხოლო სხუათად — დედაკაცთა მომყვანებელი. ხოლო არარაჲს მოქმედი კსენებისა ღირსსა მეშვდესა წელსა შინა ქმნილი, სიბერისა შინა მყოფი მოკულა³ და საფლავსა მამულსა შინა თვსსა მიემთხვა.

143* ხოლო აფსანის ესრეთ რაჲ მოკულდა, არცა შემდგომად მისსა მიმღებელმან მთავრობისაჲნ ილონ, წელთა ათთა მპყრობელმან მისმან, ნათესვისაგან ზაეულომსა მყოფმან, ქმნა რაჲვე მოსწრაფებისა ღირსი.

154*. ხოლო ავღონ, ილონოჲს ყრმაჲ, ნათესვისაგან ეფერემოისა და ქალაქისაგან ფართოჲსა ქმნილი, თვთმპყრობელი და მთავრად აღჩენილი შემდგომად ილონოჲსა, მხოლოჲსა ყრმაკეთილობისათჳს მოიკსენებოდედ, არარაჲს საქმესა მშუდობისა ძლით და მოცალებისა საქმეთამსა ბრწყინვალესა არცა ესე მოქმედი. ხოლო ძენი იყვნეს მისდა ორმოცნი და ესენი, ნათესავთა დამტევებელნი ოცდაათთა, მათ თანა სამეოცდაათ იქმნებიან. ხოლო ყოველნივე მკედარ რჩეულ იქმნეს. და ყოველთა დამტევებელი, მოკულდა სიბერესა შინა და საფლავსა ბრწყინვალესა ფართოს შინა მიემთხვა.

¹ ათასამდე AQ. ² მმთავრობ AQ. ³ მოკულა.

• მსაქ. 12,1. ^{1*} მსაქ. 12,7. ^{2*} მსაქ. 12,8. ^{3*} მსაქ. 12,11. ^{4*} მსაქ. 12,13.

1*. ხოლო შემდგომად აღსრულებისა მისისა, პალესტინთა იპყრნეს ისრაილიტნი¹ და ხარკთა მიიხუმიდეს მათგან წელთა ორმოცთა. ხოლო ამის კირისა განმათავისუფლებელსა ესევეითარითა სახითა:

21*. მანოქის ვინმე, დანიტელთა მცირეთა შორის რჩეული და განჩინებითგან პირველი მამულისაჲ, ცოლთასა მქონებელი შეუნიერებითა განჩინებულსა და მის მიერთგან გარდამატებული, ყრმათა არა ქმნილობისათჳს მისდა, მწუხარე უშვილოებისათჳს, ღმერთსა ევედრებოდა გარეგან ქალაქისა მრავლად ცოლისათა, რაჲთა მისცეს მათ მონაცვალე საკუთარი, ვინაჲთგან დიდი არს მათდა ქუეყანაჲ. ხოლო იყო იგი აღბორგებელი ტრფიალებისა მიერ ცოლის ზედამსა და ამის ძლით მოშურნე დაუპყრობელად. ხოლო განმარტოვნა რაჲ დედაკაცი, ჩინებით გამოუჩნდა ანგელოზი ღმრთისაჲ, ჳაბუქსა შეუნიერსა მიმსგავსებული. და ახარებდა მას ღმრთისა განგებულებისაებრ ყრმისა კეთილისა და ძალითა საჩინოჲთა შობასა, რომლისაჲ მიერ, მამაკაცქმნილსა, ევნოს პალესტინელთა. და ასწავებდა თმათა მისთა არა მოკუეთასა, ხოლო იყოს მისა სხვსა ვიდრემე სასუმელსა მიმართ გარემიქცევად, ღმრთისა ბრძანებისაებრ, და წყლისა მიმართ მხოლოდ საკუთრებაჲ. და იგი უკუე, ამათი მეტყუელი, წარვიდა, მცნებისაებრ ღმრთისა მოსრული.

32*. ხოლო მოიწია რაჲ ქმარი მისი, ანგელოზისა მიერნი მიუთხრნა, განკრვებულმან ჳაბუქისა სიკეთესა და სიდიდესა ზედა, ვიდრელა იგიცა ჳებათა მიერ განცტბრებად განდგა მოშურნეობით და გონებათა მიერ ესევეითარისა ვნებისათა შერყეულ იქმნა. ხოლო იგი, მნებებელი უსიტყუსა მწუხარებისასა ქმრისასა დაცხრომად, ევედრებოდა ღმერთსა კუალადცა მოვლინებად ანგელოზსა, რაჲთა და ქმარსაჲცა მისსა ეჩუენოს. და მიიწია კუალად ანგელოზი ნიქითა ღმრთისაჲთა, იყენეს რაჲ იგინი გარეგან ქალაქისა. და ეჩუენა დედაკაცსა, განარისხებულსა ქმრისათჳს³. ხოლო იგი დადგრომად ევედრებოდა, რაჲთა მიიყვანოს ქმარიცა. და მან ვინაჲთგან შეუნდო, მიიყვანა მანოხოცა. ხოლო იგი, მხილველი, არა/ესრეთ დასცხრებოდა მექუელობისაგან და თანად ევედრებოდა ცხად-ყოფად მისდაცა, რაოდენნი დედაკაცსა ჳრქუნა. ხოლო ვინაჲთგან ჳრქუნა კმა-ყოფად მეცნიერებაჲ მის მხოლოჲსაჲ, ვინ არს, თქუმად უბრძანებდა, რაჲთა ყრმაჲ თუ იქმნეს, მაღლი და ნიქი მიუძღუენონ მას. ხოლო მან არა რომელთა მოქენებოდა ჳრქუნა, რამეთუ „არცაღა ღონიერობისათჳს გახარებ ამათ ყრმისა შობისათჳს“. ხოლო დადგრომად რაჲ ევედრებოდა და სიყუარულისა თანა მიღებად, არა წამს-უყო. გარნა ეგრეთცა მარწმუნებელი მედრებელისაჲ, დაადგრა, რაჲთა სიყუარულისა რაჲ მოიღოს მისდა. და ამსხუერპლა თიყანი მანოხოცა და ამისი შეწუეჲ უბრძანა ცოლსა. და ვინაჲთგან უკუე ყოველნი კეთილ იყენეს, უბრძანა კლდესა ზედა დადებოდა პურთა და კორცისაჲ, გარეშე ჳურქველთა. და ყვეს რაჲ ესე, შეახო კუერთხითა, რომელი აქუნდა, კორცთა და მათ აღდებული ცეცხლი ერთბამად პურთა თანა დასწუვიდა. და ანგელოზი შორის ცეცხლისა, ვითარ ეტლითა აღსრული, ცხად-იყო მათდა. ხოლო მანოხოცს, შეშინებულსა, ნუსადა ბოროტი რაჲმე იქმნეს მათდა

1 ისრაილიტთა აკ.

* მსაჲ. 13,1. 1* მსაჲ. 13,2. 2* მსაჲ. 13,6. 3* რთ მცმბც მცხოვამტოი 5288 (==მარტოდ დატოვებულს ქმრისაგან. მოთმან ნაცელად თარგმნილა რ მსაჲ ==რისზეა).

ხილვასთან ღმრთისა, დედაკაცმან განმჯნობამ უბრძანა, ვინაჲთგან უმჯობესისა მათისათჳს ეჩუენა მათ ღმერთი.

4*. და თანად შვა მან და დაცვაჲ აქუნდა მცნებათაჲ. და ქმნილსა ყრმა-სა საშუაონად უწოდეს, ხოლო ძლიერსა მოასწავებს სახელი. და აღიზარდებოდა ყრმაჲ მალიად და ცხად იყო წინაწარმეტყუელებად, განკრძალვისა საზრდელისა მიმართ და თმათა განტყეებისა.

51*. ხოლო წარსრული მშობელთა თანა თამნად, ქალაქსა პალესტინელთასა¹ დლესანაწულისა ქმნილობასა, ეტრფილა ქალწულსა მსოფლიოთაგან და ევედრებოდა მშობელთა მიყვანებად ქალწულსა ქორწილად მისთვის. ხოლო იგინი უეარ-პყოფდეს რაჲ არა თანმონათესევე ყოფისათჳს, ვინაჲთგან ღმერთი მოურნეობს ქორწილსა. უმჯობესისათჳს ევრაელთაჲსა, დასძლო, დაშინდებულმან ქალწულსამან. ხოლო მრავლად² მიმავალი მშობელთა მიმართ მისთა, შეემთხვა ღმრთისა და, შიშულად მყოფმან, შებმაყოფელმან მისმან, მოაშთო კელითა და ადგილსა სერტუოვანსა უშინგანეს გზისა დააგლო მკეცი.

62*. და კეთლად წარსრული ქალისა მიმართ. მიემთხვა სიმრავლესა ფუტკართასა. მკერდსა ზედა მის ღომისასა ბუდეყოფელსა. და აღმდებულმან სამთა გოლ თაფლისათა, ნეშტთა თანა ძლუენთა, რომელნი მოაქუნდეს, მისცნა ქალსა. ხოლო თამნიტელთა, შუებასა მან შინა ქორწილისასა. რამეთუ ასერებდა მათ სოველთა, შინისათჳს ძალსა ჭაბუკისასა ოცდაათნი მისცნეს მას ჭაბუკნი, სიტყვთ ვიდრემე მოყუარედ მყოფნი, ხოლო საქმით მკველნი, ნუხსა და ძრვად რაჲსაჲ იწებოს. მიმოყრებასა შინა სასუმელისასა და განცხრომაჲ რაჲ იყო, რომელი ესე საყუარელ ესევეითართა შინა, სამფსონ თქუა: „არამედ გამოსრული ჩემგან სიტყუად, უკუეთუ აღჰქსნათ იგი შვდთა დღეთა შინა, ძიებისა მოქმედთა არდაგნი და შესამოსელნი პატივად გონიერებისა თითოეულმან მამაკაცმან ზიხუნეთ ჩემ მიერ“. და იგინი, გონიერთაგან საგონებელად მოყუარენი. ერთბამად შესაძინელსაცა მიიღებენ, ევედრნეს თხრობად. და მან თქუა, ვითარმედ „ყოვლად საკმელმან“³ შვა საკმელი ტყბილი მისგან, და ყოვლად უტყობოდ მყოფმან“. ხოლო იგინი, სამთა დღეთა შინა არა შემძლებელნი პოვნოდ მოგონებულსა, ევედრებოდეს⁴ ქალსა, მსწავლელსა ქმრისა მისისაგან, თხრობად მათ / და რამეთუ აქადებდეს მას დაწუვასა. ხოლო სამფსონ გვედრებელისა ქალწულისა⁵ პირველ ვიდრემე არა იწება თხრობად. ხოლო ვინაჲთგან ზედაჯადგრომილ იყო და ცრემლითა შეუვრდებოდა და სასწაულად მისდა მიმართისა გულძვრობისა დასდებდა არათხრობასა მისდა, უთხრნა მას ღომისა ძლით და სამთა გოლეულთა თაფლისათა მიღებამ მისდა მტკრთველობით. და მან ვიდრემე, არაჲსა ზაკუვისა მემუელმან, აუწყა ყოველი. ხოლო იგი სიტყუასა განიღებს მვედრებელთა მიმართ. და მემუედესა უკუე დღესა, რომელსა შინა ჭერ-იყო წინდადებულისა მისგან სიტყუსა გამოცხადებამ, პირველ ვიდრე მზისა დასლვადმდე შეკრებულთა თქუეს: „არცა ღომისა რაჲვე უმწარეს შემთხუელთათჳს, არცა რაჲ უტყბილეს თაფლისა მკუემეველთათჳს“. და სამფსონ თქუა: „არცა რაჲ დედაკაცისა უზაკუვარეს არს, რომელმან თქუენდამი განიღო სიტყუად“. და მათ ვიდრემე მისცა, რომელი აღუთქუა, ნატყუენავსა მოქ-

¹ პალესტინეთსა AQ. ² ჩვეულებრივად. ³ ევედრებოდე.

⁴ მსაქ. 13,24. ⁵ მსაქ. 14,1. ⁶ მსაქ. 14,8. ⁷ რბ. *πρόδρομος* 5₂₀₀ (=ყველაფრის მკამულ-მან). S: ყოვლის მკამულისაგან. ⁸ რვ. *ადრუდ* 5₂₀₁ (=ცოლისა). S: ქალი.

მედმან ასკალონელთაგან, გზისა ზედა შემთხუეულთა¹ მისთა. ხოლო პალესტინელი იყვნეს ესენიცა. და მის ვიდრემე ქორწილისაგან იქმნის.

ხოლო ქალწული, განმაცხადებელი მის, თანა-იყო რისთვისა ძლით მისა მოყუარედ სიძე ქმნილსა*.

71*. ხოლო სამფსონ, ამის გინებისათჳს გარისგებულმან, ყოველთა პალესტინელთაჲ მის თანა აგრძნო ვნებაჲ. ხოლო მკაჲ რაჲ მოიწია და მკინა მიერ აწლა ნაყოფნი მწიფე იყვნეს, მიმყვანებელჲან სამასთა მელთამან და კულთა მათთა ზედა შემკრველმან² ლამპართა აღნთებულთამან, განუტევენა ყანათა შინა პალესტინელთასა. და განიხრწნებეს ვიდრემე ნაყოფი მათი ესრეთ. ხოლო პალესტინელთა, ცნეს რაჲ სამფსონისად ყოფად საქმისაჲ და მიზეზი, რომლისათჳს ქმნა, წარავლინნეს მთავარნი თამნად და ცოლად მკლად ქმნილი და ნათესაენა მისნი ცოცხალნი დაწუნეს, ვითარცა მიზეზ ბოროტთა ქმნილნი.

82*. ხოლო სამფსონ მრავალთა მომაკუდინებელი³ ველსა შინა პალესტინელთაგან, ეტანს მკვდრ იყო. ხოლო კლდე არს მტკიცე იუდაის ნათესავისა შორის. და პალესტინელთა უკუე მიიმართეს ნათესავსა ზედა. ხოლო იგინი არა სპართლად იტყოდეს პატიყსა მიკლად მათგან სამფსონის ნაცოდვებთათჳს. ეინადთგან ხარკსაცა მისცემენ მათ. და არათუ მნებებელ არიან მიზეზსა ქონებელ, ეტყოდეს⁴ სამფსონის კელისქუეშედ მიცემასა მათჲა. და უბრალოობისა მიმთხუევად მნებებელნი, მიიწინეს კლდედ სამ ათასითა აღჭურვილითა და აბრალებდეს კადრებულთათჳს მის მიერ პალესტინელთა მამაკაცთა მიმართ, განსაცდელსა მოღებად შემძლებელთა ყოველსა ზედა ნათესავსა ევრავლთასა და მისლესა მეტყუელნი, რამთა, მიმყვანებელთა მისთა, კელისქუეშედ მისცენ მათ ეგი. ევედრებოდეს ნებით მოთმენასა ამისსა. ხოლო იგი, მიძლებელი ფიცთაჲ მათგან არარას უმეტესსა ყოფად მისდა, არამედ რამთა კელთა მტერთასა მხოლოდ მისცენ იგი, შთამოვიდა კლდისაგან და თავი თჳსი დადვა კელმწიფებასა შინა მოქალაქეთასა. ხოლო მათ, შემკრველთა მისთა საბლითა, მიიყვანეს იგი მიცემად პალესტინელთა. და ვითარ უკუე მიიწინეს ადგილსა რომელსამე, დაწუ⁵ ეწოდების აწ სამფსონის მცნეკეთილობისათჳს მის ზედა ქმნილისა, ხოლო პირველ იყო უსახელო, არა შორს დაბანაკებასა პალესტინელთასა, არამედ მიმართებასა სიხარულით და კნობით, ვითარ წარმართებისათჳს მათ ზედა, რომელთა მნებებელ იყვნეს, განიხუეტელმან საყრველთამან და აღმტაცებელმან დაწუსა ვირისასა⁶, ფერკთა წინაშე მღებარესა, შებჰა-უყო მბრძოლთა და, მკემელმან მათმან დაწუთა, მოაკუდინნა ათასნი, ხოლო სხუანი ლტოლვილქმნა შემფოთებულნი.

91*. ხოლო სამფსონ, უმეტეს ჭეროენისა ამას ზედა აღზუაებული, არა ღმრთისა შეწევნითა იტყოდა ამისსა შემთხუევასა, არამედ სათნოებასა თჳსსა წარსწერდა ქმნილსა ზედა, მოქალეული მბრძოლთაგან რომელთაჲე დაცემასა, ხოლო სხუათა — ლტოლვად მიდრეკასა შიშისა მისისათჳს. ხოლო ვინაჲთგან წყურთილმან ძლიერმან იპყრა იგი, გულისკმისყოფელი, ვითარმედ არარაჲ არს კაცობრივი სათნოებაჲ ყოველთაჲე ღმრთისათჳს, წამებდა და ევედრებო-

¹ შემთხუელთა. ² შემკრველმან AQ. ³ მომაკუდინებელი. ⁴ ეტყოდეს AQ, ეტყოდეს S.

* ἡ παῖς ἐχθραλισσασα τῆς ძრῆς ἀπὸν σπυρ ἀπὸν φιλῶν συμφοσιῶν γυροῖντα 598 (აქალი, სამსონის დამსჯელი მისი რისხვის გამო, ცოლად გაუვა სამსონის იმ მეგობარს, რომელმაც ის გასცა). ¹ მსაქ. 15,3. ² მსაქ. 15,8. ³ ὁ Σαγῶν 598 (ი' სძგῶν = ლოყა, უბა, დაწვი). ⁴ მსაქ. 15,16.

და, რამეთუ არა რომლისა თქუმულთაგანისათვის რისხვასა მიმღებელმან, მბრძოლთა კვლისქუეშე ყოს იგი, არამედ შეწვენად მიანიქოს ბოროტისა მიმართ და იკნას ძვრისაგან. და ვედრებთა უკუე ზედა მოდრეკილმან ღმერთმან წყაროჲ კლდისა რომლისაგანმე აღმოუტევა, ტყბილი და მდიდარი, რომლისათვის და სამთესონცა უწოდა¹ ადგილსა „ლაწვსასა“ და ვიდრე აქამომდე ესრეთ სახელ- ედების.

10*. ხოლო შემდგომად ამის ბრძოლისა სამფსონ, შეურაცხისმყოფელი პალესტინელთა, ღაზად წარვიდა, რომელსამე საყოფელსა შინა იქცეოდა. და ვითარ ისწავეს მთავართა ღაზისათა მუნ მისლვად მისი, მზირ-უყვეს წინამე ბჳეთა, რამეთუ გამოშავალი არა დაეფაროს. ხოლო სამფსონ, რამეთუ არა დაე- ფარნეს მას ამისნი მოპვერაგებელნი, აწლა განშუელებასა დამისასა აღდგომილ- მან. შემუსრნა ბჳენი წყირთლთა თანა და მოქლონთა და სხუად, რაოდენი რამ- მე მათ თანა შეშოვნებაჲ იყო, აღმღებელმან ერთბამად და ზედა კერძო ევ- რონოეს მთისა აღმხუმელმან, დასხნა ივინი.

111*. ხოლო გარდავდებოდა მამულთა და თვისსა მოქალაქობასა შოაკლ- ებდა უცხოთა წესთა მოსგავსებითა. და ესე დასაბამ ბოროტისა იქმნების მას- და. ხოლო დედაკაცისა, მეძაქმნილისა პალესტინელთა შორის, ტრფიალებუ- ლი. დაღადისი, მის თანა იყო. და პალესტინელთა უკუე საზოგადოება წინამ- დგონი, მოსრულნი მისა მიმართ, არწმუნებენ მას აღთქუმათა მიერ სწავლად საფსონისაგან მიზეზსა ძალისასა, რომლისა მიერ უპყრობელ არს მტერთაგან. ხოლო იგი, სუმასა შინა და თანა-ყოფასა მისსა მაქებელი საქმეთა მისთაჲ, ვე- რაგობდა სწავლად, რომლითა სახითა ზესთქონებელ არს სათნოებასა. ხო- ლო სამფსონ, რამეთუ ნერგეცა გულისკმის-ყოფად ძლიერ იყო ნაცვალცდუ- ნებად² დალაღისა³, მეტყუელი, უკუეთუ რტოთა მიერ შვდთა შეიკრას ვენაჯი- სა თანა. დაერებად შესაძლებელთა, უუძლურეს სადმე იქმნეს ყოველთა. და მაშინ ვიდრენე დაიდუმა, ხოლო აუწყა მთავართა პალესტინისათა და დამალნა ვიეთმე მკვდართაგანნი შინაგან და დამთრვალი შეკრა ვენაჯითა ძლიერად. ამი- სსა შემჯღობად, აღმადგინებელმან, აუწყა მოსლვად ვიეთიმე მას ზედა. ხოლო იგი. განწეთქელი ეენაჯთაჲ, ვითარ ზედმომავალობასა ვიეთსამე, შეწვენასა⁴ თავისა თვისსა მოსწრაფე იყო. და დედაკაცი, რამ უკუე მრავლად ზრახვიდა⁵ მას საწესონ, ბოროტად ქონებასა ეტყოდა, უკუეთუ მინდობოთ სიყუარული- სათვის მისდა მიმართისა არა უთხრობს მას, რომელნი ჳერ-არიაჲ, ვითარ არა დამღუელებელსა⁶, რომელთა არა უწყებად უმჯობეს არს მისა. ხოლო იგი კუა- ლად აცთუნებდა მას და ეტყოდა, ვითარმედ შვდითა საბოლთა შეკრულმან წარწყმედოს ძალი. და ვინამთგან ამისმანცა მოქმედმან არარაჲ სრულყო, მესა- ⁸² მედ თანშექუესად თმა/თა მისთაჲ აუწყა. ხოლო ვინამთგან ესეცა იქმნა და ჳემ- მარტი არა იპოებოდა, უკუანაჲსკნელ უკუე მეედრებელსა სამფსონ, რამეთუ თანანღებ იყო განსაცდელსა შთავრდომაჲ მისი, მომადლებად მნებებელმან და- ღადისმან, „ჩემდა, ჳრქუთა, მოურნე არს ღმერთი და მისისა განგებისაებრ შო- ბილი თჳსასა მას ვზრდი, რამეთუ უმცნიეს ღმერთისა არა აღკუეცად, ვინა- მთგან ძალ ჩემდა იქმნების აღზრდაჲ ამისი და ჩემ თანა დადგრომაჲ“. ამისმან

¹ ეწოდა. ² ნაცვალცდუნებად AQ, ნაცვალ აცდუნება S. ³ ღაღისა AQ, დაღადის S. ⁴ შეწვენა A. ⁵ დამღობელსა.

⁶ მსაჯ. 16,1. ^{1*} მსაჯ. 16,4. ^{2*} ძამღსონი 5₂₁₀ (=1) ურთიერთობა; 2) საუბარი. ამ კონ- ტექსტში საჭიროა პირველი მნიშვნელობა).

მსწავლელებს და დამაკლებელს მისმან თმისაგან, მისცა მბრძოლთა, არა შემძლებელი შურისგებად ზედმოსლვისა მათისა მიმართ. ზოლო მათ, აღმოჩნდა თუალთა მისთასა, შეკრული მისცეს წარყვანებად.

12*. ზოლო წარქდეს რაჲ ეჲმნი, აღიზარდა თმად სამფსონისა. და დღესასწაულისა ყოფასა ყოველ საეროასასა პალესტინელთა შორის და მთავართა და მეცნიერთა ერთბამად განცხრომასა, ზოლო სახლი იყო ორთა სუეტთა ზედა დამამტკიცებელი სართულისაჲ, მიიყვანეს მინწოდებელთა სამფსონ საშსუმელოდ, რამთა აგინონ მას სუჲასა შინა. ზოლო მან, გინებულმან უძკრესად, ბოროტთა შემრაცხელმან არა შეძლებასა შურისგებად, კელისმპყრობელსა ყრმასა არწმუნა, მეტყუელმან განსუენებისათეს ზრომისაგან სუეტთა მიმართ მიყვანებისა მისისა მოქენობაჲ. ზოლო ვითარ მიიწია, შეძრულმან დაქცია მათ ზედა სახლი¹ და მიდრკეს რაჲ სუეტნი, სამ ათასთა მამაკეთა თანა ყოველნი მოკუდეს. ზოლო მათ თანა სამფსონიცა.

და იგი ვიღრემე ესევეითარმან იპყრა დასასრულმან, მმთავრობი ისრაილიტთაჲ წელთა ოცთა. ზოლო განკვრეებისა ღირს არს მამაკაცი სათნობისათეს და ძალისა და დიდგონებობისათეს აღსასრულისა და რისხვისათეს, ვიდრე აღსასრულამდე მბრძოლთა მიმართ. და დღედაცისა ვიღრემე მიერსა ბურობასა ჳერ-არს თანა შედარებად ბუნებასა კაცთაჲ, უუძლურეს ცოდვითა წყოფსა. ზოლო წამებად მისა სხუათა ყოველთა მიმართ გარდაჰმეტებასა სათნოებისასა. ზოლო ნათესავთა მისთა, აღმღებელთა სხეულისა მისისათა, დაჰვლეს სარასას შინა, მანულსა ნათესავთა თანა.

თ. 9.

13*. ზოლო შემდგომად სამფსონის აღსრულებისა წინამდგომ იყო ისრაილიტთა ილის მღდელთმთავარი ამის ზე სიყმილითა ვენებულებასა სოფლისა მათისასა, ავიმელეხოს ვითლემოთაგან, ზოლო არს ესე ქალაქი იუდაჲს ნათესვისაჲ, არა შემძლებელი წინააღდგომად ბოროტისა მიმართ, თანად ცოლისა ნამასი და ყრმათა ნისგან ჳმნილთა მისდა, ჳელიონჲს და მალეონჲს, მიმყვანებელი მოავიტინდმი გარდაესახლა. და მოიწეოდეს რაჲ მისდა საქმენი გონებით, მიიყვანა ძეთა მისთა ცოლნი მოავიტენი: ჳელიონის ვიდრემე ორჲან, ზოლო რუთი — მალეონისა. და წარქდეს რაჲ თნი წელნი, თანად ავიმელეხოს და მის თანა ყრმანი შემდგომად ნიცრედისა აღესრულნეს. ზოლო ნამის, მწარედ მოღებული შემთხუეულთა ზედა და არა მომთმენილი ხილვასა საყუარელთა მოოკრებისასა, რომლისათეს და მაჰულისაგანცა განვიდა, კუალად მისა მიმართ უკუნ-იქცა და რამეთუ აწვე ისწავა კეთილად წარმართებაჲ მისთაჲ, ესე იგი არს მამული. ზოლო არა მოითმენდეს განყენებასა მისგან სძალნი, არცა მჯნენლნი მნებებელთა თანაწარსლვისათა რწმუნებად შემძლებელ იყო. ზოლო ვითარ ზედდადგრომილ იყენეს, მლოცველი მათეს ქორწილსა უბედნიერესსა, რომელსა არა მიემტხვენეს ყრმათამისთა შეუღლვილინი და სხუათა კეთილთა მოგებასა. ამისთეს, რამეთუ ესე/ვითარ არიან მისა მიმართ, მუნ დადგრომასა² ვევედრებოდა და არა მნებებელობასა თანამიღებად მისა საქმეთა უტხადოთა,

¹ სისხლი AQ, რბ იქით V, გვ. 140.

² მსაჯ. 16,22. * რუთი 1,1.

მაშულისა თვისისა დამტვევებელთა. და ორთა ვიდრევე დაადგრა, ხოლო რუთი¹, არა რწმუნებული, წარიყვანა, მოზიარეკმნადი ყოვლისა მიმართ შემთხუეული-სა.

2*. ხოლო შივიდა რამ რუთი¹ დედამთილისა თანა ბეთლემად, ეოზოს, ავიმელეხოსს ნათესავად მყოფმან, შეიწყნარნა უცხოებით. და ნაამის, მოიკოთხიდეს რამ სახელით მოქალაქენი, „უმჯობეს, ეტყოდა, უკუეთუ მარან ნიწოდდეთ მე“. ხოლო მოასწავებს ეკრაველთა ენისაებრ ნაამის ვიდრევე ბელნიერობასა, ხოლო მარან — ტკივილსა.

ხოლო ვითარ მკაჲ იყო, განვიდოდა თავობად რუთი, განტვევებული დედამთილისაგან, რამთა საზრდელსა ღონიერ იყვნენ. და მალიად მიიწია ვოოზის ადგილსა. ხოლო შემდგომად მცირედისა, მიწეენილმან ვოოზის და მხილველმან ქალისამან, ჰკითხა მეაგარაკესა ყრმისათვის. ხოლო მან, პირველ მცირედისა მის მიერ ყოველთა მსწავლელმან, აუწყა მეუფესა. და მან უკუე, დედამთილისა მიმართისა სიყუარულისათვის თანად. და ქსენებისა ყრმისა მისისა, რომლისა თანა დაემკვდრა, შენტკობელმან მისმან და მლოცველმან კეთილთა მიმთხუევისა მისისამან, თავობად ვიდრევე უტევა იგი, ხოლო მკაჲ ყოველსა შემძლებელ იყოს და მიღებაჲ უბრძანა. და უბრძანა მეაგარაკესა არა ყენებად მას მიღებისათვის და საზრდელისა მინიკებად მისდა და სასუმელსა, რაჟამს ასერებდეს მოჰკალთა. ხოლო რუთი, მიმღებელმან მისგან ფქვილსა, დაჰმარხა იგი დედამთილისათვის და მწუხრად მოვიდა, მომღებელი მისი ჯუვილთა თანა. ხოლო დაემარხა მისდა და ნაამისცა კერძომ რამე საკმელთა, რომელთა მიანიკებდეს მას მეზობელნი. და მიუთხრა მას ვოოზის მიერცა თქუმულნი მისა მიმართ. ხოლო მან აუწყა, ვითარმედ ნათესავი არს მისი და ნანდულ სადვე კეთილმსახურებისათვის მოუხრე არს მათთვის. და კუალად განვიდა შემდგომთა მისთა დღეთა შეკრებისათვის თავთაჲსა ვოოზის მონათა თანა.

3!*. ხოლო შემდგომად მრავალთა დღეთა და ვოოზისცა, აწლა ქრთილისა განღეწვასა, კალოსა ზედა მძინარე იყო. ამის მსწავლეელი ნაამის კელოვნობდა თანადაწვეუნასა მისდა რუთისსა და რამეთუ კეთილ იყოს მათდა ყრმისა თანაყოფაჲ მისი. და წარავლინა ქალი დაძინებად ფერკთა თანა მისთა. ხოლო იგი, რამეთუ არა ღირსად შეჰრაცხდა წინააღდგომასა დედამთილისა მიერ ბრძანებულთასა, მიიწია და მაშინ ვიდრევე მიეფარა ვოოზის, ღრმად მძინარესა, ხოლო აღდგომილი განშუელებასა ღამისასა და მგრძნობელი მდებარისაჲ, იკითხვიდა, ვინ არს. ხოლო მან სახელი ჰრქუა და მეუფედ შენდობაჲ მისი. ხოლო მან მაშინ ვიდრევე დაიღუმა და განთიად უკუე, პირველ ვიდრე მონათა დაწყებადღე ძრავად საქმისა მიმართ, აღმადგინებელმან მისმან, უბრძანა, ქრთილთა მიმღებელსა, რაოდენსა შემძლებელ იყოს, წარსლვაჲ დედამთილისა მიმართ პირველ, ვიდრე იხილვიდენ მას ვიეთნიმე მუნ მძინარესა, რამეთუ ბრძენ არს დაცვაჲ ესევითართა ყუედრებათაგან და უფროსდა არა ქნინილთა ზედა. „და ყოვლინათვის ვიდრევე ესრეთ იყოს, ჰრქუა, ვაკითხო მახლობელადსა ნათესავსა ჩემდა მყოფსა, უკუეთუ იყოს მისდა საქმარ ქორწინებად შედგომად შენი. და მეტყუელსა ვიდრევე, შეუდგე მას. ხოლო იქმნა თუ, სოფლისა სჯულისაებრ შეუდღვილი მივიყვანო შენ“.

1 რუთი. 2 შ¹და AQ, შენდა S.

* რუთი 2,1. 1* რუთი 3,1.

4*. ესენი რამ უკუე დედამთილსა მიუთხრნა, სიხარულმან იპყრნა იგინი, სასოებასა შინა ქმნილნი ვოოზის მოურნეობასა ქონებისათჳს მათდა მიმართ. და მანცა, აწლა განწუგებებასა დღისასა შთასრულმან ქალაქად, მოხუცებულნი¹ შეკრიბნა და², რუთის მიმყვანებელმან, მოუწოდა ნათესავსაცა. და მიიწია³ რამ, ჰრქუა: „ავიგელებოვს და ძეთა მისთა სამკვდრებელი გიპყრიეს“. ხოლო მან აღიარა, ვითარმედ მონათესვემან, შენდობისაებრ სჯულთაჲსა. და ვოოზი უკუე: „არა ნახევრობით ოდენ ჭერ-არს მოქსენება სჯულთაჲ, არამედ ყოველთა ქმნაჲ განწესებთაებრ მათთა. რამეთუ მალეონის ცოლი აქა მოწინებულ არს, რომლისა ძლით გეგულები აგარაკთა პყრობად, ქორწინებაჲ უკუე ჭერ-არს შენი სჯულთაებრ“. ხოლო მან მიუტევა ვოოზისსა და სამკვდრებელიცა და დედაცა, მასცა ნათესავად აღსრულებულთა მყოფსა, ვინაჲთგან იტყოდა მისდა ცოლისა და ყრმათა ყოფსა. და მწამებელმან უკუე ვოოზოს მოხუცებულთამან, უბრძანა დედაცასა მისრულსა განჯსნაჲ მისი სჯულნი⁴აებრ და ნერწყუვად პირსა. და იქმნა რამ ესე, ვოოზოს ექორწინა რუთის და იქმნების მათდა ყრმაჲ წული, შემდგომად წელიწდისა. ამისნან აღმზრდელმან ნაჲმის, თანაგანზრანვითა დედათაჲთა, ოვიდიდ უწოდა, აღზრდადსა სიბერისმყვანებელად მისდა, რამეთუ ოვიდის ვერაელთა ენისაგან მოისწაუების „მსახური“. ხოლო ოვიდისა იქმნების იესოს და ამისა — დავიდის, განმეგებული და ყრმათა მისთათჳს დამტევებელი მეფობისა ერთსა და ოცსა ნათესავსა ზედა მამაკაცთასა.

რუთის ძლითნი უკუე საჭიროდ სადმე ვთქუენ ღმრთისა ძალსა გამოჩინებად მნებებელმან, ვითარმედ შესაძლებელ არს ამისა პატივისა მიმართ ბრწყინვალისა აღყვანებაჲ და ქუენად დამთხუევადთაჲცა, რომლისა მიმართ აღიყვანა დავიდიცა, ესეეთართაგან ქმნილი.

თ. 10.

11*. ხოლო ევრაელნი, საქმენი რამ მათ ქუეშე დაეწესნეს, კუალად ბრძოლასა განიღებენ პალესტინელთა მიმართ ესეეთართა მიზნითა:

ილის მღვდელთმთავრისა ორნი ყრმანი იყვნეს: ოფნის და ფინეისი. ესენი კაცთა მიმართ მაგინებელქმნილნი და აღმართოვსა მიმართ არა კეთილმსახურნი, არა რომელსა განწუგებოდეს³ უსჯულოებასა: და რომელთაჲ მიღებდეს ძლუენთაგან პატივისათჳს, ხოლო რომელთაჲ მიიხუმიდეს სახითა აღტაცებისაჲთა. თანად მსახურებად მისრულთა გინებულ-პყოფდეს განხრწნილთა⁴, რომელთაჲ ზედა იძულებასა მიმღებელნი, ხოლო სსუათა — ძლუენითა მიმყვანებელნი. და მძლავრებას უკუე არაჲთ განეყოფოდნა ცხორებაჲ მათი. და თანად მანად ბოროტად მქონებელ იყო ამათ ზედა, ვითარ არასადა მომლოდე პატიუსა ქონებად ღმრთისაგან ქმნილთა ზედა და თანად ერი შეზრუნვებულ იყო. ხოლო ვინაჲთგან განუცხადა ღმერთმან გულებადი განსაცდელი შვილთა მისთა ზედა ქმნადი ილის და სამუილოსს წინაწარმეტყუელსა, მაინა ყრმად მყოფსა, ცხადად მქონებელ იყო გლოვასა ძეთა ზედა.

22*. ხოლო მნებავს პირველად წინაწარმეტყუელისა ძლითთა თქუამდ, ილის ყრმათათჳს მითხრობად და ძნელბელობისათჳს, ქმნილისა ყოვლისა ევრაელთა ერსა ზედა. ალყანის, ლევიტი მამადი, საშუვალ მოქალაქეთა ევრემოვს ნაწი-

1 მოხუცებული AQ. 2 და|+და A. 3 გნებოდეს AQ. 4 განხრწნილთა|+განხრწნილთა A.

* რუთი 3,16; 4,1. 1* 1 მეფ. 2,12. 2* 1 მეფ. 1,1.

0 ესე იგი არს ვოოზი.

ლსათა, რამათან ქალაქსა დამკვდრებული, ქორწინებულ იყო ორთა ცოლთა, ანნაჲს თანად და ფენანნაჲსა. ამისგან ვიდრებე და ყრმანიცა იქმნებიან მისდა. ხოლო სხვას, უშვილოდ მყოფისა, მოყუარე იყო. ხოლო წარვიდა რაჲ ცოლთა თანა ალკანი სილო ქალაქსა მსხურებლვად, რამეთუ ამას შინა დამტკიცებულ იყო კარავი ღმრთისაჲ, ვითარცა წინაწარ-ვთქვთ, სერობასა შინა ვანუყო ნაწილვლად კორცთაგან ცოლთა და შვილთა. ხოლო ანნა, მხილველი სხვას მის ყრმთა გარემოჲს დედისა მსხლომარე, ცრემლად შთავარდა და უშვილოებინათჳს და მხოლოობისა თავსა/თვისსა გოღებდა და ნუგეშინისცემასა! ქმრისასა მწუხარებით მძლეველი კარვად წარვიდა, მვედრებელი ღმრთისაჲ მიცემად მისდა შვილსა და დედა-ქმნად, აღმტუშველი პირველშობილისა სამღდელო-ქმნად მსახურებისათჳს ღმრთისა, არა მსგავსად მსოფლიოთა მოქმედსა აღზრდისასა. ხოლო ვითარ დაყო ფრიადი² ყაბი ლოცუათა შინა, ილის მღდელთმთავარმან, მჯდომარემან წინაშე კარვისა, ვითარ შორეალსა, უბრძანა წარსლვაჲ. ხოლო მან წყლისა სუჲმად ჰრქუა, არამედ მწუხარე ყრმთა უღონოებისათჳს ევედრებოდა ღმერთსა. და მან უკუე მინდობილებჲად უბრძანა, მიმთხრობელმან ღმრთისა ყრმთა მისდა მინიჭებისამან.

3*. და მიწვენილმან კეთილსასოებით ქმრისა მიმართ, საზრდელი მხიარულვებით მიიღო. და უკუნ-იქცეს რაჲ მამულად, შობად იწყო და იშვა მათდა ყრმად, რომელსა ჰამუილოდ უწოდეს, „ღმერთთხოვილად“ ვინმე თქუა. მივიდეს უკუე მსახურებლველნი ყრმისა შობისათჳს, თანად და ათეულთა მიიხუმიდეს. ხოლო დედაკაცმან, მომკვსენებლმან ლოცვისამან, ყრმისა ზედა ქმნილისა, მისცა იგი ილის, შეწირველმან ღმრთისა წინაწარმეტყუელად ქმნადისამან. თჲად უკუე მისი განტევებულ იყო და სასუმელად იყო წყალი. და სამუილოს ვიდრემე ტამარსა შინა ზრდილი იქცეოდა. ხოლო ალკანსა ანნაჲსგან თანად ძენი იქმნებიან და სამნი ასულნი.

4¹*. და სამუილოს უკუე, აწლა სრულმოყოფელი წელსა მეთორმეტესა, წინაწარმეტყუელებდა. და ოდესმე მძინარეს³ სახელით უწოდდა ღმერთი. ხოლო იგი ჰგონებდა მღდელთმთავრისა მიერ წოდებასა. და ესე ღმერთმან სამგზის ყო. ხოლო ილი, განღვებულმან, თქუა მისა მიმართ: „არამედ მე, სამუილე. ღმრთილი მაქუნდა და ვითარცა პირველ, ხოლო ღმერთი არს მწოდებელი. არანედ აუწყე მას, ვითარმედ: „აქა ვარ“. და ღმრთისა კმამყოფელისა კულად მსწენელი, ევედრებოდა მიწვენად მსახურებათა ზედა, ვინათვან არა დააკლდეს იგი, რომელსაცა ზედა ენებოს, მსახურებასა. და ღმერთმან, „ვინათვან, ჰრქუა, აქა ხარ, ისწავე განსაცდელი, ისრაილიტთათჳს ქმნადი, უზეშთაჲსისა სიტყუა და რწმენისაჲ მიმთხუეულთათჳს. და ილის ყრმანი, ერთსა შინა დღესა მოკუღინებდანი და მღდელობაჲ გარდაცვალებადი ელვაზაროჲს სახლად, რამეთუ ილის ჩემისა განსუენებისა უმეტეს ძენი და გარეშე უმჯობესისა მათისა შეიყუარან“. ამათ თქუამად ფიცით აიძულებდა⁴ წინაწარმეტყუელსა ილის. რამეთუ არა ენება შეწუხებაჲ მისი მთქუმელსა. და მაშინდა უმეტეს მტკიცე აქუნდა მოლოდებჲად შვილთა წარწყმედისაჲ. ხოლო სამუილომსი უტრომსად აღორძინდებოდა დიდებჲად ყოველთა მართლად გამოჩენისათჳს, რანელთა წინაწარმეტყუელებდა.

¹ ნუგეშინისცემასა AQ. ² დაწვადი AQ. ³ მძინარე AQ. ⁴ აიძულებდა.

* 1 მკვ. 1,18. 1* 1 მკვ. 3,8.

1*. ხოლო ამას უამსა და პალესტინელთაცა აღიმკედრეს ისრაილიტთა ზედა და დაიბანაკეს ქალაქსა შინა აფფეკას. და შემდგომად მცირედისა, მიიწინეს რაჲ ისრაილიტნი, განეწყყენეს ხეალისად და სძლეს პალესტინელთა და მოაკუდინნეს¹ ევრაელთაგანნი ვიდრემე ოთხ ათასნი. ხოლო ნემუტი სძრაველ ივლტოდა ბანაკად.

21*. და ყოველთათვის შეშინებულთა ევრაელთა წარავლინნეს მოხუცებულთა მიმართ და მღვდელთმთავრისა, კიდობანსა² ღმრთისაჲა მიღებად მბრძანებულთა, რაჲთა მუნ ყოფასა მისსა, განწყობილთა სძლონ მბრძოლთა. ხოლო უმეცრებდეს, ვითარმედ უზეშთაეს არს კიდობანსა განმბჭობელი მათთვის განსაცდელისაჲ, რომლისა მიერ შემთხუეულ იყო და ამისრცა ყოფაჲ. / და მი-⁹⁰იწია კიდობანი და მღვდელთმთავრისა ძენი, წარავლინებულნი მამისა მიერ, გამცნებელისა, ვითარმედ უკუეთუ იპურას კიდობანი, ცხორებად მნებებელნი არა მივიდენ სახედველად მისდა. ხოლო ფინეისის და აწვე მღვდელცა იყო, ვინაჲთგან შამაშან მას მიუტევა სიბერისათვის. და განმწობაჲ ჯუჲე ფრიალი იქმნა ევრაელთა, ვითარ ძლევეასა მბრძოლთასა მიმდებელთად მიწვენისა ძლით კიდობანისა. ხოლო განკრთომილ იყვნეს მბრძოლნი, შეშინებულნი მიწვენასა კიდობანისაჲ ისრაილიტთა მიმართ. და სასოებასა ვიდრემე მრჩობლთასა არა მსგავსი შეეძობჲა საქმე, არამედ ბრძოლაჲ რაჲ იქმნა, ძლევაჲ ვიდრემე, რომელსა სასოებდეს ევრაელნი, პალესტინელთად იქმნა ესე. ხოლო ძლეულუბაჲა, რომლისაგან ეშინოდა მათ, ამას მგნებელნი ევრაელნი მეცნიერ იქმნნეს თავთა თვისთა, ამაოდ მინდობილობასა კიდობანისა ზედა, რამეთუ მეყუსეულად შეოტ-იქმნნეს ევრაელნი, მიწვენილნი კელსა მბრძოლთასა. და დამტეგებელ იქმნნეს სამთა ბევრთა, რომელთა შორის დაეცნეს მღვდელთმთავრისაცა ძენი. და თანად კიდობანი მიიღებუოდა მბრძოლთა მიერ.

32*. ხოლო ვითარცა მიეთხრა ძლევაჲ სილოს შინა და ჰორლით წარყვანებაჲ კიდობანისაჲ, რამეთუ ვენიამიტი მიმთხრობელი მივიდა მათდა ქაბუჯი, თანადამთხუეული ქმნილისაჲ, გლოვითა აღივსო ქალაქი. და ილის მღვდელთმთავარი მჯდომარე იყო სხუთა ბჭეთა თანა მალაღსა საყდარსა ზედა და მსმენელი გლოვისაჲ და მგონებელ უახლესსა რასმე ქნნად. ნომოდებელი ქაბუკისაჲ. ვითარ მეცნიერ იქმნა ბრძოლისა ძლითთა, უმოლხონეს იქმნა² ყრპათა ზედა და მითხრობილთა მკედრობისათვის, ვითარ წინაწარმეცნიერი და წინაწარვე მთხრობელი ღმრთისა მიერ შემთხუევაღსა³, რამეთუ იპყრობენ ძლიერად მოულოდნელად შემთხუეულნი ძვრნი. ხოლო ვითარ კიდობანისაცა ესმე ჰორლით ჰყრობაჲ მტერთა მიერ, გარეშე სასოებისა მისდა შემთხუევითა ამისითა ტყივნეული და შთაგორვებელი საყდრისაგან, აღსრულდა, რკათა და ოთხეოცდაათთა ცხორებელი წელთა. და ამათგან ორმეოცთა შინა მპყრობელი მთავრობისაჲ.

43*. ხოლო მოკულა მასვე დღესა შინა და ფინეისის² ყრმისა ცოლიცა, არა მომთმენელი ცხორებად ძნელბედობასა ზედა მამაკაცისასა. ხოლო მუცელქუმულსა მიეთხრა მას მეუღლისა ძლიით ვნებაჲ და შვა უკუე შვდ თვისა ყრმაჲ,

1 მოაკედინნეს. 2 იქმნა|+იყო AQ, +რაჲ იყო S.
 * 1 მეფ. 4,1. 1* 1 მეფ. 4,3. 2* 1 მეფ. 4,12. 3* 1 მეფ. 4,19.
 * ესე იგი არს კიდობანისა. 01 ტყუობაჲ. 02 ესე იგი არს ფინეისი, ყრმაჲ იგივე უწყოლი.

რომელსაც, ცხოვნებულსა, იოხადიდ სახელ-სდევს. ხოლო მოასწავებს უდი-
დებობასა სახელი ამისთვის, რამეთუ შეემთხვა მას მაშინ ძნელდიდებობად
მკედრებსა.

5*. ხოლო იმთავრა პირველად ილის ითამაროს, სხვსა აარონის ძეთა სახ-
ლისაგან, რამეთუ ელეაზაროს სახლი პირველად სამღდელოდ იყო, ყრმადა
მაშისაგან მიმღებელი პატივისა. ხოლო მან ფინეესს, ყრმასა მისსა, მისცა, რომ-
ლისა შემდგომად ავიეზერის. ძედ მისა მყოფმან, პატივისა მიმღებელმან ყრმა-
სა მისსა, ვეკმის^o სახელით. დაუტევა იგი, რომელსა ემონაცვალა ოზის, ძედ
მყოფი. რომლისა შემდგომად ილის აქუნდა მღდელობად, რომლისათვის იყო
აწ სიტყუად და ნათესავსა მის მიერსა ვიდრე სოლომონის მეფობისა უამთამ-
დე. ხოლო მაშინ ელეაზაროსთა მიიღეს იგი კუალად.

* 1 ნეშტ. 6,4. 1 მეფ. 2,27; 2,35.

^o დაწერე და ვოკაცია,

მსენი არიან მებაჟუსას შინა იოსიკოდს იუღაბრივისა
სიტუათმთავროვისა მოთხრობათასა

1. განხრწნა პალესტინელთა / და ქუეყანია მათისა ჩისხვისა მიერ^v ღმრთისა, ტყუეჭმნილისა ძლით მათ მიერ კიდობნისა; და რომლითა სახითა უკუნ-აქცია იგი ევრაელთა.

2. აღმკვდრებამ პალესტინელთა მათ ზედა და ძლევა ევრაელთა სამუილოვს წინაწარმეტყუელისა მკედართმეყანებელობითა მათდა.

3. სამუილოვს, სიბერისათვის უძლურად მყოფმან, განგებად საქმეთა ყრმათა მისთა კელთ-უსხსნა ესენი.

4. ვითარმედ არა კეთილად წინამდგომარე იყენეს იგინი მთავრობისა და ამისთვის სიმრავლემან ჩისხვით ითხოვა მეფე.

5. სამუილოვისი ამისა მიმართ განჩისებამ და მეფისა აღჩენამ მათდა, საულოვისი სახელით, ბრძანებითა ღმრთისა.

6. საულოვის აღმკვდრებამ ნათესავსა ზედა ამმანიტელთასა და ძლევა და მიტაცებამ მბრძოლთა.

7. ვითარმედ, აღმკვდრებულნი კუალად ევრაელთა ზედა, პალესტინელნი იძლიენეს.

8. საულოვისი ამალიკიტა მიმართ ბრძოლად და ძლევა.

9. ვითარმედ, გარდაჰკდა რამ საულოს მცნებათა წინაწარმეტყუელისათა, სამუილოს სხუამ მეფე განაჩინა ფარულად, დავიდის სახელით, ბრძანებისაებრ ღმრთისა.

10. ვითარმედ და კუალადცა აღმკვდრეს ევრაელთა ზედა პალესტინელთა საულოვს მეფობასა შინა.

11. მარტოდ მბრძოლობამ დავიდისი ღოლიათოვს მიმართ, რჩეულისა პალესტინელთა. და მოკლვამ ღოლიათოვისი და მოკუდინებამ¹ და ძლეულებამ პალესტინელთა.

12. ვითარმედ, მაქებელმან დავიდისმან სიმცნისათვის, შეაუღლა მას ასული საულოს.

13. კუალად ამთსა შემდგომად დავიდის, მისდა იქუნეუქმნილისა, მეფე მოსწრაფე იყო მოკუდინებასა.

14. ვითარმედ მრავალგზის და დავიდისცა, დაქირვებული სიკუდილად საულოვს მიერ, განევლტო; და საულოს, ერთბაშადქმნილი ვიდრე მოკუდინებადცა, არა მოაკუდინა.

15. კუალად აღმკვდრეს რამ პალესტინელთა კუალად ევრაელთა ზედა, იძლიენეს ევრაელნი ბრძოლასა შინა. და მეფე მათი საულოს მოკუდა ძეთა თანა თვსთა, მბრძოლი.

მოაქუს წიგნსა ესამი წელთა ოც და ათორმეტთა.

¹ მოკუდინებამ.

1)* ხოლო პალესტინელი, მიმღებელი კიდობანსა მბრძოლთასა ტყუედ. ვითარცა წინაწარ-ვთქუ მცირედ უწინარეს, აზოტად ქალაქად მიმყვანებელ იქნეს და ღმრთისა მათისა თანა, ვითარცა ნატყუენავი რამემ, ხოლო დაღონ იწოდებოდა იგი. დაღვეს. ხოლო ხვალისად, ყოველნი დაწყებასა თანა დღისასა შეაოულნი თაყუანისცემად ღმრთისა მათისა, ჰპოებენ მას ამას მოქმედსა: კიდობანისა მიმართ, რამეთუ მდებარე იყო, შთამოვრდომილი ძეგლისა მისგან. რომელსა მდგომარე იყო. და მტკრთველთა კუალად დაადგინეს მას ზედა, შეძრწუნებულთა ქმნილსა მას ზედა. ხოლო მრავალგზის მიწვენულნი დაღონის მიმართ და მპოვნელნი მსგავსად მდებარესა შუბლსა ზედა, სახითა კიდობნისა მიმართ თაყუანისმცემელისადათა, უღონოებასა და ბოროტად შფოთებასა შინა. მდგომარე იყვნეს. და დასასრულად შიავლინა ღმერთმან აზოტელთა ქალაქად და სოფლად მათდა განხრწნა და სენი, რამეთუ მოკულებოდეს ძნელმშულობისა მიერ, ვინათგან ბოროტი და სიკუდილსა ეუმარხულესსა მოიღებდა, რამეთუ სულსა მათისა უწინარეს სხეულისაგან კეთილსიკუდილობით განჯსნისა, შინაგანთა აღმომღებელი წარმოსთხვედეს შექმულთა და ყოვლითურთ სენისა მიერ განხრწნილთა. ხოლო სოფლის ზედათა თაგუთა სიმრავლე, აღმოსრული ქუეყანისაგან, ავნებდა, არცა ნერგთა და არცა ნაყოფთაგან განყენებულნი. ხოლო მათ უკუე, ბოროტთა შინა მყოფთა აზოტელთა და განსაცდელთა

91 მიმართ წინააღდგომად / არა შემძლებელთა; გულისკმა-ყვეს კიდობნისა მიერ შემთხუევაჲ ამათი მათდა და ძლევამ და ტყუეობამ მისი არა კეთილისა მათისათვის ქმნილი. წარავლინეს უკუე ასკალონიტთა მიმართ, მვედრებელთა, რათა შეიწყნარონ მათ თანა კიდობანი. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს ვედრებაჲ აზოტელთა და წამ-უყვეს მათ მადლი. და მიმღებელი უკუე კიდობნისანი მსგავსთა ბოროტთა შინა იყვნეს, რამეთუ თანმიმღებელ იქმნა ესე ბოროტსა აზოტელთასა, შემწყნარებელთა მიმართ მათგან ამისთა. და სხუათა მიმართ მათგან წარავლენენ ასკალონიტნი. ხოლო დაადგრების არცა მათ თანა, რამეთუ, მათვე ვნებათა მიერ მოკუელთა, გარემოჲსთა ქალაქთა მიმართ განუტევეს. და ამით სახითა მოპვლიდა კიდობანი ხუთთა პალესტინისა ქალაქთა, ვითარ ნაწილსა მიმცდელი თითოეულისაგან მათდა მიმართისა მისლვისაგან, რომელნი მის ძლით ევენებოდეს.

2)* ხოლო დამაშურალნი ბოროტთაგან, განცილინი და ამის მსმენელთათვის მოძღუარქმნილნი არა შეწყნარებისათვის კიდობნისა, მაშინ მათდა მიმართ ესევითარისა სასყიდლისა და დასასრულისათვის, მიერითგან ეძიებდეს მანქანებასა და ღონესა მისგან ქსნისასა. და შეკრებილნი ხუთთა ქალაქთაგან მთავარნი, გიტისა და აკარონთაჲსა და ასკალონისა და თანად ღაზისა და აზოტისა, გამოეძიებდეს, რამემ ჭერ-არს ყოფად. და პირველად ვიდრემე სათნო-უჩნდა წარვლინებაჲ კიდობნისაჲ თვისთა მიმართ, ვინათგან ღმერთი მსჯელ არს მისდა და ამის მიერ მიწვენელ არიან მათ ზედა ბოროტნი და გარდარეულ არიან ქალაქთა ნათთა ზედა. ხოლო იყვნეს ვიეთნი, მეტყუელნი ამის არა ქმნად და არცა შეცთომად მიზეზსა ბოროტასა მის ზედა აღლებითა, რამეთუ არა ესე არს ძალი მრთელი და ძლიერი, ვინათგან არამცა კელისქუეშე ქმნილ იყოს, უკუეთუმცა ღმერთი მოუტრნე იყო მისა. ხოლო დაწყნარებასა და სიმშვიდით ქონებასა განაზრახებდეს შემთხუეულთა ზედა, მიზეზსა ამთსა არა

სხუასა, არამედ მხოლოდსა ბუნებისა გულისმისტყუველთა, რომელი შობს ესევეითართა ცვალებათა და სხეულთა: და ქუეყანისა და ნერგთა და ყოველთა მის მიერ შენადგამთა გარემოქცევასა შინა წელთა. ხოლო სძლეეს წინათქუმულთა მოგონებათა განზრახვად მამაკაცთა, რწმუნებულთა ზესთაგარდამატებულებად, ზენათა ეამთა მიერ გულისქვის-ყოფითა და სიბრძნითა. და სათნო-უჩნდა ჭეროანთა თქუმა მუნ მყოფთა მიმართ, რომელნიცა არცა წარგზავნასა კიდობნისასა იტყოდეს ჭეროანსა თანად, არცა პერობასა, არამედ ანდრიანტთა ხუთთა ოქროსათა თითოეულისა ქალაქისათეს შეწირვად ღმრთისა სამადლობელად, რამეთუ იზრუნა მათისა ცხორებისათეს და იპყრნა ცხორებასა შინა დევნილნი მის მიერ ვნებათაგან, რომელთა არა შესაძლებელ იყო მიხედვად. და ესოდენთავე რიცხვთ თაგუთა ოქროსათა, მიმზავსებულთა ქუეყანისა მათისა შემკველთა და განმზრუნელთასა. და ამისა შემდგომად ყოველთა სხმად მათ ლარნაცსა შინა და დადებად კიდობანსა ზედა და ურემსა ახალსა შენადებად მისდა. და დიაკეულთა აწლა მშობელთა შეუღლებად, ხოლო კბოთა პერობად, რათა არა მყენებელ ექმნენ დედათა მათთა შედგომილნი, არამედ სურვილითა მათითა უმახვლეს ჰყოფდენ სლვასა. და ამით, კიდობნისა მიმდებელთა, განტევებად და სამგზასა ზედა დატევებად და მათ ზედა მიწობად, რომლისაცა მიმართ გზათამსა ენებოს წარსლვავი. და უკუეთუ ვიდრემე ევრაველთასა წარვიდენ და სოფლისა მათისაგან აღვიდოდინან, შესაჯაცხ/-იქნენ კიდობანი შიზეზ ბოროტთა. „ხოლო უკუეთუ სხვსა მიმართ მიდრკენ, დევნაუყოთ მას, იტყოდეს, მეცნიერთა, ვითარმედ არცა ერთი ესევეითარი ძალი აქუნდა.

3)* და საჯეს ამათი კეთილად თქუმა მდ მეყუსეულად საქმით განზრახვად დამტყიცეს. და ქმნეს რაჲ წინათქუმულნი, მიიყვანეს ურემი სამგზასა ზედა და, დამტევებელნი, წარვიდეს. ხოლო დიაკეულთა, მართალსა გზასა წარსრულთა, ვითარ წინამძღურობითა ვისითამე, მათდა შეუღდეს პალესტინელთა მთავარნი, სადამე დადგენ და რომელთა მიერ მივიდენ, მსებებელნი ცნობად. ხოლო დაბად არს იუდას თესლისაგან, ვითვმი სახელით. ამისა მიმართ მიიწივნეს დიაკეულნი და ვინათგან ველმან დიდმან და კეთილმან სლვად მათი მიითულა, დასცხრეს წინაქროძორე წარსლვისაგან, მუნ დამაყენებელნი ურმისანი. ხოლო სახილველი იყო დაბასა შინა მყოფთად და მხიარულ-იქმნეს, რამეთუ ეამსა მკისასა ყოველნი, შეკრებისა მიმართ ნაყოფთამსა ყანათა შინა მყოფნი, ვითარ მხილველ იქმნენ კიდობნისა, სიხარულითა აღტაცებულნი და საქმესა კელთაგან დამტევებელნი, მეყუსეულად რბიოდეს ურმისა მიმართ. და, შთამომღუელთა კიდობნისათა და კუტკულისათა, რომელსა აქუნდეს ანდრიანტნი და თაგუნი, დასხნეს კლდესა რომელსამე ზედა. რომელი იყო იველსა მას შინა. და მსხუერაბლველთა ბრწყინვალედ ღმრთისა და მსერებელთა, ურემნი თანად და დიაკეულნი ყოვლად დასაწუველი ქმნეს. და ამათნი მხილველნი. მთავარნი პალესტინელთანი უკუნ-იქცეს მართლ-უკუნ.

4)*¹ ხოლო რისხვად და გულისწყრომად ღმრთისად ეწია ვითვმისა დაბასაგანთა, ვითარ არა ღირსთა შეხებად კიდობანსა, რამეთუ არა მღდელ იყვნეს. და სამეოცდაათთა, მისდა მიახლებულთა, მწყლველმან, მოაკუდინნა². ხოლო იგლოვნეს იგინი, ამათნი მვნებელნი, მდაბიურთა. და გლოვად აღადგინეს მათ ზედა, რომელი შესატყვის იყო ღმრთივ-მოწყენილსა ბოროტსა ზედა და თესსა

¹ კიდობანსა A. ² მოაკუდინნა.

* 1 მეფ. 6,10. * 1 მეფ. 6,19.

ნისსა თითოეული იგლოვდა. და კილობნისა უკუე მათ თანა დადგრომისათეს უღირსად შემრაცხელნი თავთა თესთან, წარმავლენელნი საზოგადოისა მიმართ ევრავლთაისა, ცხად-უყოფენ უკუნცემისა კილობნისასა პალესტინელთა მიერ. და ამისთა მცნობელთა მათ წარიღეს იგი კარიათიარიმად, მახლობელად ვოთვანსა ქალაქსა, სადა ამინადამოის ვისმე, ნათესიით ლევიტელისა, რომელი სიძარტლესა ზედა მსახურებასა ცხორებული განთქუმულ იყო, ამისად სახლად მიიყვანეს კილობანი, ვითარ ჭეროვანსა ადგილსა ღმრთისათეს, რომელსა შინა მკვლარ იყო მართალი კაცი. ხოლო მსახურებდეს კილობანსა ყრმანი მისნი: და ზედმოჴრწნობასა ამისასა ვიდრე ოცთა წელთამდე მქონებელ იყვნეს, რამეთუ ესოდენ დაადგრა კარიათირიმს შინა დადგრომილი პალესტინელთა შორის თუეთა ოთხთა.

ო. 2.

1*. ხოლო ნას ყამსა შინა, რომელსა აქუნდა კარიათიარიმელთა ქალაქსა კილობანი, ყოვლისა ერისა ლოცვათა მიმართ და მსხუერპლთა ღმრთისათა მიდრეკისა და მრავალსა მსახურებასა მისა მიმართ მაჩუენებელისა, სამუილოს, მიღველმან გულსოდგინებისა მათიამან, ფრიად ყამყეთილად ესევეითარად მქონებელთა მიმართ თქუა თავისუფლებიასათეს და მას შინათა კეთილთათეს ჯა იქუმინა სიტყუანი, რომელთა ჰგონებდა მოქცევად გონებასა მათსა დარწმუნებად: „რამეთუ შამაკაცხო, ჰრქუა, რომელთა აწ მძიმენი მბრძოლნი არიან პალესტინელთანი, ხოლო ღმერთი დამწყებელ არს სიტკბობებისა და სიყუარულისა ქმნასა თქუნდა მომართ, არა თავის/უფლებიასათეს მხოლოდ ჭერ-არს გულსთქუმად, არამედ და ქმნადცა, რომელთა მიერ მოვიდეს ესე. არცა მნებებელობად ვიდრემე ჰანასა მეუფეთაგან, ხოლო დადგრომად მათ ზედა მოქმედთა, რომელთა მიერ ესენი მყოფ არიან, არამედ ექმნენით მართალ და ყოველსა ბორტასა განმდევნელნი სულთაგან და განმკურნებელნი მისნი ყოვლითა გონებითა. ნოუწოდით ღმერთსა და პატივისცემელ ექმნენით. რამეთუ თქუნენ, ამისთა მოქმედთად, მოიწინენ კეთილნი: მონებისაგან განთავისუფლება და ძლევად მბრძოლთად, რომელთა მიღებად არცა საჭურველითა, არცა ძლიერებითა სხეულთადათ, არცა სიმრავლითა შემწეთადათ შესაძლებელ არს, რამეთუ არა ამით მიერ აღუთქუამს ღმერთი მინიჭებასა ამისთა, არამედ სახიერ-ყოფითა და სიმართლითა. ხოლო თავმსდებ აღთქუმათა მისთა მე ექმნები“. ესენი რამ თქუნა. აქო სიმრავლემან მხიარულქმნილმან სწავლასა. ზედა და წამ-უყო თავსა თესსა სათნოდ ღმრთისა მინიჭებად. ხოლო სამუილოს შეყრიბნა იგინი ქალაქსა რომელსამე, სახელდებულსა ასფათინად, განმსტურებულსა ესე მოასწავებს ევრავლთა ენისაგბრ. და მუნ, განმზანელთა, უმსხუერპლეს ღმერთსა და დამმარხველნი დღე ყოველ, ლოცვათა მისთა მიმართ მიიქცეს.

2)* ხოლო არა დაეფარვიან პალესტინელთა მუნ შეყრიბილნი, არამედ, მსწავლელნი შეყრიბისა მათისანი, დიდითა მკედრობითა და ძალითა ზედმიუვიდეს ევრავლთა, მსასობელნი ზედ-დასხვასა არა მიძლოდეთა და არცა შეიზაუბებულთასა. ხოლო ამან განკვრებულ ქმნა იგინი და შფოთსა შინა და ნიშნა შთაყარნა. და მიღტოლვილნი სამუილოს მიმართ აღმოსლვასა სულთა მათთასა შიშისა მიერ და პირველისა ძლევისა, იტყოდეს ამისთეს დადუმებასა, რამათა არა აღეძრათ ძალი მბრძოლთად. „ხოლო შენ ვინაითგან მოგყევანენ ჩუენ

* 1 მეფ. 7,2. * 1 მეფ. 7,7.

ლოცვათა ზედა და მსხუერპლთა და ფიცთა, შიშუელთა და უსაქურველოთა ზედა აღმკვდრებულ არიან მბრძოლნი. სასობება უკუე ჩუენდა ცხორებისაჲ არარაჲ სსუჲაჲ არს, გარნა შენსა გარეშე და ღმრთისა მხოლოდ, რაჲთა ვედრე-ბულქნილიმან შენ მიერ მოგუჲანიჭოს ჩვენ განლტოლვაჲ პალესტინელთაგან¹. რამეთუ მან განმკვნობა უბრძანა და შეეწენაჲ მათდა ღმრთისაჲ ალუთქუა. და მიწყანებელმან კრავისა ძუძუმსმწოვარისამან, ყოველთათჳს ამსხუერპლა იგი და ევედრა ღმერთსა ქონებად მათ ზედა მარჳუენესა მისსა პალესტინელთა ბრძოლისა მიმართ და არა შეურაცხ-ყოვად მეორედ ძნელბედლობასა მათსა. და მსმენელ იქმნების ღმერთი ლოცვათა და შემწირველმან მსხუერპლმან სახიერითა და თანაშემწითა გონებითა, წამ-უყო მათ ძლევაჲ და ძალი. ხოლო ნერმეცა, ვომონსა ზედა ყოფასა ღმრთისა მსხუერპლთასა და არღა ყოველსა საღმრთოჲსა ცეცხლისაჲ მიერ აღწობასა, მოვიდა ბანაკით მათით ძალი მბრძოლთაჲ და განეწყო ბრძოლისა მიმართ, მსასობელი ძლევისაჲ პყრობი-ლობისა ძლით ეერაელთაჲსა უღონობესა შინა, ვინათგან არა აქუნდეს სა-ქურველნი, ვითარ არა განსრულთა მუნ ბრძოლისა მიმართ. ხოლო შთაჯარდეს მათ შინა, რომელთა, უკუეთუმცა ვინმე წინაწარ-იტყოდა, არამცა აღვილად ირწმუნეს: რამეთუ პირველად ღმერთმან შეაძრწუნნა იგინი ძრვითა და ქუეყა-ნაჲ, ქუეშე კერძო მათაჲ შემბრველმან, მძრწოლარე-ყო. და შეეფოთებულ ვიდრეღა რყე/ულისა საფუძველთა მიღმოღებადნდე და განდგომილი და რო-მელთაჲ ნახეთქთა მიმართ შთაირღუეოდა. ამისა მიმართ ქუხილითა და მკომო-ბელმან და ცეცხლიანთა ელვათა მიერ, ვითარ შემწუველმან სახედველთა მის-თა დაძანბელბელმან და კელთაგან საჭურველთა გამომაქუეებელმან, შიშუელ-ნი ლტოლვად მიაქციენ. და ზედ-განვალს საშუილოს² სიმრავლისა თანა და, მრავალთა მომაკუდინებელთა, შეუდგა ვიდრე კორეოთადმდე, ადგილისა რომ-ლისანმე ესრეთ წოდებულისა. და მუნ, ქვასა შთამსობელმან ვითარ საზღვარსა ძლევისა და მბრძოლთა ლტოლვისამან, „ძლიერად“ სახელ-სდგა მას, სასწაუ-ლად ღმრთისა მიერ ქმნილისა მათდა მტერთა მიმართისა ბრძოლისა.

3)* ხოლო მათ, შემდგომად ამის წყლულებისა, არღარა აღმკვდრეს ისრა-ილიტთა ზედა, არამედ შიშისა მიერ და ქსენებისა დაღუმებულ იყვნეს. ხოლო სიმკნე, რომელი იყო ძუელ ოდესმე პალესტინელთაჲ ეერაელთა ზედა, ესე შემდგომად ძლევისა მათდა იქმნა. და სამუილოს, აღმკვდრებულმან მათ ზედა, მრავალნი მოაკუდინნა და ზუაობაჲ მათი სრულიად დაამდაბლა და ქუეყანაჲ მიიღო, რომელი იუდელთაგან მიიღო მათ პირველად, მძლეველთა ბრძოლასა შინა. ხოლო ესე იყო ვიდრე ქალაქისამდე აკკარონთაჲსა საზღვართაგან ქუეყა-ნისათა განმარტებულთა. ხოლო იყო მას ჟამსა სიყუარული ისრაილიტთა და ხა-ნანელთა შორის დატევებული.

თ. 3.

1)* ხოლო წინაწარმეტყუელმან საშუილოს². შემამკობელმან ერისამან და ქალაქსა მიმცემელმან, ამას შინა შეკრებილთა უბრძანა მას განყოფილებათ-ათჳს ურთიერთარსთა³ განსჯად. ხოლო იგი, ორგზის წელიწადსა შინა წარსრუ-ლი ქალაქთა შინა, უსჯიდის მათ და მრავალსა სჯულკეთილობასა მიანიჭებდეს მათ წელთა მრავალთა.

1 საშუილოს AQ. 2 საულის AQ. 3 ურთერთარსთა A.

* 1 მეფ. 7,13. 1* 1 მეფ. 7,15; 8,1.

0 დაწერე ესრეთ საღმრთოჲსა საყუმილისა მიერ.

2) ამისა შეძღვომად, სიბერისა მიერ დამძიმებულმან და ჩუეულებითა მოქმედებად დაყენებულმან. მთავრობაჲ და წინამდგომელობაჲ სიმრავლისაჲ ძეჲა მისცა, რომელთა უმოხუცებულესი იუილოს სახელ-იდებოდა, ხოლო უქმნუქვისისა — ევიასი იყო სახელი. და უბრძანა ერთსა ვიდრემე ვეთილოს ქალაქსა შინა მკვდომარესა სჯად, ხოლო სხუასა — ვერსოვიას შინა. და განუყო თითოეულსა ერი მორჩილებადი მათდა. ხოლო იქმნენეს ესენი სასწაულ და იგავ, რამთა არა ვიეთნი მსგავს ექმნებოდიან ქცევასა მშობელთასა, არამედ ნანდვლ სადმე კეთილნი და სახიერნი ბოროტთაგან იქმნებოდიან. ამისთვისცა ბოროტთა კეთილისაგან მქონებელ იქმნენეს თავთა თვსთა, რამეთუ მამისა სათნოებათაგან მიდრეკილნი და წინააღმდგომსა გზასა წარსრულნი, ძლუნთა და მიხუეკათა ქუეშე ჰყოფდეს მართალსა, ხოლო ბქობათა არა ჰეშმარტისა მიმართ, არამედ შეძინებისა მიმართ მოქმედ იყვნეს. და შუებისა მიმართ და საზრდელთა მრავალფერთა მხედველ იყვნეს და პირველად ვიდრემე ღმრთისა წინააღმდგომთა იქმოდეს ამათ, ხოლო მეორედ — წინაწარმეტყუელისა და მამისა მათისათა, რომელი მრავალსა მოსწრაფებასა და მოურნეობასა შემოიღებდა ერისა სიმრავლისათჳს.

3)* ხოლო ერი, ვინაჲთგან აგნებდეს პირველსა განწესებასა და მოქალაქობნასა წინაწარმეტყუელისა ყრმანი, მძენვარედ მოითმენდა ქმნილთა და მისა მიმართ მიივლტიან, ხოლო იქცეოდან არამათას ქალაქსა შინა და ძეთა მისთა უსჯულოებასა იტყოდეს. და ვითარ დაბერებული იგი აწვე და დაქსნილი ყოვლისა მიერ საქმეთა, მერმეცა მათივე სახით წინააღმდგომსა არა შემძლებელ არს, მოქმენებდეს უკუე თანად და ევედრებოდეს მეფესა რომელსამე აღჩენად მათდა, რომელმან ჰმთავროს ნათესავსა და პატრიი მიჰვადოს პალესტინელთა, რომელთა თანა აწ ზღვეულებად პირველთა ნაცოდებთათჳს.

ხოლო ფრიად შეწუხებულ ყვეს სამუილოს სიტყუათა ამათ თანადანერგულისათჳს მისდა სათნოებისა და მეფეთა მიმართ სიძულულისათჳს, რამეთუ ძლელ იყო ფრიად რჩელთმჰყრობელობისაგან, ვითარ საღმრთო და სანატრელ-მოქმედისა მათ, რომელნი იკუმევედენ მოქალაქობასა მისასა. ხოლო ზრუნვისა მიერ გამოძიებისათჳს თქუმულთაჲსა არცა საზრდელისაჲ მოივსენა და არცა ძილისაჲ, არამედ ღამე ყოველ დიდმოქცეველი გონებათაჲ საქმეთა მათჳს დადგრომილ იყო.

4)* ხოლო ესრეთ მქონებელ იყო, გამოუჩნდა მას ღმერთი და ნუგეშინისცა არა შეწუხებად, რომელთათჳს ევედრა სიმრავლე, რამეთუ არა მისა მიმართ ამპარტავან იქმნენეს, არამედ თვთ მისსა, ვითარმცა არა მხოლოჲ მეფე იყო. ხოლო ამათ საქმეთა, რომლით დლითგან გამოიყვანნა იგინი ეკვპტიით, მომეერაგებელ არიან, რომლისათჳსცა იპყრენეს იგინი სინანულმან სატყვიარმან არა მიმყოფრებულად: „რომლისა მიერ ქმნილთაგან არცა ერთი უშუერ იყოს, ხოლო იმხილნენ შუერაცხისმყოფელნი და განზრახებთა არა სამადლობელთა ჩეზდა მომართ და შენსა წინაწარმეტყუელებისა მომღებელნი. ხოლო გიბრძანებ შენ კელთდასხმად მეფესა მათდა, რომელიცა მე წინაწარ-გითხარა. და წინაწარვე აუწყო მათ, თუ ვითართა ბოროტთა მიერ განცილდ იქმნენ მეფობელნი და უწამე, რომლისა ცვალებისა მიმართ მოსწრაფე არიან“.

5)* ამათმან მსმენელმან სამუილოს და განთიად შემკრებელმან იუდელთამან, აღჩენად მათჳს მეფისაჲ აღიარა. ხოლო პირველად, თქუა, ვითარმედ-

* 1 მეუ. 8,4. 1* 1 მეუ. 8,7. 2* 1 მეუ. 8,10.

• სამუილოს ცხად არს ესე იგი ღმერთი.

ჯერ-არს შიხრობაჲ მათღა მეფეთა მიერ ქმნადთა ძლით და რაოდენთა აღერი-
ნენ ბოროტთა: „რამეთუ უწყოდეთ, ვითარმედ პირველთა შვილთა თქუენთა
მიგფხურიდენ თქუენ და რომელთაჲმე მათგანთაჲ ეტლითჰპყრობელობაჲ ბრძა-
ნონ, ხოლო სხუათა — ცხენთაჲ, დამცველ ყვენენ რომელნიმე, ხოლო სხუანი —
მოარბედ და ათასთმთავარ და ასთმთავარ, ხოლო სხუანი კვლოვან ყვენენ, სა-
ჭურველთმოქმედ და ეტლთმოქმედ ორდანიოთა“ შემშადებელ, თანად მუ-
შაკ და თვსთა აგარაკთა ზედმოურნედ და მთხრელ ვენაკთა. არაარა არს, რომ-
ელი არა ყონ ბრძანებულთა მსგავსად მონათა, ვეცხლით მოსყიდულთა. ხო-
ლო ასულნი თქუენნი განაჩინენ სულნელთ-მოქმედ და მზარაულად და
პურთ-მოქმედად. და ყოველი საქმე განუჩინონ მათ, რომელსა მკვევალნი საქი-
როობით ჰმსახურებენ, გუემათაგან შეშინებულნი და ტანჯვათა. ხოლო მონა-
გები თქუენი მიგიღონ და ესე ყუერულთა და მკვევლთა მიანიჭონ და სიმრავ-
ლენი სამწყსოთანი თვსთა მათთა მიანიჭენ. და შემოკრებულად ითქუენინ¹.
ჰმონებდეთ მეფესა ყოველთა მიერ თქუენდა, მსგავსქმნილნი მონათა მათთა-
ნი. რომელმანცა ქმნილმან ქსენებაჲ სიტყუათა ჩემთაჲ ვიშვას თქუენ და ვნე-
ბაჲ ამათი და შემნანებლნი ევედრებოდით ღმერთსა შეწყალებად თქუენდა
და მონიკებად მალიადსა ქსანსა მეთეთაგან. ხოლო მან, არამითუალეველმან
ვედრებათამან, არამედ გარემომაქცეველმან, დაგიტვენეს თქუენ სამართალსა
მიკლად პატიჟსა თქუენ მიერთა ჰავგანზრახვათათჳს“.

6)1* ხოლო სიმრავლე უგუნურ სადმე იყო წინაწართქუმულთა მიმართ
გულეებადთა და ძნელ იყო გამოლებად გონებისა განსჯასა აწ ვიდრე გონებასა²
/ შინა დაფუძნებულსა. რამეთუ არა მოიქცეს, არცა იყოს ზრუნვაჲ მათ შორის
სამუილოჲს სიტყუათა, არამედ ზედდადგრომილ იყვენეს მვედრებელნი და
კვლთდასხმასა ითხოვდეს მეფისასა და არა ზრუნვასა გულეებადთასა, რა-
მეთუ შურისგებისა მიმართ მტერთაჲსა საჭირო არს მბრძოლისა მათ თანა ქო-
ნებაჲ და ვითარმედ არა უსახურებაჲ არს; უკუეთუ აქუნდეს მათცა მსგავსი
მოქალაქობაჲ თანმანლობელთა მეფობათაჲ. ხოლო ვითარ ზედვიდა მათ სამუ-
ილოს მოუქცეველად წინაწართქუმულთაგან, არამედ ზედდადგრომილად,
აწ ვიდრემე, თქუა, წარვედით თავად თვსად თითოეული. ხოლო მოგიწოდო
თქუენ ჯეროვანსა უამსა, რაჲამს ვისწავო ღმრთისა მიერ, რომელსა მოგცემს
თქუენ მეფესა.“

თ. 4.

1)2* ხოლო იყო ვინმე ვენიამიტლოჲს თესლისაგან, მამაკაცი კეთილ-
ქმნილი და სახიერი ქცევითა, კის სახელით. ამისა იყო ყრმაჲ, ხოლო იყო ჰბაუ-
კი სახითა რჩეული და სხეულითა დიდი და სიბრძნითა და გონებითა უმჯობესი
ხედულთაჲ. საულოდ უწოდეს მას. ამან უკუე კის, ვინაფთგან ვიჩინ წარწყმიდ-
ნა კეთილნი, შეცდომილნი აგარაკით, ხოლო იხარებდა მათ ზედა, ვითარ არცა
ერთსა ზედა მონაგებთაგანსა, ძე თვსი ერთისა თანა მონისა ძიებად პირუტყუ-
თა³ წარავლინა. ხოლო ესე ვინაფთგან მამულისა ნათესვისაგან მოვლო, მეძი-
ებლმან ვირთამან, სხუათაცა მიმართ წარსლვაჲ ყო. და არცა ამათ შინა მიმ-
თხუელუმან უკუნქცევად აგრძნა, რაფთა არა იქმნეს მონითგან ზრუნვაჲ მამი-
სა მისისა მისთვის. და მონამან, შედგომილმან მისდა, ვითარ მიიწინეს არმათა
ქალაქად, წინაწარმეტყუელისა ყოფთა თქუა მას შინა ჰქმნარითისაჲ და მისა მი-

¹ ითქუენინ. ² გონებასა] + გონებასა A. ³ პირუტყუთა.

* ძეგლად ნ₂₀ (== იბარლის). 1* 1 მეფ. 8, 19. 2* 1 მეფ. 9, 1.

ნართ წარსლად და განზრახვად მის თანა, რამეთუ მეცნიერ იქმნენ მის მიერ დასასრულსა ვირთასა. ხოლო საულოს არარად ქონებად თქუა, რომელი მანაწილნი მან წარსრულთა წინაწარმეტყულებსათს, რამეთუ აწლა დაცალიერებულ არიან საგზალთავან. ხოლო მონამან ნაოთხალსა სიკლომსსა თქუა მათდა ყოფად და ამის მიცემად, რამეთუ უმეტრებითა არა მიღებისათა წინაწარმეტყულებისაგან სასყიდელსა შეეთომილ იყვნეს. და ესრეთ მიიწინეს: და ბჰეთა თანა მიმთხუელნი ქალწულთა, წყლად მავალთანი, ჰკითხვენ მათ სახლსა წინაწარმეტყუელისასა. ხოლო მათ აუწყეს და სწრაფად უბრძანეს ვიდრე დაკლმანდღე მისდა სერობად და პირველ დასხდომად წოდებულთა, რამეთუ მრავალთა აქერებს.

ხოლო სამუილოს მრავალნი შეკრიბნა მას შინა სახლად, რამეთუ დღე ყოველ ევედრებოდა რამ ღმერთსა თხრობად მისდა, თუ ვინ მეფე ყოს, წარსრულსა დღესა აუწყა ესე, ვითარმედ მიაველინოს მისდა ჭაბუკი ვინმე. ვენამიტადომს ნათესვით, ამას ვიდრე ჟამსა. და იგი უკუე, მჯღომარე სახლისა ზედა, მოელოდა ქმნად ჟამსა. და განსრულდა ჟამი, შთანინორული სერობად ვიდოდა. ხოლო შეემთხვა საულოსს და ღმერთმან აუწყა მას ამისი ყოფად მთავრობად მგულბელისაჲ. ხოლო საულოს მივიდა სამუილომსა და მოკითხველი ევედრებოდა უწყებად სახლსა წინაწარმეტყუელისასა. რამეთუ, უცხოდმოფი, უმეტრებასა იტყოდა. ხოლო სამუილოს ჰქქუა თავისა თვისსა ყოფად და მიიყვანა იგი სერობად და აუწყა, ვითარმედ ვირნი, რომელთა ძიებისათს წარივლინა, ცხოვნებულ არიან და ვითარმედ იგი მიმთხუელ არს ყოველთა მტკიცეთა კეთილთა. ხოლო მან, „არამედ უმცირეს, თქუა, შე. შეუფეო, ესევითარისა სასოებისა და ნათესვისა უმცირესისაგან, რაოდენ მეფესა ქმნად და მამულისა უმდაბლესისაგან სხუათა მამულთაჲსა. ხოლო შენ განა/ცხრები და საციენლად დამდებ მე, მეტყუელი უზეშთაესთად, რაოდენ ზემრსა ქუეყანისა*“. ხოლო წინაწარმეტყუელმან, მიმყვანებელმან მისმან და სერობად და მისდა შედგომილისამან, დასუა იგი ზენა კერძო წოდებულთა, ხოლო ესენი იყვნეს ვითარ სამეოცდაათნი რიცხვთ. და უბრძანა მსახურთა წინადაგებად ნაწილსა სამეუფოსა. ხოლო ვინათგან ჟამი სარეცელისაჲ მოიწია, სხუანი ვიდრემე აღდგომილნი განიტყვებოდეს, თავად თვსად თითოეულნი. ხოლო საულოს წინაწარმეტყუელისასა მონისა თანა დაიძინა.

2)1* და ვითარ დღე მოიწია, სამუილოს. აღმადგინებელმან მისმან სარეცელისაგან, წარავლნა. და იქმნეს რამ გარეშე ქალაქისა, უბრძანა მონისა ვიდრემე წარგზავნად, ხოლო მისი დაშთომად, რამეთუ აქუს რამემ თხრობად მისდა. და საულოს ვიდრემე წარავლინა! შედგომილი. ხოლო წინაწარმეტყუელმან, მიმღებელმან ჰურჭლისამან, დაასხა ზეთი თავსა მის ზედა ჭაბუკისასა და, ამბორისყოფელმან, „იყავ მეფე, ჰქქუა, ღმრთისა მიერ კელთდასხმული პალესტრინელთა ზედა თანად და ევრაელთა შორის შურისგებისა. ხოლო საწაულ აშათდა გექმნეს შენ, რომელი მნებავს წინაუწყებად შენდა: რაჲამს წარაჰვდე ამირა, ეწოა სამთა კაცთა გზასა ზედა, თაყუანისცემად ღმრთისა წარმავლთა ვეთილად, რომელთაგან პირველი ვიდრემე იხილო სამთა პურთა მომღებულად, ხოლო მეორე—თიკანსა და მესამე უკუე, თხიერსა ღვინისასა მომღებელი, შედგომილ იყოს. და მოგვიტოხონ შენ ამათ და სიყუარულ გვენ და

1 წარვლინა A.

* იუ ღმრე ჯარე V 6,2 (ი ჯარე = 1) საზოგადოებრივი მდგომარეობა; 2) ქვეყანა. ამ კონტექსტში საპირთა პირველი მნიშვნელობა). 1* 1 მეფ. 9,26.

მოგცენ შენ ორნი პურნი, ხოლო შენ მიჰყენ. და მიერ მიიწიო რაქილას წოდებულსა საფლავსა თანა, სადა შეემთხვო შენ მახარებელსა შენთა ვირთა ცხოვნებისასა. და მიერ მისრულმან დაჯთაღ, წინაწარმეტყუელთა შეკრებილთა შეემთხვო და, საღმრთოქმნილმან, სწინაწარმეტყუელი შენა მათ თანა, ვიდრედა ყოველი მხედველი განცკბრდეს და განკვრდეს, მეტყუელი, სადაჲთ ამას კეთილბედნიერობასა კისეოას ყრმად მიიწიო. ხოლო რაჟამს იქნენ შენდა ესე სასწაულნი, უწყოდ ღმრთისა შენთა ყოფად. და ამბარსუყად მამასა შენსა და ნათესავთა შენთა. ხოლო უკუნქცელი მოხვდე ღალღალად ჩემ თანა, რაჲთა სამადლობელნი ამათნი შევსწირნეთ ღმრთისა“. და ამათმან მეტყუელმან განუტევა ჰაბუკი. ხოლო საულოსს ყოველივე სანუილოას წინაწარმეტყუელბიასებრ შეემთხვა.

3)* და ვითარ მივიდა სახლსა ნათესვისა მისისა აღენაროხსნა, და რამეთუ იგი უფროას სხუათა ნათესავთასა უყუარდა, კითხულმან დაეცნებდასათეს და სხუათა მის ზედა ქმნილთათეს, სხუანი ვიდრემე არა დადარნა, არცა რამეთუ მივიდა საბუილოასს მიმართ წინაწარმეტყუელისა, არცა რამეთუ მან უთხრა მას ცხოვნება ვირთაჲ. ხოლო მეფობისათეს და მის ძლითთათეს, რომელთა სმენილ-ქმნითა შურსა და ურწმუნოებასა ქონებდ მექუელობდა, დაიდუმა მისა მიმართ. და არცა კეთილგონიერებად ფრიად საგონებელისაჲ და უმეტეს ყოველთა სისხლისა მიერთაგან მისდა შეყუარებულსა მტკიცე, და ზრძენი ჰგონა მოთხოზბად, გულრსმისტყუელმან, ვითარ ეკვონებ. კაცობრივისა ბუნებისაჲმან, ვითარი არს ქეშმარიტთა შინა, ვითარმედ სრულად არავინ კეთილგონიერ, არცა მოყუარეთა და არცა ნათესავთაგანი, არცა ვიდრე ბრწყინვალეობათადმდე ღმრთისათა დაჰმარხვენ სიყუარულსა, არამედ ამპარტაენებათა თანა ბოროტყუელ/არიან და მოშურნე.

4)!* ხოლო საბუილოს მიუწოდა ერსა მემფად ქალაქად და მისდა ყვნა სიტყუანი, რომელთა მცნებისაებრ ღმრთისა თქუმასა იტყოდა: რამეთუ მან თავისუფლებად მიანიჭა მათ და მბრძოლნი დაამონა, ხოლო იგინი არა მოცნენ არიან კეთილმოქმედებათა მისთა და ღმერთსა ვიდრემე გარდაველთდაზმულ ჰყოფენ მეფობისაგან, არა მეცნიერნი, ვითარმედ უმჯობესად განეგებუიან ყოველთა ურჩეულესისა მიერ, ხოლო ღმერთი არს ყოველთა ურჩეულესაჲ. და აღმარჩეველ არიან კაცისა მეფედ ქონებასა, რომელმანცა, ვითარ მონაგებოსა, ქუეშაწესებულთა ნებისაებრ და წადიერებისა მკუზეველმან და კელწიფებისათა უკრძალველმან აღმავსებელმან, არა ვითარ თჳსი საქმე და შემზადებული თჳსი ნათესავი მოსწრაფებით დაიცვას, ხოლო ღმერთი ესევეითართაცა მიზეზითა მოურნე არს მათდა: „არამედ ვინაჲთგან სათნო არიან ესენი თქუენდა და მძლეველ არს ღმრთისა მიმართ შეურაცხებად, განეწყვენით ნათესავითი-ნათესავად და სკიპტრად?“ და წილ-აგდით“.

5)* ხოლო ქმნეს რაჲ ესე ევრაელთა, ვენიამიტიდოას წილი გამოქდა. ხოლო ესეცა რაჲ წილ-იგდო, ხუდა მატრიდ წოდებულსა ნათესავობასა, რომელიცა, წილ-იგდო რაჲ კაცად-კაცადი, ხუდა საულოსს, ყრმასა კისეოასასა, მეფობად. ხოლო ავრძნა რაჲ ესე ჰაბუკმან, ასწრო შორს-ყოფად თავისა თჳსი-

1 სწწყუტლო.
 * 1 მეფ. 10,13. 1* 1 მეფ. 10,17. 2* *אשר יראו נבי* (ბერძნული *αἰσχρονομία* სუბტელანტაში არის ებრაული *shebel*, რომელიც ნიშნავს რაგორც „ქოხს, კვერთხს“, ასევე—„ტომს“). 3* 1 მეფ. 10,20.

სადა, არა მნებებელმან, ვითარ ვპვინებ, რადათამცა საგონებელ-იქმნა ნებსით თვისით მთავრობასა მიღებად. არამედ ესეოდენი აჩუენა კრძალულება და გონიერება, ვიდრელა მრავალნი არცა მცირეთა კეთილბედნიერობათა ზედა სიხარულსა პყრობად შემძლებელ არიან, არამედ ყოველთა შეუვრდებიან, რადათა ყოველთა წინაშე სახინო-იქმნენ. ხოლო ამან არა მხოლოდ არაჲ ყო ესევითარი მეფობისათჳს და ესეოდენთა და ესევითართა ნათესავთა მიუფედ აღჩენისათჳს, არამედ და თავიცა თჳსი განაპარა სახედველსა მეფობადთასა და ძიებად მისა და ამისა მიმართ დაშურომად შეკმზადნა. რომელნი უღონობდეს რაჲ და ზრუნვიდეს, რამეთუ უჩინო-იქმნა საულოს, წინაწარმეტყუელი ევედრა ღმერთსა ჩუენებად მისდა, თუ სადა არს და მინიკებად გამოჩინებასა ჭაბუქისასა. ხოლო ისწავეს რაჲ ღმრთისაგან ადგილი, სადა დამალულ იყო საულოს, წარავლინა მომყვანებელნი მისნი და, მოწეენული, დაადგინა საშუვალ სიმრავლისა. ხოლო ზენა კერძო მქონებელ იყო ყოველთა და სიმაღლე იყო საშეფოჲ.

6)* და წინაწარმეტყუელმან თქუა: „ესე მოგცა ღმერთმან თქუენ მეფედ. ხოლო ხედავთ, რამეთუ უპყობესი არს ყოველთაჲ და ღირსი მთავრობისაჲ.“ და ვითარ ილოცა სიმრაველმან ცხორებაჲ მეფისაჲ, შემთხუევასა გულკებადთასა დამწერელმან წარუკითხა მათ წინაწარმეტყუელმან სასმენელად მეფისა. ხოლო წიგნი დადვა კარავსა შინა ღმრთისასა შემდგომთა ნათესავთა საწამებელად, რომელთათჳს წინაწარ-თქუა. ამათმან სრულმყოფელმან სამუილოს განუტევა სიმრავლე, ხოლო იგი არმათა ქალაქად მიიწინა, რამეთუ მამული იყო მისი. ხოლო საულოსს, წარსრულსა ღვათინად, სადაჲთ იყო, მიეგებვოდეს მრავალნი ვიდრემე კეთილნი, ჭიროვანსა პატივსა მიმნიკებელნი მეფისა, ხოლო უმრავლესნი — ბოროტნი, შეურაცხყოფდეს მას და მრავალთა ჰგომობდეს და არცა ძლუნთა მიიღებდეს, არცა მოსწრაფებითა და სიტყვთა თავს-იდებდეს. თნებასა საულომასა.

თ. 5.

1)* ხოლო უკუანადსკენლსა თუესა დასაბამ მისდა ყოველთა მიერ პატივისა ნასინის მიმართ ბრძოლაჲ იქმნების, ამჟანიტელთა მეფისა, რამეთუ/ამან მრავალნი ბოროტნი წიად იორდანისა მდინარისა დამკვდრებულთა იუღელთა უყენა, მრავლისა თანა და მბრძოლი მკედრებისა განსრულმან მათ ზედა: და ქალაქნი მათნი მონებად მიიყვანა, ძალითა ვიდრემე და ძლიერებითა მამინ კელთმგდებელმან მათმან, ხოლო სიბრძნითა და გონებითა უძლურმყოფელმან მათმან, რადათა, არა კუალად განდგომილნი, შემძლებელ იქმნენ განლტოლვად მონებზისა მისისაგან, რამეთუ ვიეთნიმე, მინდობით მიიწინიან ამისა, ანუ პყრობილ იქმნიან სჯულითა ბრძოლისაჲთა, მარჯუენეთა თუალთა აღმოპკოდლის. ხოლო იქმოდა რაჲ ამას, რადათა მარცხენე რაჲ სახედველი მათი სახედველთა მიერ და საჭურველთა დაიფაროს, ყოვლითურთ უკმარ-იყვენენ. და ამჟანიტელთა ვიდრემე მეფე, ამათი მოქმედი წიად იორდანისა მყოფთაჲ, ღალა აღინოდ სახელდებულთა ზედა განუქედრა. და დაბანაკებულმან წინაშე დედაქალაქისა მბრძოლთაჲსა, ხოლო იავის არს ესე, წარავლინა მოხუცებულნი მათლა მიმართ, მბრძანებელმან აწვე მიცემად მათლა თავთა თჳსთა მარჯუენეთა თუალთა, ვინათუ არა, მოოკრებასა აქადებდა და ქალაქთა მათთა და-

* 1 მეჳ. 10,24. 1* 1 მეჳ. 11,1.

კობასა. ხოლო აღრჩევად ამისა მათ ზედა იყოს, გინათუ მცორე რაამე სხეუ-
ლისაჲ მოკუეთად ინებონ, ანუ ყოველნი წარწყმდენ. ხოლო დაღადინელთა,
შეწინებულთა, არცა ერთისა ვიდრემე მიმართ იკადრეს რაჲვე თქუმაჲ, არცა
მისცნეს თუალნი თვისნი და არცა ჰბრძოლეს. ხოლო დროჲ შედთა შინა დღეთა
ითხოვეს, რამთა, წარმავლენელნი თანმონათესევთა მიმართ, ევედრნენ თა-
ნაწმეწვენად მათდა. და უკუეთუ ვიდრემე მოვიდეს შეწვენაჲ, ჰბრძოლიან, ხო-
ლო უკუეთუ უღონო-იყვნენ მათ მიერ, იტყოდეს თავთა თვისთა მიცემასა ვნე-
ბად, რომელი რაჲვე სათნო-უნდეს მათ.

2)* ხოლო ნაასის, შეურაცხისყოფელმან დაღადინელთა სიმრავლისამან
და სიტყვისგებისა მათისამან, მისცა ამათ დროჲ და წარვლინებად უბრძანა,
რომელთაცა შეშწენთა მიმართ მნებებელ იქმნენ. და მყის უკუე წარავლინნეს
ისრაილიტთა მიმართ ქალაქითა-ქალაქად, რომელნიცა მიუთხრობდეს ნაასის
ძლითთა და თანად უღონობასა, რომელსა შინა დადგრომილ იყვნეს. ხოლო
5)2* ხოლო ისწავა რაჲ სამუილოს მეფისა ძლითნი, დაუტევა ქალაქი არიმათაჲ და მიმყვანებელი დავიდისი ადგილსა რომელსამე, ვალღუთოდ სახელდებულსა, მუნ იქცოდა მის თანა. ხოლო ვითარ მიეთხრა საულსს წინაწარმეტყუელისა თანა ყოფაჲ დავიდისი, წარმავლი/ნებელმან აღჭურვილთამან მის ზედა, უბრძანა მიყვანებაჲ მისი შემპყრობელთა. ხოლო მათ, მისრულთა სამუილოს მიმართ და შესაკრებელსა წინაწარმეტყუელთასა მიწვენილთა, საღმრთოდა სულისაგან მიიღეს და წინაწარმეტყუელებად იწყეს. ხოლო საულსს, ესმა რაჲ, სხუანი წარავლინნა დავიდისი ზედა. და ვინაჲთგან მათკა³ მსგავსი პირველთაჲვე შემთხვა, კუალად სხუანი წარავლინნა. ხოლო წინაწარმეტყუელებდეს რაჲ მესამენიცა, უკუანადასკენელ, განარისხებულო, თვთ წარემართა. ხოლო ვინაჲთგან აწლა მახლობელ იყო სამუილოს, პირველ ხილვადმდე მისდა წინაწარმეტყუელებად ყო იგი. და საულსს უკუე, მისრული მათდა მიმართ და ფრიადისა სულისა მიერ აღღებულო, გარეგან ცნობისა იქმნა და განმმარტველი თავისა თვისისაჲ სამოსლისაგან, მწოლარე მდებარე იყო დღესა ყოველსა და ღამესა. და სამუილოს უკუე და დავიდის ხედვიდეს ამას.

1 მეთხრეს/მეთხრეს A. 2 სიკვდილსა A. 3 შთიცა AQ.

* ძმელად ἔχουσα τὰς παρ' αὐτῆς ἐλπίδας 6²¹⁵ (= არ ქონდა მისი გადარჩენის იმედი).

1⁰ მიმართ|+καὶ ἠποθέσει τοὺς ἐπιβραχίους ἵπας αὐτῆς 6²¹⁷ (=საბურველის ქვეშ დაეთოს ცოლმა დასდო თხის ღვიძლი). 2⁰ 1 მეფ. 19,20—21—22—23—24.

6) ხოლო იონათის, საულოას, ყრამა, ვინაფთვან მიიწია მისა¹ მიმართ დავიდის და მამისა მიერისა ზედგანზრახვისათვის იგლოვდა და ეტყოდა, ვითარ არაარაჲსა მეუღსამართლოე, არცა შემცოდებელი, სასწრაფო არს მამისა მიერ მოკლვად, ვევედრებოდა არცა თავისა შორის თვისისა განზრახველსა ამისა რწმუნებად, არცა შემასმენელთაგან, ვიეთნიცა სადმე არიან ამისნი მოქმედნი, არამედ რწმუნებად მისდა და მინდობად, რამეთუ არცა ერთსა ესევითარსა განიზრახავს მის ზედა მამამ, რამეთუ ეთხრამცა მისდა ამის ძლით ზოგადითა განზრახვითა და სხუათაცა მბრძანებელსა. ხოლო იგი ეფუცებოდა ამისსა ესრეთ ნანდკვეე ქანებასა და მრწმუნებელსა ევედრებოდა წინმოურნობად მისდა უფროსად, ვიდრე უგულუბელს-ყოფად ესრეთ ქეშმარტთა სიტყუათა ზედა, ხოლო ქეშმარტისა ცნობად ეტყოდა, რაჲმს იგი ვინათუ იხილოს, ანუ ესმეს*. გარნა არა უთხრას მას მამამან ამათთვის, მეცნიერმან მისა მიმართსა სიყუარულსა და მოწლოებასა.

7)1* ხოლო იონათის, შეწუხებულმან ესრეთ დამტკიცებითა საულოას დადებულებისათა, ჰკითხა, რომელსა მნებებელ არს მიმთხუევად მისგან ხოლო მან, „რამეთუ უწყი, ჰრქუა, ყოველთა მომანიჭებ მე, ჰრქუა, და მოცემად მნებებელი. ახალთუფობა ვიდრემე მომავლასა დღესა არს. ხოლო ჩუეულებამა მაქუს სერობად, მეფისა თანა მჯდომარისა. უკეთუ სათნო არს შენდა, წარსრული გარეგან ქალაქისა, ველსა შინა ფარულად დავადგრე. ხოლო შენ მას, მეძიებელსა, არქუ წარსლვამა ჩემი მამულად ვითილეემოდ, დღესასწაულსა აღსრულებისათვის ნათესვისა ჩემისაგან, ზედდამრთველმან, ვითარმედ შენ შემინდევ მე. და უკეთუ ვიდრემე ვითარი ჯერ-არს და ჩუეულება არს თქუემად მოყუარეთა ზედა წარსრულთა — „კეთილად წარვიდა“ — თქუას, უწყოდე არარას მზაკუვარსა ყოფად ჩემდა მომართ მისგან, არცა მტერობითსა. ხოლო უკეთუ სხუებრ მოგავგოს, ესე იყავნ სასწაულ ჩემდამო განზრახულთათვის. და მაუწყო მე გონებამ მამისა, წყალობისად მიმნიჭებულმან და სიყუარულისად, რომლისა მიერ რწმენათა მიღებამა ჩემგან ითხოვე და შენ ჩემდა მოცემამ, მეუფედ მყოფმან მონისა შენისა. ხოლო უკეთუ ჰპოვებ ჩემ თანა ბოროტსა, შენ მოკალ და უსწრეე მამასა“.

8)2* ხოლო დასასრულად, შეწუხებულმან სიტყუათა ზედა იონათის, და ქმნამა ამათი აუწყა და აღუთქუა და უკეთუ მძენვარეცა რამე მამამან მისმან და სიძლილისა / გამომაჩინებელი მიუგოს, აუწყოს მას. და რამათა უფრო-^v მსლა მინდობილ იქმნეს მისა, განმყვანებელი მისი ეთეროვანსა და წმიდა აერსა ქუეში, არარას დატევებად დავიდის ცხორებისათვის ეტყოდა. „რამეთუ ღმერთსა ამას, თქუა, ვფუცავ. რომელსა დიდად ხედავ და ყოველგან განფენილად და პირველ განსწავლადმდე ჩემდა სიტყუათა მიერ ამასვე გონებასა მეცნიერისად, მოწამე უკყოფ შენდა მიმართთა აღთქუმათათვის, ვითარმედ არა უტეოს მამამ მრავალგზის წინააღრჩევისა მისისა თანა, ხოლო მსწავლელმან — არა დავფარო და მოგვიცნო შენდა მიმართ მშკლად² მყოფობამა და მძენვარედ მდებარეობამა მისი. ხოლო უწყის მან ღმერთმან, ვითარ თავისა ჩემისა ყოფასა შენ თანა მლოცველ ვარ, რამეთუ არს ვიდრემე აწცა და არა მოაკლდეს თანად, ხოლო ყოს იგი მტერთა, უკეთუ მამამ ჩემი, ანუ თუ მე, უმჯობეს. შენ მხოლოდ მოიკსენე ამათი და უკეთუ სიკუდილი იქმნეს ჩემდა, შეიღნი ჩემ-

1 მერმისა AQ. 2 მშკლად AQ.

* *πεποιεσμενος αυτου η πατριωει 6223* (=ანუ ვაიგოს მისი მკვლელობის შესახებ).^{1*} 1 მეფ. 20,4. ^{2*} 1 მეფ. 20,9.

ნი აცნობენ და აწინდელათვს მოსაგებელი ჩემი მათთვის დადევ. „ამათმან მფუტველმან განუტევა დავიდის ადგილსა რომელსამე ველისასა წარსრული, ვითარმედ მრქუმელმან, რომელსა შინა მღუწელი დადგრომილ იყვის. რამეთუ მსწაველი მამისა მიერთაჲ, მისლვად მისა მიმართ ეტყოდა მუნ, მხოლოდ ყრმისა მიმყვანებელი. „და უკუეთუ სამათა სატყორცთა მსრველმან სადა მენებოს, მოღებად სატყორცთა უბრძანო ყრმისა, რამეთუ წინაშე მისსა მღებარებენ, უწყოდე არცა ერთისა ჭეშმარიტისა* ყოფად მამისაგან. ხოლო უკუეთუ წინააღმდეგომნი ამათნი გესმენ ჩემ მტყუელისაგან, და წინააღმდეგომთაჲ მეფისა მიერ ჰკონებდ და ჭეშმარიტსა ვიდრემე მიემთხვო ჩემ მიერ და არარად უჭეროდ გვენოს. ხოლო რაათა მოიკსენო ამათი ჟამსა შინა კეთილბედნიერობისასა, იხილე და ძეთა ჩემთა ექმენ მარგებელ.“ და დავიდის ვიდრემე, ამათი რწმენათაჲ მიმღებელი იონათისაგან¹, მახლობელად მღებარედ ადგილად წარვიდა.

9)1* ხოლო მომავალსა დღესა, ახალთუებოდა უკუე იყო, რომელსა შინა განწმედლი, ვითარ ჩუეულებოდა აქუნდა, და წარვიდა მეფე სერობად. და დასახდეს მის თანა ყრმაჲ ვიდრემე იონათის მარჯუენით, ხოლო ავენიროს მკედართმეყვანებელი — სხუა კერძო. და მხილველმან დავიდის საჯდომელისამან ცალიერად, დაიდუმა, გულისმსიტყუელმან არა განწმედისათვს მისისა თანშეყოფისაგან დაკლებოდა. ხოლო ვითარ მეორისაჲცა თვს თავისასა² არა იყო, იკითხვიდა ყრმისა მიმართ იონათისა, ვითარმედ და წარსრულსაჲცა და ამასცა სერობისა და განსუენებისაგან იესეოჲს ყრმაჲ დაკლებულ არს. ხოლო მან წარსლვაჲ მისი³ „... მცნებათაებრ, თვსად მამულად ბრძანებითა მისითა ნათესვისაგან დღესასწაულისა აღსრულებასა. და ვითარმედ ევედრა მასცა წარსლვად მსხუერპლვისა მიმართ: „და უკუეთუ შემინდობ, ჰრქუა, წარვალ, რამეთუ სიყუარული ჩემი მისა მიმართ უწყი“.

მაშინ დავიდის მიმართ მამისა სიძულილი აგრძნა იონათის და ყოველი განზრახვიჲ მისი მრავლად იხილა, რამეთუ არღარა იყრა რისხეჲჲ საულოს, არამედ მგმობელი განმცემელთაგან ქმნილთად და მბრძოლად უწოდდა და ზიარ დავიდის⁴ და თანაშემწედ იტყოდა. და არცა მისგან შეკდიმებად, არცა დედისა მისისა ამათი მბრძნობელი და არა მნებებელი რწმუნებად ამას, ვითარმედ ვიდრემდის მყოფ არს დავიდის, შეცთომით /მქონებელ არიან მათდა მეფობისა ძლითნი. „მოუწოდე უკუე მას, ჰრქუა, რაათა მიეცე⁵ სასჯელი“. ხოლო ვინაჲთგან იონათის დამთხუევიტ ჰრქუა, ვითარმედ „და რაჲსამე უსმართლომსაჲ გნებავს დასჯაჲ?“, არღარა სიტყუათა მიმართ და გმობათა რისხეჲჲ განილო საულოს, არამედ, აღმტაცებელი ჰორლისაჲ, აღვლენა მის ზედა მოკუდინებლად⁶ მნებებელი. და საქმე ვიდრემე არა ქმნა, დაყენებულმან მოკუდინებლად. ხოლო ყრმისა ცხად-იქმნა ესრეთ მოძულე დავიდისი და მოკუდინებლად⁷ მოსურნე, ვიდრე მცირედთა და ყრმისაჲცა თვთ ჳელიტ მკლველ იქმნა.

10)4* და მაშინ ვიდრემე მეფისა ყრმამან, აღვლდომილმან სერობისაგან და არარას მწუხარებისათვს მიღებად შემძლებელმან, მტირალმან კნინდა მისისა წარწემდისა, ხოლო დავიდის სიკუდილად დასჯისათვს, გარდავლო ღამე. ხოლო თანადევ დღისა წინაშე ქალაქისა ველსა ვითარ განმცბრომელი, ხოლო

1 იონათისაგან] დავიდისგან AQ.—S. 2 დავისა AQ. 3 მისცეს AQS. 4 მოკლდინებლად.
* ფანტ. ოვ 6233 (=ბოროტებისა). 1* 1 მეფ. 20,24; 20,30. 2* დაქ თქ მხარეჲ რქვს ხოსთი-
რად 6236 (=ახალი მთვარის მეორე დღეს). 3* მისი]+ქყოფივ 6236 (=თქუა). 4* 1 მეფ. 20,34.

მაუწყებელი საყუარელისაჲ* მეფისა განზრახვასა, ვითარ აღეთქუა, განვიდა. ხოლო აღთქუმულთა მოქმედმან იონათის შედგომილი ვიდრემე მისდა ყრმაჲ ქალაქად განუტევა, უდაბნო უკუე იყო ადგილი იგი და დავიდის სახედველთა მიმართ მივიდა იგი და სიტყუათა. ხოლო ესე, აღმოჩენილი, დავარდებოდა ფერკთა იონათისთა და, თაყუანისმცემელი, მაცხოვრად სულისა თვისისა უწოდა. ხოლო ზან აღადგინა იგი ქუეყანისაგან და, შემტკობელნი, მრავლად ამბორს-უყოფდეს და ცრემლოვანად თანად ჰასაყისა მათისა მგლოელნი და შეშურვებულისა საყუარელისანი და გულგებადისა განზრახებისანი, რომელი არარაჲთ სიკუდილისაგან განყოფად საგონებელ იყო მათდა. ხოლო ძნიად გოდებათაგან განფრთხობილნი და მოკსენებად ფიცთა ურთიერთას მბრძანებელნი, განიკსნენეს.

თ. 12.

1)ა* და დავიდის ვიდრემე, ლტოლვილი მეფისაგან და მის მიერისა სიკუდილისაგან¹, ნავად ქალაქად მიიწია, ავიმელეხოსს მიმართ, მღღელთმთავრისა, რომელიცა მარტოდ ხილვისათვის დავიდისა და არცა მოყურისა, არცა მის თანა ყოფისათვის²*... განკვრებულ იყო და მიზეზსა არცა ერთისა მის თანა ყოფისათვის მნებებელ იყო³*... ხოლო მან მეფისა მიერ საქმისა უთქუმელისა ბრძანებამ თქუა, რომლისა დაფარვამ არა შესაძლებელ იყო თანამოგზაურთაგან, დადაცათუ მნებებელ იყო: „ხოლო მონათამ ვიდრემე ადგილსა რომელსამე შემთხუევამ ჩემდა მიბრძანებიეს“. და ევედრებოდა მიღებად საგზალთა, რამეთუ მოყუარისა იყო ამისი ქმნამ, მიმნიჭებელისა და წინამდებარისა მიმართ შემწისაჲ. ხოლო ამათი მიმთხუეული ეძიებდა და საქურველსაცა რასაჲ ეკლეთა შინა, მახვლსა ანუ ჰოროლსა. ხოლო დაემთხვა მუნ და საულომსცა მონამ, ნათესავით ვიდრემე სვრი, ხოლო სახელით დოიკოს, მმწყსელი მეფისა ვერთამ. ხოლო მღღელთმთავარმან თვთ ვიდრემე ქონებამ არა ერთისა რამს ესევეთარისაჲ თქუა, გარნა ვითარმედ „არს მახვლი ღოლიათომისი, რომლითა მომაკუდინებულმან² ღოლიათომს და პალესტინელისამან თვთ შესწირე ღმრთისა“.

2)ა* ხოლო ამისი მიმღებელი დავიდის გარეგან ევრავლთა სოფლისა, გიტტად მიივლტოდა პალესტინელთად, რომლისა ანხოს მეფობდა. ხოლო მან, ცნობილსა მეფისა მონათაგან და ცხადქმნილსა მისდა, ვინაჲთგან მიუთხრეს მას, ვითარმედ დავიდის არს, მრავალთა³ ბევრეულთა მომაკუდინებელი⁴ v პალესტინელთაგან, შეეშინა, ნუუკუე მის მიერ მოკუდეს და ძვრსა, რომელსა განევლტო საულომსგან, მის მიერი მიემთხვოს, დაიჩემა განცოფებამ და სიხელე, ვიდრელა და ლაპრსაცა პირისა მისისაგან გამოუტეობდის და სხუანი, რაოდენნი შეადგენენ სიხელესა. სარწმუნო იქმნენს გიტტთა მეფისა წინაშე ხოლო სენისა ძლით. მონათათვის განრისხებულმან, რამეთუ გარე გონებასა კაცისა მყვანებელ არიან მის შორის, უბრძანა დავიდისი ფრიად ძალიად განდევნამ.

¹ სიკვდილისაგან. ² მომაკუდინებულმან. ³ მრალთა AQ. ⁴ მომაკუდინებელი.

* ეფ ფსღა 629 (ამ კონტექსტში ივულისხმება მეორე მნიშვნელობა: მეგობრისთვის).

¹⁰ 1 მეფ. 21,1. ²⁰ ყოფისათვის+მარს ძიხრეჲ 642 (=მასახურისა). ³⁰ იყო+მამე[უ]ნეჲ 611 (=ცნობად). S: და მოსურნე იყო მოუთმენლად ცნობად მიზეზსა. D=A. ⁴⁰ 1 მეფ. 21,10.

3)* ხოლო ესრეთ ცხოვნებული გიტტით, იუდაას ნათესავად მიიწია და ქუბასა შინა მქცეველმან მახლობელად ადვლამის ქალაქისა, წარავლინა ძმათა მიმართ, მაუწყებელმან მათდა სადა იყოფებოდა. ხოლო იგინი ყოვლისა თანა ნათესავობისა მივიდეს მისა მიმართ და სხუანაცა უკუე, რაოდენთა გინათუ საკმარებად იყო, ანუ შიში საულომსაგან მეფისა, მიიწინეს მისა მიმართ და ქმნად მისდა თნებულთა მზად-ქონებასა ეტყოდეს. ხოლო იქმნეს ყოველნი ვითარ ოთხასნი. და განმკნობილი, რამეთუ და კელისაცა მიერი შეეწენად იქმნა მისდა, წარსრული მიერ მივიდა მოავიტელთა მეფისა მიმართ და მშობელთა მისთა სოფელსა შინა მისსა შემწყნარებელსა ქონებად ევედრებოდა, ვიდრემდის აგრძნა მის ძლითი დასასრული. ხოლო მან წამს-უყო მადლი და ყოველსა პატიესა მშობელნი დავიდისნი აღირსნა, რომელსა ჟამსა იყენეს მის თანა.

4)1* და თვთ მან, წინაწარმეტყუელსა მბრძანებელისა მისდა უდაბნოსა დატევებად, ხოლო იუდაას თესლისა ნაწილსა წარსლვად და მუნ შინა ქცე-
ვად, ირწმუნა და მიწვენილი არინ2* ქალაქად, მას შინა იქცეოდა.

ხოლო საულოს, მსმენელი, ვითარმედ სიმრავლისა თანა გამოჩნდა დავი-
დის, არა დამთხუელსა ამბოხსა და შფოთსა შთავარდა, არამედ მეცნიერი
სიბრძნესა მამაკაცისასა და კადნიერებასა, არცა ერთსა საქმესა მცირედ გან-
რომად მისგან ჰკონებდა, რომლისა მიერ გლოვად ნანდვლვე და ტკივილ იქმ-
ნეს. და მომწოდებელმან მისა მიმართ მოყუარეთა და მთავართამან და ნათე-
სვისამან, რომლისაგან იყო იგი, ბორცუსა ზედა, რომლისა მეფობად აქუნდა,
და დაჯდომილმან არუარასა ზედა, ხოლო ადგილი რომელიმე იყო ესრეთ სა-
ხელდებული, აღჭურვილისა რა განწესებამ გარემოდგომილ იყო მისდა:
„ვიდრემე კეთილად უწყი ჩემთა კეთილისმოქმედებათა, რამეთუ და აგარაკ-
თაცა და ვიეთნიმე შეუფე ვყვენ და პატივთა სიმრავლისა მიერ და განწესება-
თა ვაღირსენ. ვიკითხავ ვიდრემე, უკუეთუ უმეტესთა ამათგან და უმრავლეს-
თა ნიჭთა იესუოვს ყრმისაგან მოპლოდე ხართ? რამეთუ უწყი, ვითარმედ ყო-
ველნი მისდა შედგომილ ხართ, ჩემისა ყრმისა იონათის თვთ ესრეთ ბრძნო-
ბითა და თქუენდაცა რწმუნებითა ამათითა, რამეთუ არა უმეცარ ვარ ფიტთა
და აღთქუმათა დავიდის მიმართ ქმნილთა, არცა რამეთუ თანგანმზრახ ვიდ-
რემე და თანამოქმედ იონათის ძვნად ჩემდა განჩენილთა არს. ხოლო თქუენ-
და არცა ერთისა ზრუნვა არს ამათვს, არამედ გულგებადი მყუდროებით
განიხილეთ.“ ხოლო დუმნა რა მეფე, სხუამან ვიდრემე მუნ მდგომარეთაგან-
მან არცა ერთმან სიტყუა-უყო, გარნა დოიკოს სკრმან, ვირთა მისთა მმწყსელ-
მან, თქუა, ვითარმედ იხილა დავიდის ავიმელხხოს მამართ მღღელთმთავრი-
106 სა შესრული და თანად გულ/ვებადთა წინაწარმეტყუელებისა მისისაგან
მსწავლელ იქმნა და მიიხუნა საგზალნი და მახვლი ღოლიათოვსი უშიშად
წარსლვისა ძლით, რომელთა მიმართ მნებებელ იყო.

5)3* და საულოს უკუე მომწოდებელმან მღღელთმთავრისამან და ყოვლი-
სა ნათესვისა მისისამან: „რომლისა მენებელმან ჩემგან ძკრისა და უმადლო-
მსამან იესუოვს ყრმა შეიწყნარე და საზრდელთაგან მიეც მას და საჭურ-
ველთა მეფობისა ჩემისა ზედააღმდგომსა? ხოლო რაჲსათვს მას და გულვე-
ბადთათვსცა ეტყოდე? რამეთუ არა დაფარულ იყო შენდა, ღტოლვილი ჩემ-
გან და მოძულე სახლისა ჩემისა.“ ხოლო მღღელთმთავარი არა უარის-ყოფად
მიდრკა ქმნილთა, არამედ კადნიერებით ამათი მინიჭებამ აღიარა არა დავი-

* 1 მეფ. 22,1. 1* 1 მეფ. 22,5; 22,9. 2* Σδριϋ 6249, სარინ S. 3* 1 მეფ. 22,11.

დისდა მიმნიჭებელმან, არამედ მისდა, „რამეთუ მბრძოლად შენდა არა უწყოდე, ეტყოდა, ხოლო სარწმუნოდ უფროსდა მონად და ათასთმთავარად და უდიდესად მათგან სიძედ უწყოდე და ნათესავად, ხოლო ამათი მიმნიჭებამ კაცთაგან არა არს მტერთა მიმართ, არამედ რჩეულთა სიყუარულითა და პატივითა მათდა მიმართ. ხოლო მიწინაწარმეტყუელებიეს არა აწ პირველად მისდა, არამედ მრავალგზის და სხუადცა ესე მიქმნიეს. ხოლო მეტყუელისა და მრავლისთა მოსწრაფებითა შენ მიერ წარვლენებად საქმესა ზედა უკუეთუმეცა არა მიმენიჭა, რომელთაგან ითხოვდა, შენდა უფროსდა წინსიტყუაობად, ვიდრე მისდა, ამათუკს გულისმსიტყუველ ვიყავ, რომლისათვის ნურარას ბოროტსა განიზრახავ ჩემდამო, ნუცა მათდა მიმართ, რომელნი აწ გესმიან დავიდის შეწყნარებისათვის. ამათ მიმართ მაშინდელსა ჩემსა კაცთმოყუარებასა ჰმეტყუელობ, რამეთუ მოყუარესა და სიძესა შენსა და ათასთმთავართა მივანიჭენ, არა მბრძოლსა“.

6)* ამათ მეტყუელმან მღვდელთმთავარმან ვერ არწმუნა საულოსს, არამედ რამეთუ ძნელ არს შური არცა ჭეშმარიტისა სიტყვისგებისა მრწმუნებელი, უბრძანა აღტურვილთა გარემოსს მისა მღვდელთმთავართა ნათესვითურთ მოკუდინებამ მისი. ხოლო ვინაიშთგან არა მკადრე იყვნეს იგინი შეხებულ მღვდელთმთავრისა, არამედ უფროსდა საღმრთოსაგან მოწიშ იყვნეს, ვიდრე მეფისა სმენისასა, სურსა დოიკოსს უბრძანა მოსრეა. და მიმყვანებელმან მსგავსთა მისთა ბოროტთამან, ამან მოაკუდინა¹ ავიმელეხოს და ნათესავი მისი. ხოლო იყვნეს ყოველნი ზუთნი და სამასნი². და საულოსს, წარმავლენებელმან ნომმად³, მღვდელთა ქალაქად, ყოველნივე იგი მოაკუდინა², არა დედაკაცთა, არცა ჩჩულთა, არცა სხვისა პასაკისა მრიდებელმან და თუთ იგი დაწუა. ხოლო ცხონდა ყრმა ავიმელეხოსი, ავითაროს სახელითა. ესენი ვიდრემე შეემთხვნეს, ვითარცა უწინაწარმეტყუელა ღმერთმან მღვდელთმთავარსა ილის, უსჯულოებათათვის ორთა ძეთა მისთაგანა მეტყუელმან განხრწნად შეილისშეილთა.

7) ხოლო საულოსს მეფემან, ესრეთ უგბილსა საქმესა მოქმედმან და ნათესავსა ყოველსა მღვდელთმთავრობითისა პატივისასა მომსრველმან და არცა ჩჩულთა ზედა მომღებელმან წყალობისამან, არცა მოხუცებულთა ზედა სირცხვლისამან და დამამჯობელმან ქალაქისამან, რომელი მამულად მღვდლად მზრდელად და მღვდელთა და წინაწარმეტყუელთა მიერ საღმრთოსა გამოერჩია და მხოლოდ ესევითართა მამდთა გამოვებად / განაჩინა, სწავლად მიანიჭა v ყოველთა და გულისკმის-ყოფად კაცობრიგსა ქცევასა, ვითარმედ ვიდრემდის იყვნენ მსოფლიონი ვიეთნიმე მდაბალნი, არა შეძლებისათვის კუმევედ ბუნებისა, არცა კადრებისათვის რაოდენთა მნებებელ იყვნენ, მშვდ არიან და მდაბალ და მხოლოდ ეძიებენ სამართალსა და მისა მიმართ ყოველი სიყუარული და მოსწრაფებამ აქუს. ხოლო მაშინ და საღმრთოსათვისცა ირწმუნებენ, ვითარმედ ყოველთა ქმნილთა ცხორებასა შინა თანა-არს და არა საქმეთა მხოლოდ ქმნილთა ხედავს, არამედ და გონებათაცა მტკიცედ მეცნიერ არს, რომელთა მიერ ეგულების ამათი ქმნამ. ხოლო რაჟამს კელმწიფებად მიიწინენ და მძლავრებად, მაშინ მათ ყოველთა განმძურტელნი და ვითარ კარვისა ზე-

1 მოაკუდინა. 2 მოაკუდინა.

* 1 მეფ. 22,16. 1* Nაძმუ 6260.

0 სხუასა შინა ვაჟვე ზუთნი და ოთხმოცნი. S: ოთხმოცე და სამასნი.

დათა პირჩემებთა“ ჩუეულებთა და ქცევათა განმგდებელინი, ნაცვალ-მიი-
 ლებენ კადნიერებასა, უგუნურებასა, შეურაცხებებსა კაცობრივთა თანად და
 საღმრთოსა. და ოდეს უფროასლა ჯერ-იყოს მათდა კეთილმსახურებამ და სი-
 მართლმ მახლობელად შემურვებისა ქმნილთა და ყოველთა მიერ საჩინოდ
 დადგრომილთაჲ¹, რომელიცა რამევე გულისკმათა ყონ, გინა იმოქმედონ, მაშინ
 ვითარ არა მხედველობითა მათდა ღმრთისაჲთა ანუ შეშინებითა კელმწიფე-
 ბისათჳს, მაშინ დაიკნებიან საქმეთა შინა. ხოლო მათ რომელთაგან ანუ შეი-
 შინონ² მსმენელთა, ანუ მოიძულონ მნებებელთა, ანუ შეიყუარონ უსიტყოდ
 ამით საკუთართა, და მტყიცეთა და ქეშმარტთა და კაცთა და ღმრთისა სათ-
 ნოთა მგონებელ არიან. ხოლო გულეებადთათჳს არცა ერთი ზრუნევა მათდა,
 არამედ პატივის-ცემენ ვიდრე მრავლად დამაშურალნი, ხოლო პატივისმცემელ-
 ნი მოშურნე არიან და საჩინოდ გამომღებელინი არა ამას მიუღებენ მიმთხუე-
 ულთა³, არამედ ამის ძლით ცხორებასაცა, ბოროტთა საქმეთათჳს და გარდ-
 რეულებისა მათისათჳს ურწმუნოთა. ხოლო სტანჯვენ არა საქმეთა ზედა ღირ-
 სთა სასჯელისათა, არამედ ცილისწამებათა ზედა და შესმენათა განუსჯელთა,
 არცა რაოდენთაჲ არს ამისი ვნებაჲ, არამედ რაოდენთა მოკუდინებელ⁴ შემძ-
 ლებელ არიან. ესე საულოს, კისსეოას ყრამამან, ესე პირველად რჩეულთ-
 მპყრობელობისა და მსაჯულთა მიერისა მოქალაქობისა ევრავლთად განმეფე-
 ბულმან, ცხად-ქმნა ჩუენდა⁵ სამასთა მომაკუდინებულმან⁶ მღდელთა და წინა-
 წარმეტყუელთამან ავიმელეხოას მიმართისა მექუელობისათჳს, ზედდამაქო-
 ბელმან მათდა ქალაქისამანცა. და ღმერთი, ვითარ სახედ მოსწრაფემან
 მღდელთა და წინაწარმეტყუელთაგან მოკლებულ-ყო, ესეოდენთა მომსრ-
 ველმან და არცა მამულისა მათისა დაშთომად მტევებელმან შემდგომად მათსა
 სხუათა ქმნისა ძლით.

8)^{1*} ხოლო ავიათაროს, ავიმელოხოას⁶ ყრამამან, მხოლოდ ცხოვნებულმან
 საულოას მიერ მოკუდინებულთა⁷ მღდელთაგან, მილტოლვილმან დავიდის
 მიმართ თჳსთა მისთა განსაცდელი აუწყა და მამისა მოკუდინებაჲ⁸. ხოლო
 მან არა უმეცრებაჲ თქუა ამათი მათდა მიმართ ქმნადთაჲ, მხილველმან დოი-
 კოასმან, რამეთუ გულისკმა-ეყოს მის მიერ შესმენაჲ მღდელთმთავრისაჲ მე-
 ფისა მიმართ. და ამის უბედობისათჳს თავსა თჳსსა აბრალებდა, ხოლო მიერ
 დადგრომად და მის თანა ქცევად, ვითარ არა დაფარვადსა სხუასა ადგილსა
 შინა, ევედრებოდა ესე.

თ. 13.

1)^{2*} ხოლო ამას ეამსა შინა მსმენელმან დავიდის პალესტინელთა მოწვე-
 ნასა კელანონთა სოფლად და ამას მიტაცებად, მისცა თავი თჳსი მჭედრობად
 მათ ზედა და იკითხა ღმრთისაგან წინაწარმეტყუელისა მიერ, უკუეთუ მის-
 ცემს მას ძლევასა. ხოლო მან აუწყა რამე/თქუმი³, წარემართა პალესტი-
 ნელთა ზედა მოყუარეთა თჳსთა თანა და კლვაჲ მათი მრავალი განჰტინა და
 ნატყუენავი წარილო, დადგრომილი კელანელთა შორის, ვიდრემდის კალოთა

107

1 დამდგომილთა A. 2 შეშინონს A. 3 მიმთხუელთა. 4 მოკუდინებელ. 5 მომაკუდინებულმან.
 6 ავიმელეხოას A. 7 მოკუდინებულთა. 8 მოკუდინებაჲ.
 * ღჳი თაჳრუჳს რიძთაჲჲ A 226 (=სასტენო ნილაბი. ეჳ თაჳრუჳს=1) კარაი; 2) სტენა). 1* 1 მეფ.
 22,20. 2* 1 მეფ. 23,1. 3* დჳრთაჲჲ A 221 (=1) თქმა; 2) თანხობის მიცემა. ამ კონტექსტში
 მეორე მნიშვნელობა იგულისხმება).
 * ესე ეწერა დედანსა.

და ნაყოფსა შეპკრებდის უშიშად. საულოს მეფესა მიემცნო მათ შორის მყოფი, რამეთუ საქმე და წარმართება არა დაადგრა, რომელთა შორის და იქმნა, ხოლო განთქუმულება თანად და სასმენლისა მიმართ სხუათაჲსა და მეფისა მიიწია, თვთ საქმე განმადიდებელი თვის და მოქმედისაჲ. ხოლო იხარებდა საულოს, მსმენელი კელანსა შინა დავიდისი. „და ღმერთმან აწლა კელთა შინა ჩემთა შთამოაგდო იგი, მეტყუელმან, ვინათგან და აიძულაჲა შესლვაჲ ქალაქად, ზღუდეთა და ბჭეთა და მოქლონთა მქონებელთად.“ თანად ერსა ყოველსა უბრძანა კელანელთა ზედა მიმართებად და განმდხურელსა და მიმცუანებელსა დავიდისსა, მოკუდინებად¹. ამათი მცნობელი დავიდის და მსწავლელი ღმრთისა მიერ, ვითარმედ დადგრომილი მათ შორის განსცენ კელანელთა საულომს მიმართ, მიმცუანებელი ოთხასთაჲ წარვიდა ქალაქისაჲსაჲს უდაბნოდ ზენა კერძო, იედადად* წოდებულისა. და მეფე ვიდრემ, მსმენელი ლტოლვისა მისისაჲ კელანელთაგან, დასცხრა მისა მიმართისა მკედრობისაგან.

2)1* ხოლო დავიდის, მიერ წარსრული ადგილსა რომელსაჲმე კენიდ სხედებულსა, ზიფინისა, მიიწია, სადა იონათოსცა, საულომს ყრმაჲ, მიმთხუელი მისდა და შემტკობელი, განმწრობასა და კეთილთა გულვებადთათჳს სასოებათა ქონებასა ევედრებოდა და არა მომედგრებაჲ მაშინ მყოფთათჳს, რამეთუ განმეფენს იგი და ყოველი ძალი ევრებათაჲ აქუნდეს თავისა თვისისად. ხოლო შეემთხუევის ამათი მოწვევნაჲ დიდთა ტყვილთა მიერ.

და კულად უკუე ფიცთა მოქმედმან ყოველსა ცხოვრებასა შინა ურთიერთას სიყუარულისათჳს და სარწმუნოებისა და ღმრთისა მოწამედ მომწოდებელმან, რომლისა მიერ დაწყევა გარდაავალი აღთქმათა და გარდაცვალებული წინააღმდეგომთა მიმართ, იგი ვიდრემე მუნ დაუტევა, მცირედ ზრუნვათაგან და შიშისა აღმასუბუქებელმან მისმან, ხოლო იგი თჳსად მიმართ წარვიდა. და ზიფინელნი უკუე, მადლიერმყოფელნი საულომსნი, აუწყებენ მას მათ შორის ქცევასა დავიდისასა და მიცემასა მისდა იტყოდეს, მისრულისასა მისდა მიმართ, რამეთუ შეიცვენ რაჲ იწრონი ზიფინისანი, არა არს მისდა ლტოლვაჲ სხუათა მიმართ. ხოლო აქნა იგინი მეფემან და მადლსა ქონებაჲ აღიარა მათუყებელთა მისდა მტერისათაჲ და, მიმყოფრებით ნაცვლისგებასა მათდა სიყუარულისასა აღმთქუმელმან, წარავლინნა მემიებელნი დავიდისნი და გამომნახველნი უდაბნომსანი, ხოლო თვთ უკუანაშედგომამე აუწყა. და იგინი ვიდრემე მონადირებისა მიმართ და შეპყრობისა დავიდისა მიიყვანებდეს მეფესა, მოსწრაფენი არა მხოლოდ მითხრობითა მტრისათაჲსა მისდა, არამედ და მინიჭებთათაჲ მისითა კელმწიფებასა მისსა ქუეშე კეთილგონიერებასა საცხადოდ წარმოდგინებად, გარნა ვერ მიემთხვნეს უსამართლოსა და ბოროტსა მინიჭებასა, რომელსა არარაჲსა დაქირებამე ეველებოდა, იუკუეთუმცა არა განეცხადნეს ესენი საულომსა, ხოლო თნებისა ძლით და ანგაპრებისა მეფისა მიერ ძიებული გარეგან სამართლისა, მამაკაცი ღმრთის-მოყუარე, სიკუდილად და მიფარვად შემძლებელი, შეასმინეს და მიცემამე აღუთქუეს, /რამეთუ v მცნობელმან დავიდის ზიფინელთა ჰაგჩუეულებისამან და მეფისა ზედა მოსლვისამან, დაუტევენა ვიდრემე იწრონი ადგილთა მათთანნი, ხოლო ივლტოდა დიდსა კლდესა ზედა, რომელი იყო სიმონომს უდაბნოსა შინა.

¹ მოკვდინებად.

* 'Evyzბაჲ 624, ენაღდად S. 1* 1 მეფ. 23,16; 23,19.

3)* ხოლო მიიმართა რამ მისა მიმართ საულოს დევნად, რამეთუ გზასა ზედა ეუწყა წარსლვად დავიდისი იწროთაგან, მეორესა კერძოსა კლდისასა მიიწია. ხოლო გარე-მოადგეს საულოსს დევნასა ზედა დავიდისსა, ეგულეზო-და რამ აწლა პყრობად. მისი, კუალად პალესტინელი ევრაელთა სოფელსა ზედა აღმკვდრებულად სმენილნი¹. და მათდა მიმართ უკუნ-იქცა, ბუნებით მბრძო-ლად მყოფთა მათდა მიმართისა ბრძოლისა უსპკროვის მსჯელმან, ვიდრელა თვისსა მტერისა პყრობად მოსწრაფებამ უგულეზელს-ყოს ქუეყანად, ბოროტ-ქმნილი.

4)²* და დავიდის ვიდრემე, ესრეთ საკვრველად ქირისაგან განვლტოლვი-ლი, იწროთა მიმართ ენგიდინისათა მიიწია. ხოლო საულოსს, პალესტინელთა მათებელისა, მოვიდეს ვიეთნიმე, მიმთხრობელნი დავიდის ქცივისანი საზ-ღვართა შინა ენგიდინისათა. და იგი უკუე, მიმყვანებელი სამ ათასთა რჩეულთა აღკუტრეილთა, მის ზედა მისწრაფდა. და იქმნა რამ არა შორს ადგილთაგან, იხილა გზასა ზედა ქუაბი ღრმად და უბიანი, დიდად სივრცედ განღებული და სიფართოდ, სადა შემთხუეულ იყო დავიდისდაცა ოთხასთა თანა დამალვად. და იძულებული უკუე ბუნებისაგან, შევიდა მას შინა მხოლოდ. ხოლო იხილა ვინმე დავიდის თანმყოფთაგანმან და მხილველმან ჰრქუა, ვითარმედ მტრისა მიმართ მისისა ღმრთისა მიერ ყამი აქუს შურისგებისად და განაზრახებდა მო-კუეთად საულომს თავსა და მრავლისა მიდმოცთუნებისაგან ქსნად თავსა და შრომისაგან. ხოლო მან, აღდგომილმან, მოჰკუეთა ვიდრემე ფრთე სამოსლი-სად, რომელი საულოსს ემოსა. და შემნანებელმან მეყუსეულად, „არა სამარ-თალ არს, თქუა, მეფისა! თვისსა მოკლვად, არცა ღმრთისა მიერ მეფობასა ღირსებულისა. და რამეთუ დაღაცათუ ბოროტ ესე ჩუენდა მომართ, არამედ ჯერ-არს ჩემდა ესევითარად ყოფად მისა მიმართ“. ხოლო დაუტევა რამ საულოსს ქუაბი, განსრული დავიდის ვმობდა, მეედრებელი საულომსი სმენად. და მოიქცა რამ მეფე, თაყუანის-სცა მას, თანად დავდრომილმან პირსა ზედა, ვითარ ჩუეულებად არს და ჰრქუა:

„არა ბოროტად, ომ მეფე, და ცრუთა შესმენათად, მწმასნელთად სას-მენელთა მიმცემელსა მიერ, ჯერ-არს ვიდრემე მინიჭებად მათდა დარწმუნე-ბად მათ მიერსა, ხოლო საყუარელთასა იჟუნეულობად ქონებად, არამედ საქ-მეთა მიერ განხილვად² სიყუარულსა ყოველთასა, რამეთუ შესმენად ვიდრე-მე აცთუნებს, ხოლო ცხადი აღჩენად სიყუარულისად მოქმედებულნი არიან. და სიტყუად ვიდრე მრჩობლ კერძოვე არს, ჭეშმარიტი თანად და მტყუ-ანი, ხოლო საქმენი შიშუელსა თანა წინაშე სახედველთასა გონებასა დას-ღებენ. აწ უკუე ამით ძლით კეთილად ქონებად ჩემი შენდა მიმართ და სახლისა შენისა რწმუნებად ჯერ-არს ჩემდა მომართ და არა შემასმენელთა, რომელნი არა გონებად შთავიდეს ჩემდა ძიებად სულისა შენისა, რომელი არ-ცა ქმნად შესაძლებელ არს მნებებელისა და დამით და დლით არცა ერთსა

¹ მუფისა A. ² განხილვად A.

* 1 მუფ. 23,26. ^{1*} *δὲ τὸν Σαουλὸν διὰ τῆς θῆρας τοῦ Δαυὶδ ὡς ἐλ-
λοσίου ἦν τὴν σὺν γλαυκῶσι Πάλαισ-θῶσι πάλιν ἐπὶ τοῦ Ἐβραίου θορατῆρα καὶ χάρου
αὐτοσφύλας 6:21 (=მამან, როდესაც საულს უკვე უნდა შეეპყრო დავითი, მან შეეწყობა ამ
უკანასკნელის დენა, რადგან შეიტყო, რომ პალესტინელები კვლავ შემთოპრენ ებრაელების ტერი-
ტორიაზე).*

ზრუნვასა! ქონებად, გარნა თუ მოკლვასა ჩემსა, რომლისათვის უსამართლოდ მავალი ხარ. რამეთუ ვითარ არა ცრუმ იქვ ჩემთვის მიგიღებოც, ვითარმედ მოკუდინებოდა შენი მეგულების, ანუ ვითარ არა მკოდველ ხარ ღმრთისა მიმართ. / კაცსა, დღესა თავისა თვისისათვის შურისგებად შემძლებელსა და შენ მიერ სასჯელსა მიღებად და არა მნებებელსა, არცა ჟამისა მკუთხველსა ამისა მიმართ, რომელი უკუეთუმცა შთამოვარდომილ იყო შენდა, არამცა უტყვე მოკუდინებულ² მოსურნემან და მბრძოლად მეკუთხველმან? რამეთუ ოდეს ფრთე სამოსლისა მდგუჯეთე, მაშინ და თავისადა შემძლებელ ვიყავ.“ ხოლო მჩუენებელმან მჩურისამან დაარწმუნა. „არამედ მე ვიდრემე განვეყენე მართლიადაა შურისგებასა, ჰრქუა, ხოლო შენ არა გეკდომების სიძულილსა უსამართლოსა ძუნად ჩემდა მომღებელსა. ღმერთმან საჯნეს ესენი და ქცევასა თითოეულისა ჩუენისასა ამხილენ“³.

ხოლო საულოს, დიდებულებასა ზედა ცხოვნებისასა განკვრეებულმან და ქანუკისა სიმდაბლესა და ბუნებასა ზედა განკრთომილმან, სულთ-ითქუნა. ხოლო მანცა მსგავსი რაჲ მისი იმოქმედა, „მე მიღირს, მიუგო, სულთქუნაჲ, რამეთუ შენ ვიდრემე, ჰრქუა, კეთილთა შიზეზ ჩემდა იქმენ, ხოლო მე შენდა — განსაცდელთა. და არუენე უკუე დღესცა თავი თვისი მქონებელად სიძარბულესა მათსა, რომელნიცა ნტერთა თვისთა, უდაბნობასა შინა მპყრობელნი, ცხოვნებად ამცნებდეს. ხოლო მირწმუნებოც აწ, რამეთუ შენდა კმარხავს ღმერთი მეფობასა და გელის შენ ყოველთა ევრელთა მპყრობელობაჲ. ხოლო მომცენ მე სიმტკიცენი ფუცებთინი არა უჩინო-ყოფად ნათესვისა ჩემისა, არცა ძვროკსენეობისათვის ჩემდაჲო ნაშობთა ჩემთა მოსრუად, ხოლო დაცვად სახლსა ჩემსა“⁴.

და დავიდის უკუე მფუცავი, ვითარცა ევედრა, საულოს ვიდრემე თვად სამეუფოდ განუტევა, ხოლო მის თანათამურთ იწროთა მასთიროთათამსა აღვიდა.

5)* ხოლო მოკუდა და ამასვე ჟამსა და სამუილოსცა წინაწარმეტყუელი, მამაკაცი არა დამთხუევიითა პატვისა მიმღებელი ევრელთა შორის, რამეთუ განაცხადა სათნოებაჲ მისი და მისა მიმართ მოწულობაჲ სიმრავლისაჲ გლოვაჲმან, რომელი მრავალსა ჟამსა აქუნდა სიმრავლესა და დაფლვისა მიმართ მისისა მოურნეობამან და მოსწრაფებამან შესამსგავსთა მიმართ აღსრულებისათვის. რამეთუ დაჰფლეს იგი მამულსა შინა არმათას და მრავალთა ფრად დღეთა იგლოვეს არა საზოგადოდ მიმნიჭებელნი ამათნი ამისნი, ვითარ უცხოისა აღსრულებასა ზედა, არამედ თითოეული, ვითარ თვისსა, მგლოველი. ხოლო იქმნა მამაკაცი კეთილი და მართალი ბუნებითა და ამისთვის უფროსდა საყუარელი ღმრთისაჲ. ხოლო იმთავრა და წინამდგომ ეყო⁵ ერსა შემდგომად ილის მღელღთმთავრისა აღსრულებისა მხოლოჲ ვიდრემე წელთა ათორმეტთა, ხოლო საულოს თანა მეფისა — ათთა რვათა თანა. და სამუილოს თვისთა ვიდრემე ესევეთარი აქუნდა დასასრული.

6)!* ხოლო იყო ვინმე ზიფინელთაგან, ქალაქისა ემმანისაგან, მღუდარა და მრავალსა ცხოვარი, რამეთუ სამ ათასთა ვიდრემე სამწყსოჲ მისი ცხოვართაჲ ძოვდა, ხოლო ათასთა — თხათაჲ. ამათსა დავიდის უქნებად დაცვასა და შეუხებელად ამცნებდა მის თანათა და არცა გულისთქუმისა მიერ, არცა ნაკლ-

1 ზრუნვასა AD. 2 მოკლდინებად. 3 იყო.

4 1 მეფ. 25,1. 1* 1 მეფ. 25,2.

5 ვაჲ სხუასა ამისა მწერალსა, თუ არა მე მოკუდელ.

ულევენებისა, არცა უღაბნობისა და დაფარვად შეძლებისათჳს ვნებად. ხოლო ამათ ყოველთასა უზენაეს დადებისად არარას უსამართლოებად დაშრეტად წერაჲცჳდა და არა სახარულევენად ღმრთისა უცხოთასა შეხებად. ხოლო ამათ საწავლებელთა მათ, მეჭუეული ზომადლებად კაცისა სახიერისა და ამის მოურნეობისა ღიბისა. ხოლო იყო ნავალოს, რამეთუ ესე აქუნდა სახელი, გულარძნილი და ბოროტი ქცევითა, ძალღებრივისა ჩუე/ულებისა, განმყოფელი ცხორებისა და დედაკაცისა კეთილისა და გონიერისა და სახითა საშურველისა¹ მამთხუეული. ამის უკუე ნავალოს მიმართ, რომელსა რისუვიდა ცხოვართა ჟამსა, წარმავლენელმან დავიდის მამაკაცთა ათთა მის თანათამან, ამათ მიერ მოიციოთხა იგი და ულოცა ამისი ქმნაჲ წელთა მრავალთა და მინიჭებად, ხოლო რომელთა მიერ შემძლებელ არს, ევედრებოდა მას, მსწავლელსა მწყემსთა მიერ, ვითარნედ „არცა ერთი რაჲ ვაენეთ მათ, არამედ მცველ მათდა თანად და სამწყსოთა მათთა ვიქმნენით, მრავალსა ჟამსა აწდა უღაბნოსა შინა მქცეველნი“. ხოლო შეინანოს არცა ერთი შემანებელმან, მიმნიჭებელმან დავიდისმან.

ესენი რაჲ წარვლინებულთა მიიხუნეს ნავალოს მიმართ, გარეაკაცად ღრცად და მწარედ შეემთხვა. რამეთუ მკითხველსა მათსა, ვინ არს დავიდის, ვითარ ესმა—ჲ იესოემისი, „აწ სადმე, თქუა, დიდად ბრძნობენ თავთა თქსთა ზედა განპარულნი მღტოლველნი და განლაღებულ არიან მეუფეთა დამტევებელნი“. ხოლო მიემთხვა რაჲ; განრისხნა დავიდის და ოთხასთა ვიდრემე აღტურვილთა შედგომად მბრძანებელი, ხოლო ორასთა მცველად ქურქველთა და მტევებელი, რამეთუ აწდა მქონებელ იყო ექუსასთა, ნავალოს ზედა ვიდოდა. და ფუცა მას ღამესა შინა სახლსა შინა მისსა და მონაგებსა ყოველსა უჩინოყოფად, რამეთუ არა შეწუხნა მხოლოდ, ვინამთგან უმაღლო იქმნა მათდა მიმართ, არარაჲს მიმცემელი მრავალსა კაცთმოყუარებასა მჭუემეველთად მისა მიმართ, არამედ რამეთუ ავინაცა და ბოროტად თქუა არარაჲთ შეწუხებულმან მათ მიერ.

7)* ხოლო მონამან რომელმანმე, ნავალოს სამწყსოთა მცველთაგანმან, დედოფლისა ვიდრემე მიმართ თქსისა, ხოლო ცოლისა ნავალოსა, თქუა, ვითარმედ დავიდის, წარმავლენელი ქმრისა მიმართ მისისა, არცა ერთსა მცირეთაგანსა მიემთხვა, არამედ ივინაცა გმობათა მიერ ბოროტთა, ხოლო ყოვლისა მიმართ მოურნეობისა და მცველობისა იკუმევედეს მათ სამწყსოთა მიმართ. და ამისსა უკუე ქმნასა ბოროტად მეუფისა და მის თქსთათჳს ეტყოდა. ხოლო ავიგეა, რამეთუ ესრეთ სახელ-იღებოდა, აღმტკრთველი ვირთაჲ და აღმავსებელი ყოველთა მიერ ძღუენთა და არარას მეტყუელი ქმრისაჲ, რამეთუ სიმთავრალისა მიერ უგარმობელ იყო, წარვიდა დავიდის მიმართ. ხოლო სთამაველსა იწროთა მათ მთისათა შეემთხვა დავიდის, ოთხასთა თანა ნავალოს ზედა მიმავალი. ხოლო მხილველი მისი, დედაკაცი შთამოვიდა და დავრომილმან პირსა ზედა, თაყუანის-სცა და ნავალოს ვიდრემე სიტყუათა ევედრებოდა არა მოკსენებად, ვინამთგან არა უმეცარ არს მისდა მსგავსად სახელისა მყოფისად, რამეთუ ნავალოს ევრავლთა ენისაებრ უგუნურებასა მოასწაევებს. ხოლო იგი სიტყუა-უგებდა არა ხილვასა მის მიერ წარვლინებულთასა. რომლისათჳს შენდობა ყაჲ ჩემდა, ეტყოდა, და ღმრთისა მიერ მაღლი გატუნდინ, რომელი გაყენებს შენ შეგინებასა კაცობრივისა სისხლისა მიერ. რანეთუ ეგო თუ შენ წმიდაჲ, თვთ მან გისაჯოს ბოროტთაგან, რამეთუ ბოროტ

1 საბურველისა AQS, საშურველისა D. *σπουδαίως* 629b.

• 1 მეუ. 25,14.

ნი, რომელნი ელიან ნავალოსს, ესენი და მტერთაცა შენთა თავსა დაეცნენ. ხოლო სახიერ იქმენ ჩემდა, ღირსად მსჯელი ჩემ მიერ ამათისა მიღებისა და გულისწყრომა და რისხება ქმრისა ჩემისა/ მიმართ და სახლისა ჩემისა პატივად ჩემდა უტევე, რამეთუ გშუენის შენ მშუდ და კაცთმოყუარედ ყოფა და თანად მეფობად გულეებადასა“. ხოლო მან, ძლუენთა მიმთუალველმან, „არამედ შენ, პრქუა, ოა დედაკაცი, ღმერთმან სახიერმან მოკიცვანა ჩუენდა მომართ დღეს, რამეთუ არამცა მომავალი დღე გეხილვა, ვინაფთჳან ამას ღამესა მეფიცა ნავალოსს სახლისა წარწყმედად და არცა ერთისა თქუენგანისა დატეგება და მამაკაცისათვის, ბოროტისა და უმადლო ქმნილისა ჩემდა მომართ და მოყუარეთა ჩემთა. ხოლო აწ, მოწუენილმან, ასწრე დაშუდდება გულისწყრომისა ჩემისა, ვინაფთჳან ღმერთი მოუტრნე არს შენდა. არამედ ნავალოსს ვიდრემე, დაღაცათუ აწ დაიტეოს შენ ძლით დასჯისაგან, არა განევლტოს სასჯელსა, არამედ ქცევაჲმან, მიმღებელმან სხვისა მიზეზისაგან, წარწყმიდოს იგი“.

8)* ამთმან მეტყუელმან განუტევა დედაკაცი. ხოლო მან, სახლად მისრულმან და მპოენელმან ქმრისაჲან მრავალთა თანა მსერებელად და ღამიძებულმან აწლა ღვნითა, მაშინ ვიდრემე არცა ერთი ქმნილთაგანი ცხად-ქმნა. ხოლო მომავალსა დღესა, განფრთხობილსა ღვნისაგან, ყოველთა მეუწყებელმან, დაჯნა და ყოვლისა სხეულისა მისისა მოკუდინება-ყო სიტყუათა მიერ და მათ ზედამსა მწუხარებისაგან. და ათთა არა უმრავლესთა ცხოვნებულმან დღეთა, ცხორება დააქცია ნავალოსს. ხოლო ესმა რაჲ აღსრულება მისი დავიდის, ნაცვალის-სჯასა მისისა ღმრთისა მიერ კეთილად იტყოდა, რამეთუ მოკუდა ნავალოსს თვისთა სიბოროტითა და მისცა მას სასჯელი, წმიდად მკონებელსა მარჯუენისაჲა. ხოლო ცნა მაშინცა ბოროტთა მოძაგება ღმრთისა მიერ და არცა ერთისა კაცთა შორისისა გარემომხედველობაჲ, არამედ კეთილთათვის ვიდრემე მიცემაჲ მსგავსთაჲ, ხოლო ბოროტთათვის მალიად ზედმოღებაჲ ტანჯვისაჲ.

ხოლო იგი, წარმავლენელი ცოლისა მიმართ მისისა, უწოდდა მისა მიმართ თანადამკვდრებად და ქორწინებად. და იგი უკუე უღირს-ყოფასა ფერკთაცა მისთა შეხებისასა წარვლინებულთა მიმართ იტყოდა, გარნა ეგრეთცა ყოვლისა თანა მონაგებისა წარვიდა და დამეკვდრა მას თანა, ამას მიმღებელი პატივისა სიწმიდისათვის და სიმართლისა და შეუენიერებისათვისცა მიმთხუეული ამისი. ხოლო აქუნდა დავიდის ცოლი პირველად, რომელსა ექორწინა ავისაროოს ქალაქისაგან. და მელქილი უკუე, საულოეს მეფისა ასული, ცოლად დავიდისა ქმნილი, მამამან ფელტიოოს, ძესა ელიეოსსა¹, შეაულლა, ქალაქისაგან გეთლამსა მყოფისა.

9)2* ხოლო შემდგომად ამათსა ვიეთმე ზიფინელთაგან მოსრულთა მიუთხრეს საულოსს, ვითარმედ დავიდის კულად სოფელსა შინა მათსა არს და შემძლებელ არიან შეპყრობად, უკუეთუ ინებოს მან თანაშეწენამ მათი. ხოლო იგი სამ ათასთა თანა აღკურვილთა ვიდოდა მას ზედა. და ღამე რაჲ მოიწია, დაიბანაკა ადგილსა რომელსაჲმე შინა, სეკელად სახელდებულსა. და დავიდის, ესმა რაჲ მის ზედა მოსლავა საულოესი, წარავლინა მსტუარნი და უბრძანა, რაჲთა ცხად-უყონ მას, რომელსა ადგილსა მივიდა საულოსს. ხოლო მათ ვინაფთჳან მიუთხრეს საკველას შინა ყოფამ, წარვიდა ღამით დაფარულად

* 1 მეფ. 25,36. 1* *שלם* *Atseu* 600, ლისიოსსა S. 2* 1 მეფ. 26,1.

თვსთავან საულოვს ბანაკსა, მიმყვანებელი მის თანა¹ დისა მისისაგან, სერუ-
იანს. ძესა ავისსეოსს და ავიმელეზოს ქეტელსა. ხოლო ვითარ ეძინა საუ-
ლოსს და გარემოს მისსა მომრგულე/ბით მოქალაქეთა და მკედართმყვა-
ნებელისა ავენიროვს მდებარეობასა, დავიდის, შესრულმან ბანაკად მეფისა,
არცა თვთ მოკლა საულოს, მცნობელმან სარეკლისა მისისაჲმან ჰორლისა მი-
ე². რამეთუ ესე მას თანა შთასობილ იყო, არცა ავისსეოს, მნებებელი მოკუ-
ლენებაჲ და ამისსა მიმართ მიმართებული, უტევეა, არამედ „ღმრთისა მიერ
კელთღასხმელისა მეფისა, მეტყუელმან, ბოროტ არს მოკუდინებამ, დალცა-
თუ ბოროტ იყოს, რამეთუ მოიწიოს მისა ჟანსა შინა მთავრობასა მომცემელი-
სა ნიერ სასჯელი, „რეჟრა მიმართებისაგან. ხოლო განაყენა რამ მოკუდინები-
საგან³; სასწაულად მიიღო ჰოროლი მისი და ჭურჭელი წყლისაჲ, რომელი
მდგომარე იყო მახლობელად საულოვსა. და არცა ერთმან ვინ აგრძნა მკედ-
რებისაგან, ხოლო ყოველთა რამ ეძინა, გამოვიდა, უშიშად ყოველთა მოქმე-
დი მეფისა მიმართ, რაოდენსა ჟამსა მოსცემდა მას და კადნიერებამ. ხოლო
განსრულმან ნარღუევსა და თხემსა ზედა მთისასა აღსრულმან, სადაჲთ ეგუ-
ლებოდა სასმენელ-ქმნამ, მკმობელმან მკედართა მიმართ საულოვსთა და მკე-
დართმყვანებელისა ავენიროვსა, აღადგინნა იგინი ძილისაგან და ამას კმა-
უყო თანად და ვრსა. ხოლო მკედართმყვანებელსა, და ვინ არს მწორდებელი მი-
სი, მკითხველსა, დავიდის თქუა: „მე, ყრამა ვიდრემე იესეოვსი, ხოლო
მლტოლველი თქუენგან. არამედ რაჲსათვს სადმე, დიდად მყოფი და პირველსა
მწონებელი მეფისაგან ჰატისა, ესრეთ უღებად სცავ მეუფისა სხეულსა და ძი-
ლი უტკბილეს შენდა ამისსა ცხორებისა და მოურნეობისა? რამეთუ სიკუდილი-
სა ღირს არიან ესენი და სასჯელისა, რომელთა მცირედ უწინარეს ჩუენგან-
თა ვიერმე შესრულებდა ბანაკსა შინა მეფესა ზედა და ღსუთა ყოველთა არა
აგრძენით. იძიე უკუე ჰოროლი მეფისაჲ და ჭურჭელი წყლისაჲ და ისწავო,
ვითარ ბოროტი მიგეფარა თქუენ, შინაგან ქმნილი. „ხოლო საულოს, თვთ
მცნობელი დავიდის კმისაჲ და მსწაველი, ვითარმედ განცემულად მპო-
ვნელმან მისმან ძილისა მიერ და მცველთა უღებებისა, არა მოაკუდინა⁴, არა-
მედ ჰრიდა მართლიადმცა მისმან მომაკუდინებელმან, მადლობასა აღუარებდა
მას ცხორებისათვს და, მინდობილსა და არაჲს ბოროტსა მერმეცა ვნებად
მოშიშსა მისგან, წარსლვად თვსთა მიმართ. რამეთუ ეტყოდა არცა ესრეთ თა-
ვისა თვისსა შეყუარებასა, ვითარ მის მიერ შეყუარებულ არს, რომელი, და-
ცვად ვიდრემე მისდა შემძლებელსა და მრავალთა ნიჭთა სიყუარულისათა მი-
მნიჭებელსა, სდევნის და ესოდენსა ჟამსა ლტოლვასა შინა და სულისა ძლით-
თა შიშთა აიძულა ცხორებამ, მოყუარეთა და ნათესავთაგან ოკერსა, ხოლო
იგი არა დასცხრების მის მიერ ცხოვნებული და სულსა ცხადად წარმწყმე-
დელსა მომღებელი და დავიდის უკუე წარვიღებამ და ჰოროლსა მიღებამ
და ჭურჭელსა წყლისასა უბრძანა, ზედ-მეტყუელმან: „ღმერთი მრჩობლთა-
ვე და თვისსა ბუნებისა და მის მიერ მოქმედებულთა იყავნ მსჯელ, რომელმან
უწყის, ვითარმედ და ამასცა დღესა მოკუდინებამ⁵ შენდა შემძლებელი განვე-
ყენე“.

10)* და საულოს ვიდრემე, მეორედ განვლტოლვილი დავიდის კელთავან.
სავეფთოდ და სახიდ თვსად წარვიდა. ხოლო დავიდის, შეშინებულმან, ნუშა-
და დადგრომილი მიერ შეპყრობილ იქმნეს საულოვსგან, უმჯობეს საჯა პალეს-
ტინელთა* ქუეყანად წარსლვა და მუნ დმკედრებამ. და ექუსასთა თანა, რა-

¹ თანა|+მოიწია AQ. ² მოკუდინებად. ³ მოკუდინებისაგან. ⁴ მოაკუდინა. ⁵ მოკუდინებად.

* 1 მეფ. 27,1; 27,8. * ამ ადგილიდან A ნაკულთა (109 V). აღვადგინეთ Q-ს მიხედვით.

შელნი მის თანა იყვნეს, მიიწია ანოხისის მიმართ, გიტტთა მეფისა. ხოლო ეს-
რეთ ერთი იყო ხუთთა ქალაქთაგან. და მეფემან უკუე შეიწყნარა რამ მამა-
კაცთა თანა და მისცა სამკვდრებელი, მქონებელი თანად ორთა ცოლთა, აქე-
მას და ავიგეასი, იქცეოდა გიტტის შინა. ხოლო საულოსს ესენი რამ ესმენეს,
არღა მერმეცა იყო სიტყუჲა წარვლინებად მისსა მიმართ, გინა წარსლავად,
რამეთუ აწღა ორგზის შეპყრობად მისდა კნინდა ძვრხილულ იქმნა მის მიერ.
ხოლო დავიდის არა სათნო-უჩნდა ქალაქსა შინა გიტტთაჲსა დადგრომად,
არამედ ევედრა მეფესა მათსა, რამეთუ ვინაჲთგან კაცთოყუარებთ შეიწყ-
ნარა იგი და ესეცა მიანიჭოს, ადგილსა რომელსაჲმე სოფლისაგან მიმცემელ-
მან მისდა სამკვდრებელად, რამეთუ ეკდომების სლვაჲ ქალაქსა შინა მძივე და
საწყინო-ყოფისა ძლით. ხოლო მისცა მას ანხოს დაბაჲ რამე, სეკელოდ სა-
ხელდებული, რომლისა, მეფობამან დავიდის შემწყნარებელმან, შეწყუარე-
ბელმან, თესად მონაგებად შეპრაცხა ყოფაჲ და ყრმათა მისთა. არამედ
ამათვს ვიდრემე სხუათა შინა ცხად-ვეოთ.

ხოლო ეამი, რომელსა შინა დაემკვდრა დავიდის სეკელსა შინა პალეს-
ტინისასა, იქმნეს თუენი ოთხნი ოცთა დღეთა თანა. და ზედმიმალული¹
უკუე ფარულად პალესტინისა მახლობელთა სოფელთა, სირრიტელთა და
ამალიკიტთა, მიიტაცებდა ადგილსა მათსა და ნატყუენესა ფრიადასა — პირ-
უტყუთა და აქლემთასა მიმღებელი უკუნ-იქცეოდა. ხოლო კაცთა ჰრიდებდა,
მოშიშო, წუსადა შეასმინონ იგი ანხუსის² მიმართ მეფისა და ნატყუენაი³
ვიდრემე კერძოდ ძღუენად წარუვლინა მას. ხოლო იკითხა რამ მეფემან, ვი-
ეთ ზედა⁴ და სხუა მან ნატყუენავი წარმოიღო, სამხრით კერძო მყოფთა
იუდეელთა და ველთა შინა დამკვდრებულთა მიუგო ზედდასხმაჲ. და არწმუ-
ნა ანხუს⁵ ესრეთ მეკუელობაჲ, ვითარმედ დავიდის მოიძულა თჳნი ნათესავი
და მონად მისთა შინად დადგრომილსა ქონებად ჰგონებდა, რაოდენსა⁶ ეამსა
ცოცხალ იყოს.

თ. 14.

1)2* ხოლო ამასვე ეამსა პალესტინელთა, ისრაილიტთა ზედა აღჰველ-
რებად მნებებელთა, წარავლინეს ყოველთა მიმართ თანაშემწეთა, რამთა
მოიწინენ მათდა ბრძოლისა მიმართ რელანს, სადაჲთ ეგულებოდა შეკრებულ-
თა მიმართებაჲ ევრაველთა ზედა. და გიტტთა მეფემან ანხუს თანაშემწენად
დავიდის და თესთა და აღჰურვილთა თანა უბრძანა, ხოლო მან გულსმოდ-
გინებით აღუთქუა, წარმოდგომად ეამისა თქუა, რომელსა შინა ნაცულისგებაჲ
კეთილმოქმედებისა და უცხოთშეწყნარებისა მისცეს მას. და ანხუს უკუე
მცველობაჲ სხეულისა შემდგომად ძღუეისა და ლუაწლთა მათ მბრძოლთა
მიმართ შეყუარებულთა მათდა აღუთქუა, აღუთქუმითა მათ ჰატიცესა და სარ-
წმუნოებისაჲთა გულსმოდგინებისა მისისა უმეტეს აღმარობინებელმან.

2)3* ხოლო შეემთხვა საულოსს, ევრაველთა მეფესა, მისანთა და გუ-
ლით-მეზღაპრეთა და ყოველსა ესევითარსა კელოვნებაჲსა განჯდაჲ სოფლი-
საგან, გარეგან წინაწარმეტყუელთაჲ. ხოლო ესმა რამ პალესტინელთაჲ აწღა
მოსლვაჲ და მახლობელად სუნის ქალაქისა, ველსა შინა მდებარისასა, და-

1 და/+ზედ და Q. 2 ანხუსის Q. 3 ანხუს Q. 4 რაოდენსა Q.

* ἐπερζήσατο ε₂₂₃ (=ათადამსხელი). 1* εἶσε εἰς ἐμὴν οἶον ε₂₂₁ (=ვის დაესხა თავს).
2* 1 მეფ. 28,1. 3* 1 მეფ. 28,3; 28,11.

ბანაკებამ. წარემართა მათ ზედა ძალისა თანა. და მიწვეულმან მოასა რომელსამე თანა. გილუვედ წოდებულსა, განაწყო მკედრობა პირის-პირ მბრძოლთა. ხოლო შეათხიდა იგი არა დამთხუევით მტერთა ძალმან, დიდად მყოფმან და ნიზნისა უძლიერისა საეჭუელმან. და ღმერთსა წინაწარმეტყუელთა მიერ ჰკითხვიდა წინაწართქუემად მბრძოლისათვის და მისისა დასასრულისათვის. ხოლო ვინაჲთგან არარაჲს მიუგებდა ღმერთი, მერმეცა უფრომსდა შეშინებულ იქმნა საულოს და სულითა დაემყუა ბოროტსა წინაწარმხილველი, ვითარ ჯერ-იყოს არა თანა-ყოფისა მისდა მხილებულად საღმრთოჲსასა. ხოლო იქებამ ბრძანა დედაკაცისამ მუცლითმზღაპრთაგანისამ და სულეგსა მკედრობასა აღმწოდებელისამ, ვითარ ესრეთ მგულუბელმან ცნობად, სადა ეგულეების მიმართებამ მისდა საქმეთა, რამეთუ ნათესავეი მუცლითმზღაპრთამ, აღმოწყვანებელი სულეებისა მკუდართაჲსა, მათ მიერ წინაწარ-აუწყებეს მოქმენთა გულეგებადთა ქმნად. ხოლო ვინაჲთგან მიეთხრა მას რომლისამე მონათაგანისა მიერ ყოფამ ესევეთარისა დედაკაცისამ დოროს შინა ქალაქსა, ფარულად ყოველთაგან ქალაქის შინათა ბანაკის შინა განმძარტველი სამეუფოჲსა სამოსლისამ, ორთა მიმყვანებელი მონათამ, რომელნი უწყოდნა სარწმუნოდ. მივიდა დოროდ დედაკაცისამ მიმართ და ევედრებოდა მისნობად და აღმოყვანებად მისდა სულსა, რომელიცა მან უთხრას მას. ხოლო დედაკაცი წინა-აღუდგებოდა და ეტყოდა არა შეურაცხ-ყოფასა მეფისასა, რომელმან ესე ნათესავეი მიანთა განჯალა და არცა თვთ კეთილმოქმედ არს, არარას ვნებული ზისგან და მომვერცაგებელი დაყენებულთამ მიერ მიყვანებად მას, რამთა მისცეს პატრი. ხოლო იგი ფუტუცა არცა ერთისა ცნობად, არცა სხვსა მიმართ განღებად მისნობასა მისისა, არამედ უვნებლად გებაჲსა. ხოლო ვითარ ფიცთა მიერ არწმუნა არა შეშინებამ, უბრძანა სამუილოჲს სულისა აღმოყვანებად ამისდა. ხოლო მან, უმეტარმან სამუილოჲსმან, ვინ იყო იგი, უწოდა მას ჟოჯობითთ. და გამოჩნდა რამ იგი, მხილველი დედაკაცისა მამაკაცისა პატროსნისა და ღმრთივ-შუენიერისა, შეშფოთნა და სახედველისა მიერ განკატოჲმომან, „არა შენ, ჰრქუა, მეფე საულოს?“, რამეთუ ცხად-ყო იგი სამუილოს. ხოლო მან თავ-უყო და იკითხვიდა რამ შფოთსა დედაკაცისასა სადაჲთ იქმნა, სთქუა აღმოსლუამ ვისიჲე ღმრთისა მსგავსისა სახითა. და მან უკუე ხატსა თქმნამ ჰრქუა და სახესა ჩუენებულისასა და ჰასაცა. და იგი ვიდრემე ბერად დადგებულად იტყოდა, სამღდელოსა მომრტყმელად ორნაკეცსა. ხოლო ამათ მიერ აჯრძნა მეფემან სამუილოჲს ყოფამ. დავრდომილმან ქუეყანასა ზედა შეიტკბო და თაყუანის-სცა. ხოლო სამუილოს სული ჰკითხვიდა, რამსათვის აღძრა იგი და აღმოყვანებულ იქმნა. იძულებასა? სულთ-ითქუმიდა და მბრძოლთა მძინეტთა ზედდადებასა მისსა, ხოლო თვისსა უღონოებასა მოწვეულთა ზედა, დატევებული ღმრთისაგან და წინაწართქუემასა მიმთხუეული არცა წინაწარმეტყუელთა მიერ და არცა ჩუენებათა. „და ამისთვის შენდა, წინამოურნისა ჩენისა, მოვივლტოდე“. ხოლო სამუილოს, მხედველმან მისმან აწლა დასასრულსა გარდაცუალეებისა მქონებულად. „ნამეტნავ, სთქუა, / მერმეცა ჩემგან სწავლია მნებებელობამ, ვინაჲთგან ღმერთსა დაუტევებიე შენ. გარნა ისმინე, ვითარმედ მეფობამ ჯერ-არს დავიდისი და წარმართებამ ბრძოლისა, ხოლო შენდა—ნათარობასა და ცხოვრებასა წარწყმედამ, ღმრთისა ურჩქმნილისა და ამალიკრეთა მიმართ ბრძოლასა შინა და მცენებათა არა დამცველისა, ვითარცა გრწინაწარმეტყუელე შენ ცოცხალმანცა. უწყოდე უკუე და ერისაცა მტერთა

110*

1 მისნობასა Q. * იძულებასა Q.

* 110 r-დან თხრობა გრძელდება A-ს მიხედვით.

ვიდრევე თვსთაჲ მბრძოლთა მიმართ, ხოლო გინებულ-ქმნაჲ ღირსებასა შეფობისას, არამედ ძკრთა მიმცემელმან თავისა თვისისამან, ყოვლით სახლითურთ შევილთა თანა, კეთილად შეპრაცხა ამათ თანა ბრძოლაჲ მმეფობთათვის და ყრმათა სიკუდილი უფროასლა კეთილად მყოფთაჲ, ვიდრე დატევებაჲ უნეკრებასა ზედა. ვითარნი იქმნეს ქცევითა, რამეთუ მონაცვალებომაჲ და ნათესავი ქებასა და დაუბერებელსა ქსენებასა მქონებელ არიან. ესე უკუე ნაოლოდ მართლად და ბრძნად და მკნედ ჩემდა საგონებელ არს. და უკუეთუ ვინმე იქნა ესევითარი, გინა იქმნას წამებასა სათნოებისათვის, მოსთულებად ყოველთა მიერ ღირს არს. რამეთუ სასაღებით ბრძოლად განსრულთა, ვითარ და მალეველთა და ნანდკლვე უკუნქცევადათა, რაჲამს კეთილი რადეუ და მკნე იმოქმედონ, არა კეთილად ქმნასა საგონებელ არიან ჩემდა, მკნედ ნწოდებელნი მათნი. რაოდენთა ესევითართათვის მოთხრობათა შინა და სხუათა აღწერილთა თქუეს. ხოლო ღირს არიან იგინიცა მიმთხუევად ქებასა, არამედ კეთილსულნი და დიდკადნიერნი და ძკრთა შეურაცხამყოფელნი მხოლონი მართლად სახელ-იდებოდეს ყოველნი, საულოჲს მიმსგავსებულნი. რამეთუ უმეცართა, რაჲასა შემთხუევად¹ ეგულების მათსა ბრძოლასა შინა და არა მოჩუენებაჲ მისა მიმართ, არამედ უმეცრებასა გულვებადისასა მიცემაჲ თავთა თვსთაჲ და მას სლვაჲ, არა ესრეთ მკნედ არს, დაღაცათუ საქმეთა მრავალთა მოქმედებაჲ შეემთხუოს. ხოლო გონებასა შინა არცა ერთსა კეთილსა მომლოდეთა, არამედ წინაწარმეცნიერთა, ვითარმედ თანამდებ არს სიკუდილი და ამას ვნებად მბრძოლთა და ამას თანა არა შეშინებად. არცა განკრთონად ბოროტისაგან, არამედ მას ზედა წინაწარუწყებულსა მიმართებად. ამას მკნისა საწაულად ვსჯი მე კემშარიტად. საულოს უკუე ესე ქმნა, ჰაჩუენებელმან, ვითარმედ ყოველთა, ქებისა მოურნეთა შემდგომად სიკუდილისა, უღირს ამათი მოქმედებაჲ, რომელთა მიერ დაუტეონ ესე ქებაჲ თავთა თვსთა. და უფროასლა მეფეთა უღირს, ვინაჲთგან არა შესაძლებელ არს მათდა სიღიდისათვის მთავრობისა არა მხოლოდ არა ბოროტ-ყოფაჲ მთავრებულთა მიმართ, არამედ არცა მცირედ კეთილ-ყოფაჲ.

ნერმეცა უმეტეს ამათსა საულოჲსთვის და სიმკნისა მისისათვის თქუმაღ შემძლებელ ვიყავ ნიეთსა მიზეზისასა მონიჭებად თქუენდა, არამედ რადთა არა გამოიჩნდე უშუერად კუმევეად ქებათა მისთა, აღვალ კუალად მათდა მიმართ, რომელთაგან ამათ მიმართ განვედ.

5)* რამეთუ აღიკვედრეს რაჲ პალესტინელთა, ვითარცა წინაწარ-ვთქუ, და აღრიცხუვდეს ძალსა ნათესავნი და მეფობანი და სატრაპნი, დასასრულად მოვიდა/მეფე ანხოსცა თვისისა მკედრობისა თანა და შემდგომად მისა დავიდისცა ექუსასთა აღჭურვილთა თანა შედგომილ იყო. ხოლო იხილეს რაჲ იგი პალესტინისა მკედართმეყანებელთა, ვინაჲ არიან მოსრულნი ევრადნი და რომელთა მიერ მოწოდებულ, ჰკითხვიდეს მეფესა. ხოლო იგი დავიდის ყოფასა იტყოდა, რომელი იელტოდა საულოჲსგან, თვისისა მეუფისა, და მისა მიმართ მივიდა შეწყნარებად და აწ ნაცულისსაგებელად მადლისა შურისგებასა ნებებელ არს და ნაცულისსაგან საულოჲსგან, თანაშემწე მათი: ხოლო იგმო იგი მკედართმეყანებელთაგან, მამაკაცსა მბრძოლსა თანაშემწედ მიმეყანებელი და უკუნქცევედ განაზრახებდეს, ნუსადა შესტეთს, დიდსა მის ნერ ბოროტსა მოყუარეთა მიმართ მოქმედი და რამეთუ მას შიენიქოს და-

¹ შემთხუეა.

• 1 მეფ. 27,1.

გებაჲ მეუფისა მიმართ, ბოროტისმყოფელსა ძალისა ჩუენისასა, რომლისათსცა წინაშე სახედველისა მათისა ადვილისა მიმართ, რომელი მისცა მათ სამკვდრებელად, უბრძანებდეს უკუქცევად ექუსასთა თანა აღჭურვილთა, რამეთუ ესე არს დავიდის, რომელსა განსთქუმენ ქალწულნი, მრავალთა ბევრეულთა პალესტინელთაგან მომსრევლსა. ესე რაჲ ესმა გიტტთა მეფესა და კეთილად გულისმსიტყუელმან, მიმწოდებელმან დავიდისმან: „ვი ვიდრე ვწამებ შენსა ფრიადსა ჩემდა მომართსა მოსწრაფებასა და სიყუარულსა და ამის ძლით თანაშემწუნდ მიგიყვანებ შენ. ხოლო არა სათნო არს ესე მკვდართმეყვანებელთა. არამედ წარვედ შემდგომად დღისა ადგილისა მიმართ, რომელ მოგეც შენ, არაარს უჯეროსა მგონებელი და მიერ დამცველ იყავ ჩენდა აუგილსა, რაჲთა არა ვიეთნიმე მბრძოლთაგანნი მოიწინენ მას ზედა. ხოლო არს ესეცა კერძოჲ თანაშეწევნისაჲ. და დავიდის ვიდრემე, ვითარცა უბრძანა გიტტთა მეფემან, მიიწია სეკელად. ხოლო რომელსა ეამსა დავიდის თანაშეწევნად პალესტინელთა წარვიდა, მოსრულმან ამალიკიტთა ნათესავთა იაკურეს სეკელთაჲ ძლიერებით და დამწუველნი და მრავალსა ნატყუენავსა მისგან და სხვსა პალესტინელთა სოფლისაგან მიმღებელნი, წარვიდეს.

6)* ხოლო განფხურად მპოვნელმან სეკელაჲსმან დავიდის და ყოველთა მიტაცებულად თანად ცოლთა მისთა, რამეთუ ორნი იყვნეს, და მოყუარეთასაცა შეილთა თანა ტყუექმნილთა, გარე-მოიხეთქა მეყუსეულად სამოსელი, მტრალმან და მგლოვარემან მოყუარეთა თანა. ხოლო ესოდენ დაიქსნა ძვნთა მიერ, ვიდრელა მოაკლდესცა მას აწვე ცრემლნი. და ჳკრ-ხილულობდა სიკუდილად და წყლული გოდებისა მიერ მოყუარეთაჲსა ტყუექმნისათვის ცოლთა და შეილთა, რამეთუ მას აბრალებდეს ქმნილთათვის. განმფრთხობელი მწუხარებისაგან და გონებჲსა ღმრთისა მიმართ აღმეყვანებელი, ევედრა მღდელთმთავარსა ავიათაროსს შემოსად სამღდელოსა სამოსელსა და კითხვად ღმრთისაგან და წინაწარმეტყუელებად, უკუეთუ მღვენელსა ამალიკიტთასა მოსცემს პურობასა და ცხოვნებასა ვიდრემე ცოლებთა და შეილთასა, ხოლო შურისგებასა მტერთაგან. ხოლო ვინაჲთგან მღდელთმთავარმან დევნაჲ უბრძანა, ადვლდომილი ექუსასთა¹ თანა აღჭურვილთა შეუდგა მბრძოლთა და მიიწია მდინარესა რომელსაჲმე ზედა, ვასელოდ სახელდებულსა. და მიემთხვა შეცთომილსა ეგვპტელსა ვისმე, ნათესავთ-ნაკულეუანებისა მიერ და სიყმილისა² დაქსნილსა, რამეთუ სამთა დღეთა შინა უდაბნოსა შინა შეცთომილი უსაზრდელოდ დადგრომილ იყო. და პირველად ვიდრემე სასუმელსა და საზრდელსა წინადაზღებელი მისდა, მიმეყვანებელი ჰკითხვიდა, ვისი არს და სადაჲთ. ხოლო იგი ნათესავსა ვიდრემე აუწყებდა ეგვპტელად მყოფი და დატყუებჲსა მეუფისა მიმართ სნეულებისათვის, შედგომად არა შედგომილსა შემძლებელსა. და აუწყებდა თავისა მისისა ყოფასა დამწუველთაგან და მიმტაცებელთა სხუათა თანა იუდეაჲსათა და სეკელთასაცა. და დავიდის უკუე, ამისმან მკუშველმან წინაწარ³ წინამძღურად ამალიკიტთა ზედა და წყენულმან მათმან ქუეყანასა ზედა დავრომილთამან, რომელთაჲმე მსერებელთა, ხოლო სხუათა — მომთრვალეთა და აწვე დაქსნილთა ღვინისაგან და ნატაცებთა მიერ და ნატყუენავისა მშუებელთამან ზედდებულთამან, ანასდაჲთ⁴ ფრიადი სრვაჲ იმოქმედა მათი, რამეთუ შიშულად მყოფნი და არაარს მომლოდენი ესევითარსა, არამედ მოსუმორობისა მიმართ და შუებისა მიდრეკილნი ვიდრემე ადვილ მოსასრველ იყვნეს. და რომელნიმე მათ-

¹ ექუსასთა A. ² სიყმილისა A. ³ წინაწარ]—S. ⁴ ანასდაჲთ.

* 1 მეფ. 30,4; 30,8; 30,15; 30,21.

განნი. მერმეცა ტრაპეზთა შინა დგომასა შინა პყრობილნი, მათ ზედა მოის-
რკოდეს და აღმოზიდვიდა საქმელთა მისთა სისხლი, ხოლო სხუანი, ურთიერ-
თას პატრიმსცემელნი წინ მსუემლობათა მიერ, განხრწნა, და სხუანი, ძილად
ნიღრკეილნი ღვნისა ურწყომასგან და შეუსავებელისა მიერ, მოაკუდინა. ხო-
ლო რაოდენნი ესრენეს შემოსელნი საჭურველთანი წინადღამად მათდა,
ამათ არა უღარეს შიშულად მდებარეთასა ადვილად განსკირიდა. ხოლო და-
ადგრეს დავიდისთანანი და თუთ იგი მომსრველნი განთადიოთგან ვიდრე მწუ-
ხრადმდე. ვიდრედა არა დაშეთეს ამალიკიტთაგან უმრავლესნი, გარნა ოთხას-
ნი. და ესენი უკუე, აღსხდომილნი მორბედთა აქლემთა ზედა, განევლტენს.
ხოლო უკუნ-აქცინა თანად სხუანი ყოველნი, რომელნი მიეტაცნეს მათდა
აბრძოლთა და ცოლნიცა მისნი და მოყუარეთა მისთანი.

ხოლო ვითარ უკუნქველნი მივიდეს ადგილსა, სადა ორასნი, არა შემ-
ძლებელნი შედგომად მათდა, დაუტევნეს ჭურჭელთა ზედა, ოთხასნი სხუანა
ვიდრემე სარგებელსა და ნატყუნავსა არა მნებებელ იყვნეს განნაწილებად
მათდა, არა უკუნანაშედგომილთა მათთა, არამედ დაქსნილთა დევნისა მი-
მართ, ხოლო კმაყოფად ცხოვნებულთა ცოლთა მიყვანებასა იტყოდეს. და
დავიდის უკუე ბოროტად და უსამართლოდ განზრახვასა მათსა განაჩენდა,
რამეთუ ვინაშთგან ღმერთმან მიანიჭა მათ შურისსგებამ მბრძოლთა მიმართ
და მოღებამ ყოველთავე მათთა, ჭერ-არს ყოველთავე / თანმშვედრობთა
სწორებით განყოფამ სარგებელისა და მის თანა მცველად ჭურჭელთა დატე-
ვებულთა. და ამის მიერ სჯული დაადგრა მათ შორის ესევეთარი, რაათა
მსგავსად მბრძოლთა მიიღებდენ მცველნიცა ჭურჭელთანი. ხოლო მიიწია
რამ დავიდის სეკელად, წარუვლინა ყოველთა იუდაის ნათესავისა შორის
წყოდთა ჩუეულთა და მოყუარეთა კერძო ნატყუნავისა.
და სეკელათა ვიდრემე განფხურამ და ამალიკიტთა მოსრვამ ესრეთ
იქნა.

7)* ხოლო პალესტინელნი განეწყვნეს რამ და ძლიერი ბრძოლამ იქნა,
სძლეს ვიდრემე პალესტინელთა და მრავალნი მოსრნეს წინააღმდეგობთაგან.
ხოლო საულოს, ისრაილიტთა მეფემან, და ყრმათა მისთა, მკნედ მბრძოლთა
და ყოვლისა გულსმოდგინებისა მკუმელთა, ვითარ მხოლოდ კეთილად სიკუ-
დილსათეს და მკნედ მბრძოლთა მიმართ ძვრხილულობისათეს, ვინაშთგან
ყოველი დიდებამ მათდა მიცემულ იყო, რამეთუ არარამ აქუნდა ამისაგან
უწებესი, ზედმიჭტინეს თაჯთა თესთა სიმრავლენი მტერთანი და გარემოს
ნონჩველებელნი მოკუდეს. მრავალთა დამამკობელნი პალესტინელთაგან.
ხოლო იყვნეს საულოს ყრმანი იონათის და იონადაოს და მელქისოს.

და ესენი რამ დაეცნეს, მიდრკა სიმრავლე ვერაელთა და უშუერებამ
და შენრდუევამ იქნა და სრვამ ზედდადებულთა მბრძოლთაგან. ხოლო საუ-
ლოს ივტრთა, ძლიერებასა მჭონებელი. და პალესტინელთა წარავლინნეს
მას ზედა მტყორცებელნი და მშკლდოსანნი და ყოველნი ვიდრემე დაუტენა
თჯნიერ მიერედთა. ხოლო იგი, ბრწყინვალედ მბრძოლი და მრავალთა წყლუ-
ლებათა მიწლებელი, ვიდრე არა მერმეცა მოთმენად და შეძლებად წყლუ-
ლებათა მიმართ, მოკუდინებად ვიდრედა თავსა თესსა არა შემძლებელ იყო,
ხოლო უბრძანა საჭურველთომოდებელსა, აღმოწუდელსა მახვლისა, აჰას
განწონად საშუვალ ამისსა, ჰირველ ცოცხლივ-პყრობასა მისსა მბრძოლთაგან.

1 მ-თა.

* 1 მეუ. 31,1; 31,4. II მეუ. 1,6. I მეუ. 31,7.

ხოლო ვითარ არა მკადრე იყო საქურველთომოდებელი¹ მოკუდინებას² მე-
უფისასა, თუთ აღომწუდელი თვისა და აღმმართებელი, სიმახვლესა ზედა და-
ეცა მას ზედა. და არა შემძლებელი ჭენებად, არცა ზედდამტყიცებად, რამ-
თამცა განეწუნა მას რკინაჲ, მოიქცა და ჭაბუქისა ვისგანმე, მუნ მდგომარის-
სა, იკითხვიდა, ვინ არს. და ისწავა რამ, ვითარმედ ამალიკიტი არს, ვეადრე-
ბოდა, ზედდამტყენებელსა მახვლისასა, მინიჭებად მისდა აღსასრულსა, ვითარ-
სა იგი მნებებელ არს, ვინაჲთგან კელთა მიერ თვისთა არა შემძლებელ არს
ამისსა ქმნასა. ხოლო მან ქმნა ესე და მომძრუელი მკლავისა მისისაგან
ოქროსა და სამეფოსა გვარგვსა, განეშორა. და საქურველთომოდებელმან, მხილ-
მან საულომსმან მკუდრად, მოიკლა თავი თვისი. ხოლო ცხონდა და არცა ერ-
თი სხეულისმცველთაგან მეფისათა, არამედ ყოველნი დაეცნეს გულგუელ წო-
დებულსა მთასა ზედა.

ხოლო ესმა რამ ევრაველთა, რომელნი დამკვდრებულ იყვნეს უბესა შინა
წიად იორდანესა და ველსა შინა ქალაქ/თა მქონებელნი, ვითარმედ დაეცა სა-
ულოს და ყრმანი მისნი და მის. თანაჲ სიმრავლე წარწყმდა, დამტყეებელნი
თვისთა ქალაქთანი, უმტყიცესთა მიმართ იელტოდეს. ხოლო პალესტინელნი,
დატყეებულთა ოკრად მპოვნელნი, დაემკვდრნეს მათ შინა.

8)* და შემდგომსა უკუე დღესა, მძარტუელნი პალესტინელთანი მკუდ-
რებსა მბრძოლთასა, მიემთხვნეს საულომსა და ყრმათა მისთა სხეულსა. და,
განმძარტუელთა, მოკუეთნეს თავნი და წარჰაველინებელთა მიუთხრეს ყო-
ველსა სოფლებსა, ვითარმედ დაეცნეს მბრძოლნი. და საქურველნი ვიდრემე
მათნი დასხნეს ასტარტომსა სამღდელოსა შინა, ხოლო სხეულნი მათნი ჭუარ-
სა აცუნეს ზღუდეთა თანა ვითსიონ ქალაქისათა. რომელსა აწ სკვთო ქალაქი
ეწოდების. ხოლო ვითარ ესმათ იაივი ქალაქსა შინა დალაადიტოდოსასა დამ-
კვდრებულთა, ვითარმედ სტანჯვენ მკუდარსა საულომსა და ყრმათა მისთასა,
ბოროტად შემარაცხელნი დაუფლველად უგულუბელს-ქმნისა მათისანი, გა-
მოსრულნი მკვნენი და კადნიერებითა გარდამატებულნი, ხოლო ქალაქი ესე მო-
წლებელ არს ძლიერთა სხეულითა და სულითა, და დამე ყოველ მივიდეს ვით-
სად და მისრულნი ზღუდეთა თანა მბრძოლთასა და შთამომდებელნი სხეულსა
საულომსა და ყრმათა მისთასა, მიწლებელნი იავისად. და არაეინ მბრძოლ-
თაგან ინება დაყენებაჲ მათი სიმკნისათვის. ხოლო იავისინელთა, ყოველ ერო-
ბით მგლოველთა, დაჰფლნეს სხეულნი უმჯობესსა შინა ადგილსა სოფლისა-
სა, ასსურიდ სახელდებულსა. და გლოვაჲ დღეთა შინა შვდთა ცოლთა თანა
და შვილთა მათ ზედა აქუნდა, მტირალთა და მგლოველთა მეფესა ზედა მათსა
და ყრმათა მისთა, არცა სასუქელისა და არცა საზრდელისა მეგებელთა.

9)¹ ესე საულოსს აქუნდა დასასრული წინაწარმეტყუელებიაებრ სა-
მუილომსა, ურჩ-ქმნისათვის ღმრთისა მცნებათაჲსა ამალიკიტთა ზედა და რა-
მეთუ ავიმელეხოზს მღდელთმთავრისა ნათესავი და თუთ ავიმელეხოზს და
მღდელთმთავართა ქალაქი მოსრა. ხოლო მეფობდა სამუილომს სიცოცხლესა
შინა წელთა რვათა ათთა თანა, ხოლო შემდგომად აღსარულებისა ორთა და
ოცთა. და საულოსს ვიდრემე ესრეთ დააქცია ცხოვრებაჲ.

აღსასრული მეექუსისა სიტყვსაჲ.

¹ საქურველთომოდებელი. ² მოკუდინებასა.

• 1 მეფ. 31,11. ¹ 1 ნეშტთა 10,13.

ენანი არიან მეზღვდესა შინა იოსიკოვს მოთხრობათასა
იუდაებრივისა სიტყუადასაბამობისასა

1. ვითარმედ დავიდის ვიდრემე ერთისა ნათესისაგან მეფე იქმნა ქევრონს ქალაქსა შინა, ხოლო სხესა სიმრავლისა — საულოას ყრმაჲ.

2) ვითარმედ ესე რაჲ მოიკლა განზრახვითა მოყუარეთაჲთა, ყოველი შეფობაჲ დავიდის მიითულა.

3) ვითარმედ მბრძოლმან იეროსოლჳმათამან დავიდის და მიმღებელმან ქალაქისამან, განასხნა ვიდრემე მისგან ხანანელნი, ხოლო დააჰკვდრნა მუნ შინა იუდეულნი.

4) ვითარმედ ორგზის აღმკვდრებულნი მის ზედა პალესტინელნი იეროსოლჳმად იძლიენეს.

5) ქმნილი დირომომს მიმართ, ტყრელთა მეფისა, და დავიდის სიყუარული.

6) ვითარმედ გარემოჲსთა ნათესავთა ზედა აღმკვდრებულმან დავიდის და მპყრობელმან, ხარკთა მიცემად უბრძანა მისდა.

113 7) ქმნული და/მასკინელთა მიმართ დავიდის ბრძოლაჲ და ძლევეაჲ.

8) ვითარმედ შუვაჲდინარელთა ზედა აღმკვდრებულმან სძლო მათ.

9) ვითარმედ სახლის შინანი რაჲ მისნი აღდგეს მის ზედა, ყრმისა მიერ განიჯადა მთავრობისაგან წილ ოორდანედ.

10) ვითარმედ აღმკვდრებული ავესალომოს მამასა თჳსსა დავიდის, წარწყმდა მკვდრობისა თანა.

11) ვითარმედ კუალად მეფობასა ზედა დადგა და ცხოვნებულმან, კეთილბედნიერად მერმეცა მყოფმან, სოლომონ, ძე თჳსი, მეფედ განაჩინა.

12) აღსრულებად დავიდისი, დამტევებელი ყრმისადა მრავალსა ნივთსა ვეცხლისა და ოქროსასა და ქვისასა აღშენებისათჳს ტაძრისა.

მოაქუს წიგნსა ეჲმი წელთა ორმეოცთაჲ.

იოსიპომს სიტყუად მეშვედ.

თ. 1.

1)* ხოლო შეემთხვა ამის ბრძოლისა ქმნად დღესა მას, რომელსა დავიდისსა, ამალიკიტთა მძლველი, სეკელად უკუნ-იქცა. ხოლო აწვე, ორნი დღენი რაჲ აქუნდეს სეკელას შინა, მესამესა მოიწია ცხოვნებული ბრძოლისაგან პალესტინელთა მიმართისა, საულოას მომაკუდინებელი, გარემომხეტქელი სამოსლისაჲ და თავსა ზედა ნაცარსა დამსხმელი და თაყუანისმცემელი მისი, მკითხველსა, სადამთ მოვალს ესევეთარი, ისრაილიტთა ბრძოლისაგან, ეტყოდა, ხოლო უბედო-ქმნასა დასასრულისა მისისასა, ესე იგი არს ბრძოლისასა,

1 ზედა/ქსობათა მღვდლთა ზედა AQ, Πῶς ἐπὶ τοῦς Μισσηαῦλους στραῦσας ἐκ:ἀ:ησι: ἀβ:ῶ V, გვ. 606.

* II მეუ. 1,1—2.

აუწყებდა, ვინამთგან მრავალნი მოისრნეს ბევრეული ევრაველთაგან, ხოლო დაეცა და მეფეცა მათი საულოს შვილთა თანა. და ამათსა დამტყცებასა იტყოდა თვთ თანადამთხუელი ძღვეასა ევრაველთასა და მეფესა თანა მტოლველსა მყოფი, რომელსა მოკუდინებად¹, ვედრებული, თვთ აღიარებდა, გულეებადასა მბრძოლთა მიერ პყრობად, რამეთუ იგი, მახვლსა ზედდაცემული, გარდამატებულინათსა წყლულენებათასა, უძლურ იყო მოკუდინებად¹ თავსა თვისსა. და სასწაულთა მოკუდინებისათა აჩუენება თანად ოქროსა, მკლავთა ზედა მეფისათა მყოფსა, და გვრგვნსა, რომელთაცა, განმბრტყელმან² საულოს მკუდრისაგან, მიართუნა მას. ხოლო დავიდის, არაა მერმეცა ურწმენოდ მკონებელმან, ვითარმედ ცხადთა სასწაულთა საულოს სიკუდილისათა მხილველმან, დაიპო ვიდრემე სამოსელი, ხოლო დაადგრა მოყუარეთა თანა მტირალი და მგლოველი ყოველსა დღესა. ხოლო მწუხარება უმძვნარესი ქენა მისდა საულოს ყრმამან იონათისა, სარწმენოდ მოყუარედ მყოფმან მისდა და ცხორებისა მიზეზქმნილმან. ხოლო ესოდენი აჩუენა სათნობედა და საულოს მიმართ სიყუარული, ვიდრე არა მხოლოდ მკუდართა ზედა წჳარედ გლოვითა, მრავალგზის მის მიერ დაქირებულმან მიღებად ცხორებასა. არამედ მომაკუდინებელისაცა ტანჯვითა, რამეთუ თქუა მისა მიმართ, ვითარმედ „თვთ იქმენ შემასმენელ თავისა, მომაკუდინებელი³ მეფისაჲ“. და ისწავა რაჲ, ვითარმედ არს მამისა ამალიცისაჲ ნათესავით, ბრძანა წარწყმელად მისი. ხოლო დაწერსა გოდებანიცა და საფლავის ზედანიცა ქებანი საულოს და იონათისნი, რომელნი ვიდრე და ჩემდადმედ დადგრომილ არიან.

2)* ხოლო ვინამთგან ამით / პატრიც-სც⁶ მეფესა, დაცხობილმან გლოვი- v საგან ჰკითხა⁶ ღმერთსა წინაწარმეტყუელისა მიერ, რომელსა⁷ მისცემს მას ქალაქსა დამკვდრებად. ხოლო მან იუდაას ნათესვიად წოდებულისაგან ჰრქუა მიცემაჲ მისდა, ქევრონსა. და დამტყვებელი სეკელაჲსაჲ, მიიწია მისა მიმართ ცოლთა მიმყვანებელი და მის თანათა აღკურვილთაჲ. და მხარულმან მისა მიმართ, ყოველმან ერმან წინათქუმულისა ნათესვისამან მეფედ განაჩინა იგი. ხოლო ვითარ ესმად, ვითარმედ საულოს და ძენი მისნი დაჰფლენს იავისოს შინა ღალადობრიდოდა და მკვდრებულთა, წარავლინად მათდა მიმართ, მაქებელმან და მმადლობელმან საქმისა მათისამან და მადლსა მიცემად ნაცვლად მკუდართა მიმართისა მოსწარფებისათჳს აღუთქუმიდა. და თანად აუწყა მათ, ვითარმედ იუდაას ნათესავმან კელთდასხმულ-ყო იგი მეფედ.

3)1)* ხოლო საულოს ვიდრემე მკედართმყვანებელმან ავენნიროს, ნირომს ყრმამან, მამაკემან ბრძენმან და კეთილმან ბუნებით, ვითარ ცნა დაცემაჲ მეფისაჲ და იონათისი და ორთა სხუათა ყრმათა მისთაჲ, მოსწარფემან ბანაკისა მიმართ და დაშთომილისა ძისა მისისა აღმტაცებელმან, ხოლო იევოსიოდ იწოდებოდა, განიყვანა წიად იორდანისა მყოფთა მიმართ და ყოვლისა სიმრავლისა მეფედ განაჩინა, გარეშე იუდაას ნათესვისა. ხოლო სამეფოჲ იქმნა მისდა მსოფლიოჲსა ვიდრემე ენისაებრ მანალი, ხოლო ელლინთა ენისაებრ ბანაკად სახელდებული²*. და მიიმართა მიერ ავენნიროს მკედრობისა თანა რჩეულისა, მნებებელმან ბრძოლად იუდაას ნათესვისამან მიერ მყოფთა მიმართ, რამეთუ განრისხებულ იყო მათდა, ვითარ კელთდამსხმელ-

1 მოკუდინებად. 2 განმბრტყელმან. 3 სიკუდილისათა. 4 მკლარათა. 5 მომაკუდინებელი. 6 პატრიც-სცა აკ. 7 რომელსა/+მის აკ.

* II მეფ. 2,1. 1* II მეფ. 2,8—13—17—28—27. 2* Παρεμβολῆς λεγομένης 710.

6 იტიებოდენ, უკეთუ აქუს ევრაველთა წიგნი.

თათეს დავიღისთა მეფედ. ხოლო შეემთხვა მას დავიღის მიერ წარვლინებუ-
 ლი საბრძოლვის ვიღრემე ყრმაჲ. ხოლო მამისა სურისაჲ, დისა უკუე მისისგან
 ქმნილი მისდა, იოავოს, მთავარ მკედართმყვანებელად მისდა მყოფი, ძმათა
 თანა მისთა ავესსეოსს და ასაილოსს და ყოველთა თანა აღქურვილთა დავითი-
 სთა. და შემთხუელი წყაროსა რომელსამე ზედა დავაონთა ქალაქსა შინა, გა-
 ნეწყო ბოძოლისა მიმართ. ხოლო ავენნიროსს თქუა მისა მიმართ, სწავლად მნე-
 ბებელმან, რომელსა მათგან უმკნესნი მკედარნი აქუნ. და სათხო-უჩნდა მრჩო-
 ბლთაჲე ორთა და ათთა მბრძოლთა ბრძოლაჲ. და მისრულნი უკუე საშუ-
 ვალ განწყობილთა ბრძოლისა მიმართ გამოჩეულნი ორთაჲე მკედართმყვა-
 ნებელთაგან, განუტევებდეს ზემტთა ურთიერთარსთა მიმართ. და შემდგომად
 მიიბუნეა დაშნანი და მპყრობელნი თავთანი და მქონებელნი მათნი, სწყლვი-
 დეს ნახვლითა ურთიერთას გუერდთა და მუცელსა, ვიღრემდის ყოველნი, ვი-
 თარ აღთქუმასა და მდებელნი, წარწყმდეს. ხოლო დავიღის რაჲ ესენი, შებმა-
 უყო და ნემტმანცა მკედარობამან. და ძლიერი რაჲ ბრძოლაჲ იქმნა, იძლინეს
 ავენნიროსანი. და მიდრეკილთა არა უტევებდა მღევნელი იავოს, არამედ
 თვთ იგი ზედმდებარე იყო, განმამკნობელი აღქურვილთაჲ შედგომად კუალ-
 სა მათსა და არა დაშრომად მოსრვისაგან. და ძმანი მისნი გულსმოდგინებით
 114 ჰბრძოდეს. და უმეტეს სხუათასა უფროსდა უქაბუყესი ასაილოს, ვინაჲთ-
 გან ფერტთა სიმალითა დიდებჲა აქუნდა, რამეთუ არა კაცთა სძლევედა მხო-
 ლოდ. არამედ და/ცხენთაცა თანამდგომარისასა იტყვან თანაწარსრბოლვასა.
 და ავენნიროსს სდევნიდა სიმალისაგან და მართლიად სრბისა, არცა ერთისა
 კერძოთავანისა მიმართ მიდრეკილი. ხოლო ავენნიროს, უკუნქცეული, მეცა-
 დინობდა დაყენებასა მისსა სრბისაგან. და ოდესმე ეტყოდა, რაჲთა, დამტე-
 ვებელმან დევნისა მისისამან, ერთსა მკედართა მისთაგან მისძარცოს საჭურ-
 ველი. ხოლო კუალად ვითარ არა ირწმუნებდა ამისსა ქმნასა, განმზარახებელი-
 საგან პყრობად თავსა თვისსა და არა დევნად, ნუსადა მომაკუდინებელმან²
 მისმან წარწყმიდოს ძმისა მისისა მიმართ კანდიერებჲა, ხოლო არა შემწყყნა-
 რებელსა სიტყუათასა, არამედ ზედდადგრომილსა დევნისასა, მლტოლკელმან,
 ვითარ აქუნდა პოროლ, უკუანა კერძო მწყლველმან ძლიერად, მეყუსულად
 მოაკუდინა³. ხოლო მის თანა მღევნელნი ავენნიროსანი, ვითარ მოვიდეს ად-
 გილსა ზედა, სადა მდებარე იყო ასაილოს, გარემოდგომილნი მკუდრისანი
 არდა მერმეცა სდევნიდეს მბრძოლთა. ხოლო იოავოს და ძმაჲ მისი ავესსე-
 ოს⁴, წარმსრბოლველნი სხეულისანი და უმრავლესისა ავენნიროსს მიმართ
 მოსწრაფებისა მიზეზსა რისხვასა აღსრულებულისა ძლით მიმღებელნი,
 ურწმუნოჲსა სიმალისა და გულსმოდგინებისა მკუმეველნი ვიღრე ადგი-
 ლადმდე, რომელსა მატოდ უწოდინან, სდევნიდეს ავენნიროსს⁵ აწლა დასლვად
 მისლვასა მზისასა. ხოლო აღსრული ბორცუსა რომელსამე, რომელი არს მან
 ადგილსა ზედა ვენიამიტდროსს (ნათესაეთა თანა, უმზირდა მათდა თანად ავენ-
 ნიროსს. ხოლო მან კმაყო და თქუა: „არა ჟერ-არს მამაკაცთა ერთნათესაეთაჲ
 ბრიოლისა მიმართ და ლუაწლისა მიწოდებჲა, რამეთუ ცოლა და ძმამანცა მის-
 მან ააილოს, რომელმან, მვედრებელისაჲ არა დევნად, არა ირწმუნა და ამის-
 თვის წყლული მოკუდან“⁶. ხოლო იოავოს, თანდადებულმან და ნუგეშინისცე-
 მად შემრაცხელმან სიტყუათა მისთამან, უკუნ-უწოდა მკედართა, ნესტთა მა-
 უწყებელმან და დევნისაგან დააყენნა. და ამას ვიღრემე ადგილსა ზედა დაიბა-
 ნაჲა ღამესა მას. ხოლო ავენნიროსს, ყოველსა მას ღამესა მავალი და განმწია-

¹ ავენნიროს AQ. ² მომაკუდინებელმან. ³ მოაკუდინა. ⁴ ავესსეოსს. ⁵ ავენნიროს AQ.

⁶ მოკუდა.

დებელი იორდანოვსა მდინარისად, მიწია საულოვს ყრმისა მიმართ, იევეს-
თოვსა, ბანაკად¹. და შემდგომსა უკუე დღესა, აღმრცხუველმან მკუდართა,
იოავოს დაჰვლნა ყოველნი. ხოლო დაეცნეს ავენნიროვს ვიდრემე მკედრობა-
თაგან ვითარ სამს სამეოცნი, ხოლო დავიდისთაგან — ათნი ცხრათა თანა და
ასაილოს, რომლისა სხეულსა შიმღებელნი მიერ იოავოს და ავესსეოს ვით-
ლიომად და დამვლველნი მამულსა საფლავსა შინა, დავიდის მიმართ ქვერონად
მიიწინეს.

იქმნა ვიდრემე უკუე მიერ ჟამითგან ევრავლთა ნათესავობითი ბრძოლად
და დაადგრა ვიდრე მრავლადმდე. და დავიდის თანანი ვიდრემე მარადის უმჯო-
ბეს იქმნებოდეს და უზეშთავს იყვენეს ბრძოლათა შინა, ხოლო საულოვს
ყრმანი და შორჩილნი მათნი კნინლა დღე ყოველ შემცირდებოდეს.

4)* და ამას უკუე ჟამსა შინა იქმნეს დავიდის ყრმანიცა რიცხვთ ექუს-
ნი ესეოდენტავე ცოლთაგან, რომელთაგან პირმშობ ვიდრემე, დედისა აქინა-
ასგან ქმნილი, ამონ იწოდებოდა. ხოლო მეორე, ცოლისა ავიგეასგან, და-
ნიილოს. და მესამისა უკუე, მახამისაგან შობილისა, თოლმეოვს ასულისაგან,
გესირონთა მეფისა, ავესსა/ლომოს იყო სახელი. და მეოთხესა უკუე, ცო-
ლისა ანგითისაგან, აღონიად სახელადღვა, ხოლო მეხუთესა, ავიტალისაგან —
საფატალი. და მეექუსისა, ელასგან, იერთონად სახელადღვა.

და ნათესავობითი ბრძოლად შედგომილ იყო. და შეეშთხოვოდეს საქმენი
და ბრძოლანი ორთავე მეფეთა. ხოლო ავენნიროს, საულოვს ყრმისა მკე-
დართმეყანებელი, გონიერ იყო და ფრიად კეთილგონებად მქონებელ იყო
სიმრავლესა და ყოველთა შეკმზადებდა თანადადგრომად იევოსთოვს² და
დადგრომილ იყვენეს კმასყოფელსა ჟამსა მისთვისთა მნებებელნი. ხოლო უკუე-
ანასკენელ, ბრალსა შთავრდომილმან ავენნიროს და მიზეზსა მიმღებელმან,
რამეთუ თანა-ყო საულოვს ხარკსა, რესფას ვიდრემე სახელით, ხოლო სივა-
ტოვს ასულსა, დაყუედრებულმან იევოსთოვს მიერ, ტკივნეულმან და განრი-
ხებულმან, ვითარმედ არა ჭეროვანთა მის მიერ შეეშთხოვის ყოვლისა მო-
ურნეობისა მისა მიმართ მკუმეველი, აქადა ვიდრემე მეფობასა დავიდისთვის
დადგინებად, ხოლო ჩინებად, ვითარმედ არა თვისისა ძალისა მიერ და გონი-
ერებისა კმთავრობს წიად იორდანოვსა მყოფთა, არამედ მკედართმეყანებლო-
ბისა მისისაგან და სარწმუნოებისა. და წარმავლინებელი დავიდის მიმართ
ქვერონად, მიღებასა ფიცთასა და სიმტკიცესა ევედრებოდა და აქუნდეს იგი
მოყუარედ და საყუარლად, მარწმუნებელი ერისა საულოვს ვიდრემე ყრმი-
საგან, ხოლო მისი აღმაჩენელი მეფედ ყოვლისა სოფლისა. ხოლო დავიდის
ქმნა ფიცნი, რამეთუ განიხარა მათ ზედა, რომელთათვის ევედრა ავენნიროს.
და პირველსა სასწაულსა აღთქუმათასა მინიჭებად მისდა აღიარებდა, რათა
მიიყვანოს მისა მიმართ ცოლი მისი მელხალი, დიდთა ჭირთაგან მოსყიდული
მის მიერ და პალესტინელთა თათაგან ექუსასათა, რომელნი მის ძლით მიარ-
თუნა მამასა მისსა საულოსს. ხოლო მან წარავლინა მისა მიმართ, მიმტაცებელ-
მან ოფელტიოვსაგან, მაშინ შეუღლებულისა მისდა. და ამის მიმართ იევოს-
თოსცა შეეწია, რამეთუ მიეწერა მისდა დავიდის ცოლისა უკუნეცეად მართ-
ლიად.

ხოლო ავენნიროს, მომწოდებელმან მოხუცებულთამან სიმრავლისაგან და
წესთმთავართა და ათასთმთავართამან, სიტყუანი ყვნა მათდა მიმართ, შემ-
ლებელნი შალიად განყენებად ვიდრემე იევოსთოვსგან, ხოლო დავიდის —

¹ ბანაკთად. ² იევოსთოვსა.

* I ნუმბტა 3,1. II მეფ. 3,7—13—17—20.

თანდადებდა. ოდენზე ამისგან განყენებულ მნებებელი, აწ აწუევდა მიმართებად. სადაცა მნებებელ არიან, „და რამეთუ უწყი, ღმერთი სამვეილოას წინაწარმეტყუელისა მიერ კელთდაშხმელი დავიდის მეფედ ყოველთა ევრელთა და წინაწარმეტყუელად, ვითარმედ პალესტინელთაგან მან შურ-იგოს და მალეველმან ყვნეს იგინი კელისქუეშე“. ამათნი მსმენელნი მოხუცებულნი და მთავარნი, ვითარ ავენნიროსცა ნებასა მიმღებელ იქმნეს, რომელი პირველად აქუნდა მათ საქმეთა შინა, ერთკმად დავიდისთა ბრძნობად გარდაიცვალნეს. ხოლო ირწმუნეს რაჲ ამათ, ავენნიროს მოუწოდა ვენიაშიტილოას ნათესავსა, რამეთუ ამისგან მყოფნი ყოველნი იევოსთოას სხეულისმცველნი იყვნეს. და ამათ ვიდრეჲ მათდა მიმართ მეტყუელი, ვინაჲთგან არა წინააღმდეგობად ხედვიდა მათ, არამედ თანდადებულთა, რომელთაცა მიმართ მნებებელ იყოს, მიმყვანებელი ვითარ ოცთა მოყუარეთაჲ, მივიდა იგი დავიდის მიმართ ფიცთა/მიმღებელი, რამეთუ უსარწმუნოესად საგონებელ არიან სხვსა მიერ მოქმედებულთასა, რაოდენთა თავით თუსით ექიმთ თითოეულნი, და ამას თანა მის მიერ სიტყუეთა მთავართა მიმართ და ყოვლისა ნათესვისა მათუყებელი. ხოლო ვინაჲთგან შეიწყნარა იგი სიყუარულით, ბრწყინვალითა და მრავალ-წარსაგებელითა ტრაპეზითა ასერა მას მრავალთა დღეთა, ევედრა, რაჲთა განტევებულმან მიიყვანოს მისდა სიმრავლე, რაჲთა მუნ მყოფსა და ძნედცელსა მიათუალოს მთავრობაჲ.

115

5)* ხოლო წარივლინა რაჲ დავიდისგან ავენნიროს, შეღგომად მცირედისა მოვიდა გივრონად იოავოს, მკედართმყვანებელი მი'ი. და ისწავა, ვითარნედ იყო მუნ ავენნიროს და მცირედ უწინარეს წარვიდა. აღთქუმათა და აღსაარებთა მთავრობისათა მიჰლებელი. და შემინებულრან, ნუტუეუ სადამე ვიდრე პატევსა და პირველსა წესსა: შინა ყოს თანაშემწედ მეფობისა ქმნადი და სხუათაცა შინა მარჯუედ მყოფი განრჩევად საქმეთა და ჟამთა განხილვად, ხოლო თვთ შემცირდეს და მკედართმყვანებლობისაგან დააკლდეს, მზაკუარსა და ბოროტსა გზასა წარვიდა. და პირველად ვიდრე კელ-ყო შესმენაჲ მისი მეფრანა მიმართ, დაცვად განმზარახებულმან და არა რწმუნებად, რომელთა ავენნიროს აღუთქუამს, რამეთუ ამათ ყოველთა იქმს იგი თავისა მიერ თუსისა დამამტეციკებელი მთავრობისაჲ საულოას ყრმისათუს და მაცთურებით და ზაკუევით მოსრული მისა მიმართ, წარსრულ არს აწ, ვითარ მნებებელ იყო სასოებრან თანა და განგებისა შემზადებულთაჲსა. ხოლო ვითარ არა ირწმუნებდა ამათსა დავიდის და არცა განრისხებულად ხედვიდა, მიდრკა ამისგან სხვსა მიმართ უკადნიერებისა გზისა და, მსჯელმან ავენნიროს მოკუდინებისამან, წარავლინნა მღევნელნი, რომელთაცა, წევნითა, უბრძანა მიწოდებაჲ მისი დავიდის სახლისა მიერ, ვითარმედ მნებებელ არს იგი თქუმად მისა მიმართ რომელთამე საქმეთათუს, რომელნი არა მოეკვენნეს მუნ ყოფსა მისსა. ხოლო ავენნიროსს ესე ვითარ ესმნეს მიმთხრობელთა მიერნი, რამეთუ ეწინეს მას აღვილსა რომელსამე, ვისიხრად წოდებულსა, განშორებულსა გივრონისაგან სტადიონითა ოცითა, არარას მეტუელი შემთხუევადთათუს, უკუნ-იქცა. ხოლო მიეგება მას ბუესა თანა იოავოს და შეიწყნარა, ვითარ ფრიად კეთილგონებამან და მოყუარებამან, რამეთუ იჩემებენ ფრიად მრავალგზის კეშმარტიად კეთილთა საქმეთა უშუერთა კელმყოფელნი უეჭუელობისათუს მზაკუვარებისა. განაყენა ვიდრემე იგი თუსთაგან, ვითარ საიდუმლოდ სიტყუსმყოფელმან და

1 მოკუდინებისამან.

* II მეფ. 3,26.

მიმყვანებელმან მიფარულსარე კერძოსა ბჰისასა, თვთ მხოლოდ მყოფმან ავესსეოას თანა, ძმისა, აღმომწუდელმან მახვლისამან, სცა ქუეშე გუერდას. და აღსრულდა ვიდრემე ავენნიროს ამით სახითა, მონადირებული იოავოას მიერ, ვითარ იგი ვიდრემე იტყოდა, ვითარმედ შურისგებისათუს ასალოას ძმისა, რომელიცა, მდევნელი, მპყრობელმან ავენნიროს მოაკუდინა¹ გივრონისა მიმართსა ბრძოლასა შინა, ხოლო ვითარ ქეშმარიტსა აქუნდა, შეშინებულმან მქედართმყვანებლობისა და მფვისა მიერისა პატივისათუს, ნუსადა ამათგან ვიდრემე იგი დააკლდეს, ხოლო მიიღოს დავიდის მიერ პირველი მთავრობაჲ ავენნიროს. ამათგან უკუე ვინმე გულისკმაჲყოს, რაოდენთა და ვითართა მკადრე იქმნებთან კაცნი ანგაპრებისა ძლით და მთავრობისა და ამით არაეისდა მიტევეებისათუს. რამეთუ ამათისა მოგებისა მოსურნენი ბეგრეულთა / ბოროტთა^v მიერ მოიღებენ და შეშინებულნი განკუებისანი, მრავალ უძკრესთა მიერ სიმტყეცისა ამათისა მათ თანა დადგრომისასა მოქმედებენ, ვითარცა არა მსგავსი ბოროტი იყო მოგებაჲ ესეეთარსა სიდიდესა კელწიფებისასა და მერმეცა ჩუეულებით წარწყმედილქმნილი მის მიერთა კეთილთაგან. და ვინამთგან გარდამატებული განსაცდელი აქუს ამას, ამისთუსცა და ბოროტთა მელონეობენ და იკადრებენ შიშით საქმეთა, ყოველნი ამის მიღებად მნებებულნი. არამედ ამათუს ვიდრემე მცირეთა მიერ კმაარს ცხად-ყოფად.

6)* ხოლო დავიდის, ვითარ ესმა მოკლეჲ ავენნიროსისი, ტყენულ იქმნა სუელითა და უწამებდა ყოველთა, აღმპყრობელი მარჯუენისაჲ ღმრთისა მიმართ და მკმობელი, ვითარმედ არცა თანაზიარ არს კლვასა ავენნიროსისსა, არცა მცნებითა და განზრახვითა მისითა მომკუდარ არს. ხოლო წყევთა ბოროტთა მომკლეელისა მისისათუს დასდებდა და სახლი მისი ყოველი და თანაშემწენი თანამდებ პატიეთა ყენა აღსრულებულისათუს, რამეთუ ჯერ-იყო არა მოქმედებაჲ ამისი რწმენათათუს და ფიცთა, რომელნი მისცნა ავენნიროს. და უბრძანა ყოველსა ერსა ტირილი და გლოვაჲ მამაკაცისაჲ და შესამსგავსთა მიერ პატივისცემაჲ სხეულისა მისისაჲ, გარემომხებთქელთა შესამოსელთასა და ძაძებისა შემმოსელთა, ხოლო ამათ ქმნად ცხედრისა წინა კერძო მავალთა. ხოლო თვთ შედგომილ იყო მოხუცებულთა თანა და მთავრობასა შინა მყოფთა, მგლოველი და ცრემლთა მიერ მაჩუენებელი თანად სიყუარულსა ცოცხლისა მიმართ და მკუდრისა ზედა მწუხარებასა და ვითარმედ არა მისითა განზრახვითა მოიკლა. და დამფლველმან მისმან გივრონს შინა დიდშუენიერებით და საფლავისა ზედათა გლოვათა აღმწერელმან, თვთ საფლავსა ზედა მდგომარეუმან პირველად იტირნა და შემდგომად სხუათა მისცნა. ესრეთ უკუე ავენნიროსს სიკუდილმან შეაურვა იგი, ვიდრელა არცა საზრდელი მიიღო მან, იძულებულმან მოყუარეთაგან, არამედ ფუცა არარაჲს გემებაჲ ვიდრე შვისა დასლვადმდე. ამით უკუე სიყუარული შვეს მისდა სიმრავლისა მიერ, რამეთუ ავენნიროსს მიმართ სიყუარულით დადებულთა ფრიად მისდა მიმართი პატივი მისი მომკუდრისა² და დაცვაჲ სარწმუნოებისაჲ შეიყუარეს, რამეთუ ყოველთა აღირსა იგი შესატყვისთა, ვითარ ნათესავი და მოყუარე და არა ვითარ მტერქმნილსა ავინა უშუერთა დაფლვითა და შეურაცხებითა. თანად სხუჲა ყოველი ვითარ კეთილსა და მშვდსა ზედა ბუნებით იხარებდა, მასვე მოურნეობასა მისა მიმართ გულისმსტყუველობითა თითოეულისაჲთა მფვისა მიერ მსგავსად მათსა, რომელთა შინა დამთხუეულად ხედვიდა ავენნი-

1 მოაკუდინა. 2 მომკედრისა.
• II მეფ. 3,28; 3,36.

რომს მკუდრისა. ამათ თან უკუე უფრომსლა დავიდისა მოურნეობასა მოქმედისა იყო მოსურნეობაჲ კეთილისა დიდებისაჲ, ვითარ ჭერ-არს და არაეინ მეტუელ იქმნა მის მიერ მოკლევასა ავენნირომსსა. ხოლო თქუა და სიმრავლისათვისცა მიმართ, ვითარმედ მისდა არა ვიდრემე დამთხუეული მწუხარებაჲ იქმნა მამაკაცისა კეთილისა აღსრულებისათჳს, ვინაჲთჳს არა მცირელი ვნებაჲ იქმნეს საქმეთა მიერ შინა ევრაველთასა მოკლებისა მისისაგან, ჰყრობასა მათსა და ცხოვნებასა განზრახებაჲ მიერ რჩეულთა და ძლიერებითა კელთაჲთა სამბრძოლოთა საქმეთა შინა შემძლებელისაგან: „არამედ ღმერთმან ვიდრემე, თქუა, რომელსა ჰგულავს ყოველთაჲ, არა უტეოს ესე ჩემდა გარე/გან სასჯელისა. ხოლო მე, უწყით, რამეთუ იოავომს¹ და ავესსეომს, სარუიამს ყრმათა, ქმნად რასავე არა შემძლებელ ვარ, უმეტეს ჩემსა შემძლებელთა მიმართ. არამედ შიავოს მათ კადრებულთათჳს ნაცელისგებად საღმრთომან“.

და ავენნიროს ვიდრემე ესევეითარითა ცხოვრებითა დააქცია ცხოვრებაჲ და აღსასრულითა.

თ. 2.

1)* რამეთუ ვითარ ესმა აღსრულებაჲ მისი იევოსთოსს, საულომს ყრმასა, არა მშუდად მოითმინა მამაკაცისა ნათესვისაგან დაკლებულმან და მეფობასა მიმნიჭებელისაგან მისდა, არამედ შეაწუხა და ფრიად ტყივნეულ-ყო იგი ავენნირომს სიკუდილმან. ხოლო ცხონდა იგი არცა მრავალსა ჟამსა, არამედ იერემონომს ძეთა მიერ, რომელთაგან ერთისა ვიდრემე სახელი ვანასთანის იყო, ხოლო სხუსაჲ — ვაივოს, მზაჟუგარებით მოიკლა. რამეთუ ესენი ვიდრემე, ვენაიმიტის ნათესვისაგან მყოფენი და პირველისა განწესებისაგან, ხოლო გულისმსიტუეულნი, ვითარმედ უკუეთუ შოაკუდინონ იევოსთოსს, დიდთა ნიჭთა მიემთხვენენ დავიდისაგან და მკედართმყვანებლობისა, ანუ სხუსა რომლისაჲ საკუთრებისა მიზეზ-იქმნეს მათდა საქმე მისა მიმართ, და მხოლოდ მპოენელთა იევოსთომსთა მძინარედ განშუელებასა დღისასა და არცა მცველთა ყოფასა და არცა მეკრეაისა მღკძარეობასა, არამედ და მისსაცა შრომისა მიერ და მოქმედებისა, რომელსა მოქმედებდა, და სიცხისა ძილად შთავარდომილობასა, შესრულთა სახლად, რომელსა შინა შეემთხუეოდა დაძინებაჲ საულომს ყრმასა, მოაკუდინეს² იგი. და მომკუეთელნი თავისანი და ღამე და დღე მყოფელნი სლვისანი, რამეთუ განელტვენენ უსამართლოებულთა მიმღებელისა მიმართ მადლსა და მიმნიჭებელისა მათდა საკუთრებასა, გივრონად მიიწინეს. და თავსა იევოსთომსასა მაჩუენებელნი დავიდისნი, დაადგინებდეს თავთა ვითარ მოყუარეთა, მტერსა მისსა და მეფობისა მისისა მბრძოლსა ვითარ მომკუედინებელნი. ხოლო მან არა ეგრეთ, ვითარ ესვიდეს, შეიწყნარა საქმე მათი, არამედ თქუა: „ოჲ ბოროტო და მეყუსეულად სასჯელსა მიმცემელნო, არა უწყოდით, ვითარ მე საულომს მკლველი და მომღებელი ჩემდა გვრგვნასა მისსა ოქრომსასა, ვსაჟე, და ამას მოკლევასა მიმნიჭებელი მისდა, რაჲთა არა იპყრან იგი მბრძოლთა? ანუ ცვალებასა ჩემსა და არა მერმეტა მასვე ყოფად ჰგონებდითა და მხიარულებად ბოროტისმოქმედთა მამაკაცთა ზედა და სამადლობებლად შერაცხებად უფლის-მკლველთა საქმეთა თქუენთა, რომელთა მოჰკალთ ცხედარსა ზედა მისსა მამაკაცი მართალი და არცა ერთსა ბოროტსა მოქმედი და თქუენი მრავლითა პატივითა და მოურნეობითა მქონებე-

¹ იოავომს AQ. Iwafion 7₄₆. ² მოაკედინეს.

• II მეფ. 4,1; 4,8.

ლი? რომლისათვის მისცეთ ვიდრემე მას პატივი განსჯილთა, ხოლო მე ზღვევა ამისისა მოკლეისა, მექუელთა სიყუარულით ქონებასა ჩემ მიერ იევოსთომას აღსრულებასა ზედა. რამეთუ არა შემძლებელ იყვენით უმეტეს ვნებასა დიდებისა ჩემისასა, გარნა თუ ამას მექუელნი.“ ამათმან მეტყუელმან და ყოვლითა წყულულებითა მტანჯველმან მათმან, შთამოაკიდნა, ხოლო იევოსთომას თავი ავენნიროს საფლავსა შინა, ყოველთა მადირსებელმან, დაჰფლა.

12)* ხოლო ამათ ესევეითარი რაჲ აღსასრული მიიღეს, მივიდეს ყოველნი Ⴖ პირველნი ევრაელთა ერისანი დავიდის მიმართ გიგრონად, თანად ათასთმთავარნი და წინამძღუარნი მათნი. და მისცნეს თავნი თვისნი და სიყუარულსა, რომელი მერმეცა და საულომს სიცოცხლესა შინა აქუნდა მისა მიმართ, შეაქსენებდეს, და პატივსა, რომელსა არა მოაკლებდეს, პატივისმცემელნი ათასთმთავარად ქმნილისანი, თანად ვითარმედ მეფედ ღმრთისა მიერ სამუილომს წინაწარმეტუელისა მიერ კელთდასხმულ არს და ყრმანი მისნი და განუცხადებდეს, ვითარმედ ცხოვნებდა ევრაელთა სოფლისაჲ მისდა მიუცემიეს ღმერთსა, მბრძოლისა პალესტინელთა მიმართ. ხოლო მან ამის გულსმოდგინებისათვის შეიწყნარნა ივინი და ევეღრა დადგრომად, რამეთუ არა იყოს სინანული მათდა ესევეითარად მყოფთა, მასერებელმან სიყუარულით წარავლინნა ყოველნი ერსა მიყვანებად მისა მიერ. და შეკრბის იუდამს ნათესვისაგან აღპურვილნი რეაასნი და ექუს ათასნი, აღმღებელნი საქურველთანი, ფარისა და ქორლისანი. ხოლო ესენი საულომს ყრმასა თანა იყვნეს, რამეთუ გარეშე ამათსა იუდამს ნათესავმან განაჩინა დავიდის მეფედ. ხოლო სემეონის ნათესავისაგან — შვდ ათასნი და ასნი, და ლევიტიდომსგან — ოთხ ათასნი და შვდასნი და მქონებელ იყვნეს მთავარსა იოდამოსს. და შემდგომად ამათსა იყო მღღელთმთავარი სალოკოსი ოცთა თანა და ორთა ნათესავთა მთავართა. ხოლო ვენიამიტდომს ნათესვისაგან — აღპურვილნი ოთხ ათასნი, რამეთუ ნათესავ დაადგრა მერმეცა განმეფებასა ვისსამე მოლოდენ საულომს ნათესვისაგან. ხოლო ეფრემომს ნათესვისაგან — ორნი ბევრნი და რეაასნი ძლიერთაგან და ძალითა გარდამატებულთა. და მანასიტდომს ნათესვისაგან — ნახევარისა ბევრნი და რეა ათასნი ძლიერთაგან. ხოლო ისახარომს ნათესვისაგან — ორასნი, წინაწარმეციერ გულეებადთანი და აღპურვილნი ორნი ბევრნი. და ზაველონის ნათესვისაგან — ხუთნი ბევრნი რჩეულთა აღპურვილთანი, რამეთუ ესე მხოლოდ ნათესავი ყოველი მივიდა დავიდის მიმართ. ესე ყოველნი მქონებელ იყვნეს საქურველისა მსგავსსა ღადის ნათესავთასა. ხოლო ნეფთალიმომს ნათესვისაგან — საჩინონი და მთავარნი ათასნი, საქურველთა მკუმეველნი ფარსა და შუბსა. ხოლო შედგომილ იყო ნათესავი ურიცხულად მყოფი. და დანიტიდომს ნათესვისაგან — რჩეულნი ორნი ბევრნი შვდ ათას და ექუსასნი, ხოლო ასსირომს ნათესვისაგან — ბევრნი*, ხოლო ორთა ნათესავთაგან, წილ იორდანისა მყოფთა და სხვსა მანასიტდომს ნათესვისაგან — შეპურვილნი ფართა და შუბითა და ჩაფხუტითა და მახვლითა ბევრნი ათორმეტნი. და სხუანიცა ნათესავნი მახვლსა იქუმევედეს.

ესე უკუე ყოველი სიმრავლე შეკრბა გიგრონად დავიდისა, მრავლისა თანა შემზადებისა საქმელთაჲსა და ღვნისა და საზრდელისა მიმართთა ყოველთაჲსა. და ერთითა ნებითა მეფედ დავიდისა დაამტკიცეს. ხოლო ვინამთვან სამთა შინა ღღეთა იღღესასწაულა ერმან და იშუა გიგრონს შინა, დავიდის, ყოველთა თანა მიერ წარსრული, მივიდა იეროსოლუმად.

* II მფ. 5,1. I ნუმტა 11,1; 12,25. * *ex h^o v^o Ἀσθηον φυλις μυσριμδες τείσσορες* 7₈₉ (= 40 000).

1)* ხოლო იევოსეოთა, დამკვდრებულთა ქალაქსა შინა, არიან უკუე ესენი ნათესავნი ხანანელთანი, დაუკშნეს მიერ ბჰენი და ენებულნი თუალითა და ფერკითა და ყოველი ნაკლულეიანი დაადგინეს ზღუდესა ზედა ბასრობისათჳს მეფისა, მეტყუელთა, ვითარმედ დააყენონ იგი შესლვად ენებულთა. ხოლო ამას იქმოდეს შეურაცხისყოფელნი სიმაგრისათჳს ზღუდეთაჲსა. **ხოლო და-**
117 **ვიდის უკუე, განრისხებულმან, ოკრებად იწყო იეროსოლკმათა, მრავალსა** მოსწრაფებასა და გულსმოდგინებასა მკუმეველმან, ვითარ ამისსა პყრობისა მიერ გამომაჩინებელმან ძალისამან და შეაშინნა, უკუეთუ სადა ვინმე და სხუანიცა მდებარე იყვნეს მისა მიმართ მსგავსად მათსა. და იპყრა ძლიერებით ქუენა კერობ ქალაქი. ხოლო მერმეცა, ვინამთგან დაკლებულ იყო ზენა კერძოჲ, აგრძნა პატივისა და მთავრობათა აღთქუმითა შეფემან უგულსმოდგინესად საქმისა მიმართ შემზადებამ მთავრობათაჲ და ქუემ მდებარეთა კნარკუთაგან მწუერვალად აღსრულსა და ამისსა მპყრობელსა, მკედართმყვანებელობასა ყოვლისა ერისასა მიცემად აღუთქუმიდა. ხოლო ვინამთგან ყოველნი პატივისმოყუარე იყვნეს აღსლვად და არცა ერთსა შრომისა მოთმენად მკონარე იყვნეს მოსურნეობისათჳს მკედართმყვანებელობისა, სარუიადს ყრმამან, იოავოს¹, ასწრო სხუათა და აღსრულმან კმა-ყო მეფისა მიმართ, მკედართმყვანებელობასა მიმკდელმან.

2)* და განმსხმელმან იევუსეოთამან ზენა მწუერვალისამან, თვთ აღმაშენებელმან იეროსოლკმათამან, ქალაქად დავიდისად სახელ-სდვა მას და ყოველსა ჟამსა მას შინა იქცეოდა მმეფობი. ხოლო ჟამი, რომელსა შინა იუდაჲს ნათესეისა მთავარ იქმნა იევრონს შინა, იქმნნეს წელიწადნი მდინი და თუენი ექუსნი. და სამეფოდ განმარჩინებელი იეროსოლკმათაჲ, უბრწყინვალესთა მარადის უფრომსლა იკუმევედა საქმეთა, რამეთუ ღმერთი უმჯობეს იყოს ქმნასა მათსა და აღორძინებისა მიღებასა. და წარავლინა მისა მიმართ იერომოსცა, ტურელთა მეფემან, და ჰიყუარული და თანაშემწეობამ აღუთქუა. ხოლო წარავლინნა მისსა მიმართ და ძღუენიცი, ძელიწადნი ნაძესანი და კელოვანი მამაკაცი, ხურონი და მაშენებელნი, რომელთა შემკმზადეს იეროსოლკმთა შინა. **ხოლო დავიდის, ზემო ქალაქისა მიმღებელმან და მწუერვალისა შემაერ-**
თებელმან მისდა, შექმნა ერთსხეულად და გარემომზღუდველმან, მოურნედ ზღუდეთა ზედა დაადგინა იოავოს.

და პირველად უკუე დავიდის, იევოსეოთა იეროსოლკმათაგან განმკდელმან¹, თავისა მიერ თვისისა სახელ-სდვა ქალაქსა, ხოლო ავრამოჲს ზე, მამისა ჩუენისა, სოლკმად იწოდებოდა. ხოლო შემდგომად ამათსა იტყვან ვიეთნივე მისსა, ვითარმედ და ომიროსცა მათ სახელ-სდვა იეროსოლკმად, რომელ არს სიმტკიცე. ხოლო იყო ყოველი ჟამი იისოჲს მკედართმყვანებელისაჲთგან ხანანელთა მკედრობისა მიმართ და ბრძოლისა, რომელსა შინა მპყრობელმან მათმან განუყო იგი ვერაელთა და არდა მერმეცა ხანანელთა გახჯდამ იეროსოლკმათაგან შეუძლეს ისრაილიტთა, ვიდრემდის არა მოაოჯრნა ივინი დავიდის, წელიწადნი ხუთასნი და ხუთნი და ათნი².

3)2* ხოლო ვყო მოკსენებამ ოფნესიცა, მდიდრისა ვიდრემე მამაკაციასა იევუსეოთაგან, რომელი არა მოიკლა დავიდის მიერ იეროსოლკმთა მოოჯრება-

¹ განმკდელმან AQ.

² II მეფ. 5,6. I ნებტთა 11,4; 11,6. 1* II მეფ. 5,9. 2* II მეფ. 5,13. I ნებტთა 3,5; 14,4.

³ სხუასა შინა ვოკუ ირომოს.

სა შინა ევრაელთა მიმართისა სიყუარულისათვის და რომლისამე მადლისა და მოსწრაფებისათვის თვთ მის შეფხისა მიმართ ქმნილისა, რომელი მცირედ უკუ-
ანამსკნელ კეთილყამიერად ცხად-ვეო.

ხოლო ექორწინა და სხუათაცა ცოლთა დავიდის მათ თანა, რომელი იყვნეს მისა. და ხარკნიცა ესბნეს და ექმნნეს ყრმანიცა ცხრანი რიცხვთ, რამელთა სახელ-სდვა¹: ამასიე, ამნუს, სევა, ნათან, სალომონ, იეგარის, ელის. ფალნაგეის, ნაფის, იენაე, ელფალე და ზერმეცა ასული თამარა. ამთგან უკუე ვიდრემე ცხრანი კეთილგუარაჩანთაგან ქმნილ იყვნეს, / ხოლო რომელ-
ნი დასასრულსა ვთქუენით ორნი — ხარკთაგან. და თამარა უკუე ერთ-დღეა იყო ავესალომისა.

თ. 4.

1)* ხოლო ცნეს რამ პალესტინელთა დავიდის მეფედ განჩინებამ ევრა-
ელთაგან, აღიმკედრეს მის ზედა იეროსოლჟმადმი. და მიიწინეს რამ ლელესა,
გმირთად წოდებულსა, ხოლო ადგილი არს არა შორს ქალაქისაგან, მას შინა
დაიბანაკეს. და იუდელთა უკუე მეფემან, რამეთუ არცა ერთსა გარეშე წინა-
წარმეტყუელთა და ღმრთისა ბრძანებისა და გულუვებადლათვისცა შემწედ მისა
მომწოდებელი იქმოდა თავით თვისით რასავე, უბრძანა მღვდელთმთავარსა წი-
ნაწართქუმად მისდა, რამ სათნო-უჩნს ღმერთსა და ვითარი იყოს დასასრული
ბრძოლისაჲ. ხოლო მან ვინაჲთგან უწინაწარმეტყუელა ძლევაჲ და ძლიერე-
ბაჲ, განიყვანა ძალი პალესტინელთა ზედა. და იქმნა რამ წყობაჲ, ამან, უკუე-
ნა კერძო ზედა დასხმულმან ანასდაჲთ, რომელნიმე მათგანნი მოაკუდინნა, ხო-
ლო სხუანი ლტოლედ მიდრიკნა. გარნა ნუეინ ჰგონებს მცირედსა მკედრო-
ბასა პალესტინელთას მოსლვად ევრაელთა ზედა სიმალისათვის ძლევისა და
არცა ერთსა საქმესა მკენესა ჩინებისათვის, არცა წამებისა ღირსსა მეტყუელი და-
ყოვნებასა მათსა და უძღურებასა. არამედ უწყოდენ სკრიაჲსა ყოვლისაჲ და
ფინიკიისაჲ და ამათ თანა სხუათა ნათესავთა მრავალთაჲ, და მბრძოლთაჲ თა-
ნაღმკედრებამ მათდა და ბრძოლისა ზიარებამ, რომელი და მხოლოდ იყო
მიზეზ მათდა, ესოდენგზის ძლეულთაჲ და წარწყმედულთა, მრავალთა ბევრე-
ულთასა უმრავლესისა თანა ძალისა მოსლვისათვის ევრაელთა ზედა. ამისთვის,
ამათისა ბრძოლათა შინა ვერმმთხუევისათვის, სანწაწილი მკედრობამ მოვიდა
დავიდის ზედა და მასვე ადგილსა დაიბანაკეს. ხოლო კულად მეფემან ისრაი-
ლიტამან, იკითხა რამ ღმრთისაგან ბრძოლისა მიმართ განსლვამ, უწინაწარ-
მეტყუელა მღვდელთმთავარმან სერტყოანთა შინა, წოდებულთა გოდებისად,
პყრობამ მკედრობისაჲ, არა შორს მყოფთა ბანაკისაგან მბრძოლთაჲსა, ხოლო
არა ძრვამ მისი პირველად, არცა წყებამ ბრძოლისაჲ პირველ, ვიდრე სერტყ-
ოანთა ძრვადმდე რაჟამს არა იყოს ქარი. ხოლო ვითარ შეიძრნეს სერტყოანნი
და უამი, რომელი წინაწარ-უთხრა ღმერთმან, მიწენულ იყო, არღა დაყოვნე-
ბული აწლა მზასა ზედა და ცხადსა, განვიდა ძლევაჲ: რამეთუ ვერ წინა-
აღუდგეს მას განწყობილებანი მბრძოლთანი, არამედ პირველისავე წყობისა-
გან მეყუსიულად მიდრეკილად ზედმდებარე იყო მომაკუდინებელი². და სდეე-
ნიდა მათ ვიდრე ქალაქადმდე დაზარონთა. ხოლო არს ესე საზღვარი ქუეყანი-
სა მათისაჲ. და მიმტაცებელმან ბანაკისა მათისამან და მრავალსა სიმდიდ-
რესა მას შინა მპოვნელმან, ღმერთნიცა მათნი განხრწნა.

¹ და/+და AQ. ² მომაკუდინებელი.

* III მეფ. 5,7. I ნეშტთა 14,8. II მეფ. 5,22. I ნეშტთა 14,13.

⁰ დედასა ეს(რ)ე ეწერნეს სახელნი და ესოდენ.

2)* და ვინაიდან ესევეთარი დასასრული იქმნა და ამისცა ბრძოლისაჲ სათნო-უნინდა, და განმზრახველსა მოხუცებულთა თანა და წინამძღუართა და ათასმთავართა მოწოდებამ თანმონათესვეთაჲ ყოველისა საფლისაგან მისა მიმართ, რომელნი იყვნენ პასაკა შინა სიჭაბუკისასა, და ამით თანა მღდელთა და ლევიტელთა და, წარსრულთაჲ კარიათარიმად, აღმოყვანებამ კიდობანსა 118 ღმრთისასა მისგან იეროსოლჱმად და მსახურებამ მას შინა შინიერთგან, მჭონებელთა მისთაჲ მსხუერპლთა შიერ და სხუათა პატევთა, რომელთა შიერ იხარებს საღმრთოჲ, რამეთუ უკუეთუმცა მეფობასა საულომსსა ექმნა ესე, არცა ერთიმცა ბოროტი ჰვნებოდა.

და ვინაიდან უკუე შემოკრბა ყოველი ერი, ვითარცა განიზრახეს, მიიწია მეფე კიდობნისა მიმართ, რომლისა მტკრთველთა ამინდაეოვს სახლისაგან მღდელთა, დამდებელთა ახალსა ურემსა ზედა, უბრძანეს ზიდვამ კართა თანა ძმათა და ყრმათა. ხოლო წინა-უძღოდა მეფე და მის თანა ყოველი სიმრავლე, მაქებელნი ღმრთისანი და მგალობელნი ყოველსა სახესა გალობნისა ქუეყანისა შინასა წასა თანა მრავალსახესა, ცემათა და როკეთა და ფსალმუნთასა და შერმეცა ნესტეთა და წინწილთა შთამოიყვანებდეს კიდობანსა იეროსოლჱმად. ხოლო ვითარ მოიწინეს ვიდრე კალოდმდე ქილონოხსა რომლისამე, ესრეთ წოდებულისა ადგილისა, აღსრულდა ოზას განრისხებნისა შიერ ღმრთისა, რამეთუ კართაგან შეიძრა რამ კიდობანი, განმმართველსა კელისასა და პურობად მნებებელსა, რამეთუ არა მღდელად მყოფი შეეზო მას, სიკუდილ ექმნა. და მეფე ვიდრემე და ერი შეწუხნა სიკუდილსა ზედა ოზამსსა, ხოლო ადგილი, რომელსა შინა აღსრულდა, შერმეცა ოზამს განკუეთამ იწოდების. და დავიდის უკუე, შეშინებულმან და გულისმსიტყუეველმან, ნუსადა მსგავსი ოზიამსი ევენოს შემწყნარებელსა კიდობნისასა მისსა მიმართ ქალაქად, რამეთუ იგი ესრეთ მოკულდა, ვინაიდან მხოლოდ განმმარტა კელი მისა მიმართ, და არა შეიწყნარა ვიდრემე იგი ქალაქად მისა მიმართ, არამედ მისრულმან ადგილსა რომელსამე მამაკაცისა მართლისა, ოვადამოხსნა სახელით, ნათესავით ლევიტელისასა, მის თანა დადგა კიდობანი. ხოლო დაადგრა ყოველთა სამთა თუეთა შიერ და სახლი ოვადამოხსნი აღაორძინა და მრავალნი კეთილნი მისცნა. ხოლო ესმა რამ მეფესა, ვითარმედ ესენი შეემთხვნეს ოვადამოხსნა და იქმნა პირველისა სიგლახაკისაგან და სიმდაბლისა მეყსა შინა კეთილშუენიერ და ბედნიერ და საშურველ ყოველთა შიერ მხილველთა და მეცნიერთა სახლისა მისისათა, მინდობილმან, ვითარმედ არცა ერთი ბოროტი შეემთხვოს მისა მიმართ, აღმოიყვანა კიდობანი. და მღდელნი ვიდრემე იტკრთვიდეს მას, ხოლო შდენი მწყობრნი, რომელნი შეამკვნა მეფემან, წინა-უძღოდეს. ხოლო იგი ქნართა იმღერდა და განსტრებოდა, ვიდრედა და ცოლმანცა მისმან მეღხალი, საულომს, პირველისა მეფისა ასულმან, მხილველმან მისმან ამის მოქმედად, განციცხა. ხოლო მიმღებელთა კიდობნისათა დადგეს იგი კარავსა შინა, რომელი შეემზადა მისთვის დავიდის. და მსხუერპლნი აღასრულნა მდიდარნი და შშვდობისანი შეწირნა და ყოველი სიმრავლე ასერა, დედაკაცთა და მამაკაცთა და ყრმათა მიმცემელმან კოლლკრიდათა პურისათა¹* და ესხატასა²* და ლაღანოსა ტაფითმწყურასა³* და ნაწილსა მსხუერპლებულისაგან. და ერისა ვიდრემე ესრეთ მასერებელმან, წარვლინა. ხოლო იგი სახლად თვსად მიიწია.

* II მეფ. 6,1. I ნუმტა 13,1. II მეფ. 6,6. I ნუმტა 13,9. II მეფ. 6,10. I ნუმტა. 13,13. ¹ * *גַּלְגַּלִּים* *גָּרָעַם* *7*₈₈ (= შეროსს პური). ² * *עֲשָׂרֵי* *7*₈₈ (= შემწყარი პური). ³ * *לֶבְיָנוֹת* *עֲרֻאִים* *7*₈₈ (= ტაფაზე გამოცხვარი ლეხელი).

3)* ხოლო მელხალი, ცოლი მისი, საულოეს ასული, წარმოდგომილი მისდა თანად სხუათა ულოცვიდა მას და ღმრთისა მიერ ითხოვდა ქმნად მისდა ყოველთა, რაოდენთა მონიქებად შემძლებელ არს სახიერად მყოფი. ხოლო აბრალებდა, ვითარმედ უშუერ იყო მროკველი, ესევეითარი მეფე განშიშულე-ბული როკვიდა წინაშე მონათა და მკვეალთა. ხოლო იგი—არა საკდემელ ამა-თი ქმნაჲ, ეტყოდა, სამადლობელად ღმრთისა, რომელმან უფროას პატეც-სცა მას მამისა მისისა და სხუათა ყოველთა: „ვიძღვრედ უაუე მრავალგზის და ვროკვიდე, არცა ერთსა ზრუნეასა მოქმედი უშუერად აღჩენისათჳს შენდაცა და მკვეალთა“.

ხოლო ამან მელხალი, დავიდის ვიდრემე თანა დამკვდრებულმან, ყრბანი არა შენა. და უკუჟანდესკენელ ქორწინებულმან, რომელსა მისცა მამამან მისმან საულოს, ხოლო მაშინ მიმტაცებელსა მას აქუნდა, ხუთნი/შენა ყრბანი¹. და ამათჳს ვიდრემე ადგილსა თჳსსა ცხად-ყყოთ.

4)2* ხოლო ხედვიდა რაჲ მეფე ყოველსა დღესა შინა ერთბამად უმჯობეს ქმნილად საქმეთა მისთა განზრახვისაებრ ღმრთისა, ჰგონებდა მცოდნელობასა თჳსსა, უკუეთუ თჳთ დადგრომილი სახლთა შინა ნაქსაგან ქმნილთა, მაღალ-თა თანად და კეთილსა სხუათა შენზადებასა მქონებელთა, უგულუებლთა-პყოფ-დეს კიდობანსა, კარაგსა შინა მდებარესა. ხოლო გეგულეობდა ტაძრისა შემ-ზადებაჲ ღმრთისა, ვითარცა მოჳსისა წინაწარ-თქუა. და ამათჳს ნათანს ეტ-ყოდა, წინაწარმეტყუელსა. ხოლო ნათანს, ვინამთგან აქუნდა იგი გულსმოღ-გინედ შენებისათჳს ტაძრისა, რამეთუ ღმერთი ყოველთა მიმართ შემწე იყო მისა, უბრძანა მას ქმნად მის. ხოლო ღმერთი, მას ღამესა გამოჩინებულნი ნათა-ნისდა, თხრობად უბრძანებდა დავიდისა, ვითარმედ ნებასა მისსა და გულს-მოდგინებასა ფრიად შემწყნარებელ არს, რამეთუ არცა ერთმან ვინ პირვე-ლად გონებასა შთაიგდო ტაძრისა აღშენებად მისდა, ხოლო ამან ესე გონებად მოიღო, გარნა არა უბრძანა, მრავალთა ბრძოლათა მღუწველსა და კლვითა მტერთაჲთა შესუარულსა, ქმნად მისდა ტაძრისაჲ. ხოლო შემდგომად სიკუდი-ლისა მისისა, დაბერდეს რაჲ და გრძელი ცხოვრებაჲ წარვლოს, იქმნეს მისდა ტაძარი ყრმისა მიერ, შემდგომად მისსა მეფობასა მიმღებელისა და წოდებ-დისა სალომონად, რომლისა შემწეობასა და მოურნეობასა, ვითარ მამამ ძი-სასჲ, აღუთქუმიდა და მეფობისა ვიდრემე დაცვასა და მიცემასა შვილით-შვი-ლთამდე, ხოლო მისსა ტანჯვასა, უკუეთუ დაემთხვოს მცოდნევი, სნეულე-ბითა და ქუეყანისა უნაყოფოებითა. და დავიდის უაუე, მსწავლევი ამითი წი-ნაწარმეტყუელისა მიერ და მხიარულქმნული მტკიცედ მეცნიერებისათჳს დაღ-გრომასა მთავრობისასა შვილის-შვილთა მისთადმედ და სახლისა მისისა ბრწყინვალე ქმნასა და განთქუმასა, კილობისა მიმართ მიიწია. და დავიდო-მილმან პირსა ზედა, იწყო თაყუანისცემად და ყოველთათჳს მადლობად ღმრთისა თანად მათჳს, რომელნი აწვე მიანიქნა მას სიმდაბლესა შინა და მწყემსობასა, ესევეითარისა მიმართ სიდიდისა მთავრობისაჲსა და დიდებისა აღმეყანებელმან მისმან თანად და რომელთათჳს ნაშობთა მისთა აღუთქუა და თანად წინმოურნეობისათჳს, რომელი ვერაელთა და ამათისა თავისუფლები-სათჳს ქმნა. ამათი მეტყუელი და ღმრთისა მაქებელი წარვიდა.

¹ მუჯისი.

* II მეფ. 6,20. 1* აქ საუბარია იმაზე, რომ მელხალი დავითმა კელაე დაიბრუნა მას შემდეგ, რაც იგი მისმა მამამ, საულმა, გაათხოვა და ამის შემდეგ მელხალს დავითისაგან შეეძინა ხუთი ყრბა. 2* II მეფ. 7,1. I ნეშტთა 17,1. II მეფ. 7,12. I ნეშტთა 17,11.

1)* ხოლო მცირედსა ჟამსა დაყოვნებულმან აგრძნა ჳეროვნად პალესტინელთა ზედა აღმკედრებაჲ, არცა ერთსა დაყოვნებასა, არცა მცონარებასა საქმეთა შინა მაჩუნებელმან, რაჲთა, ვითარცა საღმრთომან წინა-უთხრა მას, დამამკობელმან მბრძოლთამან მიერთგან მშედობასა შინა დაუტევნეს ნაშობნი თჳსნი მმეთობნი. და მომწოდებელი კუალად მკედრობისაჲ და მამკნებელი მისი ბრძოლისა მიმართ მზად და შემზადებულად ყოფისაჲ, რაჲჟს სათნო-უჩნდა მას კეთილად ქონებაჲ მათ ძლითთაჲ, წარსრული იეროსოლ-ვმათაგან მივიდა პალესტინელთა ზედა. და მჳყრობელმან მათმან ბრძოლასა შინა, განხრწნა, ხოლო ნეშტი ტყუედ მიიყვანა და მრავალსა სოფლისა მათისაგან მიმკუეთელმან და ევრაელთა სოფლისა შემასაზღვრებელმან, მოავიტთა ზედა გარდაიღო ბრძოლაჲ. და ორთა ვიდრემე კერძოთა მკედრობისა მათისათა მძღველმან ბრძოლასა შინა, განხრწნა, ხოლო ნეშტი ტყუედ მიიყვანა და ხარკთა წლითი-წლადთა აღსრულებად მათდა მბრძანებელმან, არტაქსაროს ვიდრემე ზედა, არაოჲს ძესა, ხოლო მეფესა /სოფინისასა, აღიმკედრა. და განწყობილმან მისდა ეფფრატის მდინარესა ზედა, ქუეთითა მისთაგანნი ვიდრემე განხრწნა ვითარ ორნი ბევრნი, ხოლო ცხენოსანთაგან — ვითარ ხუთგზის ათასნი. და მიიყვანა ეტლინცა მისნი ათასნი და უმრავლესნი ვიდრემე მათგანნი უჩინო-ყვნა, ხოლო ასთაჲ მხოლოდ უბრძანა დამარხვაჲ მისდა.

2)* და ესმა რაჲ დამასკოჲსა და სურთა მეფესა ადადოსს, ვითარმედ დავიდის ჳბრძავს არტაქსაროსს, მოყუარედ მყოფი მისი ძალითა ძლიერითა მოვიდა შეწევნად მისდა. ხოლო უკუნ-იქცა, ვითარ არა ჳგონებდა: განწყობილი ეფფრატისა¹ მდინარესა ზედა და ვერ მიმთხუეული, მრავალთა დაკლებულ იქმნა მკედართაგან, ვინაჲთგან დაეცნეს ევრაელთა მიერ მოსრვილნი ადადოსს მკედრობისაგან ვითარ ორნი ბევრნი. ხოლო ნეშტნი ყოველნი ივლტოდეს. ხოლო მოიკსენებეს ამის მეფისასა ნიკოლასცა, მეოთხესა შინა მოთხრობათასა მეტყუელი ესრეთ: „ხოლო შემდგომად ამათსა მრავალთა ჟამთა უკუანამსკენელ ადგილისათაგან ვინმე ადადოსს სახელით, დიდად განძლიერებული, დამასკოჲსა თანად და სხჳსა სურიაჲსა განმეფნა?“² და ბრძოლაჲ განიღო დავიდის მიმართ, მეფისა იუდეაჲსა, მრავალთა ბრძოლათა შინა გამოცდილმან. ხოლო უკუანამსკენელი არს ეფფრატისა მდინარისა ზედაჲ, რომელსა შინა იძლია. და რჩეულად მეფეთა შორის საგონებელ იქმნა ძალისათჳს და სიმკნისა“. და ამით თანა ნაშობთაცა მისთათჳს იტყჳს, ვითარმედ შემდგომად აღსრულებებისა მისისა მითუალვიდეს ურთერთარს სახელსა და მეფობასა, მეტყუელი ესრეთ: „ხოლო აღსრულდა რაჲ იგი, ნაშობნი მისნი მეთედ ნათესავადმდე მეფობდეს, თითოეული მამისაგან მთავრობასა თანა და სახელსაცა მისსა მიმთუალველი, ვითარ პტოლემეოჲსთნი ეგჳტეს შინა. ხოლო უმეტეს ყოველთასა განძლიერებულმან მესამემან, ნაცვალბრძოლად მნებებელმან უფლისა მამისაჲ³ ძღვეასა, აღმკედრებულმან იღუმელთა ზედა, განფხურა აწწოდებული სამარიტი ქუეყანაჲ. და არა სკთა ჳეშმარიტებისაგან, რამეთუ ესე არს ადადოსს, აღმკედრებული სამარიასა ზედა ახაოჲს მეფობასა ისრაილიტთასა, რომლისათჳს ადგილსა თჳსსა უკუანამსკენელ ვთქუათ“.

¹ ევრატსა AQ.

² II მეფ. 8,1. I ნეშტთა 18,1. ³ II მეფ. 8,5. I ნეშტთა 18,5. ²⁰ ἡς ἀλλης Συρίας ἐξ Ἰερουσαλὴμ ἐβασίλευσε 7181 (თარგმანს აკლა: გარდა ფინიკიისა). ³⁰ εἰς ἰεροσόλυμοις 7188 (=პაპს).

3* ხოლო დაეიდის, აღმკვდრებული დამასკოსა ზედა და სხუასა სკრი-
ასა, ყოველი იგი მორჩილ-ქმნა და მცველთა დამადგინებელი სოფელსა შინა
და ხარკთა აღსრულებად მნებებელი და მბრძანებელი მათდა, უკუნ-იქცა და
თანად ოქრომსა კაბარკნი და ყოველ საჭურველობანი, რომელნი ადადომს
სხეულის-მცველთა ემოსნეს, შეწირნა ღმრთისა იეროსოლჳმად. და უკუნაჲს-
კნელ ეგვპტელთა მეფემან სუსაკოს, აღმკვდრებულმან შეილისშეილსა მისსა
ზედა აროვამოს, მიიხუნა ესენი და სხუად მრავალი იეროსოლჳმათაგან განი-
ლთა სიმღირთე. ესენი ვიდრემე უკუე, რაჲამს მოვიდეთ თჳსსა ადგილსა მათსა,
ცხად-ვყვნეთ. ხოლო ევრაელთა მეფემან, ღმრთისა თანაშეწევნითა და მბრ-
ძოლთა მიმართ წარმართებითა, და უმჯობესთაცა არტაქსაროჲს ქალაქთა ზე-
და აღმკვდრა, ვატეასა და მახონსა, და მპყრობელმან მათმან ძლიერებით,
განფხურა. ხოლო ოქროჲ იპოვა მათ შინა ფრიად მრავალი და ვეცხლი და
მერმეცა რვალი, რომელსა უმჯობესად ოქრომსა იტყოდეს, რომლისაგან სო-
ლომონ დიდი ქურჭელი, ზღუად წოდებული, შექმნა და კეთილნი იგი საბა-
ნელნი, ოდეს შემშადა ტაძარი ღმრთისაჲ.

4) *ხოლო ამათისა მეფემან, ვითარ ისწავნა არტაქსაროჲს ძლითნი და ეს-
მა ძალისა მისისაჲ განხრწნაჲ, შეშინებულმან მისთვის და დაეიდის ვიდრე მის
ზედა მოსლვადმდე სიყუარულითა / და სარწმუნოებითა მეცნიერმან შეკრვად, v
წარავლინა მისა მიმართ აღორამოს, ძე მისი, არტაქსაროჲს, მტერად მოყოფისა
მისდა, ბრძოლისათჳს მადლსა ქონებად აღმსაარებელმან თანაშეწევნასა მისა
მიმართ და სიყუარულისა მოქმედმან. წარუვლინა მას და ძღუენიციცა, ქურ-
ჭელნი ძუელად შემზადებულნი, ოქრომსა და ვეცხლისანი და სპილენძისანი.
და დაეიდის, მოქმედმან თანაშეწევნასა თარანის მიმართ, რამეთუ ესე იყო
სახელი მეფისა ამათისაჲ, და ძღუენთა შემწყნარებელმან, განუტევა ძე მისი
პატივისა თანა, რომელი შუენოდა მრჩობლთავე. ხოლო მის მიერ წარმოვლი-
ნებულნი და სხუად ოქროჲ და ვეცხლი, რომელი ქალაქთაგან მიეღო პყრო-
ბილთა ნათესაეთაგან, მომღებელმან შეწირა ღმრთისა. ხოლო არა მას მხო-
ლოდ, თვთ მბრძოლსა და მკედრობისა წინამძღუარსა, მიანიჭებდა ღმერთი
ძლევისა და წარმართებასა, არამედ და წარმავლენელსაცა ძალისა თანა იღუ-
მეასა ზედა ავესსეოს, იოავოს მკედართმყვანებელისა ძმასა. მის მიერ იღუწე-
ოთა ძლევაჲ მოსცა, რამეთუ ბევრნი მათნი და რვა ათასნი ავესსეოს განხრწ-
ნა ბრძოლასა შინა. და იღუმეაჲსა ყოვლისა მცველთა მიერ მომცველი მეფე
ხარკთა თანად სოფლისათჳს და თითოეულისა თავისათჳს მიიღებდა ნათვან.
ხოლო იყო და ბუნებითა მართალი და სასჯელთა ქეშმარიტისა მიმართ მხედ-
ველი მოქმედებდა. და მკედართმყვანებელად ყოვლისა სიმრავლისა აქუნდა იო-
ავოს, ხოლო მოსაქენებელთა ზედა — იოსაფოსი, ძე აქილოჲსი დაადგინა. და
განაჩინა ფინევისი სახლისაგან მღდელთმთავარდ სადოკოს ავიათაროსს თანა,
რამეთუ საყუარელ იყო მისა, ხოლო მწიგნობრად ქმნა სივან. და ვანეას უკუე
იოადრომსა მთავრობაჲ სხეულისმცველთაჲ მისცა, ხოლო პირმშონი ყრმანი
მისნი მცველ იყვნეს სხეულსა და ამის ძლითსა.

5) * ხოლო მოიკსენა და იონათის მიმართთაცა, საულოჲს ყრმისა, აღთ-
ქუმათა და ფიცთაჲ და მისისა მისა მიმართ სიყუარულისა და მოსწრაფებისაჲ,
რამეთუ სხუათა თანა ყოველთა კეთილთა, რომელნი აქუნდეს, მერმეცა და
მოკსენე იყო კეთილისმოქმედთაჲ სხუასა ჟამსა შინა. და ბრძანა მოძიებაჲ,

* II მეფ. 8,6. I ნეშტთა 18,6. 1* II მეფ. 8,9. I ნეშტთა 18,9. II მეფ. 8,14. I ნეშტთა
18,12. II მეფ. 8,16. I ნეშტთა 18,15. 2* II მეფ. 9,1; 4,4; 9,4.

უკუეთუ ვინმე წათესვისა მისისაგან ცხოვრების, რომელსა მისცნეს ნაცვლისგებანი, რომელთა თანამდებ იყო იონათის სიყუარულისათვის. ხოლო ვითარ წარმოიდგინა ვინმე მისდა განთავისუფლებული ვიდრე საულოას მიერ, შემძლებელი უკუე უწყებად წათესვისა მისისაგან მყოფთაჲ, გამოიწულილ-ვიდა თქუმაღ, უკუეთუ ვინმე აქუს¹ იონათის წათესავთაგანი ცოცხალი და შემძლებელი მიღებად მდლთა კეთილმოქმედებისათა, რომელთა იგი მიემთხვა იონათის მიერ. ხოლო მან თქუა ძისა მისისა დაშოთმაჲ, მემფიოსთოსი სახელით, ვნებულისაჲ ფერკითა, რამეთუ მზრდელსა, მიეთხრა რაჲ დაცემაჲ ყრმისა მამისაჲ და პაპისაჲ ბრძოლასა შინა, აღმტაცებელსა და მლტოლველსა, მკარათაგან შთაშოპარდა და ვნებულ იქმნა ფერკითა. და მსწავლელმან, სადა რომელსა თანა იზარდების, წარმავლენელმან მაქიროას მიმართ ლავათა ქალაქად, რამეთუ ამას თანა იზარდებოდა იონათის ყრმაჲ, მიუწოდა მისა მიმართ. ხოლო მოსრულმან მეფისა მიმართ მემფიოსთოსს, დავრდომილმან პირსა ზედა, თაყუანის-სცა მას. და დავიდის უკუე კადნიერებაჲ უბრძანა მას და უმჯობესთა გულგებაჲ შემთხუევაღ. ხოლო მისცა მას და მამულიცა სახლი და ყოველი არსებაჲ, რომელი პაპამან მისმან საულოს მოიგო. და / თანმგერებელად და ერთტარავეზად უბრძანა ყოფაჲ და არცა დღესა დაკლებად მის თანა სერობისაგან. ვინაჲთგან უკუე ყრმამან თაყუანის-სცა სიტყუათა ზედა და ნიჭთა, მომწოდებელი სივამისი თანად მამულსა სახლსა ეტყუოდა მინიჭებად ყრმისა და ყოველსა საულოას მონაგებსა. ხოლო მას უბრძანა, მოქმედსა ქუეყანისა მისისასა და მოურანესა ყოველთასა, მიღებად იეროსოლვმად მოსავალსა და ღლითი-ღღე მიყვანებად მას ტრაპეზსა მისსა ზედა. ხოლო თვთ ესე სივას და ძენი მისნი, ხოლო იყვნეს ესენი ზუთ და ათნი, და მონანი მისნი, რიცხვთ ოცად მყოფნი, ყრმასა მემფიოსთოსსა მიანიჭნა. ესენი რაჲ განაწესნა მეფემან, სივას ვიდრემე, თაყუანისმცემელი და ყოველთა ქმნად მეტყუელი, წარვიდა. ხოლო იონათის ყრმაჲ იეროსოლვმათა შინა მკვდრ მყოფ, თანამგერებელი მეფისაჲ და ყოველსა, ვითარ ძე მისი, განსუენებასა მისგან მიმთხუელი. და იქმნა მისდა ყრმაჲცა, რომელსა მიხანოს სახელ-სდვა².

თ. 6.

1)* და დაშოთმილნი ვიდრემე საულოას და იონათის წათესვისგან, ამათ მიემთხვნეს დავიდის მიერ პატივთა. ხოლო მას ყაჰსა შინა, აღსრულდა რაჲ ამმანიტელთა მეფე ნაასისი, მოყუარე უკუე იყო ესე მისი, და მითუალა მეფობაჲ ანნონ, ყრმამან მისმან, და წარმავლენელმან მისა მიმართ დავიდის ნუგეშინის-სცა მას, სიმშვიდით მოთმენად სიკუდილსა ზედა მამისასა განმაზრახებელმან და მისგან ვიდრემე სიყუარულისა დადგრომასა მექუელობდა, რომელი მისა მიმართ იყო მისდა. ხოლო ამმანიტისა მთავართა ბოროტჩუეულებით, არამედ არა დავიდის გონებისაებრ შეიწყნარანეს და განაფიცებდეს მეფესა, მეტყუელნი განმსტურობად სოფლისა და ძალისა მათისა წარმოვლენასა დავიდის მიერ მიზნითა კაცთმოყუარებისათა. და განკრძალებად განაზრახებდეს და არა რწმუნებად სიტყუათა მისთა, ნუსადა, ცთუნებუელი, უნუგეშინისცემოსა განსაცდელსა შთავარდეს. ამათსა უკუე უსარწმუნოესად

¹ აქოს. ² სახელს-სდვა AQ. ³ მისმან AQS, მისგან D.

* II მეფ. 10,1. I ნეშტთა 19,1. II მეფ. 10,5. I ნეშტთა 19,5.

• აქა [...]სის მკეთებელისაგან წამკდარი იყო ოთხი-ხუთი ფურცელი, ზოგი ქვემოთ დაეკრა და ზოგი—ზემოთ. და მე, ქართლისა მთავარბისკომოზმან იქ, ვპოე რომე უქმარ იყო და ახლად გაუკეთე. და კინცა მიემთხვევით, არღა საგინონია.

მეკუთვლემან მთავართაგან მეტყუელებისამან უფროას, რაოდენ ქეშმარიტი აქუნდა, ამმანიტელთა მეფემან ნაასისი* დავიდის წარვლინებულთა მოხუცებულთა ბოროტად, რამეთუ ნახევართა წუერთა მათთა მოპაპარსველმან და ნახევარსა სამოსელთა მათთა მომკუთველმან, განუტეენა, მიღებად პასუხთა საქმით და არა სიტყვთ. ზოლო მხილველი ამათი ისრაილიტთა მეფე განრისხნა და ცხად-იყო არა უგულებელსმყოფელი გინებისა და შეურაცხყოფისაჲ, არამედ მბრძოლი ამმანიტელთაჲ შურისგებასა მათგან უსჯულოებისათჳს მოხუცებულთა მიმართ მიჰკიდდა მეფესა. და შეკრებულნი თანად უსაპიროესნი და მთავარნი განემზადებოდეს ბრძოლისა მიმართ, მეტყუელნი, ვითარმედ ვინაჲთგან განაგდეს ზავი, სასჯელსა თანამდებ არიან ამათჳს. და წარავლინეს უროასი* მიმართ, მეფისა შუემდინარელთაჲსა, ათასნი ტალანტნი და სუევიასს, და ამის სასწაულისათჳს შემწე-ქმნად ევედრებოდეს მას. ზოლო იყვნეს ამით მეფეთა ქუეთიანი ორნი ბევრნი. და სასყიდლით მოუწოდეს მეფესა მიხად წოდებულისა სოფლისასა და მეოთხედ — ისტოსს სახელით. და ესენი მქონებელ იყვნეს ბევრთა და ათასთა* აღჭურვილთა.

2) ზოლო დავიდის არა შეშინდა შემწეთაგან და ამმანიტელთა ძალისა და ღმრთისა მიმართ მსასოებელმან, სამართლად ბრძოლად მათდა მგულუბელმან, რომელთათჳს ივინა, იოავოს მკედართმყვანებელი წარავლინა მათ ზედა, მიმცემელმან მისდა უძლიერესსა მკედრობისასა. ზოლო ამან დედაქალაქსა თანა ამმანიტელთასა, არამათას, დაიბანავა. და მბრძოლნი / უკუე, ზედ-^v განსრულნი, განწყევენეს არა ერთად, არამედ ორად, რამეთუ შემწენი ველსა შინა თესაგან დაეწესნეს, ზოლო ამმანიტელთა მკედრობაჲ—მახლობელად ბქეთა ევრავლთა წინაშე. და იხილა რაჲ ესე იოავოს, ნაცვალ-იველოვნა მანცა და უმკნესთა ვიდრემე გამომრჩეველი წინა-განეწყო სურსა და მის თანათა მეფეთა, ზოლო სხუაჲ მკედრობაჲ ავესსეოსს მისცა, ძმასა, და უბრძანა ამმანიტელთა წინაგანწყობაჲ, მეტყუელმან, უკუეთუ სურნი იხილნეს მძლეველნი მისნი და უმეტეს შემძლებელნი, რაჲთა მიმყვანებელი მკედრობისაჲ შეეწიოს მას და მანცა ესე ქმნას¹, უკუეთუ ამმანიტელთაგან ძლეულად იხილოს იგი. და წარმავლენელმან უკუე ძმისამან და მვედრებელმან მკნედ გულსმოდგინებისა თანა ჭეროვნისა ლუწოლვად მამაკატა მიმართ მოშიშთა სირცხვლისათა, იგი ვიდრემე განუტევა ამმანიტელთა მგულუბელი ბრძოლად. ზოლო თვთ სურთა ჰბრძოდა. და მცირედ წინა-აღუდგეს რაჲ ივინი ძლიერად, მრავალნი ვიდრე მოაკუდინნა² იოავოს, ზოლო ყოველთა აიძულა ლტოლვად მიდრეკაჲ. ამის მხილველნი ამმანიტელნი და შეშინებულნი ავესსეოსსაგან და მის თანამას მკედრობისაგან, არა დაადგრეს, არამედ მიმსგავსებულნი შემწეთანი, ქალაქად ივტოდეს. და მძლეველი უკუე მბრძოლთაჲ იოავოს იეროსოლვმად მეფისა მიმართ ბრწყინვალედ უკუენ-იქცა.

3) ამან ნაცოდებმან არა არწმუნა ამმანიტელთა დაწყნარებაჲ, არცა, მსწავლელთა უმჯობესისათა, მყუდროებასა მიღებაჲ, არამედ წარმავლენელთა³ ხალემას, წილ ეფფრატისა⁴, სურთა მეფე მოიმიზღდეს მბრძოლისა მიმართ. მქონებელი ვიდრემე მკედართმყვანებელსა საევეკოსს, ზოლო ბევრთა ქუეთი-

1 ქმნეს A. 2 მოაკვდინნა. 3 წარმავლელთა A. 4 ეფფრატისა A.

* A. ἄντι 711^b (ბერძულ დედანში საუბარია ნაასის ვუე ანონზე). 1* რბდ შპივი 7121. სურს A. 2* მსურთაჲ ἄξι მცვილსოც ორსედაჲ 7121 (=12000).

3 ღირს და პატიოსან მის კეთილშობილებას, უფალს გაერთის, განმგებულს, წინამძღვარს სეიშო (საკიხი ესე).

თასა რვათა და ცხენოსანთასა ბევრთა. ხოლო აგრძნა რამ ევრაელთა მეფემან კულად მას ზედა ამმანიტელთაგან შეკრებანი ესოდენისა ძალისაჲ, არღარა მკედართმყვანებელისაგან საჯა ბრძოლაჲ მათი, არამედ უვთ, ყოვლითა ძალითა განსრულმან იორდანესა მდინარესა და შემთხუეულმან მათდა და განმამწარებელმან და განმწყობმან ბრძოლისამან, სძლო და მოსრნა ვიდრემე მათგან ქუეთინი ოთხნი ბევრნი, ხოლო ცხენოსანნი — შუღ ათასნი და წყლა მკედართმყვანებელი ხალემაჲსი საეეკოს, რომელი წყლულისაგან მოკუდა. ხოლო შუემადინარელთაგან ესევეთარი იქმნა დასასრული ბრძოლისაჲ. თავნი თჳსნი დავიდის მისცნეს და ძღუენნი წარუვლინნეს მას. და იგი ვიდრემე ყამსა ზამთრისასა უკუნ-იქცა იეროსოლჳმად. ხოლო მოიწია რამ ეარი*, წარავლინა მკედართმყვანებელი იოავოს¹ ბრძოლად ამმანიტელთა. და მან უკუე, ზედმისრულმან, ყოველი ქუეყანაჲ მათი განხრწნა და მათი დედაქალაქად არაჳათამსა შემთხეველი, აოკრებდა.

თ .7.

- 1)¹* ხოლო შეემთხვა და დავიდისცა ცოდვაჲ, ბუნებითი ბოროტი, მართლიად მყოფსა და ღმრთისმსახურსა და მამულთა სჯულთა ძლიერად დამკვევლსა. რამეთუ მხილველმან მიმყოფრებასა მწუხრისასა არდაბაგისაგან სამეფოთამსა, რომელსა შინა მას ყამსა სლვად ჩუეულ იყო, იხლია დედაკაცი მანანელი სახლსა შინა მისსა გრილითა წყლითა, კეთილი სახითა და ყოველთა უმჯობესი. ხოლო სახელი მისი იყო ვეერსავე. და იძლია შუენიერებისაგან
- 12)² დედაკაცისა და გულისთქუმისა პყრობად არა შემძლებელი, მომწოდებელი მისი, თანა-ეყო. ხოლო უძლებ-იქმნა რამ დედაკაცი, წარავლინა მეფისა მიმართ, რამთა განიხილოს, რომლისა გზისა მიერ დაეფაროს ცოდვასა, რამეთუ სიკუდილი² ჳერ-არს მრუშებულისაჲ მამულთა სჯულთაებრ. და მან უკუე მოუწოდა მოოკრებისაგან იოავოსს ვიდრემე, საჭურველთა აღმღებელსა, ხოლო ქმარსა დედაკაცისასა, ურისა სახელით. და მოწვენულისა მკედრობისათჳს და მოოკრებისა ჰკითხვიდა. და მან უკუე ჰრქუა ყოველთა საქმეთაჲ წადიერებისა მათისაებრ ქმნაჲ. და მტკრთველმან დავიდის სერობისაგან, მისცნა მას კერძონი რომელნიმე და უბრძანა დედაკაცისა მიმართ წარსრულსა განსუენებაჲ მის თანა. ხოლო ურია ესე ვიდრემე არა ქმნა, არამედ დაწვა სახლთა თანა საჭურველთა აღმღებელთა მეფისათა. და ვითარ აგრძნა ესე მეფემან, ჰკითხვიდა მას, რამსათჳს არა მივიდა სახლად თავად თჳსად, არცა ცოლისა მიმართ ესოდენისა შორის ყამისა, რამეთუ ყოველთა კაცთა ესე აქუს ბუნებაჲ, რამთა რაჳამს მოვიდენ დაყოვნებისაგან. რამეთუ ურია, „არა ჳერ-არს, თქუე, თანმკედართა მისთა და მკედართმყვანებელისა ქუემძინარეობასა ბანაკსა შორისა და მბრძოლთა სოფელსა შინა, მისი ცოლისა თანა განსუენებაჲ და ჰყამა“. ესენი რამ თქუნა, უბრძანა მას დღესა მიერ დადგრომაჲ, ვითარ მომავალსა წარვლუნად მგულუებლმან მკედართმყვანებელისა მიმართ. ხოლო სერობად წოდებულმან მეფისა მიერ ურია და ვიდრე სიმორვალედმდე მიწვენულმან სუმასა შინა, ვინამთგან მეფე უყოფდა მარჯუეთა სასუმელთა, არა უდარეს კულად წინაშე კართა მეფისათა დაიძინა, არცა ერთსა გულისთქუმასა მიმღებელმან ცოლისა. ამას ზედა დამძიმებულმან მეფემან მიუწერა იოა-

¹ იოავოს A, 'Iσάβιου 7_{12b}. ² სიკვდილი.

² ἄνε ἔσθαι 7_{12b} (=გაზაფხული). ¹* II მეფ. 11,2.

³ ქრისტე, შეიწყალე იესე მწერალი და დედათა-მამათა მისთა შეუნდოს ღმერთმან. () შენდობაჲ ბრძანოთ. შეუნდოს ღმერთმან. ქრისტე, შეიწყალე მცხოვრებელი.

ვოს, განსჯად მბრძანებელმან ურიაესმან, რამეთუ მცოდველობასა მისსა ცხად-
პყოფდა და სახესა ტანჯეისასა განაზრახებდა, რაჟთა არა ცხად-იქმნეს იგი ამის
მნებებელი, რამეთუ ძნელსა ბრძოლასა კერძოსა მბრძოლთასა უბრძანა და-
წესებამ მისი, რომელსა შინა მოიკუდინოს¹ მბრძოლი, მხოლოდ დაშთომილო,
რამეთუ თანამყოფთაჲ დატევიბამ ბრძანა ბრძოლისა ქმნასა შინა. ამან დამ-
წერელმან და დამბეჭდველმან თვისითა ბეჭდითა, ებისტოლი მისცა ურიას წარ-
ლებად იოაჲოს² მიმართ. ხოლო იოაჲოს, შემწყნარებელმან ნაწერთამან და
მეფისა წინააღრჩევასა მცნობელმან, რომელსა ადგილსა უწყოდა მბრძოლ-
თა ბოროტთა ქმნამ მისდა, მუნ დაადგინა ურია, მიმცემელმან მისდა რომელ-
თამე რჩეულთა მკედრობისაგან. ხოლო თვთ ყოელითა ძალითა თანაშეწევნად
ეტყოდა, უკუეთუ შემძლებელ იქმნენ, უკუნ-მარღუეველნი რომელსამე ზღუ-
დისასა, შესლვასა ქალაქად. ხოლო ამას, მკნედ მყოფსა და დიდებასა მქონე-
ბელსა მეფისა მიერ და ყოველთა თანმონათესევეთა სიმკნისათჳს, მხიარულე-
ბად დიდთა ქირთა შინა და არა მომედგრებად ევედრებოდა. ხოლო ურია
გულსმოდგინებით რაჲ მიითულა საქმე, მის თანა განწესებულთა თჳსაგან
დატევიბამ ცხად-უყო³, რაჲამს მომართებულად იხილენ მბრძოლნი. და ვი-
თარ მიეახლნეს ქალაქსა ევრაელნი, შეშინებულთა ამმანიტელთა, ნუსად
მიერ ადგილით, რომლით შემთხუეულ იყო დაწესებამ ურიაისი, მოწვენილნი
ადვიდეს/მბრძოლნი, დაადგინნეს მუნ უმკნესნი მათნი და ბჳესა განმლებელ-
ნი მეყუსეულად სიმაღლისა თანა და სრბისა მრავლისა, მტერთა ზედა გამოვი-
დეს. ხოლო იხილნეს რაჲ იგინი ურიაეს თანათა, ყოველნი უკუნ-იქცეს
მართლუეკუნ, ვითარცა იოაჲოს უთხრა მათ წინაწარვე. და ურიას ვიდრემე,
შეკდიმებულმან ლტოლვად და წესსა დატევიბად, მოითმინნა მბრძოლნი და
მოსლვისათჳს მათისა მიმთუალველმან არა მცირენი მოაკუდინნა. ხოლო
მომრგულებული და პყრობილი საშუეალ, და მის თანა სხუანიცა ვინმე, აღს-
რულდა. და დაეცნეს სხუანი.

2)* ესენი რაჲ ესრეთ იქმნნეს, წარავლინნა მიმთხრობელნი იოაჲოსს მე-
ფისა მიმართ და ამცნო მათ თქუემად, ვითარმედ მოსწრაფე იყო პყრობასა ქა-
ლაქისასა და მიახლებელი ზღუდისაჲ და მრავალთა წარმწყემდელი, უკუნ-
ქცევად იიძულა. ხოლო ზედადართვად მათდა, უკუეთუ მათ განრისხებულად
იხილონ, და ურიაეს სიკუდილსაცა.

ხოლო მეფესა ესმენს რაჲ ესენი მიმთხრობელთაგან, შეწუხნა და თქუა
მცოდველობამ მათი ზღუდისა მიახლებულთაჲ, რამეთუ ჭერ-იყო ხანდაცთა
თანა და მანქანებთა მეცადინობამ პყრობად⁴ ქალაქსა. და ამათ თანა იგავად
მქონებელთა გედეონოჲს, ძესა ავიმელენოს, რომელი, ვინაჲთგან თივათა შინა-
სა გოდოლსა პყრობად მნებებელ იყო იძულებით, ცემული მოხტუეებულისა
მიერ ქვითა, დაეცა, მკნედმყოფი, და სიწნელისათჳს კელ-ყოფისა ბოროტად
მოკულდა. რომლისა მოკსენეთამ ჭერ-იყო არა მიახლებამ ზღუდესა მბრძოლთა-
სა, რამეთუ კეთილ არს ყოველთა ბრძოლასა შინა მოქმედებულთამ კეთილად
და ვითარ სხუად მათვე ძკრთა შინა კსენებამ, რაჟთა რომელთამე მიემსგავ-
სებოდენ, ხოლო სხუათა განეკრძალვოდენ. და ვინაჲთგან უკუე ესრეთ მქო-
ნებელსა ურიაეს სიკუდილიცა ცხად-უყო მიმთხრობელმან, დასცხრა ვიდრე
რისხვისაგან, ხოლო იოაჲოსს თხრობამ უბრძანა წარსრულსა, ვითარმედ კა-
ცობრივი არს შემთხუეული და ბრძოლისა ძლითთა ესევითარი აქუს ბუნებამ,

¹ მოკუდინოს. ² იოაჲოსის A. ³ ცხად-უყო/ქუეო A. ⁴ პყრობად A.

• II მუე. 11, 18.

ვინაიდან ოდესმე წინააღმდეგობა შეემთხუვევის კეთილმოქმედებად მას შინა. ხოლო ოდესმე — სხუთა. ამიერიდან ვიდრემე განკრძალვებად მოოჯრებისა მიმართ, რაათა არღარა მერმეცა ცოდნ მას შინა, არამედ მიწათა მიერ და მანქანებათა მოაჯრებელთა და გარემოდგომილთა, ქალაქსა ვიდრემე აღმოფხურად, ხოლო ყოველთა მას შინათა წარწყმედად. და მიმთხრობელი ვიდრე, მეფისა მიერ მცნებულთა შიმღებელი, იოაოამს¹ მიმართ მისწრათდა. ხოლო ურიაას ცოლი ვეერსავი, სიკუდილსა ქმრისასა მსწავლელი, მრავალთა დღეთა იგლოვდა მას. და დაცხრომილი უკუე მწუხარებისაგან და ურიაას ზედათა ცრემლთაგან, მეყუსეულად მიიყვანა იგი მეფემან ცოლად და ყრმაჲ მისდა წული იქმნა მისგან.

3)* ამას ქორწილსა არა მხიარულებით² მოხედნა ღმერთმან, არამედ რისხვით მქონებელი მეფისაჲ და ნათანის წინაწარმეტყუელისა გამოჩენილი ძილთა შინა, აბრალედა მეფესა. ხოლო ნათან, ვინაიდან ბრძენი იყო და გონიერი მამაკაცი, გულისმსიტყუელმან, ვითარმედ მეფენი, რაჲამს რისხვად მიდრკენ, ამას მიანიჭებენ უმეტესსა, ვიდრე მართლად, ღმრთისა ვიდრემე მიერ ქმნილთა ქადებათაჲ დაღუშვებაჲ საჯა, ხოლო სხუანი სიტყუანი კეთილნი მისა მიმართ თქუნა და ესევითარითა სახითა, რომლისათვის და რასა ბრძნობს, ცხადად ყოფად მისდა ევედრებოდა. „რამეთუ ორნი, თქუა, მამაკაცნი ერთსა ქალაქსა მკედრ იყვნეს, რომელთაგან ერთი ვიდრემე³ მდიდარი იყო და მრავალნი აქუნდეს სამწყსონი კარაულთანი და ცხოვართა და ჯართანი, / ხოლო გლახაკისა იყო ტარიგი ერთი. ესე შეილთა თანა აღეზარდა მას, თანგანწყოფელი მისდა საქმელთაჲ და სიყუარულსა მისა მიმართ მკუმეველი, რომელი იტუმოს ვინმე და ასულისაცა მიმართ. ხოლო ვინაიდან მოყუარე ვინმე მოვიდა მდიდარისა, თესთაგან ვიდრემე ცხოვართა არცა ერთსა დამკლველმან ღირსსა სერობაჲ მოყუარისაჲ, არამედ წარმავლენელმან, ტარიგი გლახაკისაჲ მისტაცა და ამისმან შემზადებელმან ასერა მოყუარე“. ამან უკუე სიტყუამან ფრიად შეაწუხა მეფე და ბოროტად ნათანის მიმართ კაცსა მას, რომელმან ესე იკადრა საქმე, განაცხადებდა და ჯეროვან-ყოფად ოთხწილსა ტარიგსა ზღვევად და ამას თანა სიკუდილითა ტანჯვად. ხოლო ნათან⁴ თუთ მისსა იტყოდა ყოფასა, რომელი ღირს არს ამით ვნებად თავისა მიმართ თვისისა დასჯილი, მკადრებელი დიდსა და ბოროტსა საქმესა. ხოლო გამოუცხადებდა მას და განუშინებულბდა რისხვასა ღმრთისასა, რომელმან ქმნა იგი მეფედ ევრავლთა ძალისა და უფადად გარემოვსთა ყოველთა ნათესავთა მრავალთა და დიდთა და მერმეცა, უწინარეს ამათსა, იქნა იგი საულოვს კელთაგან და თანდ მისცნა მას ცოლიცა, რომელი მართლიად და სჯულიერად მიიყვანნა. ხოლო იგი უსჯული იქმნა მისა მიმართ და შეურაცხ-ყო, რომელი უიცხოსა ექორწინა დედაკაცსა და ქმარი მისი მოაკუდინა, განმკემელმან მბრძოლთა ზედა. მისცნეს უკუე ამათთვის სასჯელნი ღმერთსა და იძულენ ცოლნი მისნი ერთისა ყრმათაგანისა მიერ, ხოლო ზედადღგომილ იქმნენ იგიცა მის მიერ და ცოდვისა ამის ფარულად მოქმედმან ცხადი მისცეს მათთვის სასჯელი. „ხოლო მოკუდეს და ყრმაჲცა შენი მეყუსეულად, მისგან შობილი“. და შეძრწუნებულნი ამით ზედა და შემძლეული ფრიად მეფე და ცრემლთა თანა და მწუხარებისა უსჯულოებად მეტყუელი, რამეთუ იყოცა ჭეშმარიტად ღმრთისმსახურ და არა-რას მკოდველ ყოვლადვე ცხობებასა შინა, გარნა თუ ურიაას ცოლისა ძლი-

¹ იოაოამს A. ² მხიარულები A. ³ ვიდრემე/ერთი AQ. ⁴ ნათანს A, ნათანის S, ნათანს

თა, შეიწყალა ღმერთმან და დაეგო დაცვად მისდა ცხოვრებისა და მეფობისა აღმთქუმელმან, რამეთუ შემნანებელისა მიმართ ქმნილთაჲსა არა მიერცა ბოროტად ქონებასა ეტყოდა მას. და ნათას! ვიდრემე, ამათი მწინაწარმეტყუელებელი მეფისაჲ, სახილ თვსად წარვიდა.

4)* ხოლო ურიაჲს ცოლისაგან ქმნილსა დავიდისდა სენი ბოროტი მოუვლინა საღმრთომან, რომლისათჳს შექმუნებულმან მეფემან საზრდელი ვიდრემე შვდთა დღეთა, და ამას თანა იძულებულმან თვსთაგან, არა მიიღო. ხოლო შავსა გარემომდებელი სამოსელსა, დავრდომილი ქუეყანად, ძიძასა ზედა მდებარე იყო, მევერებელი ღმრთისაჲ ძისა ცხოვრებისათჳს, რამეთუ ფრიად უყუარდა დედაჲ მისი. და მეშვდესა შინა დღეთასა, აღსრულდა რაჲ ყრმაჲ, არა მკადრე იყენეს მსახურნი უწყებად ამას მეფისა, გულსმსიტყუეველნი, ნუსხადა, მცნობელი, მერმეცა უმეტეს განეყენოს საზრდელსა და სხუასა მოურნეობასა გლოვითა შეილისა აღსრულებულისაჲთა, ოდეს დასნეულებსათჳსცა თავსა თვსსა ესრეთ ძვრხილულ ჰყოფდა. ხოლო შფოთებდეს რაჲ მსახურნი, აგრძნა მეფემან და თანად მენებელთაგან, რომელნი შეემთხუევიან, უფროასლა დაფარად მნებებელთა. და იგულისკმისმოფელი, ვითარმედ მოკუდა ყრმაჲ და კმამყოფელი ერთისა მონათაგანისაჲ, მსწავლელი ქემმაროტი-საჲ აღდგა და განბანილი და მიმღებელი სამოსლისა სპეტაკისაჲ, კარავსა ღმრთისასა მიიწია. და მბრძანებელმან საზრდელსა წინადადებად მისდა, ფრიადი საკვრეველსა საქმესა ზედა ნათესავთა და მონათა ვანკროთმაჲ მისცა, რამეთუ არცა ერთისა/სნეულსა ყრმასა ზედა მოქმედმან, ყოველნი ერთბამად ალსრულებულსა ზედა იმოქმედნა. და მიზეზსა მოქმენე იყენეს ცნობად და პირველ მათდა უწყებად მიზეზსა ქმნილთასა თქუმად ევედრებოდეს. ხოლო იგი ასწავებდა მათ უსწავლელთა, მეტყუელი, ვითარმედ მერმესცა ცხოვრობასა ყრმისასა მქონებელი სასოებასა ცხოვრებისათჳს მისისა, ჭეროვნად იქმოდა ყოველთა, მექუელი ამათ მიერ სახიერ-ყოფასა ღმრთისასა. ხოლო ვინამთგან მოკუდა, არცა მერმეცა არს საკმარებაჲ მწუხარებისა ცუდისაჲ. ესენი რაჲ თქუნა, აქეს სიბრძნე და გონიერებაჲ მეფისაჲ. ხოლო თანმისრულმან ევერსავის თანა, ცოლსა, უძღებ-ქმნა იგი და წულსა ყრმასა, ქმნილსა მისგან, სალომონად სახელ-სდგა, ესრეთ ბრძანებითა ნათან წინაწარმეტყუელისაჲთა.

5)1* ხოლო იოავოს ქალაქოვრებითა ამმანიტელთა ძლიერად აპირებდდა. და წყალთაგან კუებულ ყვნა იგინი და სხუათაცა ღონიერობისაგან, ვიდრელა ფრიად მოუძღურდა ნაკულუეკენებითა სასუმელისა და საზრდელისაჲთა, რამეთუ მცირედსა ჭურღუმულსა კმა-იყოფდეს და საუნჯესა, რაჲთა არა სრულიად მოაკლდეს მათ წყალი, უმდიდრესად მკუთმეველთა. და მიწერნა ესენი მეფისა, მალეწყებელმან და მვედრებელმან მისლისა მისისამან ჰყრობასა ზედა ქალაქისასა, რაჲთა ძღვევაჲ მისი თვსად წარიწეროს. ესენი რაჲ მიწერნა იოავოს, მიმთუალველი მეფე სიყუარულისა და სარწმუნოებისაჲ და მიმყვანებელი მის თანამსა ძალისაჲ, მივიდა რამათამსა განფხურასა ზედა და, ძლიერებით მპყრობელმან, დატაცებად მკედართა უტევა. ხოლო თვთ ამმანიტელთა მეფისა გვრკვნი მიიღო, მქონებელი ოქროსა ტალანტსა და პატონისისა ქვისასა, საშუევალ მქონებელი სარდონჯქსა. დაებურა იგი მარადის თავსა მისსა დავიდის. ხოლო სხუანი მრავალნი ნატყუენანენი, ბრწყინვალენი და მრავ-

1 ნათანის QS, Ndმად 718. 2 ნატყუენანენი.

* II მეფ. 12,15; 12,24. 10 II მეფ. 12,26; I ნეშტთ. 20,1.

0 ქრისტე, შეწყალე დო.

ვალფასისანი, პოვნა ქალაქსა შინა. და მამაკაცი, მტანჯველმან, განხრწნა, ხოლო ესენი სხუათაცა ქალაქთა ამმანიტელთასა უყვნა, მპყრობელმან მათმან ძლიერებით.

თ. 8.

1)* ხოლო უკუნ-იქცა რამ იეროსოლკმად მეფე, ცოდვაჲ ესევეთარისა მიზეზისაგან შეემთხვა სახლსა მისსა: ასული იყო მისა ქალწული ვიდრემე მერმეცა, ხოლო სიკეთითა შეუნიერი, ვიდრედა ყოველთა დედაკაცთა უშუენიერესთა გარდამატებულ იყო სახითა, თამარა სახელით, ხოლო მისვე დედისა ზიარებული ავესლომოსსა. ამისი, პირმშოჲ დავიდის ყრმათაჲ, ამნონ, ტრფიალებული, ვითარ არა შემძლებელ იყო მიმთხუევად წადიერებასა თვისსა ქალწულებიანთჳს მისისა და დაცულებიანსა, ბოროტად მდებარე იყო და თანად სხეული მისი მწუხარებისაგან შემქმელისა განილეოდა და ფერი ეცვალებოდა. და ცხად-იქმნა ამათი მგნებელი იონათი ვისმე, მოყუარისა და ნათესვისა, ხოლო ბრძენ იყო ესე ფრიად და გონებითა მახვლ. და მხედველი უკუე ამნონისი¹ თითოეულსა განთიადსა არა ბუნებისაებრ სხეულისა შქონებელსა, მოსრული ჰკითხვიდა თქუმად მისდა მიზეზსა, მსგავსებად ვიდრემე ეტყოდა იგი ტრფიალებითისა გულისთქუმისაგან ესრეთ ქონებასა მისსა. ხოლო ამნონ აღიარა რად ვნებაჲ,¹ მიმთხუევად სასურველთა, რამეთუ ასწავა სნეულებასა ჩემებაჲ და უბრძანა, რამთა მოსრულსა მამასა მისა მიმართ ევედროს მივლინებად დასა მისა მიმართ მსახურებად მისა, რამეთუ უმჯობეს იქმნეს და მაღიად იკვალოს სნეულებიანსა.

ესე რად იქმნა, მწოლარე სარეცელსა ზედა ამნონ სნეულებასა იჩემებდა მცნებათაებრ იონათისთა. და მოიწია მამად მისი ხილვად, ვითარ აქუს. ხოლო იგი ევედრებოდა წარვლინებად / დასა მისა მიმართ. და მან მეყუსეულად ბრძანა მიყენებაჲ. და მოსრულსა უბრძანა პურთა ქმნად მისდა ტაფამწუართაჲ, თუთ მოქმედქმნილსა, რამეთუ უგემონეს მიილოს ჳელთა მისთაგან. ხოლო მან, სახედველსა წინაშე ძმისასა აღმსურელმან ფქვილისამან და აღმზელელმან კოლვკრიდათამან, რომელ არიან პურნი მცირედნი წმიდანი, და ტაფით მწუეველმან, მიართუა მას. ხოლო მან მაშინ ვიდრემე არა იგემა, არამედ უბრძანა მონათა ჳმნად ყოველთა წინაშე სახლისა, რამეთუ ეგულების განსუენებაჲ განთავისუფლებულსა შფოთისა და ამბოხისაგან. ხოლო ვითარ ბრძანებულ იქმნა, უბრძანა დასა უშინაგანესსა სახლსა შინა მისსა მიღებად მისდა საზრდელსა. ხოლო ქალმან ქმნა რად ესე, მპყრობელი მისი მოსწრაფე იყო რწმუნებად თანა-ყოფასა მისდა. და ყრმამან უკუე, კმამყოფელმან, „არამედ ნუ შენ მიძღვლებ მე ამას, ნუცა იუსკულოვებ, თქუა, ძმაო, სკულთა გარდასრული და ნუ ბოროტსა ცდემასა შინა შთააგდებ თავსა შენსა. ხოლო დასცხერ ესრეთ უსამართლოსა და ბილწისა გულისთქუმისაგან, რომლისა მიერ ყუედრებაჲ და უშუერებაჲ სახლმან ჩემმან მოიგოს.“ და თანად განაზრახებდა ამისთჳს თხოობად მამისა, რამეთუ მიუტეოს მან. ხოლო ამათ იტყოდა. მნებებელი მიმართვასა გულისთქუმისა მისისასა მაშინ ჳანლტოლვად. არამედ იგი ირწმუნებდა²; ტრფიალებისა და ვნებისა საწერტელთა მიერ წყლული,

¹ ამნონისი AQ.

* II მეფ. 13,1; 13,8. ¹ ვნებაჲ+ძე: ἡς ძმესფჳς ἐπὶ τρυφᾶσιν ὁμοπατριᾶς. ὁμοπατριᾶς καὶ μητρῶν ἐἴς τὸ παρεχόμενα 7,85; S:...ტრფიალებისა ვნებაჲ დასა მიმართ თვისსა, შობილსა მის თანა ერთისა მამისაგან, მაშინ იონათან ასწავა... ² * ბ' ობ პელმეჲჲ 7,109 (=არა ირწმუნებდა).

და აიძულა დასა. ხოლო შემდგომად სიძვისა მეყუსეულად სიძულილი შევი-
და ამნონისა და მაგინებელმან უბრძანა აღდგომილსა წარსლვამ. და იგი უკუე
ამისათეს უდარესად გინებად შწოდებელ იყო, უკუეთუ მან, მაიძულებელმან,
არცა მიმწუხრადმდე უტეოს¹ დადგრომად, არამედ მეყუსეულად წარსლვად
უბრძანებს დღესა შინა და ნათელსა, რამთა და მოწამეთაცა სირცხვისათა
შიემთხოვს. ხოლო მან უბრძანა მონასა განდევნა მისი. და იგი უკუე, ტვი-
ნეულქმნილი გინებისათეს და იძულებისა, გაეგომხეთქელი სამოსლისაი,
რამეთუ ემონსიან ქალწულთა დასაბამად კელთშეკრულნი სამოსელნი ვიდრე
კოჭთადმდე არა ხილვისათეს, და ნაცარსა დამსხმელი თავსა ზედა, წარვიდა
საშუვალ ქალაქისა, მკმობელი და მგლოველი იძულებისათეს. ხოლო შემთხუ-
ეული მისდა ძმამ ავესალომოს ჰკითხვიდა, რომლისა ბოროტისა შემთხუეო-
თა მისდა ესრეთ მქონებელ არს. და მან რამ თქუა მისა მიმართ, სიმშვიდით და
მყუდროებით მოთმენასა ნუგეშინის-სცემდა და არა გინებად მექუელობასა,
ამისა მიერ განხრწნილსა. და, რწმუნებული, დასცხრა კმობისაგან და მრავალ-
თა მიმართ იძულებასა განდებისაგან და მრავალსა ეამსა, დაქუერივებული, ავე-
სალომოს თანა, ძმასა, დაადგრა.

2)* ხოლო ამისი მცნობელი მამამ დავიდის მოქმედებულთა ვიდრემე ზე-
და მწუხარე იყო, გარნა, მმყუარობი ამნონისი, რამეთუ პირშმოა ძე იყო მი-
სი, იიძულებოდა არა შეწუხებად მისა. ხოლო ავესალომოს სძულდა იგი
ფრიად და ფარულად ეამსა შურისგებისა მისისასა მარჯუესა სცივიდა ცოდვა-
სა. და წელი უკუე აწლა მეორე დისა მისისა ნაცოდვებთა წარჯედა. და მეუ-
ლებელი თესთა ცხოვართა პარსევისა მიმართ წარსლვად ველსეფონს, ევედრა
მამასა ძმთა თანა მისლვად მისა მიმართ სერობად. ხოლო მან ვინაითგან იჯ-
მნა, რამთა არა მიძიე იქმნას მისდა, ძმთა წარვლინებად ევედრა. და წარავლინ-
ნა რამ, ავესალომოს უბრძანა თესთა, რაეამს იხილონ ამნონ მთრავლობითა
დაქსნილი და დაბუშებული, წამს-უყოს რამ მან, რამთა მოკლან², არცა ერთი-
საგან შეშინებულთა.

3) ხოლო ვითარ ქმნეს ბრძოლათა ზედა, მიიღებოდეს მამისა მიმართ. დამ-
წრობე/ლმან ვინმე მათმან ყოველთა ავესალომოს მიერ მოკუდინებაჲ მიუ-
თხრა მამასა. ხოლო მან, ვითარ ყრმთა ზედა ერთბამად ესოდენტა წარწყმე-
დებულთა და ამას თანა ძმისაგან, გულისმსიტყუველობისათეს, ვინაითგან მწუხა-
რება შემძლებელ იყო ქმნილსა უმწარეს-ქმნად მკლველისა ძლით, თანაღტა-
ცებულმან ვნებისამან არცა მიზეზი გამოიკოთხა, არცა სხუასა რასმე სწავ-
ლად მომლოდე იყო, ვითარ ჯერ-არს ესევითარისა ბოროტისა მითხრობასა ში-
ნა. და გარდამატებულებისათეს ურწმუნობასა მქონებელისა, არამედ განმხეთ-
ქელი სამოსლისაი და დამგდებელი ქუეყანასა ზედა თავისაი, მდებარე იყო,
მგლოველი ძეთა ყოველთაი, და სიკუდილადცა უწყებულთაი და მომაკუდი-
ნებელისაი³. ხოლო სამამსა, ძმისა-მისისა, ყრმამ იონათის აღმოსლვად მწუ-
ხარებისაგან ევედრებოდა და სხუათათეს ვიდრემე არა რწმუნებად, ვითარ-
მედ მოიკუდინნეს, რამეთუ არცა მექუელ არს მიზეზსა პოვნად, „ხოლო ამნო-
ნისთეს განხილვამ ჯერ-არს, თქუა, რამეთუ შესატყვის თამარაის გინებისათეს
შეკადრებამ ავესალომოსი მოკუდინებისა⁴ მიმართ მისისა“. ხოლო შემდგო-
მად ბეგრამან ცხენთამან და შფოთმან ვიეთმე მომავალთამან დაწყნარებულ
ყვნა ივინი. ხოლო იყვენეს ყრმანი მეთვისანი, ლტოლვილნი სერობისაგან. და მიე-

1 უბრძანის უტეოს AQ. 2 მოკლან A. 3 მოკლინებაჲ. 4 მოკუდინებისა.

* II მეფ. 13,21; 13,29.

გება მათ მამა, მგლოველთა მკმუნვარე და გარეშე სასოებისა მხედველი, რომელნი მცირედ უწინარეს წარწყმედილად ესმნეს მას. ხოლო იყვნეს ყოველთა შორის ცრემლნი და სულთქუმა, რომელთა ვიდრემე ვითარ ძმისა აღსრულებისათვის, ხოლო მეფისა, ვითარ ყრმისა მოკუდინებულისათვის. და ავესალომის უკუე ივლტოდა გესსურად, პაპისა მიმართ მისისსა დედით და მის სოფელისა მძღავრისა და სამთა ყოველთა წელთა მის თანა დაადგრა.

4)* ხოლო დავიდის წინააღრჩევად აქუნდა ძისა ავესალომოს მოწოდებისა არა სასჯელად მოსლვადისა, არამედ რაათა იყოს მის თანა და რამეთუ რისხვისა ძლითნი ეამისა მიერ დაცხრომილ არიან. და ამის მიმართ უფროდსა მკედართყვანებელი მისი იოავოს წარჰმართებდა, რამეთუ დედაკაცი ვინმე, აწლა პასაჟსა გარდასრული, ქმნა მისლვად მისა მიმართ, სახითა მგლოვარისაათა, ვითარმედ ყრმანი, უგუნურებისა მიერ!* განშორებულნი მისგან და ჯდომად მიდრეკილნი და არცა ერთისა ვის დამშვდებად შემძლებელისა აღჩენილობითა, იტყოდა ერთისაგან სხუასა, წყლულსა, მოკუდინებულად. და ევედრებოდა თანმონათესავეთაგან, მომაკუდინებელსა! ზედა მიმართებულთა და მეძიებელთაგან მოკლვასა მისსა, მინიებად მისდა ცხორებასა ყრმისასა და მერმეცა ნეშტთა სიბერესა შინა მზრდელობასა სასოებათა მიღებად მისგან. ხოლო ესე მიანიჭოს მას, დამყენებელმან მნებებელთამან ყრმისა მოკუდინებისაგან², რამეთუ არა იპყრნეს იგინი სხუამან რომელმანვე მოსწრაფებამან, გარნა თუ მის მიერმან შიშმან. ხოლო ვინათგან ლმობიერ იქმნა იგი, რომელთათვის ევედრებოდა დედაკაცი, მიმგებელმან კუალად მეფისა მიმართ — „მადლი ვიდრემე, თქუა, აწ შენსა სახიერებასა, შემწყალებელსა სიბერისა ჩემისასა და კნინდა უშვილოებისასა. არამედ რაათა მტკიცენი შენისა კაცთმოყუარებისა მიერნი იყვნენ ჩემდა, პირველად შენსა დაეგე ყრმასა და მის მიმართი რისხვად დაუტევე, რამეთუ ვითარ ვირწმუნო შენი მოცემად ჩემდა ქეშმარიტად ამას მადლსა, თვთ შენსა ვიდრე აქამომდე სიძულილსა ყრმისასა მსგავსთავე ზედა? ხოლო სრულიად უგუნურება არს ზედდართვად სხუას ნებისთ, გარეშე განზრახვისა ძისა სიკუდილსა ზედა“. და გულისკმა-ყო მეფემან განზრახულად მყოფი მოგონებამ იოავოს მიერ და ამისისა მოსწრაფებისა და ვინათგან მოხუცებულასაგანცა ესრეთ ქონებამ ქეშმარიტისა ისწავა. და მომწოდებელი იოავოსი, / მიმთხუეცასა წინამდებარისასა გონებისაებრ ეტყოდა და ავესალომოს მოყვანებასა უბრძანებდა, რამეთუ არღა მერმეცა ბოროტად მქონებელ არს მისა მიმართ, არამედ აწვე რისხვად და გულისწყრომად უტევებიეს. ხოლო იგი, თაყუანისმცემელ მეფისა, წარემართა გესსურადმი მეყუსეულად და ავესალომოს მიმყვანებელი მივიდა იეროსოლკმად.

124°

5)² ხოლო წინა-წარავლინა მეფემან, ვითარცა ესმა მოსლვად ძისა, და თავად თვსად წარსლვად უბრძანა, რამეთუ არა ესრეთ მქონებელ არს, ვითარმცა შეყუსეულად იხილა მოსრული. და მან ვიდრემე, ესრეთ ბრძანებნი საებრ მამისა, მიპრიდა სახედველსა მისსა და მყოფ იყო თვსთა მიერსა მსა-

1 მომაკუდინებულსა. 2 მოკუდინებისაგან.

* II მეფ. 13,39; 14,1. 1° ზეც ძყოილად 7182 (=1) სოფლური ყოფა; 2) სოფლური უგუნობა, უცულტურობა. ამ კონტექსტში საპიროა პირველი მნიშვნელობა: „მინდროში მუშაობისას“).

2° II მეფ. 14,24; 14,29.

• მოკლვასა.

ხურებასა მიმთხვეული. ხოლო არა ვნებულ იყო სახითა მწუხარებისა მიერ და არა მიმთხვევისა შესამგავსსა მოურნეობასა მეფისა ძისასა, არამედ მერმეცა ზეშთა აქუნდა და შეენიერ იყო ყოვლითა სახითა და სიდიდითა სხეულისადათა და მრავალთა შეებასაცა შინა ზრდილთა უმჯობეს იყო. ესოდენი ვიდრემე იყო სიღრმე თმისაჲ, ვიდრელა ძნიად, ვიდრე რვათა დღეთა შინა აღჰპარსეს იგი, საწონსა მზიდველი ორასთა სიკლოთასა, ხოლო ესენი არიან ხუთნი მნანი.

იქცეოდა ვიდრემე იეროსოლჰმათა შინა წელთა ორთა, სამთა წულთა მამაქმნილი, ხოლო ერთისა ასულისაჲ, სახითა რჩეულისაჲ, რომელი სალომონისაჲს ძემან, როვამოს, უკუანამსკენელ მიიყვანა. და იქმნა მისგან ყრმაჲ, ავიას სახელით. ხოლო ესე ავესალომოს, წარმავლენელი იოავოსს მიმართ, ევედრებოდა მას სრულიად დამშვდებასა მამისასა და მოქენობასა, რაჲთა მისრულსა მისსა მიმართ შეუნდოს მას ხილვაჲ და თანად სიტყვისებაჲ. ხოლო უგულუბელს-ქმნა რაჲ იოავოს, წარმავლენელმან ვიეთმე თესთაგან, მახლობელად მყოფი ადგილი მისი მოწუა. და ისწავა რაჲ ქმნილი იოავოს, მივიდა და ავესალომოსს მიმართ, მებრალბელი მისი და მიზეზსა გამოჰკითხველი. ხოლო მან — „ესე გზაჲ თქუა, ვკოვე, შემძლებელი მოყვანებასა შენსა ჩუენდა ნომართ, უგულუბელსმქმნელსა მცნებათასა, რომელთა, რაჲთა მამასა დამაგო მე, ვიქმოდი. და გვედრები შენ, აქა მყოფსა, დამშვდებასა ჩემდა მშობელისასა, რამეთუ მე უძკრესად ლტოლვისა ესეი შთამოსლვასა მერმეცა მამისა რისხვასა შინა დადგრომილობისათჲს“. ხოლო იოავოს, მრწმუნებელი და შემწყნარებელი ჰირისა მისისაჲ, შეუვადგომელ იქმნა მეფისა მიმართ და სიტყუამყოფელმან მისა მიმართ, ესრეთ მხიარულ-ყო, ვიდრელა მეყუსიულად მიუწოდა მისა მიმართ. ხოლო იგი, დამავდებელი თავისაჲ იატაქსა ზედა და შენდობასა მთხოველი ნაცოდებთათჲს, თანად აღადგინა და ქმნილთათჲს უმოკსენებობაჲ აღუთქუა^ა.

თ. 9.

1)* და ავესალომოსს უკუე, ესევეთარნი რაჲ შეემთხვნეს მამისა მიერ, მრავალნი ვიდრემე ცხენნი, ხოლო მრავალნი ეტლნი მცირედსა ეჰმსა შინა მოიგნა და საპურველთა-აღმღებელნი იყენეს მისა ორმოცდაათნი. ხოლო თითოეულსა დღესა, განთიად, სამეფოთა მიმართ წარვიდოდის და სასჯელად მოსრულთა და ზღვეულთა სიტყბოებით მზრახველი, ვითარ არა ყოფისათჲს მამისა მისისა სახიერთაგან განმზრახთა, წანდვლ სადმე მისდა და უსამართლოდ მცოდნელთანი არიან სჯასა შინა. და ესრეთ მისდა სიყუარულსა შეჰმზადებდა ყოველთა მიერ, მეტყუელი, ვითარმედ უკუეთუმცა თვთ აქუნდა ესე კელმწიფებაჲ, მრავალიმცა მიანიჭა მათ გონიერებაჲ. ამათ მიერ ერის მყვანებელი სიმრავლისაჲ, აწვე ფრად მტკიცედ ქონებასა სიმრავლეთა მიერისა სიყუარულისასა ჰგონებდა. ხოლო შემდგომად დაგებისა მამისა მისისა თანა ოთხნი რაჲ წელნი წარსრულ იყვნეს, აწდა მასრული ევედრებოდა გვირონად წარს/ლისა მიტევებასა მსხუერპლსა შეწირვად ღმრთისა, რანეთუ ლტოლვილმან აღუთქუა მან. ხოლო დავიდის ვინაჲთგან ვედრებდა მიუტევა, წარვიდა. და მრავალი ერი შემოკრებებოდა მისა მიმართ, მრავალთა მიმართ წარვილენითა მისითა მწოდებელთა.

* II მეფ. 15,1

ა ქ გათავდების.

2)* ხოლო მოვიდა და დავიდის თანგანმზრახიცა, გელმონელი აქიტო-
ფელო, და ორასნი ვიდრე იეროსოლჳმათაგან, უმეცარნი ჳელყოფისანი, არა-
მედ ვითარ მსხუერპლისა მიმართ მიწოდებულნი. და შეფედ ყოველთა მიერ
განჩინების, ამისდა ქმნად მოსწრაფე. ხოლო ვითარ მიეთხრნეს ესენი დავიდის
და გარეშე სასოებისა ყრმისა ძლითნი ესმნეს მას, შეეშინა ერთბამად უსჯუ-
ლოებისათჳსცა და კადრებისა მათისა განკვრეებულსა, რამეთუ არცა ნაცოდ-
ვებთა ზედა შენდომისაა მოიქსენა, არამედ ფრად უძკრესთა მათგან და უუს-
ჯულოესთა ზედამრთველ იქმნა. პირველად მეფობასა ზედა ღმრთისა მიერ
მოცემულსა, ხოლო მეორედ — მიღებასა მშობელისაგან. და აგრძნო ღტოლ-
ვაჲ წილ იორდანოსა და მიმწოდებელი უსაკუთრესთაჲ მოყუარეთაგან და
ყრმისა უგუნურებისათჳს მათ თანა ზოგად სიტყუამყოფელი და ყოველთა-
თჳს მსჯელად ღმრთისა განმაჩენელი, დამტევებელი სამეფოთაჲ დაცვად ათთა
ხარჳთა მიერ, წარვიდა იეროსოლჳმათაგან, თანად სხუადცა სიმრავლე წარვი-
და მის თანა და ექუსასნი ჳურვილნიცა, რომელნი ეზიარებოდეს მას და პირ-
ველსაცა ღტოლვასა, რაჳამს ცოცხალ იყო საულოს¹. ხოლო ავიათაროსს და
სადოკოსს, მღღელთმთავართა, მის თანა წარსლვად მნებებელთა, და ლევი-
ტთა ყოველთა კიდობანისა თანა დადგრომაჲ არწმუნა, ვინათგან ღმერთმან
იქსნეს იგინი და არა მიღმოდებასაცა მისსა შინა. ხოლო ამცნო თითოეულ-
თა ქმნილთაჲ ფარულად უწყებად მისდა. აქუნდა უკუე ჰარწმუნონი² ყოველ-
თა მიმართ, მსახურნი ყრმანი — აქიმონ ვიდრემე სადოკოესი და იონათის ავი-
ათაროესი. ხოლო ეთის გიტტელი მის თანა წარემართა, მძლეველი დავიდის
განზრახვისაჲ, რამეთუ დადგრომად აიძულებდა მას და ამისთჳს უფროესდა
საყუარელ მისა გამოჩნდა. და ავიდოდჳ რაჲ იგი მთისა შორის ზეთისხილ-
თაჲსა³ შიშულითა ფერკითა და ყოველნი მის თანანი ცრემლოოდეს, მიეთხ-
რა აქიტოფელოესიცა ავესსალომოსა თანა ყოფად და მის ძლითთა ბრძოლაჲ
და ზედ-დატროს მას მწუხარებაჲ ამისმან სმენამან. და ევედრებოდა ღმერთ-
სა, მოქენე უტხო-ქმნად ავესსალომოს³ გონებასა აქიტოფელოესგან, რამეთუ
ეშინოდე, ნუსადა და წინააღმდეგომთა განმაზრახებულმან არწმუნოს მას, გო-
ნიერად მყოფმან და გულისკმის-ყოფად უმჯობესისად მახვლმან. ხოლო ვი-
თარ ზედა კერძო იქნა თხემსა მთისასა, ხედვიდა ქალაქსა და მრავალთა ცრემ-
ლთა თანა, ვითარ მეფობისაგან განვრდომილი, ევედრებოდა ღმერთსა. და შე-
ემთხვა მას მოყუარე მამაკაცი და სარწმუნოჲ, ზუსის სახელით. ესე იხილა
რაჲ, განმხეთქელი სამოსლისაჲ და თავსა ნაცრითა აღსავსისაჲ და მგლოველი
ცვალებისაჲ, ნუგეშინის-სცემდა და დაცხრომად მწუხარებისაგან ევედრებო-
და და დასასრულად უბრძანა წარსლვაჲ ავესსალომოს მემართ, ვითარ მის
ძლითთა მბრძნობსა და საიდუმლოთა გონებისა მისისათა გამოკულებად და
აქიტოფელოეს განზრახვათა მიმართ ნაცვალმოქმედებად, რამეთუ არა ესოდენ-
სა საზრგებელ ექმნნეს იგი / თანამავალი, რაოდენ მის თანა მიწვენილი. და იგი
ვიდრემე, მრწმუნებელი დავიდისი და დამტევებელი მისი, მივიდა იეროსო-
ლჳმად, ხოლო მიიწია მუნ შემდგომად არა მრავლისა და ავესსალომოსცა.

3)* და მცირედი წარველო რაჲ დავიდისს, სივას, მემფივოსთოჲს მონაჲ,
მოეგება, რომლისა განმგებელად წარველინა მონაგებთა, რომელნი მიენიჭნეს
იონათის, საულოეს ყრმისა ძისათჳს, ორთა თანა კარაულთა აღტკრთულთა
საკმარებითა, რომელთაგან ბრძანა მიღებამ, რომელთა მოქენე არიან თანად

¹ საულოს. ² სრწმუნ AQ. ³ ავესსალომოს.
• II მუჳ. 15,12, ^{1*} -თმ 'E:α:δω:αι: θ:ρ:ο:υ:ς 7:20:2 (გეოგრ. სახელი თარგმნილი). ^{2*} II მუჳ.
16,1.

იგი და მის თანაჲნი. ხოლო მკითხველსა, სადა დაუტყუებოეს შემფიჯოსთოს, იეროსოლჳმათა შინა ეტყუოდა, მომლოდელ მეფედ ჳელთდასხმისაჲ შფოთისა ძლით, რომელი არს საჳსენებელად შათდა, რომელნი კეთილ-უყუენა მათ საულოს. და განრისხებულმან ამისთვის ყოველნი, რაოდენნი მიეტყუენეს შემფიჯოსთომსთვის, სივას მინაიჳნა, რამეთუ ფრიალ უმართლესად ამისა მისგან ჳონებამ საჳა მათი. და სივას¹ ვიდრემე მხიარულ იყო.

4)* ხოლო დავიდის მიიწია რაჲ ხორანოს ადგილსა, ესრეთ წოდებულსა, ზედ-მოუვიდა მას საულოჲს ნათესავი, სემეის ვიდრემე სახელით, ხოლო ძე გირაჲსი. და ჳეთა ესროდა მას და ბოროტის-მეტყუელებდა. ხოლო გარემოადგეს რაჲ მოყუარენი და ზედვიდეს, მერმეცა უფროჲსლა სემეის მგმობელი იყო, მოსისხლედ და მრავალთა ბოროტთა მთავრად მწოდებელი. ხოლო უბრძანებდა და ჳუეყანისგანცა, ვითარ საძაგელსა და საწყეველსა, განსლვად და ღმრთისა მიმართ მადლობასა ჳონებად აღიარებდა, რომელმან მიულო მას ჳონებამ მეფობისაჲ და თვისისა ყრმისა მიერ მიჳჯადა მას სასჳელი მათთვის, რომელნი ცოდნა თვისისა მეუფისა მიმართ. ხოლო ვინაჲთგან ყოველნი რისხვისა მიერ აღიძრვოდეს მის ზედა და უფროჲსლა ავესსეოს, მოკუდინებამ² მნებებელი სემეისი, დავიდის დააყენა იგი რისხვისაგან. „ნუსადა, თჳუა, აწინდელთა ბოროტთა ზედა სხუად უახლესი მიზეზი დავჳრთოთ, რამეთუ არა მყეფარისა ამის ძალისაჲ სირცხვისი რომელიმე ანუ კლემამ მოვალს ჩემდა, არამედ ღმრთისა მორჩილ ვარ, რომლისა მიერ მოჳოვენებულ იჳმნა ესე ჩემ ზედა. ხოლო საკვრველ არცა ერთი ამის მიერ ენებამ ჩემი, ამათისადა და ყრმისადა უსჳულოჲსა მიმთხუეულ ვარ. არამედ იყოს სადვე ნანდვლ რაჲვე წყალობამ ჩუენდა ღმრთისაგან და ესძლოთ მტერთა, ინებოს თუ მან“. ვიდოდა უჳუე გზასა, არად შემრაცხელი სემეისი, იმიერ მავლისაჲ სხუასა კერძოსა მთისასა და მრავლად ბოროტისმეტყუელისაჲ. ხოლო მიიწია რაჲ იორდანესა ზედა, მიიყუენნა მუნ თვისნი დამაშურალნი.

5)¹ და ვინაჲთგან უჳუე ავესსალომოს და აჳიტოფელოს, თანგანზრახნი, მიიწინეს იეროსოლჳმად ყოვლისა ერისა თანად, დავიდის მოყუარეცა მივიდა მათდა მიმართ და. თაყუანისმცემელი მისი, ჳლოცვიდა მეფობასა საუჳუნოდ და ყოველსა ჳამსა გებად. ხოლო მან ვინაჲთგან თჳუა მისა მიმართ, რაჲსათვის სადმე მოყუარედ მამისა ჳმნილი უმეტეს და ყოველთა შინა სარწმუნოდ საეჳჳ არა მის თანა არს, არამედ დამტევებელი მისი გარდასრულ არს მისა მიმართ, სიმარჳეთ და ბრძნად მიუგო, რამეთუ თჳუა, ვითარმედ „შედგომამ ჳერარს ჩემი ღმრთისაჲ და სიმრავლისა ყოვლისაჲ. და ესენი ვინაჲთგან შენ თანა ჳმნილ არიან, მეუფეო, ჳეროვნად ვიყო მეცა შენ თანა, რამეთუ მეფობამ მიგიღებოეს ღმრთისაგან. ესევე ვიდრემე სარწმუნოებამ და სიყუარული ვაჳუენო, რწმუნებულმან სიყუარულსა ჳონებად, რომელსა მეცნიერ ხარ ჩემგან მინიჳებად მამისა შენისა. ხოლო მწუხარებამ არა / ჳერ-არს აწ მყოფთა ზედა, რამეთუ არა სხუად სახლად გარდავიდა მეფობამ, არამედ მასვე ზედა დადგარომილ არს, ძისა მითუალვითა“. ამათმან მეტყუელმან არწმუნა, რამეთუ საეჳჳ აჳუნდა იგი.

და მომწოდებელი აჳიტოფელოჲსი, განიზრახვიდა მის თანა, რაჲ ჳერ-არს თჳუემად. ხოლო მან განაზრახა ხარჳთა თანა მამისა მისისათა თანა-ყოფამ, „რამეთუ ამის მიერ მეცნიერ იჳმნეს ერი, მრწმუნებული შენი, ეტყოდა, ვი-

¹ სივას AQ. ² მოკდინებად.

* II მფ. 16,5. 1* II მფ. 16,15.

თარმელ დაუგებელ არიან შენ ძლითნი მისა მიმართ და მრავლისა თანა გულს-
მოდგინებისა აღიძვედრონ მამისა მიმართ, რამეთუ ვიდრე აქამოდღე საჩინო-
სა მტერობასა აღდებად მოშიშ არიან, მეკუთვლინი ჩუენისა ერთგანზრახვისა-
ნი¹. და მრწმუნებელმან განზრახვისამან უბრძანა მონათა კარავსა აღმართე-
ბაჲ მისდა სამეფოსა ზედა სიმრავლისა მხედველობასა და, შესრული, თანა-
ეყო ხარკთა მამისათა. ხოლო ესენი იქმნნეს ნათანის წინაწარმეტყუელებისა-
ებრ, რომელი, დავიდის მათუწყებელმან მერმისა მიერ ყოფადისა ზედდებისა-
ნან, უწინაწარმეტყუელა.

6)* და განზრახულთა მისდა აქიტოფელოჲს¹ მიერ მოქმედმან, ავესსა-
ლომოს მეორედ აღირსა მას განზრახვაჲ მამისა მიმართისა ბრძოლისაჲ. ხოლო
მან ბევრნი რჩეულნი სთხოვნა მას და მამისა მისისა მოკუდინებაჲ² და მის
თანათა ცოცხალთა მიყვანებაჲ აღუთქუა და მაშინლა მტკიცე-ყოფასა ეტყო-
და. არაარა ცხობრებდეს რაჲ დავიდის. და სათნო-უჩინდა განზრახვაჲ და მოუ-
წოდა ხუისისა, დავიდის მოყუარესა, რამეთუ ესრეთ უწოდდა იგი მას. და
აქიტოფელოჲს განზრახვისა მათუწყებელი მისდა, რაჲ და მისდაცა საგონებელ
არს მისთვის, ჰკითხვიდა. ხოლო იგი, გულისკმისმყოფელი, ვითარმედ იქმნენ
თუ, რომელნი განზრახნა აქიტოფელოს, იძულოს დავიდის, შეპყრობილი,
მოკუდინებაჲ³, წინააღმდგომსა განზრახვასა მოსწრაფე იყო მოღებად. რამე-
თუ არა უმეტარ ხარ, თქუა, ო მეფე, მამისა და მის თანამყოფთა სიმკნესა,
ვინაჲთგან და მრავალნიცა ბრძოლანი ჰბრძენნა და მარადის მძლეველი მტერ-
თაჲ უკუნ-იქცეოდის. ხოლო აწ ჯერ-არს მისი მკედრობასა თანა-ყოფად, რა-
მეთუ განმკედრებად ძლიერი არს და წინაწარგანხილვად სივერაგესა მომავალ-
თა მბრძოლთასა. ხოლო მწუხრად, დამტყვებელმან თესთამან, რომელთამე
ნაბრალთა შინა დაიძალოს ანუ კლდესა რომელსამე თანაშვირ იქმნეს. ხოლო
განწყყენენ რაჲ ჩუენნი, მისნი ვიდრემე მცირედ უკუნ-იქცენ და განმკნობილ-
ნი, ვითარ მეფისა მახლობელად მათ თანა ყოფისათვის, წინა-აღუდგენ. და
მბრძოლთა ამათ საშუვალ მამამან, გამოჩენილმან მეყუსეულად, რომელნიმე
შეჰმზადნენ მკნედ ჰირთა მიმართ, ხოლო შენნი განაკრთვნენს. და დადევ აწ
ჩემიცა განზრახვაჲ გონებასა შინა და ამათმან მცნობელმან კეთილად აქიტო-
ფელოჲს განზრახვისაგან იქმენ. ზოლო წარმავლენელმან ყოვლისა მიმართ
სოფლისა ევრაელთაჲსა, ამცენ მათ მამისა შენისა მიმართი მკედრობაჲ და
მიმყვანებელი თვთ ძალსა სამბრძოლოსა, იქმენ მკედართმყვანებელ. და ნუ
არწმუნებ ამას სხუასა, რამეთუ შენ, მქონებელი მრავალთა ბევრეულთაჲ,
ძლევესა მოელოდე მისსა ადვილად, უკუეთუ ჰპოვო იგი მცირეთა თანა, მენ-
და მიმართ მოსწრაფებასა და გულსმოდგინებასა ჩუენებად მნებებულთა. და
უკუეთუ მამამან შეიკრძალოს თავი ქალაქსა შინა, მანქანებათა მიერ და
მთხრებლთა და კნარცუთა დაეამყუათ ქალაქი იგი⁴. ამათი მეტყუელი სათ-
ნო-უჩინდა უმეტეს აქიტოფელოჲსს, რამეთუ განზრახვისა მისისაგან ამისი
უმჯობეს საჯა ავესსალომოს, რამეთუ ღმერთი იყო, რომელმან დაადგინა გო-
ნებასა ამისა შინა უმჯობეს-ყოფად საეკუთვლეობად ხუისის განზრახვისაჲ.

7)* და მოსწრაფემან მღდელთმთავართა მიმართ, სადოკოჲსა და ავითა-
126 რომსსა, მიუთხრა მათ აქიტოფელოჲს განზრახვაჲ და თვთ მისიცა და ვითარ-
მედ სათნო-უჩინს მის მიერ განზრახულთა მოქმედებაჲ. და უბრძანა წილ-
სლვაჲ იორდანესა, რაჲთა არა, შემნანებელი ყრბაჲ მისი, წარემართოს დეე-

¹ აქიტოფელოჲს. ² მოკუდინებაჲ. ³ მოკუდინებაჲ.

⁴ II მეფ. 17,1. ⁵ II მეფ. 17,5; 17,18.

ნად მისა და პირველ ვიდრე სიმაგრესა შინა ქმნადმდე წევნულმან იყრას. ხოლო მღვდელმთავარნი სიმაგრვთ გარეგან ქალაქისა მქონებელ იყვნეს ძეთა მალულად, რამთა წარიღებდენ დავიდის მიმართ მოქმედებულთა. და წარავლინეს უკუე სარწმუნოთა შვეელი მათდა მიმართ, მიძღებელი განზრახულთაჲ ავესსალომოსგან, და უბრძანეს მოსწრაფებით უწყებაჲ ამათი დავიდისა. ხოლო იგინი, არცა ერთსა მიმყოფრებასა და უღებებასა მოქმედნი, მიძღებელნი მცენებასა მამათასა, კეთილნი თანად და სარწმუნონი მსახურნი იქმნეს და მსახურებისა მოსწრაფებასა და სიმახვლესა მსჯელნი უმოკბესად მოსწრაფე იყვნეს მისლვად დავიდის მიმართ. ხოლო ვითარ განწორნეს იგინი ქალაქისაგან სტადიონითა ორითა, იხილენეს, რბიოდეს ვიეთნიმე ცხენოსანნი და შეასმინნეს მეფისა მიმართ ავესსალომოსა. მიდრეკილთა გზისაგან მეყუსეულად დაბასა რომელსამე, არა შორს იეროსოლკმათაგან, თავნი თვისნი მისცნეს, სახელი დაბისაჲ ვოჯბურის, და დედაკაცსა რომელსამე ევედრნეს დაფარვად და მიჩიებდნ მათდა სიმტკიცესა. ხოლო მან შთაუტყვენა ქაბუჯნი მღვმედ და ფიქალნი ზენა კერძო მიწათაგან დაპბურნა. და ვითარ მოვიდეს მეძიებელნი მათნი და იკითხვიდეს მათთვის, უკუეთუ უხილვან, ხილვასა ვიდრემე არა უჯარ-ჰყოფდა, არამედ მისა მისრულთა კუალად წარსლვასა და უკუეთუ მალიად დევნა-უყონ, ჰყრობასა მათსა ეტყოდა. ხოლო ვითარ მრავლად მღვენელნი არა ეწინეს, უკუნ-იქცეს მართლუქუნ. და დედაკაცმან უკუე, მხილველმან არცა ერთსა შიშსა ყოფად მათგან ქაბუჯთათვის, აღმოწყვანებელმან, წინამდებარესა გზასა სლვაჲ უბრძანა. და მრავალსა მოსწრაფებებასა და სიძალესა მკუმეველნი გზასა ზედა მივიდეს დავიდის მიმართ და ყოველივე მოწულილებით აუწყენს მას ავესსალომოს მიერ განზრახულნი. ხოლო მან განსლვაჲ იორდანოსსაჲ უბრძანა მის თანათა აწლა ლამისა მყოფობასა და არა მკონარე-ქმნაჲ მის ძლით.

8) ხოლო აქიტოფელოს, ვინამთგან განზრახვაჲ მისი უკმარ-იქნინა, აღსრული პირუტყვისა ზედა, წარემართა ლალიდ, მამულად თქსად. და მომწოდებელმან ნათესავთა ყოველთამან, მიუთხრნა მათ ესენი, რომელნი განზრახანა ავესსალომოსს და ვითარმედ არა მრწმუნებელი, საჩინო-არს მისა იგი არა შორს წარწყმედისაგან მყოფი, ხოლო დავიდისი ძღვევაჲ თქუა და აღმოსლვაჲ მეფობისა მიმართ. უმოკბეს უკუე, თქუა, განყვანებაჲ თავისა თვისისაჲ ცხორებისაგან თავისუფლად და სიმკნით, ვიდრე მიჩიებებაჲ მისი სატანჯველად დავიდისა, რომლისა ძლით თანმოქმედ იყო ყოველთა ავესსალომოსსა. ამათმან მთქუმელმან¹ და შესრულმან უშინაგანესსა სახლისასა, შთამოიკიდა თავი. და აქიტოფელოს ვიდრემე, ესევითარისა სიკუდილისათვის მსჯელ თავისა ქმნილი, შთამომღებულთა შიშთვილისაგან დაჰქლეს თესთა მისთა.

ხოლო დავიდის, ვითარ წინაწარ ვთქუთ, განსრული იორდანესა, საბანაკოდ² მიიწია, კეთილსა ქალაქსა და მტკიცესა. და შეიწყნარეს იგი სიხარულით ყოველთა პირველთა სოფლისათა, სირცხვლისათვისცა მაშინდელისა ლტოლვისა და პატივისათვისცა პირველისა კეთილბედნიერობისა. ხოლო იყვნეს ესენი: ვერზელაოს ღალაადიტელი და სიფარ, ამმანიტისა მძღავრი. და მაქიროს, ღალაატისა სოფლისა პირველი. ამათ ყოველი გარდამატებულებმაჲ საკმართაჲ მიანიჭეს მას და მის თანათა, ვიდრელა არცა საგებულთა გარდაგებულთაგან ნაკლულევან-ყოფად, არცა პურთა და ღვინისაგან, არამედ და სიმ-

¹ მთქუმელმან/—AQ. τὰς αὐτὰς ἡμέρας 7329.

² II მთქ. 17,23—14—27. ^{1*} εἰς Παρμύθιδας 7330.

რავლესაცა მსხუერპლთასა მოღებად და განსუენებისათჳს ერთბაშად დამაშუ-
რალთაჲსა ღონიერობასა საქმართასა და საზრდელსა კმასაყოფელსა მინიჭე-
ბად.

თ. 10

1)* და ესენი ვიდრემე ამას შინა იყენეს, ხოლო ავესსალომოს, შემკრე-
ბელი დიდსა მკედრობასა ევრაელთასა, მივიდოდა მამისა ზედა და განსრულ-
მან იორდანოსა მდინარესა, არა შორს დაიბანაჲკა საბანაკოთაგან დალაადიტთა-
სოფელსა შინა, დამადგენელმან მკედართმყვანებელად ყოვლისა ძალისა ამეს-
საჲსმან პატივისა ზედა იოავოსს ნათესვისა მისისასა, რამეთუ მამისა ვიდრემე
იყო იეთრაჲმისი, ხოლო დედისა — ავიგეაჲსი. ესე უკუე და სარუა, იოავოსს
დედაჲ, დანი იყენეს დავიდისნი. ხოლო ვითარ აღმრიცხუეულმან მათ თანათა-
მან დავიდის პოვნა ოთხ ათასად მყოფნი, არა ინება დადგრომად, ჩუსადა ავეს-
სალომოს მივიდეს მის ზედა, არამედ დამადგინებელმან მათ ზედა ათასთმთა-
ვართა და ასთმთავართამან და განმყოფელმან სამად ნაწილად მკედრობისამან,
რომელიმე მკედართმყვანებელსა მისცა იოავოსს, ხოლო სხუაჲ — ძმასა მისსა
ავესსეოსს და მესამე ნაწილი კელთ-უდვა ეთისს, ჩუეულად და მოყუარედ
მყოფსა, ხოლო გიტტელთა ქალაქისაგან შთამომავალსა. და მნებებელი უკუე
მათ თანა აღმკედრებად, არა უტევეს მოყუარეთა, განზრახვითა გონიერითა
მწყრობელთა, რამეთუ მის თანა ძლეულნი, ეტყოდეს, ყოვლისა სასოებისა
კეთილისაგან დაკლებულ იქმნენ. და უკუეთუ ძლეულნი ერთითა კერძოთა ძა-
ლისაათა სხუთა მისა მიმართ მივილტნენ, უმჯობეს განამკვნოს მან ძალი მათა,
ხოლო ჭერ-არს და მბრძოლთაცა მიერ მეკუეულობად, ვითარმედ და სხუაჲ-
ცა მკედრობად შენ თანა. და განზრახულებული უკუე ამას განზრახვასა ზედა,
თვთ ვიდრემე დადგრომად ბანაკთა შინა საჯა. ხოლო წარმავლინებელი მოყუა-
რეთა და მკედართმყვანებელთაჲ ბრძოლისა მიმართ, ევედრებოდა ვიდრემე
გულსმოდგინებასა ჩუენებად და სარწმუნოებისა და კსენებასა, უკუეთუ მცი-
რეთა რომელთამე მიემთხვნეს მისგან. ხოლო რიდებად ყრმისა ავესსალომო-
სა მძლეველთა ევედრებოდა, რაჲთა არა იმოქმედოს ბოროტი რაჲვე თავო-
სა მიმართ თვისსა აღსრულებისა მისისათჳს. და მან ვიდრემე, ძლევისა მლოც-
ველმან მათდა, განუტევა მკედრობად.

2)* ხოლო იოავოსს განაწყო ძალი თჳსი პირის-პირ მბრძოლთაჲსა ველსა
დიდსა შინა, რომლისა უკუუნა კერძო მოდგმულ იყო მალნაროვანი. და ნაც-
ვალ განიყვანა მკედრობად ავესსალომოსცა. ხოლო ბრძოლად რაჲ იქმნა, საქ-
მენი კელთანი თანად და შეკადრებისანი მრჩობლთაგანვე დიდნი იხილვე-
ბოდენს, რომელთაგან ვიდრემე დაპირვიბულთა და ყოველსა გულსმოდგინება-
სა მკუემეველთა, რაჲთა მიიღოს მეფობად დავიდის, ხოლო სხუათა — რაჲთა
ესე არა მიეღოს ავესსალომოსს და მისცნეს სასჯელნი მამასა, ტანჯულმან,
რომელთათჳს მკადრე იქმნა. და არა მცონარე იყენეს არცა მოქმედებად და
არცა ვნებად და მერმეცა უმრავლესნი ვიდრემე მოსწრაფე იყენეს, რაჲთა
არა იპყრენ იოავოსს თანათა და მის თანათა მკედართმყვანებელთაგან, მცი-
რედ მყოფთა, ხოლო დავიდის მკედრებნი — რაჲთა ესოდენთა მძლეველ იქმ-
ნენ ბევრეულთა, პატივის-მოყუარეობდეს. და კდომად იქმნა ძლიერი და სძლეს
დავიდისთა, ძალითა ზესთმქონებელთა და თანად ბრძოლათა შინა კელოვნე-
ბითა. ხოლო მლტოლველთა მალნაროანთა და კვეთა, უკუუნაშედგომილნი

* II მეფ. 17,24; 18,1. * II მეფ. 18,6—9—14.

რომელთაზე იპყრობდეს და მრავალთა მოსრვიდეს, ვიდრედა მღტოლველნი დაეცნეს უმრავლესნი, გინათუ მბრძოლნი, რამეთუ დაეცნეს ორნი ბუერნი მას დღესა შინა. ხოლო დავიდისთა ყოველთა მიიშართეს ავესსალომოს ზედა, რამეთუ ცხად-იქმნა მათდა შუენიერებისა მიერ და სიდიდისა. და შეშინებულისა, ნუუყუე ეწინენ მას მბრძოლნი, აღსრული სამეფოსა ჭარსა¹/ზედა, ივტოლდა. 127

და მოღებული მოსწრაფებით და სრბისა მიერ და მოძრაობისა აღსუბუქებულისა, შთამოეკიდა საკერველობით ხესა დიდსა, დიდსა, დიდსა მიმართ ფრიად რტოთა განფენილსა, ვინაჲთგან შეეთხზნენ მას თმანი მისნი. და პირუტყუ ვიდრემე. სიმალისა მიერ ვითარ ზედმდებარესა მეუფესა მომღებელი, მერმეცა წარვიდა წინა კერძო. ხოლო იგი, თმათა მიერ შთამოკიდებული, პყრობილ იქმნებოდა მბრძოლთა მიერ.

ამისმან ვინმე მხილველმან დავიდის მკედრობათაგან, აუწყა იოავოსს. და მკედართმეყანებელმან ჰრქუა: „ორმეოცდაათნიცა სიკლოსნი მომეცნეს მე შენდა, უკუეთუმცა მწყლველსა მოგეკუდინა ავესსალომოს“. ხოლო მან: „არცა უკუეთუმცა ათასთაჲ, თქუა, გეგულებოდა ჩემდა მონიჭებაჲ, ვქმენცა ესე მეფისა ჩემისა ყრმასა ზედა და ამათ თანა ყოველთა გუესმოდა ჩუენ მისი, მკედრებელისაჲ რიდებად ჰბაუკისა.“ და მან უკუე, მბრძანებელმან მისდა ჩუენებად, სადა უხილავს ავესსალომოს შთამოკიდებული, მტყორცებელმან გულისა მიმართ, მოაკუდინა. ხოლო იოავოსს საჭურველთა-მომღებელნი, მოდგომილნი გარემოსს ხესა, შთამოაგდებენ მკუდარსა და მას ვიდრემე, მთხრებლსა შინა ღრმასა და განკებულსა შთამგდებელთა, ზედ-დაასხეს მან ქვაჲ, ვიდრე აღმოკვებადმდე და სახესა საფლაგისა და სიდიდესა მოღებადმდე. და მაუწყებელმან უკუე მომწოდებელისა მიერ, იოავოსს დააყენა დევნისაგან თვისნი მკედარნი მბრძოლთა ძალისა, მრიდებელმან თანმონათესეეთამან.

3)* ხოლო აღჰმართა ავესსალომოს დეღესა შინა სამეფოსა ძეგლი ქვისა მარმარილომსა, ორთა სტადიონითა განშორებული იეროსოლვმთათგან, რომელსა უწოდა თვსად კელად, მეტყუელმან, ვითარმედ და შვილნიცა თუ მისნი განიხრწნენ, ძეგლისა მიერ ეგოს სახელი მისი. რამეთუ შვილნი იყვნენ მისა სამნი ვიდრემე წულნი, ხოლო ასული ერთი, თომარა სახელით, ვითარცა წინაწარ ვთქუე. და შეეყო მას დავიდის შვილისშვილი იეროვოამოს და იქმნა ყრმაჲ მისდა ავიან, მიმთუალველი მეფობისაჲ. და ამათთვს უკუე უკუანაჲს-კნელ უსაკუთრესად მოთხრობასა შინა ცხად-ვეყო. ხოლო შემდგომად ავესსალომოს აღსრულებისა, ერი ვიდრემე თვისთა მიმართ განითესა.

4)* და აქიმას უკუე, სადოკოსს მღდელთმთავრისა ძე, მისრული იოავოსს მიმართ, ევედრებოდა მას, რაჲთა უბრძანოს წარსრულსა უწყებაჲ ძლევისა დავიდისა და ხარებაჲ, ვითარმედ ღმრთისა მიერისა შეწევნისა მიმთხუეულ არს და მოუერნეობისა. და იგი ვიდრემე — „არა ჯერ-არს, ეტყოდა, შენდა წარსრულისა უწყებად მეფისა სიკუდილსა ყრმისა მისისასა აწ, ვინაჲთგან მარადის კეთილთა მახარებელ ქმნილ ხარ.“ და დადგრომად ევედრებოდა. და მომწოდებელმან ხუისისმან, მას უბრძანა საქმე, რაჲთა რომელი მან იხილა, ესე მიუთხრას მეფესა. ხოლო აქიმას კუალად ევედრებოდა მიტეგებად მისდა ხარებასა, რამეთუ მხოლომსა ძლევისათვს მიუთხრას და დაიდუმოს ავესსალო-

¹ შეშინებულო.

• II მეფ. 18,18; 14,27. ¹⁰ II მეფ. 18,19.

• ეწერა ნახევარ ვირსა.

მოას აღსრულებსათვის. და უბრძანა მას დავიდის მიმართ წარსლვაჲ. ხოლო იგი, უმახლობელსა გზათაგან გამომჩრეველი და რამეთუ მხოლომან უწყოდა ესე, ეწია ზუსის. და დავიდის მქდომარე იყო საშუვალ ბჭეთა, მიელოდა, ოდეს ვინმე მისრულმან ბრძოლისაგან მიუთხრნეს მას ბრძოლისა ძლითნი. და ვინმე ებგურთავანმან, მხილველმან აქიმაჲს მორბედისამან და არა შემძლებელმან ცნობდა, ვინ არს იგი, თქუა დავიდის მიმართ, ვითარმედ ზედაეს ვისმე მომავალსა მისა მიმართ. ხოლო მან: „მიმთხრობელ კეთილთაჲ მოვიდეს“, თქუა. და შემდგომად მცირედისა უკუანა კერძო შედგომაჲ მისი სხვსაცა რომლისაჲ-
v ეე აუწყა მას. / ხოლო მან მისიცა მიმთხრობელად ყოფაჲ თქუა. და ებგურმან უკუე. მხილველმან აქიმაჲსმან, აწლა მახლობელქმნილისამან, სადოკოჲს მღღელთმთავრისა ყრმისა წინამორბედებაჲ აუწყა. ხოლო დავიდის, მხიარულქმნილმან, კეთილთა მიმთხრობელად ყოფაჲ თქუა მისიცა და რომელთაჲმე სახარულევანთა მოღებაჲ თქუა ამისიცა ბრძოლისაგან.

5)* და შემდგომად ამათსა მეტყუებდა რაჲ მეფე, გამოჩინებულმან აქიმაჲს თაყუანის-სცა მეფესა და, მკითხველსა ბრძოლისათვის, ძლევაჲ ახარა და პყრობაჲ. და მეტყუელსა, უკუეთუ და ყრმისათვისცა აქუს რაჲმე თქუმად, ჰრქუა: „მე ვიდრემე მეყუსუელად წარმოვემართე შენდა მომართ, ვინაჲთგან ძლევაჲ იქმნა მბრძოლთაჲ. ხოლო მესმა კჲმად დიდი ავესსალომოსს მდევნელთაჲ და უმეტეს ამისსა არარას შემძლებელ ვიქმენ სწავლად, ვინაჲთგან მოსწრაფე ვიყავ, წარმოვლინებული იოავოსს მიერ, ძლევასა უწყებად“. ხოლო მოიწია რაჲ ხუთი და თაყუანის-სცა და ძლევაჲ აუწყა, მკითხვიდა მას ყრმისათვის. ხოლო მან — „მტერთა, თქუა, შენთა, ვითარნი შეემთხვნეს ავესსალომოსს, ეყენენ.“ ამან სიტყუამან არცა ძლევისაჲ ზედაჲ მხიარულებაჲ უტევა და არცა მის თანა დაადგრა, დიდად მყოფი, არცა მკედართა თანა. იგი ვიდრემე უკუე, აღსრული სიძაღლესა ზედა ქალაქისასა, აღმოუწოდდა ძესა, მწყლველი მკერდისაჲ, დამფხურელი თავისაჲ და ყოვლითურთ თავსა თვსსა მტანჯველი და „შვილო, აღმომკმობელი, ჰე თუმცა იქმნა ჩემ ზედა მოსლვაჲ სიკუდილისაჲ და ერთბამად შენ ზედა დასრულებაჲ!“ რამეთუ ბუნებით ნაწლებით მოყუარედ მყოფისა, მისა მიმართ მერმეცა უფროჲს თანენებულებაჲ აქუნდა. ხოლო მკედრობაჲ და იოავოს, მსმენელნი, ვითარმედ იგლოვს ძესა ესრეთ მეფე, სირცხვლელ იქმნეს სახითა მძლეველთაჲთა ქალაქად შესლვასა, არამედ მწუხარენი ყოველნი და ცრემლოვანნი, ვითარ ძლეულებსაგან, წარვიდეს. ხოლო მეფე, მობურვილი, იგლოვდა ძესა. და შევიდა მისა მიმართ იოავოს და ნუგეშინისმცემელმან — „ო მეუფეო, თქუა, უმეცარ ხარ, შემასმენელი თავისაჲ მათ მიერ, რომელთა იქმ, რამეთუ მოყუარეთა მიმართ, შენთა და შენთვის ძვრხილოლთა და თავისა თვისსად და ნათესვისა შენისადმი, საგონებელ ხარ სიძულილსა ქონებად, ხოლო სიყუარულსა და მოსურნეობასა — მტერთა მიმართ, არღარა მყოფთა, რომელნი მსჯავრითა მოკუდეს. რამეთუ ავესსალომოს, უკუეთუმცა მძლეველ იყო და დაეპყრა მეფობაჲ სიმტკიცით, არცა ერთისამცა ჩუენგანისა დაშთომილ იყო ნაწილი, არამედ ყოველივემცა, შენგან შთამოწყებით და შენთა შვილთაჲთურთ, წარწყმედულ ვიყვენითმცა საწყალობელად და არამცა ტიროდეს ჩუენ ზედა მბრძოლნი, არამედ იხარებდესნცა და სტანჯვიდესნცა მწყალობელთა ჩუენთა ბოროტთა ზედა. ხოლო შენ არა გეკდიმების ამათსა მოქმედსა უფროჲსდა მტერსა ზედა, რამეთუ ძედ შენდა მყოფი ესრეთ უსკულო იქმნა. დაცხრომილი უკუე, უსამართლომსა მწუ-

* II მეფ. 18,28; 18,33; 19,5.

ხარებისაგან განსრული, გამოუჩნდი მკედართა შენთა და ძლევისათვის და ლუ-
აწლთა მიმართისა გულსმოდგინებისა. ემადლიერე მათ. რამეთუ მე დღეს,
უკუეთუ დაადგრე აწ მოქმედებულთა ზედა, შენგან განდგომად მარწმუნე-
ბელმან ერისაჲნი და მეფობასა სხუსა მიცემად, მაშინ უმწარეს და უტყუარ-
იტეს ვყო შენდა გლოვად.“

ამათმან მეტყუელმან იოავოს მოაქცია მწუხარებისაგან და მოიყვანა გო-
ნებად საქმეთა მეფე და რამეთუ გარდამსახველი თავისაჲ დავიდის და მარ-
ჯუემყოფელი სახედველად სიმრავლისა, ბჭეთა თანა დაჰდა. და ყოველი ერი,
მსმენელი, მოვიდოდა მისა მიმართ და შეემთხუეოდა¹. და ამათ /ვიდრემე 128
აქუნდა ესე სახე.

თ. 11.

1)* ხოლო ბრძოლისაგან უკუნქეულნი ევრაელნი, ავესსალომოს თა-
ნამყოფნი, მიწუნელნი სახიდ თვსად, თითოეულნი წარავლენდეს ქალაქთა
მიმართ, შემაქსენებელნი, რომელთათვის კეთილ-უყო მათ დავიდის და თავი-
სუფლებისათვისცა, რომელი, მრავალთაგან მესნელმან მათმან და ღიღთა
მბრძოლთაგან, მიანიჭა. და აბრალებდეს, რამეთუ მეფობისაგან განმდევნელ-
თა მისთა, სხუსა კელთ-უდვეს ესე. და აწ, ვინაჲთგან მოკულა² მათ მიერ
დადგინებული მთავარი, არა ევედრებიან დავიდის დაცხრომად ვიდრემე რის-
ხვისაგან და კეთილგონიერებით ქონებად მათდა მიმართ და ქმნად მოურნეო-
ბასა საქმეთასა, ვითარცა და პირველ მეფობასა მიმდებელი³. ესენი უკუე
მრავლად მიეთხრობოდეს დავიდის. და იგიცა არა უდარეს წარავლენდა სა-
დოკოას მიმართ და ავითაროას მღღელმთავართა, რაჲთა სიტყუა-უგონ
მთავართა იუდაჲს ნათესვისათა, ვითარმედ უშუერება არს სხუათა ნათესავთა
მიერ კელთდასხმაჲ დავიდისი მეფედ უწინარეს ამისსა და ამას თანა თქუნესა
ნათესავად მყოფობასა და ზოგადისა სისხლისასა მოგებასა მისა მიმართ. და
ამათივე ამესაჲს მკედართმეყანებელისაჲ უბრძანა თხრობაჲ მათ, ვითარმედ
ძედ დისა მისისა არა არწმუნებს მყოფი სიმრავლესა კუალად გებად მეფო-
ბასა დავიდისდა, ხოლო მექუელობად არა დაგებასა მხოლოდ მის მიერ, რა-
მეთუ ესე აწვე ქმნილ არს, არამედ და მკედართმეყანებლობასაცა ყოელისა
ერისასა, რომელი და ავესსალომოსცა მიანიჭა მას. და მღღელმთავართა ვილ-
რემე მათ მიერ, რომელნი თქუნეს მთავართა მიმართ ნათესვისათა და რომელ-
ნი ამესაჲს მიმართ მეფისა მიერნი თქუნეს მისა მიმართ, არწმუნეს კელ-ყოფაჲ
მის ძლითთა ზრუნეთაჲ. და არწმუნნა ნათესავსა მეყუსელულად წარვლენაჲ
დავიდის მიმართ მოხუცებულთა, მვიდრებელთა თვსად სამეფოდ აღმოსლვი-
სა მისისაჲ. ხოლო ამას და ყოველნი ისრაილიტინიცა მოქმედებდეს მარწუე-
ველობითა ამესადისთა.

2)* და მოხუცებულნი რაჲ წარვიდეს მისა მიმართ, იეროსოლკმად წარე-
მართა. ხოლო სხუათა ყოველთა ნათესავთა უსწრო იუდაჲს თესლმან იორ-
დანესა მდინარესა თანა მიგებებაჲ მეფისაჲ და გირაჲს ყრმამან, სემის, ათას-
თა ნათესავთა შამაკათა თანა, რომელნი მიეყვანნეს ვენიამიტოდოს ნათეს-
ვით და სივას, განთავისუფლებულმან საულოესგან, ყრმათა მისთა ხუთ და

¹ შეემთხუეოდა. ² მოკულა.

* II მეფ. 19.9. ^{1*} *שם אַרְבַּעַלְמִימֵי דַּאֲסִינְהוּ אַבְסַחְסַחֵם מִבְּנֵי נָהָרִים בְּרִינִים, עֲשׂוּ אִמָּנִים בְּכַפְּרֵם אֲחֵיכֶם* (დავითს ევედრებოდნენ არა მხოლოდ რისხვისაგან დაცხრომას, არამედ იმასც, რომ მათდამი კეთილად განწყობილიყო და კვლავ სათავეში ჩასდგომოდა). ^{2*} II მეფ. 19.15; 19.18.

ათად მყოფთა რიცხვთ, მონათა თანა ოცთა. ამათ იუდაის ნათესვისა თანა განვიდეს მდინარე, რაათა აღვილად განვიდეს მეფე თვისთა თანა. ხოლო ვითარ მოვიდა იორდანესა ზედა, შეემთხვა მას იუდაის ნათესავი და აღვიდოდა რაა ვიდესა ზედა, დაცემული სემის და მპყრობელი ფერკთა მისთაჲ, ევედრებოდა შენდობად მისა მიმართთა ნაცოდებთათვის და არა განმწარებად მისთვის და არცა წინაწარძღუნავდა პირველად შურისგებას ამას კელმწიფებასა შინა ქმნილობისათვის, არამედ გულისმსიტყუელობად, ვითარმედ შემნანებელმან, რომელთათვის სცთა, პირველად ისწრაფა მოსლვაჲ მისა მიმართ. ამათ ევედრებოდა რაა იგი და მოწყალე-ჰყოფდა, ავესესოსს, იოავოჲს ძმაჲმან — „ამისთვის უკუე შენ, თქუა, მოჰკუდე, მგმობელი ღმრთისა მიერ დადგინებულისაჲ მეფისაჲ მეფედ.“ ხოლო დავიდის, უკუნქცეულმან, მისა მიმართ — „არა დასცხრეთ, ჰრქუა, ო საროჲაის ყრმანო? ნუსადა აღსძრნეთ კუალად ჩემდა ახალნი პირველთა ზედა შფოთნი და კლომანი, რამეთუ არა ჭერ-არს უმეცრებაჲ თქუენდა, ვითარმედ დღეს მიწყეის მეფობაჲ, რომლისათვის ყოველთა ბოროტისმოქმედთად ვფუცავ მიტევებასა სატანჯველთასა და არარას მცოდველთასა მიგებად. და შენ, ჰრქუა, ო სემეი, მინდობილობდ და გეშინის ნურარასა, ვითარ მოსიკუდილდას!“. / ხოლო იგი, თაყუანისმცემელი, წინაუძღოდა მას.

3)* და მოეგება მას საულოჲს შვილისშვილიცა მემფივოსთოს, ხენეშა სამოსელსა გარემომდებელი და თმასა ღრმასა და უგულუმბელქმნილსა მქონებელი, რამეთუ შემდგომად დავიდის ლტოლვისა არცა იკუეცა მწუხარემან, არცა განიწმიდა სამოსელი, თავისა თვისისა ძლით მსჯელმან განსაცდელსა ამას ცვალებისათვის მეფისა. ხოლო შესმენილ იყო და ზედმოურნესა მისისა სივაჲსგანცა მისა მიმართ უსამართლოდ. და შეემთხვა რაა მას და თაყუანის-სცა, იწყო კითხვად, რაჲსათვის სადმე არა მის თანა განვიდა და ზიარ-ექმნა ლტოლვასა. ხოლო იგი ამას უსამართლოებასა სივაჲსგან ყოფად ეტყოდა, რამეთუ ბრძანებულმან შემზადებად მიმართთა განსლვისაჲ, არა იზრუნე, არამედ ვითარ მონასა რომელსამე, ესრეთ ურჩ-ექმნა: „უკუეთუმცა სლვანი მატუნდეს მტკიცენი, არამცა უკუნ-ვშთი შენგან, კუმევედ შემძლებელი ამათი ლტოლვისა მიმართ. არა ამჲს მხოლოდ ეუსამართლოა ჩემსა შენდა მიმართ, მეუფეო, პატივისმოყუარებასა, არამედ და შეასმინაცა და იცრუმეტყუელა ბოროტისმოქმედმან. ვარნა უწყი, ვითარმედ ამთგანსა არცა ერთსა შენი შეიწყნარებს გონებაჲ, მართლად მყოფი და ქემშარითებისა მოყუარე, რომლისაგან ძლიერებად მნებებელ არს ღმერთიცა, რამეთუ უმრავლესთა ძვრხილული ვინებად პაპისა ჩემისგან, რომელთა ძლით ნათესავი ჩუენი ყოველი თანამდები იყო წარწყმედისაჲ, შენ მშვდ და სახიერ იქმენ მაშინ, უმეტეს მათ ყოველთა დავიწყებისა მოქმედმან, ოდეს ცსენებასა. აქუნდა კელმწიფებაჲ ამათის შურისგებისაჲ. ხოლო შენდა საყუარლად მსაჯე მე და ტაბლასა ზედა გაქუნდი რაოდენნი დღენი და არა დავაკლდებოდი პატივსა ნათესავთასა“. ესენი რაა ითქუნეს, არცა მემფივოსთოსისი აგრძნა ტანჯვაჲ, არცა ვითარ ცრუმეტყუელისა, სივაჲსი დასჯაჲ, არამედ სივაჲს ვიდრემე, მისა მიმართ მისლვისათვის ყოველთა მინიჭებად მისდა მეტყუელმან, ხოლო მისმან შემნდობელმან, აღუთქუა ნახევარსა მონაგებისასა ბრძანებაჲ უკუნცემად მისდა. ხოლო მემფივოსთოს: „ყოველნი ვიდრემე აქუნდენ სივაჲსს, ხოლო ჩემდა კმარს კუალად მიღებაჲ მეფობისა შენისაჲ“.

1 მოსიკუდილსა.

• II მეფ. 19,24.

4)* და ვეერზელოსს ლალადიტსა, მამაკაცსა დიდსა და კეთილსა და მრავალთა მიმნიჭებელსა მისდა საბანაკოთა შინა¹ და წარმავლენელსა მისსა ვიდრე იორდანდმდე, ევედრებოდა მის თანა წარსლავდ ვიდრე იეროსოლკმათამდე, რამეთუ შეიწყნაროს იგი ყოველითა პატივითა და ვითარ მამისა მოურნეობასა და ზრუნვასა აღუთქუმიდა. ხოლო იგი სურვილითა თესთათა იჯმთადა მის თანა ქცევასა და „სიბერე ჩემდა არა ესოდენ არს, იტყოდა, რაჲთაჲცა ვიშუებდი სახარულევანთაგან აწლა ოთხმეოცთა წელიწადი აღსრული, არამედ რაჲთა დაჯნისა და საფლავისასა ვმოურნეობდე“. ამისა შემდგომად ევედრა მას, მნებებელსა მინიჭებად მისდა საწადელისა მისისა, რაჲთა განუტეოს იგი, რამეთუ „არა მეცნიერ ვარ გემოვნებასა საზრდელისასა და არცა სასუმელისასა ეამისათვის, ხოლო დავშულ არიან ჩემდა აწვე და სასმენელნიცა კმათა მიმართ მომღერთაჲსა და სიტყბოებათა სხუათა ორღანოთასა, რაოდენნი განაცხრობენ თანამქცევთა მეფეთასა“. ესრეთ უკუე ვედრებით მოქენესა — „შენ ვიდრემე, თქუა, განგიტეო, ხოლო ძე ახამანოს უტევე ჩემდა, რამეთუ ყოველთა კეთილთაგან გარდავსცე მას“. და ვეერზელოსს ვიდრემე, დამტევებელი ძისაჲ და თაყუანიმცემელი მეფისაჲ, დასასრულსა ყოველთასა მლოცველი მისდა, რომელნი აქუან სულსა შინა, სახიდ თვსად უკუნეცა. ხოლო დავიდის მიიწია ლალალად, ყოველისა ერისა ნახევრისა შქონებელი მის თანა აწვე და¹ ოუდაჲს ნათესვისაცა.

